

h/10
1950

U
L
K
T
M

1967

6

სსკ

6

ი ვ ნ ი ს ი

1 9 6 7

ლიტერატურულ-
მხატვრული და
საზოგადოებრივ-
პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა
და საქართველოს მფარველთა კავშირის ორგანო

თბილისი



მთავარი რედაქტორი ხუტა ბერუღავა

სარედაქციო კოლეგია: აკაკი ბაჩრაძე, გურამ გვერდფითელი, მერაბ ელიო-
ნიშვილი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი,
ოტია პაპოკია (პ/მზ. მღვივანი), ვიორგი ციციშვილი, ნოდარ წულეისკირი,
ვახტანგ ჰელიძე, სერგი ზილია, თამაზ ზილასი, ლევა ჯანაშია.

სსრ კავშირის მწერალთა IV ყრილობას

ძმირფასს! ამხანაგებო!

მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ცხოვრებაში დღეს დიდი დღეა — მუშაობას იწყებს სსრ კავშირის მწერალთა მეოთხე სრულიად საკავშირო ყრილობა. ეს ყრილობა დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის განვითარების გზაზე. მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი საზოგადოების მთელ სულიერ ცხოვრებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითადად მიესალმება ყრილობის დელეგატებს, ყველა მწერალს — საბჭოთა შემოქმედი ინტელიგენციის მებრძოლ რაზმს.

წელს საბჭოთა ადამიანები და მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს. ნახევარი საუკუნის წინათ ჩვენი ქვეყნის ხალხებმა ლენინური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აღმართეს ძლევა მოსილი პროლეტარული რევოლუციის დროშა, დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას. ოქტომბრის გამარჯვებით დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ერა — იმ ჭეშმარიტად ადამიანური წყობილების შექმნის ერა, რომელიც სინამდვილედ აქცევს მშრომელი მასების სასუკვარ ოცნებებსა და მისწრაფებებს.

საბჭოთა ხალხს მოუხდა ბევრი დაბრკოლებისა და სიძნელის გადალახვა, იგი იარაღით ხელში იკავდა ოქტომბრის მონაპოვრებს, კომუნიზმის იდეალებს. მუშების,

გლეხების, ინტელიგენციის, მთელი ჩვენი ხალხის უმაგალითო გამირობამ შექმნა მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო, რომელსაც ახლა მოწინავე მიჯნები უჭირავს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში.

ეს გამირობა მკაფიოდ აისახა საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებში. ისტორიის ყველა ეტაპზე — მშვიდობიანი შემოქმედების წლებში და ომის წლებშიც — ჩვენი ლიტერატურა იყო გამირული დროის მართალი მატრიანე, ახალი საზოგადოების გამარჯვებისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილე, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების მძლავრი საშუალება. დიდი მხატვრული დამაჯერებლობით ასახა ლიტერატურამ ჩვენი ეპოქის დიადი სიმაღლე, ცხადყო, რომ გზა, რომელიც ავირჩიეთ, შეესაბამება მილიონობით მშრომელი ადამიანის ძირეულ ინტერესებს. ამ უკვალავ გზაზე განვიცადეთ დიდ გამარჯვებათა სიხარული, გვექონდა დანაკლისიც, დროებითი წარუმატებლობანი და შეცდომები. მაგრამ ისტორიამ დაადასტურა, რომ გზა, რომელიც ავირჩიე ჩვენმა კომუნისტურმა პარტიამ, ჩვენმა ხალხმა, ახალი საზოგადოების მშენებლობის ერთადერთი სწორი, ლენინური გზა იყო. და ლიტერატურამ ღირსეულად განელო ეს გზა თავის ხალხთან ერთად.

საბჭოთა ლიტერატურამ, რომელიც იშვა ისტორიის მკვეთრი შემობრუნების დროს, რევოლუციის ცეცხლში, დაიწყო ახალი ეტაპი კაცობრიობის მხატვრული კულტუ-

რის განვითარებაში. ჩვენი ლიტერატურის საერთაშორისო მნიშვნელობასა და ავტორიტეტს განსაზღვრავს ის, რომ მან ასახა საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის, სოციალიზმისათვის ბრძოლის მსოფლიო-ისტორიული გამოცდილება, ყოველთვის უნერგავდა ადამიანებს კომუნისმის, თავისუფლების, მშვიდობისა და პროგრესის მაღალ იდეებს. საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც გამსჭვალულია რევოლუციურ-კუმანისტური, შემოქმედებითი პათოსით, ადამიანის უსაზღვრო შესაძლებლობათა რწმენით, უპირისპირდება ბურჟუაზიულ დეკადენტურ ხელოვნებას.

შექმნა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისა, რომელმაც მემკვიდრეობად მიიღო და გაამდიდრა რუსეთისა და მსოფლიო კულტურის საუკეთესო ტრადიციები, საბჭოთა წყობილების ცხოველმყოფელი ძალის მკაფიო დადასტურებაა.

ჩვენი ლიტერატურის პრინციპულად ახალი თვისება ისიც არის, რომ იგი ვითარდება როგორც მრავალეროვნული ლიტერატურა, ითვისებს ყველა იმ ეროვნული კულტურის პროგრესულ ტრადიციებსა და მოწინავე გამოცდილებას, რომლებიც ასახევენ საბჭოთა კავშირის თვითეული ხალხის ისტორიული გზის თავისებურებას. ეროვნულ ლიტერატურებს ახასიათებს საერთო იდეალები და მიზნები, ტრადიციებისა და ფორმების მრავალფეროვნება. მათი აყვავების საფუძველია ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება, საერთო ძირეული ინტერესები, ხალხთა ძმობა და მეგობრობა. ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ლიტერატურების ძმობის შემდგომი განმტკიცება, მათი ურთიერთგამდიდრება ობიექტური კანონზომიერება და კომუნისტური მომავლის კულტურის წარმატებითი მშენებლობის დიდმნიშვნელოვანი პირობაა.

სოციალისტურმა სინამდვილემ, ბრძოლამ კომუნისმის იდეალების განხორციელებისათვის ჩამოაყალიბა ახალი ტიპის ხელოვანი — აქტიური საზოგადო მოღვაწე, მოქალაქე, მებრძოლი. საბჭოთა შემოქმედებითი ინტელიგენცია ხალხის ღვიძლი შვილია, მისი განუყოფელი ნაწილია.

პარტია და ხალხი ღირსეულად აფასებენ

საბჭოთა ლიტერატურის წარმატებებს, რომლებიც ასახევენ საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა დარგის საერთო აღმავლობას. მწერალთა III სრულიად საკავშირო ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში შეიქმნა ბევრი ნიჭიერი ნაწარმოები, რომლებმაც ფართო აღიარება პოვეს. მხატვრული სიტყვის ოსტატები, ავითარებენ რა სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების ტრადიციებს, ცდილობენ გამოავლინონ ჩვენი სინამდვილის სიმდიდრე, მართლად და მკაფიოდ ასახონ საბჭოთა ადამიანების საქმეები და ჩანაფიქრები. ლიტერატურა სულ უფრო მეტად მიმართავს ცხოვრების ახალ პროცესებსა და მოვლენებს, პრობლემებს, რომლებიც კომუნისტური მშენებლობის დროს წარმოიშობა.

იმ ისტორიული მიჯნიდან, რომელსაც ჩვენ დღეს მივადწიეთ, უფრო მკაფიოდ ჩანს გადაუჭრელი არასივრები, ნაკლოვანებანი და ცალკეული არასწორი ტენდენციები ლიტერატურის განვითარებაში, რომლებიც უნდა აღმოიფხვრას. სამწუხაროდ, ჩვენში იქმნება იდეურად და მხატვრულად არასრულფასოვანი ნაწარმოებებიც, რომლებიც ზერელედ და ცალმხრივად ასახევენ ჩვენს ისტორიასა და თანამედროვეობას. პარტია, საბჭოთა საზოგადოებრიობა ამას მიაპყრობენ მწერალთა ყურადღებას და მოითხოვენ იდეურ-მხატვრული კრიტიკურიუმების სიზუსტეს, ხელოვანის კლასობრივი პოზიციის მკაფიობას, მაღალ ესთეტიკურ მომთხვენელობას. პარტია ესწრაფვის იმას, რომ ჩვენმა ლიტერატურამ, მთელმა ხელოვნებამ კიდევ უფრო წარმატებით შეუწყონ ხელი კომუნისმის მშენებლობას, უფრო აქტიური გაკლენა მოახდინონ ახალი ადამიანის იდეური და ზნეობრივი აღზრდის პროცესზე.

კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს სკკპ XXIII ყრილობის მიერ მიღებულ იმ კურსს, რომ განამტკიცოს და განავითაროს სოციალურ-ეკონომიური პროცესების ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები, კიდევ უფრო სრულყოფს წარმოებითი ურთიერთობა და სოციალისტური დემოკრატია. ცხოვრებას ყოველთვის უნდა ვხედავდეთ მოძრაობასა და პერსპექტივაში,



უნდა ვხედავდეთ მის რეალურ სირთულეს, უნდა ვიციოდეთ მშრომელთა განწყობილება, მათი მოთხოვნები და მისწრაფებანი. ახლა განსაკუთრებით დიდია მეცნიერების, მარქსისტულ-ლენინური თეორიის როლი, ლიტერატურისა და ხელოვნების როლი სინამდვილის შემეცნებასა და გარდაქმნაში.

საბჭოთა ლიტერატორების ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა თანამედროვეობის, ახალი საზოგადოების მშენებლობის ახლანდელი ეტაპის მხატვრული შეცნობა. თანამედროვეობისადმი მიმართვა ამდიდრებს ხელოვანს იდეურად და ესთეტიკურად, აფართოებს მის თვალსაწიერს, ეხმარება გამოიჩინოს ნიჭი.

ხელოვნება იჭრება ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში, ზეგავლენას ახდენს მისი აზრების, გრძნობებისა და ხასიათის ჩამოყალიბებაზე. მწერლები მოწოდებული არიან კომუნიზმის მშენებლებს შთაგონონ ახალი გმირობა და მიღწევები, განუვითარონ შემოქმედების, ინიციატივის სულისკვეთება, პასუხისმგებლობის გრძნობა დიდი ოქტომბრის იდეალების განხორციელებისათვის.

ლიტერატურის საბრძოლო ამოცანაა მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდა. საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმს საფუძვლად უდევს თანამედროვე მსოფლიოში ჩვენი სახელმწიფოს ისტორიული როლის, სოციალიზმის დიად უპირატესობათა ღრმა გაგება. ლიტერატურა განამტკიცებს ადამიანის რწმენას კომუნიზმის იდეების გამარჯვებისადმი, მის უსაზღვრო სიყვარულს ჩვენი სოციალისტური სამშობლოსადმი. ლიტერატურა მოწოდებულია ჩაუნერგოს ახალგაზრდობას სიამაყე ჩვენი ყველა გამარჯვებისა და მიღწევისათვის, რაც ხალხმა მოიპოვა ძალების უდიდესი დაძაბვის ფასად, გაჭირვებისა და სიძინლის გადალახვის შედეგად, ჩაუნერგოს ახალგაზრდა თაობას ახალი საზოგადოების აშენებისათვის მებრძოლთა თვისებანი.

ჩვენს დროში განუზომლად გაფართოვდა საბჭოთა ლიტერატურის გავლენის სფერო. წიგნი გახდა თვითუფლები ოჯახის, თვითუ-

ლი სახლის აუცილებელი საგანი. თეატრის, კინოს, რადიოს, ტელევიზიის საშუალებით მწერალს შესაძლებლობა აქვს მიმართოს მრავალმილიონიან აუდიტორიას. ეს კიდევ უფრო ზრდის მის როლსა და პასუხისმგებლობას თავისი შემოქმედებისათვის, ნაწარმოებების იდეური მიმართულებისა და მხატვრული დონისათვის.

პასუხისმგებია საბჭოთა ლიტერატურის ამოცანები თანამედროვე იდეურ ბრძოლაში მილიონთა გონებისა და გულისათვის. მთელ მსოფლიოში იგი არის სოციალიზმის ისტორიულ მონაპოვართა, კომუნიზმის ნათელი და კეთილშობილური იდეალების მქადაგებელი და პროპაგანდისტი. სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ საბჭოთა მწერლები კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღებენ შეტევას ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, საკადრის პასუხს გასცემენ ანტიკომუნიზმის მებაჯრეებს, მარქსიზმის ყოველგვარი ჯურის რევიზიონისტებსა და ვულგარისატორებს, დაეხმარებიან გამონახონ სწორი გზა იმათ, ვისაც თავგზა აუბნია მტრის პროპაგანდამ.

მსოფლიოს დემოკრატიულმა საზოგადოებრიობამ მაღალი შეფასება მისცა და დამსახურებულად აღიარა საბჭოთა მწერლების აქტიური საქმიანობა საერთაშორისო ასპარეზზე, მათი წვლილი ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლაში, ფაშოზმის, იმპერიალისტური რეაქციის, კოლონიური მონობის წინააღმდეგ ბრძოლაში. და დღეს, როცა ამერიკის იმპერიალიზმი გამოდის როგორც საერთაშორისო ჟანდარმი, ეწვევა სამარცხვინო ომს გმირი ვიეტნამის წინააღმდეგ, საბჭოთა მწერლების ავტორიტეტული ხმა ერწყმის მსოფლიოს ყველა პატროსანი ადამიანის ხმას, რომლებიც გულისწყრომით გმობენ აგრესორთა დანაშაულობებს.

მშვიდობისა და სოციალური პროგრესის დროში ერთიანდებიან ახლა მსოფლიო ლიტერატურის მთელი ჯანსაღი ძალები. საბჭოთა მწერლების მოვალეობაა აქტიურად შეუწყონ ხელი ამ შეკავშირებას. ჩვენ მივესალმებით ჰუმანისტ ხელოვანთ, რომლებიც ამხილებენ ცხოვრების ბურჟუაზიულ წესს, კაცთმოძულეობის იდეოლოგიას, აქ-

ტიურად იბრძვის მშვიდობის, დემოკრატი-
ისა და პროგრესისათვის.

მსოფლიო ხელოვნების განვითარების
მთავარ ძალას სოციალისტური ხელოვნე-
ბა წარმოადგენს. მისი გავლენის გაძლიე-
რება, სოციალისტური რეალიზმის პოზიციე-
ბის განმტკიცება, სოციალიზმის ქვეყნების
ლიტერატურათა თანამეგობრობა თანამედ-
როვე მსტავრული ცხოვრების ღირსშესა-
ნიშნავი და ნაყოფიერი ტენდენციაა.

ლიტერატურის განვითარების პროცესზე
პარტიული გავლენის მძლავრი საშუალება,
მშრომელთა ესთეტიკური აღზრდის საქმეში
სერიოზული ძალაა მარქსისტული მსატე-
რული კრიტიკა. მას ყოველთვის უნდა ახა-
სიათებდეს პრინციპულობა, იდეური შეუ-
რიგებლობა, მეცნიერული დასაბუთება, ობი-
ექტურობა, გონივრული მიდგომა ხელოვნე-
ბის რთული მოვლენებისადმი, სათუთად
მოაყრობა ტალანტისადმი. სწორედ ასეთი
კრიტიკა მოიხვეჭს ავტორიტეტსა და პატი-
ვისცემას ხელოვანთა და მკითხველთა შო-
რის.

პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სსრ
კავშირის მწერალთა კავშირის საქმიანო-
ბას, რომელიც მრავალეროვნული საბჭოთა
ლიტერატურის ყველა რაზმს აერთიანებს.
მწერალთა კავშირმა კვლავაც უნდა იმუშა-
ოს, რათა დარაზმის შემოქმედებითი ძა-
ლები პრინციპულ პარტიულ საფუძველზე,
გამოიმუშაოს კოლექტიური აზრი ძირეულ
იდეურ-შემოქმედებითს პრობლემებზე, ხე-
ლი შეუწყოს მწერალთა იდეურ წრთობას,
მათში მარქსისტულ-ლენინური მსოფლ-
მხედველობის ჩამოყალიბებას, ამასთან გან-
საკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს
ახალგაზრდა ლიტერატორებს.

მწერალთა ორგანიზაციამ კვლავაც უნდა
იმოქმედოს, როგორც საბჭოთა ლიტერატუ-
რის პარტიულობისათვის, ხალხურობისათ-
ვის, იდეური საფუძველების ურყეობისათვის
მებრძოლთა შემოქმედებითა კავშირმა.

მაღალია მწერლის დანიშნულება სოცია-
ლისტურ საზოგადოებაში. იყო საბჭოთა
ქვეყნის ლიტერატორი — ნიშნავს ყოველ-
თვის და ყველაფერში იყო პარტიის მტკი-
ცე მებრძოლი, ასახავდე, კომუნისტური შე-
მოქმედების პეროიკას, შეურიგებლად იბრ-
ძოდე ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველი
გამოვლინების წინააღმდეგ.

იყო საბჭოების ქვეყნის ლიტერატორი —
ნიშნავს ზედმიწევნით გრძნობდე ღრთის
მაჯისცემას, ხალხთან იყო ბრძოლაში და
მშენებლობაში, ცხოვრობდე მისი საქმეები-
თა და საზრუნავით, ხალხს ახმარდე მთელ
შენს ნიჭსა და ოსტატობას, შენი გულის
მთელ მგზნებაბრებას.

იყო საბჭოების ქვეყნის ლიტერატორი —
ნიშნავს შენი სიტყვით ფრთას ასხამდე
ადამიანს, უღვიძებდე მაღალ ზრახვებსა და
გრძნობებს, ანიჭებდე მას სინარულსა და
ესთეტიკურ სიამოვნებას.

ამიერიდან სსრ კავშირის მწერალთა კავ-
შირის დროშას ლენინის ორდენი დაამშვე-
ნებს. ეს მოწმობს, რომ მთელმა ხალხმა
აღიარა სოციალისტური რეალიზმის ლიტე-
რატურის დიდი დამსახურება, მისი წვლი-
ლი კომუნისტურ მშენებლობაში და ფა-
შიზმზე ჩვენი ხალხის გამარჯვებაში. სკკპ
ცენტრალური კომიტეტი გულითადად
ულოცავს ყველა საბჭოთა მწერალს მაღალ
ჯილდოს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტი-
ის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს
რწმენას, რომ ჩვენი დიადი სამშობლოს
მწერლები კვლავაც აქტიურ მონაწილეობას
მიიღებენ კომუნიზმის მშენებლობაში, კი-
დევე უფრო ენერგიულად იმრომებენ ხალხი-
სათვის, მოიპოვებენ ახალ შემოქმედებითს
გამარჯვებებს.

ნაყოფიერ მუშაობას გისურვებთ, ამხანა-
გო დელეგატებო!

ახალ წარმატებებს გისურვებთ კომუნიზ-
მის გამარჯვებისათვის ბრძოლაში!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური
პარტიის ცენტრალური კომიტეტი**



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

საბჭოთა მწერლების IV ყრილობა, რომელიც ჩვენი ქვეყნის მთელ მრავალეროვნულ ლიტერატურას წარმოადგენს, გულითადად მიესალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

ჩვენი ყრილობა მიმდინარეობს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეათე წლისთავის წელს, რევოლუციისა, რომლის კაპიტნის ბოგაზე მსოფლიო ხედავს და მარად დაინახავს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს, კომუნისტა მძლავრი პარტიის შემქმნელს.

ჩვენ, საბჭოთა ლიტერატურის მოღვაწენი, მთელ ჩვენს შემოქმედებას, მთელ ჩვენს აზრებს ვუკავშირებთ პარტიას, რომელიც გამოხატავს ხალხის უდრემს ინტერესებს. „კომუნისტებო, წინ!“ — ეპოქის ეს მძლავრი მოწოდება გაისმოდა სამოქალაქო ომის ფრონტებზეც, ხუთწლეულების მშენებლობებზეც, ბერლინის შტურმის დროსაც, გაისმის ამ ბოლო წლების დიად საგმირო საქმეებშიც.

ვაჯამებთ რა გმირობით, გამარჯვებებით და უძიმესი განსაცდელით აღსავსე ნახევარი საუკუნის მანძილზე ლიტერატურის განვითარების შედეგებს, უწინარეს ყოვლისა, საქირობლ მიგვანჩია განვაცხადოთ, რომ ჩვენი ლიტერატურა მიგვანჩია და კვლავაც მიგვანჩია საერთოპარტიული, კომუნისტური საქმის ნაწილად.

წმიდად ვიცავთ რა საბჭოური და მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებს, ჩვენ, საბჭოთა მწერლები, ლიტერატურას ვთვლით საზოგადოებრივ საქმედ, პროგრესის მძლავრ ფაქტორად. იგი მოდის ხალხიდან, ეკუთვნის ხალხს, ერთგულად ემსახურება ხალხს თავისუფლების, თანასწორობის, ძმობისა და სამართლიანობის დიადი პრინციპებისათვის, კომუნისმის მაღალი იდეალებისათვის ბრძოლაში.

ჩვენ პირდაპირ და ამაყად ვუწოდებთ ჩვენს ლიტერატურას პარტიულს იმიტომ,

რომ მას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა, რომლებსაც ჩვენი პარტია გამოხატავს. ჩვენს ლიტერატურას პარტიულს ვუწოდებთ იმიტომ, რომ პარტიის პოლიტიკაში ვხედავთ პროგრესული კაცობრიობის სანუკვარ მისწრაფებათა ყველაზე სრულ განხორციელებას და დღეს მთელი ჩვენი მრავალეროვნული ლიტერატურის სახელით ვამბობთ: „ავირჩიეთ რა ჩვენს იდეალად კომუნისმი — ბოლომდე ერთგული ვიქნებით მისი!“.

ორმოცდაათი წლის მანძილზე ჩვენი ხალხი იბრძოდა და აშენებდა, და ლიტერატურა მასთან ერთად იყო შრომითა და მხედრულ საქმიანობაში. დღეს საბჭოთა კავშირი დედამიწის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო გახდა. ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომელმაც გადაიწყვეტი დარტყმები მიაყენა ფაშისმს და დაუცხრომლად იცავს მშვიდობის საქმეს. ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომლის იდეები, მაგალითი, გამოცდობა ალაფრთოვანებდა და ალაფრთოვანებს ხალხებს სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ყოველი ფორმის წინააღმდეგ ბრძოლაში. და თუ დღეს მსოფლიო სხვანაირი გახდა, ამაში დამსახურება მიუძღვის სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურასაც. ამის შეგნება ჩვენსთვის, საბჭოთა მწერლებისათვის, სიამაყისა და შემოქმედებითი შთაგონების წყაროა.

ჩვენი ვითვალისწინებთ, რომ ჩვენს ლიტერატურულ საქმეში ბევრია ნაკლოვანებანი, სიძნელენი და გადაუჭრელი პრობლემები. უნდა სრულყოფთ ჩვენი კავშირის საქმიანობა, განავითაროთ თვითთელი ლიტერატორის შემოქმედებითი ინიციატივა და მოქალაქეობრივი აქტივობა, მუდამ უნდა გვახსოვდეს, თუ რა მაღალი პასუხისმგებლობა აკისრია საბჭოთა ხელოვანს დროისა და ხალხის წინაშე.

ერთი წუთითაც არ ვივწყებთ, რომ ჩვენი საქმიანობა მიმდინარეობს მწვავე იდეო-

ლოგიური ბრძოლის პირობებში, რომელმაც არ იცის დაზავება და სავსებით გამორიცხავს იდეოლოგიური თანაარსებობისა თუ ნეიტრალიზმის რაიმე ფორმას.

ყოველივე ეს დიდი ძალითა და ნათლად არის ნათქვამი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში ჩვენი ყრილობისადმი. ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი მიგვაჩინია კიდევ ერთ დადასტურებად იმისა, თუ რა დაუცხრომლად ზრუნავს პარტია საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის.

მწერალთა მეოთხე ყრილობა აღუთქვამს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ საბჭოთა ლიტერატორები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა გაამართლონ პარტიისა და ხალხის ნდობა, სამშობლოს უმაღლეს ჯილდოს — ლენინის ორდენს უპასუხებენ იმით, რომ ყოველი ღონისძიებით აამაღლებენ შემოქმედებითს აქტივობას, თავიანთი შრომით ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მშე-

ნებლობაში, მსატკრულ ნაწარმოებებში ასახვენ ხალხის ცხოვრებას, შექმნიან მისი ბრძოლისა და შემოქმედებითი შრომის ფართო სურათს.

საბჭოთა მწერლები სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ლიტერატორებთან და ყველა კონტინენტის პროგრესულ ხელოვანებთან ერთად კვლავაც მგზვნებრედ დაიცავენ მშვიდობას, აღიმაღლებენ ხმას იმპერიალისტური ავანტიურებისა და ნეოფაშიზმის წინააღმდეგ. ყოველთვის გვახსოვს, რომ პროგრესული ძალების ერთიანობა წარმატების საწინდარია რეაქციისა და ომის შავბნელი ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში.


გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას — რევოლუციის დიად მესაჭეს!

გაუმარჯოს ცხოვრებისა და შემოქმედების, ხელოვნებისა და რევოლუციის კავშირს!

**საბჭოთა კავშირის მწერლების
IV ყრილობა**



ՄԵՐԱՆ ԱՄԵՅՏՈՒԹՅԱՆ



ԱՄՄ
ՉՅՕՊՈ
ՉՆՇՈ

ՀՄԹՅՈՒՆ

— ჰო, შენ რომ ელაპარაკე.

— არ იცნობთ?

— არ ვიცი. ის თუ იყო, ჩვენთან რომ ახლდა. ზიარი მანქანა ჰყავთ.

„ამათანაც მიპყოლია... მანქანა კი არა, პერანგი ვისი აცვია, არავინ იცის... საწყალი ჩემი ძმა!.. ამ ტყავაძეს ვინ მისცა ამდენი ჰქუა!“

ნოდარი შორიასლო მალაზიის განათებულ ვიტრინას ათვალერებდა.

— მერი! — გვერდით მიუჯდა მაკა და ხელი მხარზე დაადო, — მე ყველაფერი უნდა ვიცოდე.

მერიმ მისკენ მიიხედა, თვალი ვერ გაუსწორა და თავი დახარა.

— სად გაიცანი ბიჭი?

— ვასასი დეიდასთან.

— ჩემი დედამთილის დეიდაშვილია. მისი ქალიშვილი, ვარდო, მერის კბილაა, ჩვენთან მუშაობს, ბიბლიოთეკაში, — დაუმატა მარგომ.

— საიდან მოხვდა მათთან ბიჭი?

— ვასასი ჯუმბერის დედობილია...

— თუ რამე იცი, უთხარი გოგო, შენს მხსნელს ნურაფერს დაუმალავ, — შეხვეწა მარგო.

— ვასასი დეიდას მეზობლად ერთ დროს ჯუმბერის ბიძას — ვილაც ტყავაძეს უცხოვრია. იქედან დაახლოებულან.

— სად ხვდებოდით ერთმანეთს?

— მერი დაიბნა.

— ბიბლიოთეკაში... ვარდოსთან.

— ცეცხლი მოეკიდა იმას, ჩაილაპარაკა მარგომ ვარდოს ხსენებაზე.

— მანქანით ხომ არ მოდიოდა?

— კი, მოდიოდა, მაკას ვენაცვალე, მაგრამ უფრო ხშირად ვარდოს გამოვზავნიდნენ, რომ ვინმეს ცუდი არაფერი ეფუჭრა. ბიჭის ძვირს ვერ ვიტყვი.

— ტყავაძე დედობილთან რჩებოდა? მერიმ არ უპასუხა.

„ჰო, — დაასკვნა თავისთვის, — დედობილთან რჩებოდა და ესენი მანქანაში ათევდნენ ღამეებს.“

„კი, მაგრამ რისთვის, — ეკითხებოდა ქალი თავისთვის, — იმისთვის, რომ მე ვუყვარვარ? არ იცის, რომ ქმარ-შვილი მყავს? იქნებ ჩემს გამო არ შეირთოდოდო. დოდომ იცოდა, რომ ადრე მე ვუყვარდი. მეც ვიცოდი. მაინც დაუზრეკე. სხვანაირად არ შემეძლო... გენოს ვეტყვი, ხვალ ჩამოვა და ვეტყვი. თუმცა რაღა ხვალაა, საცაა გათენდება. კი. მან ყველაფერი უნდა იცოდეს. გენო მე გამიგებს, რომ არ მქონდა უფლება დამელუბა ადამიანები. ტყავაძე კი, ვალდებულია ყველაფერი გააკეთოს, მითუმეტეს — თუ ეს მისი მოწყობილი საქმეა. და მერე... მერის გავაფრთხილებ, რომ ბიჭი ჩამოაშოროს. ვათქმევინებ, ვათქმევინებ კი არა, მეც ვეტყვი... იმას კი არ ვეტყვი — ჩემს გამო დაგიახლოვდა-თქო, მაგრამ ვეტყვი, რომ მასთან ნუ გაივლის — ჩემიანებთან არაფერი ესაქმება ტყავაძეს... ეს ღამე იყოს უკანასკნელი...“

— მგონი მოდიან, მაკა, საყვარელო! — თქვა მარგომ.

მერიმ უფრო ღრმად ჩაჰკიდა თავი.

მაკას უკან არ მოუხედავს. ნოდარი დაინახა — მილიციელს ელაპარაკებოდა.

— მოვიდეს! — თქვა და გუნებაშა დაუმატა: „მოვიდეს, მე მას არ ვემალები, ჩამოვა და გენოს მოვუყვები...“

მოახლოებულნი მანქანის სინათლემ მარგოს თვალი მოსჭრა. მაკამ მის სახეზე დაინახა შვება, კეთილ ადამიანებს იმედის გამოჩენისას რომ უჩინდებათ ხოლმე.

— მოვიდნენ, მაკა, შენი ჰირიმე. როგორც შენ იტყვი, ყველაფერი ისე იქნება!

„ბიჭის უთუოდ უყვარს... მერის ვინც ახლოს გაიცნობს, შეუყვარდება. შერთვის ნებას, ალბათ, ტყავაძე არ აძლევს, სანამ იმელი არ ექნება, — მაკამ სიტყვით ვერ გამოხატა, რისი იმელი უნდა ჰქონოდა ამ კაცს, — რომ მე ვუთანაგრძნობ. — გულში გავლიმა, — ისიც სულელი ყოფილა...“

მაკამ კარი მაშინ გააღო, როცა მოსულეებმა სინათლე ჩააქრეს.

ბიჭი მძიმედ, თავშეკავებულად წამოვიდა.

— ჩემი საყვარელი და ვინ შემიწუხა ასე გვიან, — ნაღვლიანად ამოიხიხინა და გვერდზე გადავა.

— მოვედით, საქორწილო მყაროინი! — თქვა ტყავაძემ. მას ცხელი ხელი ჰქონდა.

„მე მეუბნება, მაგრამ ავიწყდება, რომ ერთხელ უკვე ვიყავი დედოფალი“, ძმას შეხედა. ნათურის შუქზე იგი უფერული და დაჩაგრული მოეჩვენა. „არა, ამდენი ღამისთევა და ღოთობა ეყო ამ საცოდავს, უჭკუოს“.

— მე ნუ მალაპარაკებ. ყველაფერი იცი... მითხარი, რას აპირებ? — ჰკითხა მაკამ ბიჭის იმიტომ, რომ პირველი სიტყვა ტყავაძისათვის არ ეთქვა.

— რა, აკიდება უნდა? — ვითომ უხეშად უბასუხა, მაგრამ იგი დას ახლა უფრო მორჩილი და დამჯერე მოეჩვენა, ვიდრე ოდესმე.

— ჯუმბერ, თქვენ რას იტყვით?

— მე თქვენს მხარეზე ვარ.

„ბევრს ითხოვს ამ მხარდაჭერისათვის?“ — ქალმა სახეში შეხედა, მაგრამ გუგებში ჩამჯდარი მტაცებელი ვერ გაუქრო და მზერა აარიდა.

დღემილი ჩამოვარდა.

— საჭიროა ამაზე ფიქრი?

— ვინ არიან, რა უნდათ? — მხრები აწურა ბიჭიმ. იგი დაბნეული იყო. „საწყალი, წუხელ რა მოხდა, არც გაუგია“, — გაიფიქრა მაკამ და ტყავაძეს თვალი გაუსწორა. „სამაგიეროდ, აი,

ვინ იცის...“ მაგრამ ახლა ისიც ფერმკრთალი მოეჩვენა. „მიხვდა, რომ ყველაფერი გავუგე და უნდა მაგრძნობინოს, მხოლოდ შენი სიყვარულისთვის ჩავიდინეო. თავი ისე უნდა მოვაჩვენო, ვითომ არც მწყინს.“

— ჩემი ძველი მეგობრობა ახლა გამოჩნდება, ჯუმბერ, დაგვეხმარე, ისე არაფერი არ გადაწყდება!

— შეგიძლიათ ჩემთან...?

— თქვენთან? — თითქოს ორჭოფობდა ქალი, — რა გაუჭირდა ჩემს ძმას, რომ ცოლი მეგობრის სახლში მიიყვანოს, თუ მოიხმარს, სახლიც აქვს და კარიც. მე ჩვენებთან მოლაპარაკებულ ვარ, გველიან.

— გველიან? — ბიჭიმ ერთბაშად ასწია თავი და მიხედ-მოიხედა, თითქოს უეცრად მზე გამოჩენილიყო.

„არც ისე უსინდისო ყოფილა ეს ჩემი ბედოვლათი ძმა, როგორც მეგონა.“

— ჯუმბერ, მე ვფიქრობ თქვენთვის ეს გასაგებია, ქალის ასე... მიყვანა... არაა მთლად ლამაზი. — მიხვდა, რომ მასთან გუშინდელი საუბრის კილო დაუბრუნდა. ეს ახლა ტყავაძეს არ ესია-მოეჩებოდა, — ასეთ დროს ყველაფერი ქალს ბრალდება, ვაჟკაცმა კი...

— მართალია, — მაშინვე კვერი დაუჭრა ტყავაძემ. უკანასკნელი სიტყვა გულზე მოხვდა.

— თქვენთანაც შეიძლება, — დაამშვიდა მაკამ, — მაგრამ არა, დამერწმუნეთ, რომ ასე ჯობია... — გადაწყვიტა რომ მეტი აღარ ელაპარაკნა. გრძნობდა, თავს ველარ შეიკავებდა და ტყავაძესთან ძველ „მეგობრობას“ გამოაშვარავებდა.

ქალი უკან მიტრიალდა.

— ჩვენს მანქანას გამოყვებით! — თქვა ხმამაღლა და წავიდა. მაშინვე დავეჭვდა, იქნებ ვერ ვთქვი დამაჯერებლად, ან ავჩქარდი და ახლა, ვზას რომ დავადგებით, ვაი თუ შებრუნდნენ და საიდანაც მოვიდნენ, იქით წავიდნენო. თავს ძალა დაატანა, უნდოდა ნაბიჯისე გადაედგა, შიში და სისუსტე არ შეემჩნიათ; მაგრამ გაუჭირდა, „მოსკვი-

ჩის“ კარის სახელურს მიწვდა და შეისვენა. უკან რომ მოეხედა — შეიძლება ყველაფერი წყალში ჩაეყარა. სავარძელზე დაეშვა. ნოდარი საჭესთან არ იყო. სანამ მილიციელს დაშორდებოდა, მოვიდოდა და მანქანას დაქოქავდა — ერთმა სიტოცხლემ ჩაიარა.

— ჩქარა იარე, რაც შეგიძლია, ჩქარა! უკან შეუქვარები ჩართეს და წინ წასულეებს ვვალში ჩაუდგნენ.

— მაღლობა ღმერთს! — თქვა უკვე ხმა მაღლა, რაკი ამ სიტყვების გულში დატევა ვერ შეძლო, და მერის მხარს მიესვენა.

მერი ცახცახებდა და უხმოდ სლუკუნებდა.

— ღმერთო, შენ ულხინე მაკა ლეჟავას ქალს, ღმერთო, შენ ულხინე მის ქმარ-შვილს! — ლოცულობდა მარგო.

მანქანა ჩქარა მიდიოდა.



მას შემდეგ, რაც მელიტონის სატვირთო მანქანით იმგზავრა, გენო ორჯერ იყო ჰესის მშენებლობაზე და ყოველდღე აპირებდა სამუშაოს ჩაჯღოშიდა.

მშენებელთაგან ორიოდე ძველი ნაცნობი ჰყავდა. ბევრი ახალიც გაიჩინა, მაგრამ როგორ დაეწერა ან ვისზე? არასოდეს ასე არ გაჭირვებია პირველი სიტყვის მიგნება.

ჯერ კიდევ მაკას აქ ყოფნისას აცნობეს ქურნალისტა კავშირიდან: შენა განცხადება განვიხილეთ და ნარკვევს მომავალი წლის სავაჭარო გეგმაში გადავიტანთ, თუ სექტემბრისთვის არ ჩავგვებარებო.

ღრო საკმარისი იყო, მაგრამ ეს გენოს პირველი მოზრდილი ნაშრომი იქნებოდა, რომელზეც მომავალში ბევრი რამ გახლდათ დამოკიდებული.

მაკამ ეს იცის, მაგრამ არ იცის, რა ძნელია — როგორ უნდა თქვა, რომ კარგად თქვა. იგი ერთგულია, გაგიგებს, დაგეხმარება; მაგრამ უნდა დაუფასო. ყველაფერს გააკეთებს შენთვის, მაგრამ თუ ბავშვი გაიცივდა და სიცხე აქვს, მა-

შინ ყველამ გოჩაზე უნდა იწუხოს. თუ ძმა გზაა ცდენილია, ვისაც მაკა უყვარს, მისი ძმის გვერდით დიდგეს; მაშა თუ ავადაა — მთელი ღამეები სკამზე იძინებს, შვილი, ქმარი და დედამთილიც კი თავს უნდა დასტრიალებდენ. ახლა ნაწყენი იქნება, რომ გენო იქ არაა და ცოლისძმის აწეწილ საქმეებს არ აწესრიგებს.

გუშინ საღამოს დაურეკა და უთხარეს, მაკამ ფეხად გავგასწრო. სიმონი მომჭობინებულა და, ეტყობა, ახლა ძმას მიაშურა: ტყავიდან ამოძვრება, რომ მისიანებს პატრონად ჰყავდეს.

სიძე უნდა ჩასულიყო და ენახა სიმამრი, მაგრამ ჩავა თუ არა, მაშინვე ითქმება ბიჭის ამბავი. რაა სალაპარაკო, შეერთოს, მორჩა და გათავდა! გენო ამას ვერ იტყვის, რადგან მერი მარგოს მულია. მაკასაც გულწრფელად უყვარს მარგო და მერი, მაგრამ ძმას მაინც წინ დააყენებს.

მაკას თუ ჰგონია, საწერად მარტოხელობა და მყუდროება უკეთესიაო, მართალი არაა. ეს გენოსაც ასე ეგონა, მაგრამ რამდენი დღე დაეკარგა. შინ რომ არავინ ეგულებოდა, ხან ვის გადაჰყვა და ხან ვის. გუშინ და გუშინწინ საღამომობით ჩაიკეტა, მაგრამ რა გამოვიდა, არაფერი.. ზის, ფიჭობს, და უცებ ესმის — ვიღაც ეძახის; ხან მეზობელს დაჭირდა რაღაც, ხან ბავშვებს საპაერო ფრანი გაეხლართათ ხეებში. დაჯდება, ისევ ვახსენებს, სად გაუწყდა აზრი და... ქათამი აკრიანდება. ჯანდაბას, ქათამს ვინ დაგიდევს, მაგრამ ამ წუთში მაინც სხვაზე იფიქრა. ვახშმად ჭიქა ჩაიხომ მაინც უნდა დალიოს. ჯერ აღრეა, მერეც გაძლებს უმისოდ, მაგრამ რატომღაც მოაგონდა და სათქმელისთვის თავი ვერ მოუბამს. პალატში თავი კოდს ხრავდა, მერე მიწყნარდა, მაგრამ მაინც უშლის ხელს. რაღაც აკლია, მეტისმეტი სიჩუმეა და ვერ აზროვნებს. სიცარიელეა და გონება ეფანტება. იგი სამსახურში და სახლში მიეჩემა ხმაურს და ეს ხმაური სჭირდება ისე, როგორც ფიჭისათვის განმარტობას და მყუდ-

როებას ირჩევენ ხოლმე. რაკი სიმონმა მოიკეთა, საჭოჭმანო და სათათბირო არაფერია, ბიჭიმ უნდა შეირთოს ის გოგო. მერისთვის უღირსია, მაგრამ თავს დააბრალოს.

დილით გენომ სამსახურში მისვლის-თანვე იკითხა რედაქტორი. უთხრეს, ბიუროზეა დაძახებულიო.

რედაქციაში არც შესულა, უკან გამობრუნდა და რაიკომისაკენ დააპირა წასვლა. ცილას ხმა მოესმა.

— გენო, საით?

— ქვეყანა დიდი.

ცილა ორსაფეხურიანი კიბიდან ჩამოხტა, მიიბრინა და ხელზე ხელი მოუჭირა.

— რომ იცოდე, როგორი მადლობელი ვარ შენი!

— მადლობა დომენტის უთხარი!

— როგორ ვწუხვარ, რომ გადაჰყავთ!

— რას იზამ, ჩემო ცილა...

— თავი მოუკვდა, ვინც მაგას არ აყენებს.

— დომენტიც არაა მთლად უცოდველი.

— რა მოხდა ვითომ, რეიდის მასალებში რომ... ის რა გვარია?

— აბა რა ვიცი.

— ჰო, რომ არ დაბეჭდა. იმ... ვინცაა. სამი შვილი მიუყვანა სახლში, ტირილით დახოცა ბავშვები.

— ესეც სისუსტეა, სხვა დამნაშავეებსაც ჰყავთ ბავშვები, იქნებ — უფრო ბევრიც.

— დომენტის ეს ხომ სიკეთით მოუვალა.

— არის ასეთი იტალიური ფილმი: „კანონი კანონია.“

— ოჰ, როგორ მძყვარს!

— არ დაიწყო ახლა! — გენომ ხელი ასწია.

— კარგი, არ ვაშობ.

— ძალიან მეჩქარება. თებრო როდის უნდა მოვიდეს?

— თებრო? შენ გგონია, ჩვენ ყოველდღე ერთად ვართ?

— არა, არ მგონია.

— ალბათ ორშაბათს.

ჰო, მართლა, შენი დაპატრეება უნდა, და კიდევ ვილაცის.

— თებროს?

— თებროს.

— ეს „ვილაცა“ ვინაა?

— ოო, ეგ უკვე საიდუმლოებაა.

— შენ აცი და, მაინც საიდუმლოებაა? — გაიღიმა გენომ და გზას დაადგა, — კარგი, კარგი, ცილა, მერე იყოს.

დურმიშხან „ზოსიმიშმა“, დანიშნეს თუ არა აღმასკომია თავმჯდომარედ, განაცხადა: — არავითარი მისაღები საათები, ჩემთან კარი ყოველთვის ღიაა! აი რა ყურადღებიანი კაციო, თქვეს „ზოსიმიშზე“.

გენო აღმასკომში მივიდა. დურმიშხანს უნდა თხოვოს, რომ დომენტის გადაყვანას ნუ დააჩქარებენ. იგი, რაიონის პირობაზე, გვარიანი ქურნალისტი და სათნო ადამიანია. ღვინის სმა, რაც მისი ავადმყოფობაა, ახალი ამბავი არაა. იმ რეიდის ამბებზე კი — დამნაშავეა, მაგრამ, კაცმა რომ თქვას... მისი მამიდა-შვილი არ იყო და ქრთამი არ აუღია...

მოსაყდელში ორი ერთნაირი სიმალლის კაცი შემოვიდა. მაშინვე ქუდები მოიხადეს და, კი არ დაიკიდეს, ზურგს უკან, ხელში დაიჭირეს.

ერთი მეურნეობის დირექტორი გახლდათ, მეორე — მთავარი აგრონომი. გენო მათთან, სოფელში, მეორე დღეს უნდა ჩასულიყო. გამოლაპარაკება დააპირა. ამ დროს თავმჯდომარეც შემოვიდა. ყველას ღიმილით მიესალმა. „ზოსიმიშს“ მოადგილე და ინსტრუქტორი შემოჰყვინენ.

პირადად მდივანმა გაზეთებისა და წერილების დასტას ხელი დაავლო, უფროსს ფეხდაფეხ მისდია და, გამობრუნდა თუ არა, მეურნეობის დირექტორი და აგრონომი კაბინეტში მიიწვია.

შავებიანმა ქალმა, კარებთან რომ იჯდა და, ეტყობოდა, ყველაზე ადრე იყო მოსული, მდივანს ახედა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მეტისმეტად სახეგადატ-



კეცილი სქელ-სქელი დედაკაცი უკმაყოფილოდ აწრიალდა და ჩაილაპარაკა:

— აქ ხალხი არ გამოილევა.

კარგა ხნის შემდეგ აწითლებული ინსტრუქტორი გამოძვრა და უკანმოუხედავად გავარდა. გენოს გარდა მოსაცდელში ექვსი მთხოვნელი იცდიდა. მათ შორის ორი — კოლმეურნე უნდა ყოფილიყო. იღვნენ ფეხზე და ხელში ქუდებს მშუტნიდნენ.

ზარმა დარეკა. მდივანმა წიგნში ფანქარი ჩადო, თავმჯდომარესთან შეიხედა და კარებიდანვე გამოტრიალდა. მოსაცდელში არ მიუხედავად, გაცუნცულდა, „ბორჯომი“ მოარბენინა. მალე წყალთა მეურნეობის უფროსი და მთავარი ინჟინერი გამოჩნდნენ. ქუდები მოიშვლიბეს და კაბინეტში შეიძურწნენ. ეტყობოდათ, სასწრაფოდ იყვნენ გამოძახებულნი.

— აქ ხალხი არ გამოილევა, — თქვა ისევ სახეგადატყეცილმა ქალმა.

— მართალია, — დაეთანხმა გენო.

— ადრე, დანიშნული საათები ჰქონდათ და მიგიღებდნენ, მთელი დღე ლოდინით მუხლებში წყალი მაინც არ ჩაგიდგებოდა.

— ყველას თავისი „მეთოდი“ აქვს, — მხრები აიჩეჩა გენომ, მერე ყურმილი აიღო და რედაქციაში დარეკა. სანებლიძეს უთხრა, აღმასკომში ვარ, როგორც ჩანს, დამავციანდებო.

კარგა ხნის მერე გენომ თავმჯდომარის კაბინეტის კარი შეაღო, კარს იქით ისევ კარს წააწყდა და გაუყვირა: რა საიდუმლოს ამბობენ, რომ მუშამბაგადაკრული ერთი კარი ვერ დაფარავსო.

დურმიშხანი წამოდგა და ხელი ჩამოართვა. იცნო, მოიკითხა. სკამზე ანიშნა, თვითონაც დჯდა და მოსასმენად მოემზადა.

„ცუდი კაცი არაა, — გაიფიქრა გენომ, მაგრამ მალე ზოსიმიჩმა „სერიოზული“ სახე მიიღო. — აი, ეს აკლია დომენტის. იგი ყოველთვის ერთნაირია. არა, როცა თვრება, ზომავზე მეტს იცინის და არაფერი არ სწყინს“.

— დომენტი ჟურნალისტია და მისი

ადგილი რედაქციაშია. მას იმოდენა ნაშაული არ ჩაუდენია, რომ საყვარელ საქმეს მოაშორონ, — დაიწყო გენომ.

დურმიშხანმა ორად-ორი შეკითხვა მისცა და პასუხი რომ მიიღო, გულისტკივილით და დამრიგებლურად თქვა:

— ჩემო მეგობარო, მე ვკითხულობ თქვენს წერილებს და მომწონს. ვიცი, „კომუნისტშიაც“ დაიბეჭდა. კარგია. ჩვენი რაიონის სახელია. გვქონდა აზრი, რედაქტორად გადაგვეყვანეთ, ალბათ არ გეცოდინებათ...

— არა, ბატონო, ასეც რომ იყოს, მე დომენტის ადვილს არ დავიჭერ. ის ღირსია...

— მომისმინეთ! — გენო მისვდა, რომ თავმჯდომარეს ეწყინა, მაგრამ თავი შეიკავა, — ეს, ყველაფერი, — დურმიშხანმა თითი მალა ასწია, — ბიუროს საქმეა. გენომ იცოდა, ამ კაბინეტის ზევირაიკომის მდივანი იჯდა და მიხვდა, დომენტის საქმე ვადაწყვეტილი იყო.

ქუჩაში უხალისოდ გამოვიდა. რედაქციისაკენ აპირებდა წასვლას. „კოლსოზნიკი“ წამოეწია. შიგ მეურნეობის დირექტორი და აგრონომი ისხდნენ. გენოც ჩაუჭდა და გაჰყვა. ჩავიდა მათთან და იქედან დაურეკა სანებლიძეს: ხვალ დილით უნდა წამოვსულიყავი, მაგრამ ავერ მანქანა იყო და დაადრება საქმეს არ წაახდენსო.



გათენებამდე ყველაფერი გაკეთდა, რაც ასეთ დროს შეიძლებოდა მოეწროთ. დილით მაკა ეზოდან გადავიდა, რათა კუთხე-მეზობლებისათვის დაეძახა, მოსულიყვნენ და პურ-ღვინო მიეღოთ. პატივცემი კაცის თვალში დანაშაული ნახევრადი. თუ რძალს გაკილავენ, იმას მაინც იტყოდნენ, ბიჭისთან შეუცოლავსო. სიმონის ბიძაშვილთან — ანტონ ლეჩავასთანაც შეიარა. დედა მათთან უმძრახად იყო და მიმოსვლა არ ჰქონდათ, შარშან აქეთ არ ენახა. მიკითხვ-მოკითხვა, მოსიყვარულება... ბოლოს — ძმის ასე უტყარი ქორწინების გამხელა! ზოგი — ხუმრობით ნათქვამი

სიმართლე, ზოგი — დაპირება, რომ და-
ნარჩენს იქ შეიტყობდნენ...

შეაგვიანდა. შინ რომ დაბრუნდა,
ეზოს მანქანა მოადგა.

გენო მოვიდაო, — ერთი კი ვაიფიქ-
რა, მაგრამ კიშკარი ბიჭიმ მოაღო და
კონინდარში შემოსულმა ღია ყავისფერ-
მა „პობედამ“ გათელილი ბალახის კვა-
ლი დატოვა.

„ჩემს აქ არყოფნაში წასულან. აღ-
ბათ, რაიმე მოიტანეს“.

მანქანა პალატთან, ლაფაროში დააყე-
ნეს. ტყავაძემ პიჯაკი გაიხადა და დამც-
ლაყა. საბარგოს კარი გააღო და მორჩი-
ლა კასრი აიგნის სოხანზე შეაგორა. ბი-
ჭიმ სახლში რაღაც შეხვეულები შეიტა-
ნა. ჯუმბერმა მის მობრუნებამდე შეფუ-
თული ბოთლების ჩამოლაგება დაიწყო.

მაკამ კიბე აიარა და ოთახში უსაქმოდ
შევიდა, — მათ ოჯახში ტყავაძის ფუს-
ფუსს აარიდა თვალი.

ფანჯარასთან მერი აწურულიყო.

— მეზობლებისთვის რომ არ დამეძა-
ხა, არ ივარგებდა, — უთხრა ისე, თით-
ქოს ამ ოჯახში ხანმოთეულ რძალს დას-
ტურს თხოვდა.

მერიმ სასოწარკვეთილებამდე მად-
ლიერი თვალით შემოხედა.

— ჰო, მართლა, აგერ — მეხუთე მო-
სახლედ, ჩვენი ბიძაშვილები ცხოვრო-
ბენ. დედაჩემი მათთან წალაპარაკებუ-
ლია. თუ უნდა, ნურც აწი გასცემს ხმას.
შენ კი ქმრის ნათესავეები უნდა გი-
ნობდნენ, პატივს უნდა გცემდნენ...

— დედათქვენს არ ეწყინოს... — შეშ-
ფოთდა მერი, მაგრამ თავისი ნათქვამი-
სა შერცხვა: შენ თუ ასე თვლი საჭი-
როდ, ვილას ეწყინებო.

მაკამ თვალი ჩაუკრა, გაუღიმა. მანქა-
ნიდან ყველაფერი გადმოცლილი იქნე-
ბო, ივარაუდა და უკან გაბრუნდა.

— მერი, გენაცვალე, ბავშვმა თუ გაი-
ღვიძოს, დამიძახე!

— მაკა!

მერის ხმამალა მოუვიდა დაძახება
და ენაზე იკბინა.

მაკა შემობრუნდა.

— რა იყო, მერი, გერიდება, რომ მე-

ძახი? არა, ასე უკეთესია, მალე მეზობ-
ლები მოვლენ და დაინახონ, რომ შენ
ჩვენთან შინაურულად ხარ. აქ დღეს მო-
დი, ისე კი დიდი ხანია ამ ოჯახის რძალი
ვქვია, — თქვა და გავიდა. იმ ადგილს,
სადაც მაკა თვალს მიეთარა, მერი ისე
უყურებდა, როგორც სალოცავს.

მაკა რომ კიბეზე გამოჩნდა, ტყავაძე
საქესთან ჯდებოდა, ხელი მანქანის კა-
რის სახელურზე ეკიდა.

„ასეთი სახელური ჰქონდა კარადასაც
სიზმარში“, — შეაქრკოლა ქალს. მაშინ-
ვე დაიჯერა, რომ ზმანება წუხელსავე
აუხდა. მაგრამ თავისმა ქცევამ მაინც და-
აქვვა: ჩქარობდა, ჩვეულებრივ ვერ საქ-
მიანობდა, ვილაცას ემალებოდა, თით-
ქოს მერის აკვირებდა, თავს აწო-
ნებდა...

მალე მეზობლები გამოჩნდნენ, —
პირმოთნე ღიმილით, მოლოცვებით.

უკვე სუფრას უნდა მისწდომოდნენ,
მაგრამ მაკა არაფერს ამბობდა.

„გენო თუ არ იქნა, ვინ ითამადადბს?
თამადაობა სიძეს ეკუთვნის... ტყავაძე
იქნებ მეტ ღვინოს სვამს და, ვინ იცის,
სუფრის გაძლოვაც შეუძლია, მაგრამ აქ
არაა მისი ადგილი...“

ეზოში სკამები გამოეტანათ. ვინ მას-
ლაათობდა, ვინ ნარდს თამაშობდა. ან-
ტონ ლეყავას ვაყისთვის ვილაცას ქინ-
ძისთავით კოსტუმის ბოლოზე ვაჭეთის
ნახევი — „კუდი“ მოება და მეზობლის
ელამი გოგო ცაბუნია კისკისებდა. ტყა-
ვაძე მსხლის ძირას, პალოებზე გადაჰე-
დილ ფიცარზე იჯდა. იგი არც თამაშობ-
და, არც ვინმეს ელაპარაკებოდა. იჯდა
და პაპიროსს ეწეოდა; მისთვის არავინ
არ არსებობდა, ერთი ქალის მეტს ვერა-
ვი ხედავდა.

მაკამ იცოდა, არ უნდა შებრალებო-
და. თუმცა, ვინც ებრალებათ, ის არც
უყვარბ.

„კი მაგრამ, რას უზის ასე ეუღლად, ად-
გეს, გაიარ-გამოიაროს, ითამაშოს, ან
ვინმეს გამოელაპარაკოს, აქ ყველა მისი
ნაცნობია“, — ფიქრობდა მაკა.

პალატიდან ბიჭი გამოვიდა. მაკა მა-
შინვე მისკენ მიბრუნდა და ვაიფიქრა:



„რატომ ვარ ასე დაინტერესებული, ჯუმბერი ხალისიანადაა თუ არა, რაში მელარდება.“

— ეს ხალხი რომ მორეკე, რაღას აცდევინებ, — დისტვის არ შეუხედავს, ისე თქვა ბიკიმ და ეზოში გავიდა.

„ახლა სტუმრებს მოიწვევს სუფრასთან. ჩემთვის რომ არ ეთქვა. ისე ვერ ჰქნა, ვერ ითავა. სადაა თამადა...“

პალატის კარებში შეიხედა. დედას უთხრა, ტანსაცმელი გამოიცვალეო, და მერისთან ავიდა. აივანში გოჩა გამოეკეზა და მუხლებზე მოეხვია.



ბიკის დისტვის არ უქითხავს, ისე აირჩია თამადად ტყავაძე. მაკა მათთან შესვლას აღარ აპირებდა. მამაც სძულდა რძალიც, დედ-მამაც და ქმარიც... მისი უხასიათობა რომ შენიშნა, მარგო კინალამ გაათავდა. ოღლამაც ლოყაზე შემოიკრა ხელი, ისედაც დაბნეული იყო და ახლა სულ დაიბნა, აღარ იცოდა, რა ხდებოდა მის თავს. ქალიშვილს საპყარივით იყო მიწდობილი. გათენებისას რომ გააღვიძეს და რძალი წინ დაუყენეს, მას აქეთ სიზმარში ეგონა თავი. ხუთი თვის ორსული დედოფლის ქორწილში მოსულ ხალხს ცოტა ჰქონდა საქირდავი, მაკასაც რომ ზურგი არ შეექცია?

— ვენო არ მოვიდა... — შეჩვილა მაკამ მარგოს.

— მოვა, მოვა, შენი ჰირის სანაცვლოდ ვიყო. წამოდი, მაკა, წამოდი!

მარგოს ამ წუთში დეიდაშვილის დარდი სულ არ ჰქონდა, მას ის აწამებდა, რომ სუფრაზე უხერხულობა შეიქმნებოდა, თუ იქ მაკა არ იტრიალებდა... მაკა კი ყველაფერს შემოუვლიდა, ყველაფერი შეეძლო. ავედმყოფი დედამთილის ამარა მიტოვებული ტყუპების დედას დარდი ნაღველს უღესავდა, მაგრამ აქედან როგორ წასულიყო, როცა მერის თავისიანი სხვა არავინ ახლდა.

მაკა ადგა, თმაზე ხელი გადაისვა და ოთახიდან ოთახში გასასვლელი კარი ხმაურით შეაღო. ყველამ მისკენ მოიხე-

და. მაკიდას მიუახლოვდა, ხელები გავსალა და გაკვირვებით იკითხა:

— რა ჰქენით, არ აღღეგრძელეთ ნეფე-დედოფალი?!

— ვაღღეგრძელეთ! როგორ არ ვაღღეგრძელეთ! — გაიშმა აქეთ-იქიდან.

— მერე, ასე უხმოდ? მომეციოთ ის სასმისი, რითაც თამადამ დალია.

— მიეციოთ!

— მაკა, შენი ჰირიმე!

შავი, მოუფერცხლავი ჯიხვის რქა ვადმოაწოდეს.

„ტყავაძეს მოუტანია. აქ ასეთი ყანწი არ იყო, არც მეზობლებში მახსოვს. ამის მეტს არ დაველე, ეს კი უნდა დავცალო. ჯიხვის რქა შესახედავდაა დიდი, ისე ცოტა ჩადის...“

ღვინო ყელში უჩერდებოდა, არაფრით არ ვადადიოდა, მაგრამ ყველა მას შეჩერებოდა და უკან დასახევი გზა არ იყო. რომ ეგონა იცლებო, ღვინო ერთბაშად მოაწყდა და კინალამ სახეში შეესხა. დალია და, სანამ ხალხი აღტაცებას გამოხატავდა, სტუმრების საეჭვო ღუმილის გასაფანტავად ყანწი ფრთხილად დაიბერტყა ცერზე.

ყველა გამოცოცხლდა.

— მაკას გაუმარჯოს!

— მაკა, შენი ჰირიმე!

— მაკა, შენ გაიხარე!

ანტონ ლეყავას უკვე მოესწრო შეთრობა, ფეხზე წამოვარდა და საზეიმოდ განაცხადა:

— ჩემი ძმისშვილი მაკა — ლეყავა! მერე რა, რომ კარგი ქმარი ჰყავს, მაინც ლეყავა!

სუფრა უცებ შეიცვალა, ალაპარაკდა, აჭიკჭიკდა და მაკა ისევ ყურადღების შუაგულში მოექცა.

მარგო მთლად დადნა:

— შენ ქალი კი არა, მზე ხარ, ჩემო მაკა, — ჩურჩულებდა მის ზურგს უკან, — შენ თამარ-მეფე ხარ...

ტყავაძე ღუმდა.

„შემეცოდება, — გაიფიქრა, — რა ჯანდაბად დავლიე, შემეცოდება, მთელი სიცოცხლე ვუყვარავარ და ვერასოდეს ვერ დამივიწყებს...“

ადგა. ღვინო გულზე აწვებოდა. თავს ცუდად გრძნობდა, მაგრამ აივანს არ გაცილებია. გოჩას დაუძახა.

ბავშვი ეზოში, მანქანის შორიანსლო იდგა. ძახილი რომ გაიგონა, აივანზე ამოირბინა. დედამ სუფრასთან მიიყვანა, ცარიელ სკამზე შესვა და სტუმრებს აუხსნა:

— სანამ მამამისი მოვიდოდეს, გოჩა გაგიწევთ მის მავიერობას.

— გაუმარჯოს გოჩას!

— გაუმარჯოს გენოს!

— მაკა, შენი ჭირიმე, მაკა!

გაკვირვებულმა ბავშვმა ერთხანს ხალხს უყურა, მერე მიეჩვია. მალე ისევ სადღეგრძელო წამოიწყეს და გოჩას ყურადღება მოაქვდა — აწრიალდა. ჩანგლით ტუბილის გადმოტანა სცადა, თეფშს მუცლით გადააწვა და კრემიანი ტორტი სუფრაზე დაუფარდა. დედა მიეშველა, გადმოუღო, საღვინე ჭიქა ლიმონადით აუვსო და წინ დაუდგა.

— მამაშენი მოვიდეს და მერე გაგიშვებ სათამაშოდ! — უჩურჩულა შვილს.

— მამიკო?

— ჰო, ჰო, მამაშენი...

ბავშვს მალე მოაგონდა, რომ გარეთ მზე იყო და მწვანე კონიდარში ორი მანქანა იდგა.

ალარც მაკა გაჩერებულა სუფრასთან. გოჩა ნოდარის „მოსკვიჩში“ ჩაისვა და სასოფლო საბჭოსკენ გასწია.

„რა ცუდია, რომ ნოდარის კარგი მანქანა არა ჰყავს“ — გაიფიქრა მაკამ, როცა ტყავაძის ახალ. ღია ყავისფერ „პობედას“ გვერდი აუქციეს.

მორიგე აღმასრულებელმა საბჭოს მდივნის სახლი მისაწვავა. მდივანი ქალი მაშინვე გამოემზადა და საქორწილო წიგნი წამოიღო. რომ დაბრუნდნენ, სულ რაღაც ოთხიოდე სადღეგრძელო ჰქონდათ შესმული. მაკამ წინა ოთახში გაიხმო ორი მოწმე. ნეფე-დედოფალი და ხელი მოაწერინა.

ტყავაძე რომ შინ მივიდა, ჯერ კიდევ დღის სინათლე იყო. დედა გააფრთხი-

ლა, — შინ არა ვარო, და კარი ჩაიკეტა. სიმთვრალეს ისე არ გრძნობდა, როგორც დაღლილობას. ეს დაღლილობა არც მარტო წუხანდელი უძილობის ბრალი იყო, არც დღევანდელი თამალობისა და ღვინის სმისა. იგი დალაღა წლებმა, ჯარისკაცით ფეხზე შემართულმა წლებმა, მოუსვენარმა დღეებმა და გატეხილმა ლამეებმა, სწავლამ, რომლისთვისაც მზად არ იყო; ერთსა და იმავე დროს უნდა მიეტო უმალლესი განათლებაც და შეეგვსო ისიც, რაც საშუალო სასწავლებელში უნდა სცოდნოდა; უნდოდა ემუშავა და, არრას მქონეს, აეგო სახლი, ჰქონოდა ყველაფერი, რასაც ნატრობდა და ჰყოლოდა ის...

ყველაფერი დაიწყო იმ დღეს, როცა ღელის გაღმა, ჩამპალ, შავ ჯირკზე შუბლდაბჯენილს სახეზე წითელი ჭიანჭველების ჯარი ეხვია; მტირალა ტრიფების იქით კი გაიარა ბედნიერმა მაკამ, ჯუმბერმა იმის გაფიქრებაც კი ვერ გაბედა, „მაკა ოდესმე ჩემი უნდა იქნესო“, მაგრამ მას უნდა გაეძლო ყველაფრისთვის, გაეკეთებია ყველაფერი, რომ ამ ფიქრის უფლება ჰქონოდა.

...და დაიწყო საყერებელდადებული ბლუზით. ამ ბლუზას თუ გაურეცხავდნენ, დედის შავი სატინის კოფთა უნდა გადაეცვა; დაიწყო კანტორის იქით, უჯრო შუკაში ბოკონებზე ამოტინებელი, დასავლეთით საძირკველდამპალი, სახურავზე ყავარაგლეჯილი ორთვალი ოდით, რომლის ერთ ოთახში ავდრისას ღამის გათევა არ შეიძლებოდა; დაიწყო არაფრის გამკეთებელი, კუდაბზიკა დედით და ბიძით, რომელიც თბილისის გარეუბნის სადგურში მეისრედ მუშაობდა და წელიწადში ერთხელ ჩამოდიოდა, როცა უფასოდ ეძლეოდა სამგზავრო ბილეთი; დაიწყო ნიკაპს ქვევით აქერცილი, მოტყაული წითელი სურსულით, რომელსაც არავითარი სოფლის წამალი არ მიუდგა.

იმ დღეს მან შეძლო ძალიან ბევრი. არ ამდგარა და არ გაჰყოლია სადგურისკენ მიმავალ მაკას... დაღამებამდე ეგდო ახალნაწვიმარ მიწაზე ბოლომთ ვაგუდუ-



ლი, ჭიანჭველებს დაჰქმევინა სახე და ჯირკიდან არ წამომდგარა... იმ დღიდან იგი თავდაუზოგავი იყო და შეეძლო ბევრი რამ გაეკეთებინა. გადაწყვიტა, არ ენახა მკაცრად... არ ენახა, სანამ ქალს არ დაავიწყდებოდა ეს თავმომაბუხრებელი, მუნთან ბიჭი. ჯუმბერს უნდა მიეღწია იმისთვის, რომ გარეგნულადც კი შეცვლილიყო.

ტყავაძემ მაშინ ერთი რამ ვერ გაითვალისწინა: ლეჟავას ქალს ამასობაში ვინმე რომ დაპატრონებოდა. მაგრამ რას იფიქრებდა — უმაღლესის დამთავრებამდე თუ მოჰკიდებდა ოჯახს ხელს.

იმ დღიდან ჯუმბერს თითქმის არ სძინებია. ცალ ხელში წიგნი ეჭირა, მეორეში ბარ-ნიჩაბი. მომდევნო წელს ინსტიტუტში მოეწყო დაუსწრებელზე. პირველად გაუჭირდა. ყველაფერი დაძლია. ლენინის ქარხანაში დაიწყო მუშაობა. მალე თავის რაიონში ლამაზი სამოსახლო აიჩინა და... ამ დროს იმან, ვისთვისაც თეთრად ტეხავდა ლამეებს, ერთ დილას ვიღაც გენო ნიქარაძის მკლავზე გაიღვიძა...

ტყავაძემ ეს რომ გაიგო, გვიანდა იყო. თავის დროზე რომ სცოდნოდა — გენო ნიქარაძე ლეჟავას ნაკვალევსაც კი ვერ მიაგნებდა.

ერთი წლის მერე, როცა ჯუმბერი ქარხანაში იწყებდა ადგილზე გადავიდა და სახლის საძირკველი ჩაყარა, მაკას შვილი შეეძინა. მაკა ინსტიტუტს იმ წელს ამთავრებდა და ჯუმბერს არ ეგონა, ჯერ თუ იყოლიებდა ბავშვს.

ტყავაძის ადგილზე, ალბათ. ყველა ხელს ჩაიქნევდა საყვარელ ქალზე, საერთოდ — სიცოცხლეზე, მაგრამ დარღმა მისი ღამე კიდევ უფრო შეამოკლა. წელიწადნახევარში ჯერ სახლი გადახურა, მერე ვალი დაიდო, მანქანა იყიდა და მაკასთან მისასვლელი გზების ძებნა დაიწყო. თბილისში, გამოცდების დროს, დაიმკაცრა ბიჭი ლეჟავა, რომელიც თავისი უსაქმურობით და სიბრძოვით გულს ურევდა. დაიხლოვა მაკას სკოლის მეგობრები. ჯუმბერს უჭირდა ოჯახში ჩა-

კეტილი ქალის გზა-კვალის ცოდნა და შორიდან თვალთვალი; ადგა და თბილისში ჩავიდა; იანისის ლენინის ქარხანას მოულოდნელი რევიზია დაეცა, მაგრამ — არაფერი. თვე არ გასულა, ტყავაძემ ისევ ესტუმრა დედაქალაქს; იკადრეს და, დირექტორი სადღაც, დიდ ქარხანაში მოადგილედ გაამწესეს.

ახალმა უფროსმა — ტყავაძემ მალე მოახერხა დაემსახურებინა მუშებისა და რაიონის ხელმძღვანელობის პატივისცემა და სიყვარული. ბიჭი ლენინის ქარხანაში მოაწყო სამუშაოდ. მაკას ასავალდასავალიც უკვე ნაცნობი გახდა, მაგრამ... ქალი მშვენიერად გრძნობდა თავს ქმარ-შვილთან, ასწავლიდა სკოლაში, აიშენეს სახლი. ახლა დედამთილიც მაკასთან ცხოვრობდა, ქმარი რედაქციაში გადაიყვანეს... ყოველივე ეს, ტყავაძისთვის ბევრი ვერაფერი ნუგეში იყო. ოთხი თვის მანძილზე იანისში მაკა მხოლოდ ერთხელ ჩამოვიდა ისიც მეუღლესთან ერთად. ჯუმბერმა იცოდა რომ მაკა ამაყი, ოჯახისათვის თავდადებული, თავისიანების უსაზღვროდ მოყვარული ქალი იყო და სწორედ აქ უნდა გაწყვეტილიყო ჯაჭვი. ქმარს, როგორც განაგონი ჰქონდა, არც ჰკუთავა აკლდა და არც ვაჟკაცობა; შვილი შეიღია და, რა გინდა, რომ ჰქნას; მაკას ძმას და დედ-მამას ჯუმბერი თანამსახურით დაიხვევდა ხელზე, მაგრამ რაში შეეძლო მათი გამოყენება?... და ესეც გამოჩნდა.

ტყავაძეს დროსტარებისაკენ მაინც და მაინც გული არ მიუწევდა, მხოლოდ მაშინ სვამდა, როცა საჭირო იყო. მისი თანამშრომლის ძმის ქორწილში რომ დაპატიჟეს, იქნებ იქ მაკაც იყოსო და, დათანხმდა. ქორწილში, ვიღაც ნახევრად სულელმა და გიჟმა, თამადა — თავისი მკვიდრი ბიძაშვილი — დაჭრა, — ყანწი შესმული ჰქონდა და, როგორ მკადრე, არ დაგიღვევიაო. ატყდა ჩოჩქოლი და მითქმა-მოთქმა. დამნაშავე ვინააო და, ლიბრადეა, ვასასის დისშვილიო. ვასასი ნეფის გამზრდელი ბიცოლა იყო და იქვე, მეზობლად ცხოვრობდა. ტყავაძეს საიდანაც ვაახსენდა ამ ქალის სა-

ბელი. ამ სოფელში ადრე ჯუმბერის ბიძა იყო ჩასიძებელი...

დაჭრილი თამადა რომ გაიყვანეს, ვილცამ ჩაილაპარაკა: ჯაბა ღიბრაძეს არ დაიჭერენ, მისი ერთი ძმა მილიციის უფროსის მოადგილეა, ორი — თბილისში მუშაობს, საქმეს მოაკეთებენო. ის კი არა, ცოლისძმა რედაქციაში გადაუყვანიათ და მასაც დიდკაცობას უპირებენო. ერთ გამსულულ დედაკაცს სცოდნოდა, რომ ჯაბას ცოლისძმა არ ჰყავდა, მარგო ძნელაძე და გენო ნიჟარაძე ერთმანეთის დედაშვილებიაო.

— ნიჟარაძეო? — ეს ხმამალა წამოსცდა მაშინ ტყავაძეს.

ისიც ითქვა, მაგ ოხერ ღიბრაძის შიშით მის დას ვერაფერ დალაპარაკებიაო.

„აჰა, და ჰყოლია, ნეტავ ვინაა?“

ისიც აქაა, საოცრად ალალი და მიშნობი გოგო.

„ბიჭი ლეყავამ რომ სიყვარული აუხსნა, უარს ეტყვის?.. იცის, საცოლშიყოლია კაცი რომ არაა? კიდევ რომ იცოდეს... ქალები ასეთ ასაკში ამას არ დაგიდევენ. ვინც მის ჭალათ ძმას არ შეუშინდება, უთანავტობობს! და, რაკი უკრძალავენ, სხვაზე ადრე და იოლად შესცოლავს. მერე, თუ ლეყავა უარს იტყვის მის შეცდენილ ქალზე, ის გადარეული ღიბრაძე არაფრით არ დაზოგავს. ბიჭის მეგობარი ვინაა, ვინ დაეხმარება მკაცს, რომ სიყვდილს გადაუტრინოს დედმამიშვილი? — ვინ და, ჯუმბერ ტყავაძე! ჰო, ჯუმბერ ტყავაძე! თუ არა, ძმა დაიღუპება. მაკას დედ-მამის სიცოცხლე რა სიცოცხლე იქნება, თუ შვილი და მომავალი მოუსპეს. ძმა კი არა, ვინ იცის, სხვაც არ მიყაოლოს ზედ; ამ შეშლილისაგან უარესს ელოდე, დის გაბაზება ხომ ყანწის გამოცლა არაა!“

ჯუმბერი მაშინვე მანქანაში დაჯდა და დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანა. ექიმებს კარგ საჩუქარს დაპირდა, — ცოცხალი გადამირჩინეთო. დაკითხვაზე ღიბრაძის მხარი დაიჭირა. — შეურაცხყოფა მიყენესო.

ვასასი მუზობლად, სანამ ბიძა თბი-

ლისში გადასახლდებოდა. ჯუმბერი ერთი-ორჯერ მართლა იყო ნამყოფი, მაგრამ ახლა ეს ვილცას ახსოვდა. ეს არაფერი, მთავარი თურმე ის იყო, ვასასის ერთხელ პატარა ჯუმბერი ფათერაქს გადაურჩენია: ბეწვზე მიუსწრია და გადაფარებია, თორემ ბავშვი ცოფიანი ძაღლის წერა გახდებოდა. ვასასიმ გათხოვილი და გაუთხოვარი ქაღალელები გაიწყვიტა, თუ მსგავსი რამ მახსოვდესო. ტყავაძემ: დედობილი ხართ ჩემი, თქვენი გამომცხვარი ღადრიანი ქადის გემო ახლაც მახსოვს და ამ დღეებში უნდა გეწვიოთო.

ნეტავ თქვენისთანა პატრიცეპული კაცი ჩემს ნახელავს ინებებდეს და, მჭადი რას მიქვია, ხაჭაპური იყოსო, — ცას ეწია სიხარულით ვასასი.

ჯუმბერს, ალბათ, მეტად აღარ გაახსენდებოდა მისი „მხსნელი“ დედობილი და ვერ დაუფასებდა ამავს, რომ იმ დღეებში ჯაბა ღიბრაძე მილიციაში არ აღმოჩენილიყო და ვასასის ოჯახში ბიჭის და მერის ერთმანეთი არ ენახათ. მერე ყველაფერი საათივით აეწყო. შეხვედრა შეხვედრას გადაება. ტყავაძე „მალე თერებოდა ღვინით“ და „ზიარა“ მანქანით ღიბრაძის ქალს მართო ბიჭი მიაცილებდა. მერის, მადლობა დემეტრის, მაინცდამაინც დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია და მუცელიც მალე აჰყვა. ჯაბას პატიმრობა დიდხანს არ გაგრძელებულა და საქმე ძიებაშივე მოისპო. ის იყო, მერის კარგად დაეტყო ორსულობა, ამას სიმონის ავადმყოფობაც დაემთხვა და, ჩამოვიდა მაკა. ტყავაძემ მართლაც მიადწია იმას, რომ ლეყავას ქალმა იგი ვერ იცნო. მერე ისიც მოახერხა, რომ თავის მანქანაში ჩაიჩინა. ტელეფონის ნომერიც ასწავლა, სახლშიც დაარეკინა; მაგრამ მაკამ ყველაფერი ისე შეატრიალა, როგორც თვითონ სჭირდებოდა. მამაც გადააჩრინა, ძმაც, მერიც და წავიდა... ტყავაძეს ისღა რჩებოდა, დღეში გაეტოპა, ბეჭობზე აფორთხებულყო, მტირალა ტირიფს იქით ჯირკს დამზობოდა და შხამიანი ქიანჭველების ბუდე დაენგრია.

იგი დაღლილი იყო ამდენი ხნის ფიქრით და უძილო დამეებით, რომლებიც დღეს წყალში ჩაეყარა. არასოდეს არ ყოფილა ასე უიმედო და უსასო, არც მაშინ, როცა მკა ვათხოვდა, და

არც მაშინ, როცა შვილი შეეძინა ტყავაძე ახლაც თავდაღმა ეგდო შინდისფერ დივანზე, შუბლი სახელურზე ჰქონდა დაბჯენილი და ისევ ესია წითელი ჭიანჭველების ჯარი...

თავი მეოთხე

●

სალამოს, რაჟი მანქანაც იყო, მაკამ გადაწყვიტა იქაურობას გასცლოდა. აფორიაქდა, რალაც დღემდე უცნობი გრძნობა დაეუფლა, მოუნდა თავის სახლში ყოფილიყო და უკვე მთვრალ სტუმრებს ზრდილობისთვისაც კი აღარ ებატოებოდა.

დაიჩემა: მარგოს ბავშვები ჰყავს მისახელიო, მეც ოჯახი და სამსახური რა ხანია მიტოვებული მაქვს, ახლაც რომ არ წავიდე, არ შემოდლიაო — თამადა აღგიღზე იყო და ორიოდე გადამთვრალი კიდევ ებრძოდა თავს, როცა მაკამ დედამთილი, შვილი და მარგო მანქანაში ჩასვა, მერი გადაკოცნა და უთხრა: მამას შენი იმედით ვტოვებო და დამფრთხალი რძალი დაამშვიდა: ქალებს ბიჭისთანა კაცი კი დაუჭერიათ ხელშიო! თუმცა მაშინვე გრძნობდა, მერი ვერაფერი დამჭერი იქნებოდა.

ტყავაძესთან მაშინ მივიდა გამოსამშვიდობებლად, როცა მან სასმისი აიღო. მაკას არ უნდოდა ხელი ჩამოერთმია.

— ბიჭის, ალბათ, არც აწი მოაკლებთ ყურადღებას.

— სანამ ცოცხალი ვიქნები...

„საცოდავი, მთელი სიცოცხლე უნდა ვუხვარდე?“

— მე შორს ვიქნები ამთვან, თქვენ იცით, თუ ნამდვილ ძმობას გაუწევთ.

— მე იმედი მაქვს...

„ნეტავ, რისი იმედი აქვს?“

— კარგად იყავით!

„ახლა თავს ველარ შეიკავენს და მომაჩერდება, მალე უნდა გავიღე აქედან“.

მანქანა ჭიშკარს რომ გაცდა, გვერდით მჯდომმა მარგომ ჩაილაპარაკა: მადლობა ღმერთს, ვადავრჩით, ყოველ გასა-

ჭირს გადარჩა ლეჟავას ქალიო. მაკამ იფიქრა, აფიქარდი, ჯერ არ უნდა წამოვსულიყავიო და ამ ფიქრმა ისე შეაერთო, კინალამ დაეფწყა, რომ მამასთან უნდა გაველო და ორი სიტყვით ეთქვა, რაც მოხდა.

●

შინ სინათლე ენთო, გენო წინა ოთახში საწერ მაგიდას უჯდა.

„კარგი ჰქნა, რომ არ ჩამოვიდა, თავის საქმეზე იფიქროს,“ — უკვე უხაროდა მაკას. ახლა ყველაფერი ჩავლილად მიაჩნდა და რა საჭირო იყო, ქმარს სცოდნოდა, რომ გაუჭირდა და დაიბნა კიდევც...

გენომ უხალისოდ მოისმინა ბიჭის დაქორწინების ამბავი და ცოლს სიმამრზე ჰკითხა, მეორე ოპერაციას როდის გაუკეთებენო.

მარგომ პირდაპირ ცამდე აიყვანა მკა და გენოს სიყვარულით რამდენჯერმე წამოკრა: ჩემი ძმა ხარ, შენზე უკეთესი ვინ გამაჩნია, მაგრამ უღირსი ხარ, ისეთი ცოლი გყავს, ჩვენ, შენი ნათესავები, ფეხებს უნდა ებანდეთო.

გენომ ვერ შენიშნა, მკა ძალიან გაეხარებინოს ამ ქებას და გაუკვირდა.

— რა სალაპარაკოა, მარგო გენაცვალე, ძმისთვის ყველა კი ეცდება, შენ მითხარი, სხვისთვის რას ვაკეთებთ.

— აბა, რა პატივი გეცა იმ ოჯახაშენებულმა, — მოიგონა მარგომ „სხვა“ ტყავაძის დახმარება და მაკამ ენაზე იკბინა, ეს რა მომივიდა, მე თვითონ როგორ გავახსენეო. ამის დაფარვას არც აპირებდა, მაგრამ ახლა, ამდენი ხნის უნახავი ქმრისთვის პირში იმის მიხლა, რომ ქარხნის დირექტორმა ბიჭისთვის

თავი გადადო, არ უნდოდა. ამას გენო მარგოსავეთ გულუბრყვილოდ არ შეხედავდა.

გენო, ალბათ, მაშინვე მიხვდა, ვის ემადლიერებოდა მისი დეიდაშვილი მარგო ისე ბედნიერი და კმაყოფილი იყო, — მარტო ტყავაძე კი არა, სუფრის სხვა წევრებიც გაიხსენა და გენოს შეევედრა: აბა, შენ იცი, რადგან ახლა ვერ დაესწარი, რომ ჩახვალ, ყველას მადლოება უთხარი, დააფასე, საქმე კარგ ხალხთან ვქონიაო.

მაკა იმ ღამით, მისდა გასაკვირად, ქმართან გულგრილი იყო.

ღილით გენო უკვე სამსახურში იქნებოდა, როცა მაკამ შაბათს გამოგზავნილი თავისი დეპეშა მიიღო. გენოს, ალბათ, ესამოგნა კიდევ, რომ არ დაუძახეს და ამ დავიდარაბას გადაარჩინეს. ტყავაძეზე არაფერი უთქვამს. მარგო რომ წავიდა, მაკამაც ორიოდე სიტყვით ახსენა ის ქარხნის დირექტორი და საერთოდ, ყველას მიმართ, მადლიერება გამოხატა.

გენო უთუოდ გრძნობდა, რომ ტყავაძე ბიჭით არ იყო მოხიბლული, მაგრამ ცოლს ბრალს ვერ დასდებდა. მაკას კი იმის დარღი ჩამოჰყვა, რომ ჭუმბერს ვერ გაუქარწყლა იმედი. მისგან დავალებული დარჩა. ეცადა, თავი შორს დაეჭირა და მაინც დაიხსლოვა. ახლა არც გაუქვირდებოდა, ამ დილით, სამსახურში მიმავალი, გზაში რომ გადაჰყროდა.

თერთმეტ საათზე ქალი ეზოდან ვადმოვიდა, ქუჩა მოათვალიერა და, როცა დარწმუნდა, გარდა ერთი ყვარჩნიანი მოხუცისა, არავინ ჩანდა, გზას დაადგა.

„არა, აქ როგორ გაბედავს, — დაიძვინა თავი, — იქ კი მარტო არასოდეს არ წავალ...“

შაბათს, ნაშუადღევს, როცა მარგო ქმრით, მახლებით, დედამთილით და საბანში გაკრული ორი ტყუპი ქალიშვილით კარზე მოადგა, გენო ჰესის მშენებლობიდან დაბრუნებული არ იყო.

მაკამ ყველა შინ მიიწვია. მალე გენოც მოვიდა და ყველანი ერთად იანისში წავიდნენ.

ბიჭი წინა ღამით ისევე არ ყოფილიყო შინ; მადლობა ღმერთს, ახლა სახლში დახვდათ. ვითომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მაგრამ ღვინოში ჯაბამ და ბიჭიმ მაინც წაიკინკლავეს. ღიბრამდე როგორღაც მაკას ხათრი დაიდო და აღარ დალია, მერე ბიჭი მეორე ძმას, მილიციის კაპიტანს აღზირდა: ეს ფორმა გაიძვრენუ გვაშინებო.

გენომ ეს ხუმრობაში გადაიტანა. საქმე დამთავრებულა, დამსჯელი ორგანოები ახლა, ვინც ღვინოს იპარავს, მათთვის გვეჭირდებო. გაიციენს, მაგრამ კაპიტანი მაინც ნაწყენი დარჩა. სუფრას იმ დილით თბილისიდან ჩამოსულმა ჯაბას უფროსმა ძმამ უშველა. იმდენი ანგელოტი მოჰყვა, და ისე არტისტულად, ბოლოს მილიციელმაც გაიღიმა. დილით კი ჯაბამ დაიქინა: ყველანი ახლაც ჩემსას უნდა წავიდეთო. მე დის ამნაირი გათხოვება რად მინდა, მტერი მყავს და მოყვარე, მარტო მე და ჩემი ძმები კი არა ვართ, ქვეყანა გვიცნობსო.

ბიჭიმ თქვა: მე დღეს ამხანაგები მომიდის, აქედან ფეხის მომცვლეელი არა ვარ, ასე თუ გინდოდათ, შემოგეთვალათ, ჩვენ ჩამოვიდოდითო.

ბიჭი მართალი იყო. მარგო და მისი დედამთილი აგერ იყვნენ და, აქედან რომ ჩავიდოდნენ, საქორწილო პურ-მარხის გამზადება როდისღა მოესწროთ.

— მე შენთვის არ მიკითხავს, — ხელი აუქნია ჯაბამ, — სახლში თუ შეგიშვა, უარზე ხარ?!

ეს წალაპარაკება რომ მოხდა, მაკა პალატში იყო. შეშინებულმა მარგომ ჩამორბინა, სული არ ჩამოჰყოლია.

მაკა რომ მადლა ავიდა და ბიჭის მივარდა, ჯაბა ფეხზე იდგა. ცოლმა წყენით შეხედა გენოს. ქმარმა ხელები გაშალა და ქილიკად გაიღიმა: ამ ხალხთან რას გახდებო.

მაკა გვერდით დაუჯდა ღიბრაძეს, ლაპარაკში შეიყოლია და ვითომ ისევ ჩააქრო ცეცხლი. მაგრამ საუბრეზე, კონიაკის მერე, როგორც კი ორი ჭიქა ღვინო დალიეს, ღიბრაძე აწრიალდა, მოთმინების ძაფი გაუწყდა. გენომაც, მეგლი და ძაღლი ერთად არ ივარგებსო, წასვლა გადაწყვიტა; ჯაბას გავიყოლიებ, არც კაპიტანის დარჩენა ივარგებს, ორი ძმა და ქალები დარჩით და საღამოს წამოღითო.

მაკა წუთი-წუთზე ელოდა ტყავაძის გამოჩენას და ქმარს უარი უთხრა, ნუ მიგვატოვებო.

გენომ თავი გაიქნია:

— მაინცდამაინც კინდა ერთმანეთს წაპკიდო?

ქალი, რაკი ქმრის წასვლას ყველაფერი ერჩია, გაეხუმრა:

— ვაყვაცი მყავხარ, მგონია, და ამ კატუნებმა როგორ შეგაშინეს.

გენოს ეწყინა: „ისე მელაპარაკება, თითქოს მისი ძმისთანა ვიყო, რომ ასეთი იაფფასიანი შექებით დამიყოლიოს. დავრჩე, ბიჭის ინტერესები დავიცვა და ღიბრაძეები გადავიცილო? დედამიწვილი ვის არ უყვარს, მაგრამ ასე ზედგადაყოლა არ გამოივა. ძმა მეც მყავს. ერთხელ მაწყენინა და მას აქეთ წარბი არ გამიმართავს“.

გენო აშკარად გრძნობდა, რომ ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო აყალ-მაყალი. ვინ იცის, რა მოხდებოდა. ისედაც არ იყო ამ ოჯახის ხშირი სტუმარი და შეიძლება ფეხი სამუდამოდ ამოეკვეთა. ეს კი მაკას დაწყევტდა გულს. წასვლა არჩია, წინდამინდელ ნამთვრალევი ისედაც უხალისოდ იყო, თანაც დილით უთენია უნდა მისულიყო სამსახურში, მერე კი ჰესის მშენებლობაზე მთავარი ინჟინერისთვის უნდა მიესწრო.

— რაკი არ იშლი, მაშინ მეც თან წამიყვანე.

გენოს ისევ ხუმრობა ეგონა, მაკა ახლა აქაურობას როგორ მიატოვებსო, და გაკვირვებულმა უპასუხა:

— ველარ გცნობ.

— ვიცი, აქ უჩემობა არ შეიძლება. მაგრამ უნდა წამიყვანო!

გენოს გაეცინა.

— თუ წამოსვლა გინდა...

„ეპვი ეპარება, რომ გულწრფელი ვარ.“ ეწყინა ქალს და ოთახში გავიდა, სადაც მარგო ტუტებს შორის იდგა და ნამგზავრ, ძილგატეხილ დედათილს ისევ ქორწილის ამბავს უყვებოდა. სუფრიდან ხამამალაი შელაპარაკება მოისმა, მაგრამ მაკას ყური არ დაუგდია. მაღე სუფრა აიშალა. ჯაბა გულში მჭილს ირტყამდა და, როცა გარეთ გადიოდა, მილიციის უფროსის მოადგილე უკვე მანქანაში იჯდა მძღოლის გვერდით.

გენო, რა თქმა უნდა, ნასიამოვნებიც იქნებოდა, თუ მაკა თან წაჰყვებოდა. მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. სიმონი უნდა გამოეყვანათ საავადმყოფოდან, — მერი არც კი იცნობდა მამამთილს. გენოსა და ორი ძმა ღიბრაძის გარდა, ყველანი აქ რჩებოდნენ, და მაკაც რომ გზას გადგომოდა, ბიჭის გინებისათვის ესმინათ?

იქნებ ტყავაძე არც კი მოსულიყო და წინდაწინ რატომ უნდა დაეთხარა თვალბედი...



ჯუმბერს წინა დღით დაურეკა ვარდომ და „სხვათა შორის“ უთხრა: ღიბრაძეები მაქეთ წამოსვლას აპირებენო. ეს ჯუმბერმა ისედაც იცოდა; ამ შაბათ-კვირაზე არ შეიძლებოდა ძმებს არ ჩამოეკითხათ და დის ამბავი არ გაეგოთ. ტყავაძეს ქარხანაში თბილისიდან სტუმრები ჰყავდა. მათ დახვედრას და გაცივლებას სხვას ვერ ანდობდა. ასეთ დროს მარტო ჩამოსულები არაა საბატეციემულო. რაიონშიც ბევრი ვინმეა ისეთი, რომ გაივოს — ღვინის ქარხნის ღირექტორს სტუმარი ჰყავდა და ჩვენ „მასპინძლობა“ არ გავუწიეთო, გულში ჩაანდებათ. წამსვლელები გვიან გააცივლეს. ნაშუალამეც ლეჩავებთან მისვლა არ შეიძლებოდა, მაგრამ ის აქეთ ეგულებოდა. იცოდა, ვერ მოისვენებდა და

ისწვ სუფრას დაუბრუნდა. გათენებისას მანქანა ჰიშკართან დატოვა, — არ ჰქონდა იმედი, რომ გარაჟში უსიფათოდ შეიყვანდა.

ოთახში სინათლე არ აუნთია და არც დაწოლილა. სკამი ფანჯარასთან მიიდგა, იდაყვებით რაფაზე დაეყრდნო და გარეთ სიბნელეს მიაჩერდა. სინათლე მესამე მეზობლის აივანში ენთო. — მაშინ გამოაჭყიტებდა ხის ფოთლებიდან, თუ ქვენა ქარი დაუბერავდა. შორეული და მბუქტავი ვარსკვლავები ცის კიდურზე კიაფობდნენ და ტყავადის თვალეზში მოეკითალო, მკრთალ ხაზებად ჩანდნენ.

— მთვრალი რომ არ ვიყო, წავიდოდი, მაგრამ მთვრალი ვარ და არსადაც არ წავალ. მე ხომ ვიცი, რომ არ წავალ. — ამბობდა თავისთვის. მის სიმთვრალეს ფხიზლად ახლდა ეს გადაწყვეტილება: — ჭეიფის მერე ყოველთვის შინ მიდი, რომ სიფხიზლეში წინ არაფერი დაგვდეს. ღვინის ქარხნის დირექტორი ხარ, შენს პირში სასმელს სხვა სუნი უდის...

განთიადისას, ასე სკამზე მჯდომარეს, ჩაუძინა. მზე დიდი ხნის ამოსული იქნებოდა, როცა თვალი გაახილა. მაშინვე წამოდგა. „გარგი უქნია დედაჩემს, რომ არ გავუღვიძებდივარო.“ გაიარ-გამოიარა. ჭერ კიდევ გაბრუნებული იყო.

„ათი საათიც არაა, ადრეა...“

საწოლზე გაუხდელად მიწვა და ქერს მიაჩერდა. ფიქრობდა ბუნდოვნად, დაულაგებლად... მერე თანდათან მოიკრიბა აზრი.

„არაფერი გამიკეთებია... ისეთი არაფერი გამიკეთებია... ერთი გაპირებულნი მეღვინე ვარ და მეტი არაფერი. ეს — მე მიკვირს და დედაჩემს, — რაკი, რკინიგზაზე რემონტის დროს უროს რტყმევით, ხელები დააბედებული მქონდა და, მთელი დღე მზუზე ნაგდებს, ტვინი — გამოშვრალი. იმანაც ვერ მიცნო, ჩემგან ესეც გაუევირდა, არ ელოდა. რაც აქედან წავიდა, ერთხელაც არ გავხსენებვიარ... რატომ გავჩნდი ასე უბედური... რამდენი წელიწადია არც ერთ წუთს მის გარდა სხვაზე არ მიფიქრია

და ერთხელ მაინც ეკითხა, ცოცხალი ვიყავი თუ მკვდარი... გეგო, ცოცხალი ვიყავი თუ მკვდარი...“

„ნეტავ რისი იმედი მქონდა? თუ ის დაივიწყებდა სკოლისდროინდელ ჭმბერს, რომელიც დასანახავად სძულდა, რატომ შეიყვარებდა ახლანდელ ტყავაძეს? სხვა მე რა გავაყეთე მისთვის? მისი ძმა უბედურებას კინალამ გადავიკიდე, იმის იმედით, რომ იგი ჩემთან იძულებით მოვიდოდა და დახმარებას მთხოვდა. პო, მინდოდა, მას დავპირებოდი და ცადა ვეცნე. ამისთვის არაფერს არ მოვერბდე. იგი მიმიხვდა, მოვიდა და სინდისში ჩამხედა. სხვაგვარად ვერ მოვავიწყე ჩემი თავი. მე ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი, მაგრამ სხვა გზით ვერ ვაფიქრე ჩემზე. თუ სულ უნდა დამივიწყოს, მირჩევნია ვძულდე და მწყველიდეს, კრულვით ასხენებდეს ჩემს სახელს, მაგრამ — ახსენებდეს.“

„რაკი გავჩნდი, მეც უნდა ვიცხოვრო, მეც ჩემი წილი მინდა, — ეუბნებოდა ტყავაძე ვიდაცას. არა, მაკას არა, ვიდაცას. — მე მას არაფერს არ ვემართლები, არ ვართმევ ცხოვრებას. ჩემსას მოვითხოვ და მომიკეს, ვინც გამაჩინა. იგი ჩემი წილხვედრი იყო და წამართვის, ჩამოირიგეს და ახლა ყველასია: ვისი — შეილი, ვისი — და, ვისი... დედა, მეგობარი და ამხანაგი... გეყუთ! რას მერჩით, დამიბრუნეთ მე ჩემი ქვეყანა, რომელიც წამართვით, წამართვით მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ოდასახლი დაფხვილი იყო და თავზე მაწვიმდა და მათოვდა. წამართვით იმიტომ, რომ მამა სადღაც კარპატებში ჩაკლეს და უბერანგოდ დავრჩი; რომ დედაჩემი — ნამღვდელეთის შეილი, უსაქმური, მეზობლებში გადამდნარი ქალია და ერთადერთი ბლუზის დამკერებელი და გამრეცხი არავინ მყავდა; რომ გზაბნეული, მუნჯი, უენო ვიყავი და მიყვარდა სიცოცხლე. მე ვაგე ამ „დანაშაულისათვის“ ჰასუხი და მოვიხადე სასჯელი... ახლა მე მაქვს სახელი და კარი, საქმე და სამსახური, მაქვს ახალი კოსტუმები და მანქანა. მე შემოდლია ვილაპარაკო, წავიკითხო და... მო-

მეცით სახელი და ვვარბი, მომეცით ჩემი წილი ქვეყანა...

...ახლა მისი ქმარია იქ და მე არ უნდა მივიღე, იმიტომ, რომ იგი ჩემია და მას ეკუთვნის.“

— მე მივალ იქ! — ჩაილაპარაკა ტყავაძემ გაღწეული და გარეთ გამოვიდა, — მე ვისწავლე მოთმინება, მაგრამ მთელი სიცოცხლით კი არა, შევიძლებული თავი, მაგრამ არა სამუდამოდ... პო, ვინმეს უნდა გავუარო და თან წავიყვანო, რომ იფიქრონ, ბიჭის მეგობრები მოვიდნენო.

„ჯანდაბას, ოღონდ ყველაფერი ამით დამთავრდეს, ოღონდ ეს საღამო იყოს უკანასკნელი. მიყუროს, რამდენიც უნდა, იმდენი მიყუროს, — მაკამ ერთხელ თვალიც კი გაუსწორა ტყავაძეს. — იმდენი ჰქნა, რომ ჩემს წინ დაჯდა... გამოვიცვალ ადგილი? მერე, იქაც რომ გადმოვიდეს? ახლა ყველას ჰგონია, იგი ჩემს პირისპირ შემთხვევით მოხვდა, ანდა არავის არაფერი უფიქრია. ცოტა კიდევ და, წავალ, ოთახში ჩავიკეტები, დავისვენებ. ხვალამდე უნდა დავრჩე. მამა უნდა გამოვიყვანო საავადმყოფოდან; უჩემოდ რა ჰქნას მერიმ... მე თუ არ შევახვედრე ერთმანეთს, საწყალ გოგოს გული გაუსკდება. მამას უნდა ვუთხრა, რომ პატრონი გაუჩნდა. სწორედ მერია ისეთი, ჩემს მაგივრობას რომ გაუწყვეს. სანამ მამა იცოცხლებს, არც მერი იქნება უნუგეშო. მე, რაც შემიძლია, ყველასთვის კარგი მინდა. რა ვუყოთ, თუ ქვეყანაზე ხელი არ მიმიწვდება, ჩემიანებიც ხომ ქვეყნის შვილებია. არა, არც ტყავაძეა გადამთიელი, თუმცა რას ქვია გადამთიელი, აღამიანი — აღამიანიცა, მაგრამ რა შემიძლია. კარგი, ვთქვათ, ნიცი, რომ ვუყვარვარ, მერე რა უნდა, ამით რა შეიცვლება? ასე მაინც ნუ მიცქერის... არავინ დაინახოს... გენო მაინც არ წასულიყო... თუ ასე მიყურა, გადავჯდები, ან სულ წავალ. მე აქ ამის მეტად ფეხის დამდგმელი არა ვარ... თუ ათასში ერთხელ მაინც ჩამოვალ მამაჩემს

მის სანახავად, ჩამოვალ ერთი-ორი საათით, გენოსთან ერთად.“

მერის უფროსი ძმა, ბაგრატი, თევზაობის ამბავს ყვებოდა. თავის პარფესორს წაეყვანა თბილისის მახლობელ რომელიღაც ნაკრძალში, სადაც ხობხები ქათმებივით ყოლიათ ტყეში. ბაგრატი, როგორც კი რაიმეს იტყოდა, ყველა სმენად იყო გადაქცეული. უკვე მის ჩვეულებრივ ნათქვამშიც პოულობდნენ სახუმაროს და სასაცილოს. მაინცდამაინც ტყავაძეს შეეკრა კრიჭა. ზოგჯერ მართლაც მოსწრებულ და ენაკვიმატ მონაცოლზე უბრალოდ შუბლი არ ვახსნიან...

„იქნებ სიცილი არც კი იცის, ამ ჩემი ცოდვით საესემ. რა ღმერთი გაუწყრა, სიმღერასაც არ აპყვა. შეიძლება ვერ მღეროდეს აღამიანი, მაგრამ არ შეიძლება არ იცინოდეს. თუ სადღეგრძელო ითქვა, მაშინვე ფეხზე დგას, ამბობს ორ სიტყვას და სასმისს სასმისზე ცლის...“

„თავს მაცოდებს... მე რომ ვინმე მყვარებოდა და მასთან სიახლოვე არ მღირსებოდა, რაც არ უნდა გამჭირვებოდა, არასდროს ვაგრძნობინებდი, რომ უიმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია...“

სუფრაზე გაიცინეს. მკა მისხდა, ღიბრამეს ჯერ არ დაემთავრებინა მოყოლა, ეს სიცილი მოკლე იყო, ისე— ვზადავზა ჩართული.

„არ იგრძნოს, რომ მასზე ვფიქრობ. თვითონ თუ არ უნდა, ყურს ნუ დაუჯდება, თავისი საქმეა, რაკი მისთვის ჩემს მეტი არავინაა ამ ქვეყნად; მე კი უნდა მოვეუსმინო ღიბრამეს, მე ყველაფერი მაინტერესებს, გარდა ტყავაძისა.“

— პროფესორი ისე დამშვიდებული მიადგა ნაკრძალს, თითქოს მამამისს მემკვიდრეობად დაეტოვებინოს, — ყვებოდა ღიბრამე, თან ხელში ჩანგალი შემართული თოფივით ეჭირა. ისე ირწყოდა, თავსაც ისე არხვედა, როგორც ხნიერმა კაცმა იცის უსწორმასწორო გზაზე გავლისას. — და უეცრად იგრილა... არა, უკაცრავად, ჯერ იწვილა, მერე იგრილა ზედიზედ. გავშეშდი, — ღიბრამემ თვალები იმნაირად გადაატ-

რიალა, თითქოს ეს-ესა ტყვიამ გაუ-
რაო, — მე ფრონტზე ნამყოფი კაცი არა
ვარ, მაგრამ ვიცი: შეიძლება დაიჭრე და
იმ წუთში ვერც იგონო.

— პროფესორო, დაგვბოცეს, — ვკვირ,
რომ დავრწმუნდე, ხმა მაქვს და ჩემი
სული ჭერ არ გაყრია სხეთს, — აგვა-
წვიინეს ხელები და გაგვირეკეს წინ...

— კი, მაგრამ ის მცველი სადაა, ვისი
ქალიშვილიც უნივერსიტეტში იყო მო-
საწყობი... — ჩაეეთხა ბიჭი (იგი ამ ცო-
ლისძმას უკვე კარგი თვალით უყუ-
რებდა).

— უფროსი მცველია, სწორედ იმას-
თან მივყევართ.

— პროფესორს არ გაუჭირდებოდა
იმ კაცთან საქმის მოგვარება.

— მეც ასე მეგონა... ნაკრძალის ფარ-
თობი თოფქვეშ გადაგვატარეს...

— ვერ ნახეთ დაცვის უფროსი, თუ...
— როგორ არა.

— რა, ქალიშვილი გაუთხოვებია?
— არა, უკვე მოუწყვია.

— ჩაურთხავთ?
— აბა, კაცო, ჩემს პროფესორს ჰგო-
ნებია, ძველებურად შეეძლო ნადირობა-
ბატონო პროკლე, გეცლიათ წრეულო-
ბით, დაესვენა ბავშვს და მომავალი
წლისთვის მიგელოთ — მეთქი.

სუფრაზე გაიციინეს.
„რაა ასე ჩაცეება. არ ვუნახივარ რამ-
დენი წელიწადია, მაგრამ არ მომკვდა-
რა... ისე, დოდოს მაინც არ უნდა ექნა
ეს. შენი მეგობარი რომ უყვარს, იმ კა-
ცის გაყოლა არ უნდა მოინდომო... ახ-
ლა რომ შემხვდეს, ნეტავ რას იფიქ-
რებს... რატომ არ ითხოვა „კალმით ნა-
ხატი“ ექიმი ქალი, თუკი მაგისტრის
გაყვებოდა... ღმერთო ჩემო, რა აგი-
ყებთ, რა ნახეს ამ კაცში გასაგიყებე-
ლი... არა, არა, მეტს აღარ მივიხედავ
მისკენ... უკვე შემწიწნი, რომ ვუტყუ-
რი. ვითომ არც მახსოვს, რომ აქაა... მაგ-
რამ, ღმერთო, რა უსასოო სახე აქვს...
ასე რომ ვყვარებოდი, აქამდე ვერ მო-
აღწევდა... ავღგები და წავალ, ოთახში
წამოვწეები, ძალიან დაღლილი ვარ. არც

მაგის დანახვა შემიძლია, ასე მგონია,
ჩემთვის თავს მოიკლავს. რა სულელები
ვართ ქალები, მამაკაცთან მაინც დაზაგ-
რულად ვართ და გვინდა ისინი ჩვენთ-
ვის თავს იკლავდნენ, გვამერთებდნენ
და, ზოგჯერ, თუ მოჩვენებითად მოიწ-
ყინეს, გვეცოდებინან. არა, უტკულობით არ
მოგვდის, გვინდა ასე იყოს და ვიჭე-
რებთ. სულ გამოვეთიშე სუფრას... რა
ხლებზე? ამბერკი ღიბრაძე შემოვიდა და
თავის ადგილას კუთხეში დაჯდა. მე მი-
სი წასვლაც არ გამიგია. გუშინს აქეთ
ორი სიტყვაც არ გამიგონია მისგან. რა
წყნარი კაცია. ვერაფერ იტყვის, ჯაბას
ახლობელიაო, ისე, როგორც მე არ მაგავს
ჩემი ძმა... ქალები სცოდნენ, თუ მართ-
ლა ასე განსხვავდებიან დედამამშვილე-
ბი ერთმანეთისაგან?.. — რა სისულე-
ლები მიტრიალებს თავში, ავღგები და
გავალ. მარტო მე კი არა, ყველა დაღ-
ლილია. კაცები, სანამ ენა არ წაერთმე-
ვათ, დაიშლებიან? ტყავაძეს თითქოს
წვეთიც არ დაელიოს. რა მომდის, —
ისევ მისკენ ვიხედები. ავღგები. კი, ავღ-
გები. გარეთ მოსალამოვდა. გავალ, წა-
მოვწეები ჩემთვის და, თუ არ დამეძინა
რაიმეს წავიკითხავ. აქ რაც წიგნებია,
სულ წავიკითხული მაქვს. რომელიმეს შე-
ვარჩევ და ისევ გადავხედავ. უფროსი
ძმა ღიბრაძე კიდევ ყვება რალაცას. მე-
ტისმეტი ჰყვარებია — უკვე აღარც კი
ეციენებათ. ყველას აქვს ნაკლი... დღეს
ტყავაძეს მართლა არ სჭირს კარგი, იქ-
ნებ ავადაა. რა იცი. საწყალი, ნაწვალე-
ბი ბიჭია. რა გაჭირვებული იყო... მის
ხაკისფერ ბლუზას არც თეთრი ძაფი
უღებოდა, არც შავი. რას ერჩი, იწვა-
ლა, იწვალა და თავისას მიადწია. მიად-
წია? ჰო, კაცს დაემგანა. სხვა რა უნ-
დოდა. ნეტავ, ნიკაპს ქვევით თუ აწინა,
წითლად რომ ჰქონდა აქერცლილი. რა
ადგილას იყო? შევხედავ და წავალ...
მაინც, რას ვუზივარ აქ მსმელი კაცი-
ვით, რატომ არ მივდივარ, ახლავე წა-
ვალ. — მაკამ სკამი უკან დასწია და
სუფრა მოათვალიერა. — ჰო, შევხედავ,
თუ აწინა... ნიკაპზე, მარცხნივ, ქვევით...
რა უნდა, რას მანიშნებს?“

— ვიჯდე? — ამოილაპარაკა მაკამ და მბრები აიჩეჩა.

„არაგინ დამინახოს, რომ მელაპარაკება“.

ყველა ღიბრაძეს უსმენდა, თითქოს გაბეზრებულნი, მაგრამ მაინც უსმენდნენ.

— ნუ აღვებით, იჯექით.

მაკამ წარბები მოწკურა, გაიღიმა და ადგომისას ჩაილაპარაკა:

— ვითომ რატომ?

— იჯექით, — გაიმეორა ტყავაძემ ქალის გასაგონად, — არაფერი არ დავიშავდებათ, რომ იჯდეთ.

— თუ არ მინდა? —

— მაშინ წადით, მაგრამ ნუ დაავგიანებთ, მალე მოდით.

მაკამ თავი გაიქნია, „არაო“, ორიოდ გამოცვლილი თეფში ერთმანეთზე შედგა, რომ წასვლისას გაეძღვანებია.

— აუცილებლად მოდით!

მაკა წინ გადაიხარა. ტყავაძის ახლოს ღვინის ხელადა აიღო.

— უნდა მოხვიდეთ.

— მე რაც არ მინდოდა, არასოდეს არ გამიკეთებია.

— მოდით!

— თუ არ მოვალ?!

„ღმერთო ჩემო, როგორ ველაპარაკები, ხომ არ დავმთვრალვარ“, — ხელადა წინ დაიდგა და ტყავაძეს შეხედა.

— მოხვალთ, — დაჩერებულად გაიმეორა ჯუმბერმა.

მაკამ შუბლი შეიკრა. „შემატყო, რომ მასზე ვფიქრობდი და შემეცოდა... მაგრამ თუ მიხვდა, როგორ გამიბედა... არ ვაპატიებ“.

— არ მოვალ!

— მოდით, — ახლა უფრო ხვეწნას ჰგავდა მისი ნათქვამი.

— რომ არ მოვიდე?

— ინანებ.

— მე?! — მაკამ იგრძნო, რომ ქვედა ტუჩი აუტაცახდა სიბრაზისაგან. „მე-მუქრება?“

— სანამ აქ იქნები, არ მოვალ, მაგრამ იცოდე — დღეიდან აქ ფეხს ვერ დადგამ!

— ინანებ!

— მე? — ისევ წაცდა მაკას, ხელადა აიღო, წასასვლელად მოტრიალდა, მაგრამ რაკი აღარ აპირებდა სუფრასთან დაბრუნებას, და, საერთოდ, არ ფიქრობდა ოდესმე შეხვედროდა ტყავაძეს, სახე მისკენ მიაბრუნა და ჩაილაპარაკა:

— არასოდეს არ მოინდომო ჩემი ნახვა.

— შეუძლებელია.

— გზაში ხომ არ მიპირებ დახვედრას? — მაშინვე მიხვდა, ეს არ უნდა ეთქვა, მაგრამ დიდად არც კი სწყენია, რაკი ამით მწვავედ აგრძნობინა, რომ მისთვის წარსულიც არ უპატივბია.

ვილაკამ გაიცინა. მაკას იქით არც მიუხედავს, აჩქარდა და სუფრას გაეცალა...



უთენია მოვიდნენ ბიჭისთან ქარხნის ინჟინერი და სამჭროს უფროსი. მაკა და დედამისი ერთად იწვნენ უკანა ოთახში. ეზოდან ბიჭის ყვირილი მოესმათ. მერე რაღაც ჩოჩქოლი და ხმაშალალი ლაპარაკი შეჰქნეს.

ბიჭი მალე შემობრუნდა და აივანზე ჩქარი ნაბიჯებით, ხმაურით გაიარა. მაკას შეეშინდა, ბავშვს გამიღვიძებს ეს გადარეული.

— რა მოხდა, გენაცვალე? — გაისმა შემფოთებულები მერის ხმა.

„ნეტავ რა ამბავია?“ — მაკა წამოიწია და სმენად იქცა, რათა ძმის პასუხი გაეგონა. ბიჭი შარვალს იცმევდა, სიჩქარეში წონასწორობას ვერ იცავდა და ტოტში გაყრილ ფეხს იატაკზე ცემდა.

— ტყავაძეს თავი მოუტყავს.

— ბიჭი, რას ამბობ?!

— ტყვია უკრავს.

მაკას თავი ბალიშზე დაუფარდა. ძმის წასვლამდე არაფერი არ უფიქრია. ეს-მოდა მისი უთავბოლო ხრიკინი, სანამ პერი არ ადგა და არ მიეშველა.

— რაო, გოგო? — იკითხა საწოლზე წამოამჯდარი ოლღამ, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ბიჭიმ სხვა თქვა და მან სხვა გაიგონა.

მაკამ გუნებამი უპასუხა.
 „ტყავაძეს თავი მოუტლავს, რომ მე ვინანო“.

— მაკა, გოგო, არ გეყურება?
 მაკას ხმა არ გაუღია.

ოღლა პერანგისამარა წამოვარდა და შუაქარებს ფეხშიშველი მიაღდა.

— ბიჭი, შვილო!
 — რა გინდა!
 — მართალია, თუ...
 — არა, ვიხუმრე...

— უხუმრია, — ჩაილაპარაკა მაკამ, თუმცა კარგად გაიგონა, როგორი ღრუნით თქვა ბიჭიმ „არა, ვიხუმრე.“

— დედა! — შეიცხადა ოღლამ, — მანქანას გადაადგებდა, მთვრალი იყო... დიდუფ, დაგვედო კაცის ცოდვა... დავიღუპეთ, დავიღუპეთ...

— გაჩუმდი! — იღრიალა ბიჭიმ და აივანში ისევ მოისმა მისი ფეხის ხმა.

„მანქანით გადავარდნილა, ალბათ, მე რომ წამოვედი, მერე ბევრი დალია.“ მაკა ისე ფიქრობდა ამ ამბავზე, როგორც მატარებელში ყურმოკრულზე.

„ნიუ-იორკში რამდენი კაცი იღუპებო ავარიით ყოველდღე? სულ ახლახან წავიკითხე საღლაც...“

ოღლა ისევ უკან მიაწყდა და კაბას დაუწყეო ძებნა.

„ვერ ხედავს? საფერხელისაკენ, საწოლის თავზე უკიდია. რა უთავებოლო ქალია დედაჩემი.“

მერი შემოსულიყო და შუა ოთახში იდგა დაბნეული და გაფითრებული.

— მაკა! — თქვა ბოლოს კანკალით.
 — რატომ ადექი ასე ადრე? — ჰკითხა მაკამ, ნელ-ნელა წამოიშარათა და ხელახლა გაიგონა ბიჭის მაშინდელი ნათქვამი:

— ტყავაძეს თავი მოუტლავს? — ვინ იცის, ვის ჰკითხა — მერის, ოღლას თუ თავის თავს და ლოგინიდან წამოვარდა. არავის არ უპასუხია.

— ვინ ტყავაძეს? ტყავაძეები არიან კიდევ ამ ახლო-მახლო?

— არ ვიცი, მე რა ვიცი, მაკა! — მერის ცრემლით ჰქონდა სავე ფართოდ-ვახელილი თვალები.

— დედაჩემო!
 — ტყავაძეები? ტყავაძეა აბა ვინა ბიჭის უფროსი...

— არა, სხვა ტყავაძე თუ ცხოვრობს ჩვენს სოფელში?

— ბიჭის რომ მოაკითხეს... — მოაგონდა მერის და უკან დაიწია, კარები-საკენ წასულ მაკას გზა მისცა.

— რატომ? — თქვა მაკამ და წინა ოთახში გავიდა, ჭიშკარს გახედა, — რატომ? — გაიმეორა და უკან გამობრუნდა. — რატომ მოიკლო?

— არ უთქვამს.
 — დაგვედო კაცის ცოდვა, — ოღლა წინდების წვივსაკარავებს ინასკვავდა და მოთქვამდა, — მთვრალი წვაიდაა...

— ავარიაა? — თვალბში ჩახედა მერის მაკამ.

— არა, თავი მოუტლავს.

— რატომ?

— არ ვიცი, შენი ჭირიმე.

— ვისთვის... ღმერთო, რატომ...

— დაიწვა ჩემი ბედი, — ატირდა მერი.

— შენი რატომ?

— ჩემს გამო იყო ამდენი სტუმრია-ნობა.

— არა, — მაკამ კაბა გადაიკვა, — არა, შენ წადი, რამე მოიხურე, აძივი-გებული ხარ.

— წავალ, — გატირალდა მერი.

— ბიჭი სად წაიყვანეს?

— რომ არ ვიცი...

— დედაჩემო, მაგ თავსაფარი გამო-იცვალე, გადადი მეზობლებში და გაი-გე, რას ამბობენ...

— მე რა ვქნა? — თქვა, როცა ოღლა გავიდა და საწოლზე ჩამოჯდა. გოჩას ისევ ეძინა. — ჰო, არ გავაღვიძო ბავშვი... იქნებ ავარია მოხდა, რაიმე დაევა-ხა. ამას წინათ ერთ „მოსკვირს“ უზარ-მაზარმა თვითმცლელმა გადაუარა და ოთხი კაცი იქვე გასრისა. ნიუ-იორკ-ში რამდენი ავარია ხდებოა? რამ და-მავიწყა. ისტორიაში, მოსწავლეობის დროს, თარიღების ამოწერა ვიცოდი და გადავეჩვიე ციფრების დამახსოვრებას. ერთ დღეს სკოლიდან ადრე წამოვედი.



საიდან გაიგო, კაცმა არ იცის, ან როგორ გაითავისუფლა თავი. იქნებ განგებ დააშავა რამე და გაკვეთილი დაატოვებინეს. ხილს რომ გამოვცდი, ისიც გამოჩნდა. ღმერთო, რაზე ვფიქრობ... თავი რატომ უნდა მოეკლა, იმიტომ, რომ ვინაა? მართო ამისთვის? რატომ არ წამიყვანა, ხომ შევერებე გენოს! რატომ დამტოვა... სულ პირველად როდის შევამჩნიე, რომ ტყავაძეს ვუყვარდი? ჰო, დერფენში რომ შემხვდა, დავვინებულე შვერბოდი გაკვეთილზე და გზა გადამიღობა. თუ უფრო ადრე... არა, ადრე არ მახსოვს... რად ვაჭნდი ან მე, ან იგი... მე ვავაუბედურე და დავლუპე, თუ მანქანით გადავიარდა... „ინანებო...“ გონა, გონა, შვილო, გაიღვიძე, უნდა წავიდეთ, შენი ჭირიმი... შენ მაინც რატომ არ აიჩემე, წავყვეთ მამასო... უცნაური ხარ. მეზობლებში ბავშვებთან თამაშს გადაყვე. მანქანის ხათრით მაინც წაყოლოდი. მეც ხომ წამოვიდოდი... რა ვინდოდა, შენ გენაცვალე, მეზობლებში! ამოდენა ეზოში ვერ დაეტიე? უნდა წავიდეთ აქედან... შვილო, შენ მაინც წამიყვანე, მომამორე აქაურობას. მე აქ ყოველთვის უბედური ვიყავი. მე კარგი არ მეღის, წამიყვანე და არასოდეს გამომიშვა. იტირე, იყვირე, კარი ჩამიკეტე, ჭიშკარში ფეხი არ გადმომაღგმევინო...“

ბავშვს დილის სივრცეში მშვიდად ეძინა და სულ ოდნავ, თითქმის შეუშინველად შეკრთა, როცა მამამ უხმოდ უთხრა: არ გამომიშვა, თუ არა უღედოდ დარჩები.

ოლღამ მაინც სანუგეშო ამბავი მოიტანა: ტყავაძეს ტყვია უკრავს, მაგრამ ჯერ ცოცხალი ყოფილა და მიზეზი არაა ვინ იცისო. ქარხანაში იგი ახალი გადმოსულია და ძალიანაც რომ მოენდომებია, ამ მოკლე დროში ისეთი რა უნდა მიეთვისებია, ამდენი მეგობრისა და პატივისმცემლის ხელში თავი მოსაკლავად გახდომოდაო.

„ალბათ დედაჩემს ვერ უთხრეს, შენი ქალიშვილის გამო ჩაიღინა თვითმკვლელობაო... ნუთუ მართლა ჩემთ-

ვის?... მერედა, სად იყო აქამდე? ასეთ მამაკაცზე, ალბათ, ბევრი ქალი ოცნებობს. არა, ახლა ვინ იკლავს ქალისთვის თავს!.. სისულელეა... მე გამოვიგონე...“

„თუ აქ, ამ ქარხანაში არა, ალბათ, საიდანაც ვადმოვიდა, იქ არ ჰქონდა ნაკაცკარი. იცოდა, თუ დღეს არა — ხვალ არავინ შეარჩენდა. ცოლიც ამიტომ არ შეირთო... კარგია უქნია, რატომ უნდა გაეუბედურებია ან ის ექიმო ქალი, ან დოქო... კარგი გულისა ყოფილა... ზოგი, როცა თვითონ იღუპება, შურით სხვასაც ღუპავს... ინანებო... ჰო, რაკი ვადაწყვეტალი ჰქონდა — მოთბრა კიდევ, რომ დამეჯერებინა და გული დამწყვეტოდა... იქნებ მართლა ვუყვარდი. იქნებ ეს თვითმკვლელობა ერთი თვის მერე მომხდარიყო და მე დაეაჩქარე, მაგრამ ხომ უნდა მომხდარიყო; რომ ეთქვათ, ტყავაძე გამფლანგველი, მიმთვისებელი და თაღლითი კი არაა, უყვარდა და სიყვარულისთვის ჩაიღინაო... მაგრამ მაშინ ქვეყანამ უნდა გაიგოს...“

მამამ ჯერ დედას შეხედა თვალბეჭდით. მერე — მერის, ამით ხომ არაფერი იციან და მიმალავენო.

დედა პასუხად დაბნეული მიაშტერდა და მერემ დასვედიანებული თვალები დახარა.

- მაინც, რა თქვეს?
- ეს თქვეს, შვილო!
- მაინც რა...

— არ ვიცი, რა ჰქონდა თავის მოსაკლავი, ქონებამ და კი ცხოვრებამ აწყინაო?

- რა გააჩნდა, საწყალს, სხვაზე მეტი!
- რატომ, კარგი ეცვა და ეხურა, კარგს სვამდა და ჭამდა. მისი სახლი არ ვინახავს?
- არა...

— იმ ახლო-მახლო იმის ფასი არაფერი, ამბობენ. არც მე ვინახავს. მშვენიერ ადგილზე, ბანკის ზევით ყოფილა. სამოსახლოს შოვნა კი ძალი ფული დაუჯდაო.

„გენოს კი დაბაში ვილაღის ჩამორთმეულ საეზოვეს აძლევდნენ და არ ჰქნა,

სადაც თავისუფალი მიწა იყო, იქ აი-
ლო...“

— მერი, შენ ხომ არაფერი იცი?
— მე? — გაუკვირდა მერის.
— ბიჭის ხომ არ უთქვამს რამე.
— არა, არაფერი...

— ან რა ჩვენი საქმეა, — მაკა ადგა
და გაიარა.

— შვილო, ჩვენგან წავიდა წუხელ...
— მერე, მე რა შუაში ვარ! — მაკა
ხელუბნავდა მობრუნდა.

— შენ კი არა... აქედან რომ მისუ-
ლა... არ გადარჩებო.

— არ გადარჩებო?.. მერე მე რა ვქნა,
დღედაღამო...

— შენ... ჩვენ... ჩვენ რა უნდა ვქნათ.

— ამ დღითი შენ უნდა წავიდე, შუა-
დღემდე ვერც კი ჩავალ, მე სამსახური
მაქვს...

— მამა? — იკითხა მერიმ.

— რა მამა!

— არ უნდა გამოგვეყვანა?

— კო, ჰო... მაგრამ ახლა იქ... შენ და
დღედაღამო... ბიჭი იქ იქნება!

— მაკა, მე...

მაკას მოაგონდა, რომ მამა არ იც-
ნობდა რძალს. მერი უმიხისოდ მამამ-
თილთან ვერ მიხედვდა და უნდა მიპ-
ყოლოდა, მაგრამ საავადმყოფოში ახლა
ტყავაძე იწვა. იქნებ ვინმემ იცოდა,
რომ ტყავაძემ ეს ქალისთვის ჩაიდინა,
მაშინ რა ექნა, როგორ გამოჩენილიყო
იქ?

როგორ! — თუ მართლა მაკა იყო მი-
ზეზი, სიკვდილის წინ არ ნახოს კაცი,
რომელმაც მისთვის სიცოცხლე გასწი-
რა? რა უგულობა და უმადურობა იქ-
ნება; მოერიდოს იმიტომ, რომ ვინმემ
რალაც არ იფიქროს! — და ეს მაშინ,
როცა მან თქვა: „ინანებ.“ აიღო გული
და ტყვიას მიუშვირა...

— მამას ვნახავ და წავალ, აქ აღარ
დავბრუნდები... მამას ვნახავ...

იმ პალატის წინ, სადაც ტყავაძე იწ-
ვა, უამრავი ხალხი ირეოდა. ოთახის
ღია კარებში ისე გაფაციცებით იცქი-

რებოდნენ, მაკას, გოჩას და მერის გავ-
ლა არავის გაუგია.

„არა, ახლა ვერ ვნახავ. ანდა რა სა-
ჭიროა, მართლა ჩემთვის კი არ მოუკ-
ლავს თავი,“ — მაკამ დერეფნის ბოლოს
კუთხის ოთახს მიაშურა.

— ბიჭი არ ვნახოთ? — იკითხა მერიმ.
— ბიჭი?

მაკა შეჩერდა. მერისთან ერთად რომ
მისულიყო და ბიჭი ეკითხათ, გოჩაც
თან ეყოლებოდათ...

— არა, მერი, ბიჭი მამასთან მოვა,
იქნებ ახლაც იქაა.

— მაშინ, მე გარეთ დაგელოდები.

მაკას კარებზე მისეული ხალხისაკენ
გაეჭკვა თვალი. „ნეტავ რას ეხვევიან,
ნუთუ ასე უყვართ ტყავაძე? ნეტავ ღო-
ღო თუ მოვიდა სანახავად... რომ გაი-
გოს, ჩემთვის მოიკლა თავი!..“

— რა მითხარი, მერი?

— გარეთ დაგელოდები-მეთქი!

— ა, რატომ?

— მაკა... ბიჭი მაინც იყოს...

— მე აგერ არა ვარ?

— ჰო, შენ კი...

— მამა, შეიძლება? — კარი ღრიჭოდ
შეაღო მაკამ.

— მოდი, შვილო? — ამოილაპარაკა
სიმონმა და, როცა ქალიშვილი დაინახა,
გულზე მოეშვა.

„მამაჩემსაც გაუგია. ჩანს, მართლაც სა-
ავადმყოფო კი არა, მთელი რაიონი ფეხ-
ზე დგას... დღეს ქალისთვის თავს ვინ
იკლავს?..“

— მიდი ბაბუასთან! — ბავშვი წინ
ვაუშვა და მერის მკლავში ხელი ჩასჭი-
და. — მოდი, მერი, გენაცვალე!

— ჩემი გოჩა, ჩემი ბაბუ... — მაკამ
ბავშვის თავზე ლურჯი ძარღვებით და-
ტოტვილი ძვალტყავა ხელი დაინახა.

მერი საწოლის თავთან გაჩერდა.

ბავშვი ცნობისმოყვარე თვალით შეპ-
ყურებდა ავადმყოფის თითქოს ძალიან
ნაცნობ სახეს და მზერას დედისკენ აბა-
რებდა: ეს ბაბუა ხომ ჩემი ბაბუააო! გო-
ჩა ამ კაცისგან მეტ ალერსს მოელოდა,
იგი კი ორ სიტყვასა და თავზე ხელის
გადასმას დააჯერა.

— შეილო, დავლუბეთ ის კაცი ხომ?
 — ვინ მამაჩემო; მე და შენ ვისი დამ-
 ლუპველი ვართ!

— ჩვენთან ყოფილა წუხელ!

— ჩვენთან რომ იყო, ამიტომ დავლუ-
 ბეთ? რაო, ჩვენზე ამბობენ რამეს თუ?..

— მე რა ვიცი...

— ბიჭი იყო შენთან?

— იყო.

— მერე რაო, ჩვენი ბრალიო?

— მისგან მე რას შევიტყობდი...

მერი კედლისაკენ მიიწია, თითქოს
 უფრო საიშედოდ დამალვას აპირებდა.

— მამა, შენ თავს მოუარე...

— ვილაც შემოგყავა აქ, თუ მე მომეჩ-
 კენა?

— აბა, თუ მიხვდები, ვინ მოვიდოდა
 ახლა შენთან?!

ავადმყოფმა რაღაც იტყვა.

— კარგია, თუ ვინმეს მოვაგონდი...

სიმონმა რძალს ხელი ჩამოართვა და
 თავი კედლისკენ იბრუნა.

— ტირის! — ჩაულაპარაკა მაკამ მე-
 რის და ფანჯარაზე ატოტებული გოჩა
 ხელში აიყვანა. ქუჩაში ჩქარი ნაბიჯით
 მიდიოდა ნაცრისფერკოსტუმიანი მამა-
 კაცი და ორი ქალი. ერთს წითელი ზე-
 დატანი ეცვა.

„ტყავაძესთან მიდიან... რატომ ტყა-
 ვაძესთან... გენოს რომ რაიმე შემთხ-
 ვეოდა. ამდენი ხალხი თუ მოცვივდე-
 ბოდა... ნუცა, ალბათ, ყველაზე უწინ
 გაიგებდა... ახლა, აქ რომ იყოს, შემო-
 ივლიდა და როგორმე მიმახვედრებდა,
 ჩემზე ხომ არაფერს ამბობენ.“

— მამა, მე უნდა წავიდე, დღეს სამ-
 სახურს ვერ გავაცდენ.

— შინ დამტოვე, შეილო და წადი.

— უჩემოდაც მიგიყვანენ, — მაკამ
 მერის მკლავში ხელი გამოსდო. ავადმ-
 ყოფმა თავზე დამდგარ უცნობ რძალს
 ახედა.

— ჰოო.

— ჰო, შენ ახლა ქალიშვილიც გყავს,
 ჩემზე უფრო მოსიყვარულე და... — და
 კიდევ რა, ეს ვერ გაიხსენა, — მე კი უნ-
 და წავიდე.

„ღერტფანში გავიხედავ, — გაიფიქრა

მაკამ და კარისკენ წავიდა ბავშვიანად,
 ვინ რა უნდა იფიქროს. ისე უნდა წავი-
 დე, რომ არ ენახო, და ვერც ვერასო-
 დეს ჩამოვალ. რატომ მითხრა, ინანე-
 ბო... ყოველთვის საზიზღარი იყო... თუ
 თავი გამეტებული ჰქონდა, მე რას მერ-
 ჩოდა...“

ღერტფანში ისევე ირეოდა ხალხი. ის
 ნაცრისფერკოსტუმიანი მალალი მამაკა-
 ციც ჩანდა. ქალები ვერ შენიშნა. „რომ
 მოკვდეს... არა, არა, ვერ ვნახავ... რომ
 მითხრას, არ წახვიდე, აქ იჯექი, სანამ
 სული მიდგასო... ჩემს გასაგონადაც
 რომ თქვას, მინც არ შეიძლება... მაგ-
 რამ გუშინდელივით ხომ ვერ მივატო-
 ვებ. ისე უნდა წავიდე, არავინ დამინა-
 ხოს. წავიდე, არ ვიფიქრო აქაურობაზე,
 არავისზე, არც მამაჩემზე... რა სისუ-
 ლელეა, ქალისთვის ახლა ვინ იკლავს
 თავს... უცერად რომ მოტრიალდეს ეს
 ხალხი, დამინახონ და თქვან: ეს ქა-
 ლიო!.. მერე პალატებიდანაც გამოც-
 ვივდებიან და აქეთ მოაწყდებიან ჩურ-
 ჩულით: ვინაა, რა ასეთი, ერთი დაგვა-
 ნახეთ მაინცო...“

მაკამ კარი მიხურა.

„რომ გავიდე, ვილაცა მართლა მიც-
 ნობს და ეგონებათ, ტყავაძის სანახავად
 ვარ მოსული.“

— მამა, ბიჭი მალე მოვა?

— თქვა, მოვალო.

„ახალგაცნობილი რძლის ხათრით
 აღარ მოსდის გული შეილზე. მე ვიცი,
 რომ მამაჩემს მერი გაუწევს ჩემს მაგიე-
 რობას... უკვე გული იმედად მექნება
 და აღარასოდეს ჩამოვალ...“

„მანამ უნდა წავიდე, სანამ ნუცა სამ-
 სახურიდან შესვენებაზე გამოვა. მე არ
 ვიცი, რისთვის მოიკლა ტყავაძემ თა-
 ვი...“

მესამე დღეს მაკამ სკოლაში მიიღო
 წერილი. ეს პირველი შემთხვევა იყო.
 არ ახსოვდა, ვინმესთვის მიეცეს სკო-
 ლის მისამართი. თითქოს ელოდა რაღაც
 ამგვარს, ელოდა, ეჩქარებოდა, თანაც
 არ უნდოდა რაიმე გავეო. დარწმუნე-

ბული იყო, რომ უყვარდა ქმარი, მაგრამ გენოშიც ვერ ხედავდა ამ თავგანწირვას. გუშინ შეეხვეწა, კოლმეურნეობაში წახვალ, სამსახურიდანაც ადრე წამოდი, მინდა ეზოში გავლილი დავინახოო. ვენახი შესაწამლია, მიყვარს — შაბიამნის ბური სახეზე ცისფერ კორტლს რომ დაგაყრისო. სალამოს გენო ადრე დაბრუნდა; კოლმეურნეობაში შეადღისას წასულიყო და სახელდახელო ცნობები მიანიც აელო. მაკას ეწყინა. მთელი ღამე მაინც იმას ფიქრობდა: ისე არავის არ ვუყვარდი, როგორც ჩემს ქმარს ვუყვარვარ. ტყავაძემ თუ ტყვია იტრა, გულში არ მოუტრტყამს. რატომ ვერ მიავნო საკუთარ გულს! რომ ვყვარებოდი... არ დაიცილებდა... მას თავისი საქმეები ჰქონდა აწეწილი და სიკვდილი უჯობდა...”

„ნუცას რა უნდა, რატომ მიგზავნის წერილს. რაც საშუალო დავამთავრეთ, ერთხელ მომწერა თბილისში არდადეგების წინ. ისიც — თმის საღებავი წამომიღეო. ახლაც ხომ არაფერი სჭირდება ჩემგან?...“

წერილი წაკითხვისთანავე ნაკუწებად აქცია. „უმიადური ვარ, საძაგელი უმიადური, პატემოყვარე... საცოდავი, თურმე არ გადაჩეხა. მე კი ვფიქრობდი, აიცილა, და ისე წამოვედი, არ ვნახე... არც ვკითხე. ბიჭის რომ არ ეთქვა, იქნებ გადაარჩესო, არც ეს მეცოდინებოდა. ყველაფრის მიზეზი კი თურმე მე ვარ. არასოდეს, მის მიმართ, არასოდეს ადამიანური არ ვყოფილვარ...“

შაბათს ხელფასი დაარიგეს. კვირას, როცა გენომ ძველმანები გადაიცივა, შაბიამნისა და კირის ხსნარით სავსე შესაწამლი აპარატი მოიკიდა, მაკა წინ გადაუდგა და უთხრა:

— წუხელის ცუდი სიზმარი ვნახე და მაჩაჩემთან უნდა წავიდეთ.

გენომ თავი გააქნია, არაფერი მესმისო.

— ჰო, მართლა, ნუცას ფული გამოვართვი, — დაამატა, როცა გენომ გვერდი აუქცია და ვენახისაკენ წავიდა. — ღაპბობი ხელფასს რომ ავიღებდი, და-

ვებრუნებდი. იცის, სახლის მშენებლობამ დაგვაქეციატა, და არ მინდა იფიქროს, რომ დაეკარგება.

— მერე, გვემოვა და უფრო ადრე გვეგზავნა.

— ადრე?!

— ჰო, გეთქვა და...

— მეთქვა... შენ არც კი მომისმინე... შენ ჩემი ძმა... მოგძულდა მასზე ლაპარაკი. რა ქენა, ასეთი რომაა, ჩემი ბრალია?

გენომ ვენახის ჩასასვლელთან მოიხედა.

— როდის დაბრუნდები?

— ამ სალამოს... თუ მშვიდობაა. თუ არა, ხვალ დილით სადგურზე დამხვდები. არა, ამ სალამოს... ბავშვის მეშინია.

სათნახევარი ელოდა ავტობუსს.

„ნეტავ ცოცხალი დამხვდებოდეს.“

მაკას რაღაც გაუგებარი გრძნობა დაეფულა. თითქმის სულ წუხდა, ძილი უტყდებოდა და განიცდიდა ჭუმბერის ამბავს. მაგრამ განიცდიდა, როგორც მონაყოლს; მოსწონდა, რომ ვიღაც შეყვარებულმა კაცმა თავი მოიკლა ქალისთვის. ემაყუბოდა, რომ ეს ქალი თვითონ იყო. მაგრამ გული არც ისე ტკოდა, უნდოდა, ყველას სცოდნოდა ეს ამბავი, მაგრამ — არავის გაეგო. ახლაც მიდიოდა, რომ ენახა. გაეხარებია, ორიოდე თბილი სიტყვა მაინც ეთქვა. ყველაფერი ეს მოგონილი ამბავი ეგონა. მოგონილი იყო თვითონ ტყავაძეც, თითქოს არასდროს არ არსებულა ამ ქვეყანაზე. ის კი, ის მუნდიანი ბიჭი, მართლა იყო! მას აქეთ დიდი დრო ვავიდა, მაგრამ ნამდვილად შეეძლო მისი დანახვა და უყარებეს, რომ უყვარდა. ამ ტყავაძის არსებობა კი არ სწამს, თუმცა, ერთი კვირის წინ სუფრაზე პირისპირ უჯდა. თითქოს თავისი თავიც კი მოიგონა, ვილაცას რომ უყვარდა. მერე, ის ვილაცა ადგა და თავი მოიკლა.

მზე გადახრილი იყო, იანისში რომ ჩავიდა.

„საყადმოყოფოში ვერ მივალ, ნუცასთან შევივლი და, თუ არ დამხვდა, უკან დავბრუნდები. გზაში არავინ მიცნოს...“

ნეტავ ნუცა რას მეტყვის... იქნებ უკვე ყველამ იცის, რომ ეს უბედურება ჩემს გამო მოხდა.“

მაგრამ ტყავაძე — ვინც ეს საქმე ჩაიღინა, მაინც არ იყო ნამდვილი პიროვნება და თვითონაც ახლა, ამ ნაცნობ ქუჩებში დადიოდა, როგორც ამბად მონაყოლი. ჩამოვიდა ქმარ-შვილიანი ქალი, რომ სხვა კაცი, მასზე შეყვარებული თვითმკვლელი ნახოს, რომ სიკვდილის წინ ამ კაცმა ქვეყანას არ შეაფურთხოს, არ დაუბაროს ადამიანებს, არავინ გიყვარდეთო!

„ნუცა?“

ნუცა კი ნამდვილი იყო. ამ დაბაში ცხოვრობდა.

„რაც ქმარს გაცილდა, სადგურს აქეთ, რკინიგზელების საერთო საცხოვრებელში დარჩა, პირველი სართულის ერთ ოთახში. ნუცა ქმრიანიც რომ იყო, მაშინაც ამბობდნენ, ფოსტის უფროსის მოადგილეს ჰყვარობსო. მაკას ეს არასოდეს დაუჯერებია. რატომ უნდა ელაღლა! თუ მართლა სხვა უყვარდა, ქმარს გაყროდა და მერე რაც უნდოდა, ის ექნა. ბოლოს, მართლაც მალე გაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ ის მოადგილე სხვა რაიონში ფოსტის უფროსად გადაიყვანეს. ნუცა კი — მიატოვა. თუ ქმარს იმის გულსითვის გაცილდა, ცოდვია საწყალი გოგო. მე რომ ნუცას ადგილზე ვყოფილიყავი, არ ვაპატიებდი. ალბათ ნუცა ჩემზე კეთილია და ამიტომ იყო, როცა შეუჩნდა, დიდხანს წინააღმდეგობა ვერ გაუწია.“

მაკამ ილღის ქვეშ ხელის შეხება იგრძნო.

— ნუცა?!

— ჰო, მე ვარ, რატომ გაგიკვირდა? ნუცამ ჩანთა მკლავზე ჩამოიცივა, მონებია და აკოცა.

„გაუხარდა, რომ ტყავაძეს უკანასკნელი სურვილი აუსრულა. ნუცა, ალბათ, მართლა ჩემზე კეთილია.“

— როგორა ხარ? — კითხა უცებ მაკამ, რომ უწინ ტყავაძის ჯანმრთელობაზე არ ელაპარაკათ.

— ჯანდაბას ჩემი თავი, რა კარგი ჰქენი, რომ ჩამოდი...“

— ჩამოსასვლელი ვიყავი, არც მამა-ჩემია კარგად.

— ჯუმბერიც ცუდადაა. რა საცოდობაა. გული მაქვს, მაკა, დათუტუელი. მე კი არა, მთელი რაიონი იწვება ცოდვით.

— არ გადარჩებო?

— რა ვიცი, გოგო, გულთან ძალიან ახლოა გავლილი ტყვიით.

„მართლა თავის მოკვლა ნდომებია...“

— მერე?

— ჯერ ქეა ცოცხალი. ეს ორი დღეა შენ გელოდი, ვერ მივედი... რომ დამინახავს, შენც რომ მისული ეგონო...“

— რატომ გიბედავს ამაზე ლაპარაკს

— მაკა, შენი ჰირიმე, მე ადრეც ხო ვტყობი.

— რა იცოდი!

— ჩემს მეტს არავის არაფერს უმხელს და არც მე ვათქმევინო? როცა დაიჭრა, იმ დღესვე დაასხეს რევიზია ქარხანას, დიდი გაფლანგვა ეგონათ...“

— აბა, რისთვის ვიკლავდიო თავს...“

ნუცამ თვალეში შეხედა და რალაც-ნაირი სიამაყით გაუღიმა.

— ჰო, ჰო, რატომო?

— წამოდი, შენი ჰირიმე, მაკა, შინ ვილაპარაკოთ. ხომ ასეთი უბედურებაა, მაგრამ არ იფიქრო შურიანი ვიყო. შენ რომ გხედავ, მიხარია. ქალი, შენ რომ ხარ, ასეთი უნდა... მეე?... დაიწვა ჩემი ბედი. — ნუცამ რკინიგზის ლინდავზე გადაუხვია. — აქედან წავიდეთ, ხელათ მივაღათ...“

●
„უმადური ვარ, მისთვის ჩამოვედი და არ ვნახე. ალბათ სუსტი და მშოშარა ვარ. — ფიქრობდა სადგურის დარბაზში ნუცას წასვლის შემდეგ მაკა, — იმას კი — შეუძლია ვილაცისათვის სიცოცხლე გასწიროს. მე ისიც ვერ შევძელი, როცა დაღამდა, მივსულიყავი და მენახა, თუნდაც ერთი წუთით. არ მოვრიდებოდი მის ან ვინმე ნაცნობის შეხვედრას. რომ მიყვარდეს, იქნებ მივსულიყავი... მინდა, გადაცმული ბნელი ქუ-

ჩემით მივდიოდე, ვინმე მოსყიდული დარაჯი მიღებდეს საიღუმლო კარებს. ვიყო მოღალატე... ოღონდ, როგორც მონაყოლი, ან წაყითხული; სხვისი თავდასავალი კი არა, ჩემი იყოს და, სინამდვილეში კი არ უნდა ჩამედინა ეს... ისიც ძლივს მოვახერხებ და ნუცას არ დავუშალე — მომაკვდავისათვის ეთქვა, მაკა შენთვის ჩამოვიღო. კიდევ კარგი, ნუცას არ უკითხავს, ვუთხრა თუ არაო, თორემ ალბათ არც ამის ნებას მივცემდი... იქნებ ცუდი გულისა ვარ, იქნებ, საერთოდ, არ შემიძლია სიყვარული?... არ ვიცი... მე ის ვიცი, რომ ახლა, როგორც კი მატარებელი ჩამოდგება, ავიღე ვაგონში, ჩემი ადგილი მოვძებნო და დილით, როცა სადგურზე გენო დამხვდება და აქაურ ამბავს მკითხავს, ტყუილი არ დამპირდეს. რასაც ვაკეთებ, უნდა შემეღოს იმისი თქმა. მე არ ვიცი, კარგია ეს თუ ცუდი, მაგრამ ვიცი, ამისთვის ვარ გაჩენილი... ჭრავისი ისე არ მეშინია, როგორც საკუთარი თავისა... მე ვიცი, რომ ნუცა არ გამცემს. ტყავაძე რომ მენახა და გენოსთვის მეთქვა, ვხალ შევიარე და ბიჭის დირექტორი ვიკითხე-მეთქი, იქნებ არ გაეგო ცუდად, მაგრამ მე არ შემიძლია... სანამ დანამდვილებით გავიგებდი, რისთვის იკლავდა თავს, მანამდე მეტს ვფიქრობდი მასზე; ახლაც ვფიქრობ, ოღონდ უფრო გულგრილი ვარ, რაკი ჩემი თავმოყვარეობა დაკმაყოფილებულია. იქნებ უფრო ამისთვის ჩამოვედი?.. ღმერთო ჩემო, — სადგურის მოსაცდელის კუთხეში მაკამ შუბლი მოისრისა და ფანჯარას შეხება, — ამ დღეებში იმდენს ვფიქრობ, მგონია, დამიჩლუნგდა გონება. ამდენი ხანია აქ ვზივარ და მატარებლის ხმაც არ გამიგონია. კარგი ჰქნა ნუცამ, კუბის ბილეთი რომ ამიღო. აქედან ახლა მგზავრები ცოტაა. დავჯდები ჩემთვის, ან წამოვწვები და თავს დევაჩერებ, რომ სამუდამოდ მივდივარ აქედან. ალბათ მალე მატარებელიც ჩამოდგება. კარგად მოვიქეცე, ნუცა რომ არ გავაჩერე. რა საჭირო იყო, აქამდე ეყურყუტა, — ხვალ სამსახურშია წა-

სასვლელი. ჯუმბერის ნახვა კი მოასწრო. ალბათ ეჩქარებოდა ეთქვა, მაკა ჩამოვიდაო. ესაა და ეს, რაც მე ჩემს სინოცხლეში გავაკეთე მისთვის, ვისიც, დედაჩემის თქმისა არ იყოს, „ცოლვა დაგვედო.“ კი არ „დაგვედო“ — მე დამედო ეს ცოლვა... ძალიან დავიღალე და მოვდუნდი. როგორც კი ვაგონში ავალ, წამოვწვები და არაფერზე არ ვიფიქრებ, არც იმაზე, ხვალ დილით რა ვუთხრა გენოს... რასაც ვეტიყვი სულერთია, მე არაფერი დასამალი არა მაქვს.“

მატარებელი რომ ჩამოდგა, მაკა პირველი ავიდა და კუბეში შესვლისთანავე კარი მიიხურა.

„ნეტავ არავინ შემოვიდოდა“ — ეს კი გაიფიქრა და დაჯდა, სახე ფანჯარისკენ მიაბრუნა, მერე ლოყა მავიდას და ადო. მავიდა გრილი იყო.

იქაურობას ვარედან შემოსული ირიბი შუქი უფრო ავსებდა, ვიდრე ქერში მიბუტუტული ნათურა.

„მატარებელი რომ დაიძრება და სადგურს გავცდები, მშვიდად ვიქნები. კარგი ჰქნა ნუცამ, კუბის ბილეთი რომ ამიღო. მე არც კი მიმაკარა სალაროს. საწყალი, კარგი გულისაა. ძალით რომ არ გამეშვა, აქამდე ამირებდა დარჩენას? რა ჰქნას, ტყავაძე ეცოდება. ტყავაძე მეც მეცოდება. ნუცას შეუძლია დანხმაროს და ეხმარება კიდევ, მე რა შემიძლია. ვადარჩებო... კარგია!.. რომ მომკვდარიყო, დავიტანჯებოდი. მე ამ დღეებში არც მესმოდა ხეირიანად, რა მოხდა. ან არ ვიცოდი, რისთვის მოხდა. ხუმრობაა? ღმერთმა ნურავის წიწილიც კი ნუ დუშმარცხოს ჩემს გამო.“

„ოო, რა გაუთავებელი ღგომა იცის ამ მატარებელმა, აქ ჩამოსვლა, მგონი, ტყავაძეზე უფრო ამ მატარებელმა შემამძულა.“

კუბის კარი გაიღო.

მაკა მიხვდა, რომ იგი მამაკაცის ხელმა გააღო და იქით არ მიუხედავს. თავქვეშ მკლავი დაიდო.

„ჩემს ადგილზე ვზივარ, — გაიფიქრა და დიდად არ უღარდია, რომ ასე მავიდაზე დამზობილი დახვდა ვიღაც



მგზავრს, — დგას, ხელი ისევ სახელურზე უკიდია. ალბათ, არ იცის, დახუროს თუ ღია დატოვოს. იქნებ უკან უნდა გაბრუნდეს, ცარიელი კუბე მოძებნოს. ჯობია, სახე არ დამინახოს, თორემ შეიძლება სულ აღარ წავიდეს. მაინც რა უბედურებაა, თუ სადმე მარტოხელა ქალს გადაეყარნენ, იმ წამსვე უჩნდებათ აზრი: „ხომ არაფერი გამოვა?“ რა იცის, რომ მომაკვდავი ტყავაძე სულს ებრძვის... ადამიანებმა რომ იცოდნენ, ვის რა უღევს გუნებაში, ან საერთოდ არ ელირებოდა სიცოცხლე, ან არავინ იქნებოდა უბედური... კი მაგრამ, რატომ არ ჯდება ვილადაა?“

კარები ნელა, უხმაუროდ მიიხურა. მაკამ უეცრად მოაბრუნა თავი და შემოსულს პიჯაკის ღილის გასწვრივ შეხედა. თვალები გაუშტერდა. მერე თანდათან აპყვა ამ გაშუშებულ მხერას; მარცხენა სახელო ცარიელი ჰქონდა და ჩაშვებულ მკლავს უშნოდ გაებერა პიჯაკი.

მაკა უკვე ფეხზე იყო, როცა კართან დასობილ კაცს სახეში შეხედა.

— „ტყავაძე?“ .. ნუცას შურს, რომ მე ქმარი და შვილი მყავს...“

სახელურს დაყრდნობილი ტყავაძე უძრავად იდგა, ნათურის შუქზე მთლად მიტკლისფერი ედო.

„ხელი რომ გაუშვას, ეშინია, წაიქცევა... ნეტავ შემეძლოს ამ ადამიანის შეყვარება... ალბათ ამ სიჯიუტისათვის მძულდა, რაკი მგონია, რომ მეც ასეთი ვარ...“

ქალი უყურებდა თეთრი მიტკლის ნიღაბს, რომელიც ორ ადგილას ამოეჭრათ და შიგნიდან ტყავაძის მშვიერი თვალები ჩანდნენ.

მაკა ზარის ხმამ გამოაფხიზლა.

— ჯუმბერ! — თქვა წყნარად, წინ ნაბიჯი გადადგა და შეჩერდა — ჯუმბერ! — გაიმეორა, მაგრამ ახლა ძალზე თავშეკავებული ალერსით, — ხომ ვითხრეს, რომ მე შენთვის ჩამოვედი, — ისევ წაიწია და სახეში მიამტერდა. „თვალი რომ დახუჭოს, მკვდარია...“ — მე მამაჩემიც კი არ მინახავს...

„რა მეშველება მატარებელი რომ დაიძრეს?“

— ჯუმბერ!

„უნდა გავიყვანო როგორმე აქედან და კიბეზე ჩავაცილო, რომ ვაგონებს არ ჩაუვარდეს.“

— ახლავე წადი, თუ არა არასოდეს შენს ამბავს არ ვიკითხავ! — მივიდა, სახელურზე მოჭერილი თითები ააშვებინა და კარი გააღო. იღლიაში ხელი გამოლო, დერეფანში ვაიყვანა, — ჩქარა, თორემ მატარებელი დაიძრება, ჩქარა, — დერეფანში არავინ ჩანდა, მაგრამ მხარდამხარ სიარული ჰქონდა.

— ჩქარა, — იძახდა ქალი, — ჩქარა!

ტყავაძის მკერდს მალამოსი თუ სავაუზყოფის ნაცნობი სუნნი ასდიოდა.

„ეს ახლა რომ გადარჩეს, თუ ისევ ისე მოვექცევი, ხელახლა მოიკლავს თავს...“

ვილაკამ დაუსტვინა.

— ჩქარა, ჯუმბერ, ჩქარა!

„ბაქანზე ჩავაცილებ და ვაგონიდან მოშორებით დავტოვებ.“

კიბეზე გამცილებელმა მოაშველა ხელი.

— ცუდად გახდა?

— ცუდადაა, ცუდად!

— ქალო, შენ რჩები?

— არა, მე არა. ახლავე!

სადგურის სადარბაზო შესასვლელამდე მიიყვანა, იქ თითქოს უბიძგა კიდეც და უკან გამოიქცა. მატარებელი საცაა წავიდოდა, კიბის თავზე დადგა და დაელოდა.

„არ მობრუნდეს, ოღონდ არ მობრუნდეს... არაფრით საშველი არ დაადგა აქედან დაძვრას.“

— მაღლობა ღმერთს, — ხმამაღლა უთხრა კიბეზე ამომავალ გამცილებელს. სადარბაზო შესასვლელში უძრავად გახილულ ტყავაძის ნელ-ნელა დაშორდნენ.

მატარებელი ჯერ კიდევ წყნარად მიგორავდა, როცა მაკა დერეფანში შელასლასდა, ან თანჯრებს აწყდებოდა, ან კუბის გამოკეტილ კარებს. თავის ადგილს რომ მიადწია, მოწყვეტით დაეშვა

და ბორბლები ტაკატუს მიუგლო ყუ-
რი, თითქოს სიზმრიდან უნდა გამოჩ-
ვეულიყო.

„რატომ მე თვითონ არ ავიღე ბილე-
თი... ნუთუ დაურეკა და უთხრა ვაგო-
ნის ნომერი? ნუცა ხომ ვერ იფიქრებ-
და, რომ მომაკვდავი ადგებოდა და გა-
მოედევნებოდა. ამას ვინ წარმოიდგენ-
და. იგი ალბათ ჩემზე ძლიერი და გაუ-
ტყუელი... და მძულდა... იქნებ შეუც-
ნობლად მძულდა შურის გამო. ახლაც
მგონია, ფეხდაფეხ მომდევს...“

მაკა ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა,
რომ ტყავაძე თვითონ უჯდა მანქანის სა-
ჭეს და მართლაც რომ ფეხდაფეხ მოს-
დევდა.

„აუცილებლად თავს მოიკლავდა, რომ
შემთხვევით არ დაცილებოდა გულს.
ღმერთო, რატომ ვარ ასე უბედური. რა
დავაშავე, ასე რომ დავიტანჯე. ნეტავ
მიყვარდეს, მაშინ ჩემს თავთან მაინც
ვიქნებოდი მართალი. ნეტავ არ გამეგ-
დო, ნეტავ გამძალიანებოდა. ახლა რომ
რაიმე მოიწიოს... სადგურთან მაინც თუ
ელოდა ვინმე... ნეტავ ნუცას მეტმა
ხომ არაღინ იცის, რომ იანისში ვიყავი...
ახლაც ჩემს თავზე ვფიქრობ, ახლაც...
ნეტავ სულ არ ვავთხოვილიყავი, ნეტავ
სულ არ შევხვედროდი გენოს...“

„რა შეხუთული ჰაერია. არ უნდა
გამეყვანა კუბიდან. დამეწვინა აქ და
ყოფილიყო. მეტქვა, რომ ძალიან ვინა-
ნე მაშინ, სუფრაზე რომ არ გავუგონე.
შემეძლო ეს მაინც გამეკეთებინა მის-
თვის და არ გავაკეთე. ახლა იგი ჩემგან
მეტს რას მოითხოვდა... უმადური ვარ,
უგულო... არ ვიცი, რაა ჩემში საყვარე-
ლი და სათაყვანებელი... როცა მეც კი
აღარ მიყვარს ჩემი თავი...“

— ღმერთო, რამდენს ვფიქრობ! —
მაკამ იგრძნო, რომ გაუძნრევლად იჯდა
მას აქეთ, რაც კუბეში დაბრუნდა, სა-
ზურგეს მიაწვა, — ნეტავ კიდევ რა მო-
მელის? ვგრძნობ... კი არ ვგრძნობ, ვხე-
დავ, რომ რაც იყო, დასაწყისია... ჰო,
სიზმარი... მოვიტყუე თავი, ვითომ იმ
ღამით ამისდა. მას მერეც მესიზმრა
იგი.“

მატარებელმა სიჩქარეს უკლო.

„ალბათ ისევ გაჩერებაა, — ქალმა
ზიზლით გააქნია თავი. ფანჯარაში ძლივს
ჩანდა ბოქების შავი სილუეტები. —
ღრუბლიანი ღამეა. ნეტავ როდის მი-
ვალწევ სახლამდე. განთიადი ჯერ კიდევ
შორსაა.“

აქ პატარა, ორლიანდაგიანი ბაქანია.
თუ შემხედრი მატარებელი არ მოდის,
დიდხანს არ დავაყოვნებთ.

რკინიგზის გადაღმა, ოთხი მოსახლე
ცხოვრობს. ძალიან ზანტია აქაური სად-
გურის მორიგე, კვერთხის გადაცემას სა-
შველი არ დაადგება. ნეტავ რას ვჩქა-
რობ... ამ ბოლოს ძალიან ვეჩვევი მასზე
ფიქრს და მინდა სხვაზეც ვიფიქრო.“

აი იქ, მანქანის სინათლეები რომ ჩანს,
ოთხი მოსახლეა... ერთ ოჯახში ახლაც
კი არ სძინავთ. აღდა, მაკას გათხოვე-
ბამდე, იქ სამი დაიღდა, სოფელს მო-
წყვეტილი და სადგურს მიკედლებული,
ამიტომ თუ ასსოვს... კარგია, რომ ახ-
სოვს; ქალაქში ან დიდ სოფელში იმდენი
სახლი და ეზოა, ვერ გამოარჩევ და
ისევ ტყავაძეზე უნდა იფიქრო.

მანქანა ლიანდაგს იქით გაჩერდა და
სინათლე მაშინვე ჩაქრა.

„ვიღაც მგზავრი მოიყვანა ალბათ.“
ელმავალმა დაიბუბუნა.

„საცაა დაიძრება.“ — მაკა ფანჯარას
მიადგა. სადგურის მხრიდან კარგად
იყო განათებული. მეზობელ თავისუ-
ფალ ლიანდაგზე ბორბლების დაგრ-
ძელებული ჩრდილები ტყდებოდნენ.
რელსებზე ვილაცამ მიძიდე, სიფრთხი-
ლით ვაღმობიარა. ჰო, ეს ისაა, მანქანით
რომ მოიყვანეს. იქნებ ამ კაცს ჩემი კუ-
ბის ბილეთი აქვს? კარგია, ვინმე იქნე-
ბა ახლოს და ამდენს არ ვიფიქრებ...“

როცა მეორე ლიანდაგზე თვლე-
ბის გადატეხილმა ჩრდილებმა გადაინა-
ცვლეს, ქალმა იფიქრა, ტყავაძე ხომ
არაფერს აუტყუნდა თავსო!..

მატარებელმა ერთადერთ ისარზე გა-
იქნია წელი და გზას გაუყვა. მაკა ფან-
ჯარასთან იღდა. უკვე აღარაფერი ჩან-
და. ვილაცამ კარის სახელური გადასწია,
ღრჩილად გააღო.



„ჩაქტილი მაქვს, — მოაგონდა და მოტრიალდა; — მართლა აქ მოდის, თუ გამცილებელია?“ — ცერად ამოწეულ ნიკელის ენას თითი დააჭირა; ხელის დადამბაზე მოღებულ კარებში მასზე მოცეცხლული ცალი თვალი დაინახა და ადგილიდან ვეღარ დაიძრა. ნელ-ნელა გამოჩნდა მიტკლისფერი სახე და ტყავაძემ ფეხი ზღურბლზე შემოადგა. ქალს კაცის პიჯაკი შეეხო მკერდზე, ტანით გადაიწია, მაგრამ უკან არ დაიხია. მოსული ახლა შიგნიდან ებღაუჭებოდა სახელურს.

„თავს იჭერს, რომ ჩემსკენ არ წამოიქცეს...“

ტყავაძე უძრავად იდგა, მაგრამ მაკა ისევ გრძობდა მისი პიჯაკის შეხებას და წამლის სუნს.

„უკან უნდა დაეწიო, თორემ მომეხვევა და ვეღარ შევძლებ, მოვიშორო. უნდა დავიხიო, ოღონდ არ უნდა დავჯდე... მარცხნივ, ყბის ქვევით თმა თხლად აქვს ამოსული. აი, იქ ჰქონდა ერთ დროს მუწი...“

მატარებელი შეძაგძავდა. ქალმა დაინახა, როგორ გაიქცა კარები და ჯახუნით მიიყვტა. ქვევიდან თვლების ჭრია-

ლი მოისმა. — „აქ მოსახვევია“ — გახსენდა და გულზე ხელები აიფარა, რომ მისკენ წამოსული კაცი შეეკავებინა. თვლები ისევ ჭრიალებდა, მაკამ უკან ორი ნაბიჯი გადადგა და პატარა მაგიდას ზურგიით მიეყრდნო; ტყავაძე ზედ მიაწყდა მთელი ტანით. ქალი წელში გადაიხიწა და ხელი ჰკრა მკერდში, მაგრამ ამ ბიძკისაგან თვითონ გადაიხარა და ფანჯრის ჩარჩოს თუ მინას თავით შეეხალა, მაგრამ არ ტყენია, რაკი მაშინვე კბილების მტკრების ხმა გაიგონა...

„აღბათ ჭრილობაზე ვუბიძგე,“ — გაახსენდა და მკლავები მოუდუნდა. ქვევიდან ამოხედა მასზე დამხობილი კაცის მკერდს, პიჯაკის შიგნით, თეთრ ხალათზე სიწითლე მოეჩვენა და ზედ ხელი მიაფარა. იქიდან, სადაც თითები ედო, ხიხინი მოესმა. ეგონა, დაჭრილს ფილტვში სისხლი ექცევაო.

— „მოკვდება, მოკვდება,“ — ამის გაფიქრება მოასწრო და... მინაზე თავმიბჯინილს, აცახცახებულ ქვედა ტუჩზე ტყავაძის ხეშეშა უღვაშმა უჩხვლიტა...

„ღმერთო ჩემო, რა ცხელი სახე მქონია...“

ნაწიდი მეორე

თავი პირველი

● მატარებელი ვაჩერდა. აკანკალებული მაკა ფანჯარას მოცილდა. ტყავაძე გულაღმა, უძრავად იწვა და წელზევით წახურული პიჯაკი სახეს უფარავდა. ქალმა დერეფანში გაიხედა. მოტრიალდა, მაგიდის ქვეშ ჩაყარნილი ხელჩანთა იტაცა და კუბიდან ისევ გამოვარდა, ხრითქოს შიგნიდან უხეშად უბიძგეს.

კუბეში უბატრონოდ ტოვებდა ტყავაძეს.

„მისთვის ახლა ყველაფერი სულერთია, მაგრამ შეიძლება აქ დიდხანს არავინ შემოიხედოს. მას, აღბათ, სამი ბილეთი აქვს.“ ქალმა კარი ღია დატოვა.

გასასვლელისაკენ ფეხათრევით მიდიოდა ვიღაც ახალგაზრდა. მაკას უღარდეღად შეხედა და თითქოს გაეღიმა კიდეც.

„ხომ არ მიცნობს?“ — ქალმა უკან დაიწია.

ტამბურში მგზავრები იდგნენ, ბარგს წინ მიითრევდნენ და თავიანთ რიგს ელოდნენ. არავინ ჩქარობდა. ქალმა, რაკი კიბისაკენ წასვლა არ ხერხდებოდა, დერეფნის გასწვრივ რომ არ მდგარიყო, მარცხნივ, დაეკტილი კარის მინაში გაიხედა. მეზობელ ლიანდაგზე მახუთიანი ცისტერნები იდგა. კარი რომ ღია ყოფილიყო, აქედან ჩავიდოდა, მატარებელს

მოუვლიდა, სადგურის სადარბაზოში შევიდოდა და უკან მოუხედავად გაეცლებოდა აქაურობას.

გენო სადარბაზოს წინ იდგა.

„რა ჩანდაბად უნდოდა დახვედრა, ვერ დაეტიე შინ?..“ — მაგრამ ახლა არც დგომა შეეძლო, არც ფიქრი. ჯერ როგორმე ვაგონიდან უნდა გაქცეულიყო, ბაჭნიდან გაელწია და მერე ეფიქრა. — „ტყავაძე ხომ ვერ შეიძლებდა წამოწეულიყო და ფანჯრიდან გადმოუხედა? ღმერთმა არ იცის მისი თავი, ღმერთმა არ იცის...“

ვაგონებს შორის გასასვლელი კარი გააღო ვილაყამ. ვალო და — სანამ გამოჩნდებოდა, ქალს თავისი ვარდახდა. ხომ შეიძლებოდა ქმარი მეზობელ ვაგონში ასულიყო?

— ღმერთო, თუ მართლა სადმე ხარ...

ხმელმა მამაკაცმა, ისე გაიარა, აქეთ არც მოუხედავს. მაკას ვახსენდა, რომ შეიძლებოდა ამ კარით გასულიყო. ამის გაფიქრება და გავარდნა ერთი იყო, მეორე ვაგონის დერეფანში გაირბინა და მესამეში ამოჰყო თავი.

უკვე ახალი მგზავრები შემოდდიოდნენ. ამოსასვლელთან ვილაყას შეეჩეხა და გაჯავრებულის ხმაც მოესმა: თუ ასე ეჩქარებოდა, აქამდე სად იყო. როგორღაც ვაძვრა, ჩავიდა და გენო დაინახა. დალუნა თავი და ბაჭნიდან გამსველელთა უკანასკნელ ჯგუფს გამოუდგა.

— მაკა!

არა, მოესმა.

— მაკა!

რა თქმა უნდა, მოესმა.

— მაკა, მაკა!

ვისი ხმაა, ქმრის თუ?.. ის ხომ არ ეძახის?..

— მაკა, არ გესმის?!

გენო ეძახის. პო, ისაა. ღმერთო ჩემო, აბა ვინ უნდა ყოფილიყო, ან სხვის ხმაში როგორ აერევა ქმრის ხმა!

უკან უნდა მიეხედა. იქით კი არა, სადაც „ის“ ეგულებოდა. მაგრამ ამ ხმამ ძალა შემატა, თუ პირიქით — დააძაბუნა, რაღაცამ აძულა ვაგონისაკენ მიბრუნებულიყო. და მაინცდამაინც იმ ფან-

ჯარას დაადგა თვალი, საიდანაც ტყავაძე უყურებდა.

ქალს ქვედა ტუჩი აუცახცახდა და, იმის მაგივრად, რომ ზურგი შეექცია და იქაურობას ვასცლოდა, გაჩერდა.

არაფერი არ ჰგავდა სინამდვილეს: არც ის, რაც მოხდა და არც ეს, რასაც ახლა ხედავდა. ასე სიზმარში: ვილაყ გიქერს, არ ვიშვებს, ვინდა გაექცე, იყვირო, მოუხმო მშველელს და, ხმას ვერ იღებ. მერე გარბინარ. მოგდევს. ვინდა ჩქარა, ჩქარა, გაიქცე და, ადგილზე კი დგახარ. იწურები იფლში, სული გაძვრება და, დგახარ... მაკა თითქოს ახლაც გამოღვიძებას ელოდა.

— მაკა! — სულ ახლოს მოესმა გენოს ხმა. ამ ხმამ გამოაფხიზლა, სადგურის სადარბაზოს მიაშურა და კარში შემოსულ ქმარს მანამ არ გამოუჩნდა, სანამ მოფარებული ადგილი არ მოძებნა. მკერდზე ხელჩანთა მიიკრა — კაბაზე ტყავაძის სისხლი მაცხიო. ისეე გაიქცეოდა, მაგრამ ძალა არ ჰქონდა. იცოდა, ტყავაძე ველარ ხედავდა.

მის წინ გაკვირვებული გენო შეჩერდა.

ქალი მიხვდა, გაფითრებული ვარო და გაღიმება სცადა, მაგრამ მაშინვე ივრძნო, რა უმწეოდ მოედრიცა სასხე.

— წამოდი გენო, გამიყვანე აქედან!

— ვინ მოგდევს?! — გაუჯვირდა კაცს, მიიხედ-მოიხედა და ცოლს მხრებაწეული გაჰყვა.

ქალი არც სადგურის წინ შეჩერებულა.

— მაკა! — დაუძახა უკვე გაბრაზებულმა გენომ.

ქალი მოტრიალდა და უკან სირბილით მოვიდა.

— რა დაგემართა?!

— არაფერი...

— რა გჭირს, არ იტყვი?

— რა უნდა მჭირდეს? — ისეე სცადა გაღიმება, მაგრამ დროზე გადაიფიქრა და თვალი სადგურიდან გამოშვალ თითო-ორილა მგზავრისაკენ გაექცა.

— ვის ემალები, ან სად მიგეჩქარება?

— შინ... სახლში არ მივლივართ?!

— მერე?

— ბავშვი, გენო... ბავშვის ნახვა მინდა... ჩქარა, ავტობუსი გაგვასწვრებს. გენო სადგურის წინ გამოფენილ ხალხს აკვირდებოდა.

— მითხარი, ვინ მოგდევს?!

— მერე ვეტყვი... — ქალი ისევ გზას დაადგა. — ჩქარა! ჩქარა! წუთხელი მთელი დამე არ უძინია, ხომ?!.

— ჭკუაზე ხომ არ შეიშალა... — თქვა კაცმა და წარბშეკრული, ფიქრიანი ნაბიჯით გაჰყვა.

ავტობუსში წინა ადგილები დაკავებული იყო. შუაზე თითო-თითო მგზავრი იჯდა ფანჯრის მხარეზე. უკან არავინ ჩანდა. მკაცრად ბოლო სავარძლის კუთხეში მიიყუტა, იქ, სადაც გვერდის მიწა თავდება და უკანა განიერი გასახედი იწყება. ორივე ხელით რკინის სახელურს ჩაეჭიდა და სახე მკლავებში ჩამალა. იცოდა, გენო არ აჩქარდებოდა და მანამდე რაიმე უნდა მოესწრო. ახლა, რაც არ უნდა ეთქვა, ქმარი მოუსმენდა, თავს მოაჩვენებდა, თითქოს ყველაფერი სჯეროდა, მაგრამ მერე რაიმეს ჰკითხავდა. იქნებ — ხვალ, იქნებ — ზეგ. ჰკითხავდა და აგრძნობინებდა: რაც მითხარი, ასე გავიგეო. თავგზააბნეულ ქალს ახლა ყელში ხელს არ წაუტყერდა — აცლიდა დამშვიდებულყოფილ ამასობაში კი, რაღაც უნდა მოეფიქრებია, რომ ქმრისათვის თვალი აეხვია.

შეცბუნებულმა თავი წამოსწია... „თვალი უნდა ავუხვიო“. არა, „თვალის ახვევა“ კი არა, — ტყუილი უნდა ეთქვა... ჰო, ტყუილი...

გენო არ ჩანდა.

„სადაა, — ქალმა გზას გახედა, — ხომ არავინ დაეწია?“

რა იქნებოდა, გენო ფეხდაფეხ მოჰყოლოდა და ავტობუსი მაშინვე დაძრულიყო. ან ის დასაწყვავი მატარებელი წაშავებულყოფილ... მაგრამ, სად უნდა წასულიყო ტყავაძე? მანამდე ევლო, სანამ სადამოს იგივე მატარებელი უკან არ დაბრუნდებოდა? ჰო, ასე უნდა ექნა.

აქაურობას უნდა გაცლოდა... აქ არაფერი არ ესაქმება ტყავაძეს...

გენომ, ალბათ, მაღალხედი შეუხვია. იცის, ავტობუსი ჯერ არ წავა. მას აგრერიგად არაფერი შეეშლება და მაკამ უნდა მოატყუოს. არა, კი არ უნდა მოატყუოს, ტყუილი უნდა უთხრას... მაკას შეიძლება რაიმე დაუფარავს ქმრისთვის, ტყუილი კი არასოდეს არ უთქვამს. ახლა ტყუილი უნდა უთხრას... იქნებ იგვიანებს. იცის, რომ მოვა, მიზეზიც უნდა ჰკითხოს. ყველაფერი კი აშკარა იყო. და არც შეიძლება იფიქროს, რომ ქალი უგუნებოდ იყო, ან მართლა ბავშვის დაარღმა ვადარია.

ავტობუსში ვიღაც ამოვიდა.

— გენო?

არა, ღია ფერის ხალათი აცვია. გენოზე მაღალია და სუსტი. თავი დაუქნია, მიესალმა მაკას. ნაცნობია, მაგრამ ისე ახლო ნაცნობი არაა, რომ გამოელაპარაკოს.

მაკას აქ ბევრი იცნობს.

ქალმა იქაურობას ქურდულად მოავლო თვალი.

მარჯვნივ, წინა სკამზე რომ ზის, გენოს სოფლიდანაა. აფთიაქის გამგის ცოლია. გათხოვებამდე გენოს სკოლის ამხანაგი უყვარდაო, ამბობენ, მაგრამ ერთ დღეს აღდა და აფთიაქის გამგეს გაჰყვა. მერე რა მოხდა... არაფერი! უყვარდა. ცოლი ხომ არ იყო მისი! ცოლიც რომ ყოფილიყო და სხვას გაჰყოლოდა, არც ეს იყო ქვეყნის დაქცევა, თუკი ქმარი არ ენდომებოდა...

მაკა რომ არ მიესალმა, ნეტავ, რა იფიქრა?

ელექტრომავალმა დაიბუბუნა.

მაკამ თავი ისევ ჩარგო. შუბლი წინა სკამის სახელურს დააბჯინა და თვალი ძალუმაღ მოუტუტა, თითქოს ამით შეეძლო სმენაც დაეხმო.

გენო რომ გამოჩნდა, ავტობუსის გასვლას ბევრი აღარ უკლდა. ილიაში გახვეული პური ამოედო. მაკას იგი ისე შეეცოდა, რომ იმ წუთში ვერაფრით ვერ გაიხსენა, ამ კაცზე საბრალო ვინმე

თუ შეხვედრია ოდესმე. და ახლა გულს ურევდა, რომ ეს კაცი უყვარდა.

წავლილი ელშავლის შორეული ხმა მოისმა და ოდნავი შეგება იგრძნო.

გენომ ავტობუსის კიბეზე რომ შემოდგა ფეხი, ქალმა გაიგონა: იქ რაღაცამ დაიჭირა და უშალ ეს ფიქრი ეცა: რა ვუთხრა, რა მოვიგონო.

რა უნდა მოიგონო. როცა სადგურზე ქმარი გელოდებოდა, ჩამოდის ყველა, შენ არ ჩანხარ, მერე თავდადუნული გარბიხარ. გეძახის, ვესმის, მაინც ვარბიხარ. ჩერდები და ქმრისკენ კი არ იხედები, უყურებ ფანჯარას... და ისევე გარბიხარ... ეხვეწები, რომ ჩქარა გაგიყვანოს ღარბაზიდან, არც სადგურის წინ შეგიძლია შეჩერდე, იმ მიზეზით, რომ გეჩქარება შინ — ბავშვი მოგენატრა...

როცა მის გვერდით ჩამომჯდარი კაცის სიმძიმით ზამბარები დაიწია, ქალმა ხელები მაგრად მოუჭირა სახელურს და მანქანის კედელს მიაწვა.

„რა ვუთხრა...“

— გენო, დაგავიანდა!..

ქმარს არ უპასუხია, ცერად შეხედა. ვიღაცამ ორი მძიმე ჩემოდანი შემოიტანა და გენოს გაუღიმა. გენომ ჩემოდანი ჩამოართვა, ფეხებში შემოაძვრინა.

— აქეთ მოსწია — მკაც თვითონ წაეტანა, თავისკენ ვააცურა.

ჩემოდნების ბატრონი ოფლს იწმენდა, ეტყობოდა — მალე გენოს ვამოეულაპარაკებოდა.

— ბავშვი როგორაა? — იკითხა მკაცამ ყრულ.

კაცმა თავი დააქნია.

— სიზმარი ვნახე ცუდი! — ეს არ მოუფიქრებია, ისე თქვა და გააყრყოლა. ეს იყო ის ტყუილი, რომელიც ვერ მოიფიქრა, მაგრამ უკვე გაჩნდა ის, რითაც თვალს აუხვევდა ქმარს და შეზარდა ყველაფერი, რაც ავტობუსში და მის ფანჯრებს იქით ჩანდა. ყველაფერს ზიზღით უყურებდა ისე, რომ თავის თავზე არ ფიქრობდა, ჭერ კიდევ არ იცოდა თავისი თავის სიძულელი. მან ზიზღი თვალნათლივ დაინახა მამინ, როცა ქრილობაგახსნილ ტყავაძეს დანებდა.

დაინახა, მაგრამ ვერ განიცადა. იმ წუთში ზიზღის დანახვა და შეცნობა ერთად არ მოხერხდა.

...და ახლა ეს ტყუილი, რომელიც ვერ მოიფიქრა და თქვა, მას არ ეკუთვნოდა, იგი მის გარეთ გაჩნდა და, როცა ითქვა, მერე გაიგონა.

— ტანჯავა წუთისოფელი, — ამოილაპარაკა გენოს ნაცნობმა, ყბებჩაცვენილმა შუახნის კაცმა, როცა გაოფლილი მელილოტი თავი შეიმშრალა.

გენომ, სანამ მისკენ მიბრუნდებოდა, ცოლს სახეში შეხედა...

მან მოისმინა, რომ ქალმა ცუდი სიზმარი ნახა შვილზე... როდის იყო, სიზმრის ასე რომ სჯეროდა, მაგრამ თუ მინცდამაინც დაიჯერა, რატომ პირველი არ ჩამოხტა მატარებლიდან და ქმარს არ მიაშურა, რომ შვილის ამბავი ეკითხა? თუ გენო ვერ დაინახა და ვერც ძახილი გაიგონა, როცა პირისპირ შეხვდა, სადღა გარბოდა!

ავტობუსი დაიძრა.

„ღმერთო, შენ უშველე, თუ მართლა სადმე ხარ!“

დაბის დასასრულში ახალი მგზავრებით შეივსო მანქანა. ერთი მათგანი ცხვირგაპყლელი, თვალბეჭექდამოფხატული რადიომონტორი იყო. ახლაც ბოძებზე ასასვლელი, ნამგალოვით მოხრილი რკინები ჰქონდა მხარზე. მკაცსთანაც არაერთხელ ყოფილა ეს მონტორი, მაგრამ იგი, საერთოდ, არავის არ ესალმება. მარტო ავტობუსში კი არა, სახლშიაც რომ მოვა, იქაც არაფერს ამბობს; არც იმას კითხულობს, რაა დაზიანებული და რის გაკეთებას თხოულობს აბონენტი. სულ მალდა იცქირება და, თუ ელაპარაკები, ხეირიანად არც იცის, ქალი ელაპარაკება თუ კაცი. „პო, მერე?“ — იტყვის, როცა სათქმელს მოათავებ.

ერთხელ, მკაც შინ მარტო დახვდა. წინა დღეებში მაგარი ქარი იყო, ბოძზე დამაგრებული ფაიფურის კოჭი ავლიჯა და მავთულები ერთმანეთში განალართა. მკაც არავის არ ელოდა. ქოშებში შიშველფეხწაღმულს თასმებიანი მოკლე

სარაფანი ეცვა. სარაფანი ჩითისა იყო და გარეცხვის შემდეგ ისე მოიკლო, მუხლისთავეებს ვერ უფარავდა. შინ მარტო იყო თუ არა, იმით ქმართანაც ვერ გამოჩნდებოდა. არც დაძახება, არც რაიმე შესმინება, — ხელდავს, ეზოში ვილაც კაცი დააბიჯებს. მაკას იმ წუთში არ მოგონებია, რა ეცვა და... გარეთ გამოვიდა.

— ვინ გნებავთ, ბატონო? — ეკითხება.

— ჰო, მე ვარ! — უპასუხა და ზედაც არ შეხედა. მაკამ გულზე ხელები აიფარა და უკან გაბრუნდა, მაგრამ შინ რომ შევიდა, თავი მაინც შეურაცხყოფილად იგრძნო. ამ კაცს წინ ნახევრად შიშველი ქალი უდგა და ერთხელაც არ შეხედა. ახლაც მადლა, სახელურზე ეყიდა ხელი და ავტობუსის ლაყვეკერცხისფერ ჭერს უყურებდა.

რალაც მოკრძალებია იგრძნო ამ კაცი-სადმი, თუმცა მაკა არც ახლა დაუნახავს მონტიორს. არც მაკა და არც არავინ.

„თუ კიდევ მოხვდა ჩვენსას, გენოს ვეტყვი, პატიოსანი, მშრომელი კაცია და პატივი ეცი-მეთქი“. — გაიფიქრა და გვერდის ფანჯარას გახედა.

„ეეჰ, ამაზე ფიქრის დროა ახლა?..“

● ავტობუსი ასფალტიან გზაზე მიდიოდა, მაგრამ ხშირად ვარდებოდა ორმოვებში და უკანა კარი განუწყვეტლივ რახუნობდა. როცა ღრმად ჩაეხეთქებოდა, ამ დროს ხამაღალ სიტყვასაც ვერ გაიგონებდი, რალაცის თქმა ისევ ახლა სჯობდა. ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა ეთქვა და, როგორაც არ უნდა მოეფიქრებია, ვერასოდეს ამ ამბავზე დალაგებით ვერ მოყვებოდა. მანქანის რიხინში ნათქვამს გენო ნახევარს ვერ გაიგებდა, მაგრამ რალაცს ხომ ეტყოდა და, ქალს შეეძლო ეფიქრა: მე ჩემი ვითხარო.

გენო უნდა ჩამომხტარიყო, სამსახურში დარჩენილიყო და მაკა შინ გაეშვა.

„რატომ მოდის; იქნებ იმიტომ, რომ ყველაფერი გულდასმით გამოიკითხოს?“

არა, ისევ ახლა სჯობდა რალაცის თქმა სულერთია, რისი, ელონდ უნდა ეთქვა.

რით დაეწყო, ან რაზე ელაპარაკათ! რა უნდა მომხდარიყო იმის მეტი, რაც მოხდა. და თუ მოხდებოდა, რატომ მაშინვე არ უნდა გაემხილა?

მაშინ რომ არ დაბნეულიყო და ჩამოსულიყო ვაგონიდან, მისულიყო გენოსთან, არავითარი ყურადღება არ მიექცია სხვა მგზავრებისათვის, გამოედლო ხელი და საქმიანი საუბრით წასულიყო, ისე, როგორც სხვა დროს, არაფერი არ იქნებოდა. თუ „ის“ დაინახავდა, დაენახა, მაკას კი არ უნდა მიეხედა.

ქმრისაკენ გააპარა მზერა. ჩემოდნების პატრონი კარგა ხანია არაფერს ამბობდა. გენო გვერდით ფანჯარაში იცქირებოდა, მაგრამ თითქმის ვერაფერს ვერ ხედავდა. იგი ფიქრობდა და ისე საცოდავი არ ჩანდა.

— „ნეტავ რას ფიქრობს?“

ტყავაძე რომ ჩამოსულიყო ვაგონიდან და ეთქვა: — ეს შენი ცოლი...

რა უნდა ეპასუხა გენოს?.. თუ არ მოსულა და არ უთქვამს, ფანჯრიდან ხომ დაინახა, სადგურის კართან რომ დაეწია. დაინახავდა და გაიცინებდა: ვითომ ესეც კაცია და „ცოლი“ ჰყავსო. მატარებელზე დახვდა, ალბათ, ნაშუალამებს აქეთ არც უძინია — არ დამავგებდესო. ვინ იცის, რამდენი ხანია ყურყუტებს სადგურში, რომ ცოლს შეეგებოს. ხომ კარგად ეძინა წუხელ? შინ იქნებ ნამგზავრს მოსვენება ურჩიოს და თვითონ ფეხაკრეფით იაროს.

გენოს ბრალია, რატომ გაუშვა! ეთქვა: — არსად არ წახვალ!... მაკას თუ ეწყინებოდა, წყენოდა, ამაზე უარესი რა მოხდებოდა!.. ან ახლა რად დახვდა, რა ჯანდაბის დახვედრა უნდოდა! ჩაეგდებოდა ავტობუსში და მივოდოდა შინ. სულაც ფეხით ევლო, არ ეკადრებოდა? რატომ დახვდა, ან ახლა რატომ არ დარჩა სამსახურში! გუშინვე ხომ არ იგრძნო რაიმე? იცის, რომ მე იქეთ ასე ხშირად არ დავდიოდი და ჩემი გუშინდელი ნუცბათევი წასვლა დაეძვებდა...

შინ მოდის, რომ ყველაფერი დაწვრილებით გამოკითხოს.

კონდუქტორ ქალს ბილეთები გაეყიდა და თვლემდა. მაკას არ გაუგია, როდის აიღო გენომ ბილეთები.

ხანში შესულ კონდუქტორს სახეზე უკვე ნაოჭები გასჩენოდა. სავსე ქალი იყო, თორემ წლები მეტად დაემწნეოდა. დიდი ხანი არაა, რაც ამ ავტობუსზე მუშაობს და მაკამ არ იცის ვინაა, მაგრამ ზოგჯერ იმდენად მოუხრიდებოდა, მაკას რატომღაც ჰგონია, რომ ამ ქალს ყოველთვის წმინდა წყალი არ უსვამს. მაკამ არც ის იცის, ქმარი ჰყავს თუ არა, ნათესავებთან ან ახლობლებთან როგორ იჭერს თავს. ნეტავ, შოფერს ხომ არ ჰყვარობს?

— კონდუქტორს ორივე მსუქანი ხელი ჩანათაზე ედო და მანქანის რყევებში კისრის ნაოჭები უღრმავდებოდა.

„თუ სახლი და ოჯახი აქვს, რატომ გაუტყდა ძილი, რატომ თავის დროზე არ დაიძინა... თუ სადმე სხვაგან იყო, ახლა რატომ არ ეშინია, ვინმემ უძილობის მიზეზი ჰკითხოს? რა თქმა უნდა, ქმარი არ ეყოლება და სხვას რა ესაქმება, ვისთანაც უნდა იმასთან გაათევეს...“

მოსახვევში მანქანას უშველებელი თვითმცლელი შემოეფთა. ავტობუსმა გაუხვია, ასფალტს გადაცდა და ისე ჩახეტოქა, ვილაცამ წამოიკივლა კიდევ. მაკას სულ არ უგრძენია შიში.

— უჰ, ეს ოჯახიორი! — ამოილაპარაკა გენომ და მაკას შემოხედა.

„გულზე შემხმარ სისხლს დაინახავს და გაუკვირდება, სისხლზე ვერაფერს ვერ იფიქრებს, მაგრამ გაუკვირდება...“

თვითმცლელმა ჩაიარა. ავტობუსი ისევ ასფალტზე ავიდა, მაგრამ ასვლისას მაღლა შეხტა, მგზავრები აისროლა და მაკამ მტკივნეულად იგრძნო წვივზე ჩემოდნის მოხეტიალე და მერე ფეხის თითებზე დაცემა. მაშინვე წაიღო ხელი, ჩემოდნის გაწევა დააპირა. გენომ შენიშნა და მის ხელს თვალი გააყოლა. ქალი მიხვდა: კაცი თავისკენ წაიღებდა ჩემოდანს, თუ დაინახავდა, რომ ფეხზე აწვებოდა. მერე შეიძლება რაიმეც ეთ-

ქვა და თვითონაც უნდა ამოეღო ხმა. ქალმა კაბა გაისწორა მუხლებთან და ჩემოდანს აღარ შეხებია, არც წვივზე მოუსვამს ხელი. რაკი ბოლოში ისხდნენ, მანქანის რყევაც მათთან მეტად იგრძნობოდა და ჩემოდნის ქვეშ მოყოლილი ფეხის თითები ებეგებოდა. ტკივილი წამით ავიწყებდა, რომ ქმრისათვის ტყუილი უნდა ეთქვა. ჰო, უკვე დრო იყო, ამდენ ხანსაც უნდა ეთქვა. ახლა დაიწყებდა და ეტყოდა, მაგრამ ტკივილი უშლიდა ხელს ეთქვა ის, რაც ვერ მოიფიქრა და ნატრობდა, მანქანას კიდევ უფრო ჩქარა ევლო და გზა გაუარესებულყო.



ავტობუსიდან კოჭლობით ჩამოვიდა. ვერ გაეგო, ამდენად ტკიოდა თუ მოიგონა. იცოდა, ამით ქმრის ყურადღებას მიიქცევდა. მართალია, მას არ მოუგონია ჩემოდნის თითებზე დაცემა, მაგრამ შეეძლო ფეხი გამოეღო, ან ჩემოდანი გაეწია და არ გააყეთა ეს.

— რა მოვივიდა? — ჰკითხა ქმარმა, როცა ქალმა ორიოდ ნაბიჯი კოჭლობით გადადგა, შეჩერდა და ფეხი აიკაშა.

— ჯანდაბა, ჩემი არგადარჩენა!
— ავტობუსში მაინც რაღა დაგემართა?

— სიკვდილი... — ქალმა მიწას ქუსლი წაჰკრა და ფეხსაცმელი წაიძრო.

— არ იტყვი? — ჰკითხა კაცმა, ახლოს დაუდგა, რომ მკლავში ხელი მოეკიდა და ფეხკაუჭებულს წონასწორობა დაეცვა. ქალი მაშინვე წაეტანა და თქვა:

— ჩემოდანი დამეცა, გენო.

— როგორ, საიდან გადმოვარდა?!

— ჩემოდანი დამეცა! — თავი ასწია და თამამად გაიმეორა. როგორ დაეცა, არ უთქვამს. რასაც ახლა ამბობდა ტყუილი არ იყო.

— თქვი, როდის დაგეცა ჩემოდანი?

— არ დამეცემია... კი არ დამეცემია... — ფეხი ძირს დადგა, დააწვა; ვათუ აღარ მტკივო, მაგრამ რაღაც ტკივილს მართლა გრძნობდა და განაგრძო:

— მოსახვევში რომ მანქანა ჩაეხეთქა, ვახსოვს გენო?

— ჰო, მოსახვევში.

— თვითმცლელი რომ შემოგვეფეთა. როგორ დაჰყავთ, ოჯახდასაქციეებს!..

— მერე?

— მერე... ჩვენს წინ ჩემოდანი რომ იდგა, ფეხზე დამეცა და მთელი გზა თითებზე მაწეა.

— თითებზე?! — გაუკვირდა კაცს და თვალბუბო ჩახედა.

ქალი დაიხარა. ფეხსაცმლის ქუსლში თითი ჩაატანა, როცა გაიმართა, კაცს ხელი უშვა და ნაბიჯი გადადგა.

— უბედურ ფეხზე გადმოვედი წუხელ... უბედურ ფეხზე და საათზე გადმოვედი... — გაიმეორა, მოტრიალდა და ხელი ისევ კაცის მკლავს წაავლო. გაყუჩდა, უნდოდა როგორმე თვალი გაესწორებინა და ვერ ჰქნა. უნდოდა ატირებულიყო და ვერ მოახერხა.

— მაკა, რა დაგემართა, ავად ხომ არა ხარ?

— უბედურ, დაწყველილ ფეხზე გადმოვედი წუხელ... უბედური... უბედური! — ჩააცვიდა და არ მოეშვა ამ სიტყვას. ეს სიმართლე იყო, მაგრამ არ შეეძლო დღისით ქუჩაში ატირებულიყო, — მე იქ ყოველთვის უბედური ვიყავი...

გენო მკლავში მიწვდა, რომ ხელი გაეშვებინებია, ქალი მთელი ძალით უჭერდა.

— უბედური... უბედური, უბედური...

— გაჩუმდი, მაკა!

— უბედური, გენო, უბედური!..

— რა მოხდა თქვეი, ამოიღე ხმა!

— მთელი ღამე, გენო, მთელი ღამე, მთელი ეს დასაქციევი ღამე ჯიბგირებთან ვიმგზავრე, ბანდიტებთან, კაცის-მკვლელებთან... მთელი ღამე... გენო, რატომ გამიშვი მარტო, რატომ, რატომ დამელუბე...

— რამ დაგლუბა, რა უნდოდათ!

— რა უნდოდათ? — ქალმა თავი აიღო და წყენით შეხედა ქმარს.

ეს იყო უკვე ის ტყუილი, რომლის თქმისაც ასე ეშინოდა, ეს ტყუილი უკვე მასში გაჩნდა და ისე მტკიცეული

იყო მისი თქმა, რომ თვალები ცრემლით აევსო.

— მეზობელ კუბეში ვილაყეები ხმამალლა ლაპარაკობდნენ, მთელი გზა შიშით გვკვდიბოდი, არ ჩასძინებოდათ.

— შენს კუბეში ვინ იყო?

— ორნი იყვნენ. ჩემს მერე ამოვიდნენ, მეორე გაჩერებაზე; როგორც კი დამინახეს, კარი ჩაქეტეს...

„ყველაფერს ტყუილს ვამბობ, ტყუილს“.

— კი, მაგრამ ხალხი სად იყო?

— არავინ არ იყო, გენო, ხომ გითხარი, კედელს იქით ლაპარაკობდნენ... კუბეში კი მეტი არავინ იყო... შენ რომ დაგინახე, ყვირილი დავაპირე, შემატყეს და, გეხუმრეთო... იმიტომ დამავიანდა ჩამოსვლა, შენთან არ მოვედი, სადგურში შევევარდი, იქაც მეშინოდა არ დამწეოდნენ და შენთვის რაიმე არ ეტებათ... ვაიმე, რა უბედური ვარ... ტყუილი გითხარი, გენო! ჩემი არაფერი არ დაიჭერება, — უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ ისევ ტირილი მოუნდა და სიტყვა წაერთვა, — ტყუილი გითხარი, ცული სიზმარი ვნახე-მეთქი, არაფერი სიზმარი არ მინახავს; არ დაიჭერო, გენო... არ დაიჭერო, სულ არ მძინებია... მთელი ღამე თვალი არ მომიხუტავს... ტყუილი გითხარი, ტყუილი...

სანამ ავტობუსი სადგურისაკენ გაუხვევდა, გენო მესამე გაჩერებაზე უნდა ჩამოსულიყო და სტამბაში შეეელო. პატარა, მაგრამ საკმაოდ გაფანტულ დაბაში სტამბიდან რედაქციამდე ნახევარი კილომეტრი ფეხით უნდა გაეელო, ორი ამდენი — ავტობუსით. სტამბა ისევ იმ ჩაფხვიელ შენობაში იყო მიტოვებული შეუკეთებლად, რადგან ახლის მშენებლობა მალე უნდა დამთავრებულიყო; თუმცა, ვინ იცოდა, რამდენხანს მოუწყვდა სტამბის მუშებს ცალი თვალით მალლა ყურება, თავზე ჭერი არ დაგვენგრესო. რედაქცია უკვე რაიკომის სამ ოთახში იყო თავშეფარებული, რომელთგანაც ერთი ახალ რედაქტორს

ეპირა. ყველაფერი ამ ორ კვირაში მოხდა, რაც ირაკლი „პოლიკარპოვიჩი“ რედაქტორად მოავლინეს. ადრე, დამყოლი და უპრეტენზიო დომენტის დროს, არავის აზრად არ მოსვლია, რედაქციისათვის ადგილი რაიკომის შენობაში თუ გამოიძებნებოდა, ან რედაქტორის კაბინეტი სტამბის აივანში შემოჭვდილ ოთახგარეთ შეიძლებოდა ყოფილიყო, სადაც თავი კუდს ვერ მოიქნევდა. მაგრამ მოვიდა ახალი კაცი. და, თურმე, ის კი არ არის მთავარი, რა თანამდებობა გიჭირავს, საქმე ისაა, ვის უჭირავს ეს თანამდებობა. სულ რაღაც ორ კვირაში გამოიძებნა ოთახებიც, სახელდახელო რემონტის თანხებიც და ტელეფონებიც დაიქსელა. გენოსაც „საკუთარი“ ნომერი აქვს, მაგრამ მარტო ტელეფონი საქმეს ჯერ შევლის. რედაქციიდან სტამბამდე დღეში ბარე სამჯერ მოგიწევს კაცს გასვლა და გამოსვლა. „პოლიკარპოვიჩი“ ახალი რეჟიმის შემოღებასაც აპირებს. გუშინწინ ლიტმუშაკს საყვედური გამოუცხადა და დანარჩენები ხმამალა გააფრთხილა: ჩემთან ის ძველი ამბები აღარ გამოდგებაო. ყოფილი რედაქტორი სხვა მხრივ არ უხსენებია.

მაკამ არც კი იცის, ახლა რედაქციაში რა ამბები ტრიალებს. მართალია, ამას წინათ გენომ მოასწრო იმის თქმა, რომ დომენტი აღარ იყო რედაქტორი, რაც მაკას არ ესიამოვნა, მაგრამ მეტი არ ულაპარაკიათ და, ალბათ, ყველაფერი ძველებურად ჰგონია.

გენოს წერ სტამბაში უნდა გაეგლო, ზვალის ჩომრისათვის თავისი ორი წერილის ამონაბეჭდები წაეკითხა და რედაქციაში წასულიყო. არც კი ეგონა, თუ ამდენი დაავგიანდებოდა. არ ეგონა, რადგან სახლამდე ცოლის მიცილებას არ აპირებდა; მაგრამ მატარებლიდან რომ ყველა ჩამოვიდა და მაკა არ ჩანდა, ისიც კი იფიქრა, ხომ არაფერი შეემთხვაო. მერე სიმამრი გაიხსენა. იქნებ სიმონი ისევ ცუდადა და წამოსვლა აღარ მოხერხდაო. მამის ავადყოფობა, აცენილი ძმის ამბავი, დედა, რძალი და, ვინ იცის... ჰო, ვიღაც ნუცა...

ვული დაწყდა, რომ ელოდა და არ ჩამოვიდა. იქნებ გვიან ღამით გამომცილებელიც არავინ ჰყავდა, — ასე შენს გემოზე ვის სცალია. ინანა, რომ არ წაპყვა, მაგრამ მაკამ თითქოს ისეთი დრო შეურჩია... არა, ეს ცოლზე არც უნდა იფიქროს, თუმცა სხვანაირად როგორ უნდა ახსნას მაკას გუშინდელი საქციელი. ჰო, ვინ იცის, ნასესხები ფული მანამდე არც მოაგონდა. მაკას არ უნდა ვინმემ, მით უფრო მისმა მეგობრებმა, იფიქროს, რომ უჭირთ, ან რაიმე აკლიათ. გენომ იცის ცოლის ხასიათი და ეს კი არ სწყინს. პირიქით ემაყუება; მაგრამ მის გუშინდელ საქციელში მაინც იყო რაღაც უჩვეულო და მაკასათვის შეუფერებელი...

უნდა წაპყოლოდა... სად თქმულა მარტონელა ქალის ღამით მატარებელზე პოტიალი.

გენოს თვითონვე გაეცინა მის ნაფიქრალზე, — ასე დედაჩემიც კი აღარ მსჯელობსო.

უნდოდა უკან წამოსულიყო, როცა მიმავალმა მეზავრებმა დაიწყეს ვაგონის კიბეებზე ასვლა, მაგრამ გუნება წაუხდა. აღარც წამოსვლა უნდოდა. მერე მოაგონდა: სტამბაში ადრიაანდ შევივლი, გოგოებთან ვილაპარაკებ და წერილებს გადავიკითხავო. გადაწყვიტა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა და ის იყო მაკაც შენიშნა... მაკას სულ არ ეტყობოდა, რომ ვინმეს დახვედრას ელოდა; მხრები აეწურა და თითქოს გარბოდა. იცნო, მერე ეჭვი შეეპარა; მაკამ თავაწუთილი სიარული იცის, ალბათ, ამიტომაც დაუძახა. დაძახება უნდა გაეგონა მაკას. გენომ დანახა, რომ გაიგონა კიდეც. იგი წამით შეჩერდა, კი არ შეჩერდა, შეკრთა. გარეშე თვალი ამას ვერც შეამჩნევდა. კიდეც დაუძახა, მერე კიდეც და... ცოლს არ ეტყვის — გეძახდი და წამიყრუეო, ისე კი იცის, რომ გაიგონა. იფიქრა, მამა ხომ არ გარდაეცვალაო; მაგრამ არა, ეს არ იყო მიზეზი. ბოლოს გასასვლელთან დაეწია. რაო, რა თქვა? ბანდიტებთან ვიმგზავრეო?!



საკორექტოროს დანჯრებთან, უშველებელ ყუთში საგანგებოდ შეფუთული ლინოტიპის ახალი მანქანა იდგა და გზიდან ოთახში ვერავის დაინახავდი. გენო პირველად ყოველთვის კორექტორებთან შედიოდა. ახლაც, კიბის ორი საფეხური აიარა და მარჯვნივ შეუხვია. ოთახში მარტო ცილა დაუხვდა, მაგიდის გამოღებულ უჯრაში ჩაერგო თავი. უჯრა მაშინვე მიხურა და შემოსულს შეხედა.

— გენო! — გაღიმა და კაბის ზედა ტანი დაქაჩა. — ცოცხალი აღარ გვევონე.

— თებროს სად არის?

— თებრონე მიდის წყალზედა... დილიდან არაფერი უჭამია. ასე თქვა და, რა ვიცი, ვილაცამ დაურეკა... არა, არა შინ გაიქცა. მართლა, სად იყავი აქამდე?

— ეკ, ჩემო ცილა, წუთისოფლის გზა ფათერაკებითაა სასვე.

— რა შეგემთხვა?

— მე არაფერი, — ცოლს.

— ჰო, მართლა, მკა ჩამოვიდა?

— ჩამოვიდა.

— მამა ისევ საოპერაციოაო?

— არ ვიცი, არ მიკითხავს.

— გენო, როგორი კაცი ხარ, მართლა არ ვიკითხავს?

— მგონი თვითონ მკა ვერაა კარგად.

— კაი რა, მკაზე ნუ ამბობ ასე.

— დავანებოთ თავი მკას და საქმეს მიხვდეთ. ჩემი წერილების ამონაბეჭდები თქვენთანაა?

— თებროს უჯრაში ნახე.

გენომ უჯრა გამოაღო. იქაც გაშლილი წიგნი იყო.

— ეს კარგად მოგვიგონებიათ. ეტყობა, კანონით იკრძალება წიგნის კითხვა, მაგრამ არ არსებობს კანონი, თავი რომ არ შემოეფლოს.

— რას იზამ.

გენომ უჯრიდან სვეტებად აწყობილი ამონაბეჭდი ამოიღო.

— ეს ერთი გადავითვალისწინებ, მეორეზე კი, ჭერჯერობით, ვიკავებ თავს.

— რაო, რედაქტორს დაუწუნებია?

— არა, თავი შეუთავებია.

— მომეცი, გენო, წავიკითხავ. შენი წერილები ყოველთვის საინტერესოა.

— ეს თებროს ჰგონია.

— რატომ მარტო თებროს?

— თებროს ვუსყვარვარ.

— შენ ხუმრობ და, მგონი, მართლა უყვარხარ.

— რა დროსა ვარ ცოლიანი!

— კბი რა, ნუ ამბობ.

— რალაც ისეა საქმე...

— გენო, მკაზე შეიძლება ასე ლაპარაკი?

— კარგი, კარგი, წიგნი იკითხე, წიგნი ცოდნის წყაროა.

— რაკი წყაროა, ვიკითხავ.

ცილამ უჯრა გამოაღო და კითხვა განაგრძო. გენომ ამონაბეჭდები დაიღო წინ, მაგიდას იდაყვით დაეყრდნო და მაშინვე თვალში მოხვდა პირველი გრძელი აბზაცი. იგი ამ წერილს დილოლოგიით იწყებდა. ამ დილოლოგიდან ჩანდა, რას ფიქრობდნენ მეჩაიეები:

„ნათელი პერსპექტივები“. იწყებოდა გრძელი, დუნე წინადადება, შემდეგ პირდაპირ მაჩვენებლებზე გადადიოდა.

ქალღლები უჯრაში ჩაყარა.

— დედნები სადაა?

— საამქროში წაიღეს, — თავაჯლებლივ უპასუხა ცილამ.

ტელეფონმა დარეკა.

— ვაი თუ „პოლიკარპოვიჩი“ რეკავს და თებროს იკითხოს! რა ვუპასუხო?

— უპასუხე, რომ სადღაც აქვია.

— მკითხავს, — ქალო, როგორ არ იცი, სადაა შენი კოლეგაო!

— ალოო, გისმენთ, პოლიკარპოვიჩი! — სტამბის გამგე?

— მე მალაპარაკე, — გენომ ხელი გაუწოდა.

— ელაპარაკეთ... ამოილუღლულა ცილამ და ყურმილი გენოს გადააწოდა.

— გენო ველაპარაკებით... დიახ, ახლა ვკითხულობდი... ეს ციფრები ხომ მეც ვიცოდი... რატომ მოკრძალებულად. მე, რაც მთავარი იყო, ვთქვი...

საქმე ციფრები კი არაა... მე ადამიანები მინდოდა... ისიცაა და ისიცაა? აქ მარტო ციფრები... — და ყურმილი დადო.

— გენო, რატომ ელაპარაკები ასე, ხომ იცი, შენზე ისედაც აღზეროდა.

— სანამ მე აქ ვეგულები, ველარ დარეკავს.

კარი გაიღო და თებრომ თავი შემოჰყო.

— უი, გენო მოსულა! — შემოვიდა, კარს ზურგით მიაწვა და თვალები აუციმციმდა.

— თებრონე, როგორ ხარ, გუშინწინის აქეთ არ მინახავხარ!

თებრომ თვალებით და თავის დაქნევით უპასუხა.

— გოგო, რას ჰამდი ამდენხანს?

— ჩუ, გენოსთან ნუ ამბობ...

— რას ვამბობ, ადამიანი უჭმელი რომ ვერ იქნება, გენომ არ იცის?

— ღმერთო მომკალი, გაჩუმდი ცილა!

გენო წამოდგა.

— რედაქტორმა...

— დარეკა?

— დარეკა და გიკითხა.

— იმასაც ხომ არ უთხარი?

— უნდა მეთქვა, მაგრამ გენომ გამომართვა ყურმილი და შენი გულისთვის...

— რა უთხარი? — თებრომ მადლიერი თვალით შეხედა გენოს, — ჩემი გულისთვის არაფერი აწყენინოთ!

— აწყენინა კი არა...

— რა... რა...

— არაფერი. შენ არ უკითხხარ, — უბრალოდ თქვა გენომ, მაგრამ მაშინვე იგრძნო, რომ თებროს გული დაწყდა.

— აბა რისთვის დარეკა? — არ აცალა ცილამ.

— სტამბის გამგე იკითხა.

— ამბერკი? კარგად იცის სადაცაა და, იქ დაურეკავდა. თებრო რომ აქ ყოფილიყო, არც აწყენინებდი.

— თებრო, არ დაუჭერო, მე ჩემი წერილის თაობაზე ველაპარაკე...

— თებრო რომ არ ეკითხა? — ჩაურთო ცილამ.

— შენ რა, გინდა თქვა, რომ მე თებრო...

თებროს სახე აელეწა და პირი იბრუნა.

— ეგ არ ვიცი და...

— ცილა, დედას ვფიცავარ, ვიტობე.

— იტირე მერე.

— მაშინ, ჩვენ უფრო უარესი ვიცი და, იმასაც ვიტყვი, შენ და რედაქტორი... — გენომ თითი დაუქნია, — ციცი!..

— ნეტა მაგის შეყვარება თავის დროზე თუ შეიძლებოდა.

— რატომ, ახლაც რა უქირს, გოეთე ოთხმოცი წლისა იყო...

— ის გოეთე იყო.

გენომ მაგიდასა და კედელს შორის გამოიარა და თებროს მხარზე ხელი დაადო.

— ხუმრობა ხუმრობაა, გოგოებო, და მე წავედი.

— დღეს აღარ გამოვივლით? — თავაულებლივ ჰკითხა თებრომ.

„ამ გოგონაზე უფრო არც ერთი ქალის თვალები არ ამბობს იმას, რაც გულში აქვს. ეს თვითონაც იცის“, — გაიფიქრა გენომ.

— იქნებ სალამოს შემოვიარო. გააჩნია, როგორ მოვრიგდებით მე და „პოლიკარპოვიჩი“

— გენო, თუ აქედან სადმე გადასვლა დააპირო, გახსოვდეს, სამი ადგილი უნდა ეძებო.

— კარგე გოგოებო, მე უკვე გაყურნალისტებული ვარ, ჩემი გამოსწორება აღარ შეიძლება.

სტამბაში ბეჭდვა დაიწყეს და ყველაფერი ისე აზრილდა, არაფრის გავონება აღარ შეიძლებოდა. გენომ აივნის პირდაპირ ასფალტზე გადმოაბიჯა, გზის გადაღმა კიპარისის პატარა ტოტი შეატეხა და ლინოტიპის ყუთს იქით ღია ფანჯარაში შეისროლა. იცოდა, სალამოს ვერ გამოვივლიდა. შინ ეჩქარებოდა. ნეტავ მართლა, რა შეემთხვა მაკას?...



რედაქტორს არ დაუძახია. ორ საათამდე კაბინეტებში იტრიალა, მერე საშურსაქმეზე წავიდა და აღარ გამოჩენილა. ხუთის ნახევარზე გენო ოთახიდან გამოვიდა...

გარეთ ცხელოდა. ტროტუარის კიდეზე გაყოლებული ჩინური ყვავილის ხე მზისგან ვერ იფარავდა. გზას მაინც აუჩქარებლად მიყვებოდა. ავტობუსის გაჩერებას გაცდა, მერე ერთბაშად შეჩერდა და უკან მიიხედა. არაფერ არ ჩანდა.

„ამ სიცხეში ფეხით რატომ მდგდევარ?“ — ვილაყამ ხელი დაუქნია მანქანიდან. ვერ იცნო. არც მერე მოპკონებია, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო.

„მეორე გაჩერებამდე ვივლი, მერე ავტობუსს გავყვები.“ გზა განაგრძო.

„ცხელა. ცივ წყალს დალევდა კაცი, მაგრამ უკვე „ბორჯომს“ ველარ იშოვი. სტამბის ზევით, ფარდულში ექნებათ გადანახული“. მაგრამ ახლა იქეთ ავლა არ უნდოდა.

მარცხნივ აუხვია. საერთო საცხოვრებლების მაღაზიებში უნდოდა შევლა. ნაბიჯს აუჩქარა. ზევიდან გაოფლილი, ტიტლიკანა ორი ბიჭი ბურთულა საკისარებიან ურიკებს მოახრივებდა. ზედ ფეხებთან ჩაუქროლეს. უკან მომავალ წითელმაისურიანს დაძაგრული კისერი უჩანდა, მონდომებით სცემდა ცალ ფეხს ტროტუარს. გენო შეჩერდა და თვალი გააყოლა — აბა, თუ დაეწევა წინასო. მალე ორივე მიიშალა. მოხუც, შავებიან ქალს და პატარა გოგონას წამოეწია. გოგონას ორი ჩანთა ეჭირა. ერთი, გრძელსახელურებიანი, მიწაზე მისთრევდა.

მაღაზიების წინ, აკაციების ჩრდილში, სახანძრო დაცვის უფროსს კორნელი ბენიძეს და ინჟინერ აპოლონ მესხს გადაეყარა.

— საიდან სადაო! — გაიკვირვა გენომ, ორივე ერთად რომ დაინახა.

— ერთი — ვაშენებთ... — დაიწყო აპოლონმა.

— მეორე — ცეცხლისა და ავი თვალისაგან ვიცავთ.

— ბევრი გვაქვს საერთო, — დაასრულა ისევ მესხმა.

— დმერთმა ხელი მოვიმართოთ! — გენომ გაცლა დააპირა.

— ბატონო, გვკითხე როგორ ვართ. — შეჰღიმა ბენიძემ.

„აბა, გადაკრულშიც არიან,“ — მიხვდა გენო და შეჩერდა.

— რალა კითხვა გინდათ, ქვეყანას აშენებთ და ცივ წიავს არ აკარებთ. კაცმა რომ თქვას, პირად ცხოვრებაში არ უნდა გაგვიჭირდეთ.

— სტამბის მშენებლობა... — მესხმა რალაც იაზრა და მეგობარს ანიშნა: „ნუ შეტოპავო“ — ბატონო გენო, პო, რედაქციის მშენებლობა... ტემპებით ვერ დავიკვებნით, მაგრამ რაც შენდება...

სახანძრო დაცვის უფროსმა მაინც ვერ მოითმინა, ხელის ზურგი დაიკოცნა და ცერი აფშოკა.

— მაგარია...

— კაცო, მე ვაშენებ, შენ საიდან იცი!

— ვიცი და, რა ვქნა, მომკალით თუ გინდათ, ვიცი...

— ამ სახლს რომ ვაშენებდი, — მესხმა ხელები მაღლა აიშვირა, — ეს აკაციები უნდა ამელო...

— უუჰ, მაგი რომ გექნა, ხმას არ გავციემდი.

— კარგად ბრძანდებოდეთ.

— თუ გენო... — მამის სახელი ვერ გაიხსენა, ეგონა თვითონ მომავლეებსო და სახეში შეაჩერდა. გენომ თავი გაქნია, საჭირო არააო, — თუ არ დაგვძრახავდი...

— სიცხეა, — დაასწრო გენომ.

— ლუდი...

— მეც მანდა ვარ, — კვერი დაუკრა მესხმა და ხელი ასწია, — თითო „ფუნჯი...“

— არა, სხვა დროისათვის იყოს.

— თითო, გენო ბატონო, თითო-თითო! ავერ, გვერდიდან შევიდეთ... ყუთების თავზე.

„ასე აღრე შინ რომ მივიდე, რას“

იფიქრებს, ალბათ, საღამომდე არც მიმელის...“

დალევა შეიძლება, თუნდაც ასეთს ამფსონებთან, მაგრამ მალაზიაში, ყუთებზე, არყისა და ლუდის სმა მაინც უხერხული იყო.

სქელ-სქელმა დახლიდარმა მოწიწებით გააღო კარი და მაშინვე ხალათი გამოიცვალა. ფარდულის მინაშენ, ნესტიან ფიცრულში ყუთები თვალის დახამხამებაში მისწი-მოსწია, შუა ადგილას თევზის ცარიელი კასრი დაამხო, ზედ გასახვევი ქაღალდი გადააფარა, სამი ყუთი „სუფრის“ ირგვლივ სიმალეზე დააყენა და აპოლონს თვალღებში შეხედა.

— მიცანი? — ჰკითხა მესხმა.

— კი, ბატონო!

— „მალადეც“ — კმაყოფილმა კორნელიმ აღმა ახედა მის უკან მდგარ თვთრხალათიან დახლიდარს, — ჰო, ბიძია, კაცის ცნობა უნდა იცოდე, თუ არა, კაიკია ფასი.

— კი, ბატონო!

— წადი და მიხედე საქმეს.

— ექვსი ლული! — შეახსენა გენომ.

— ჩვენ ფუნჯზე შევთანხმდით...

— კარგი, ცოტ-ცოტა შეურიე.

— თავისი მოწყობილობით.

— კი, ბატონო!

მზე კაცის სიმალეზე იყო, გენო რომ ფიცრულის კარიდან გამოვიდა და ერთხანს ვერაფრის გარჩევა ვერ შეძლო. გზად რაღაცაზე ფიქრობდა. ჰო, კორნელის ნათქვამი ერთი ფრაზა ახსოვდა. ბენიძეს აღრე სადღაც დაუპატივია გენო. გენოს უარი უთქვამს. ახლა კი ნასიამოვნები იყო და იმეორებდა: მე ატომების და ბომბების კი არ მეშინია, ეს ქვეყანა მაშინ დამთავრდება, კაცი კაცის ნდობას რომ დაკარგავს.

— კაცი კაცის ნდობას რომ დაკარგავს, ეს ქვეყანა მაშინ დასრულდება. — გაიმეორა გენომ. — ჰო, ასეა...

სადლაქოს ჩაუარა. პირზე ხელის ზურგი აისვა. „ზედ დილით უნდა გავიპარსო“ — გაახსენდა და გზა განაგრძო. სადღაც რადიო ხმამალა ჩაერთო.

„რა ბედნიერები არიან კომპოზიტორები! მუსიკა ყველაფერს იტევს, ყველას თავისი სიხარული უხარია, თუ მუსიკა საზეიმოა; ცრემლიანია და — ყველას თავისი სატიკვარი ტკივა. კაცმა არ იცის, რა აწუხებდა მაშინ ავტორს, როცა ამ მელოდიას წერდა. ყველა თავის მარტოობას, უიმედობას წუხს... თუმცა ლექსიც ასეა. კაცმა რომ თქვას, სიტყვაც ასეა. ჟურნალისტიც კი... ან იქნებ გენო არაა ნამდვილი ჟურნალისტი, ან აქ არავის ჰირდება ჟურნალისტი და, საერთოდ, არავის არ ჰირდება გენო. მაშინ სადღა ჯანდაბაში მიიჩქარის... გოჩა უკვე მეოთხე წელიწადში გადადგა, გენოს მეორე შვილი მაინც უნდა ჰყავდეს, ორი შვილის დედა რომ იყოს მაკა...“

— გენო!

— აჰ!

— გენო, სად იხედები.

— ჰო, შენა ხარ? ნოდარ, ეს მანქანა ვისია?

— ვისია? ჩემია.

— ცოტა დანჯორეულია, არ გეკადრება...

— შენ რომ დამეხმარე...

— აბა, მე ვისი დამხმარე ვარ, ჩემო ნოდარ, ერთი კაცი ხარ, რომ იცის: მე არავის დამხმარე არა ვარ. მეტყვიან:

— რა ვქნა, ადგილი რომ მქონდეს...

— მე მაქვს ადგილი, დაჯექი!

— აი, რა დახმარება შემიძლია მე. სხვა მხრივ კი მეტყვიან, ადგილი არა მაქვსო და, ვიხუროვ ქუდს... შენ ჩემზე უკეთესად იცი ცხოვრება.

— არ ისწავლი, რა ჯანი გაქვს.

— მე არა, ამაზე მეტს ვეღარ ვისწავლი.

— სახლისაკენ მივდივართ?

— ასე ვთქვათ. ეს კარი არ იკეტება?

— მაგრად მოხუტე.

— ეს რა წიგნები გყრია მანქანაში?

— ვკითხულობ მუსტრის მოლოდინში. თან ხომ იცი, გოგოები... მოფერიაო და, თუ წიგნი დაგინახა ხელში, ცოტა გული მოუღებდათ. გავიჩერო?

— არა ჯერ, აქეთობისას გამიჩერე.

— გოჩა დანახე შენი ბიძაშვილის თვითმცლელის ძარაში?

— ჰოო?

— აქვსენტის ის მანქანა თავის საკუთარივით ეზოში უყენია ხლთი საათის შემდეგ.

— აქვსენტი ცუდი ბიჭი არაა.

— ნღობა აქვს?

— ცუდი ბიჭი არაა. აქ გზა ვიწროა, იქეთ მოგებრუნებინა.

— კარგი, ზევით იყო.

— ნოდარა, რა მინდა იცი? ამას ისე გეხვეწები... შენ ჩემზე ორი წლით უმცროსი ხარ და ბავშვობაში ისე გიყურებდი, როგორც ბავშვს. ახლაც ასე გიყურებ, ნუ აჩერებ, იარე და გეტყვი.

— ვაბრუნებ.

— კარგი, მოაბრუნე და, თუ ჩემი უმცროსი ძმა ხარ, არ გაფუჭდე, ბიჭო, თუ შეატყო თავს გაფუჭება, მითხარი; ფული არ შეიყვარო, შენ მძლოლი ხარ, მაგრამ ჩემი ყველაზე კარგი მეგობარი ხარ. გემუშავა იქ, სადაც იყავი.

— იქ ჩემი მუშაობა აღარ გამოდიოდა, ხომ ვითხარი.

— კარგი, იყავი სადაც ხარ, მაგრამ ხომ გემახსოვრება, რაც ვითხარი. შინ არ გაივლი?

— მაშინ, ეზოში მოვაბრუნებდი.

— ჩემთვის ამოხვედი?

— რა მოხდა მერე!

— რა ჰქენი, ჩემი „ზიარი მოსკვიჩი“ კიდევ არაა წესრიგში?

— ისე რა...

— სახლთან ნუ გამიჩერებ, გოჩა დანახავს მანქანას და გული დაწყდება.

— კარგი, გავცილდები.

— ეს რა კარია, არ უნდა გაიღოს?

— გაყავი ხელი და გარედან გააღე.

— ხვალ შინ ხარ?

— ჰო, ჩვენს მანქანას მივხედავ.

— სალამოს, თუ მოვიცალე, გამოვალ.

— კარგი, რაღაც სათქმელი მქონდა და მაშინ გეტყვი.

— ნოდარა, მოიცა, რატომ არ მითხარი?

— სალამოს გეტყვი.

— ჩემი ვერიდება? — გენომ ისევე ალო კარი, — თქვი, რა შეგემთხვა.

— მე არაფერი...

გენოს რაღაცამ გულზე უჩხვლიტა და მანქანიდან უკან დაიწია.

— გაიგე რამე?

— ჰო, აქვსენტის რაღაც ჩხუბი მოსვლია.

— აქვსენტის? — გენო გვერდით დაჯდა. ნოდარიმ მანქანა გზის კიდეზე მიყენა, — მერე, შენ რა გეუხებრხულება... აქვსენტიმ ჩხუბი რომ არ იცის...

— არა, მაგრამ ზოგიერთი შოფერით გინებას ვერ იტანს... თუმცა არც შეუგინებიათ.

— შინ არის თუ დანახე? ახლაც ვკითხავ.

— ნუ კითხავ, იქნებ შენ ვერ გითხარას.

— ჩემთან რა აქვს დასამალავი.

— შენთან — არა, მაგრამ...

— მაშინ, შენ მითხარი.

— ბავშვები ჰყოლია მანქანაში... თავისი გოგო და შენი ბიჭი. ვარაუშა შეუვლია ზეთის წამოსაღებად. შოფრებმა იციან, რომ აქვსენტის ერთი გოგონა ჰყავს. მოფერებინა. შენი ბიჭი რა იცოდნენ ვისა იყო, მეზობლისა ჰკონებიათ. „კარგი ბიჭია, დედაც კარგი ეყოლებოა“. ხომ იცი შოფრების ამბავი, უჩხუბრიათ.

— მერე, ამიტომ უჩხუბია?

— მაგის დედა შენი სახსენებელიაო! ვერაფრით ვერ გამოუტყვევიათ ხელიდან, კინალამ მოუკლავს. საქმე რომ სასამართლომდე მივიდეს, იცოდე...

გენო მანქანიდან ჩამოვიდა.



ქიშკართან ფეხი აითრია. ამ დილით მთელი გზა ისე გამოიარეს, მაკას არაფერი უთქვამს. იცოდა, სულ იცოდა, რომ უნდა ეთქვა და ვერ თქვა.

ვეება ჩემოდანი აწვა თითებზე, ტკიოდა და ფეხი არ გასწია; მისი ბრალი იყო, ქვეყნად გარეწრები და მოძალადეები რომ არ დაილია? და თუ მისი ბრალი არ იყო, რატომ უნდა იტანჯოს და ითავცემოს? რაც ეთქვა, მარტო ეს მოხ-

და? ვაითუ, გენოსთვის ყველაფრის გამხელა არ შეიძლებოდა! და რისი გამხელაც არ შეიძლება, ალბათ, იმას არც მარტო მოსმენა უშველის.

სანამ კიშკარს შეაღებდა, მიიხედ-მოიხედა. უნდოდა ვინმე ნაცნობი გამეღელელო, ან მეზობელი დაენახა, დეაქანა და რაიმეზე ელაპარაკნა. სულერთი იყო რაზე, ოღონდ ელაპარაკნა და ერთხანს კიდევ არ შესულყო სახლში.

კუტიკარი რომ შეაღო, შვილის ხმა მოესმა:

— მამიკო, მამიკო, მიყურე!

სახლს შეხედა. შესასვლელი ფართოდ მოედო.

მაკა შინაა, დედა ორივე კარს ღიას არ დატოვებს.

— მამიკო მიყურე, ხომ გეუბნები, მიყურე!

გაახსენდა, ნოდარამ რომ უთხრა: შენი ბიჭი აქვსენტი მანქანაზე იყო. თვითონ აქვსენტი არსად ჩანდა. რაღაც შოფრებმა იხუმრეს, ამისთვის რა აჩხუბებდა...

„ისე, რაჯი შემოკრა, თუ დააჩინა ხელი, მაინც...“

ღობის გადაღმა, ძარაზე, მკლავებგაშლილი გონა უცინოდა. როგორც კი დაინახა გენო. მაშინვე გატრიალდა, კაბინის უკანა მინასთან მავთულის ბადეს მოეკილა. ძარის კიდულზე შედგა და იქიდან მომრგვალებულ სახურავზე დააპირა ასვლა.

— გოჩა, არ ახვიდე! — დაუყვირა, — არ ახვიდე, — ხმას დაუწია და ალაგესაკენ წავიდა, მაგრამ ძახილზე ბიჭმა უკან მოიხედა, მომრგვალებულ თუნუქზე ფეხი ჩამოუცდა და კაბინასა და ძარას შორის ჩაეკიდა.

— არაფერია, არ შეგეშინდეს, — გასძახა და ალაგეზე გადახტა. აივანზე მაკა გამოვარდა და იმანაც ხმამაღლა იყვირა:

— გოჩა, შეილო!..

სანამ გენო მივიდოდა, მეორე მხრიდან აქვსენტი ამოხტა საფეტურზე და ბიჭი ცალი ხელით აიტაცა.

— არაფერია, არაფერი! — აქვსენტიმ

გოჩა მაღლა ასწია, მანქანის იქეთა მხარეს ჩახტა, წუთით თვალს მიეფარა. გენოს გაშლილ ხელებს ზურგიდან მაკა მოაწყდა.

— გოჩა!..

— არაფერია! — მოისმა აქვსენტის ხმა და გულზე აკრული ბავშვით გენოს მიაშურა. მაგრამ ბავშვს მკლავები, შუბლი და მუხლები კუპრისფერად გაშავებოდა.

— რატომ ვარ ცოცხალი, რატომ მიდგია პირში სული, ბებია! — შეიცხადა მაგდანამ. შეკვივლებილი აქვსენტის სახლიდან კაცის ყვირილი მოისმა.

— არაფერია, — თქვა გენომაც და ატირებული ბავშვი ხელებში შემოფრენილ ცოლს და დედას დაანება. იდაყვებამდე შავად გაზიზნილ აქვსენტის ხელებს შეხედა და დაუმატა, — გაჩუმდით, ბავშვი არ ჩამოვარდნილა, ზეთითაა დავსვრილი.

— რატოა ცოცხალი ბებიაშენი!

— შეილო!... შეილო!..

— მოდი ჩემთან, მოდი, შენ გენაცვალე...

— ბოვშს რა უქენით, აქვსენტიო! — ისმოდა პალატის ღია კარიდან ლოგინს მიჯაჭვული გენოს ბიძის ხმა, — შენს მამას ჩააკვდა ძაღლები, აქვსენტიო!

— არაფერია მამა, არაფერი!

— შე მამახეჩრო, სადაა ბიჭი, გოჩა სადაა?

— აგერაა, მამა!

— ტირილი რატომ აღარ მესმის, გოჩა დამანახვით...

შეშინებული გოჩა მართლა აღარ ტირიდა.

აქვსენტიმ როდის-როდის მოიფიქრა, მამასთან გაქცეულიყო. ქალებმა ბავშვიც იქით წაიყვანეს.

გენო აივანზე იდგა, მაკამ გულზე მიკრული გოჩა ალაგეზე რომ გადმოიყვანა.

— სიკვდილი დედაშენს და არგადარჩენა, სიკვდილი! — იმეორებდა მაკა, მოდიოდა და ცრემლები ცვიოდა.

ბავშვს თვალები ამოუეჩყუნა და ახლა მარტო შუბლი კი არა, უბეებიც ჩაშავებოდა.

— მაძასთან მინდა! — იღრიალა, როცა მაკამ გვერდი აუქცია გენოს და პალატისაკენ წავიდა.

— კი, შეილო, მიდი. მე სამიწესთან რა გინდა, მე ღმერთგამწყურალს რამ დამივსო თვალვები!..

— დამსერი, შე მაძაძალო! — გენომ უჯან დაიწია.

— თავი მაქვს მოსაკლავი, — მაკა ხალათის სახელოს უსვამდა ბავშვს მუხლზე. პალატში შესულ გენოს თვალში ეცა გაწურული სარეცხის ერთმანეთზე ჭვარედინად დაწყობილი ზედახორა.

დედის გაუთავებელ ტირილზე ბავშვიც ტირიდა. ბებიამ ქვაბიდან ტოლჩით ცხელი წყალი ტაშტზე დაუშვა. მაკამ ბიჭი შიგ ჩააყენა, სანამ დედამთილი ცივი წყლით შეზავებდას მოასწრებდა. ბავშვი აყვირდა და დედის მკლავებზე ჩამოეკიდა.

— დამიწვი ბოვში, ქალო?

— დავწვი, თვალეზი დაეწვა დედამისს...

— აღარ დამთავრებთ? — იკითხა გენომ, — რა გატირებთ... რა გატირებთ?

— ბიჭო, აბა ბავშვს რომ რაიმე მოწეოდა, ხომ უნდა მოგვეკლა თავი!

— მე შენთვის არ მითქვამს, დედაჩემო!

გენო გარეთ გამოვიდა.

— რაა აქ სატირალი, ვერ გამიგია, — ჩაილაპარაკა თავისთვის.

ალაგესთან იდაყვებამდე დასვრილი აქვსენტი იდგა.

— ზეთს უცვლიდი?

— გამოსვლისას სიჩქარეში ვედრო წვაქციე და გადამესხა, მაძაჩემმა, გენო რატომ ჩემთან არ შემოვიდაო!

— რას შვრება ბიძაჩემი?

— რას იზამს, არის ისევე ისე... თუ გცალია, ვადმოდი.

— ტანსაცმელს გამოვიცვლი და ვადმოვალ...



გენო გვიან მთვრალი დაბრუნდა შინ. პალატში ისევე ენთო სინათლე. ფეხის კვრით შეაღო კარი და იქვე გაჩერდა.

— ბავშვი როგორაა?

— დედამისს...

— მე დედამისი არ მიკითხავს.

— კარგადაა.

— რაა ეს გაუთავებელი რეცხვა...

კაცმა კარები გამოიხურა. მაკას ესმოდა ხის სახელდახელო კიბეზე წელა. მძიმედ მიმავალი ქმრის ფეხის ხმა.

„თუ დაწვა, მალე ჩიქინება“. — გაიფიქრა. ტაბურეტზე შედგმული ტაშტის კიდეებს ორივე ხელით დაეყრდნო. ხერხემალი უკვე აღარ ტკიოდა, ყრუ წვას გრძნობდა. ფრჩხილები დალეოდა და გათხელებული ხელის კანა ოდნავ მოცხელო წყალსაც ვეღარ იტანდა.

მამლის ყვილის შემდეგ კაავლო ლილაში თეთრეული.

ხელისთვის დარი ხომ იქნებო, — კარებისაკენ წამოვიდა, მაგრამ წელში ვერ გაიპართა. ერთხანს სახელურს მოეკიდა, წელი აღარ ტკიოდა, უბეუოდა. უმთავრო ცაზე ვარსკვლავები ცოცხლებივით ცახცახებდნენ და ქვეყნის ამოდენა გუმბათი მთლიანად თრთოდა, როგორც ქარიანში კარვის გამჭვირვალე სახურავი. სამხრეთიდან ნისლის ზოლი ამოდიოდა და მრგვალი თხილამურებით გავლილი კაცის ნაფეხურივით ჩრდილოეთით თავდებოდა. ამდენი ვარსკვლავი არასოდეს უნახავს ერთად ცის თავანზე. ამ უჩქამო სიბნელეში თითქოს რაღაც ჩურჩულის გავონებასაც კი ელოდა, არა ამქვეყნიურის! — ციური ხმის გავონებას. ასეთი დამით თუ ელოდნენ ცის გახსნას. ყველაფერი ცის გახსნის დამეს ჰგავდა.

„მართლა რომ გაიხსნეს, მართლა რომ სასწაული მოხდეს და ინატრო, რაც გინდა... ღმერთი მართლა უნდა იყოს. ადამიანი მაინც ადამიანია, შეიძლება ვარსკვლავებამდე მიფრინდეს. მაგრამ ღმერთი მაინც ვერ იქნება. იგი ვერ მიწვეება, ამოდენა ცის ქვეშ, ნაშუალამეს, ერთი სახლის წინ მდგარი ქალის გულში რა დევს. ახლა რომ ცა გაიხსნებოდეს, მაკა იტყოდა: ღმერთო, დამავიწყე გუშინდელი დამე. ღმერთი რომ იყოს...“

სახლის იქით, იქით კი არა, იქვე, უნაბის ძირში მკახედ გაისმა მამლის ყვირილი. მაკა შეკრთა და პალატისაკენ გაიქცა, თითქოს ვიღაცამ დაუცაცხანა. მერე ყოველი მხრიდან გამოუდგნენ. შინ შევარდა და კარი მიხურა.

„მამლის ხმამ როგორ შემაშინა,“ — თავი გადააქნია და გაფურთული სარეცხის ტაშტზე დაყარას შეუღდა.

„ჩვენი ბრუციანი მამლის ხმამ შემაშინა...“

ღილით გენოს ფეხის ხმაზე გაედვიდა, მაგრამ თავი არ აუღია.

„ნეტავ რას იფიქრებს, წუხელ ცოლი მაღლა რომ არ ავიდა დასაწოლად?.. გუშინ არაფერი დაუწერია, ამ ღილით აღრე წავა, იქ იმუშავეებს და საღამოს ექვს საათამდე არ მოვა. ექვს საათამდე წლისოდენი დროა. იქნებ გენოს ჰგონია, მაკას ბავშვთან სძინავს. რომ ჩამოვა და ძველ ფარდაგადაფარებულ ტახტზე მძინარეს ნახავს? უნდა ასულიყო. გენო მთვრალი იყო და დილამდე მაინც არ გაიღვიძებდა. უნდა ასულიყო და დაწოლილიყო, როგორც ყოველთვის. გუშინ საღამოს, მანქანაზე ბავშვის ფეხის დაუღვინისათვის იმდენი არ უნდა ეტირა. ერთად არ უნდა ჩაეყარა იმდენი სარეცხი, თუ ჩაყარა, დაეტოვებია და ღილით გაეგვრებლებია, ანდა, როცა მოათავა, მერე მაინც უნდა შეპარულიყო და თავის ლოგინში ჩაწოლილიყო.“

გენომ პალატის კარი შემოაღო. მაკა ჭვად იქცა. მოვა, მკითხავს და რა ვუპასუხოთ. ფეხის ხმაზე მიხვდა, გენო მისკენ არ წამოსულა, დოქის წყალი გაიტანა პირის დასაბანად.

პირსახოცები ყველა სველია. ეს რატომ გუშინ არ მოავგონდა; მაგრამ გუშინ ამაზე არც ფიქრობდა...

სხვა დროს, მგზავრობის შემდეგ, წამოწვებოდა და ერთი საათით მაინც დაისვენებდა. გუშინ დაბრუნდა და სახლის კარი შეაღო, მაგრამ მაშინვე შესვლაც ვერ გადაწყვიტა.

კარგა ხანს იდგა. ოთახი სრული იყო და შეგინდან სიგრილე გამოდიოდა, თითქოს დიდი ხანი არ ენახა აქაურობა და მონატრებოდა. საოცარი ის იყო, რომ ამ ღია კარებს თითქოს შორიდან ხედავდა სურვილივით. და მერეც, როცა ფეხი ზღურბლს გადაბიჯა, ვიღაც აიძულებდა ჩუმად, უხმაუროდ ევლო. კარი ხელის კვრით ვერ მიკეტა. ფრთხილად მიხურა. ყველაფერი ნაცნობი იყო, მაგრამ — ისევ სურვილივით შორეული და ვერ გაბედა ტანსაცმლის გამოსაცვლელად საწოლზე ჩამომჯდარიყო, როგორც ამას სხვის სახლში არ გააკეთებ. ჩეხური განჯინა, მან და გენომ რომ იყიდეს, ფერშეცვლილი მოეჩვენა. თითით შეეხო, ჩემს აქ არყოფნაში ხელახლა ხომ არ გადაულაქავსო. სარკეს თვალი მოარიდა, ყველაფერი სასწრაფოდ გადაყარა, რაც ტანზე ემოსა, და საშინაოები გადაიცვა. განჯინის უკან გადაადგებული ძველი, ფანელის გაქექილი, ლურჯუჯრებიანი კაბა-ხალათი მოძებნა. ზაფხულში მისი ჩაცმა სხვა დროს არ უფიქრია. შეკერვის დღიდან სძულდა, არ მიხდებო, და ზამთრობით, იატაკის რეცხვისას, გაცვიოთ.

ბავშვი შინ არ იყო. აქესენტის მანქანით ამოვირბინა. გოჩა არ დაშორებოდა და თავისი გოგონაც წაეყვანა. მაკა გულდაწყვეტილი დარჩა, რომ შვილი არ დაუხვდა.

ქვევით, სახელდახელო ხის კიბეზე სწრაფად ჩაირბინა, ბნელ კუთხეში ადამკამობის გადაყრილი, ჩათელილი ფეხსაცმელი მოძებნა და ნაბიჯის გადადგმისთანავე იგრძნო, რომ ქუსლში ლურსმანი ესობოდა.

პალატის უკანა კარი ღია იყო. დედამთილი ჯორჯოზე იჯდა და ბიბილო-გაშავებულ, თვალებამოკორტნილ მამალს ხელით აჭმევდა.

— ტურის არჩვი! — ამბობდა დედამთილი, — ვერ დაეტევა თავის ეზოში! ჯერ აქ არ გამიჩერა ყვინჩილები, ახლა მეზობლებისასაც არ აყენებს. მამა უცხოხონდა, დაუყენა თვალი თუ არა! უნდა დამეკლა, მაგრამ ამისი არც ხორცი

ივარგებს, სირბილს და ჩხუბს უნდებდა.

— მერე, სხვისი მამალი?! — წაცდა მაკას.

— სხვისი რა, მამალი მამალია... ეს ტურის დასაკლავი, ეზოში მიიხსნე არ ჩერდებოდა.

მაკა მამაშინვე შეტრიალდა, პალატში შესული ერთხანს უმოძრაოდ იდგა, მერე ნაჩქარევად მიიხედ-მოიხედა, რომ რაიმე აუცილებელი და საშური საქმე მოეძებნა, რომელსაც მთელი დღე დასჭირდებოდა. დააღლიყო, დაქანცულიყო და ვერ დაემთავრებია. ვერ დამთავრებია მერეც, როცა გენო მოვიდოდა, და ვერც მერე, როცა დასაძინებლად დაწვებოდა...

თეთრეული რომ ჩამოიტანა, მოჰყვა და, თუ სადმე ძველმანი იყო, საკრებლადაც რომ არ გამოდგებოდა, ისიც არ დატოვა. ორ ლეიბსაც გადააძრო პირი. ოთახში ხარბი თვალით დადიოდა; ყველაფერი, რასაც კი შეიძლებოდა წყალი მიკარებოდა, მოჰქონდა. თითქმის არაფერი დაუტოვებია და მიიხსნე გულს აკლდა. ბოლოს, კარებთან ფეხის საწმენდი ჩვრები დაინახა. გადაწვიტა, ნარეცი წყალი მალა ამოეტანა და იატაკი მოეწმინდა. კი არ მოერეცხა, მავთულის ჭაგრისით მოეხეხა. მერე ფარდებიც ჩამოხსნა, ვითომ ჭერჭერობით რომ არ უპირებდა გარეცხვას... და, ის იყო, მამლის მეორე ყვირლზე ახედა ცას, მანამ თავი არ აუღია.

გენომ დოქი პალატში შემოდგა და კარი მიიხურა. არც უფიქრია, რომ შეიძლებოდა მაკას აქ სძინებოდა. იქნებ არც ბავშვისა და დედამთილის ოთახში შეიხედოს. ასე ადრე საქმელს არ მოიძებნის. გუშინდელი ნამთვრალეგია, დაბაში, ალბათ, ხაშს ჰამს და სამსახურში სხვების მოსვლამდე თავისთვის იმუშავებს. სანამ დაბრუნდებოდეს, მანამდე მთელი წელიწადია, შეიძლება კოლმეურნობაშიც წავიხედო და. ვინ იცის, იქნებ ძალიანაც დაავიანდეს. ან ისევ მთვრალი მოვიდეს...

„ღმერთო... რა იქნება, რომ ღმერთი იყოს...“

● ჭუმბერ ტყავაძე ოცდაორი დღისა იყო. ოცდაორი დღე იყო, რაც აღარაფერი აწუხებდა. უხვევდნენ, მალამოს ადებდნენ, თავს დასტრიალებდნენ და უქვირდა, — სად იყო ეს ხალხი აქამდე? რა უკუღმაა მოწყობილი ეს ცხოვრება! გტყავა — წამალი არაა, კარგად ხარ, გელირსა თავისუფლად ამოისუნთქო და, გულზე უკვავების წყალს გასხამენ. ასეა, მაგრამ ეს ცუდი მაინც არაა. პირიქით, ეს ყველაფერი კარგია და, უნდოდა ამისთვის მადლობაც ეთქვა ვილაციისთვის, რომ ასე უკუღმა და კარგად იყო მოწყობილი ეს ქვეყანა. პირდაპირ აწუხებდა ამდენი ყურადღება. თავზე ევლებოდნენ, რაკი ეგონათ, შველა უნდაო. სინდისი აწვალებდა, რომ არავინ სჭირდებოდა, უნდოდა, მათი ზრუნვა აუცილებელი ყოფილიყო.

რალაც მოხდა ამ ოცდაორი დღის წინ, რომლის მერე ასე შეიყვარეს ჭუმბერი მატარებლის გამცილებლებმა, შოფრებმა, ექთანებმა და ექიმებმა. იგი არასოდეს არ ყოფილა უთვისტომო, უპატრონო, იგი ადამიანებს არასოდეს არ მიუტოვებია ღვთის ანბარა; მისთვის საკუთარი ლუკმა არ ეშურებოდათ, საკუთარ პერანგს ჩააცმევდნენ; თვითონ იყო უკარება, ჭიუტი და კაცთმოძულე. არ ჰყავდა ახლო მეგობარი და არ ფიქრობდა ნათესავეებზე. მშობელი დედის სიყვარულშიც კინალამ ეჭვი ეპარებოდა. მადლობა ღმერთს, გაიგო, რომ ადამიანები სიკეთით ყოფილან სავეს. ამას კი დანახვა უნდა, გული ადამიანებს ხელის გულზე არ უდევთ. სანამ ამას ვერ მიხვდები, უბედური ხარ. ვინც ამას ვერ გაიგებს, მთელი თავისი დღე და მოსწრება მგლების ხროვაში იცხოვრებს. ისიც ასე იქნებოდა, თვალეები რომ არ ახელოდა, — მგლები მას შეჰმადნენ და ტყავაძე — მგლებს, იგი ვერასოდეს ვერ მოიცილებდა იმ შხამიან წითელ ჭიანჭველებს, ღლინ გაღმა, ჩამალ ჭირკლე დამხობილს რომ შეესია და ზეზეურად უღრღნიდნენ სიცოცხლეს.

ტყავაძე თავის ოთახში, პირქვე იწვა რბილ ბალიშზე. ტიხარს იქედან ისმოდა საყვარელი დედის ფეხის ხმა, შვილისათვის საუზმეს რომ ამზადებდა. გემრიელი კერძი არ გამოუღდის, მაგრამ გულით და სულით კი უნდა. განა შეიძლება ადამიანმა ადამიანს უსაყვედუროს იმის გამო, რომ ყოველნაირად ცდილობს და ვერ აკეთებს რაიმეს? არა, ამ დილით რასაც მოუმზადებს დედა, ყველაფერი გემრიელი იქნება.

ჭუმბერი ადგა, ღიმილი აჰყვა. ტანთ ჩაიცვა და სარკვეში ჩაიხედა, გაუკვირდა: სახეზე თითქოს არაფერი ეტყობოდა.

„აი, როგორები ვართ ადამიანები; ახლა ვინმე ნაცნობი რომ შემოვიდეს, სულაც არ გაუჭირდება ჩემი ცნობა, თითქოს რაც ვიყავი, ისა ვარ“.

ამ დღეებში იგი უფრო მეტს ფიქრობდა ყველაზე, ვისაც კი იცნობდა, ვიდრე მაკაზე. თითქოს საამისოდ დროს არ იტოვებდა. იმ ღამემ მაკასთან კი არ დააახლოვა, პირიქით, შეაშინა, გაუძნელა იმის დაჯერება, რაც მოხდა. ეს სურვილში, ფიქრში შეიძლებოდა მომხდარიყო... წუთი არ იყო, რომ თვალწინ ის არ ჰყოლოდა, მაგრამ სხვაზე ლაპარაკობდა; თითქოს ფიქრის რაღაც სხვა გზა უნდა გაეგლო, რომ მაკამდე მისულიყო. ჯერ თითქოს სხვების ფასი უნდა სცოდნოდა, სხვა უნდა ეწამებინა და მერე ექნებოდა უფლება!..

დღეს მასთან შეხვედრას აპირებდა და არ ფიქრობდა ამაზე. ამდენ ხანს მაკა ცალკე იყო, სხვები ცალკე. აქამდე მაკა უყვარდა და სხვა არაფერი. ახლა თვითონ მაკა იყო მთელი ქვეყანა. მისი სიყვარული ყველას დაუნაწილა და ამყოფინა, ყველა ესენი უნდა ყოფილიყო მაკა, რომ მაკამდე მისულიყო...

ახლა მას შეხვედრამდე დრო ჰქონდა ვინმე ენახა, ეთქვა თავისი გულის საიდუმლო და გაეხარებინა ისიც, ესუნთქა ამ ქვეყნით; ზომ ასე საცხე იყო სიკეთით ქვეყანა, ღმერთი და რჯული, მისას მაინც ვერავინ გაიგებდა. ისინი ეცდებოდნენ ყოველნაირად, მოინდომებ-

დნენ და ვერაფერს ვერ ამოიციობდნენ. მარტოს, მარტოს უნდა ეზიდა ეს ტვირთი.

სანამ საქეს მიუჯდებოდა, სიყვარულით შეხედა მანქანას და ფრთაზე ხელი გადაუსვა. ორი საათის შემდეგ გამოვიდოდა მაკა სკოლიდან. იგი აქ, ამ უკანა სავარძელზე ორჯერ იჯდა, თუმცა მეორედ სარკიდან არ ჩანდა... დღეს მესამედ უნდა დამჯდარიყო... მაგრამ ეს მოხდებოდა?! ვაითუ დღეს სამსახურში სულ არ წასულიყო, ან მეორე გაკვეთილი არ ჩაეტარებია და შინ ადრე დაბრუნებულიყო ან ვინმე სახლამდე გაჰყოლოდა...

ყველაფერს ვარაუდობდა, მაგრამ არ ფიქრობდა მის ქმარზე, არ ახსოვდა მისი არსებობა. მაკა იმდენად არ ემეტებოდა, რომ ამ ქვეყნად იგი მის მეტს არავის ჰყვარებია, თითოც არავის დაუწია, არც სხვას და არც თვითონ. იგი გზას ადგა და მიდიოდა, გზა კი ერთადერთი იყო, — არც გადასახვევი, არც გადმოსახვევი. არ ეგონა, რომ შეხვედებოდა და, მითუმეტეს, მანქანაში ჩაუჯდებოდა. იცოდა, სამ საათზე სკოლიდან გამოვიდოდა. თვითონ სკოლის ზეგით, საერთო საცხოვრებელთან, სავაჭრო ფარდულის წინ უნდა მდგარიყო, ედარაჯა და, თუ მარტო დაიგულებდა, დადევნებოდა, გზა გადაეჭრა, კარი გაეღო და... მერე ძალზე სწრაფად გადაუხვევდა გზიდან. გაიყვანდა იქით, სადაც ორი საცხოვრებელი სახლი შენდებდა და, გარდა მუშებისა, იქით არავის არაფერი არ ესაქმება. მერე ფინურ დასახლებაში შეუხვევდა, რაკი იქ სხვა ნაკლებ საექვო ადგილი აღარ იყო; მაგრამ ეს ერთი წუთით — მაშინვე იქაურობას გაეცლებოდნენ და მერე რა ჰქონდათ საჩქარო... მაგრამ ეს ასე უბრალოდ და ჩვეულებრივად კი არ მონდებოდა! როგორ შეიძლება დაადგე გზას, მიხვდი იქ, სადაც დანიშნულ დროზე გამოივლის, დაიგდეს გვერდით და...

არა, ასე არ შეიძლება... ამისთვის წინასწარ რაღაც დიდი უნდა დატრიალე-

ბულიყო — ის კი არა, ვინმესთვის დახმარება გაეწია, ვინმე გაჭირვებულისთვის ბევრი ფული მიეცა, ან გზაზე სულთმოპობაძვი ენახა და სიკვდილს გადაერჩინა; — არა, რალაც დიდი და ძალზე მტკივნეული უნდა მომხდარიყო.

მანქანა კი ჩვეულებრივ ლალად მისრიალებდა, ჯერჯერობით არაფერი არ ჩანდა ისეთი, რის შემდეგაც ირწმუნებდა, რომ მაკას ნახავდა და საღამომდე მასთან იქნებოდა.

არა, ასე არ შეიძლებოდა! და ყოველ მოსახვევში ელოდა, რომ საჭე გაიჭედებოდა, ბორბალი მოძვრებოდა, რალაცას შეასკდებოდა ან გადაიჩნებოდა; თავის ქალა ჩაუტყდებოდა, ან გულის ფიცარი ჩაენგრეოდა, რალაც ჯოჯოხეთურ ტკივილს და სატანჯველს გამოივლიდა და ამის მერე შეხვდებოდა. ჯერ ამის საფასური უნდა გადაეხადა, სიკვდილ-სიცოცხლის შუა უნდა გაველო, რომ ამოდენა ბედნიერების ღირსი გამხდარიყო. უამისოდ თუ მოხდებოდა, ეს ჯუმბერს ვალად უნდა მიეღო და მამისისხლად გადაეხადა.

მაკა ორჯერ იჯდა ამ მანქანაში და ამისთვის ბევრი ღამე თეთრად დაუწრტია ტყავაძეს. ბოლოს, მატარებელში, თუ მართალი იყო ის, რაც მოხდა, ის ღამეც სისხლით ჰქონდა ნაყიდი. მისთვის ბედს არასოდეს პატარა სიხარულიც არ გაუმეტებია, რომ სამაგიეროდ დიდი საწყაოთი არ მიეღო...

...და ახლა რალაც უნდა მოხდეს... რალაც უნდა მოხდეს...

მანქანა მანქანას გვრდს უტყევდა, უხვევდა, მისიფედა გზას და ერთი შეხედვით ვითომ არაფერი, მაგრამ ტყავაძე ხედავდა, სადღაც აჭვე იყო ჩასადრებული დიდი ხიფათი...

...და ელოდა, ელოდა ისე მოუთმენლად, როგორც მაკასთან შეხვედრას...



სკოლის ახალი შენობა მთავარი ქუჩის შესახვევში იდგა. შინ მიმავალ მაკას ფეხდაფეხ მისდევდა პატარა ტანის, მეორე კლასის მასწავლებელი ელიკო.

იგი დერეტული შვებულებიდან ის-ის იყო დაბრუნდა და არ იცოდა, როგორ მოხდა მერისა და ბიჭის ქორწინება.

ელიკო წინ უსწრებდა მაკას, თვლებში მადლიერი ღიმილით შეჰყურებდა.

— მერე, მაკა, მერე?

მაკა უხალისოდ იხსენებდა იმ დღეებს და უნდოდა მალე დაემთავრებია ამაზე საუბარი. რამდენჯერაც დაიწყო, იმდენჯერ ტყავაძე გამოჩნდა ამბავში და ყოველთვის გაუწყდა სათქმელი, „რას ვადამეცია, რატომ თავს არ დამანებებს“, — დაასრულებდა გუნებაში და მოულოდნელად ახალშეძენილ შვილზე ჰკითხავდა რამეს ელიკოს. ელიკო ახალბედა დედის ღიმილით უპასუხებდა და კვლავ მერისზე ეკითხებოდა;

— მაკა, ნურაფერს დამიმალავ, ხომ იცი, მერი დას მირჩევნია.

მაკამ აღუსნა, რომ მამის ავადმყოფობამ გააჭიანურა ბიჭის ცოლის შერთვა, თორემ მერის ვინ წუნობდაო. მამა როგორც კი მოიკეთებდა, წინ რალა დაუდგებოდა, მაგრამ ჯაბა ღობრაძეც ცოტა ავჯაჩქარა და, მეგობრების დაძახება კი არა, ახლო ნათესავებისთვის ვაგებინებაც არ მოხერხდაო. როგორც იყო, ამჯერად აუარა ტყავაძეს გვერდი.

ნაცნობები შემოხვდათ. ერთი მათგანი მაკას მოსწავლის მშობელი იყო. ახალგადაბრძლი მზე აჭერდა. ელიკო წუწუნებდა, ბავშვი დამესიციებოდა და გატყვევას აპირებდა, მაგრამ თან მერიზე წუნდა. მავ უსინდისო, ისე როგორც წავიდა, რომ ერთხელაც აღარ შემოიარა. რაა ეს შენი ძმა ასეთი, რომ ყველას თავი დააფიქცა... რომ იცოდე, ჩვენ — მერის მეგობრები მისი მადლიერი მინც არა ვართო...

„ხალხს რას გამოაპარებ“, — გაიფიქრა მაკამ.

— შენ იცოცხლე და იბედნიერე შენს ქმარშვილში, მაკა. შენს ქალობას მართო ჩვენს სკოლაში არ ლაპარაკობენ, მერიმ შენი ქირი არ უნდა დაადლოს მიწაზე. ეს ასეც იქნება. მერი რაცაა, ჩემზე უკეთესად არავინ იცის.

„მე კი რა ვარ, არავინ იცის; აღარ მსიამოვნებს, როცა ჩემზე ვინმე კარგს ამბობს, ან კეთილი თვალთ მიყურებს...“

— მაკა, — ელიკომ მკერდზე ხელი მიიღო, — მაწუხებს, ბავშვი მოშიებულნი იქნება, გავიქცევი...

მაკამ თავი დაუქნია და სევდიანად გაეღიმა.

— გაიქეცი, ელიკო. ბავშვს მიხედე. იცოდე, შვილი მაინც ყველაფერია...

— არ ვიცი, — თავი გაიქნია ელიკომ, — მაგრამ რალაცა რომ სხვავა... არ ვიცი, კარგად იყავი, მაკა...

— გმადლობთ.

— შენ ღირსი ხარ კარგად ყოფნისა და ნუ მოიწყენ.

ელიკო ქუჩის მეორე მხარეზე სწრაფად გადავიდა.

— მერი მომიკითხე, უთხარი, რომ ძალიან მომენატრა.

მაკამ თავი დაუქნია, მაგრამ გუნებაში გაიფიქრა: — „ვინ იცის, იქნებ შენ უფრო ადრე ნახო“.

გზას დაადგა თუ არა, მაშინვე იგრძნო, თავდახრილი მიდიოდა და გული დაწყდა, — „ალბათ მარტო მე კი არა, სხვებიც ამჩნევენ. აკი ელიკომ მითხრა, ნუ მოიწყენო“.

ელიკო თვალს მიეფარა და მაკამ ისე ახლოდან გაიგონა ძრავის თუნთუხი, თითქოს შიგ მანქანაში მჯდარიყოს.

— „ტყავაძე?!“

უნდოდა უეცრად მიეხედა, მაგრამ იცოდა, ვინც იყო და არც უღლია თავი მოეტყუებია, ესლა გაიფიქრა: „რალა მეწველება... კაბის კალთაზე უნდა გამოიშვას?“

მანქანამ წყნარად აუარა გვერდი და ათიოდე ნაბიჯზე გაჩერდა.

„ღმერთო ჩემო, აქ ხომ ქვეყანა მიცნობს, — მიიხედ-მოიხედა, — არავინაა, გამოსვლის წუთიდან მითვალთვალებს და დრო შეარჩია. ახლა აქ რა ველაპარაკო და ვუმტკიცო, ან უყურადღებოდ

რომ ჩავუბრო, ისევ წინ გამისწრებს, არაფრით არ მომეშვება... ჯობია, ჩავჯდე, აქაურობას გავეცალო და ვუთხრა, რომ არასოდეს აქ ფეხი არ დაადგას — საცა უნდა იაროს, საცა გაუხარდება, ოღონდ აქ არა... ღმერთო ჩემო, ეს როგორ მომივიდა, რატომ ნუცასთან არ ჩავედი და არ ვუთხარი — ეთქვა, რომ ყველაფერი დაევიწყა და მის სიცოცხლეში, ჩამოსულიყო კი არა, აქეთ არ გამოეხედა. ეს როგორ მომივიდა... რატომ არ ვიფიქრე, ფეხზე დადგებოდა თუ არა, მაშინვე მომაკითხავდა! მაგრამ ჯერ არ მითქვამს, ჯერ ხომ ამაზე არ მილაპარაკია. აი, ახლა ჩავჯდები, გავეცალები აქაურობას, სადმე მოფარებულ ადგილას გავაჩერებ და ვეტყვი: თუ დღეიდან კიდევ გამოჩნდა, თავს მოვიკლავ და მან უნდა იცოდეს, ჩემი სიტყვა სიტყვაა...“

მანქანის კარი გაიღო და ძახილი მოესმა:

— მაკა, ერთი წუთით, მაკა!

გზის გადაღმა ელიკო გამოიბოდა. მაკამ ხელი ჰკრა კარებს და ელიკოს მიეგება.

— რა მოხდა? ბავშვი...

— არა მაკა, ჩანთა შეგვეცვლია.

— ჩანთა?!

მაკას ელიკოს მწვანე ჩანთა ექირა.

— როდის, არ მახსოვს?

— სამასწავლებლოდან გამოსვლისას, წინდები გავისწორე და რაფაზე ჩამოვდევი, ალბათ, იქ აგვერია.

— ყოფილიყო.

— ჰო, მაგრამ ხვალ შენ არ მუშაობ, სადმე წასვლა რომ დაჭირდეს მეთქი. მანქანით მიდიოდი მგონი, შინ გეჩქარებოდა და დაგაგვიანე...

— ჰო, ეს ჩემი ძმის მეგობარია... ქორწილზე გავიცანი...

— ჩემი მოკითხვა დააბარე.

ელიკო უკან გაიქცა, ხელით ანიშნა: რას უღვებარ, მანქანა გიცდისო...

მაკა გაბრუნდა.



ახსნა
1967

ზაურ ბოლქვაძე

ტიტინან ტაბიძეს

როცა მძლავრ ცეცხლად ენთე მეღვქმე,
მაშინ დაგფარეს არყოფნის ნისლით,
მაგრამ ჭართულ მზეს ვერ ჩამორეცხეს
სახელი შენი შენივე სისხლით...
ერთი ნაბიჯი არ მოგიცვლია
სამშობლოს ტრფობის გალავანიდან;
სიცოცხლე შენი მარადისია,
სიკვდილი შენი წარმავალია.
იმ მიხაკივით გულებზე გვშევენის
ბეჭედი შენი მეწყერი სიტყვის...
და დღეს აფრთხილებს სიკვდილი შენი
ყველა ვაჟკაცი პოეტის სიკვდილს!

**გურამ რჩულიშვილის
მოლანდება ალავერდოვასზე**

მხარზე ძლიერად დამარტყა ხელი,
ერთი ვიფიქრე: გიჟია თუ რა?
მოგტრიალდი და... ვერ გეტყვით ენით,
გაოცებულმა შევძახე: „გურამ!“..
და იგი გაჰქრა. ღმერთო, რა ვნახე,
პირველად ვნახე მეორედ მოსვლა.
ვინ დამიჯერებს, როცა გავამხელ,
ან ვინ მომისმენს, მოყვებნი როცა?
ისევ გამოინდა. თუშისთვის ცხენი
მოეტაცნა და მოაქანებდა,
სადავისათვის გაეშვა ხელი
ასე თამამს და ასე თავნებას.
მოგელეებდა გურამი მერანს,
გამწარებული მოსდევდა თუში.
„ვერ დაეწევა, — ყვიროდნენ, — ვერა,
მიდი, ო, მიდი, გენაცვლე სულში!“

„ჩემს ცხენს გაგატან? მამა უცხოხედეს!“
 და მისდევს თუში გიჟურ ჭენებით,
 აბა, სად თქმულა თუში უცხენოდ? —
 იმწამსვე მოკვდეს, ის ურჩენია!
 ჰა, დაეწია, იელვა ხმალმა,
 დადგა წუთები ენით უთქმელი,
 გურამი განზე გადახტა ხელად,
 ხმალმა გაფატრა ცხენის მუცელი...
 და უცებ თავზე მოექცა გუმბათს,
 დააბიჯებდა გაშლილ ხელებით,
 არ წაქცეულა, მადლობა უფალს,
 თორემ ვნახავდით საშინელებას.
 თაღს გაბზარული კეიდა ზარი
 და ზანზარებდა იმ ზარიანად.
 ნუთუ, ეს მართლა სიზმარი არის,
 ო, არა, გურამ, სიზმარი? — არა!
 შენმა ავარდნამ დღეს ალავერდზე
 ჟრჟოლვა მომგვარა კვლავინდებურად,
 ასეთი რამე აღარ გაბედო,
 თავს გაუფრთხილდი! გამიგე, გურამ?

ნოქა ნაკსია


ჩემი ჭადრები

წავალ, ფერსულში მათთან ჩავდგები,
 ვარ მათ სიმაღლეს დახარბებული...
 ვიცი, მელიან ჩემი ჭადრები,
 მშობელი მიწით გალაღებულნი.
 ვიცი, გაზაფხულს როცა ხვდებიან,
 მისხენებენ და მწვანეს ისხამენ,
 ყოველ საღამოს მელოდებიან,
 მელოდებიან ყოველ სისხამზე.
 მათთვის არა ვარ მგზავრი გვიანი,
 მათთვის არა ვარ მგზავრი უკულო...
 ჭადრები ჰგვანან ადამიანებს —
 ლამის სიმღერა დააგუგუნონ.
 ვაბარებ ყველა გამველ-გამომველს, —
 რაც შეუძლიათ რამე იღონონ,
 ამ ქვეყნად საწყენს რაღა გამოლევს, —
 ჩემი ჭადრები არ დამიღონონ.
 არ დამიმწუხრონ მათი ტოტები,
 სატკივართ თუ მძიმე ვარამით...

მათთვის ვიცოცხლებ, მათთან მოვეკვდები
და არ დამძრახავს ქვეყნად არავინ.
...წავალ, ფერხულში მათთან ჩავდგები,
გაცოცხლდებიან ყრმობის ზარები...
ჰერი, — მელთან ჩემი ჭადრები,
ჰოდა, მივდივარ, მივემგზავრები.

გაჩერებასთან

გაჩერებასთან იდგა გოგონა,
ყელმოღერილი და სხივმოსილი...
მე გაზაფხულის სუნთქვა მეგონა, —
რა გოგო იყო, ის დალოცვილი.
წვრილი წარბები ისე აზიდა,
ვეგონე ალბათ ვიღაც მოცლილი,
შუადღეს ჰგავდა სილამაზითა, —
რა გოგო იყო ის დალოცვილი.
ერთი ღიმილი მტყორცნა წამითა,
ერთი მოხედვა მაინც ინება...
და მერე... ისე უცებ წავიდა,
როგორც მდინარე მიედინება.
ინისლებოდნენ ლიანდაგები,
მიდამო ჩემთვის გახდა ტრამალი...
მივაცილებდი წყლიან თვალებით
და მაფრთხილებდა ზარი ტრამაის.
იმ წუთში ქვეყნად არვინ მახსოვდა,
მასზე ფიქრებს კი ვერ ვიშორებდი...
გამომაფხიზლა ვიღაც ნაცნობმა
და დამახვია ქვეყნის ჭორები.
გავეპასუხე, უცებ მოვცილდი,
არავის ნახვა აღარ მეწადა...
რა გოგო იყო ის დალოცვილი,
რა უცნაურად გამომეცხადა.
წყვილი ნაწნავი მხრებზე ეყარა
და ჩახჩახებდა, როგორც ქორწილი...
მისთვის მიხდოდა ცა და ქვეყანა, —
რა გოგო იყო ის დალოცვილი.





მითხრობს

ეს კუნძული თეთრი იყო და უკაცურ-რი. მხოლოდ ცისფერი უღრუბლო ცა, ლურჯი, მუქი ლურჯი, გამჭვირვალე ზღვა და თეთრი, უკაცური კუნძული. ქვიშის გორაკები თეთრი კუზიანი დევებივით ისხდნენ გარშემო და მღეროდნენ. ცაც მღეროდა, ოღონდ ცას უფრო კრიალა ხმა ჰქონდა, ვიდრე ზღვას. ზღვაც მღეროდა მრავალნაირ ხმაზე, გაუნარი, იდუმალი, ჯერ უცნობი კანონებით მღეროდა ზღვა. მხოლოდ თეთრი ქვიშის გორაკები მღეროდნენ ჩვეულებრივ.

გორაკები საფეხურებად დაბლდებოდა და ზღვაში იძირებოდა. ზღვის ნაპირზე ზორბლისფერკანიანი ქალები ცეკვავდნენ. სანაპიროზე, მათრახივით მოქნიული, სისხლსავსე ქალები ცეკვავდნენ. ასე ვულახდილად მხოლოდ ერთგული ქალები ცეკვავენ; ქალები, რომელთათვისაც არაფერი არ არსებობს საყვარულის გარდა...

ქალები ცეკვავდნენ ლამაზად, ძალიან ლამაზად. მათი ტანის ტრიალი ქარბორბალას ჰგავდა, მკლავების ნაზი რხევა — ბავშვის ნაამბობ ზღაპარს. მე ვუცქერდი ამ ცეკვას ისე მშვიდად, რომ თვითონვე მივივირდა; მაგრამ მე ვმღეროდი. არ შემეძლია ჩუმად ვიყო, როცა ცა

მღერის, ზღვა მღერის, კუზიანი გორაკები მღერიან. და მე ვმღეროდი ხმამაღლა, ხმის ჩახლეჩამდე, უფრო ხმამაღლა. ქალებს არ ესმოდათ ჩემი სიმღერა, ქალები არ მხედავდნენ მე და ცეკვავდნენ, ცეკვავდნენ თავბრუდამხვევი სისწრაფით უდაბნოს მცხუნვარე მზისქვეშ. ქალებს ჩრდილი არ ჰქონდათ, არც გორაკებს ჰქონდათ ჩრდილი. რაც უფრო მაღლა აღიოდა მზე, მით უფრო ხმამაღლა ღრიალებდა ზღვა, მით უფრო ხმამაღლა გაჰკიოდა ცა, მით უფრო ხმამაღლა ღმუოდნენ გორაკები და უფრო სწრაფად ცეკვავდნენ ქალები.

მე წამოვდექი. ქალებმა ისე შეჰკივლეს, თითქოს მხოლოდ ახლა შემამჩინეს...

ვიდექი თეთრ ქვიშაზე და აღარ ვიცოდი, იყვნენ აქ საერთოდ ქალები თუ არა. თეთრი ქვიშა დაფარული იყო უამრავი, უთვალავი ნაზი ნატერფალით...

თეთრი კუნძული უკაცური იყო. მხოლოდ ცისფერი, უღრუბლო ცა, ლურჯი, გამჭვირვალე ზღვა, ყვითელი, ოქროზე ყვითელი მზე და თეთრი, უკაცური კუნძული... მე მარტო ვიყავი. და გამახსენდა ყველა ის დღე, რომელმაც წარუშლელი ნატერფალი დატოვა ჩემი სულის თეთრ ქვიშაზე.



„ჯადო“ საშუალო ტანის ქალი იყო. ქმარი და შვილი ომში დაეკარგა, ორივე უგზოუყვლოდ. ჭერ მოლოდინმა, მერე კი დარღმა სახე დაუნაოჭა. სხვადასხვა აპაქის, სხვადასხვა ერის, სხვადასხვა ქვეყნის ბევრი მოხუცი შემხვედრია, მავრამ ასე დანაოჭებული სახე არსად მინახავს. ჯადო სკოლაში ისტორიას, გეოგრაფიას, ლოდიკას და ფსიქოლოგიას გვასწავლიდა. ჩამორჩენილ მოწაფეებს თავისთან, შინ იბარებდა და თავისუფალ დროს ალგებრა-გეომეტრიკ-ტრიგონომეტრიკასა და ფიზიკაში ავარჯიშებდა. ყველამ იცოდა, ჯადოს გაკვეთილზე სიჩუმე და ყურადღება უნდა ყოფილიყო. უფროსკლასელთაგან მოდიოდა ეს აზრი. უფროსკლასელები კი ჩვენთვის ღმერთები იყვნენ. მინც ჩვენი კლასი სხვა ქუთაზე იდგა და მოვილაპარაკეთ ჯადოსთვისაც ავევრია!

ჯადო პირველ გაკვეთილზე ჩუმად და მშვიდად შემოვიდა, პირდაპირ მაგიდასთან მივიდა და ქურნალი გადაშალა. მერე ხელით გვანიშნა, დავმსხდარიყავით. ატომურ ყუმბარას არ შეუძლია იმგვარი ზეპურის გამოწვევა, ჩვენს დაჯდომას რომ მოჰყვა. ჯადოს სახეზე ერთი ნაკვეთიც არ შერხვეია.

კლასი დაიძაბა. ეს ნომერი ყველა პედაგოგზე სწრაფად მოქმედებდა და იწყებოდა დიდაქტიურთა გამოსვლები. ჯადო კი ჩუმად იყო. მერე ქურნალი გადაშალა და სია ამოიკითხა. თვითეულის გვარს რომ ამოიძახებდა, დააცქერდებოდა, თითქოს ვიღაცას ამგვანებს და ვერ გაიხსენაო და ხელით ანიშნებდა, დამჯდარიყო. რასაკვირველია, მოსწავლეთა პასუხს — „აქ ვარ, ვარ, ჩემი ბატონო! რა ვნებაზე? დიახ! ავერ ვარ. აქანა ვარ“, და სხვა, — ყურადღებას არ აქცევდა. როცა სია ამოიკითხა, ქურნალი დახურა, მაგიდის უჯრა გამოსწია და ქურნალი შიგ ჩაადგო. ჩუმად კი არ ჩადო — ჩააგდო.

მოწაფეები კიდევ უფრო დაიძაბნენ: „რას გვიპირებს?!“ მერე დაიწყო ლაპა-

რაკი ლოდიკის საგანზე, მის მნიშვნელობაზე და ასე შემდეგ. თუ რომელიმე მოსწავლე მეზობელს დაელაპარაკებოდა, საუბარს შესწყვეტდა და ეტყოდა: „ბერაძე, ხომ მისმენ, შვილო!“ ან „მაისაშვილო, გაჩერდი, გენაცვალე!“ ან „შენთვის ვლაპარაკობ, ჩიქობავა!“ სიის ერთი ამოკითხვით ყველას გვარი დაემახსოვრებინა ჯადოს. მერხის ქვეშ ჩანთიდან ქინძისთავი დაეპარე და მეზობლისაკენ გავაპარე ხელი. „ოთარაშვილო“, — წყნარად მომმართა ჯადომ და ხელი გამომიწოდა. მე წამოვდექი, გავფითრდი და ხელისგულზე ქინძისთავი დავუგდე. მერე ჯადომ გვითხრა: „ბავშვებო, თქვენი თვალები ფანჯრებს მაგონებს. როგორც ფანჯარაში შეიხედავ და დაინახავ რა ზღბა ოთახში, ასევე თქვენს თვალებში შეიძლება ამოიკითხოს კაცმა, რა აწუხებს თქვენს მოუსვენარ სულს. ნუ მიეჩვენით თვალთმაქცობას! თქვენ კაცები ხართ. ჰოდა, კაცებს ყოველთვის ალალი გამოხედვა უნდა ჰქონდეთ. შენი სული და გული უნდა ჩანდეს შენს თვალბში. თვალბში უნდა გეტყობოდეს, რა კაციცა ხარ. ნუ ეცდებით უკლდ საქმის გაკეთებას, ნუ ეცდებით შენდობით თქვენი სახე მშვიდი თვალბებით. ამით ვერავის მოატყუებთ. თქვენი თვალები ყოველთვის ალალი, კრიალა სხივით უნდა ბრწყინავდეს“...

ჯადომ მაჯის საათზე დაიხედა. რამდენიმე წამს უხმოდ, გაქვევებული ისხდნენ ბიჭები... და ზარიც დაირეკა. ჯადო საკლასო ოთახიდან ვავიდა.

ღეიდა თამარ! რატომ ყველამ კარვად არ დაიმახსოვრა თქვენი სიტყვები? რატომ ყველა არ იხედება სუფთა თვალბებით? რატომ აღმოჩნდა ჩვენ შორის მოლაღატე?! ავი მთელმა კლასმა შევეფიცეთ ერთმანეთს ძმობა, მეგობრობა?! რატომ არიან უძლური აღამიანები? ნუთუ ასე უნდა მომხდარიყო? ნუთუ ერთადერთი მოლაღატე მაინცდამაინც ჩემი მეგობარი უნდა ყოფილიყო, ჩემომმა, ჩემი სულის ნაწილი და ჩემი სისხლი და ზორცი, თითქმის მე...

საბოლოოდ მთელი კლასიდან სამინი-
ლა დაერჩიოთ მეგობრები. ჩვენ ერთად ვი-
ყავით თითქმის მთელი დღე დილიდან
დაღამებამდე. შინ მხოლოდ დასაძინებ-
ლად მივდიოდით. ომის დროს ზედმეტი
ორი კაცის გამოკლება არც ისე იოლი
საქმე იყო. ამიტომ ვცდილობდით (ისე,
რომ წინასწარ არცერთხელ არ გვითქ-
ვამს) რიგ-რიგობით ვვევლო ერთმანეთ-
თან. სკოლა სამივემ ოქროს მედალზე
დავაშთავრეთ და დავნაწილდით: ვაჟა—
სამედლიცინოში, ქირურგიულზე, გიგა —
თეატრალურში, სარეჟისოროზე, მე —
პოლიტექნიკურში, გზათა სამშენებ-
ლოზე.

ხშირად გვიკამათია მომავალ სპეცია-
ლობაზე. მაშინ ყველაფერი მარტივი და
ცხადი იყო: მისწრაფება! (ეს სიტყვა
სკოლაში გვასწავლეს და ყველა მასწავ-
ლებელი მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებ-
და). გიგა არ ამბობდა, რომ სარეჟისო-
როზე მამამისის, უკვე საკმაოდ ცნობილი
მსახიობის, გავლენით შევიდა. მე გზათა
სამშენებლოზე იმიტომ შევედი, რომ
ჩემი უფროსი ძმა ინჟინერი იყო და
მთებში გზები გაყავდა. ისე კი ვამბობ-
დი: ბუნებასთან ახლოს ვიქნები, მთები,
კარგები, მოულოდნელობანი — ეს ძალ-
ზე რომანტიკულია-მეთქი. აი, ვაჟა რა-
ტომ შევიდა სამედიცინოზე — ეს არა-
ვინ იცოდა. ვაჟას მამა გვირახებდა და
ზიღებს ამუშენებდა, დედა კი თარჯიმანი
ჰყავდა. ვაჟა დედამ ძალიან კარგად
იცოდა ინგლისური და ესპანური.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა
დროს გვქონდა ლექციები, ჩვენ მაინც
ვახერხებდით შეხვედრას, რუსთაველის
გამზირზე ჩასეირნებას და კამათს, გაუ-
თაგებელ ტკბილმოსავიანარ, გაცეცხ-
ლებამდე კამათს — თითქოს ისე ჩვენს
შეხვედრას აზრი არ ექნებოდა. ვკამა-
თობდით ყველაფერზე. აბსოლუტურად
ყველაფერზე. რაც ვიცოდით და არ ვი-
ცოდით. სკოლაში, საზაფხულო არდა-
დეგებზე ერთმანეთთან დაშორება ცრე-
მლსა გვეგვირდა. ინსტიტუტში კი ვცდი-
ლობდით, გამოცდები ერთდროულად

დაგვემთავრებინა და მერე — ზღვაზე,
რასაკვირველია! უფრო ხშირად ვაჟას
ბიძას ვაწუხებდით. ვაჟას ბიძა სოჭაში
ცხოვრობდა, რკინიგზის ინჟინერი იყო.
მასხივს, ერთხელ ვაჟამ გვითხრა: ბი-
ძაჩემს ისეთი რეისვედერი აქვს, რომ
იმნაირი მხოლოდ ლონდონის ერთ-ერთ
მუზეუმში არისო; დაავიწყდა, თორემ
მუზეუმის სახელსაც გვეტყოდა. ჰოდა,
ზაფხულობით, თითქმის ყოველთვის,
ოცი-ოცდახუთი დღით რეისვედერიან
ბიძას ვესტუმრებოდით ხოლმე სოჭაში.
(რეისვედერი კი არა, ლოგარითმული
სახაზავიც არა ჰქონდა! ამას როცა ვამ-
ბობდით, ვაჟა ბრახობდა).

ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა, ნამდვი-
ლად გვეყვარდა.

მერე ჩვენ გოგოები შეგვიყვარდა.
ჯერ — ვაჟას (ეს საკვირველი იყო, რად-
გან ჩვენ შორის ვაჟა ყველაზე თავშეკა-
ვებული იყო ბავშვობიდანვე), მერე —
მე და მერე გიგას. ჩვენ ექვსივენი ერ-
თად დავდიოდით ყველგან. თეატრებში
(მგონი მთელი ქალაქის ახალგაზრდო-
ბიდან მხოლოდ ჩვენ დავდიოდით ყო-
ველ ახალ სექტაკლზე), კინოებში,
კონცერტებზე, დაბადების დღეებზე.
მხოლოდ სტალიონზე დავდიოდით მამა-
კაცები უქალებოდ. მერე ჩვენ ექვსივეს
გვიყვარდა ერთმანეთი. ნამდვილად
გვიყვარდა. ჩვენზე ბედნიერი მაშინ ქვე-
ყანაზე არავინ იყო.

ერთ მშვენიერ დღეს გიგა დაღვრემი-
ლი მოვიდა ჩემთან, მითხრა, ჩემ გოგოს
ვეჩხუბე და დავშორდიოთ. ვერაფრით
ვერ შევარიგეთ. ვაჟა ორჯერ ეახლა იმ
გოგოს. არაფერი გამოვიდა. ამასთან და-
კავშირებით რესტორანში დავდიოდით,
ღვინოს ვსვამდით და ისევე ვკამათობ-
დით. ვკამათობდით პირველ სიყვარულ-
ზე, რომელიც ასე სტანჯავს ადამიანს.
გიგა მართლაც დატანჯულს ჰგავდა, გახ-
და, ფერიც დაკარგა. მერე ჩემი გოგოც
გათხოვდა. უცებ კი არ გათხოვდა, ჯერ
ჩვენც „ვიჩხუბეთ“.

მერე გავიდა დრო. წარჩინებით დავამ-
თავრეთ ინსტიტუტი და მე და ვაჟამ
საკვლევ ინსტიტუტში გადავიანაცვლეთ.



გიგა კი თეატრში მიიწვიეს სამუშაოდ. ვაჟამ ის გოგო შეირთო ცოლად, პირველად რომ შეიყვარა. ქორწილის წინაღედ მხოლოდ ბიჭები შევიკრიბეთ მასთან სახლში და გავკვანდო: ჩემი საცოლე, მარინე, მესუთე კლასიდან მომწონსო. რა კაცია, თითო ტყუილი რომ არ დაარტყას, არ შეუძლია. ჩვენ ხუთ დღეს ვჭეიდობდით ქორწილში. მთელი ქალაქი იმ ქორწილზე ლაპარაკობდა — ისე ლამაზად გამოვიდა ყველაფერი. მეექვსე დღეს ვაჟა და მარინე მატარებულში ჩაესვით და სოჭაში გავუშვით რეისვედერიან ბიძასთან. უკან რომ მოვდიოდით, მე და გიგა განვგებ ჩამოვრჩით მექორწილებს.

— რა ბედნიერი ვარ. გურამ, რომ იცოდე? — მითხრა გულწრფელად გიგამ, — მე და შენ ღვიძლი და შევიძინეთ. მარინე ანგელოსია.

მთელი გზა სადგურიდან სახლამდე მარინეზე ლაპარაკში ამოვიარეთ. ჩვენ ნამდვილად ბედნიერები ვიყავით. მეჩუ... მეჩუ რამდენიმე წელი გავიდა. ვისხედით რესტორანში. ყოველ წელს რამდენიმე თვით ექსპედიციაში მიხდებოდა წასვლა. გამგზავრების წინ რესტორანში ვიკრიბებოდით. ჩემს პირდაპირ ზის გიგა. გიგა, როგორც ყოველთვის, თამადაა. მარცხნივ — ვაჟა, მარჯვნივ — ნანა. მარინეს უკვე გოგო-ბიჭი ჰყავს და რესტორანებში სასიარულოდ არ სცალია. ნანას შავი, ძალზე შავი თმები და ლურჯი, მუქი ლურჯი თვალები აქვს. მე და ნანას ერთმანეთი გვიყვარს. ეს უკვე ნამდვილად „სიყვარულობანას“ როცა ვთამაშობდი, ის დრო წავიდა.

ნანა მიყურებს, ნანა ყოველთვის მე მიყურებს. ნანასთვის ყველაზე ჰკვიანი, ლამაზი და ღონიერი მე ვარ. ნანას უნდა, რომ მე ყველაზე გამოჩენილი გზის მშენებელი ვიყო. ნანას კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი რამ უნდა და მიყურებს, მიყურებს თვალდაუხამხამებლად. მე ნანა მიყვარს, მე ნანა ყოველთვის მინდა და ყოველთვის მიყვარს. მე მეტი არაფერი ვიცი! არა, ვცრუობ. მე კარგად ვიცი, რომ ახლა ბიჭები და ნანა

სადგურში გამაცილებენ; როცა მატარებელი დაიძრება, ნანა იტირებს (მას უკან ჩამოსვლის დროს, ან ბარათით მატარებლის გიგა). მეერ ყოველდღე, ყოველ ცისმარე დღე ერთად იქნებოან გიგა, ვაჟა, ნანა და მარინე (ნანა მარინესაგან დედობას „სწაულობს“). ერთად ივლიან კინოსა და თეატრებში — თუ მარინეს ეცლებს, თუ არა და გიგა მაინც ატარებს ხოლმე... ვაჟა, ალბათ, არ იკადრებს მეუღლე მარტო დატოვოს ორ ბავშვთან. გიგა ატარებს, აბა რა! მე მიხარია, როცა ნანას ყურადღებით ექცევიან ჩემი მეგობრები.

მატარებელი დაიძრა. ქალაქში დავტოვე ჩემთვის ყველაზე საყვარელი ადამიანები — დედა, მამა და ძმა; ბაქანზე კი — გიგა, ვაჟა და ნანა.

— კარგი, ახლა, არ იტირო, — უთხრა ვაჟამ ნანას.

— ნანა დიდი გოგოა, ნანა არ იტირებს, — თქვა გიგამ და ნანას ხელი მოხვია. ნანა ჩუმად იცრემლებოდა; გიგა რომ მოეფერა, გული ამოუჭდა, შუბლი მხარზე მიამჯინა და აზლუქუნდა...

მატარებელი თვალს მიეფარა. ნანამ თავი ასწია, გიგას მკლავს გაეცალა და ღრმად ამოისუნთქა. ამოისუნთქა და... მაშინვე მოუნდა ისევ მიეხვინა თავი გიგას განიერ მხარზე, მაშინვე მოუნდა გიგასაც მოეხვია ხელი. თითქოს ამ წუთისთვის გაჩენილიყო ქვეყანაზე. მეჩუ თეთრად აღაპლაპებულ ლიანდაგს გახედა. იფიქრა, რა უცნაური აზრი არ მოუვა ადამიანს თავშიო. ისიც იფიქრა, ადამიანს თავი იმიტომ აქვს, რომ აზრები დედადგოსო, და გაიღიმა.

— რა ვაკინება? — ჰკითხეს გაცივებულმა ბიჭებმა.

ნანას ისევე მოუნდა თავი მიეხვინა გიგასთვის მკერდზე; არა, გიგასთვის კი არა, ვილაციისთვის, სულ ერთი იყო, ვინ იქნებოდა. ოღონდ იმ ვილაცას მოესმინა, რომ ნანა ამჟამად ყველაზე უბედურია; მთელ ქალაქში ნანაზე უბედურია გოგო არ დადის, რადგან მატროა. ნანას, აქვე გაახსენდა, რომ გიგამ სამყვალთო მოსმენა იცოდა. გიგას ჰკვიანი თვალები

თითქოს გულში იწერდნენ, რასაც ნანა იტყოდა. ეს ასე იყო მათი გაცნობის დღიდან, მაგრამ ნანა რატომღაც მხოლოდ დღეს მიხვდა ამას. გულის სიღრმეში ესიამოვნა, რომ ეს ახალი ამბავი არ იყო. და კიდევ ერთხელ მოუნდა გაენაწილებინა მისთვის სიმართლის საშინელება.

— ბიჭო, ვინ იყო ის ლამაზი გოგო, წუხელ ხელგადახვეული რომ მოგყავდა?

— რომელი გოგო? — იმ დღეს ზომაზე მეტი დავლიეთ და გიგას ნაბახუსევზე სწრაფი აზროვნება უჭირდა.

— რომელი და შავთმიანი, ცისფერფალეა, ცისფერყვავილებიანი კაბით.

— ა! — თქვა დაბნეულად გიგამ და წუხანდელი სიზმარი გაახსენდა.

— ა, არ უნდა ამას, თქვი ვინ იყო! — არ ეშვებოდა გიგას კარის მეზობელი, დამსახურებელი არტისტი, რომელიც გიგაზე ყოველთვის ასე ამბობდა: ჩემს ხელში გაიზარდაო, ვინ იტყოდა, რომ ასეთი ნიჭიერი დაღვებოდაო.

— მოეშხადეთ, უკვე მესამე ზარია. — ცოტა ხმამაღლა წამოიძახა გიგამ და პარტერში ჩავიდა. თეატრი სავსე იყო. რეპერტუარის ათი წარმოდგენიდან მხოლოდ გიგას დადგმაზე იყო აწმლავი, მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლი უკვე ოცდამეათეჯერ მიდიოდა.

სპექტაკლი დაიწყო. გიგამ ლოყას ახედა. ლოყაში ვაჟა, მარინე და ნანა ისტდნენ. ვილაცამ სავარძელი შემოუტანა. გიგამ მშვიდად ამოიხუნთქა და ჩაესვენა.

— ამ სეზონში მეოცდათხუთმეტე სპექტაკლი მოესწრება? — იცითხა ვაჟამ (მეგობრები ყოველ მეხუთე სპექტაკლს ერთად უყურებდნენ. მერე კი მომხდარ ცვლილებებზე კამათობდნენ. ისევე კამათობდნენ! თუ კარგი ამინდი იყო — სანაპიროს ბაღში, თუ არა და — ვაჟასთან).

— არ ვიცი. მე მგონი, არა! — უპასუხა გიგამ.

— ჩვენთან წამოხვალთ, არა? — იცითხა მარინემ.

— მე შინ მეჩქარება. — თქვა ნანამ. — აბა გიგა გავაცილებს.

მარინე და ვაჟა ტროლეიბუსში რომ ჩასტდნენ, გიგამ ნანას ხელკავი გაუკეთა:

— იცი რა მკითხეს დღეს თეატრში? ის ლამაზი გოგონა ვინ იყო. გუშინ რომ მიაცილებდიო.

— მართლა?

— ალბათ, ხვალაც შემეკითხებიან.

— მერე შენ რა უპასუხებ?

— მთელი ღამე სიზმრებში გავატარე. რას არ ნახავს კაცი სიზმარში?!

— მაინც რა იხილე ასეთი?

— სულ შენ მესიზმრებოდი...

— მე?

— ნანა, გენაცვალე, ვინ არის ის შესანიშნავი ქაბუცი. შენ რომ გაცილებს ეს ორი დღეა? — ნანას მეზობელი ხანშიშესული ქვრივი იყო. მისი ოთახის ფანჯრები ქუჩას გადაჰყურებდა.

— ამხანავია.

— კარგი ყმაწვილი ჩანს.

— დაახ, ნიჭიერი რეჟისორია.

— აჰ, — ხელები ჰაერში გაასავსავა ქვრივმა, — თუ არტისტია, არ გირჩევ.

ნანამ გაიცინა.

საოცარი ღამეები იცის ქალაქში ივნისის დასაწყისს. შუა ივნისში კი უკვე დიდი სიციხეები იწყება, ასფალტი ღვებდა, არა გგონია, თუ ოდესმე აგრილდება ისევე.

— ალო!

— ნანას სთხოვეთ, თუ არ შეწყუხდებით.

— ნანა ცარ.

— ვერ გიცანი; რა მოწყენილი ხმა გაქვს!

— გამარჯობა, გიგა. როგორა ხარ? სად დაიკარგე?

— ჩამოხვალ ამ საღამოს მარინესთან? — არ ვიცი... ალბათ... რატომ მეკითხები? „რა უცბად ეპარება გულს ეჭვი, დაუკითხავად, უხეშად! რა ტლანქი თათები აქვს — სუნთქვა ჭირს, როცა მკერდზე გეხება“.

— არა... თუ შენც იქნები... ერთი სიტყვით, თუ ჩამოხვალ, მიიზიარე, ტყუილად არ ჩამიყვანო.

კინოში რამდენიმე წაქნობი შეხვდათ. ისინი ისხდნენ ჩუმად. გოცას ნანას ხელი ეჭირა და არ იძირებოდა. ფილმი ძალზე საინტერესო იყო, მაგრამ... ხელიდან ხელში იდუმალად დენი გადადიოდა, მერე ეს დენი მხრებს მოედო, მერე მუხლებსაც.

გარეთ ისევ ცხელია, როგორც კინოში. გზაში ყველაფერზე ილაპარაკეს, ყველა მოიგონეს. როცა დაშორდნენ, ნანამ ბევრი იფიქრა, თითქოს ბუნებრივად და ჩვეულებრივად გადაიოდა დღეები. მხოლოდ გურამი არ გახსენებია.

გიგას მოუღივლია არ ეძინა. თვალზე მომდგარი ცრემლი უშლიდა კარგად გაერჩია, ისევ ეჭირა თუ არა ხელში ნანას რბილი და პრიალა მტევანი. უხურდა მარჯვენა, იმდენად უხურდა, რომ ევლარ მოითმინა, ადგა. საბაზანოში გავიდა და ოქანს შეუშვირა ჯერ მკლავი, ხოლო შემდეგ ააღებელი შუბლი...

იყო რაღაც საოცარი ლტოლვა ამ ქალისადმი და მეტი არაფერი არ იყო ამქვეყნად. ეს იყო შემთხვევით, ერთ მშვენიერ დღეს დანახული ქალი, უცხო ქალი. მას ჰქონდა შავი, ძალიან შავი თმები, ლურჯი, მუქი ლურჯი თვალები, პაწია სწორი ცხვირი, მსხვილი ტუჩები; ეს იყო რაღაც გადასარევი ქალი. მკერივი, თითქოს წვეტიანი აქეთ-იქით გაშვებული მძღებებით, ზომიერად გამოყვანილი წელითა და გრძელი ფეხებით. ის არასოდეს არ იცვამდა დაბალქუსლიან ფეხსაცმელებს და ქუჩაში რომ მიიბიჯებდა, გამვლელები თვალს ვერ აშორებდნენ. ის რაღაცნაირად მიდიოდა, ჩვეულებრივად არა. მის მოძრაობაში იყო ძალიან ლამაზი ქალის რწმენაც; დედოფლის ბრწყინვალეობაც, ჰაეროვანი სინაზიც, მტაცებელი ცხოველის ანდა ავაზის რბილი ნაბიჯი და ეშმაკობაც; ბევრი რამ უნდა გქონდეს და გეგონოს, როცა ასე მოიბიჯებ. მას ყველაფერი ჰქონდა. ის გადასარევი ქალი იყო.

უნდა ყოფილიყავი სულელი ამდენად? ტარა ბალღი, რომ გულგრილად გეცხირა ამ საოცრებისათვის. გიგას ერთხელაც არ უფიქრია, თუ მხოლოდ საკუთარი აზრი იყო, თუ სხვა თანაზიარიც ჰყავდა, იმდენად გააბრუნა ამ აღმოჩენამ. და როგორც ქაობი ანდა მშრალი ზღვისპირა ქვიშა იწოვს ხოლმე თავის მსხვერპლს, ისე ნელ-ნელა ეფლობოდა ამ გატაცებაში. თავის დაღწევა არც უცდილა. თუმცა ამაზე არც ფიქრობდა. საერთოდ, არაფერზე არ ფიქრობდა, რადგან პირველი შეკათხვისთანავე — რა ექნა ახლა მე? — პირდაპირ სახეში შეაფუტოხა ორეულმა.

„აი, ხომ არსებობს რაღაც, რისგანაც შეიძლება თავის დაღწევა?“

„არსებობს, ნანა!“

„ესე იგი, ისიც არსებობს, რისგანაც არ შეიძლება თავის დაღწევა.“

„ალბათ არსებობს!“

„აი, ეს არის თავდაუღწეველი! და როცა სურვილია თავდაუღწეველი, მაშინ შედეგი თავიდანვე ცხადია. სურვილი თითქმის უკვე შედეგია და ყოველგვარ თავის დაღწევაზე ზედმეტია ლაპარაკი. მე აღარ შემიძლია მისი მკლავების გარეშე, არ შემიძლია მისი ღიმილის გარეშე, არ შემიძლია მისი თვალების გარეშე. აღარ არსებობს სხვა ღიმილი, სხვა თვალები, სხვა მკლავები. ეს ჩემთვის აუცილებელია, ყოველდღე აუცილებელია, ყოველ საათს, ყოველ წუთს, ყოველ წამს აუცილებელია. გესმის?“

„მესმის, ნანა, მესმის, მაგრამ მე მაინც შეგაფუტოხებ თვალებში.“

„საზამთრო მოიტანე?“

— არა, დამავიწყდა.

— არც პური?

— არა. ახლა წავალ და მოვიტან.

— მე უნდა მახსოვდეს ყველაფერი, არა?! მე არ უნდა მავიწყდებოდეს, მე უნდა ვგვიდე, მე უნდა ვრეცხავდე, მე უნდა...

მარინემ ბავშვის ხალათი აბაზანაში ჩაავდო და ცხელი წყალი მოუშვა.

— რა მოგივიდა, ხომ გითხარი, ახლა-ვე წავალ და მოვიტან-მეთქი.

— შენ არც კი გახსოვს შენი ოჯახი; როცა გინდა, წაბრძანდები, როცა გინდა, შემოხვეალ... სად დადიხარ, სად?

— რა მოგივიდა, ჩემო გოგო, რა იყო? — ვაჟამ გაიღიმა და მარინესკენ გაიწია. მარინე სააბაზანოდან სწრაფი ნაბიჯით გამოვიდა და მაგიდის გაშლა დაიწყო.

— რა მოგივიდა-მეთქი? — ისევ ჰკითხა მშვილად ვაჟამ.

— წადი, პური მოიტანე.

ვაჟამ პური რომ მოიტანა, მაგიდა უკვე გაშლილი იყო. ბავშვები ეზოში ჩასულაყვნენ სათამაშოდ. ოთახში სიჩუმე და სიმშვიდე იდგა. მარინემ დიდი ჩამით წენიანი ამოიღო კრიალა ქვაბიდან და ვაჟას დაუსხა.

— გეყოფა? — ჰკითხა მერე ოდნავ-შესამჩნევი ღიმილით.

— რა მოხდა? რა მოგივიდა, არ მეტყვი?

— შენ არაფერი არ გავივია ნანაზე და... ვიგაზე?

სამი თვის შემდეგ ერთი დღით ჩამოვედი ქალაქში. ძალიან კარგად ვიმგზავრე. ტუბილად მეძინა. მე მეგონა ჩვეულებრივი დღეა გათენდა. თუმცა დღეა მინცაღამაინც არაფრით გამოირჩეოდა: ცხელოდა, მიწას ორთქლის ჭავლი ასდმოდა და მგზავრებიც მოთენთილნი იყვნენ.

სადგურზე მხოლოდ ვაჟა დამხვდა. მე მესტ არავის ველოდი. გადამეხვია, გადამყოცნა. მერე წავედით ტუბის რიგში, და როცა ხელი წუთის შემდეგაც არაფერი მითხრა, შემეშინდა, ისე ძალიან შემეშინდა, რომ გულმა ვუგუნე და-მიწყო. ამჯერად ვაჟამ ვერ გაიგო ჩემი გულის ხმაური. მე უფრო ძალიან შევშინდი და კითხვაც ვერ გავბედე. მეგობარს თვალეში შევცქეროდი: როგორც ყოველთვის, ვაჟას მშვიდი გამოხედა ჰქონდა. ძლივს მივესწარი ინსტიტუტში დანიშნულ დიდ საბჭოს.

— გისმენთ.

— ნანას სთხოვეთ, თუ შეიძლება.

— არ გახლავთ, ერთი საათის შემდეგ დარეკეთ.

— გისმენთ...

— ნანას სთხოვეთ, თუ შეიძლება.

— არ გახლავთ, ერთი საათის შემდეგ დარეკეთ.

— გისმენთ.

— ეს რაღე მე ვარ. ნანას სთხოვეთ...

— ნანა არ გახლავთ, გენაცვალე. რომელი ხარ?

— გურამი ვარ. უთხარით, რომ დღეს თერთმეტ საათზე მივემგზავრები მეთუ ვაგონით.

— კი ბატონო, გადაცემ. ვინ ბრძანდებით?

— გურამი.

— გურამი?

— გურამ, შინა ხარ? — მომესმა ვაჟას ხმა. მე ფანჯრიდან გადავიხედე. ჩემი სახლის წინ ვაჟას თეთრი „ვოლგა“ იდგა. მანქანას, იმ დღიდან, რაც ვაჟას ხელში ჩავარდა, „თეთრ ღამეს“ ვეძახდით. ვაჟას უნაკლოდ გაკრიალებული „თეთრი ღამიდან“ თავი გამოეყო და ილიმებოდა.

— რას იყრებები, ბიჭო?!

— გამოიყვანე შენი დანჯღრეული „კატაფალა“, თორემ აკუმულატორი დაჯდება.

ჩემი „ვოლგა“ შავი ფერისა იყო და იმასაც გამოყვანის დღიდან „კატაფალას“ ვეძახდით.

— არ დაჯდება, ნუ გეშინია. ხომ იცი, ერთი დღითა ვარ და არ მიყვარს ძრავის შეწუხება.

— შენ თუ ხასიათზე არა ხარ (ეტყობა, ვაჟამ შეამჩნია ჩემი შეკუმხნილი შუბლი), ძმაცაცს მაინც გამოიწიე თანაგრძნობა.

— რა ჩაიფიქრე?

— ძია ვასოს ხბო დაუცლავს და გეპატიება.

ძია ვასო ნაქერალას რესტორნის შეფ-მზარეული იყო და ძალიან გემრი-

ელ საკმელს ამაზღებდა. მეგობრებს თუ ცოტა ფული ჩაგვივარდებოდა ხელში, ძია ვასოს მივაკითხავდით ხოლმე. ამის შესაძლებლობა ყოველთვის გვქონდა, რადგან ტექნიკით საკმაოდ ვიყავით შეიარაღებული.

— ქეიფი გინდა?

— რამდენი ხანია აქ არ ყოფილხარ, რას ინახები. არ მოგენატრა ძია ვასოს მწვადები?

— „თეთრი ღამით“ ვერ ავალთ?

— ჩემი ჭალაბობა ძლივს-ლა ეტევა.

— კარგი, ჰო, ჩამოვალ.

— გიცდი.

ვაქამ თავისი სახლისაკენ რომ არ ჩაუხვია, გამიკვირდა, გადავუსწარი და ხელი ავუწიე, მინდოდა შეჩერებულიყო. „თეთრი ღამე“ არ გაჩერდა და მანიშნა, მივყოლოდი. მეც მივყევი: ვაქამ უბრალო ახირება არ იცის!



„მოსკვირის“ ტიპის მანქანა მწვანე ხასხასა მინდვრიდან რბილად და ფრთხილად გადავიდა სოფლის შარაზე და მტვერი დააყენა. მანქანის რადიომიმღებში სევდისმომგვრელი, ნელი ბლუზი ისმოდა. ქალს მტვერი სახეში შეეყარა და სარკმლის დასაკეტებ დატარიალა.

— ნუ კეტავ, ცხელა! — სთხოვა ვაქამ.

ქალმა სარკმელი მაგრად დაეკეტა და რადიომიმღებს ხმა მოუმატა. მანქანა უფრო სწრაფად ამოძრავდა და მტერის კორიანტელმაც იმატა. რამდენიმე კილომეტრის შემდეგ შარაგზა განიერ ასფალტიან გზატკეცილს შეუერთდა. „მოსკვირი“ მსუბუქად გასრიალდა და ქალაქისაკენ აიღო გეზი.

ქალმა ოღნავ გააღო სარკმელი. ისინი ორნი იყვნენ და ჩუმად მგზავრობდნენ. ამ გზას დიდი ხანია იცნობდნენ. უკან ყოველთვის ჩუმად ბრუნდებოდნენ, თუმცა ამ დღემილითაც და თვალის უბრალო გადახედვითაც კი ეალერსებოდნენ ერთმანეთს. ყველაფერი გამოთვლილი და მრავალჯერ გაზომილი იყო: ქალაქს მიუახლოვდნენ თუ არა — შეზინდდა. „მოსკვირმა“ თვალები გაახილა. სხვა მანქანებმაც გაახილეს თვალე-

ბი. შემხვედრი მანქანები ერთმანეთს თვალს უკრავდნენ. „მოსკვირი“ მშვიდად მისრიალებდა. წინ ბენზინის წერტილი გამოჩნდა. „მოსკვირმა“ სვლა შეანელა, მერე მოულოდნელად დაამუხრუჭა.

— რა მოხდა? — იკითხა ქალმა.

— ბენზინის წერტითან „თეთრი ღამე“ დგას, ხედავ?

— ვხედავ.

— რა ექნათ?

— არ ვიცი.

— საით წავიდეთ? იქნებ ჩავუაროთ... ახლა ბინდია, ვერ შეგვამჩნევს.

— ის, შეიძლება, ბენზინის აღებით არის გართული, მაგრამ...

— „კატაფალკაც“ იქ დგას?! — გამწარდა ვაქი.

— ორივენი აქ არიან. შეუძმნეველი არ დავრჩებით. მით უმეტეს, ვაქას.

„თეთრი ღამე“ ავუგუნდა, მერე ოღნავ შემობრუნდა და თვალები „მოსკვირის“ მიანათა.

— საით წავიდეთ? — კვლავ იკითხა დაფეთებულმა მძღოლმა.

— უკან! — ქალი მიხვდა, რომ ვაქი საბოლოოდ დაიბნა. ახლა მთავარი იყო, მასაც არ დაეკარგა სიმშვიდე. „მოსკვირი“ მობრუნდა, მაგრამ სანამ წრეს მოხაზავდა, „ვოლგები“ ამოძრავდნენ.

— ქალაქში უნდა შეგვესწრო, იქ დამალვა ადვილია.

— ნუ ღელავ, ახლა მთავარია, არ ალელდე. ვატყობ, ისინი ვილაცამ გააფრთხილა... მაგრამ ვინ? — უნებურად ხმამალა აყვირდა ელდანაცემი ქალი.

— წავაგვით! — წაიჩურჩულა სასოწარკვეთილმა მძღოლმა.

— ამ სწორ მონაკვეთზე, ალბათ, ადვილად დაგვეწვიან.

„თეთრი ღამე“ მილიციელი წამოეწია მოტოციკლით.

— ვაქა გააჩერეს, ხედავ? — უთხრა ქალმა მძღოლს.

— მაგის დარდი მაქვს, ერთი წინ გაიხედე.

გზაზე უზარმაზარი სატვირთო იყო გაჩხერილი. მისაბმელი საბარგული გზას

თითქმის კეტავდა. ბევრი ფიქრის დრო არ იყო. „მოსკვიჩი“, ისე, რომ სვლა არ შეუწულებია, გზის გასწვრივ გათხრილ ღრმულზე გადავიდა და სატვირთოს გვერდი აუქცია. მერე მარცხნივ შებრუნდა და ისევ გავარდა განიერ გზატყეცილზე. მხოლოდ ერთი წუთით მიეფარნენ თვალს მღვერები. მალე ისინიც გამოჩნდნენ. სატვირთოს გვერდს უვლიდნენ.

— ეს მესამე რაღაა?

— მოტოციკლი. აქი გითხარი, მილიცია წამოეწვია-მეთქი!

— მილიციელიც თან წამოიყვანეს?! უპ, მაგათი... — მძლოლმა შეიკურთხა.

— კიდევ ერთხელ შევიგინები და გადავხტები! — შეჰყვირა ქალმა და თვალზე ცრემლი მოადგა. ქალს გადარჩენის იმედი ჰქონდა.

„მოსკვიჩის“ სპიდომეტრი ასს უჩვენებდა. „ვოლგები“ თითქოს ზომიერად მისდევდნენ. არც ეწეოდნენ და არც წინ უშვებდნენ ძალიან.

„არადამაკმაყოფილებელია განათება აგრეთვე საქალაქო ტრანსპორტის გაჩერებებთან: კოსმონავტების სასახლის პირდაპირ, ინჟინერთა სახლიდან და სხვა...“ — გუგუხუნებდა რადიომიმღები.

— გამოთიშე, ეგ ოხერი!

ქალმა რადიომიმღები გამოთიშა. უცებ უსიამოვნო სიჩუმე ჩამოვარდა. სპიდომეტრი ახლა ასოცს უჩვენებდა. „ვოლგებიც“ მოფრინავდნენ, მოტოციკლი აღარ ჩანდა.

წლებივით ნელა გადიოდა წამები.

— ნეტა რა ჩაიფიქრეს?! რა უნდათ? აი, გავაჩერებ ახლა მანქანას და რაც უნდათ, ის მიქნან!

— მშიშარა ხარ! — ქალი სრულიად დამშვიდდა.

— აბა რა უნდათ! რატომ არ მეწევიან! რა უნდათ! — ახლა ვაჟი აფორიაქდა.

— დამშვიდდი. ჩვენი სოფლისკენ გადავუხვიეთ და დავეკარგებით. ის გზა ვიწროა. ორღობეში, მგონი, ვერც კი გამოეტყვიან.

იმ სოფელში არც ერთ მათგანს ბინა

არ ჰქონდა, მაგრამ პაემანის ადგილს „ჩვენს სოფელს“ ეძახდნენ. ვაჟი ყურს არ უგდებდა ქალს და ფეხით მუხრატუს აწვებოდა. მანქანამ ნელ-ნელა შეანელა სვლა.

— რას შვრები, რას? ვაგიყდი? ორღობეში ვერ გამოძვრებიან-მეთქი, ვერ ვაიგივ?

— ხედავ? — დორბლუს ყრიდა ვაჟი, — ისინიც შეჩერდნენ. ქალმა უკან გაიხედა და მართლაც შენიშნა, როგორ უკლო სვლას მეწინავე „ვოლგამ“. ორივენი მიხვდნენ, რომ ყველაფერი გადაწყვეტილი და წინასწარმოფიქრებული იყო, მაგრამ რა? მაგრამ რა? მაგრამ რა? შეცნობა საიდუმლოებისა, რომელზედაც შენი ბედი, ბედი კი არა, უფრო მეტი რამ არის დამოკიდებული, ადამიანის ყველაზე ძლიერი სურვილია. ამ სურვილს წინ ვერაფერი აღუდგება. მაგრამ რაღაც იმედი კიდევ არსებობდა.

— ორღობე! შენ გენიოსი ხარ, ჩემო გოგონა. მე მშვიდად ვიქნები და ორღობეშიც ვავალ.

„მოსკვიჩი“ ისევ აჩქარდა. შორს გადასახვევი გამოჩნდა. მანქანამ ძლივს გადაუსწრო იმავე ფერის „მოსკვიჩს“, ასფალტიანი გზიდან საბურავების კივილით გადაუხვია და შარავზას ბუქი აუყენა. ეტყობა „მოსკვიჩის“ ასეთ აფეთქებას არ ელოდნენ „ვოლგები“. მათ გვიან აიღეს სისწრაფე და... გზატყეცილს გაჰყვნენ.

— არ გადმოუხვიეს! — შეჰყვირა ქალმა.

— სიბნელეში მანქანა აეროვდათ. იმ „მოსკვიჩს“ გაჰყვნენ. — დასაკვნა მძლოლმა, სვლა შეანელა და საარკმელი გააღო, გახურებული შუბლი გრილ ნიავს შეუშვირა. ქალმა შვებით ამოისუნთქა.

— შენ კი დანებებას აპირებდი! — სთქვა მან, — ხელების აწევას ყოველთვის მოასწრებ. მანამ ყველაფერი უნდა სცადო, ხავსსაც კი უნდა მოეჭიდო. იქნებ ფრჩხილები მაჯარია და შენი ხავსიც არ გლალატობს! რა იცი!

— დაგვეწეოდნენ და ჯანდაბას ჩემი თავი! — თქვა ვაჟმა.

— მაშინ რატომ მივრბოდით?

— რა ვიცი.

— მე ვიცი. ორივეს შეგვეშინდა. იცი, რისი შეგვეშინდა? პატიოსანის სახელის დაკარგვისა, „რას იტყვის ხალხის“ პრინციპზე.

— ისინი ხალხი არ არიან. ისინი რასაც იტყვიან — ჩვენთვის საბედისწერო განაჩენია.

— ვერც დაგვეწეოდნენ.

— დაწვეით ადვილად დაგვეწეოდნენ, მაგრამ... — კვლავ დაეშვედა ვაჟი.

— ასე ჩვენ შეხვედრებს ფასი არა აქვს.

— შენ ისევ შენსას გაიძახი?

უცებ მათ უკან, დაახლოებით ოცდაათი-ორმოცი მეტრის მანძილზე, ორი „ვოლგა“ აინთო. ვაჟმა სასწრაფოდ, თითქმის მექანიკურად გადართო სიჩქარე და „მოსკვიჩი“ ისევ გაფრინდა. დიდი ლანდები ფრთხილად აედევნენ დემონილს.

— ახლა მხოლოდ ორლობის იმედი მაქვს! — ვაჟს ისე უცემდა გული, რომ მზად იყო ყველაფერზე ხელი ჩაექნია.

— სისწრაფეს მოუმატე! კიდეც... კიდეც! — ყვიროდა ქალი.

„მოსკვიჩი“ ორლობეში გასრიალდა და გვერდები გაიკაწრა. „ვოლგებმა“ ადვილად მისწი-მოსწიეს ტყრუშული ღობე და ლტოლვილს მინდორზე გამოეწინენ. მინდორს იქით ტყე იწყებოდა. ტყეში მხოლოდ ნახევარ კილომეტრზე შედიოდა გზა. მეჩხერი ტყე მალე თავდებოდა და გაშლილი ჯანგარი იწყებოდა; მერე ყველაფერი თავდებოდა. „მოსკვიჩი“ ასით მიჰქროდა, უცებ დამუხრუჭდა, ერთ-ორ ხეს კი აუხვია გვერდი, მაგრამ მსხვილ რცხილას ველარ აუარა, დაეჯახა და... ქალის კვილი და ვაჟის ღრიალი გაისმა.

„ვოლგებმა“ დინჯად შეაჩერეს სვლა. მანქანები ორივე მხრიდან ანათებდნენ დაჰყულებილ „მოსკვიჩს“.

სერიოზული არც ერთს არაფერი მოსვლია, თუმცა რა უნდა დამართოდათ ამაზე უარესი. დარწმუნებული ვიყავი, რომ „მოსკვიჩიდან“ ნანა გადმოვიდოდა, მაგრამ როგორ არ მინდოდა, ოპ,

როგორ არ მინდოდა ის ბიჭი გადმოსულიყო. ბიჭი გადმოვიდა. იმისი თავი კი ჰქონდა, რომ ხელი მოეჩრდილა და ჩემი „ვოლგისაკენ“ გამოეხედა, მაგრამ ძალა წაერთვა და ჩაიჩოქა.

ვაჟას მანქანაში ორივე უგონოდ იწვა. მერე „მოსკვიჩიდან“ შურისძიება გადმობობლდა. შურისძიებას ასი ხელი და ასი თვალი ჰქონდა, მაგრამ პატარა იყო. ფეხები სწრაფად მოძრაობდნენ, თვალები მევეთრად ანათებდნენ. ის ჩემსკენ მობობლავდა, ილიმებოდა და ჩურჩულებდა. მერე ისე გადიდდა, ისე გაიზარდა, რომ ჩემი მანქანიანად ამიყვანა და მარწყვმა, ხელიდან ხელში გადავქონდი. მე მიხაროდა, რომ გავიცინი, დავუქმავადი. ვაჟამ მანქანა მოაბრუნა. შურისძიება უცებ დაპატარავდა. ისევ დაპატარავდა და მიწაზე ლოღვა დაიწყო. მე მანქანის კარი გავაღე, გადმოვედი და ფეხით გავსრისე: აღარ დავაცადე აღორძინება. მერე ჩემს მანქანაში ჩავჯექი და ვაჟას გამოვეკიდე.



— გაიგეთ, ნოდარს მანქანა დაუმტვრევია!

— ნოდარს კი არა, გიგას.

— კი მაგრამ, გოგას თავის მანქანა არა ჰყავს?

— საიდან!

— აბა გუშინ მწევანე „ვოლგაში“ რომ დავინახე?!

— ისიც ნათხოვარი იქნებოდა.

— როდის დაუმტვრევია?

— გუშინ.

— მარტო იყო?

— არა, ვილაცა ჰყოლია.

— ვინ ჰყავდა, არ იცით?

— მგონი ნანაზე ამბობენ. მთვრალე-ბი ყოფილან.

— მაგრა დამტვრეულან?

— მანქანას წინა მხარე აქვს დაჰყულებილი, სულ უნდა გამოიცვალოს.

— რომელი ნანა, თავის ფილმში რომ იღებს?

— ჰო.

— გიგამ თეატრს თავი დაანება?

— რამდენი ხანია!

— მერე ნოდარი რას ამბობს, რამდენი ჭლები რემონტი?

● ორი წლის შემდეგ ჩემი სახლიდან გამოვედით სამივენი: მე, გიგა და ვაჟა. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგით და ჯადო დაინახეთ. ჯადოს ბოლო წლებში იშვიათად ვხვდებოდით ქუჩაში. ახლა ხელში რაღაც შეფუთული ეჭირა და ბებრული ნაბიჯით მოხაჯბაჯებდა.

— გამარჯობათ, დეიდა თამარ! — მოწაფეებივით ერთხმად მივესალმეთ.

ჯადო მობრუნდა. სათვალეზე ხელი წაივლო და ოღნავ ზევით ასწია.

— გავიმარჯოთ, შვილებო! — დაგვაკვირდა, — აბა რომლები ხართ, თუ გიცნობთ. შენ გიგა ხარ, არა?

— დიახ.

— შენ ვაჟა... ესეც გურამი იქნება, რახან თქვენ ორნი აქა ხართ.

— დეიდა თამარ, გავიგეთ თქვენი შვილი დაბრუნებულა.

— დაბრუნდა, დაბრუნდა, მაგრამ... — ჯადომ ამოიხრა, — ნეტავ ასეთი არ დაბრუნებულ იყო, — ჩუმად გამოსცრა კბილებშუა.

— რა მოხდა?

— ტყვედ ჩავარდნილა. სპირტისა თუ რაღაც ჯანდაბის სმას შეჩვევია და... ახლა ფსიქიატრიულში წევს. იქ მივდივარ, თუ შემომშვეს; მიღების დღე არ არის, მაგრამ იმ უბედურის დაბადების დღეა...

ჩვენ ფსიქიატრიულში წავედით. მორიგე ექიმი ვაჟას ამხანაგი აღმოჩნდა.

— გამარჯობათ, ბიჭებო! — გვითხრა ჯადოს შვილმა.

— გავიმარჯოს!

— დღეს ჩემი დაბადების დღეა.

— მოგვილოცავს!

— თქვენ დედაჩემის მოწაფეები ხართ, არა?

— დიახ.

— თქვენც ჯადოს ეძახდით ამ ქალს?..

აბა თვალეებში შემომხედეთ. თვალეებში უნდა გეტყობოდეს რა კაცია ხარ. ნუ ითვალთმაქცებთ; მაინც ვერავის მოატყუებთ. თქვენი თვალეები ფანჯრებს

მაგონებს. შეიხედავ და დაინახავ, რა აფორიაქებს თქვენ მოუსხენარ სულს. აბა თვალეებში შემომხედეთ!

ავადმყოფმა თვალეები დააბრიალა. ამ ფანჯრებს იქით ჩანდა დღე, გრძელი, დაუსრულებელი, ნაცრისფერი დღე; რომელიც არასოდეს განათდება.

დეიდა თამარს თვალეებზე ცრემლი მოადგა. ველარ შეეძლია იქ დარჩენა და დედა-შვილი მარტო დეტოვავთ.

ერთმანეთისათვის ხმა არ გაგვიცია. პირველივე შემხვედრი მანქანა გავაჩერე და ვაჟას მისამართი დავესახელე. გზაზე ღვინო ვიყიდეთ. მარინეს ყოველთვის უხაროდა ჩვენი სტუმრობა და დატრიალდა. ბავშვები, რასაკვირველია, ეზოში ჩაერყვით. ჯერ უხმოდ, თავისდაქნევით ვესვამდით. მერე ხმაც ამოვიღეთ. გიგას რაღაცა უნდოდა ეთქვა, ეს „რაღაც“ დიდი ხანია უნდა, რომ თქვას, მაგრამ ვაჟა არ აცლის. ვაჟა ამბობს, რომ ის „რაღაც“ ყოველთვის გულში უნდა ჰქონდეს გიგას, სტანჯავდეს, ჰკლავდეს. ვინ ათქმევინებს ამ „რაღაცას“! მერე ჩუმად დავილიდინეთ კიდეც. ასე გემრიელად და ხმაშეწყობით დიდი ხანია არ გვემღერა. სამივე ვგრძნობდით, რომ ვისწავლეთ დოლატი, მაგრამ პატივბაც ვისწავლეთ. მთელი გულით რომ აპატიო, დიდი, ძალიან დიდი და კეთილი გული უნდა გქონდეს. კეთილგულიანი კაცის სადღეგრძელოც დავლიეთ, მგონი გიგასი; გიგასი კი არა — ჩემი! არც ჩემი — ვაჟასი! არა, ვცრობს! თუმცა რომ დამკლა, ვერ გავიხსენებ, ვინ იყო ჩვენში ყველაზე კეთილი და რა ჰქონდა სასიკეთო იმ კაცს. არ მახსოვს, ნამდვილად არ მახსოვს, სად და როდის მოხდა ეს ამბავი. მგონი გიგა, გურამი იყო, გურამი — ვაჟა, ვაჟა — გიგა; თუ პირიქით. არ ვიცი, არ მახსოვს, ვერ მოვატყუებთ!

2.

ახლა, როცა სრულიად მარტო ვარ და ცხადად ვგრძნობ შენს სიმორეს, ყველაფერს ვულახდილად გეტყვი. მომენატრე, ძალიან მომენატრე! დიდი ხნის

წინათ ერთ ქერათმიან გოგონას ვუყვარდი. ის გოგონა მეც მიყვარდა. ეს ჩემი პირველი სიყვარული იყო. არ ვიცოდით, როგორ მიეფერებოდით ერთმანეთს. მაშინ ბევრი რამ არ ვიცოდით და, ალბათ ამიტომ, ყველაზე ბედნიერი ვიყავით. პირველად მას ლოყაზე ვაკოცე — ქურღულადა, მიპარვით. გოგონამ თვალებზე ხელები მიიფარა და გაწითლდა, შერცხვა. მერე მე ხელებზე დავუწყე კოცნა. გოგონა ტიროდა. მაშინ პირველად ვნახე სიხარულის ცრემლი და მეც ვიტირე.

ჩვენ ძალიან შევეჩვიეთ ერთმანეთს. ერთხელ შეუძლოდ შევიქეცე და ვიწეკი. ეს გაუბედავი გოგონა ამაყად მოვიდა ჩვენს სახლში, კარი გააღო და სასათუმალთან დამიჯდა. დედაჩემმა გაიღიმა და მარტო დაგვეტოვა. გოგონამ თქვა: „შენა ხარ ჩემი ბიჭი, ჩემი ტკბილი ბიჭი, ჩემი თბილი ბიჭი! შენ არ უნდა მიატოვო გოგონა და ყოველთვის კარგად უნდა იყო“. გოგონამ თავზე ხელი გადამისვა და „შუბლზე მაკოცა. მერე გოგონა წავიდა. მოხდა სასწაული: ყოველგვარი წამლის გარეშე კარგად გავხდი და მეორე დღეს ისევ ვუყოცნიდი ჩემ გოგონას ყოვლისშემძლე ხელებს.

გოგონა მივიღია, მეფერებოდა. ასე მხოლოდ პატარა ძმებს ეალერსებოდა. გოგონა მეხუტებოდა, მთელი სხეულით მეფერებოდა. რა გასაკვირი იყო, რომ თავს მერჩინა და მიყვარდა, ძალიან მიყვარდა. გოგონას მშვენიერი მკლავები ჰქონდა. მას გრძელი და თბილი თითები ჰქონდა. ამ თითებს შეეძლოთ ყველასათვის, დედაჩემისათვისაც უცნობი ადგილის პოვნა ჩემს მკერდზე. ეს მათი ადგილი იყო. ამ თითებს იმდენი სითბოს მოცემა შეეძლოთ, რომ არასოდეს გავყინულიყავი. მაგრამ მერჩინა, თავზე ხელი გადაესვა და ჩურჩულით, საოცარი ჩურჩულით, რომელიც მხოლოდ მან იტოვებდა, ეთქვა: „ჩემი ტკბილი ბიჭი... ჩემი თბილი ბიჭი...“

რა ყოფილა პირველი სიყვარული?! არ მაეწყდებო! ალბათ, მაშინ გონება გამოთიშულია, უფრო სწორედ, მზად არ

არის ყველაფერი ჭეროვნად შეათასოს, აწონ-დაწონოს. მხოლოდ გრძნობა კი... ცხრამეტი წლის ბიჭის გადარევისა, აწიოკებას, დარბევას რა დიდი საქმე უნდა! უბედურება ის არის მხოლოდ, რომ იზრდები, თითქოს ჭკვიანდები, მწიფდები და ყოველ ახალ გატაცებას მანაც იმ პირველს ადარებ. არასოდეს არ კმაყოფილდება გონება; ან ისე იოლად რა დააკმაყოფილებს შედარებით გაზრდილ და სრულყოფილ მოთხოვნილებას. მინც ადარებ და... ყველა დანარჩენი ფერსა ჰკარგავს, ხუნდება! ამიტომ არ ავიწყდებათ აღამიანებს პირველი სიყვარული!

თვითკმაყოფილების საოცარი გრძნობა ახლავს თან პირველ სიყვარულს. აღარ არსებობს ამქვეყნად არავინ, არავინ, არავინ. მეგობრები გეჩხუბებიან — შენ გიხარია, ძმა გიბრაზდება — შენ ეხვევი, მამა გულმავიწყობაზე დაგცინის — არაფერს იმჩნევ, უღიმი; დედა უყურადღებობას გიჩივის (დედისთვის აბა რა უნდა იყოს ამაზე საწყენი!) შენ ჰკოცნი და ისე ეხვევი, რომ დედას სტკივა. აღარ არსებობს ამქვეყნად არავინ, არავინ, არავინ! ალბათ, ამიტომ არ ავიწყდებათ პირველი სიყვარული! ცაში ფრინავ და შენს გარშემო არაფერია სილურჯის მეტი. დედამიწაზე არ გიდგას ფეხი და, გგონია, ყველაფერი გეპატიება. მერე უტეხ... მარტო დავრჩი. ჩემს გარშემო ყველაფერი გაქრა და ისეთი სიჩუმე იდგა, რომ მეშინოდა.

რა გაბოროტება სცოდნია გაწილუბულ გულს?! როგორ მხეცდება, როგორ ქვავდება! დაღიხარ, დაღიხარ, დღუდალამე ხეტიალობ. ქუჩები ცარიელია. ქალაქი ცარიელია, დედამიწაც ცარიელია! გზვებიან არსებანი, რომლებსაც წინათ აღამიანებს ეძაძღი. არც ერთს არა აქვს გული; არც ერთს არა აქვს თვალი; არავინ გეგულუბა ისეთი, რომ დაგეხმაროს, ხელი მოგხვიოს, გავათბოს, რადგან არც ერთს არა აქვს სითბო. არცა გშია, არცა გწყურია. ყველაფერი მორჩა, აღარაფერი გეშველება და ყველას: მეგობრებს, რომლებიც თავს გერჩინა, ყოველ

მჩჩეველს გიყად თუ არა, შენს მტრად სთვლი. მარტო ხარ.

მერე? მერე ჩაივლის დრო. შენ ყურადღებას არ მიაქცევ, რა მოხდა, დრო ყოველთვის მიდის. მერე ისევ ჩაივლის დრო და თან რალაცას ჩამოატარებს. თუ კარგად დაუქვირდები, ეს რალაც — იმედია და რადგან გამოიცნობ, რომ ეს იმედია — გამხნევდები. დრო კი ისევ მიდის და მიდის. მერე შენ ისევ შეხვდები აღამიანებს, რომლებსაც თვალეობაცა აქვთ და გულიც, და სიბოაც.

მერე: მერე ველარ გეტყვი, რა მოხდება. მე კი გიცდი მას შემდეგ. დიდი დრო გავიდა. მე კი გიცდი, გიცდი ალერსის უცხო, პაწაწინა, ნახო ყვავილო! მომე-ნატრე, ძალიან მომენატრე. მჯერა, რომ მოხვალ. მაგრამ იმდენი რამ დაგროვდა ჩემში, ისე ძუნწი და უტყვე ვიყავი ამ სიმარტოვეში. ისე ვინახავდი ჩემს გულს შენთვის, რომ უკვე მეშინია შენი გამოჩენის. არ გაპატიებ — ასე დიდი ხნით რომ მიმატოვე.

3.

ენიკას პური ეჭირა. ხელები მზისკენ ვაეშვირა, თითქოს მზეს აპურებდა. ქერა თმებს ქარი უწეწავდა. გრუზა დაღა-ლები ხანდახან თვალეობზე ეფარებოდა. ენიკა ამ დროს ვერაფერს ხედავდა, მაგრამ ხელები მაინც მზისკენ ჰქონდა გაწვდილი. უცებ, საიდანღაც გაჩნდა სუფთა, თეთრი, პრიალა თოლია, პურს ნისკარტი ჩაჰკრა და გაფრინდა. ენიკას გაეცინა, მერე თეთრი გამჭვირვალე მოსასხამი მოსძვრა და მდინარისკენ დაეშვა საოცნებო ფრიალით. ვილაცამ იყვირა.

მხოლოდ ახლა გაახილა თვალი ენიკამ. მას თავლისფერი თვალეობი ჰქონდა. მოსასხამი ისევ ფრიალებდა და მდინარის ზედაპირს უახლოვდებოდა. ენიკამ თვალეობი დახუჭა. ისევ უცებ და ისევ საიდანღაც გაჩნდა უთეთრესი, სუფთა, პრიალა თოლია და პურს ნისკარტი ჩაჰკრა. მოსასხამი მდინარეში ჩავარდა, მერე გემის კვალზე გაჩენილ ტალღებსა და მორევში მოექცა და ქაფში გაუჩინარდა. ახლა ორი თოლია მოფრინდა ერთ-

დროულად, ჩაჰკრეს ნისკარტი პურს და ხელიდან გამოვლიჯეს ენიკას. გაოცებულმა ენიკამ თვალეობი გაახილა, ქუთუთოზე ცრემლი უბრწყინავდა. გემს თოლიების გუნდი მოჰყვებოდა.

— გემს მოშეებული თოლიების გუნდი მოჰყვება.

— მერე, რა გატირებს?

— მიხარია; თოლიები მომეჩვივნენ, ჩემთან ახლოს მოსვლას ბედავენ; ხომ ხედავდი, როგორ კენკავდნენ პურს ჩემი ხელიდან?

— შენთვის თვალი არ მომიშორებია!

— სხვებს არ ეკარებთან თოლიები. თუ არა გჯერა, სინჯე!

ენიკამ ჯიბიდან პური ამოიღო და მომცა. პური მზისკენ ვაევიშვირე. ცოტა ხნის შემდეგ თოლია მოფრინდა, მაგრამ ახლოს მოსვლა ვერ გაბედა. მე ვიცდიდი, არ გავნძრეულვარ, რომ არ დამეფრთხო, თითქოს სუნთქვაც შემეკრა. თოლია ისევ მოფრინავდა ჩემი ხელიდან რამდენიმე სანტიმეტრის დაშორებით, მაგრამ უფრო ახლო მოსვლას არცა ცდილობდა. წარმოუდგენლად სუფთა, თეთრი და პრიალა ბუმბული აქვს თოლიას. რას შევადარო არ ვიცი; შეიძლება ენიკას ჰქონდეს ასეთი თეთრი და პრიალა მკერდი. ენიკაც ხომ თოლიაა, ქერათმიანი, სუფთა, თეთრი, პრიალა... თოლია ისევ მოფრინავდა ჩემი ხელის სიახლოვეს. მე ოდნავ მაღლა ავაგდე პურის ნატეხი. თოლია ჯერ შეკრთა, ჩამოარჩა, მაგრამ მერე პურის ნატეხი შენიშნა, ელვის სისწრაფით დაედეგნა და ნისკარტი სტაცა. მერე მე ისევ ავაგდე პურის ნატეხი; თოლიამ ახლა უფრო თამამად და თავისუფლად დაიჭირა ლუკმა. დღეთა განმავლობაში ეს იყო ჩვენი ყველაზე სასიამოვნო გართობა. მაგრამ ყოველთვის, როცა თოლიები ენიკას ხელიდან პურს სტაცებდნენ, გოგონა ტირილდა. ენიკას ძალიან უხაროდა და როცა ძალიან უხაროდა, აღარ შეეძლო, ჩვეულებრივად გამოეხატა განცდილი. ამიტომ ენიკა ტირილდა.

— ენიკა, რა გატირებს, შე სულელო?!

— ძალიან მიხარია, გურამ. აი, უბრალოდ ძალიან, ძალიან მიხარია.

— მერე და რა გატირებს?

— რა ვიცი... — მხრებს იჩეჩავს და მთელი გულით იღივება ენიკა, თან ცალ თვალს ჭუტავს. ამ დროს ისეთი უსუსუსრია, ისეთი პატარა, ისეთი სუფთა და ისეთი ლამაზი, რომ ლამის ვიღარილო, ვიყვირო, დავამტვრიო აქაურობა და ჩავძირო გემი; ან უბრალოდ — მეც ვიტყვი.

● ჩემს გვერდით მაგიდასთან ისევ ის სამი კაცი იჯდა:

„ღირექტორი“, „მექსტრო“ და „გენერალი“. ოცდაორი დღე გავატარეთ ერთად და არც ერთხელ არ ვამიგონია, რომელიმეს სახელი, მამისახელი ან გვარი წამოასკდენოდა.

ღირექტორი დაბალი იყო, ღიპიანი, ბალნიანი, ხელის თითებზედაც კი ჰქონდა ბალანი. სტაფილოსფერი მოკლესახელოებიანი პერანგი, ვანიერი თეთრი შარვალი და თეთრი ტილოს ფეხსაცმელი ეცვა. მზისგან თავდასაცავად ვანიერფარფლებიანი ჩალის ქუდი ეხურა: „მზე ჩემს სახლშიც მეყოფაო“, — იძახდა. ღირექტორი კრანსოვოდსკში ცხოვრობდა.

მექსტრო ჭერა პითეკანტროს ჰგავდა. ნიკაპი ზომიანე მეტად გამოსწეოდა და ზედა ტუჩის მაგივრად მხოლოდ თხელი პირისფერი ხაზი ემჩნეოდა. ის იყო მადალი, მხარბეჭიანი; მსხვილი, საკმაოდ გრძელი მკლავები და დიდი, ვეებერთელა მტევნები ჰქონდა. მექსტროს ნეილონის გამჭვირვალე პერანგი და რაღაც სინთეტური ქსოვილის საკმაოდ ვიწრო შარვალი ეცვა. ფეხები ყოველთვის ქოშებში ჰქონდა წაყოფილი და ტაკატკუსით დადიოდა.

გენერალი საშუალო ტანის, შავგვრემანი კაცი იყო. რესტორანში ყოველთვის გამოწვეპილი მოდიოდა. დღეში ორჯერ ან სამჯერ იცვლიდა ტანსაცმელს. გაუპარსავს ვერ ნახავდით. მას კეზიანი ცხვირი, ცისფერი თვალები და თეთრი, გრძელი თითები ჰქონდა.

ამბობდნენ, სამივენი — გენერალი, მექსტრო და ღირექტორი ერთ სამადგილიან კაიუტაში მოხვდნენ და იმ დღესვე ისე დამეგობრდნენ, უერთმანეთოდ ველარა ძლებნენ.

მართლაც ასე იყო.

— შენ ცეცხლფარეშოა იოლი საქმე ხომ არა გგონია? — მკითხა ერთხელ მოთლოდნელად ღირექტორმა. ჩვენ გემბანზე ვიდევით და ვოლგის მდორე დინებას მივჩერებოდით.

— აი, ხედავ, როგორი ამბებია: წელს სუსხიანი ზამთარი დადგა, გათბობის სეზონის ბოლო თვეს ერთი მოხუცი კოლეგა უეტრად გარდაიცვალა (საწყალი, ღმერთმა შეინდოს, სმა უყვარდა, ალბათ ალკოჰოლმა მოუღო ბოლო), მეორეს ყინულზე დაუტედა ფეხი, დავარდა და ბრმანაწლავის ოპერაცია გაუკეთეს. იძულებული ვიყავი სამივე ადგილზე მემუშავა. ციბრუტივით ვტრიალებდი, შუადღემდე მუტრი მოსვრილი დაეჭროდი. მერედა, რა სასიამოვნოა, ლოყებმა დაეღაყებულ მოზინადრებს რომ ვუტყერი, ვიცი, მე აუღწითლე პირისახე, ჩემი კუნთების სითბოს ვგრძნობ მათში და ჯანი მითბება. ხედავ, როგორი ამბებია?

— შენ ცეცხლფარეში ხარ? — მე ნამდვილად არა მჭეროდა „ღირექტორის“ ნაირსახეობა.

— წესებს ჩვენც ვარღვევთ, ხდება, განა არა ხდება... ხედავ, როგორი ამბებია? მოდიან ჩემთან სარდაფში ბიჭები, უფრო ხშირად ორნი მოდიან ხოლმე და არაყი მოაქვთ. გარშემო ოთხი უზარმაზარი ქვაბი გუფუნებს, ანტრაციტი ტაკუნობს. ბიჭები ოხუნჯობენ. დალევ ერთ ჭიქას და... ხედავ, როგორი ამბებია? ქვაბები უკვე ლულუნებენ. დალევ მეორეს და მღეროან... ხა, ხა... ხედავ, როგორი ამბებია? მესამეს როცა დალევ, ქვაბების სიმღერა აღარ გესმის, რადგან თვითონ ღრიალებ. ამ დროს შემეცვლილიც მოვა და ჰაიდა, შინისაკენ, ჩემს ბებრუხანასთან. პო, მართლა, ის შენი გოგოა?

— არა, ეგ ენიკაა!
— რა ჰქვია?

— ენიკა.

— კარგი გოგო! პოდა ხედავ, როგორი ამბებია. თვის ბოლოს სამ ადგილას მეძახიან, ფულს მაძღვევენ. არ ავიღებ. ერთი კაცი სამი ცეცხლფარეშის მაგივრობას როგორ შეძლებს-მეთქი, ვიხუმრე. არ მომეშენენ. მე მაინც ჩემი გავიტანე. ერთი ნაწილი მოხუცის ქვრივს გავუგზავნე. მეორე იმ უბედურს — საფლავოფონში, მესამეც — ჩემს ბებრუხანას მივუბრუნე. მალე ზამთარიც გათავდა; მეც მოვისვენე და უცებ პროფკომში მეძახიან. არც აციეს, არც აცხელეს, და ბაც! ვოლგა-დონის საგზურით დამასაჩუქრეს. ასეა, ჩემო ძამიკო, სიკეთე არ დიაკარგება. ხედავ, როგორი ამბებია?

— აბა დირექტორს რატომ გეძახიან?

— რა ვიცი, „მესტრომ“ ამოიჩემა: შენი ზომა-წონის კაცი უთუოდ დირექტორი უნდა იყოსო.

— თვითონ სად მუშაობს?

დირექტორი ცოტა ხნით დაფიქრდა.

— თევზსაქერ სენიერზე, ჩრდილოეთში, სამი ორდენი აქვს! ძალიან მაგარი ვინმეა!

— „გენერალი“?

დირექტორი ისევ დაფიქრდა.

— საქსაფონზე და კლარნეტზე უკრავს ჯაზში. აშობს ტრემბიტაზედაც ვუკრავო. რა ვიცი, ეგებ მართლაც უკრავს. ვერ შეამოწმებ. აბა საიდან ვაუზინო აქ ტრემბიტა. ახლაც ქვემოთ, სამანქანო განყოფილებაში მცეადინეობს; კაპიტანმა ნება დართო. დღეში ხუთჯერ საათს ვარჯიშობს. ვირტუოზია!

გამიკვირდა, ჯერ არ დამენახა „გენერალი“ საქსაფონით ან კლარნეტით ხელში.

— გენერალად შენ მონათლე?

— არა მესტრომ.

— მესტროს ნათლია ვინდაა?

— გენერალი. ხედავ, როგორი ამბებია? — იცინოდა დირექტორი.

გემბანზე ენიკამ ვაიარა და მუსიკალურ სალონში შევიდა.

დირექტორმა სიცილი შესწყვიტა და მითხრა:

— თუ ჩემი ძმა ხარ, თუ ხათრი გაქვს, თუ ჩემ ჰალარას პატივს სცემ, ერთი სიტყვით, თუ კაცი ხარ — ამ გოგონას არ აწყენინო! — და წავიდა.

სახტად დავრჩი. ნუთუ მემჩნევა, რომ ენიკა მომწონს. თუ მეტყობა, მაშინ იმ გოგოს მოუსვენარ თვალუბსაც არ გამოეპარებოდა. ესე იგი, მოწინააღმდეგის მთავარსარდალმა იცის, საიდან ელის შეტევა, ამიტომ თავდასაცავად შესაბამის გადაწყვეტილებებს მიიღებს. ეს გადაწყვეტილებები, რა თქმა უნდა, სწორი იქნება, რადგან მოულოდნელი შეტევა არცეცხლავს და პანიკას ვეღარ გამოიწვევს. ეს, მგონი, ჩემთვისაც კარგია!

გემი ნაპირს მიუახლოვდა. ენიკა მუსიკალური სალონიდან გამოვიდა, ჩემს გვერდით მოაჯირის გადაყუღდა და სხვათა შორის თქვა:

— პლიოსს ვუახლოვდებით, — მერე დაუმატა, — აქ ლევიტანი ხატავდა.

მალე დირექტორი გამოჩნდა. ხელში ეჭირა სათევზაო მოწყობილობები და პატარა, მავრამ საკმაოდ გამურული ქვაბი.

— ეს მგონი პლიოსია, არა? — გვკითხა და ისევ დასძინა, — თუ არა ვცდებით, აქ ლევიტანი წერდა პეიზაჟებს.

გენერალმა, გულისჯიბე საეჭვოდ რომ გამოხერვოდა, პლიოსის დანახვაზე იყვირა: — ხედავთ, ხედავთ! ო, რა ნაცნობი ადგილებია... ეს მგონი...

— ალბათ, თქვენ ეს პეიზაჟები ლევიტანის სურათებიდან გახსოვთ! — მიამეგლა მესტრომ, რომელიც უკვე გამობრანტულიყო და ხელში რალაც შეფუთული ეკავა.

— აი, ასე მარჯვდებიან ტურისტები ფაქტებით მგზავრობის წინ, იცინოდა გენერალი, — უმთავრესად — ენციკლოპედიებიდან.

ყველას გაგვიცინა, მერე დირექტორმა თქვა:

— ძალიან გთხოვთ, ტყეში ერთმანეთს ნუ დავეკარგებით, მე ძალიან მომწონს ჩვენი ხუთეული.

— ხუთეული კი არა, — ენიკა, მამა-

კაცთა კვარტეტის თანხლებით! — გამო-
აცხადა მანქატრომ.

ენიკას შერცხვა, გაწითლდა და თავი
დახარა.

გემმა ერთი-ორჯერაც დაიბღვლა და
ნაპირს მიაღდა. ტურისტები ულამაზეს
ტყეს შეეხიფნენ. დირექტორმა ადგილი
ამოარჩია და თქვა:

— აი, აქ დაანთეთ ცეცხლი და წყა-
ლი ააღულეთ, საქმე წინ წაიგდეთ. გუ-
რამი, როგორც ჩვენში ყველაზე უმც-
როსი, ჭიდან წყალს მოიტანს. — მერე
ენიკას მოუბრუნდა, — ჩვენ ერთად წა-
ვალთ.

ენიკამ ერთი კი შემომხედა, მერე ან-
კეს დაავლო ხელი და წავიდნენ. მანქა-
ტრომ და გენერალმა ორი მსხვილი ორ-
კაბა მოსჭრეს, მიწაში ჩაარქეს და ცეცხ-
ლი დაანთეს. წყალი რომ მოვიტანე, ორ-
კაბებზე ჯობი გასდეს და ქვაბი ზედ და-
კიდეს საგანგებო კაუჭით, რომელიც მა-
ესტრომ ჯიბიდან დააძრო. რა დრო გა-
ვიდა, არ ვიცი. მაგრამ ისე მინდოდა ენი-
კა ჩვენთან ყოფილიყო, ისე მომენატრა
მისი ნათელი სახისა და უმწიკვლო,
მბრწყინავი თვალების ნახვა, რომ მე-
გონა, წუთების მაგივრად საუქუნეები
გადიოდა.

— იგვიანებს ბერიაცი, — ცეცხლზე
ნავთი დამისხა გენერალმა და ღიმილით
შემომხედა.

— როგორ შეიძლება სათევზაოთ ქა-
ლის წაყვანა! — დაუმატა მანქატრომ —
ნადირობაში, თევზაობასა და ბანქოს
თამაშში ქალი თარსია.

— ენიკა და თარსი?! — ისე ძალიან
გამიკვირდა, რომ კაცებმა ჯერ მე შე-
მომხედეს, მერე ერთმანეთს გადახედეს
და ისე გულიანად გადაიხარხარეს, მე-
გონა, მათთან ერთად მთელი ეს დაბუ-
რული, ხშირფოთლებიანი ტყეც იცი-
ნოდა.

როგორც იქნა მოვიდნენ დირექტორი
და ენიკა, აფორიაქებული, აღტაცებუ-
ლი, გადარეული ენიკა. თევზები მოი-
ტანეს. სანამ დირექტორი თევზაობის
ტყუილსა და მართალს გვიყვებოდა,
გენერალმა თევზები გამოწვლა, გაასუფ-

თავა, გარეცხა და მანქატროს გადაულო-
ცა. მანქატრო უხის მომზადებას შეუდგა.
ენიკას ქილაში ცოცხალი ერთი ციდა
თევზი ჰყავდა. ენიკა პატარა ბავშვივით
შესციცივნებდა გამჭვირვალე მწვანე ფე-
რის ქილაში ჩამწყვდეულ, დაფეთებულ
თევზს.

— წავალ, გავუშვებ! — სთხოვა ენი-
კამ დირექტორს.

— მაგის გავონებაც კი არ მინდა. ხე-
დავ, როგორი აშბებია! თუ თამაში მოგ-
ბეზრდა, მომეცი და უხაში ჩაუღძახებ,
ძმებთან ერთად.

— არა, არა! — შეშფოთდა ენიკა, —
ამას კრასნოდარში ვფიციყვან, შინ მეყო-
ლება და მოუველი.

უხა მოიხარა. გენერალმა გულისჯი-
ბიდან არყით სავეს ორი ნახევარლიტ-
რიანი ამოიღო. მანქატრომ შეფუთული
გაშალა და ქიფიც გაჩაღდა. უხა ძა-
ლიან გემრიელი გამოდგა, თუმცა, ჭიქა
არყის შემდგომ ყველაფერი გემრიელად
ეჩვენება კაცს. არა, უხა მაინც შესანიშ-
ნავი იყო. ყოჩად, მანქატრო. არაყი მალე
მოგვეკიდა, მუხლები გავვითბო, გული
გავვიხურა.

— ახლა, ახლა რა ვქნათ?

— გიმღეროთ!

— რა ვიმღეროთ?

— „მოსკოვური საღამოები“, ხვალ
ხომ მოსკოვში ვიქნებით!

— კომპოზიტორი სოლოვიოვ-სედოი.
„მოსკოვური საღამოები“. ასრულებენ
ენიკა და ვაჟთა ვოკალური კვარტეტი
დირექტორის, მანქატროს, გენერალისა
და... — მანქატრო ცოტა ხანს დაფიქრ-
და, — „კაცოს“ შესრულებით.

ბევრი ვიცინეთ. სხვა დროს არავის
ვაპატოვდი ამ ზედმეტ სახელს. მერე
ვიმღერეთ. ერთმანეთს ვაჭებდით, ვეხ-
ვევოდით, ვკოცნიდით. დირექტორის სა-
დღეობაძელო რომ დავლიეთ, მანქატრომ
თქვა:

— უცნაური კაცია დირექტორი. ერთ-
ხელ მე და გენერალი ქორწილში მიგ-
ვიწვიეს. რაღაცით მოვიწამლეთ და სე-
ზონის ბოლო თვეს ლოვინად ჩავეარ-

დით. წარმოგიდგენიათ, სამივეს მაგივრად მუშაობდა...

— კარგით. ბიჭებო, რა ღროს ეგენია.

— ჩვენთან ჭერ გაზით გათბობაზე არ გადასულვართ, — მისხნიდა გენერალი, — ისევე მამაპაპურად, ნახშირით გათბობთ.

— ხედავ, როგორი ამბებია!

— თქვენ სამივენი ცეცხლფარეშები ხართ! — ახლა კი გადავირიე.

— საქმე იმაშია, რომ უმადური არაგინ დარჩა, — გააგრძელა მანქანით.

— რა კარგი ხალხია, არა! — თვალეში უბრწყინავდა ენიკას.

— მე შენ გაჩვენებ, შე მატყუარა, შენა, — გავუთამამდი ღირექტორს.

— მაპატიე. მაპატიე: დათვრნენ, ბოდავენ. ხედავ, როგორი ამბებია!

გემის საყვირის ხმა მოისმა სამჯერ. წამოვიშალეთ. დარჩენილი წყლით მანქანით ცეცხლი ჩააქრო. ენიკამ იქაურობა მოასუფთავა. ღირექტორმა თავისი იარაღი აიკიდა. მე და გენერალი კი წინ მივდით და რაღაცას ვმღეროდით. ბნელდებოდა.

— აბა, ახლა, ლაგინებში; ხვალ მოსკოვია, ადრე ვართ ასადგომი! — გვირჩია ღირექტორმა.

— ძირს სიცრუე! ხედავ, როგორი ამბებია! — გავეხუმრე ღირექტორს.

ღირექტორმა გაიღიმა, კოტიტა თითებით ყური ამიწია (მეტყინა, არ დავალა) და მითხრა:

— წამო, დავიძინოთ.

გემი ნაპირს მოშორდა.

●

— ენიკა!

— რატომ არ დაიძინე, გურამ! — ენიკა კაიუტიდან გამოვიდა.

— ნახე რა მთვარეა! მე არ შემიძლია ძილი, როცა მთვარე ასე სავსეა.

ხეობის ბოლოს მდინარეში დიდი, მრგვალი, ნარინჯისფერი მთვარე იწვა.

— მართლაც და რა ლამაზია!

— იმ ადგილას რომ მივალთ, მე მოაჯირიდან გადავიხრები და მთვარეს წყლიდან ამოვიყვან, გინდა?

— მინდა, ძალიან მინდა!

— ჩემი ენიკა, ჩემი ენიკა, ჩემი ენიკა!

— შენ მთვრალი ხარ?

— ჩემი ენიკა, ჩემი ენიკა, ჩემი ენიკა!

მე მინდოდა მთელ ქვეყანას მოვფერებოდი, გულში ჩამეხუტებინა რუსეთის დედა-მდინარე ვოლგა, მინდოდა ქოჩორზე ხელი ვადამესვა ულამაზესი ტყისათვის, ახლა მდინარის აქეთ-იქით შავად რომ ჩანდა, მინდოდა ყოველი ვარსკვლავი ენიკას კაბაზე დამეკერებინა სწორედ ისე, იეზიდი ქალები რომ იყებენ ვერცხლის ფულებს, და მერე მეკოცნა ჩემი ენიკასათვის თვალეში, თმებზე და ისევე თვალეში.

და როცა დავაპირე ყოველივე ეს ჩამედიანა, ენიკა გაბრაზდა, თვალებიდან ნაპერწკლები გადმოყარა და სილა გამაწვინა. მარცხენა თვალი ცრემლით ამევსო, მაგრამ ცალი თვალთ მანც მოვახერხე დამენახა, როგორი ამაყი იყო ენიკა, რა მედიდურად მიაბიჯებდა და როგორ ბრწყინავდა მის კაბაზე ვერცხლის უზალთუნებებით სამყაროს ყველა ვარსკვლავი უკლებლივ. გემბანზე არაგინ იყო. მე ხელში დამრჩა ენიკას თეთრი, პეროვანი მოსასხამი, ლოყაზე კი ხუთი პაწია წითელი თითი.

ჩემი გული ზუსტად ისე სცემდა, როგორც მაშინ, ქერთაშიანმა გოგონამ უსამართლოდ რომ მიმატოვა...

●

ხიმკის ნავსადგურს მოსკოვში გემი დილის ათ საათზე მიადგა. ტურისტები გამოიბრაჭნენ. ენიკამ ზედაც არ შემომხედა და ავტობუსისაკენ წავიდა. მე გავბრაზდი. ჩემი უბრალო გათამამება არ იყო ასეთი აღშფოთების ღირსი. არ ვიცოდი, რა მექნა. ენიკას საქციელი ისე მეწყინა, რომ გადავწყვიტე რითიმე სამაგიერო ვადამეხადა.

ნეტავ რად მოსდის ადამიანს ხანდახან სურვილის საწინააღმდეგო აზრები! მე არ ჩავჯექი საექსკურსიო ავტობუსში, რომელშიც ენიკას გვერდით იყო ჩემი ადგილი, და მეტროსკენ გავწიე.

მეტროდან რევოლუციის მოედანზე ამოვედი. სად მივდივარ? ჯარისკაცებით ჩამწყრივებულმა ტელეფონის ჯი-



ხურბმა გამახსენეს, რომ მოსკოვში უპირავე ნაცნობი და მეგობარი მყავს. უბის წიგნაკი გადავშალე. ახლა საჭიროა ისეთი ნაცნობი მოვნახო, რომ ენიკას გული გაუსკდეს. კი მაგრამ, რატომ? რა დააშავა? არ ეიცი, მაგრამ ასეთი საჭირო.

სასლს, რომლის მეოთხე სართულზე მეთოთხმეტე ბინაში ირინა ცხოვრობდა, ძლიერ მივავენი. ირგვლოვ ყველაფერი დაუნგრევიათ და ახალი ტიპის კვარტალებს აშენებენ. სანამ ელექტროდილაქს თითს მივაქერდი, ცოტა შევიცადე და კარს ყური მივადე. ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. ეტყობა, შინ არ არიან! გამობრუნება გადავწყვიტე, მაგრამ კარზე მაინც ყოველშემთხვევისთვის დავაკაკუნე.

— ვინ არის?

— მე ვარ.

— ვინ თქვენ?

— მე! — რალაც წავილულულე.

ირინამ კარი გააღო, დიდრონი, ცისფერი თვალები ფართოდ გაახილა, სახე გაუბრწყინდა და შესძახა: „ოი, ღმერთო ჩემო! ასე ხომ შეიძლება კაცს გული გაუსკდეს“. მერე ნელ-ნელა უკან დაიხია, შავი თმები გრძელ კისერზე ღამაზად ჩამოშლოდა, ნესტოები და მსხვილი, საკმაოდ დიდრონი ტუჩები უთრთოდა. მე დინჯად შევედი, და კარი მივხურე. დიდხანს ვისაუბრეთ. მერე ირინა მიხვდა, რომ ასე სტუმრის მიღება არ შეიძლება და წამოხტა, სასტუმრო ოთახში მიმიწვია.

— მაშ, ხვალ საღამოს უნდა წახვიდე? როგორ მეწყინა.

— ხვალ საღამომდე დიდი დროა. აბა, რა არის ახალი თეატრებში?

— კარგით მაინცდამაინც ვერაფრით გაგახარებ. თეატრს ტაგანკაზე ანუ ლუბიმოვის თეატრს, ალბათ, გაივებდი...

— „ათი დღე, რომელმაც შესძრა მსოფლიო?“

— ჰო, მაგრამ ბილეთების შოვნა გაცივირდება.

— ოხლოპკოვთან რა ამბებია?

— ოხლოპკოვი ავად არის, ასე რომ...

— ძველი სპექტაკლებიდან რომლებია დღეს ან ხვალ?

— აბა ვნახოთ, — ირინამ „თეატრალური მოსკოვი“ გადაფურცლა. — მაიკოვსკის სახელობის თეატრი, აი, აი... „არისტოკრატები“.

— მართლა! იცი, ეს ბოლო წლებია დავდექე მაგ სპექტაკლს და ვერაფრით ვერ ვხეხუ. ჩემი აქ ყოფნის დღეებში არ მინდის ხოლმე.

— მაგ თეატრში საშვის შოვნა შემძლეა; აღმინისტრატორი მყავს ნაცნობი.

— ფეხზე ვერ დავდეგები. ვიშოვით როგორმე ორ ბილეთს. ხომ წამოხვალ?

— აბა, მარტო გავიშვებ?

— რა მომივა?

— გოგოები მოგიტაცებენ.

— დაცინვას კაცი არ მოუტყავს.

ირინას სახე შეეცვალა, თავს ძალა დაატანა და მკითხა:

— გურამ, გულახდილად მითხარი, მოვწონვარ?

მე დაუფიქრებლად ვუპასუხე. ძალიან მომწონხარ-მეთქი.

— საკვირველია, მაგრამ ფაქტია: შენ ერთადერთი ხარ, ვისაც გულწრფელად მოვწონვარ. მე ვხედავ და ვგრძნობ ამას. ამიტომ მახარებს შენი იშვიათი ჩამოსვლა. წარმოგიდგენია, ჩვენი უკანასკნელი შეხვედრიდან წელიწადი და სამი თვე გავიდა. ამ თხუთმეტი თვის განმავლობაში მე ვიყავი მარტო და გელოდი. არ გეგონოს — მაინცდამაინც შენ! აი, მივაბიჯებ ქუჩაში, ან მეჯლისზე ვარ ან დაბადების დღეზე, მაკვია ჩემი თვალბისფერი კაბა და ძალიან მიხდება. მაგრამ ბიჭები შემომხედდნენ, ჩემ სილამაზეს გაიოცებენ და მეტი არაფერი. ხშირად მიფიქრია, ამ ჭაბუკმა ისე შემომხედა, რომ ნამდვილად გამომედევნება და პირველი ხელსაყრელი შემთხვევისთანავე გამომელაპარაკება-მეთქი. მე უკვე მოვითქვებ, რაც უნდა ვუპასუხო. მაგრამ... ფიქრი ფიქრად რჩება.

— არსებობს ისეთი ამაყი გამოხედვა, რომლის წინაშე ყველაზე თავხედიან მამაცი ვაჟაკიც კი უძღურია.

— შენ ფიქრობ, რომ მე ასეთი გამოხედვა მაქვს?

— შენ ამაყი და ცივი გამოხედვა გაქვს. თანაც საშინლად ლამაზი ხარ.

— მე დავილაღე, დავბერდი. მაგრამ მაინც მინდა გავიხსენო, რომ მხოლოდ ოცდეერთი წლისა ვარ. მე გთხოვ, ძალიან გთხოვ, გამახსენე...

ასეთი საუბარი ჩვენ შორის არ ყოფილა; მაგრამ თუ ოდესმე მოვიგონებ ირინას, ჩვენი დიპლომა ზუსტად ასეთი იქნება. არ ვიცი რას ფიქრობს ირინა, არც ის ვიცი, გულწრფელია ჩემთან თუ არა, მაგრამ მე ასე მგონია, რატომღაც ასე მჯერა.

არასოდეს არ უნდა გეშინოდეს სიმართლის. ხანდახან ისეთი გრძობაა, თითქოს სრულიად შიშველი დგახარ უამრავი მსაჯულის წინაშე და ყველა ცხადად ხედავს შენი ხორცისა და სულის ნაკლს. ვეჯკაცობაც სწორედ ესაა, არ შეგაშინოს ამ გულახდილობამ. ამიტომ სინდისი ყოველთვის წმინდა უნდა გეჭონდეს. ყოველთვის სუფთა უნდა იყო! მაშინ აღარაფრის შეგეშინდება.

არ ვიცი, რატომ მომდის ასეთი აზრები, როცა ირინას სევდიან, ცისფერ თვალებს ვუცქერი. თითქოს ეს ყველაფერი ვიცი, მაგრამ დღეს, მხოლოდ დღეს დავრწმუნდი ამაში. და რა საოცარია, რომ ირინამ, ამ ცისფერმა და უცნაურმა გოგონამ ერთი შეკითხვით ბევრი რამ ცხადი გახადა ჩემთვის...

— რატომ გაჩუმდი? თუ არ მოგწონვარ, ნურაფერს იტყვი, მეწყინება!

ამჯერად მე დაუფიქრებლად ეუპასუხე, რომ ძალიან მომწონს...

მოსკოვში სამ დღეს დავრჩი. ირინას არადადეგები ჰქონდა და ჩვენ ერთად დავხეტიალობდით დილიდან დაღამებამდე. ვიყავით ზოოპარკში, სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, პუშკინის მუზეუმში, კინოში, თეატრში. მაგრამ ყველაფერს აკლდა რალაც, და იმ უკანასკნელ საღამოს მივხვდი, რა იყო ეს „რალაც“. მივხვდი, რომ მხოლოდ მე ვიყავი დამნაშავე ირინას, ენიკასა და, რაც მთავარია, ჩემი სინდისის წინაშე.

— რა მოხდა? — მკითხა გაცივებულმა ირინამ.

ახლა მთავარია დავისაჯო! ახლა მთავარია უსათუოდ დავისაჯო!

— თუ გითქვრიბა ოდესმე, ვის ეფერები? — ვკითხე დამფრთხალ გოგონას.

— რა მოგივიდა? — უფრო გაიოცა ირინამ.

— შენ ტალახში ამოთხვრილ ღორს ეფერები! მე ღორი ვარ!

ირინა ყველაფერს მიხვდა, უცებ მოეშვა, მერე თავზე ხელი გადამისვა და ჩურჩულვით მითხრა:

— მოდი ჩემთან...

ტყვიანაკრავივით წამოვხტი და კარს ვეცი. კარი ჩარახული აღმოჩნდა.

— გააღე კარი! ჩქარა, ჩქარა!

ირინა ისე დაიბნა, რომ კარის ვალებზე ვერ ახერხებდა.

— მე შენთან აღარ მოვალ. თუ შეგიძლია, მამატიე!

— დაწყნარდი, გურამ.

— თუ შეუძლია, მამატიე, შენი ჭირიმე, მამატიე...

— სულელო.

კიბეზე თავქუდმოგლეჯილი ჩავბრუნდი.

ხიმკის ნავსადგური ცარიელი იყო. ცოტა რომ დავწყნარდი, ტურისტის წიგნაკი გადავშალე. მერე კურსკის სადგურისაკენ გავსწიე. ხვალ, ნაშუადღევს სამ საათზე, ჩვენი გემი ხუთი საათით ქალაქ გორკში შეჩერდება. ალბათ, რომელიმე მატარებლით ჩავუსწრებ.

როცა გემი გორკის ნავსადგურს მოუახლოვდა, მე სანაპიროზე გავვარდი და ხელების ქნევა და ყვირილი დავიწყე: ე-ჰე-ჰე-ჰეი!

გემი წყვეტილ სივანლს იძლეოდა და ამიტომ გემბანზე არ ესმოდათ ჩემი ძახილი. გემი ძალიან ნელა ახლოვდებოდა. უკვე ვხედავდი ჩემს ენიკას, რომელსაც დირექტორი, მაესტრო და გენერალი რალაცს გაცხარებით ეკამათებოდნენ. სუნთქვა გამიხშირდა. მაინც რა ნელა მოძრაობს გემი ნავთსაყუდარში შემოსვლის დროს.

— ე-ჰე-ჰე-ჰეი! ეი! ე-ჰე-ჰე-ჰეი-ჰეი! — რა გამაჩერებს, სანამ არ გავაჯონებ.

უცებ დავინახე, როგორ გამოიშვირა

ენიკამ ჩემსკენ ხელი და გემბანიდან გაქრა. დირექტორმა, მაესტრომ და გენერალმა ნაპირისაკენ გამოიხედეს, დამინახეს და აღრიალდნენ.

— მო-ლა-ლა-ტე! მო-ლა-ლა-ტე! მო-ლა-ლა-ტე!

ვინ აუხსნის ახლა ამათ, ან ვინ დააწმუნებს, რომ მე თვითონ ძალიან ვწუხვარ ყველაფერზე, რაც ჩავიდინე.

გემი მოახლოვდა. ახლა დანარჩენებმაც მიცნეს. ვერ ტურბაზის დირექტორი (რომლისგანაც, ალბათ, მომხვედება, გაუფრთხილებლად რომ ჩამოვრჩი) და ბიბლიოთეკის გამგე შეუერთდა სამკაცრიან ქოროს, მალე მათ დანარჩენებმაც მიბაძეს და... მოცურავდა გემი და მოქაონდა საკადრისი საჩუქარი:

— მო-ლა-ლა-ტე! მო-ლა-ლა-ტე! მო-ლა-ლა-ტე!

ნაპირზე რომ გადმოვიდა, დირექტორი ისე გადამეხვია, ძვლებმა ჭახუნი დამიწყეს:

— სად დაიკარგე, კაცო, მოკვდა ბავშვი ტირილით.

მაესტრო და გენერალი თავს აქეთიქით იქნევდნენ. და ოთხივეს თვალები სიხარულისაგან გვიბრწყინავდა. ერთი კი შეუძახე: ძმებო, მპატიეთ-მეთქი! და გემზე ავევარდი, რადგან ენიკას გარდა ყველა ტურისტის უკვე საექსკურსიო ღია ავტობუსებში ჯდებოდა.

ენიკა ვერსად ვერ ვნახე; არც ვახშამზე მოვიდა. მეზობელ მაგიდას გადავხედე. ცეცხლფარეშთა სამეული მშვიდად ვახშამობდა.

— სად არის?

დირექტორმა მხრები აიჩეჩა.

— არც შენ იცი?

მაესტრომ თავი გაიქნია.

— არც შენ დაგინახავს?

— ვინ? — მშვიდად მკითხა გენერალმა.

— ვინ და ენიკა!

— მაქსიმ გორკის საზღმუთუხის ერთად ვათვლიერებდით. მერე აღარ მიხატავს.

ნუთუ ჩემსავით ჩამორჩა! რატომ? რატომ? მარტოდმარტო... უცხო ქალაქ-

ში! არა, ამას ვერ გაბედავდა, შეეშინებოდა. თუმცა შეურაცხყოფილმა სიამაყემ შიში არ იცის.

— სად არის ენიკა, სად? — თითქმის ცვევიროდი.

შეძახილზე რესტორანში სიჩუმე ჩამოვარდა.

დირექტორმა ველარ მოითმინა, გაიღმა და თითი ზევით, კაპიტნის ხილურისკენ აიშვირა.

ენიკა ჩემსკენ გამოქანდა, მკერდზე მუშტებს მირტყამდა და ბრაზობდა. რალაცას ბუტბუტებდა, მიწყრებოდა. მერე ხელების მოძრაობა შეანელა, შეანელა და ჩამეხუტა, ყური მკერდზე დამაკრა.

— ე-ნი-კა! მი-ყვარ-ხარ! მი-ყვარ-ხარ! — სკემდა ჩემი გული.

— უსინდისო!

მე თავი ავუწიე. ჩემ სიცოცხლეში არ მიხატავს ასე მსხვილი ცრემლი, ქუთუთოებზე რომ ეკიდა.

არ ვიცი, კიდევ რამდენ ხანს ვიქნებით ერთად მე, ენიკა, „დირექტორი“, „მაესტრო“ და „გენერალი“. შეიძლება, საეზურის ბოლო დღემდე, შეიძლება, სიცოცხლის დასასრულამდე. არა ვარ უმაღლრი. არ დამავიწყდება შენი ცრემლები; შენი სიფაქიზე, შენი ყურადღება, შენი სიბთბო. შენი ჭირიმე, ადამიანო!

არ მახსოვს რამდენ ხანს ვიდექი გემბანზე. როცა გამოვერკვიე, ენიკას ჩემს მკერდზე მშვიდად ეძინა. ხელში ავიტატე ქერათმიანი წმინდანი. ენიკამ თავლები დაახილა:

— წავალ, დავიძინებ. ოთხი დღეა თვალი არ მომიხუტავს.

— ტკბილად, იძინე, ჩემო გოგონავ! ღამე მშვიდლობისა.

ღმერთო, თუ ხედავ ახლა ენიკას, ალბათ, არც ერთ ღრუბლიან დღეს არ მოუვლენ!

როცა ჩემი მეგობრების ოთახს ჩავუარე, გულმა ვერ მომითმინა და ფრთხილად დავაკაჟინე.

— ცეცხლფარეშო, გძინავთ?

ხელის აღება არ დამაცადეს და კარი გამიღეს.

არც ერთს არ ეძინა.

— როგორ არის საქმე? — თითქმის ერთხმად მკითხეს.

— რაიმე ხომ არ გექნებათ, — მე წყიპურტი ყელში მივირტყი, — მაგარი, ვაკაცური, თეთრი.

— დავლიოთ? — გამოცოცხლდა გენერალი.

— აი, აქ ყველაფერი გვაქვს. — დირექტორმა პატარა კარადა გამოაღო.

მაესტრომ არაყი ჩამოასხა და მკითხა:

— აბა, რა გინდა, თქვი.

— თოლიას გაუმარჯოს, ცეცხლფარეშო! სუფთა, თეთრ და პრიალა თოლიას გაუმარჯოს!

სამივემ ერთდროულად მომიჯახუნეს ჭიქები და გადავუხზეთ.

4.

დარბაზი ბრწყინავდა. ქალებს სხვადასხვაფერის ნარნარი კაბები ეცვათ, მამაკაცებს — შავი ტანსაცმელი. ქალები იცინოდნენ, კაცები მსჯელობდნენ. ყველა ისე მოძრაობდა, როგორც შენელებულ კადრებს გვიჩვენებენ ხოლმე კინოში. ამიტომ არც ნაბიჯების ხმა ისმოდა, არც ლაპარაკი, არც სიცილი. ჭადები თვალისმომჭრელად ანათებდა. ყველგან — დიდ დარბაზსა და დერეფნებში, მოსაცდელ ოთახებში, ფოიესა თუ კიბეებზე — თეთრი სინათლე იდგა. უზარმაზარი სარკეები რბილ სხივებს ირეკლავდა და უკანვე უბრუნებდა სინათლის წყაროს.

ადამიანები ყოველი მხრიდან იყვნენ განათებული და თითქოს თვითონაც ანათებდნენ. უცბათ მოძრაობა შეწყდა. ყველამ თავისი ადგილი მონახა. დადგა დიდებული სიჩუმე. ამბობენ, ქარიშხლის წინ ჩამოდგება ხოლმე უცნაური სიჩუმე, ისეთი, რომ ყვავილთა სუნთქვა ისმის. მე არ მომისმენია ქარიშხლისწინა სიჩუმე, მაგრამ დარწმუნებული ვარ ბუნება ასე არასოდეს გაჩუმდება. სიჩუმემ ერთადერთი თვალი დახუჭა და ნეტარების მოლოდინში გაისუსა. რაღაც რბილი და გაუბედავი ხმა მოისმა. ეს ხმა ახალშობილ პეპელას ჰგავდა. პეპელა

თვალუწვდენელ ველზე ულამაზეს ყვავილებს შორის დაფარფატებდა. მზეს თეთრი, უცოდველი ღრუბლები ეთამაშებოდნენ. ოქროსფერი სხივები ღრუბლებს გარს ევლებოდნენ და ველზე იშლებოდნენ. ცალკეული სხივი ჩანდა, ისე გამჭვირვალე და სუფთა იყო პაერი. ველზე წყარო იხადებოდა. წყალი სილუტრჯემდე სუფთა და ცივი იყო. წვეთები სხვადასხვაფერად ციმციმებდნენ, მერე ფოთოლს სწყდებოდნენ, ხასხასა ბალახზე ეცემოდნენ და ნაირნაირ ბგერებად სკდებოდნენ. ნელი სიო უდარდელად დაქროდა ხან აღმა, ხან დაღმა, ტბილად ჩურჩულებდა, ინაზებოდა.

უცბე დარბაზის კარი გაიღო. დაბალმა, ჯმუხმა კაცმა შემოიხედა. მას ჭკვიანი, ანთებული თვალები ჰქონდა, გამოკეთილი ენერგიული ნიკაბი, თმები ლომის ფაფარივით გაეფანტა და დარბაზში შემოსვლა სურდა. კაცმა არ იცოდა, რომ დარბაზში ვერ შემოეტეოდა. დარბაზში პატარა გორაკიც კი ვერ შემოეტევა. იმ კაცს მხრების მაგივრად მთები ედგა; მთა მთას ებმოდა და ქედი იჯაჭვებოდა; ქედი ქედს ებმებოდა, ურთულეს რელიეფს ქმნიდა. კაცი მაინც იწევდა, შემოსვლას ცდილობდა. კედლები ველარ უძლებდნენ მთების დაწოლას. მთები ბორგავდნენ, უზარმაზარ კლდეებს ლოდებად ამსტვრებდნენ, აზვავებდნენ და როხროხებდნენ.

უცნაურად თეთრი, თითქოს სპილოს ძელისაგან ჩამოქნილი თითები ჰქონდა კაცს. კაცი არ იყო ბრმა, თუმცა არავის ხედავდა; არ იყო ყრუ, თუმცა არაფერი ესმოდა. საოცარ ხელებს, სათუთ ხელებს ისე ნაზად ამოძრავებდა, რომ ცხადი იყო: თითებს ესმოდათ ნამის დაბადების ხმაური და ხედავდნენ მზის პირველ უფერულ სხივსაც.

კაცი დარბაზში შემოსვლას ცდილობდა. ყოველი ღვარი, რომელიც მისი უდიდესი სხეულიდან ეშვებოდა, უზარმაზარ ოკეანედ ერთდებოდა და ბორგავდა, ადგილი ვერ ეპოვნა დედაშიწა იყო მისი ტანი. ოკეანე იყო მისი სული, ცეცხლისმფრქვეველი ვულკანები ედგა

თვალთა მავიერ და მზესავით უნათებდა სიყვარულს მიუღწეველი გული. მხოლოდ ხელებით, თეთრი, სათუთი, ფაფუკი ხელებით ეძებდა სიხარულს; მხოლოდ ხელებით, ყოვლისმგრძნობი, ყოვლისშემძლე თეთრი ხელებით ელოდებოდა სიხარულს. სიხარული კი არსად ჩანდა...

— შემოდი!...

— მე ვერ შემოვალ. ვერ შემოვალ, ვერ დავეტივი შენს ნაჭუჭში!

— გემუდარები, შემოდი! ეს უზარმაზარი დარბაზია.

— ჩემი მხრები უშველებელი კლდედრეებია და ცადაზიდული მთებია. სული ჩემი დაუდგარი, აზვირთებული ოკეანეა. მე დავლენა ვაფრთხილდები ვაქცევ შენ ნაჭუჭს! ვერ დავეტივი შენს დარბაზში.

— ჩვენ დიდი ხანია გელოდებით. მე მართო არა ვარ. შემოდი!

კაცმა მხრები შეარჩია... დაინგრა ყველა კედელი, ყველაფერი, ყველა კანონი! კაცს ჰქონდა თავისი ფიქრები, რომლებიც აღმოუჩინებელ, განსაკუთრებულ კანონებში ეტეოდნენ. კაცს ჰქონდა თავისი სული, რომელიც მთელ დედამიწაზე ძლივს ეტეოდა. მაგრამ კაცს უცნაური გული ჰქონდა. მისი გული მუდამ სიყვარულით იწვოდა და ამიტომაც იყო ძლიერი, შემმუსრავი, დაუნდობელი; მისი გული ალერსსა და სიხარულს ელოდებოდა, თუმცა ყოველთვის პატარა ბავშვივით ადვილად მოტყუებული, გაწბილებული იყო. ამიტომ, როცა ადვლებოდა, არ არსებობდა საზღვარი მისი რისხვისათვის და ლეწავდა ყველაფერს, ყველაფერს, რაც წინ აღუდგებოდა. აბრკოლებდა, ხელს უშლიდა. მაგრამ ყველასთვის მოთლოდნელად ნანგრევებზე საოცრად სათუთი ყვავილები იზრდებოდა, ამწვანდებოდნენ კარდები, ჩუხჩუხებდა წყარო. წყაროები მდინარეებად ერთდებოდნენ, მდინარეები — ზღვებად, ზღვები — ოკეანეებად და ამ ოკეანის მიმოქცევის ზღვარი ყოველთვის თვალუწვდენელი, დიადი, დაუღწეველი, თითქოს სევდიანი, თით-

ქოს იმედიანი, მაგრამ მიუღწეველი იყო.

მე გამეხარა, როცა ჩემი ნაჭუჭი დაინგრა. უცნაურად თბილი ოკეანე შემოვარდა და დაუციოთხავად გამიტაცეს ლურჯმა ტალღებმა. რასაც ვადასარჩენად ვეპიდებოდი, იტყეოდა და ამავე ზვირთებზევე იღებებოდა. მერე მე ისე გაპართო ჩემი სურვილის წინააღმდეგ ქროლავ, ისე მესიამოვნა ეს უძღურება, რომ ტალღებს მორჩილად მივყევი. ტალღებმა მორჩევი შემაგდეს. გიჟური სისწრაფით დატრიალდა ყველაფერი. დიდხანს ვიწვალე. ტენი მეტყინა. მორჩევა თანდათან ჩამოიშრა, გამგულდა, დამაზრჩო და სხვა ერთი ბეწო, თვალთ უხილავ ნამსხვრევებს შორის დამლექა. ყოველთვის ვებრძვი, მაგრამ ყოველთვის ასე მჯობნის მუსიკა. და არა მგონია არსებობდეს ამქვეყნად გაცნა, ამ დამარცხებაზე უწმინდესი და უნეტარესი.



მე ვკანკალებდი, ძალიან ვღელავდი. დერგვანი გრძელი და სუფთა იყო. სხვებთან ერთად ვიდუქი დერგვანში. დიდი კარები გაიღო და სათვალეებიანმა, შუახნის ქალმა ჩემი გვარი დაიძახა. მე მზის სხივებით გაჩახახებულ კლასში შევედი. კლასში სათვალეებიანი ქალის გარდა, ჭადარა დაქანცული კაცი და კიდევ ოთხი ქალი იჯდა. მუხლები მიკანკალებდა და გულს ბაგა-ბუგი ვაჰქონდა. თეთრ, დიდ ოთახში იდგა რამდენიმე სავარძელი და შავი როიალი, კბილები რომ დაეკრიჭა. როიალი დამცინავად იღიმებოდა. შევხედე შავ ურჩხულს და გაგებრაზდი. როიალიც გაბრაზდა, მერე ძალა მოიკრიბა და დაიწვილა:

— დო! დოო! დოო! დოო! — შემზარავად გაისმა ურჩხულის წივილი. ეს იყო პირველი მუსიკალური ბგერა, რომელიც გავიგონე და მაშინვე ვიგრძენი, რომ არ შემიძლია ვიცხოვრო ამ ზღაპრული, საოცნებო ხმების გარეშე; მას შემდეგ მღერის ჩემი ტანი ყოველთვის, ყოველწამს — დაუღალავად და ჭიუტად.

— ღო! აბა, ჩემო ბიჭიკო, გაიმეორე, იმღერე, — დამცინოდა ურჩხული: მე ყელი გაიშრა. როიალი კი ისევ იყრიკებოდა. ოფლმა დაჰასახა და მოთძინებას ვკარგავდო, მჭეროდა, თავისუფლად შევძლებდი ყოველგვარი დავალების შესრულებას და ამ შავ ჯოჯოს არ დავეჩაგრინებოდი. ამიტომ უფრო ვბრაზობდი ჩემ თავზე.

— ღო! — უცბათ, ყველასათვის, ჩემთვისაც მოულოდნელად გაიმეორა ყელმა.

ურჩხული გაცეცხლდა და გადამწყვეტი ბრძოლისათვის დამებადა.

— ღო! — დაიწვილა მერე.

— ღო! — უპასუხა ჩემმა ყელმა.

— მი!

— მი! — აღარ ვაცდიდი ამოსუნთქვას როიალს.

— კარგია კარგი! — ჩემს გასაგონად თქვა როიალმა და მოულოდნელად დასცხო შევ. კრიალა, სახურავზე: ტამ ტარარამ, ტამ ტამ...

— ტამ ტარარამ, ტამ ტამ... — გაიმეორა ჩემმა ხელმა.

— ტარარამ ტამ ტამ ტარარამ ტამ ტარარამ ტამტამ ტამ ტარარამ...

— ტარარამ ტამ ტამ ტარარამ ტამ...

— კარგია. ძალიან კარგია — თქვა შავმა ურჩხულმა და გამეტებით დაჰკრა ხელი თეთრ კბილებს: რამდენი ბგერაა? — ისე მკითხა, თითქოს უკვე მაჯობდა.

— სამი!

— ახლა? — ურჩხულმა ერთი ხელი კლავიშებს დასცხო და მეორე ზედ დააფარა.

— ხუთი!

ურჩხულმა საბოლოო ხერხი იხმარა: ორივე ხელი შეახო კლავიშებს.

— ოთხი!

მერე ვიმღერეთ, ისევ ვაბრახუნეთ, ისევ ვიმღერეთ.

თეთრთმიანმა კაცმა თავზე ხელი გადამისვა. სათვალისიანმა ქალმა ხელი მომიკიდა, ისევ იმ გრძელ დერეფანში გამომიყვანა და ვასასვლელი მასწავლა. დედამ გულში ჩამიკრა და ნაყინი მიყიდა.

ღროთა განმავლობაში ჩემი სულის ძარღვებს ექსოვებოდა მუსიკის ცისფერი, მგრძნობიარე სიმი. ეს სიმი ღელავს ახლა, როცა ვუცქერი, როგორ უღიმის თოთო ბავშვი თავის დედას, რომელიც პირველად იცნო; ეს სიმი ტოკავს ახლა, როცა ვუმზერ დაღმავალი მზის სხივებით ათასნაირად მოქარგულ და შეფერილ ცის დასალიერს უზარმაზარი ლურჯი ზღვის პორიზონტზე; ეს სიმი მტკივა, როცა ერთ მუჭა ცივ მიწას ვაყრი ნაცრისფერი თოკებით შავ ღრმულში დაშვებულ კუბარს და ისევ ის სიმი თრთის, როცა საყვარელ ქალს თმებს ვუწეწავ, ვეაღერებ. არაფერი კარგი არ მესმის თუ ეს სხივი უძრავად არის; არაფერი ცუდი არ მტკივა, თუ ეს სხივი გაქვავებულია. ის ღომისფაფარიანი, უზარმაზარი, ღმერთივით კაცი ყოველდღე იხედება ჩემს სულში. თავის გრძნულ, ფაფუკ თითებს შეახებს ამ სიმს და სიმიც მღერის, თრთის, კანკალებს.

კაცი არ აძლევს სიმს გახევების საშუალებას. კაცს არ უნდა, რომ სიმმა ოდნავ მაინც დაეარგოს დრეკადობა. სიმი ვარჯიშობს, ირხევა, ცვდება. რამდენადაც მეტად ცვდება იგი, მით უფრო მგრძნობიარეა და ყოვლისშემძლე, მკაცრი და კეთილი, ბოროტი და თბილი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის ჩემთან ერთად იცოცხლებს, ჩემთან ერთად გაწყდება, არ მიმატოვებს. ისე, ნეტა, რა აზრი ექნება სიცოცხლეს?! როგორ ცხოვრობენ ადამიანები, რომლებსაც ეს სიმი არა აქვთ?!

მე ცას ახედე. ცა იყო სუფთა და კრიალა. სულის დამამაშვიდებელი ხმები მოჰყვებოდა მზის სხივებს. ალბათ, ცაში ჩანგიანი ანგელოსები ფრინავდნენ.

5.

აკადემიკოსი ლარინი მეხუთე სართულზე ცხოვრობს. იურა და სვეტლანა კიბეზე აბზიან.

— გურამ, გელოდებით! — მეძახის ზევიდან სვეტლანა.

აკადემიკოსი ლარინი სვეტლანას ბაბუა, იურა კი—ქმარი. მე იურას მეგობარი ვარ. იურა და სვეტლანა ყოველ შვეებულებას საქართველოში ატარებენ, ზღვაზე. მერე რამდენიმე დღით თბილისში ჩამოდიან და იქიდან ლენინგრადში მიფრინავენ. იურას ღვინო არ უყვარდა, არაყს არჩევდა. ღვინოს სმას ჩემთან შეეჩვია ნელ-ნელა. ბოლოს ვეღარ ვათრობდით. ქართული სუფრის ადათები ბრწყინვალედ აითვისა, კარგადაც თამაშობდა, ენამზებდა. მეტი ძალა არ იყო იძულებული ვიყავით გავვეცა შემდეგი შინაარსის ქაღალდი: „ამ სიგელის წარმომდგენი არის კარგი ბიჭი: ჭკვიანი, ერთგული, პატიოსანი, სულით ფაქიზი, გულთ ღომი, მკლავით ძლიერი. შენ ქართველი ხარ, ჩემო იურა, შენ ხარ ქართველი! ყველას გირჩევთ — ამოირჩიოთ ლხინში თამადად, ჭირში (ღმერთმა გაშროო!) ძმად და მეგობრად. ენდეთ!“ გურამი, ვაჟა, გიგა.

იურას ძალიან უყვარდა ეს სიგელი და ყოველთვის გულის ჯიბეში ატარებდა.

— გურამ, გელოდებით. ჩქარა, გვაგვიანდება! — კვლავ ყვირის სვეტლანა. აკადემიკოსს სიზუსტე უყვარს. ჩვენ ხუთ საათზე ვართ დაპატივებული სადილად. დიასახლისმა საგანგებოდ ჩემთვის გააკეთა „პელმენები“. ხუთს ერთი წუთი აკლია. სვეტლანა ელექტროზარის დილაქს თითს აჭერს. კარი იღება. ახალგაზრდა დიასახლისის უკან უზარმაზარი დოგი გამეშვებულა.

— მობრძანდით!—დიასახლისი გულდიად გვიცინის; ხელს მიშვერს; მე ხელზე ვეამბორები. იურა პალტოს მხდის. სვეტლანა სარკის წინ ტრიალებს. დიასახლისი სასტუმრო ოთახისაკენ მიმძღვება.

ლარინი ზუსტად სამოცდაათი წლისაა (ეს სვეტლანამ მოთხრა), ის უზარმაზარ სავარძელში ჩასვენებულა. ვამბარია, გრძელფეხებიანი. საოცრად თეთრი, ქათქათა თმა აქვს. ცხვირზე „პენსენ“ უკეთია. მიყურებს, მიღიმის, თბილად,

თავაზიანად, მთელი გულით. მერე ზე დგება, ხელს მართმევს.

— ლარინი.
— ოთარაშვილი.
— გთხოვთ, — მოპირდაპირე სავარძელზე მითითებს და ისევ ეშვება თავის ადგილზე.
შემობრბის სვეტლანა, ბაბუას კალთაში უჯდება და ჰკოცნის. იურა მეორე ლოყაზე ჰკოცნის ლარინს.
— როგორ იმგზავრეთ? — შეციოთება ლარინი, — ხომ არ შეგცივდათ. ლენინგრადში ასეთი სიცივე მეც კი არ მახსოვს.

— გმადლობთ, არ მცოცა. იურამ ბოხობი მაჩუქა!
ისევ ზარის ხმა.
— პროფესორი პეტროვი ულამაზესი მეუღლითურთ, — იღიმება ლარინი.
პეტროვის მართლაც სიმპათიური მეუღლე ჰყავს.

— მაპატიეთ, ცოტა შეგვაგვიანდა. ექვსის ცხრა წუთია.
ლარინის კაბინეტიდან ორმოციოდ წლის ცინფერთვალეზიანი, მაჭუაძევირიანი გოლიათი გამოდის.

— ჩემი ასისტენტი, — მაცნობს ლარინი, — მიხაილოვი.
მიხაილოვი საეჭვოდ იღიმება და რაღაცის თქმა სურს, თუმცა ვერ ახერხებს.
— ბაბუას ჰობი თევზაობაა. მიხაილოვი შოფერია და არაჩვეულებრივი მეთევზე, ბაბუას „ზიმი“ დაჰყავს, — მეუბნება სვეტლანა.

ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელია.
— დავსბდეთ, არ მოგეშვიდა?! — კვლავ იცინის ლარინი.
— გთხოვთ, გთხოვთ, — ახალგაზრდა დიასახლისი სასადილო ოთახში გვიწვივს.

ლარინის მარცხნივ შოფერი ჯდება, მარჯვნივ სვეტლანა, მერე მე, მერე იურა და პეტროვი ლამაზი მეუღლითურთ. დიასახლისი თავს დაგვტრიალებს. სუფრაზე უგემრიელესი საჭმელი საუცხოოდ არის გაწყობილი.

— ასე მხოლოდ გამოცდილი მზარეთულები აღამაზებენ სუფრას!—მივირის მე.

— დიასახლისს ოქროს ხელები აქვს, — ჩურჩულებს სვეტლანა.

— მიირთვიო, მიირთვიო! — გვთხოვს დიასახლისი.

ლარინი არაყის ჭიქებს ავსებს და ჩანგალს ბოთლს უქაკუნებს, თუმცა სიჩუმე არავის დაურღვევია.

— მე მინდა გურამის სადღეგრძელო შევსვა (უხერხულად ვივარძენი თავი, მაგრამ ლარინმა აღელვება არ მაცალა) იმპროვიზაციაა, რომ ის ჩვენი სტუმარია, არა. გურამის სახით მე ვსვამ ქართველების სადღეგრძელოს. ამას თავისი მიზეზი აქვს. ცხრაასოცდაათოთხმეტში მე ერთი თვით ვიყავი საქართველოში. მას შემდეგ, მოღუბნებდა, თითქმის მთელი მსოფლიო შემოვიარე, მაგრამ მსგავსი, ღიას, ღიას, მსგავსი კი არაფერი მინახავს. მას შემდეგ საქმისა და სხვადასხვა მიზეზების გამო ვეღარ მოვახერხე საქართველო მენახა. სამაგიეროდ, ლენინგრადში ჩამოსული ყველა ქართველი ჩემი სტუმარია! ვალად მიმაჩნია ვუმასპინძლო ჩემს ქალაქში ჩამოსულ ქართველებს. მე ჩემი სტუმრის სადღეგრძელოს ვსვამ! — ლარინმა ჭიქა დასცალა.

— კარგად არის ნათქვამი, ძალიან კარგად, — თქვა პეტროვმა და ჭიქას მოაწყო ხელი, — მე კი, ნება მიბოძეთ აკადემიკოს ლარინის სადღეგრძელო...

— პეტროვ, მე შევსვი გურამის სადღეგრძელო და ყველას ვთხოვთ, მიირთვიო. ქართულ სუფრაზე თამადას ტირანის უფლებები აქვს. ასე არ არის?

მე დავეთანხმე. პეტროვმა ჩემი სადღეგრძელო თქვა და არაყი გადასხვა. მისილივით ჩუმად დალია. მერე სვეტლანამ და იურამ მაქვს, მკოცნეს. დიასახლისმაც მიირთვა ჩემი სადღეგრძელო.

— ახლა დიასახლისის გაუმარჯოს, ამ ოჯახის მთავარანგელოსს. გაგიმარჯოს, ჩემო პატარავ, ჩემო სიხარულო, „ბებერო!“ — ლარინმა გულთანად გადაიხარხარა, მერე ხელით მანიშნა, ყური მივლო და მეუღლეს ქართულად უთხრა: გენაცვალე.

მე დიასახლისს შევხედე. დიასახლისი ჩუმად იღვავდა, თვალები ცრემლით ავსებოდა და უყურებდა ლარინს, მხოლოდ ლარინს, მეტს არავის. დიასახლისი იყო ბედნიერი და შეყვარებული. ასეთი თვალები მე არსად მინახავს. მხოლოდ იშვიათად, ძალიან იშვიათად თუ წაიკითხავ რომელიმე რომანში და დაიჯერებ, რომ არსებობს უზომოდ ბედნიერი მეუღლე, სიკვდილამდე ერთგული და თავგანწირული.

ცოტა ხნის შემდეგ ლარინმა შესვენება გამოაცხადა, ადგა და მავნიტოფონი ჩართო. ცეკვა გაჩაღდა. ლარინი მხნედ ცეკვავდა. ყველა ცეკვა სკოდნია ლარინს ძველებური ჩარლსტონიდან დაწყებული ტენისით, ვატსით, ჰალიგალითა და ჯერკით გათავებულად.

— ასე მხიარულად დიდი ხანია არ ყოფილა მოხუცი, — მეუბნება პეტროვი, — ეტყობა, თქვენი სტუმრობა ძალიან უხარია, — პეტროვმა ოთახის კუთხეში დადგმულ სავარძელზე მიმჯდომითა: — დავსხდეთ. დავსხდით.

— საქართველოში მეც ყოფილვარ, მაგრამ მხოლოდ საგზურით. ბლოკადის შემდეგ კანის უცნაური ავადმყოფობა დამჩემდა, მხოლოდ ზღვა და სამხრეთული მზე მშველს.

— თქვენ ბლოკადის დროს აქ იყავით? — დიას, მოხუცმა დავეტოვა. — პეტროვმა ლარინზე მიმითითა, — ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს ვხელმძღვანელობდით ჩვენს რაიონში.

ლარინი მეუღლესთან ერთად ტანგოს ცეკვავდა და ისე ეფერებოდა, რომ შეუძლებელი იყო მათთვის საუკუნო სიმშვიდე არ გესურვებინა, ყოველგვარი ბლოკადების გარეშე.

პეტროვმა ორი ჭიქით არაყი მოიტანა: — წყეტული იყოს ყოველნაირი ბლოკადა!

— ამინ! — ვუთხარი მე. ჭიქები მივუჭახუნეთ და დავლიეთ. პეტროვმა კიდევ მოიტანა არაყი. ცოლმა ბრანდის თვალებით გადმოგვხედა.

— წყეტული იყოს ბლოკადა! — ამინ! ამინ!

— მოგეხსენებათ, ბოლო ზამთარს ძალიან გაგვიჭირდა. წყალი და კანალიზაცია ადრევე გაფუჭდა, სასმელი წყალი ნევიდან მოგვექონდა, გაყინულ მდინარეში ყინულს ვჩეხავდით; მაპატიეთ, რომ თავს ვაბეზრებთ და გიყვებით. მაგრამ უფლება არა მაქვს დაეფარო ის დიდი სევდა, რომელიც მტანჯავს. ჩემი თავისათვის ვერ მიპატიებია, რაც დამემართა და ალბათ სამარეშიც დარდად ჩამყვება. იმ დაწყვეტილ დღეს მოხუცმა წყალზე გამაგზავნა. ქუჩებში და მდინარის პირასაც კი ხშირად გვხვდებოდა გვამები, მაგრამ იმ დღეს მაინც საოცრად ბევრი იყო. აი ასე, პირდაპირ ჩემს თვალწინ, მოლასლავებდნენ, მოლასლავებდნენ და... ეცემოდნენ. მე ყოველთვის ვცდილობდი არ შემხეხედა გვამისათვის, მაგრამ თვალდახუჭული ხომ ვერ ვივლიდი?! ქარიანი დილა იდგა. სუსხი ძვალსა და რბილში ატანდა. ყინულში ამოთხრილ ორნოს სწორედ მაშინ მივუახლოვდი, როცა საშინლად გამხდარმა და ამიტომაც გაურკვეველი ასაკის ქალმა ვედრო ამოსწია. ამოსწია და ნაბიჯი ვერ მოზომა, ფეხი აუცდა და... წყალში ჩავარდა; ხელებით ყინულს მოეჭიდა, ძლიერ გასაფონი ხმით შველას თხოულობდა. მე ვავშემდი. ვილაც ბავშვი მომვარდა (არც კი ვიცი იქ საიდან გაჩნდა), ტანზე მუშტებს მიშენდა და მიყვიროდა: უშველეთ, დედაჩემს უშველეთ, დედიკოს უშველეთ! როცა გონს მოვედი, გავბოდი, თუკი იმ ლასლასს სირბილი ჰქვია...

ერთხელ, საღამოს, ჩემი სახლის წინ ქუჩაში მამაკაცი დავარდა. წამომაყენეთო, სთხოვა გამელეღს. გამვლეღმა ხელი გაუღწილა... მეორე დღეს დამზმარე რაზმეული მოვიდა: იძულებული იყვნენ ხელი ნაჯახით მოეკვეთათ, ცხედრების განსაცალკევებლად. პეტროვი გაჩუმდა, მას მხოლოდ ეს ერთი გამამართლებელი საბუთი ჰქონდა. — წყევლიმც იყოს... — ზიზღით წაიჩურჩულა პროფესორმა პეტროვმა და ადგა.

— ამინ! ამინ! ამინ!

პეტროვმა ორმაგი კარი გააღო და

აივანზე გავიდა. ცივმა სუსხმა ფეხებში დაგვიარა. ლარინმა ცეკვას თავი დაანება.

— პეტროვ, დაბრუნდით, გეთაყვა! პეტროვი დაბრუნდა.

— პატარა ბავშვი აღარა ხართ და უნდა იცოდეთ, რომ კიდევ გვეჭირდებით, — ლარინმა ბავშვივით გულწრფელად გაიცინა და ასევე გულწრფელად განაგრძო, — პროფესორი ბირთვულ ფიზიკაში მუშაობს. პარამაგნიტურ რეზონანსის მეთოდით მინერალების სტრუქტურას იკვლევს და საკმაოდ წარმატებითაც, — მაგიდას მიუახლოვდა, არაყი ჩამოასხა, თავისი ჭიქა ჩემსას მოუტახუნა, — პეტროვს გაუმარჯოს! ის ნამდვილი გმირია!

— რა მოუვიდა ბაბუსა?! — მეუბნება სვეტლანა, — არასოდეს არ ყოფილა ასე გულჩილი; განსაკუთრებით, თანამშრომლების მიმართ.

— პროფესორის სადღეგრძელო ყველამ შესვა? — არ ცხრებოდა ლარინი.

ჩვენ ერთხმად ვადღეგრძელებთ პროფესორი და ჭიქები დავცალეთ. მერე ლარინმა „ჩემო ციციანთელა“ წამოიწყო.

●
სასტუმროში სიცივე და სიჩუმე დამხვდა. წასვლისას პატარა სარკმელი დიად დამრჩენოდა და ლენინგრადის სუსხიან ღამეს მთლიანად მოგპარა ოთახის სითბო. საკმაოდ შეზარხონებული ვიყავი. დავექეი თუ არა, დამეძინა. მერე ჩემი ოთახის კედლებზე გაჩნდა წვეთები. წვეთები იზრდებოდა და სხვადასხვა ფორმის კრისტალებად იყინებოდა. კრისტალებიც იზრდებოდა, დიდდებოდა, ოთახის სივრცეს უფროდაუფრო ავსებდა და ჰყინავდა ჰაერს. მალე ყინულის ცივი და პრიალა შეხება ვიგრძენი. ჰაერი აღარ მყოფნიდა, სუნთქვა მეკვროდა, ვკანკალებდი, საშველი კი არსაით ჩანდა. უცებ, ძალიან შორს, გამოჩნდა პატარა ბავშვი. ბავშვი ჩემსკენ იშვერდა ხელებს; თავისი ტანის სითბოთი ყინულს ალღობდა და ჩემსკენ მოსრილებდა. როცა მომიახლოვდა, გულ-

ზე მუშტების ბრახუნი დამიწყო და თან მიყვიროდა:

— უშველე დედიკოს, დედაჩემს უშველე!

ელდნაკრავს გამომედიდა. გული ისე ჩქარა მიცემდა, რომ სუნთქვას ძლივს ვახერხებდი. ვიწუქე ჩემს ოთახში. თბილოდა.

ნეტავ, მე თუ ჩავიდნ ისეთ რაიმეს, საკუთარი თავი რომ შემჯავრდეს? ცხადად მესმის, როგორ უწივის პეტროვს ყურებში „უშველე დედაჩემს, ჩემს დედიკოს უშველე!“ ამისგან არ შეიძლება თავის დაღწევა. შეიძლება მხოლოდ სიძულვილი, მძაფრი სიძულვილი ადამიანი უცხად ვადგიებული შიშის. თუმცა იგივე სიძულვილი ბოლოსდაბოლოს გაიძულვებს შეგჯავრდეს ყველაზე ახლობელი ადამიანი ამქვეყნიად — შენივე თავი. მერე რა უცნაურ დროს იცის ხოლმე აღმოჩენება ამ უფერულმა მაქლაჯუნამ. არ შეგარგებს არც ერთ ბედნიერ წამს, არც ერთ მხიარულ წამს. სწორედ მაშინ ჩავიჯდება უბეში, სწორედ მაშინ ჩავაშხამებს ყველაფერს, მოგაონებს, რომ იგი შენშია, ყოველი უჯრედით შენშია, შენშივე დაბადებული. ნეტავ მე თუ ჩავიდნ ისეთ რაიმეს, რომ საკუთარი თავი შემჯავრდეს? ალბათ, არა; რასაკვირველია, ვერ ჩავიდნ! თუმცა ამაზე ფიქრიც სისულელეა!

● და გამახსენდა ყველა ის დღე, რომელმაც წარუშლელი ნატერფალი დასტოვა ჩემი სულის თეთრ ქვიშაზე.

ყველაფერი გამახსენდა, მაგრამ მხოლოდ ჩემთვის საყვარელი დღეები ამოვარჩიე. ყოველივე ამის მოგონება დიდ სევდასა და სიხარულს იწვევს ჩემში, რადგან მათ შემდეგ გავხდი ავიცა და კარგიც, კეთილიცა და ბოროტიც, გულჩვილიცა და მკაცრიც, უსამართლოცა და სამართლიანიც.

მეჯავრება ნაცრისფერი, არაფრის-მთქმელი დღე. და მხოლოდ იმიტომ მიყვარს განთიადი, რომ გული ფართოდ გადაგიშალო, შემოგიშვა და დაგაბინაო, სიცოცხლის მზიანო, ნაყოფიერო დღეო. ვინ იცის რა დარდს ვამიჩენ, ვინ იცის რა სიხარულს მომგვრი!

და ვცხოვრობ ამ ქვეყანაზე! ჩემთან ერთად ჩემ სულში ცხოვრობს მუსიკა, სიხარული, სინანული, სევდა და ბედნიერება. ჩემ სულში ცხოვრობენ ვაჟა და ვივა, ჩემი ენიკა და... ნანა, ირინა და ლარინი, პეტროვი, ქერათმიანი გოგონა, დირექტორი. ვენერალი, მაესტრო და კიდევ ის ქალები, თეთრ კუნძულზე სიცოცხლისა და მზის სადიდებლად რომ ცეკვავდნენ. და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი ადამიანი ჩასახლდება ჩემ სულში, რამდენ ნატერფალს დაიტევს კიდევ თეთრი კუნძულის თეთრი ქვიშა.



ქართული

პეიჯ შაჰონეიკი

მიწის კარიბჭესთან

ეს იყო მკაცრი, მთავარიანი ადგილი: დაგვალული ხეები ფესვებით ჩაპტრენოდნენ გამოფიტულ კლდეებს. ადამი ნელა მიაბიჯებდა, ხანდახან იხრებოდა და აქა-იქ ამოყელყელავებულ თავთავებს კრეფდა. პატარა კონა რომ მოაგროვებ, ქვაზე ჩამოჯდა, კონა მსხვილ, გახეშებულ მუხლზე დაიდო და დაკუთხული თითებით თავთავების ფშვნა დაიწყო. იჭდა და დაფიქრებული დეჰვდა მარცვლებს. იქვე, ხის ტოტზე წამოსკუბებული ჩიტი გაკვირვებული დაჰყურებდა მალლიდან.

სანამ ადამი ჰამდა, მის თავში ბნელი ბილიკებით ამოცოცდა აზრი: „რა იქნება, ეს მარცვლები რომ მიწაში ჩავფლა?“ და ანგარიშმიუცემლად, რაღაც იდუმალ ძალას დამორჩილებული, დაიხარა, დაკორძილი თითით მიწა გაჩიქნა, მარცვალი შიგ ჩააგდო, ორმო ფეხით მოასწორა და ისევ თავთავების ფშვნა განაგრძო.

იქ, „პირველ ბაღში“, ხეები ოქროცურვილი ხილით იყო დახუნძლული. ეს ხილი საოცარი სიტკბოებით ღნებოდა პირში, ჰაერი მათრობელა სურნელებით იყო ავსებული: ო, მშვენიერო

წალკოტო! მანდ ხომ ტკივილი — მუსიკაა, მანდ ხომ დუმილი — ალერსია, მანდ ხომ სილამაზე — პურია!.. ადამმა ამოიოხრა, ჩიტი შეშინდა და გაფრინდა!

კლდის იქიდან სუსტი კვამლი ამოდიოდა. ის მიიწვედა მალლა, მალლა, შემდეგ კი, თითქოს იმედგაცრუებული ლოცვა ყოფილიყოს, ნაფლეთ-ნაფლეთად ბრუნდებოდა მიწისაკენ. იქ, იმ კლდის უკან, პატარა ქოხი იდგა. ის ქოხი გაჭირვებით ააშენა ადამმა, როცა ნახა, რომ მიწაზე ლამ-ლამობით ციოდა. ქვაზე ქვის ცემით გააჩინა ცეცხლი. იმ ქოხში შობა ევამ თავისი პირმშო, შობა ისეთი ტანჯვით, რომ ადამმა ყურებში თითები დაიცო და გაიქცა.

ევა! ევაა მისი ბედისწერა და იმედი. მისი მწუხარება და სიხარული. ის კი, სხვათაშორის, მაინცადამაინც უბედურად არ უნდა გრძნობდეს თავს. არის ხოლმე დღეები, როდესაც მღერის ციდეც. მას შეიძლება უკვე დაავიწყდა ცეცხლოვანი მახვილი, რომლითაც ისინი ავმა ანგელოსმა მიწაზე ჩამოდენა! ადამმა თვალბუზე ხელები აიფარა და ქანცმილეული ნადირივით ამოიხმეველა.

— რამ დაგალონა, ადამ?

თავს ევა დასდგომოდა. იგი ფოთლეთის ტუნიკით იყო შემოსილი. ეს ტუნიკა მისი ჩამოქნილი თეძოების ყოველ შეტოკებაზე შმაშურობდა. „საოცარია, — გაიფიქრა ადამმა. — როგორც კი ტანი დაიფარა, მას შემდეგ სულ იმ დაფარული ადგილების ყურება და ხელის შეხება მინდა!“ ევაც ქეაზე დაჯდა, ადამის გვერდით. მისი ვრძელი, ერთმანეთში ჩახლართული თმები კვამლის, ცეცხლოვებული ხისა და კერძის სურნელებით იყო გაქვნილი.

— პატარა კაენი სულ უფრო და უფრო ჰირვეულობს, — თქვა ევამ ალერსიანი ღიმილით, — წედან ძუძუზე მიკბინა. რა უცნაურობაა, ადამ: რაც უფრო მეტად ჰირვეულობს, მით უფრო მეტ სიყვარულს ვგრძნობ მისდამი.

— ახლა მარტო გყავს დატოვებული? — ჰკითხა ადამმა. — ხომ იცი, რა საზარელი მხეცები არიან აქ!

— ძალი დარაჯობს! — მიუგო ევამ. — ზოგი მხეცი თუ გვერძის, ზოგი — გვიცავს. ყველაფერი წონასწორობაა საქმით!

ადამი ისევ დაღონებული იყო. ევა შიშველ, ფართო ბეჭზე მიეკრა.

— არ მეტყვი, რატომ ხარ დაღონებული?

— რაღაცეები მაგონდება. — წყნარად მიუგო ადამმა. — მაგონებები თავისებური სასჯელია ჩვენთვის.

— შენ იმას იგონებ, იქ რომ...

— ჰო, რა ბედნიერები ვიყავით, ევა! ევამ თავი დაუქნია.

— ბედნიერები ვიყავით, — თქვა მან, — ჩვენ ხომ არ ვიცოდით ეს?

ადამმა ეჭვის თვალით შეხედა. ევას ყოველთვის უცნაური აზრები მოსდიოდა. ეს აზრები აცოფებდა ადამს, მაგრამ საბოლოოდ მინც ემორჩილებოდა მას. ევას წინაშე თავს უძლურად გრძნობდა. იმ დღესაც, იმ დაწყველილი ნაყოფის მოწყვეტა რომ აიყინა, რა არგუმენტი არ მოძებნა!.. ამ არგუმენტების წინაშე ხომ მთლად უმწეო აღმოჩნდა ადამი!

ევამ გაბურძნული თავი მხარზე დაადო. მისი ქერა თმები ვუალივით გადაეფარა ადამის თვალებს.

— რაკი შენ მაინც ფიქრობ ამაზე, — დაიწყო ევამ, — აბა, მითხარი, ვახსოვს იქაური ხლის გემო?

— მე? — შეყოყმანდა ადამი, — საოცარი გემო...

— ჰო, საოცარი გემო. საოცარი და მეტი არაფერი. აქ კი, ადამ, ერთი მწარეა, მეორე ტკბილი, ერთი პირს გასუსხავს, მეორე გისალბუნებს. ეს კი გაცილებით საინტერესოა!

ადამმა მხრები ოდნავ აიჩეჩა. მისი შავი თვალები მიწას ჩასჩერებოდნენ.

— ჩვენ ვერასოდეს დავივიწყებთ, რაც ოდესღაც დავეკარგეთ, — სასოწარკვეთილი ხმით ალაპარაკდა იგი, — ჩვენს შვილთა შვილიშვილებსაც კი გამუდმებით ემასოვრებათ, გულში ექნებათ ჩასობილი ეკალივით და ვერასოდეს ვერ შეძლებენ მის ამომტობას. ისინი უბედურნი იქნებიან ამის გამო. ესაა ჩვენი სასჯელი.

ევამ მხარზე თავისი ღამაზი ცხვირი მოუცაცუნა, გაუღიმა:

— რაც დაკარგულია, დაკარგულია, ადამ.

ადამმა დახედა ევას გაბრწყინებულ სახეს, რომელიც მის მხარზე იყო ამობრუნებული და, რაღაც გრძნობით ატაცებულმა, ფრთხილად მოუსვა წითლად ატყრეცილ სალუქ ლოყაზე ხელი. ეს მართალი იყო, — ადამმა იქ არ იცოდა, რა ღამაზი იყო ევა.

ევამ ტუჩები გაუწოდა და ამ ტუჩებმა აკრძალული ხლის გემო გაახსენეს ადამს. ევამ ხელი მიადო მაღალ შუბლზე.

— ევა...

ადამი თვალმოუშორებლად დაშტერებოდა მის სახეს და უცებ შეამჩნია პაწაწინა ნაოჭი, რომელიც ქუთუთოების კუთხეს გასდევდა. იგი ფრთხილად შეეხო ამ ნაოჭს თავისი დაკუთხული თითებით.

— შენ აქ პატარა ნაოჭი გაქვს, ადრე არა გქონდა.

— მაშახინჯებს? — შეწუხდა ევა.
— ვერც იმას გეტყვი, გიხდებოდეს, მაგრამ..

ადამმა თავი გააქნია; მას უნდოდა ეთქვა, რომ ახლა, ეს ნაოჭი რომ შეამჩნია, ნაზ რაღაცეებს ფიქრობდა მასზე. მას ასეთი უფრო უყვარდა ევა, ვიდრე უნაკლო; ისევე, როგორც ევას — ჭირვეული კაენი. მაგრამ ადამი ვერ პოულობდა საჭირო სიტყვებს. იგი, საერთოდ, არასოდეს არ ყოფილა ენამჭევერი.

— ევა, — დაიხურჩულა მან, — თან ისევ ალერსით დასცქეროდა იმ ნაოჭს ქუთუთოების ბოლოზე, — მე შენ რაღაცა უნდა გითხრა.

— რა?

— მე მეჩვენება... მე მეჩვენება, რომ ჩვენც მოვკვდებით.

ევამ გაოცებული თვალებით ახედა.

— მოვკვდებით? შენ გინდა თქვა, ჩვენც იმ ცხოველებით მოვკვდებით, შენ რომ ქვით ხოცავ ხოლმე?! როგორც აი ის ჩიტი, ძაღლმა რომ შეჭამა?

— ჰო, — ნაღვლიანად დაუდასტურა ადამმა.

— საიდან იცი?

— ვერ გეტყვი, საიდან. ვიცი კი, ჩვენ მოვკვდებით: მეც, შენც, კაენიც. ოდესმე მოვკვდებით.

— მოვკვდებით... — დაფიქრებულმა გაიმეორა ევამ.

ადამს ოხვრა ამოხდა.

— იქ, — თქვა მან, — იქ სულ ახალ-გაზრდები ვიქნებოდით. შენ არასოდეს გაგინდებოდა ეს ნაოჭი, ევა.

— შენ ეს ნაოჭი აშკარად არ მოგწონს, — გაიბუტა ევა.

— იქ იყო მშვიდობა, სიციცხლე, ბედნიერება...

ევამ თვალები დახუჭა და ადამს მიეხუტა.

— მაგრამ ჩვენ იქ არ ვიცოდით, რომ ერთმანეთი გვიყვარდა, — დაიხურჩულა მან, — გახსოვს, გველმა გვიოხრა, ღმერთებზე იქნებით!

— კარგი ღმერთები ვართ! — ნაღვლიანი ღიმილით თქვა ადამმა.

ევამ, თითქოს არც კი გავგოს მისი ნათქვამი, ისევ ჩურჩულით განაგრძობდა:

— მარტო ღმერთებმა იციან, რომ უყვართ. ო, როგორ მიყვარხარ, ადამ... მას შემდეგ, რაც შენ უბედური ხარ.

ერთ ხანს ასე, ერთმანეთს მიხუტებულები ისხდნენ. — ძალიან პატარები ამ დიდ სიჩუმეში. მერე ადამი სწრაფად წამოდგა.

— მე მგონი, თავთავების გამოზრდის ხერხს მივაგენი, ევა, — თქვა მან. — ამ საქმეს ხვალვე უნდა შევუდგე.

თარგმან რევაზ ინანიშვილმა

პერეტ შაპონერი შვეიცარიელი მწერალი ქალია. დაიბადა 1915 წელს, დამთავრა ჟენევის უნივერსიტეტი. მისი ბოლოდროინდელი ნაწარმოებებია: „შენ, რომელიც გვიყვარდი“ (1956); „მდორე წყალი“ (1957); „დეკემბრის დამეს“ (1958) და სხვ.



აზიზ ნასინი

როდის დაიბადა შერმენდი

— იგი ძალიან დიდი მეცნიერია.
 — ვანა რა აღმოაჩინა ისეთი?
 — რა საკითხავია! ეს რომ უბრალო ხალხმა იკითხოს, გასაგებია! გამოდის, ინტელიგენციას არ ინტერესებს მეცნიერება: ამ მეცნიერმა დააზუსტა თარიღი, რომელიც აქამდე ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში არასწორად მიიჩნდათ.
 — ვანა ისეთი რა თარიღია, დღევანდლამდე რომ არასწორად იყო მიჩნეული?
 — იყო ასეთი პოეტი — შერმენდი, რომელიც მეთუთმეტე საუკუნეში ცხოვრობდა...
 — არ გამოვივინა.
 — შერმენდიმ ლექსების დიდი კრებული დატოვა. მისი სახელი პოეზიის ბევრ ანთოლოგიაში იხსენიება.
 — შერე რაო?
 — ლიტერატურის ისტორიის წიგნებში ნათქვამია, პოეტი შერმენდი დაიბადა ოთხ მაისსო, ამ პროფესორმა კი დაამტკიცა, რომ შერმენდი ოთხ მაისს არ დაბადებულა.
 — როგორ დაამტკიცა?
 — ექვსასკვერდიანი წიგნი დაწერა.
 — ერთი წიგნით დაამტკიცა?
 — არა! ვანა შეიძლება ერთი ტომით

დაუმტკიცო ადამიანს ასეთი რთული რამ? პირველი ტომი მხოლოდ პრობლემის შესავალია.

— როგორ?

— პირველ ტომში პროფესორი ადგენს, რომ შერმენდი ოთხ მაისს არ არის დაბადებული.

— შემდეგ?

— შერე, მესამე და მეოთხე ტომში დაამტკიცებს, რომ ოთხი მაისი არაზუსტი თარიღია. მხოლოდ მეხუთე ან მეექვსე ტომში გვაცნობებს შერმენდის დაბადების ნამდვილ თარიღს.

— რამდენი ტომი იქნება?

— არავინ უწყის. ჯერ მხოლოდ ერთი ტომი დაწერა. ამ ტომზე თხუთმეტე წელი იშრომა.

— რას ბრძანებთ! თხუთმეტი წელი?

— რასაკვირველია! გეტყობათ, თქვენ არავითარი წარმოდგენა არა გაქვთ მეცნიერებაზე.

— როდისღა დაწერს დანარჩენ ტომებს?

— თუ ღმერთი ინებებს მის ჯანმრთელობას — თხუთმეტი-ოცი წლის შემდეგ მეორე ტომს დაამთავრებს. პროფესორი ახლა 64 წლისაა.

— თუ იგი... ღმერთმა დაიფაროს...

— მაშინ სხვები გააგრძელებენ ამ სამუშაოს.

— ძალზე დამინტერესეთ. თქვენ ამბობთ, პოეტი შერმენდი ოთხ მაისს არ არის დაბადებული, მაშ როდის დაიბადა?

— აი, სწორედ ეს არის ძირითადი, რაც ლიტერატურის ისტორიაში ხუთსტად უნდა დადგინდეს. შერმენდი დაიბადა არა ოთხ მაისს, არამედ სამ მაისს, ღამით, თორმეტ საათამდე. მაშასადამე, მისი დაბადების თარიღად უნდა ჩაითვალოს სამი მაისი. ლიტერატურის ყველა ისტორიკოსი შეცდა, დაბადების დღედ ოთხი მაისი რომ მიიჩნიეს. განა დაბადების თარიღის დადგენა ადვილია?

— მეცნიერს შეეძლო ეს რამდენიმე სტრიქონით ეთქვა. ამისთვის ექვსასი გვერდი?

რამდენიმე სტრიქონით რომ ეთქვა, მაშინ რითი განირჩეოდა იგი შენგან ან შენისთანა ადამიანებისაგან? მეცნიერი ისეთი ადამიანია, რომელიც ყველასთვის ცნობილ ამბავს ისე აღწერს, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგოს. შეუძლია ხუთი სიტყვა ხუთას სტრიქონზე გაწელოს. აი, სწორედ ამით განსხვავდება მეცნიერი უბრალო მოკვლავისგან.

— თუ ასეა, მაშინ თქვენ საიდან იცით, რომ პოეტი შერმენდი სამ მაისს დაიბადა, წიგნი წაიკითხეთ?

— რას ბრძანებთ! ვის შეუძლია წიგნი წაიკითხოს და გაიგოს, თუ რისი თქმა სურს მეცნიერს? მეცნიერება ისე ღრმა რამაა, რომ...

— კარგი, მაგრამ მაინც როგორ გაიგეთ?

წიგნიდან არ გამიგია, თვითონ მეცნიერმა მითხრა! ასეთ წიგნებს საკითხავად როდი წერენ.

— მაშ რაღაღ ბეჭდავენ?

— ცხადია, თქვენ მეცნიერებაზე არავითარი წარმოდგენა არა გაქვთ. დავუშვათ, ნაწარმოები მალე იყიდება — მისი შინაარსი ყველასთვის გასაგებია. აბა, რა ფასი აქვს ასეთ ნაწარმოებს? ამიტომაც მეცნიერები არ ცდილობენ

ისე დაწერონ, რომ მათი შრომა ვინმე წაიკითხოს და ჩასწვდეს. სჯობია წიგნმა თაროზე, მტერის ქვეშ, მშვიდად განისვენოს. ზოგიერთ წიგნს, საერთოდ, არ კითხულობენ, ან ცოტა მკითხველი ჰყავს, რადგან მისი შინაარსის გაგება ძნელია, ზოგჯერ შეუძლებელიც. სწორედ ასეთი წიგნის გამო იწევს მალა ავტორის პრესტიჟი.

— განცვიფრებული ვარ!..

— რა არის აქ განსაცვიფრებელი? თქვენ გჯონიათ, ადვილია ისე წერა, რომ შინაარსი კაციშვილმა ვერ გაიგოს? აი, მაგალითად: ჩვენ დიდი ხანია ვბაასობთ და ერთიმეორის ლაპარაკი გვესმის. აბა სცადეთ, ხუთი წუთი ისე ილაპარაკოთ — თქვენი ლაპარაკი ვერავინ გაიგოს. ადვილია?

— ძნელია.

— ძნელი კი არა, შეუძლებელია. ახლა იფიქრეთ ხუთასგვერდიან წიგნზე! ეს ხომ მთლად ბოდილი არ იქნება. რასაკვირველია, ზოგი სკუთახელი ყოველდღე ათასნაირ სისულელეს ბოდავს. მაგრამ ისინი ხომ არასდროს მეცნიერები არ გახდებიან? რა განსხვავებაა მეცნიერსა და სკუთახელს შორის? მეცნიერი დაწერს ხუთასგვერდიან სამეცნიერო შრომას, რომელსაც კაციშვილი ვერ გაიგებს. სამაგიეროდ, ჩემო ძმაო, ამ შრომაში ვერ ნახავ ვერც ერთ გრამატკულ ან სინტაქსურ შეცდომას, რომელიმე ულოგიკო ფაქტს, სკუთახელი კი ამ საქმეს ვერ შესძლებს.

— მე მინდა გავიგო, რითი ასაბუთებს პროფესორი, რომ პოეტი შერმენდი ოთხ მაისს კი არა, სამი მაისის ღამეს დაიბადა?

— ამის მსგავსს არაფერს არ ამტკიცებს. მთავარია: პოეტი თავის ერთ ლექსში ამბობს: „მე ქვეყანაზე იმ დროს გაეჩნდი, როდესაც გუშინდელი და ხვალინდელი დღის მისალმება მსურდა“. — რა დროს ესალმებიან გუშინდელ და ხვალინდელ დღეს? შუალამისას! იგი ამბობს: „მისალმება მსურდაო“, მაშასადამე, ჯერ არ მისალმებია. პოეტი მხოლოდ აპირებდა მისალმებას, შუა-

ლამე არ დამდგარიყო — თორმეტ საათს შეიძლება ხუთი ან ორი წუთი აკლდა. აქედან დასკვნა — შერმენდი დაიბადა არ ოთხ მაისს, არამედ სამ მაისს.

— გეთანხმები, ჩემო ძვირფასო, თუმცა ვერ გამოვივა, რა საჭიროა ყოველივე ეს?

— თქვენი აზრით, ეს არავისთვის არ არის საჭირო? ერთი მეცნიერი სამტომიან შრომას დაწერს და დაამტკიცებს; შერმენდი დაიბადა სამ მაისს, არა 11 საათსა და 30 წუთზე, არამედ 11 საათსა და 35 წუთზეო. ბოლოს, დადგინდება პოეტ შერმენდის დაბადების ნამდვილი ადგილი და თარიღი.

— ბოდიში, კვლავ არაფერი მესმის. დავუშვათ, შერმენდი სამ მაისს კი არა, ოთხი მაისის 11 საათსა და 30 წუთზე დაიბადა, მერე რა, რა დიდი ამბავი ეს იქნება!

— ჩემო ძვირფასო, შენ რა გგონია, ეს ყველაფერი რომ არ ყოფილიყო, ლიტერატურის ისტორია იქნებოდა? ერთი მეცნიერი იტყვის: „სამ მაისსაო“, მეორე — „ოთხსაო“. ატყდება კამათი. ვინც მეტ აბლაუბდას დაწერს, სწორედ ის დაამტკიცებს მეორე მეცნიერის წინაშე თავის უპირატესობას.

— მე მიინც არ მესმის, რა პრაქტიკული სარგებლობა აქვს ამას.

— გეთაყვა, აუარებელი ხალხი მისდევს ამ საქმეს. ასე ცხვებიან ასისტენტები და პროფესორები, მშვიდად და ადვილად იხვეჭავენ სახელს. ოო, ესენი რომ არ ყოფილიყვნენ, ჩვენ არ გვეცოდინებოდა, რომელ დღესა და რომელ საათზე დაიბადა შერმენდი. ასე ვიცხოვრებდით გაუგებრობასა და გაუნათლებლობაში. კაცობრიობა ხომ ასეთი წესით მიიწვევს წინ. რომელიმე მეცნიერი მოულოდნელად რამეს გვამცნობს, მერე კი ამტკიცებს „ასე კი არა, ასეაო. აი სწორედ ამ წესით მიიწვევს ჩვენი სამყარო ნაბიჯ-ნაბიჯ წინ.

— მართალს ბრძანებთ. მეცნიერები რომ არ ყოფილიყვნენ ვერავითარ ჭეშმარიტებას ვერ ჩავწვდებოდით. ღმერთო ჩემო, როგორ ვიცხოვრებდით თუ სიმაართლე არ გვეცოდინებოდა? მეცნიერები რომ არ ყოფილიყვნენ, დავიღუპებოდით, არ გვეცოდინებოდა, როდის დაიბადა პოეტი შერმენდი. ჩვენ გვეგონებოდა, რომ იგი ოთხ მაისს დაიბადა! არა, ასეთ სამყაროში ცხოვრება შეუძლებელი გახდებოდა. არ ვიცი, რა გვეშველებოდა, მეცნიერები რომ არ ყოფილიყვნენ!

თარგმანს თინათინ ჯაფარიძეზე.

● ~~~~~ ●
აზიზ ნესინი ცნობილი თურქი მწერალია, დაიბადა 1915 წ. გამოცემული აქვს მოთხრობების ორმოცდახუთამდე კრებული. 1956-57 წ. წ. იტალიაში მოწყობილ მსოფლიოს იუმორისტ მწერალთა კონკურსებზე მიიღო პირველი პრემია — „დაფნის გვირგვინი“.
აზიზ ნესინის ნაწარმოებები ითარგმნება მსოფლიოს ხალხთა ბევრ ენაზე. ქართულად ნათარგმნია რამდენიმე მოთხრობა.





გიორგი ჯიბლაძე

რუსთაველის ეპოქის ქართული ქრონიკა

III

როცა ბატალური სცენების აღწერაზე ვლაპარაკობდით, აღვნიშნეთ, თუ რა მრავალმხრივი ცოდნა ესაჭიროება ისტორიული რომანის ავტორს. მაშინ არ გვითქვამს, რომ ასეთივე ფართო ცოდნა მოეთხოვება მას რელიგიათა ისტორიისა. როგორც კლასთა ბრძოლა განუყრელია კაცობრიობისაგან, ისე დღემდე რელიგია მუდამ თან ახლდა ადამიანის ცხოვრებას და ვერც ერთი მწერალი ისტორიული რომანისა გვერდს ვერ აუხვევს რელიგიის როლის ჩვენებას ამა თუ იმ საზოგადოებრივ წყობაში.

პირველი რელიგიური მრწამსიდან — ანიმიზმიდან მოყოლებული, თანამედროვე რელიგიური სექტებით დამთავრებული, რელიგია ცხოვრებისეული მოვლენა იყო და მწერალი ამ ფაქტს ვერ გაექცევა, რაკი მას თვით ცხოვრების მხატვრული ჩვენება აქვს დავალებული. მეცამეტე საუკუნის ქართული ქრონიკის მიხედვით ისტორიული რომანის დასაწერად საჭიროა იცოდე არამარტო ქრისტიანობა (ბიბლია — ძველი და ახალი აღთქმა, რენანის შრომები მაინც უნდა გქონდეს კარგად შესწავლილი, სხვა წყაროებსა რომ თავი დავანებოთ),

არამედ, „ყურანი“ და სხვა რელიგიათა ისტორია. სხვაგვარად ვერ შეიძლება შესაუქუნეების წყვილიდში მართალი თვლით შეიხედო, რათა გაიგო, თუ რა ბრძოლას ეწეოდნენ რელიგიური დოქტრინები როგორც ურთიერთშორის, ისე სამოქალაქო მმართველობის წინააღმდეგ. ეს ცოდნა მით უფრო ესაჭიროებოდა გრიგოლ აბაშიძეს, როცა ისტორიული რომანების წერას იწყებდა. თუ რამდენად ყურადღებით შეუსწავლია „ლაშარელას“ ავტორს რელიგიათა ისტორია, შეიძლება დავინახოთ მის მიერ რომანის მეათე თავში მოცემული სუფიების ერთი სექტის — რინდთა ორდენის დახასიათებიდან. აქ ჩანს ავტორის ცოდნაც და ისტორიული მასალის სწორი გაგებაც. აი, ეს ადგილი:

„შებ-ფეიზის რინდთა ორდენის მისტერიუმბა ლაშა თავიდანვე თავისებურებით მიიზიდეს.

ისინი, სუფიების სხვა სექტების მსგავსად, ქვეყნისაგან განდგომასა და ცხოვრების სიტყბოზე ხელს აღებას როდი ქადაგებდნენ. პირიქით, ორდენის წევრებს მოქმედების თავისუფლებას ანიჭებდნენ და სირცხვილსა და მორიდებას გამოხდნენ.

ორდენის წევრები თავიანთ თავს მოქეიფებს ანუ რინდებს უწოდებდნენ და

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 4.

ღვთაებრივი შუქის სილამაზით თრობას ეძლეოდნენ. ეს შუქი, მათი რწმენით, რინდების სულში ღვთაებიდან გადმოდიოდა, ავსებდა მას და ხორცისაგან ათავისუფლებდა. ამ ღვთაებრივი თრობისათვის რინდებს ღვთისადმი სიყვარულში, ღვთაებასთან სრულ გათქვევასა და შეერთებაში უნდა მიეღწიათ. მთელი სამყარო მათ ღვთაების გამოვლენად მიაჩნდათ, ხოლო სავანები იმ სარკედ, რომელშიაც ღვთაებრივი შუქი ირეკლება. ღვთაების ამ გამოვლენას ბუნებასა და სავანეში მხოლოდ მოსაჩვენებლად თვლიდნენ და იგი ერთადერთი რეალური არსების — ღმერთის ანარეკლად წარმოედგინათ. ყოველივე ერთი დასაბამის გამოვლენაა და ადამიანს სამყარო ტყუილად ეჩვენება მრავალფეროვნად და ნაირსახოვნად. მსოფლიო სულის ღვთაებრივი შუქის ნაპერწყალი ყველგან და ყველადღერშია, მისი ნაწილი ადამიანსაც გააჩნია. ადამიანის უდიდესი ბედნიერება იმაში მდგომარეობს, რომ გათავისუფლდეს ხორციელი, პირადი მესაგან და ჩაიძიროს ღვთაების ხილვაში, შეერიოს ღვთაებას, როგორც წვეთი ოქეანეს, შეუერთდეს ღმერთს, როგორც ნაწილი მთელს“ (გვ. 115).

ყოველივე ეს ჭარ კიდევ არ არის რინდების სრული პორტრეტი. ავტორი აღმავლებს სუფიების ამ ერთ-ერთი ძლიერი სექტის დანასიათებას და გვიჩვენებს, თუ რა დანაოკადებულებაში იყო ეს ორდენი ისლამიზმთან. „რინდები ისლამის ნორმებსა და კანონებს სრულიად არ უწყებდნენ ანგარიშს. თავიანთი ორდენისათვის სავალდებულოდ არ მიაჩნდათ პირობითი მორალის კანონები და საზოგადოებრივი წეს-ჩვეულება. უზენაესის მჭკრეტელ ღვთაებასთან სულიერად შეერთებულ რინდებს თავიანთი არსება კეთილისა და ბოროტის მიღმა წარმოედგინათ და თავიანთ თავს ამქვეყნიური პირობითობისა და კანონებისაგან, ზნეობრივი წესებისა და მორალისაგან თავისუფლად სთვლიდნენ“ (გვ. 115-116).

როგორც ქრისტიანობა, ისე ისლამიზმი დაზღვეული არ იყო სექტებისა და

ორდენებისაგან. თუ სუფიზმი ცალკე მიმდინარეობად გაჩნდა ისლამიზმში, თვით სუფიზმის წიაღში იბადება რინდთა ორდენი. ამ ორდენს უარყოფითად იხსენიებს ეამთაღმწერელი, როცა ლაშა გიორგის კაცბავს სილოღისა და სიბილწისათვის: „ხოლო სმამან მღერასა და სილოდასა და ნაყოფენებამან სიბილწესა უმეტეს გარდარია (ლაშა—გ. ჯ.). განიშორნა ვაზირნი სანატრელისა დედოფლისა და დედისა წესთა მასწავლენნი, შეიყუარნა თანამოპასაკენი მოსმურობათა და დედათა უწყისთა თანა აღრევითა, რომელ ესეოდენ უსახურებად მიიწია, რომელ ოდესმე მსმელი ფრიადისა ღვნისა თაფლუქისა, ტფილისს მყოფი, წარიყვანეს რინდთა თანა, რათა მუნ განიძღონ სიბილწე თვისი. („ქართლის ცხოვრება“, 1959 წ., II, გვ. 155).

მემატიანის ეს ცნობა „ლაშარელაში“ სრულად არის გამოყენებული და ნამდვილ დრამატიზმამდეა აყვანილი. ვიდრე ამ სცენას შევეხებოდეთ, გვინდა ცალკე გამოვყოთ მოქმედ გმირთა ჩვენების ის ხერხი, რომელსაც ფსიქოლოგიური ჩაღრმავება ეწოდება.

რომანში მართლაც ბევრია ფსიქოლოგიური ჩაღრმავებით სავსე მხატვრული დეტალები. ყველას აღნიშვნას ჩვენ ვერც შევიძლებთ და საჭიროც არ არის. ზოგიერთი მათგანის საილუსტრაციოდ მოყვანა კი წარმოდგენას მოგვცემს, თუ რამდენად დაკვირვებულ და მალალი მხატვრული გემოვნების ავტორთან გვაქვს საქმე.

ვაიხსენოთ ლაშარის გორიდან მეფისა და მისი ამაღის დაბრუნება. თბილისში შემოსვლისთანავე მკითხველის წინაშე არამარტო ცერემონიალის პანორამა გადაიშლება, არამედ ორი მოპირდაპირე ძალის — ლაშასა და ივანე მხარგრძელის მომხრეთა ფსიქოლოგიური განცდის მორევიც. და სწორედ აქ არის ერთი დეტალი, რომლის შემჩნევა მარტოოდენ ოსტატს შეეძლო. დააკვირდით ამ პასაჟს:

„ათაბაგის სასახლეს რომ გაუსწორდნენ, ახალციხელმა თორღვა პანკელს მხარი გაჰკრა და გადაუღალაპარაკა:

— მეფეზე დიდი და ბრწყინვალე სასახლე მოიწყო (ივანე ათაბაგმა — მხარგრძელმა — გ. ჯ.), ან კი რატომ არ მოიწყობდა, მეფის სახელიდა ავლდა, თორემ ძალით მეფესაც აღმეტებოდა.

სარკმელთან კათალიკოსიც მივიდა და ფარდის მეორე ყურე ოღნავ ასწია (პირველი თვით მხარგრძელმა ასწია ქალაქში დაბრუნებული მეფე და მისი ამაღა რომ დაენახა — გ. ჯ.).

— აჰა, ივლიანე, მეფე იგი მეეკრებ! — წარმოსთქვა კათალიკოსმა და მრისხანე თვალებით გამხედა ბრწყინვალე ამაღის თავში მომავალ მეფეს.

ახალციხელისა და პანკელის საუბარს თუ მოჰკრა ყური ლაშამ, იმანაც უნებურად მხარგრძელის სასახლეს ახედა.

მოულოდნელად მეფის თვალი ჭერ ათაბაგის და მერე კათალიკოსის თვალი შეხვდა.

ორივემ დანაშაულზე წასწრებულებივით დაუშვეს ფარდა და ისარნაკრავებივით შემობრუნდნენ“ (გვ. 30).

ეს ხაზგასმული სიტყვები მთელ მოთხრობად ღირს, ისე ოსტატურად გადმოგვცემს სიტუაციას და ისე ძლიერად გვახედებს ორი მოწინააღმდეგე ბანაკის შინაგან არსებაში.

მეორე მაგალითი მთლიანად ფსიქოლოგიურ განცდას ეხება და ლაშას სულეტი მღელვარებას გვიხატავს. მეფე გატაცებულია ჰამადავლეს ულამაზესი მეუღლით, სამიჯნურო ორგებშია ჩაფლული და პირველად იხილავს ვაჭარს, რომლის ცოლთანაც ნებივრობს. იხილავს, მაგრამ საზარელი სურათი წარმოუდგება თვალწინ: „შესახედავად დუხჭირი ჰამადავლე ცალი ფეხით ხეიბარც იყო და როცა ქუჩაში გაშეშებულ ფეხს მოათრევდა, შურით გასიებული ვაჭრები ენამწარედ იცინოდნენ — ეგ ფეხი ათასების მოსახეტად აქვს გაშვერილი“ (გვ. 59).

თუ ასე ფიქრობდნენ ჰამადავლეზე, რა გრძნობები აეშალა თვით ლაშას, რო-

ცა იგი პირველად იხილა? მწერალმა სწორედ აქ გამოიჩინა დიდი ფსიქოლოგიური დაკვირვების უნარი და ბუნებრივი, სავსებით დამაჯერებელი, ადამიანურად მართალი სურათი დავვიხატა:

„მეფემ პირველად რომ ნახა ჰამადავლე, გული აერია. უცებ მისი ხათუნის უმშვენიერესი თავი დუხჭირ ჰამადავლეს ჩავარდნილ მკერდზე მისვენებული წარმოიდგინა, უნდოდა, იქვე ვაეგლიჯა, მაგრამ თავი შეიკავა და პირი იბრუნა საზიზღარი სანახაობისაგან.

მთელ დღეს ფიქრობდა თავისი სიყვარულის უიღბლობაზე. ერთი ისიც გაიფიქრა, შეგასთან ნაწოლ ქალს როგორ მივეყარებო, მაგრამ საღამოს გულმა ისევ ხათუნისაყენ გაუწია და მისი მშვენიერების შუქში დადნა, დაიკარგა კოჭლი ჰამადავლეს საშინელი ჩვენება.

ღროდადრო ეს ჩვენება ისევ თვალწინ დაუდგებოდა ბედნიერ მიჯნურს, თავდავიწყებულან გამოიყვანდა და მეფე გულისნადებს გაანდობდა ხოლმე ხათუნს:

— მოკვლავ, ან მოვაშორებ! ისე დაეკარგავ, კაცმა ვერ გაივოს მაგის გზაკვალი!

— ნუ, გენაცვალე, ნუ იქმ, თუ ჩემი სიცოცხლე გინდა, — შემოგხვეოდა ყელზე თვალცრემლიანი ქალი. — რომ იცოდე, რა ამაგი აქვს ჩემზე, მაგას აღარ იტყოდი, — აქვითინდებოდა ხათუნს.

გულმომბალი ლაშა ჭერ მის დამშვიდებას მოუნდებოდა, მერე ისევ აღურსს დაუბრუნდებოდა და ჰამადავლეს გულისამრევი ლანდი ისევ სიყვარულის ბურანში იძირებოდა“ (გვ. 59-60).

ვერავინ გაამართლებს ჭაბუკ მეფეს, რომ პირველი სახელმწიფო კაცი, რომელსაც მთელი ქვეყნის ტვირთი აუკიდებია, ამგვარ ფუჭსავატობაზე დროსა და ენერჯის ხარჯავს; მაგრამ ეს სხვა საკითხია. რაკი ასეთია, ავტორს ევალებოდა ლაშას ცდუნებანიც დაეხატა ჩვენთვის და სურათებიც მოგვცა დამაჯერებელი, ფსიქოლოგიურად გასაგები. მხატვრული თვალსაზრისით აქ ყველაფერი თავის ადვილზეა, ნიჭიერი მწერლის

თვლითაა დანახული უადრესად პროზაული სინამდვილე.

ლაშა არ არის რიგორისტი, მაგრამ არც დონ-ჟუანია. ფუფუნებასა და არისტოკრატიულ პირობებში აღზრდილ კაცს, რომელსაც სახელოვან წარმოშობასთან ერთად ბუნებამ ადამიანური ღირსებებიც მისცა — ნორმალურად განვითარებული ჯანსაღი სხეული, გარეგნული სილამაზე, ახოვანება და ტალანტი, — ზოგიერთი პიროვნული ნაკლიც თან ახლდა. მაგრამ სიფიქზე, წუთიერი გატაცება უქველად იზრდილებოდა ქაბუჯი მეფის მრავალი დადებითი თვისებით, მაგალითად, გამირული სულითა და სამშობლოს სიყვარულით. ეს პლიუსები და მინუსები ძველ ისტორიკოსებს არ გამოორჩენიათ და გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ „ლაშარელას“ ავტორიც მათ არ იფიქვებს. მისი მიზანი იყო დაეხატა არა იდეალური პორტრეტი, რომელსაც არც ერთი ჩრდილოვანი ხაზი არა აქვს, არამედ მოქმედი, ცოცხალი ლაშა ყველა თავისი ავ-კარგით. ამიტომ გვეჩვენება ზოგიერთი რამ ლაშარელას ლიტერატურულ სახეში ვადამეტებულად, მაგრამ ეს ავტორის ბრალი არ არის. სხვაგვარად ის ვერ მოიქცეოდა, თუ არ სურდა ისტორიული ქეშმარიტებისათვის ელაღატა. ავტორი ბოლომდე დარჩა თავისი შემოქმედებითი პრინციპის ერთგული და ერთხელ კიდევ გვითხრა, რომ მეფეებიც ჩვეულებრივი ადამიანებია და მათ ძალიან ცოტა აქვთ საერთო მხატვრულად გალაქულ პორტრეტებთან.

უძვეელი გაზვიადების მიუხედავად, მემბტიანენიც ამ ხაზებს აღნიშნავენ ლაშას პიროვნებაში და ქება-დიდების გვერდით უარყოფითი დანახათეხასაც გვთავაზობენ. მაგალითად, ლაშასდროინდელი უცნობი ისტორიკოსი არავეითარ ნაცლს არ აღნიშნავს თამარის უმუალო მემკვიდრის აღწერის დროს.

მაგრამ მეორე ისტორიკოსი, უცნობი ქართალმწერელი თავის მატთანში („მესამოცე მეფე ლაშა-გიორგი“), თამარის მემკვიდრეს, დადებით მხარეებთან ერ-

თად, ძლიერი უარყოფითი ეპითეტებითაც ამკობს: „რამეთუ იყო ესე ლაშა-გიორგი მკნე, ახოვანი, ძლიერი, ლალი, ამპარტავანი, თავგვედი, თვთბუნება, ვითარცა მითქვამს, უხვ, სახიობის მოყუარე, ღვინის მოყუარე და გემოთ-მოყუარე“... („ქართლის ცხოვრება“, 1959 წ. ტ. II, გვ. 156).

მეფის უარყოფითი დანახათეხა გრძელდება ქვევითაც, როცა ქართალმწერელი მოგვითხრობს, თუ როგორ განუღვანენ მეფეს, ყოველივე ამის გამო, ორივე კათალიკოსი, თავადები და თვით აღმზრდელი ივანე ათაბაგი. უფრო ადრე, რინდთა ორდენში გარყვნილებისა და ველისციხეში მდებარე ქალთან ურთიერთობის აღწერისას, მემბტიანე არ მალავს თამარის მემკვიდრის უხუნობას და სინანულს გამოთქვამს, რომ ყოველივე ამით ქვეყანა დიდ განსაცდელში ჩავარდა.

ამ ასპექტშია გააზრებული ლაშას პიროვნება მემბტიანეთა მიერ და „ლაშარელას“ ავტორიც იძულებული ხდება ისტორიულ რეალიტებს ანგარიში გაუწიოს. მისი ლაშა ისტორიული სიმბოლით არის დანახული. ხოლო თუ ზოგან ცოტა რამ ვადაჭარბებული გვეჩვენება, ეს იმიტომ, რომ საქმე გვაქვს ხელოვნებასთან (სადაც სინამდვილიდან ამოღება აუცილებლად ხდება) და არა მარტოდენ ქრონიკული მასალების დაგროტიპულ წარმოსახვასთან.

ლაშას შემდეგ რომანში ყველაზე სრულად, ყველაზე კოლორიტულად არის დანახული მეფის უკანონო მეუღლე ლილე, რომელსაც ბედმა თუ ისტორიამ სწინელი ხვედრი განუშნადა. ეს არის ერთ-ერთი ტრაგიკული პიროვნება, როგორც კი შეიძლება მოინახოს მხატვრულ ლიტერატურაში. თავისი მღელვარე ცხოვრებით, ბავშვობიდან მოყოლებული სიცოცხლის აღსასრულამდე, ლილე შეიძლება გვერდში ამოდგომოდა ისეთ ტრაგიკულ გმირებს ქალთა შორის, როგორც არიან იოკასტე, მედეა, ქეთევანი, მარია სტიუარტი.

დიდი არისტოკრატის — დავით ერის-



თავთ-ერისთავის ერთადერთი მემკვიდრე — ლილე სულ პატარა ბავშვი იყო, როცა მისი მამა და მთელი ნათესაობა ტახტისათვის მოწყობილ შეთქმულებაში ერთიანად გაწყდა. დედამ მთაში გახიზნა თავისი ასული, ერთგულ გლეხს შეაფარა თავი, მეფის რისხვას რომ გადაარჩენოდა. თვითონაც და შვილიც გლეხურად ცხოვრობენ, მაგრამ ლილეს დედა ციციწო იმედს არ ჰკარგავს, რომ მისი უღამაზესი ასული მეფის კარისაკენ გზას გაიკვლევს და მამის ნატვრა ასრულდება — ლილე დედოფალი ან დიდგვარიანი, მეფის კარზე წარჩინებული კაცის მეუღლე მაინც გახდება. და იმ დღეს, როცა ლაშა მთაში ავიდა დიდებულებითურთ, რათა წარმართ მთიელებთან ურთიერთობა განემტკიცებინა და თავისი ღირსება დაედასტურებინა, ლილე პირველად ხვედრად ლუხუმში მიგზირაულს, ახალგაზრდა ვაჟკაცს, რომელიც შემდეგ მისი კანონიერი მეუღლე ხდება. კანონიერი. ვამბობთ, თორემ ლილეს არასოდეს უყვარდა თავისი ქმარი.

ლაშას მიერ აღზევებული გლეხი — ლუხუმი, მართალია, ყოველმხრივ დადებითი ადამიანია. მაგრამ სიყვარული სიყვარულია და იქ შეუძლებელია გავიგოთ რა ხდება — თვით სიყვარულსა და სიძულვილს არა აქვთ შეცნობილი თავისი თავი. ლილეს იდეალი ლაშაა, რომელიც პირველად ლაშარის გორზე იხილა. ჰაბუკი, მოხდენილი ვაჟკაცი ველში ჩაუვარდა გოგონას, რომელსაც ბედმა არგება დიდგვაროვნად დაბადებულიყო. მაგრამ რიკითი გლეხივით ეცხოვრა. დედის შეგონებანი, მამის ანდერძი — როგორმე ტახტისაკენ გზა გაეკვლია, თითქოს ეს ხვედრი დაბედებული ჰქონებოდეს. უცქველად განაწყობდნენ ახალგაზრდა ქალს შინაგანი მოწოდების შესაცნობად. მაშინაც კი, როცა განთქმული ვაჟკაცის — ლუხუმის კანონიერი მეუღლეა, ლილეს არ შორდება მეფეზე ფიქრი და მთელი არსებით ლაშას ეთაყვანება.

მას შემდეგ, რაც დამახინჯებული ქმა-

რი დაუბრუნდა. ლილემ კიდევ უფრო მეტად იგრძნო ლუხუმისადმი გულგრილობა. ჯერ იყო და დედის სიკვდილმა საშინელი მარტოობა აგრძობინა. შესაძლოა, ამ ორმა გარემოებამ შთააგონა მას, ეთხოვა მეუღლისათვის—მეფე მოვიწვიოთ და გავუმასპინძლდეთო. უემ-მაკო, პატიოსნებითა და ვაჟკაცობით სავსე მიგზირაული ვერავითარ ცუდს ვერ ხედავს მეუღლის თხოვნაში, პირიქით, მეფე, რომლის მცველადაც ის მუშაობს, რომელთანაც ასე ახლოს არის, რომელმაც აღაზვეა, აზნაურობა, მიწა-წყალი უბოძა, ღირსია სასურველი სტუმრობისა მიგზირაულების ახლადგზავლადგმულ ოჯახში. ერთადერთი ლუხუმის დედა ქეთევანი გრძნობს რაღაც უბედურების მოახლოებას, მაგრამ ვერ ახერხებს წინ აღუდგეს უსაყვარლეს შვილსა და რძალს.

მეფის სტუმრობა კი წარმოუდგენელ უბედურებად იქცა როგორც მიგზირაულების ოჯახის, ისე თვით ლილესა და ლაშასათვის.

იმ საბედისწერო დღიდან დაიწყო ლილესა და ლაშას უკანონო ცოლ-ქმრული ცხოვრება, რასაც საშინელი, ტრაგიკული შედეგი მოჰყვა. უბედურებით გონებადაკარგული ლუხუმი დილეგში ჩაავდეს, დიდებულებმა და ეკლესიამ არ ცნო დედოფლად გლეხის ქალი ლილე. მიუხედავად იმისა, რომ მას მემკვიდრე შეეძინა — მომავალი მეფე ულუ დავითი, და ლაშა დაჟინებით მოითხოვს ჯვრისწერის ნებართვას; შვილისა და რძლის უბედურებას, რასაც თან დაერთო ბაკურის — კახეთის ერისთავის მხრივ მისი ოჯახის შევიწროება, ქეთევანი ველარ უძლებს და თავს ჩამოიხრჩობს; პატიმრობიდან გათავისუფლებული ლუხუმი ყაჩაღად გავარდება, მეკობრეთა რაზმს ჩაუდგება სათავეში შურის საძიებლად; ლილე იძულებული ხდება, რაკი ხედავს, რომ სასახლეში მისი ყოფნა ტახტისა და ქვეყნის დამლუპველია, მონასტერში გაიქცეს; ლაშა ვერ ურიგდება ბედს, ცდილობს ლილე დაიხსნას, მაგრამ უძლურია ეკლესიის

ძალმოპოვების წინაშე; მონასტრიდან გააქცევენ ლილეს, რომელიც, თბილისისაკენ გზად მიმავალი, ნაძირალებს გადაეყრება არაგვის ხეობაში; მთვრალი გარეწრები მონინდომებენ შეურაცხყოფის თავგადაპარსული, მაგრამ ულამაზესი მონაზონი; ლილე გაუმხელს ნაძირალებს, რომ ლამაზს მეუღლეა, მაგრამ გამხეცებულ ვიგინდარებს ჰკუთხე ვერ მოიყვანს და იძულებული ხდება კლდიდან არაგვში გადავარდეს — თავი დაიხრჩოს.

ასე ტრაგიკულია ლილეს ცხოვრება, რომლის აღწერასაც რომანში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი. ავტორი არ იშურებს ფერებსა თუ საშუალებებს მისი პორტრეტისა და ხასიათის სრულად წარმოდგენისათვის.

პირველად ლილეს ჩვენ ვხვდავთ ლაშარის გორზე, თავის დედასთან ერთად. როცა მთიელები ალტაცებით ქება-დიდებას უძღვნიან ჰაბუკ მეფეს — გიორგი მეოთხეს ანუ ლაშას, და მისი კალთის შესახებად მიიწევენ, მათ შორის არის დედა-შვილიც. ეს არის ციციანოსა და ლილეს პირველი გამოჩენა. ავტორმა მშვენიერად დახატა ორივე: „თხუთმეტოდე წლის გოგონას დედა ზურგში ამოდგომოდა და ხალხში მეფისაკენ გზას მიუკვლევდა. გოგონას უჭირდა ხალხის ამ ჭგლეთაში მხარის გატანა და ძლივსძლივობით, შეშინებული მიიწევდა წინ. მის პირდაპირ, მეფის ამაღის უკან, გოლიათი ვაჟაკი იდგა (ეს ლუხუშია — გ. ჯ.) და თვალს არ აშორებდა. დარცხვენილი ქალი თვალს ვერ უსწორებდა ვაჟაკის მხერას. სუსტი გოგონა აქამდე, ალბათ, ათასჯერაც გვეცლებოდა ხალხის ამ ზედახორას, მაგრამ დედის მტკიცე ხელი ჩაუტად და დაეინებით სწევდა წინ, მეფისაკენ.

უკვე სულ ახლო იყო.

გოგონა ფეხისწვერებზე შედგა, მეფეს პირდაპირ შეხედა და, დანახულის ბრწყინვალეობით მოხიბლულმა, ალტაცებით ამოიძახა:

— ღმერთო, რა ლამაზია!“ (გვ. 7).

ლილე ტრაგიკული პიროვნებაა რო-

მანში. ისტორიული ფოლიანტი ეპოპეა აღმწერელისა მის სახელსაც არ გვეუბნება. მხოლოდ ფაქტს აღნიშნავს, რომ იგი იყო ველისციხეში გათხოვილი, „ქალი ფრად ქმულ-კეთილი“. თუ რა მიმე ხვედრი უნდა ჰქონოდა მას, სავსებით ვასაგებია, და „ლაშარელას“ ავტორი სწორად იქცევა, როცა მის ცხოვრებას უაღრესად ტრაგიკულ ფერებში გვიხატავს.

საერთოდ, ისტორიული ხასიათის წყაროები, რომლებიც ავტორს გამოუყენებია, მდიდარი და უხვია. შეიძლება და აქ მოგვეხსენებინა არამარტო „ქართლის ცხოვრება“, არამედ სხვა წყაროებიც: „ლაშარელასა“ და „დიდ დამეში“ ავტორი სარგებლობს როგორც სომეხი ისტორიკოსების, ისე არაბი და თურქი მწერლების შრომებით. „დიდ დამეს“ გარკვევით ამჩნევია კვალი იბნ ალასირისა და მოჰამედ ნესევის წყაროებისა. პარალელურად გამოყენებულია ქართველი ისტორიკოსების შრომები, რომლებშიაც გარკვეულია მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეების ისტორიული ყოფა და ახსნილია ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი მოვლენები. ამას ემატება ავტორისეული გამოხატონი, რომელიც მთლიანად ისტორიულ რეალებს ეყრდნობა. ასეთია, მაგალითად, პოეტი თორელი, რომელიც ორივე რომანში ცენტრალურ მოქმედ პირად გვევლინება. მისი მსგავსი კარის მგონებები ერთეულები მაინც იყვნენ და ავტორის უფლება ჰქონდა თურმან თორელის სახეში ისინი გაეერთიანებინა.

ისტორიული წყაროების მასალებს ავტორი ურთავს თავის მდიდარ პოეტურ ფანტაზიას და საკუთარ კონცეფციასთან ერთად ჰქმნის მშვენიერ სურათებს, რომლებსაც არ აკლიათ არც ცხოველმყოფელობა, არც მიმზიდველობა. როგორც ყოველ ჰემარიტ ხელოვნებაში, ისე აქ, წყვეტილი ისტორიული ფაქტები შეერთებულია ლოგიკური კანონზომიერებით და ამალელებულია მხატვრულ მთლიანობამდე. ბევრგან გვხვბლავს თვით ავტორის გუმანი, როცა ესა თუ ის

ფაქტი ისტორიულ ფოლიანტებში არ გვხვდება, მაგრამ მწერალი გვიხატავს, როგორც საესებით ცხოვრებისეულსა და აუცილებლობით დამაჯერებელს. საკმარისია გავიხსენოთ ბრმა მეფანდურის, გიორგი ლაშასა და თორელის დილოგიდან ის ადგილი, სადაც თურმან თორელის ლექსსაც კი მეფანდურე კატეგორიულად მიაკუთვნებს რუსთაველს. ამის გამო თორელი შენიშნავს: „— მეფეებს და მგოსნებს თამარისა და შოთას შემდეგ ერთი ბედი გვაქვს: რაოდენი ციხე და არხიც უნდა აშენო, მეფეც, ხალხი მაინც იტყვის, თამარის ციხე და არხიანო, რაოდენი ლექსიც უნდა ვთქვათ მგოსნებმა, ხალხი კვლავ ასე იტყვის, რუსთველისაო“ (გვ. 10). ეს პასაჟი ძნელია ისტორიულ ანალებში იპოვოთ, მაგრამ ისტორიულ ჭეშმარიტებას უქვევლად გამოხატავს. როგორც „ლაშარელა“, ისე „დიდი ლამე“ საესეა მსგავსი ავტორისეული პასაჟებით, რომლებიც შესანიშნავად გამოხატავენ თვით ისტორიულ სინამდვილეს.

ავიღოთ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა საგარეო პოლიტიკის ჩვენება.

ისტორიული რომანის ავტორს აუცილებლად ესაჭიროება ბევრი რამ იცოდეს დიპლომატიურ ურთიერთობათა ისტორიიდან. აღწერს ქვეყნებისა თუ მეფეების დამოკიდებულებას, სამხედრო მზადებას, სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას, თუ ომის პროცესში მოწინააღმდეგეთა ფარულ მოლაპარაკებას ზავის დასაღებად, მწერალმა უნდა გვიჩვენოს ის ხერხები და მეთოდები, რომლებსაც ელჩები, დესპანები, პარლამენტორები იყენებდნენ. მართოდენ პრობლემური საკითხების ცოდნა არაა საკმარისი. მწერალი აუცილებლად უნდა ჩაწვედეს დიპლომატის სულიერ მხარეს, უნდა იცოდეს და გვიჩვენებდეს, თუ რა გზით ცდილობს იგი წარმატების მოპოვებას თავისი ქვეყნის სასარგებლოდ. ამიტომ, პირველყოფის, დიპლომატი თავისი ქვეყ-

ნის უერთგულესი შვილი, მგზნებარე პატრიოტი უნდა იყოს.

სწორედ ამგვარ დიპლომატს წარმოადგენს არგვეთის მთავარი გვარამ მარგველი, ლაშას დროის ერთი მშვენიერი მოღვაწე, რომელმაც დაკისრებულ მოვალეობას ხვარაზშმა მუშამედთან ჰამადანში ბრწყინვალედ გაართვა თავი. სამშობლოს უსაზღვროდ ერთგული, დინჯი, დაკვირვებული, უცხოური ენების კარგი მცოდნე (მუშამედს თურქულად ელაპარაკება) გვარამ მარგველი პატრიოტი დიპლომატის ცოცხალი განსახიერებაა.

მაგრამ რომანში ამ სიცოცხლეს რომ მიადღწიოს, მწერალს უხდება მკითხველის შეუმჩნეველად გამოიყენოს მხატვრული შემოქმედების კანონი. ერთი ასეთი კანონია, მაგალითად, ტავტოლოგია, რომელიც ხელს უწყობს საგნის ნათლად გამოკვეთასა და მკითხველზე ზემოქმედების გაძლიერებას.

მხატვრულ ლიტერატურაში არსებობს ტავტოლოგიის ორი ფორმა: პირველი შეგნებულია და აზრის ან პასაჟის გაძლიერებას ემსახურება, ხოლო მეორე შემთხვევითია და ნეგატიურად მოქმედებს მკითხველის ესთეტიკურ გემოვნებაზე. ტავტოლოგიის ორივე ფორმა ხშირად გვხვდება ლიტერატურულ ნაწარმოებებში — პირველი როგორც ოსტატობის, მეორე კი სისუსტის გამოხატველი. დიდი შემოქმედნი იშვიათად თუ დაუშვებენ მეორე ფორმის ტავტოლოგიას, მაშინ, როცა პირველს ძალიან ხშირად მიმართავენ. ეს იშვიათობაც იმით არის შეპირობებული, რომ ავტორი გადაიღალა ან ვერ შეამჩნია უნებლიე განმეორება. უნიჭო მწერლებთან კი მეორე ფორმის ტავტოლოგია კანონად არის ქცეული და ერთ-ერთი დამადასტურებელია მათი ანტიმხატვრული ტალანტისა.

ჩვენდა საბედნიეროდ, „ლაშარელა“ და „დიდი ლამე“ ისეა დაწერილი, რომ არამართო გვაგარძნობინებს კარგ პოეტს, რომელსაც მაღალი მხატვრული გემოვნება აქვს, სტილიც მშვენიერი და გამ-

წყაზრული, არამედ შეგნებული ტავტოლოგიის ოსტატიაა, შეუძლია ისე გამოიყენოს ეს ცნობილი ხერხი, როგორც აღწერილი კონკრეტული სიტუაცია შეიფერებს. მის რომანებში შეგნებული ტავტოლოგიის ბრწყინვალე ნიმუშებია, რაც შეეხება ნეგატიურ ტავტოლოგიას, სანთლით უნდა ეძებოთ, რომ იპოვოთ. ასე ვრცელ რომანებში ამგვარი სურათი უმკველად ავტორის დიდ გამარჯვებაზე მეტყველებს, რაც არ შეიძლება ცალკე არ გამოვყოთ, როგორც სრულიად უდაო წარმატება. შეიძლება, მაგალითად, „ლაშარელაში“ ერთადერთი იყოს ნეგატიური ტავტოლოგია, როცა ავტორი სამჯერ გვეუბნება თითქოს ერთსა და იმავეს: 1. „ოდესღაც დიდი და გავლენიანი გვარიდან ეს ორი სუსტი ქალიღა გადარჩენილიყო, ციციანოს ქმარი და ქმრის მთელი ნათესაობა ტახტის დაღატისათვის ამოეხოცათ“ (გვ. 72); 2. „მეუღლის დიდი და მრავალრიცხოვანი გვარიდან განვებას თუ ციციანოს თავგანწირვას ეს პატარა გოგონაღა გადაურჩენია, რომელსაც უზომოდ მოყვარულმა მამამ მზის ძველთაძველი ღვთაების სახელი — ლილე უწოდა“ (გვ. 72-73); 3. „ბუმბერაზი ვაჟაკობით გაამაყებულ ზვიადი გვარიდან ეს ერთი სუსტი გოგონაღა გადარჩენილიყო, ხოლო უთვალავ საგვარეულო ბეჭდებსა და ღერებზე გამოხატული, ხმალზე გაფრენილი რაში ოქროს პაწაწინა მეღალიონში შემალულიყო“ (გვ. 73).

მაგრამ დააკვირდით: თვითველ ტავტოლოგიაში რაღაც ნიუანსი მაინც შეინიშნება და ისინი რომ ასე ახლოს, თითქმის ერთ გვერდზე არ გვგვდებოდნენ, მათ არსებობას ვერც კი შევამჩნევდით. ერთგვარ უხერხულობას შეიძლება იწვევდეს პარველსა და მესამე ტავტოლოგიაში ერთისა და ორის შეპირისპირება, მაგრამ აზრი მაინც ნათელი რჩება, რაც თავისთავად ანეიტრალებს თვით შეპირისპირების უხერხულობას.

ახლა გავეცნოთ შეგნებული ტავტოლოგიის მაგალითს.

„ლაშარელას“ მეცხრე თავში აღწე-

რილია რუსი დიდგვარის ტიხონის მოსვლა თბილისში ქართველ დიდგვარ შიო კაციტაიძესთან ერთად და მეფესთან საიდუმლო თათბირი. ტიხონი მოახსენებს მეფეს, რომ ყივჩაღთა ხანი კოტიანი თანახმაა შეასრულოს ლაშას თხოვნა „საქართველოში ოცდაათი ათასი ცხენოსანი ყივჩაღის დედაწულითურთ გადმოსახლების თაობაზე“ (გვ. 102). ეს დაჭირავებული ჯარი ლაშას ესაჭიროება სამეფო ძალუფლების განსამტკიცებლად და მოძალადე ერისთავების ასალავმავად, პირველყოვლისა კი ამირსპასალარ ივანე მხარგრძელის უფლებათა შესაზღუდავად.

მაგრამ ჭკვიანმა და მოხერხებულმა მხარგრძელმა, ისარგებლა რა მეფის ავადმყოფობით, ერისთავთა მხარდაჭერას მიაღწია და საქართველოს კართან მოსული ოცდაათი ათასი ყივჩაღი მეომარი ლაშასადმი მტრულად განწყობილ განძის ათაბაგს ხელთ ჩაუვდო. ეს ამბავი აღწერილია „ლაშარელას“ მეოთხედივე თავში, ხოლო მომდევნო თავი ავგიწერს მეფის გალაშქრებას განძის ციხე-სიმაგრის ასაღებად. მეფე მოულოდნელად, ამირსპასალარისა და ერისთავების შეუტყობინებლად, თავს დაესხმება განძას, გაიმარჯვებს დიდი მსხვერპლის ფასად, მაგრამ მხარგრძელი და ერისთავები მდგომარეობას ისე დახატავენ, თითქოს ეს იყო დამარცხება, ჭაბუკ მეფეს განუდგებიან და იძულებულს გახდიან უკან დაიხიოს.

და აქ ისევ გვგვდება ტავტოლოგია, მაგრამ საცხებით შეგნებული, გამართლებული, რაც მკითხველში აძლიერებს იმ ძირითად აზრს, რომ საბედისწერო იყო მხარგრძელის ნაბიჯი — ყივჩაღთა დაქირავებული ჯარი განძის ურჩი ათაბაგისათვის გაეგზავნა. ამიტომ ავტორის სწორად მოიქცა, როცა ამ თავში შემდეგი გვითხრა: გაძლიერებული ერისთავები წინადაც ეურჩებოდნენ ქართველ მეფეებს. ტახტზე თამარის ასელისთანავე მათ შეეწირა დაუწყეს მეფეს, თავს ახვევდნენ „სახელმწიფოს ძლიერებისათვის მავნე და საზიანო ღო-

ნისძიებებს“. ყუთლუ არსლანმა კი ისანში, სადაც სამეფო ტახტი იდგა, თავისი კარავის დადგმა მოითხოვა.

მაშინ თამარს, როგორც სამართლიანად შენიშნავს ავტორი, „ისღა რჩებოდა, ამ კარავის გადაწყვეტილებანი ემტკიცებინა და ზედ ბეჭედი დაეკავა“. ამით თვითონვე შეიზღუდვდა მეფის ძალაუფლებას. დიდებულები ასევე ექცეოდნენ თამარის მამას — გიორგის, მეფე დემეტრეს, ხოლო „დაეთი აღმამენებლის მთელი სიცოცხლე ერისთავთა მოთხოვასა და კლაპოტში ჩაგდებას შეეწირა“ გარეშე მტრებთან ბრძოლასა და ქვეყნის ამენებისათვის დაუცხრომელ ზრუნვასთან ერთად.

თუ ასე იყო ლაშამდე, მით უფრო საგრძნობი იქნებოდა ჭაბუკი მეფისათვის განდიდებულ და აღზევებულ ერისთავთა ურჩობა. მაგრამ ახალგაზრდა „მეფე არ ურიგდებოდა დიდებულთა თავნებობას. ქვეყნის მომავალი ძლიერების პირველ პირობად მათი უფლების შეზღუდვა და ტახტისადმი დამორჩილება ჩათვალა. ამ მიზნით, სამტროდ გამდგართა უტყნობლად, ჩრდილოეთიდან ყივჩაღთა დიდი ლაშქარი მოიწვია.

და როცა მეფე ასე ახლო იყო განზრახულის განხორციელებასთან, სწორედ მაშინ შეემთხვა ის უბედური ხიფათი — სიკვდილს გადარჩენილი ლოგინად ჩავარდა და დიდებულებმა მათ შესამუსრად აღმართული ლახვარი უსისხლოდ გამოაცალეს ხელიდან, გამოაცალეს და უგუნურებმა საქართველოს ფარულ მტერს, განძის თავგასულ ათაბაგს გადასცეს.

იმის მაგივრად, რომ ყივჩაღთა ლაშქრით საქართველოს მეფეს ქვეყნის გარეშე და შინაური მტრები ემუსრა, ლაშა იძულებული გახადეს სწორედ ამ ყივჩაღებთან ომში ჩაბმულიყო; სახელმწიფოსათვის მათ მიერვე გამოზადებული განსაცდელი, ისევე მეფეს გადააბრალეს, განძაში მომხდარი შემთხვევა უზომოდ უბაერეს და გააზვიადეს“ (გვ. 151).

როგორც ვხედავთ, ეს ტაქტოლოგია, მაგრამ შეგნებული და გამართლებული,

რაც იმ ძირითად ჰიზნს ემსახურება, რომ მკითხველს ღრმად შთააგონოს თვით რომანის კენტიცენცია: აღზევებულ ერისთავთა შუღლი, სამეფო ტახტისადმი დაპირისპირება სხვას არაფერს მოასწავებდა, თუ არ ქვეყნის დასუსტებას და გარეშე მტრისათვის ხელშეწყობას. ტაქტოლოგია აქ ბოლომდე ამართლებს თავის მიზანს და, როგორც მხატვრული ხერხი, პოზიტიურ ფორმაში გვევლინება.

ამ საკითხთან დაკავშირებით, რაკი აღამიანთა ურთიერთობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ზედმეტი არ იქნება მივუთითოთ, რომ ისტორიული რომანის ავტორი ყოველთვის უნდა ცდილობდეს ხალხის მასების გამოხატვასთან ერთად, მთავარი ყურადღება მიექციოს გამოჩენილ პიროვნებათა სრულყოფილად ჩვენებას. რომანის ცენტრალური გმირის გარდა, აუცილებლად საჭიროა მის ირგვლივ შემოკრებილ ან დაპირისპირებულ ძალთა ჩვენება, მაგრამ, ამავე დროს, გამორჩევა იმ პირებისა, რომლებსაც ხელთ უპყრიათ ეპოქის სადავეები და გადაწყვეტ როლს ასრულებენ დიდ სახელმწიფოებრივ აქტებში. ისინი ფონს კი არ წარმოადგენენ, როგორც გარეგნულად ჩანს, არამედ, ორგანულ ნაწილს იმ ისტორიული კატაკლიზმისა, რაც რეალურად უკვე მომხდარი ფაქტია და რასაც მწერალი მხატვრულად აღწერს. თუ ძველ ფოლიანტებში მხოლოდ ზოგადი მითითებაა, რომ ესა თუ ის პირი ამა და ამ საქმეში მონაწილეობდაო, და, ვთქვათ, რაიმე ეჭვია გამოთქმული — ფარულად ის აქეზებდა მეფეს ან დიდებულებსო, სხვა მასალა კი არ მოიძებნება, მწერალს უხდება მთელი ქსელი ვააბას ამ მიმართულებით, რათა მთლიანი სურათი დახატოს. „ლაშარელას“ ავტორი არამარტო იცნობს ამ პოეტიკურ სენტენციას, არამედ მარჯვედაც იყენებს და თავის რომანებში უეჭველად აღწევს დიდ მხატვრულ ექსპრესიას.

მაგრამ აქაც შეიძლება ერთი საკითხი დაგვეყენებინა: რუსუდანი არა ჩანს, როცა ლაშა ყველაზე უფრო მძი-

მე მდგომარეობაში ვარდება ლილეს გა-
ვი. ავტორმა მხოლოდ ერთხელ შეახ-
ვედრა რუსუდანი ლილეს და შემდეგ
აღარ გამოუჩენია ძმასთან, თუმცა სა-
სახლეში დიდი არეულობა, მითქმა-მო-
თქმა და უკმაყოფილებაა. შეუძლებე-
ლია რუსუდანს არავითარი მონაწილეო-
ბა არ მიეღო ლაშას პირად საქმეებში,
საყვარელ ძმას არ გამოსარჩლებოდა ან
მისთვის საყვედური არ ეთქვა გააზნაუ-
რებული მდაბიოს ცოლთან უკანონოდ
ცხოვრებისათვის. მით უფრო, როცა ვი-
ციით მომდევნო ამბები. რუსუდანმა არ
შეასრულა მომაკვდავი ძმის — ლაშას
თხოვნა აღეზარდა მცირეწლოვანი ძმის-
წული დავითი და, როცა მეფობას შე-
იძლება, ტახტი მისთვის დაეთმო. ეამ-
თააღმწერელი ასე გადმოგვცემს ამ
ფაქტს: „ხოლო დასა ჩემსა რუსუდანს
ვამცნებ წინაშე ღმრთისა და სასამენე-
ლად თქუნდა ყოველთა, რათა აღზარ-
დოს შვილი ჩემი დავით, ხოლო რაჟამს
ეძლოს მეფობა და მკედრობა, რომელ
დავით მეფე ყოს და იგი დაადგინეთ მე-
ფედ და შემკვდრედ მეფობისა ჩემისა“
(„ქართლის ცხოვრება“, II, 1959 წ., გვ.
167). მაგრამ ეს თხოვნა მომაკვდავი
ძმისა რუსუდანმა არ შეასრულა, ყველა
ზომა მიიღო ფიზიკურადაც კი მოესპო
უდანაშაულო ძმისწული.

ეამთააღმწერელი, რომელიც დიდი
გულისტკივილით გადმოგვცემს ამ ვერა-
გულ ფაქტს, დასძენს, რომ იგი ვალდე-
ბულია სიმართლე თქვას, ვინაიდან
„ეამთააღმწერლობა ჭეშმარიტის მე-
ტყუელება არს, და არა თუალ-აზმა ვის-
თვისმე“ (ქართლის ცხოვრება, II, 1959,
გვ. 199). ამიტომ ისტორიკოსი განაგრ-
ძობს სიმართლის თხრობას, თუმცა ეს
სიმართლე საშინელი და ამაზრზენია.

ასეთი იყო რუსუდანის შემდგომი და-
მოკიდებულება ლაშას მემკვიდრისადმი.
რომანში კი, ლილესთან დაკავშირე-
ბით, რუსუდანის მხოლოდ ერთი სცენაა,
როცა მეფის და პალატებში შემოიბრუნს
და „უცნობ ქალს ახალი ნაყიდი ნივთი-
ვით დაუწყებს სინჯვას. „ლაშამ რუსუ-
დანის ნატიფი გემოვნება კარგად იცოდა

და ამიტომ მის მოწონებას განსაკუთრე-
ბული მღელვარებით მოელოდა.

— როგორია, რუსუდანი? — შეეკით-
ხა, როგორც კი განმარტოვდნენ.

— ლამაზია... ზომაზე მეტად ლამაზი,
მაგრამ... — შეეყოყმანდა რუსუდანი.

— მაგრამ რა? — მოუთმენლად შეე-
კითხა მეფე.

— მაგრამ... ესეც მალე მოგწყინდე-
ბა, — გადაიკისკისა რუსუდანმა.

— ეს კი უკვე აღარ მომწყინდება,
არასოდეს აღარ მომწყინდება, — და-
ბეჯითებით თქვა ლაშამ.

— ვნახოთ... ვნახოთ! — დაქადებით
უთხრა რუსუდანმა და მეფის პალატი-
დან ისევე სირბილით წავიდა, როგორც
შემოვიდა“ (გვ. 190-191).

სულ ეს არის ლილესა და რუსუდანის
შეხვედრა. მაგრამ მკითხველს ბუნებრი-
ვად ებოდება კითხვა: სად არის, რატომ
არა ჩანს რუსუდანი, როცა მისი ძმა
ესოდენ დიდ ვაჭირებდაშია: დიდებულე-
ბი და კათალიკოსები მოითხოვენ მეფემ
უკანვე დაუბრუნოს კანონიერ მეუღლეს
ხარჭად მოყვანილი ქალი; წინააღმდეგ
შემთხვევაში განდგომით ემუქრებიან და
მუქარასაც ასრულებენ; ხალხი ღელავს,
მოციქულებს უგზავნის ლაშას, რომ სა-
ხელმწიფოს ინტერესები ყურად იღოს
და ლილეს განეშოროს; სასახლეს ტო-
ვებენ მისი ყველაზე ერთგული დიდე-
ბულებიც; მდგომარეობა უაღრესად და-
ძაბულია; ლაშა ბორგავს, ლილეს ვერ
ელევა; ტახტის მემკვიდრე იბადება;
ლილე თავს იხრჩობს მდინარეში; ლაშა
გლოვობს, სულეირად და ფიზიკურად
ეცემა; უმძიმესი მდგომარეობაა სასახ-
ლეშიც და სამეფოშიც.

მკითხველი ბუნებრივად ეძებს, თუ
სად არის ასეთი განსაცდელის ეპოს მე-
ფის უსაყვარლესი, ერთადერთი და, რო-
მელიც ძმას ან უნდა ეხმარებოდეს, თა-
ნაუგრძნობდეს, ან კიდევ ჰკიცხავდეს და
წესრიგისკენ მოუხმობდეს?! მაგრამ
სწორედ ამ მძიმე მომენტში რუსუდანი
გამქრალია, აღარა ჩანს, თითქოს ავ-
ტორს დაავიწყდაო თავისი ერთ-ერთი
მთავარი გმირი, რომელიც მეორე რო-



მანში — „დიდი ღამე“ უკვე ცენტრალურ ადგილზე გამოდის.

გვანტიერებს მგორე საკითხიც:

წინააღმდეგობა ხომ არ არის ლაშას დახანიათებაში, როცა ერთგან ნათქვამია: ლილეს სიკვდილის შემდეგ გულმოკლულმა მეფემ „ეკლესიებსა და მონასტრებს მამულებისა და ყმების შეწირვა გაუხშირა, ქვრივ-ობლებს წყალობა გაუმრავლა. უკვე დაწყებულის დასრულებასა და ახალი ტაძრების — წულრულაშენისა და ფიტარეთის მშენებლობას მიჰყო ხელი, გელათისა და იყალთოს გაფართოებისათვის იწყობურუნვა... მეფემ ლილეს საფლავზე ფიტარეთის მშენებელ ზუროთმოძღვარს სახელგანთქმულ ქაიხიაისძეს სარკოფაგი გააკეთებინა“ (გვ. 272). და იქვე, მგორე გვერდზე, როცა ლილეს დაღუპვით ლაშას უსაზღვრო მწუხარებას ისევ გვიხატავს, ავტორი დასძენს: „ნებისყოფა-დაკარგული და სულიერად გატეხილი, იგი ყოველივეს ამაოებათა ამაოებად სთვლიდა, აღარც ხელისუფლება იზიდავდა, აღარც სახელმწიფო საქმეებზე ზრუნავდა“ (გვ. 273).

განა დაწყებულ მშენებლობათა განახლება, ახალი ტაძრების — წულრულაშენისა და ფიტარეთის აშენება, გელათისა და იყალთოს აკადემიების გაფართოება „სახელმწიფო საქმეებზე ზრუნვა“ არ არის? შესაძლოა ავტორს აქ დაკვირვების უნარმა უღალატა, როცა ერთმანეთს შეუპირისპირა ორი სხვადასხვა სავანი, მაგრამ ვრცელ რომანში ასე მცირედენი ნაკლი სახსენებელიც არაა; ჩვენ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვანტიერებს, რომ მეფის უსაზღვრო ურვა-წუხილი შეიძლებოდა სხვა მხრივაც მიმართულიყო.

არის კიდევ ერთი საკითხი:

მკითხველი უეჭველად გაოცებულად დარჩება, რომ გარნისის ტრაგიკული ბრძოლის შემდეგ ივანე მხარგრძელი სრულებით აღარ ჩანს. ის რომ ჩვეულებრივი, რიგითი გმირი იყოს, შეიძლება და მწერალს ასე უყურადღებოდ მიეტოვებია. მაგრამ ივანე ათბავი ნაწარ-

მოების ცენტრალური გმირია და ავტორის ერთი სიტყვით მაინც უნდა ეთქვა, თუ რა დამართა სარდალს, როცა ზურგი, სადაც ის იდგა, მტრის მიერ დაღწეული აღმოჩნდა. ეს კითხვები აუცილებლად დაებადება მკითხველს, როცა გარნისის შემდეგ აღწერილ ამბებს გვეცნობა და ივანე მხარგრძელს ვერსად ნახავს, მის შესახებ სიტყვასაც ვერ გავიგებთ ავტორისაგან. ნუთუ მართლა დაავიწყდა მწერალს ერთ-ერთი მთავარი გმირის აღსასრული? რომანის თავები თავებს მისდევენ, ამბები ამბებს, სულ ბოლოს ისეთი სიტუაცია იქმნება, რომ საჭიროა მხარგრძელის გახსენება მაინც (იმ ადგილას, სადაც ხვარაზმელების ტყვეობიდან გამოქცეული თორელი სათვებოდ წამოსულ ბავშვებს გადაეყრება და გარნისის მარცხზე ესაუბრება (თავი მეექვსე, გვ. 587). მაგრამ არა, მკითხველი საბოლოოდ რწმუნდება, რომ ავტორმა მთავარი გმირი დაავიწყა.

და რა მცდარი იქნება ასეთი დასკვნა! ჩვენი ავტორი გულმავიწყია როდია. მას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: ყველაფერი თავის ადგილზე მოათავსოს და ყველაფერს მოხდენილი დრო, მოხდენილი ადგილი შეუტრიაოს. ამით ის ორ მიზანს აღწევს: მხატვრული თხრობის დამატეხლობას და მკითხველის დაინტერესებას. მართლაც, ყველაზე მოხდენილი დრო, მოხდენილი ადგილია შერჩეული გარნისის შემდეგ ივანე მხარგრძელის საჩვენებლად. ეს ადგილია მონასტერი, სადაც მკითხველისათვის დაღუპული პავლია კუტი წინამძღვრად მოგვევლინება, ხოლო დრო, როცა თორელი მონასტერს მიადრეკს. თორელიცა და მკითხველიც აქ ერთად გეპულობენ, რომ ივანე მხარგრძელი უკვე მიცვალებულა, ხოლო, პავლია კუტი უამბობს სასახლის ყოფილ მგოსანს: „მხარგრძელს მე თავთ დავუხტუე თვალი ამ მონასტერში, წესიც მე ავუგე და მევე გააბატიოსნე... გარნისის მარცხიდან წელიწადიც არ იყო გასული, ჩვენს მონასტერს რომ მოაღდა, დიდი შესაწირავი შემოსწირა და ბერად აღკვეცას შემოგვეყვდრა... გულ-

მხურვალედ მლოცველი იყო და ბერუ-
ლი წესის ბეჯითად აღმსრულებელი.
ერთთავად თავის სენაკში იყო ჩაკეტი-
ლი, ხმაძალა გოდებდა და ღმერთს
ცოდვათა მიტევებას ევედრებოდა. ერთ-
ხელ, ღამე, ხმაძალა ღაღადისი მომეს-
მა, ვიღაც გოდებდა ბოხი ხმით. ჩემი
სენაკიდან სკამით გამოვგორდი. მხარ-
გრძელის სენაკი აქვე იყო. ღაღადისი
იქიდან მოისმოდა. ყური მივუვადე და ეს
ლოცვა გავიგონე..." (გვ. 591-592).

ეს ლოცვა კი ცოდვების აღიარება
იყო. ყოფილი „უგვირგვინო მეფე“, ახ-
ლა ბერი მხარგრძელი, უფალს დანაშა-
ულთა პატიებას ევედრებოდა. მეორე
დღეს კი ცხადად აღიარა: „სხვათა ღა-
ღადისი გამო შევიქვენ დანაშავე ერისა
და მეფის წინაშე. უმეცარ ვიყავ შინა-
გაცემისა, რომლის მიზეზით მოიწყლა
ურბიციე ქართველობა და დაემხო ძლი-
ერება საქართველოსი (მკითხველი მიხვ-
დება, რომ ივანე მხარგრძელს მხედვე-
ლობაში აქვს გარნისის ტრაგედია, რო-
ცა მისმა განზრახ უმოქმედობამ — არ-
სებითად ღალატმა ქვეყანა დაღუპა-
გ. ჯ.). ...მე ვიყავ ათაბაგი, ბურჯი ტახ-
ტისა და ჩემივე აღზრდილი მეფის ძლი-
ერებისა. მე ვიყავი წინამძღოლი ქართ-
ველთა ლაშქრისა და ამიტომ ვიღებ თავს
ცოდვასა და დანაშაულს, რომლებიც
სხვებმა ჩაიდინეს ღალატით, მაგრამ რო-
მელთა გამო მე ვაგებ პასუხს ღვთისა და
ერის წინაშე... სხვა სხვის ომში ბრძე-
ნიაო, ჩვენს ხალხს უთქვამს და ჩემს
ღვაწლსაც, მამულისათვის ჩემს შრომას,
ომსა და სამსახურს სხვები უკეთ ვანს-
ჯიან, მაგრამ ერთი გახსოვდეს, წინამ-
ძღვარო, პატიოსნებისა და უზაკლობის
იმ თვალით შეხედე ყოველს ნამოქმე-
დარს ჩემსას, რომლითაც მე ვუყურებ-
დი..." (გვ. 593). ამის შემდეგ „უგვირ-
გვინო მეფე“ გარდაიცვალა.

ამით მთავრდება ივანე ათაბაგის
ცხოვრების ამბავი და შემდეგ მის ნაცვ-
ლად გამოდის მეგვიდრე ავაგ მხარ-
გრძელი, რომელსაც ბედმა უმძიმეს
ღროს დააკისრა მამის შეცვლა.

ზოგიერთი პასაჟი, მაგალითად, პავ-

ლია კუტის გადარჩენა ან საშინელი აღ-
სასრული, შესაძლოა, მკითხველს დაუ-
ჭერებელი მოეჩვენოს, მაგრამ მხოლოდ
ერთი შეხედვით. თუ ღრმად ჩაუკვირ-
დება „ქართლის ცხოვრებაში“ მოთხრო-
ბილ ამბებს, ძველ ისტორიებს საერ-
თოდ, მას აღარ უნდა გაუჭვირდეს არც
თორელისა და არც პავლია კუტის, ვა-
ჩესა და გოჩის, ცავოსა და ლელას ლე-
გენდარული თავგადასავლები. ადამიან-
ის გონებას დღემდე იმაზე უფრო სა-
შინელი ამბავი არ შეუთხზავს, რაც ის-
ტორიაში არ მომხდარიყო. რა საჭიროა
ამ მხრივ შორეული წარსულის ფაქტე-
ბი გავიხსენოთ. სულ უკანასკნელი დრო-
ის ომები, მსოფლიო იქნება თუ ცალკე
სახელმწიფოებისა, ისეთი საშინელებე-
ბით არის აღსავსე, რომ ყველაზე ფან-
ტასტიკურ ამბებსაც კი აჭარბებენ მთელ
რიგ შემთხვევაში. ამიტომ უფლება არ
გვაქვს არ ვერწმუნოთ ავტორს, როცა
მის მიერ აღწერილი სცენები, შესაძ-
ლოა, ზოგჯერ დაუჭერებელი მოგვეჩვენ-
ოს.

ქეშმარიტება და პარადოქსი, შესაძ-
ლებლობა და სინამდვილე, სარწმუნო
და დაუჭერებელი ისტორიისათვის ისე
ახლოს დგანან ერთმანეთთან, რომ ძნე-
ლი ხდება მათი დამორიშორება. ეს
ასპექტის საკითხი კი არ არის, თვით ის-
ტორიის ორგანულ კუთვნილებას წარ-
მოადგენს. ამიტომ ნუ შევედავებით ავ-
ტორს ამა თუ იმ ისტორიული სცენის
აღწერის დროს იმაში, რამდენად მარ-
თალია მისი სურათი, ეკეამათით აზრსა
და მიზანზე — ეს უფრო სწორი იქნება.
პირველ შემთხვევაში მას ყოველთვის
შეეძლება ჩვენი დარწმუნება, მეორე
შემთხვევაში კი მისი პოზიცია უფრო
სუსტი აღმოჩნდება. მაგალითად, ლაშას
ესოდენი ხორციელი ვატაცება, რომლის
არაერთი ფაქტია აღწერილი რომანში,
ისტორიულად სიმართლეს შეიცავს,
მაგრამ განა საჭირო იყო მხატვრულ ნა-
წარმოებში ყველა მათგანის (შესაძლოა
მეტის) გადმოცემა? ავტორს შეეძლო მი-
ზანი — ლაშას პიროვნული ნაკლის ჩვე-
ნება უფრო ზომიერად განეხორციელებ-

ბანა და მკითხველის გულიც მეტად მოეგო. მაგრამ, ვიმეორებთ, ჩვენ საქმე გვაქვს ხელოვნებასთან და ამიტომ არ შეგვიძლია ავტორს რიგორისტული შენიშვნები მივცეთ. სხვა საქმეა ლაშას სახე დამახინჯებით, ისტორიული რეალიების საპირისპიროდ რომ იყოს ნაჩვენები. მაშინ არაფერს დავთმობდით. აქ კი იღვია არ ირღვევა სინამდვილეზე ამაღლებით, ყველაფერი მის საფუძველზე ხდება და გამუქება მხოლოდ პორტრეტის ხაზგასმას ემსახურება. ლაშა ისეთივე რჩება, როგორც მატინანეთა ფოლიანტებმა შემოგვიანახეს, მხოლოდ გადასული მხატვრულ წარმოსახვაში, როცა მოქმედება გაძლიერებულია და სინამდვილე უფრო სრულად გააზრებული.

IV.

ის, რაც შედარებით ნაკლებად ან სულ არა ჩანს პირველ რომანში, ავტორს მეორისათვის დაუქისრებია. მაგალითად, „ლაშარელა“ ძუნწად გადმოგვცემს მეორე მხარე-მეცამეტე საუკუნეების მშენებლობათა პანორამასა და იმდროინდელ ხელოვნების აღწერას თითქმის არ იძლევა. „დიდი ღამის“ პირველივე თავები კი სწორედ ამ საკითხებს ეხება, და ავტორის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ არამარტო ფართოდ, ხელოვნების ღრმა ცოდნითაც გვისურათებს ძველ არქიტექტურას, ოქრომჭედლობას, კალიგრაფიას, ფრესკულ მხატვრობას. ყველა ამ საკითხს გრივოლ აბაშიძე უდგება იმ თვალსაზრისით, რომ მეორე მხარე-მეცამეტე საუკუნეები ევროპული რენესანსის დასაწყისია საქართველოში. ამიტომ თავის გამიჯნავს, როცა ხელოვნების საკითხებზე ალაპარაკებს, რენესანსულ იდეებს აძლევს, ხოლო მათ მიერ შექმნილ ძეგლებს — მათივე პრაქტიკით გაბრწყინებულ სილამაზეს.

პოეტ თორმან თორელის ვარდა, რომელიც კარის მგოსანთა ტიპიური სახეა, „დიდ ღამეში“ ვხვდავთ სამ დიდ ხელოვანს: ხუროთმოძღვარ გოჩი მუსხისძეს, ფერმწერს — დემეტრე იყალ-

თოელსა და მის უნიჭიერეს მოწაფეს ვაჩეს. მათი საქმიანობა, ალგორითული სახით, თითქოს რენესანსის შემდეგდროინდელ სიოს გვაგარძობინებს, როცა ბრამანტე, სანგალო, მიქელანჯელო, რაფაელი ჰქმნიდნენ ქრისტიანული ხელოვნების, მაგრამ არსებითად იტალიური რენესანსის დიდებს. ისიც დამახასიათებელია, რომ მეფე რუსუდანი, როცა მტკვრის ნაპირთან მეტეხის კლდეზე თავისი ახალი, დიდი სასახლის მხატვრობას ავალებს დემეტრესა და ვაჩეს, შთაგონებულია რენესანსული იდეებით, ნაცვლად შუასაუკუნეების რეალიზმისა. რუსუდან მეფე ასე ეუბნება დემეტრესა და ვაჩეს, რომლებმაც მანამდე ბეთანიისა და თამთას ეკლესიები მოხატეს: სასახლე გარეგნულად ლამაზია (გოჩი მუსხისძემ იგი აავო იმის შემდეგ, რაც კონსტანტინეპოლი და რომი მოიარა, „აღმოსავლეთისა და დასავლეთის საუკეთესო სრა-სასახლეების გეგმები წინ დაიდო, ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების მიღწევებიც სახელმძღვანელოდ გაითვალისწინა“), მაგრამ „შიგანი უფრო ლამაზი და მიმზიდველი იქნება. ოქრო და ვერცხლი დაფარავს სასახლის უთვალავ თაღსა და სვეტებს, უღობველი ხისა და ბროლის იატაკი შეენაცვლება ფერადი მარმარისა და ძვირფასი ქვებისას. მაგრამ ეს ყოველივე უთქვენოდ კეთდება. მთავარი შნო და შუქი კი თქვენ უნდა შეიტანოთ ჩვენს ახალ პალატებში. თქვენმა ფერებმა სიცოცხლე და ხალისი უნდა შემატონ დარბაზებს. ჩვენი პალატები მშოთა და პაერთი უნდა იყვეს სავსე. თვალსა და გულს იქაც ისე უნდა უხაროდეს, როგორც გარეთ, ჩვენი ბუნების წარმატე წილში“ (გვ. 384).

რუსუდანის ამ ესთეტიკურ პრინციპებს ევროპული რენესანსის ყველა დიდი ხელოვანი სიამოვნებით მოაწერდა ხელს, ვინაიდან აქ არაფერია, რაც მათ არ ეთქვათ და რისთვისაც მათ არ ებრძოლოთ. შუასაუკუნეთა მისტიკური, ბნელი და მძიმე შენობების ნაცვლად, რუსუდანი მოითხოვს ლამაზსა და ფე-

რებით დამშვენებულ სასახლეს, რომელსაც სიოცოცხლის ხალისის იერი ექნება, მზითა და ჰაერით აივსება; აღამიანმა ისე უნდა იგრძნოს იქ თავი, როგორც „ბუნების წარმტაც წიაღში“. ვერ დაასახელებთ რენესანსის ვერცერთ გამოჩენილ არქიტექტორს ან მხატვარს, რომელსაც ეს აზრი არ გამოეთქვას და ამ ესთეტიკური პრინციპებისათვის არ ებრძოლოს. ქართული ადრეული რენესანსი აქ მთელი თავისი ბრწყინვალეობით ჩანს არქიტექტურასა და ფერწერაში (ფრესკა, მოზაიკა); მის მქადაგებლებად რუსთაველის შემდეგ გვევლინებიან გოჩი მუხასაძე, დემეტრე იყალთოელი, ვაჩე და თვით მეფე რუსუდანი. ავტორი შეგნებულად აკეთებს ყოველივე ამას და სამართლიანად იქცევა, ისევე როგორც უეჭველია მისივე სიტყვები, რომ მეფე მოითხოვს ტაძრებში ზეციურის, ხოლო სასახლეებში მიწიურის გაბატონებას. არც ის არის დავიწყებული, რომ „ბეგრაციონთა სახლს თავისი მოდგმა ბიზიური დაეთისა და სოლომონისაგან გამოჰყავდა და საქართველოს ახალ რომად ვადაქცევის მქადაგებლებმა მუხასაძეს მოსთხოვეს, რუსუდანის პალატები სოლომონის ზღაპრული ტაძრისთვისაც მიემსავსებინა, იმ ტაძარზე დიდი, უკეთ შემკული და უფრო ბრწყინვალე აეშენებინა“ (გვ. 379). აშენებენ კიდევ და დიდი დარბაზის კედლებზე რუსუდანის მეფედ კურთხევისა და ტახტზე ასვლის სცენებს ხატავენ, სამ კედელს მოწაფეებს ანდობენ, ხოლო მეოთხეს თვით ვაჩე ასრულებს (ოთხივე კედლის გეგმა მის მიერ იყო შედგენილი), მეოთხე კედელზე ვაჩე ჰქმნის ფრესკას, რომელიც გამოხატავს რუსუდანის გამეფებასთან დაკავშირებით თბილისში გამართულ დიდ სახალხო ზეიმს.

რენესანსისდროინდელი ფერწერების მსგავსად, სცენებში მას შეაქვს წმინდა სუბიექტური განცდა. როცა თბილისში პირველად ჩამოვიდა, ვაჩე უნებლიეთ გახდა სამეფო ზეიმის მონაწილე; დაინახა, რომ ვიღაც ცხენოსანმა, რომელიც მეფის ამაღაში იყო, მის მიჯნურს ცავოს

თვალი თვალში გაუყარა, იგრძნო მომავალი უბედურება — ობოლი ბიჭი ისევ მარტო დარჩა. ორივე ეს მომენტი მეოთხე კედლის ფრესკაზე გამოსახვა და რომანის ავტორმა ასე გადმოგვცა ხალხის წიაღიდან გამოსული დიდი ხელოვანის ავტობიოგრაფიული, როგორც რენესანსისდროინდელი ფერწერები საკუთარ თავსაც მიახატავენენ ხოლმე ფიგურათა შორის. ეს სცენები ასეა გადმოცემული: „მეფის ამაღას რომელიღაც ცხენოსანი ჩამორჩენოდა, უნაგირზე სანახევროდ შემობრუნებულყო და დაყინებით იხედებოდა იქით, სადაც საპყარის გვერდით მდგარი გოგონას სახე იყო ნაგულისხმევი... მხოლოდ შწარედ ჩაფიქრებული ერთი ჰბაბუკი მობრუნებულყო სანახევროდ. მისი სახის გამომეტყველება რაღაც უძვირფასესის დაკარგვის მოლოდინსა და თავისი უღონობით სასოწარკვეთას გამოხატავდა“ (გვ. 386).

სუბიექტური განცდებით აღსავსე ანალოგიურ სცენებს მკითხველი არაერთგზის ნახავს „ლაშარელასა“ და „დიდ ღამეში“.

ჰეშმარიტი ხელოვნების ყოველ ნაწარმოებს შემეცნებითი ღირებულება აქვს, თვითეულ მათგანს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი და მხოლოდ მისივე ხასიათით შეპირობებული. ყოფაცხოვრებითი და ისტორიული რომანები თვალს გვიხელენ სინამდვილის ან წარსულის ისეთ ფაქტებზე, რომლებიც ჩვენთვის მანამდე შეუცნობელი იყო. ცნობილია, თუ რა დიდი შემეცნებითი ღირებულება აქვთ ბალზაკის რომანებს, გენიალურ მხატვრულ ოსტატობასთან ერთად, წმინდა ეკონომიური მეცნიერების თვალსაზრისითაც. შექსპირისა და გოეთეს, რაბლეასა და სერვანტესის, რუსთაველისა და დანტეს მხატვრულ ქმნილებათა შემეცნებითი ღიაპაზონი უსაზღვროდ დიდია.

ერთი სიტყვით, ხელოვნება იმდენადვე ხელს უწყობს მეცნიერების განვითარებას, რამდენადაც თვით მეცნიერება ხელოვნებას. თუ ამ თვალსაზრისით გან-



ვიხილავთ „ლაშარელასა“ და „დიდ ლამეს“, მათი ისტორიული შემეცნებითი ღირებულება უეჭველი გახდება. ავტორმა იმდენი წმინდა ისტორიული წყარო, ფაქტი და მასალა გააცნო მკითხველს, რომ არსებითად უდრის ერთი მშვენიერი კურსის წაკითხვას ისტორიაში. ეს ერთი მხარეა, მეორეა ზემოქმედების ის დიდი ძალა, რაც საერთოდ ხელოვნებას გააჩნია, და კერძოდ, ამ რომანებს, რომლებმაც მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეების საქართველო პანორამულად წარმოგვიდგინეს.

მაგრამ ნუთუ ასე დიდტანიან რომანებს არავითარი ნაკლი არა აქვთ?

არა, უნაკლო მხატვრული ნაწარმოები არც არსებობს. ერთი ნაკლი, რომელიც შეინიშნება, უთუოდ არის ზოგან თხრობის გაჭიანჭლება. ეს ანელებს შთაბეჭდილების ძალას, მიუხედავად იმისა, რომ ამბავი თავისთავად დაძაბულია და ავტორს შეეძლო მეტი ეფექტისათვის მიეღწია. იქ, სადაც ფსიქოლოგიურ ჩაღრმავებას მიმართავს, ბევრი ბრწყინვალე ადგილია, მიხანიც მიღწეული, მაგრამ ზოგან საჭირო აღარ არის ასეთი დეტალიზაცია.

ზოგიერთი სიტყვაც რომანში უმართებულოდ არის ნახმარი („ასაოება“, გვ. 50 და 51). დავასახელებთ აგრეთვე „დოსტაქარს“. ეს სიტყვა უნდა იწერებოდეს, როგორც „დახტაქარი“, მაგრამ ავტორი ყველგან ხმარობს „დოსტაქარს“, მართო ერთ — 138 გვერდზე ეს სიტყვა ექვსჯერ არის ნახმარი და ყველა შემთხვევაში უსწორო ფორმით. სხვა გვერდებზეც (324, 325, 329) იგივე სურათი გვაქვს. მაგრამ უთუოდ დიდი გამარჯვებაა, რომ ასე ვრცელ მხატვრულ ტილოებში ანალოგიური შემთხვევა თითზე ჩამოსათვლელი შეგვხვდება.

შეიძლება, ვინმეს გაუკვირდეს, რატომ დაწვრილებით არ ვეხებით „ლაშარელასა“ და „დიდი ლამის“ ნაკლოვან მხარეებს. შეგვიძლია წინასწარ ვითხრათ, რომ ჩვენ არ გამოვუდგებით რომანში უმთავრესად ნაკლისა და შეცდომების აღნუსხვას. კრიტიკოსმა ეს უნდა

გააკეთოს, როცა თვით ნაწარმოები სუსტია ან ავტორი აცდენილია ისტორიული კვლამარტების მაგისტრალურ ხაზს. ასეთ შემთხვევაში მას უფლება აქვს ისევე მოექცეს მწერალს, როგორც გასული საუკუნის 30-იან წლებში ბალზაჰმა ულმობელი სატირით მიწასთან გაასწორა ბარჟინეს „გასისხლიანებული პერანგი“. მაგრამ, თუ საქმე გვაქვს არამართო ისტორიული რეალებით გამართულ ქრონიკასთან, არამედ, მაღალი გემოვნებითა და მშვენიერი მხატვრული ტალანტით დაწერილ რომანთან, მაშინ უადგილო არ იქნება გავიხსენოთ „ადამიანური კომედიის“ ავტორისათვის საყვარელი მაგალითი: ვესტმინსტერში დარაჯი მნახველებს უჩვენებს გრძელტარია ნაჯახს, რომლითაც კარლეს პირველს თავი მოჰკვეთეს და ეუბნება: „ჩუგლუჯს ხელს ნუ ახლებთო“. ჩვენც ხელი არ უნდა ვახლოთ წვრილმან ნაკლს, როცა დიდ მხატვრულ ნაწარმოებზე იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ მისი ღირსებანი გამოვჩინოთ. მთავარი უნდა იყოს ავტორის ოსტატობის ჩვენება და არა სინანული ზოგიერთი შეცდომის გამო. ხოლო, როცა ეს ნაკლი მთლიანად დაფარულია ნაწარმოების ღირსებით, როცა ჩვეულებრივი მკითხველი ვერც კი შეამჩნევს შეცდომას და მართოდენ კარგს ხედავს, მაშინ ნაკლზე ზოგადი მითითებაც, ყოველგვარი აქცენტის გარეშე, საკმარისი უნდა იყოს როგორც თვით ავტორის, ისე განათლებული მკითხველისათვის.

ამ პრინციპით მივუდევით გრიგოლ აბაშიძის ისტორიულ რომანებს, რომლებმაც მხატვრულად გააცოცხლეს ძველ ქართულ ფოლიანტებში მოთხრობილი ერის ცოცხალი ძალების — ხალხის, მეფეებისა და მათი ქვეშევრდომების თავგადასავლები. თუ მართალია ძველთაგანვე ცნობილი დეფინიცია, რომ ისტორიული ქრონიკა მეორე სიცოცხლეს მხატვრული ასპექტით აგრძელებსო, თავისი დადასტურება მან ერთხელ კიდევ ჰპოვა „ლაშარელასა“ და „დიდი ლამეში“. როგორც შედეგები, ისინი

წევნ თამამად შეგვაქვს ქართული პროზის საგანძურში.

შეგვაქვს, ვინაიდან მთლიანად და ცალკე აღებული ნაწილებით ორივე რომანი მაღალმხატვრული, კემშარიტად დიდი ხელოვნების ნაწარმოებია.

„ლაშარელა“ და „დიდი ღამე“, მიუხედავად მათი სოლიდური მოცულობისა, ვერ ამთავრებენ XIII საუკუნის ქართულ ქრონიკას. მეორე რომანი, რომელსაც თითქოს ევალეობდა იმდროინდელი ამბების დასრულება, მხოლოდ იქ თავდება, სადაც რუსუდანის უფლისწული — მომავალი დავით ნარინი ყაენთან მიემგზავრება ყარაყორუმს და თორელი კვდება. მაგრამ სად არის ლაშას უფლისწული დავითი, რომელიც აგრეთვე გაგზავნეს მონგოლთა მთავარ ბანაკში? ნუთუ ავტორს დაავიწყდა ორმეფობა საქართველოში? დავით ულუსა და დავით ნარინის განსაცდელი? მთელი მეცამეტე — ტანჯული საუკუნე ქარ-

თველი ერის ისტორიაში — 30-40-იანი წლებიდან ბოლომდე, აღსავსე სისხლითა და ვაებით? არა, შეუძლებელია ეს დიდი ამბები ავტორს გამორჩენოდა, მაგრამ მისი მასშტაბი ისე დიდია, თვით ამბები იმდენად დაძაბული, რომ ორ ვრცელ რომანშიც ვერ დაეგია. ავტორი პირდაპირ დგას ახალი ამოცანის წინაშე — დაწეროს შესამე (შესაძლოა მეოთხე) რომანიც და ამგვარად დაასრულოს მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეების ქართული ქრონიკა. ტრილოგია იქნება თუ ტეტრალოგია, ჩვენთვის განურჩეველი უნდა იყოს, მაგრამ განურჩეველი ვერ დავრჩებით თვით იმ ფაქტის მიმართ, რომელიც ქრონიკის აუცილებელ დასრულებას მოითხოვს.

ორი დიდი საქმე უკვე გაკეთებულია და ვუსურვოთ ავტორს, რომ ეს ახალი ამოცანაც თავისი მხატვრული ოსტატობის შესაფერისად გადაეწყვიტოს.



გუკამ გვერდნითაღი

მიხეილ ჯავახიშვილი

მწიერლის პორტრეტი

მიხეილ ჯავახიშვილი მეოცე საუკუნის ქართულ მწერალთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც ახალ ისტორიულ პირობებში გააგრძელა და განავითარა ქართული კრიტიკული რეალიზმის ტრადიციები და ამ ტრადიციებთან მჭიდროდ დააკავშირა ქართული საბჭოთა ლიტერატურის სათავეები. მიხეილ ჯავახიშვილმა, ირავლი აბაშიძის თქმით, „ღირსეულად და მტკიცედ დაამატა ჩვენს მწერლობაში ქართულ ეროვნულ ფესვებზე რეალიზმის ტრადიციები და ამით დიდად შეუწყო ხელი ჩვენი ლიტერატურის შემდგომ გაშლასა და აყვავებას“.

მიხეილ ჯავახიშვილის და მისი დროის მწერლების — ნიკო ლორთქიფანიძის, ლეო ქიჩინელის, კონსტანტინე გამსახურდიას და სხვების სახელებთან არის დაკავშირებული ქართული მხატვრული პროზის მძლავრი განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისი.

ვერობული და რუსული ლიტერატურების ისტორიული განვითარების პროცესისაგან განსხვავებით, ქართულ ლიტერატურაში კრიტიკულ რეალიზმს მეცხრამეტე საუკუნეში არ გამოუწვევია მხატვრული პროზის დიდი აქტივობა. როდესაც რუსული კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურას ვისხენებთ, პირველ რიგში სწორედ მხატვრული პროზის ტიტანები წარმოგვიდგებიან: გოგოლი, ტურგენევი, ტოლსტოი, დოსტოევსკი, ჩეხოვი. მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობაში ასეთი დიდი ხვედრითი წონა არა პქონია პროზას, თუმცა ამ ეპოქის მრავალი შესანიშნავი რეალისტური ნაწარმოები დაიწერა. ქართული რომანისა და ნოველის მომძლავრება გასული საუკუნის მიწურულიდან იწყება და დღემდე გრძელდება, ხოლო ამ საქმე-

ში თავისი დიდი წვლილი შეიტანა მიხეილ ჯავახიშვილმა.

მიხეილ ჯავახიშვილმა ქართველი მწერლებიდან ერთ-ერთმა პირველთაგანმა გაუკვალა გზათანამედროვე ლიტერატურაში ნოველას, სოციალურ და ფსიქოლოგიურ რომანს. „ჩანჩქრა“, „ტყის კაცი“, „ლაშხალა და ყაშა“, „მართალი აბდულაჰ“, „ჩაყოს ხიზნები“, „თეთრი საყელი“, „არსენა მარაბდელი“, და საერთოდ, მთელი მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა საფუძველია ურომლისოდაც ძნელი წარმოსადგენია თანამედროვე ქართული ლიტერატურის, კერძოდ, ქართული მხატვრული პროზის შემდგომი განვითარება. მ. ჯავახიშვილის შემოქმედება ერთი საინტერესო მაგალითია იმისა, თუ ხალხის, მშრომლების ინტერესების სამსახურში როგორ მიიყვანა მწერალი სოციალისტური რეალიზმის მეთოდის აღიარებამდე, როგორ მოამარჯვებინა მას ეს მეთოდი თავის შემოქმედებით პრაქტიკაში. გზა მიხეილ ჯავახიშვილისა კრიტიკული რეალიზმიდან სოციალისტურ რეალიზმამდე არ იყო დიდად მტკივნეული, დაკავშირებული მწერლის შინაგან დიდ განცდებებსა და ძიებებთან. ეს იყო ხანგრძლივი დაკვირვებისა და ვრცელი პერიოდის ნააზრევი, დიხჯად გავლილი ლოკავური გზა მეოცე საუკუნის რეალისტი მწერლისა.

მეოცე საუკუნის პირველი ორი-სამი ათეული წლების ქართულ მწერლობაში ბევრი ვერ ასცდა სხვადასხვა ყაიდის დეკადენტური მიმდინარეობების გავლენას. მოდერმა გატაცებამ მეტნაკლები ძალით თითქმის ყველა მწერლის შემოქმედებაში იჩინა თავი. მიხეილ ჯავახიშვილმა

იყო ერთი მთავანი, ვინც გაუძლო ეპოქის ამ ცდუნებას.

ჯავახიშვილი ყოველთვის უარყოფითად ეკიდებოდა მათ, ვინც რეალისტურ მეთოდს უბუნლევებლყოფდა და ლიტერატურისათვის, ცხოვრების ნაცვლად, ახალ საფუძველს, სხვა პირველსაწყის მასალას ეძებდა; ვინც ახალი ფორმებისა და საშუალებების ძიებით მსოფლიო ლიტერატურის განვითარების ძირითადი, რეალისტური ტენდენციის გარეთ რჩებოდა. მწერალს არაერთხელ გამოუთქვამს პირუთვნელი აზრი ასეთი ყიდლის მიძიებლზე. «მე ვფიქრობ, — წერდა იგი თავის წერილში «როგორც ვმუშაობ», — რომ ამ მხრივ სიმბოლისტებმა, და ნამეტარ კი ანდრეი ბელიმ და მისმა მიმდევრებმა დიდი ზიანი მოაყენეს პროზას. ბელი და მისი მოწინავენი სიტყვების კომპოზიტორები არიან და არა ცხოვრების მხატვრულ-ამსახველნი. მათ ნაპარბევად გაიმხატვეს სმენა და თითქმის სულ მოხუცეს თვალუნი... მან (ანდრეი ბელიმ, — ბ. ჯ.) მხატვრული სხეუ მოახლედ დაუყენა მუსიკალურ ბეგრას. ასე ააყრავეს ბელიმ და მისმა მწეგრებებმა საუკუნეობით განმტკიცებული ქეშმარიტება, რომელმაც ბუნების დაღატის გამო სასტიკად იძია შური: ისინი უკვე დამარცხებულნი არიან და მალე დადგება ის დროც, როცა მხოლოდ ლიტერატურის ისტორიკოსიდა გაიხსენებს მათს უნაყოფო ნოვატორობას». («როგორც ვმუშაობ», «მნათობი», 1933 წ., № 10, გვ. 194).

მიხეილ ჯავახიშვილის ღრმა რწმენით მსოფლიო ლიტერატურაში თუ რამ სანდრეტესო შექმნილა, მხოლოდ და მხოლოდ რეალიზმის წყალობით. მისი აზრით, რეალიზმი, ამ ცნების «უღრმესი და უფუართოესი მნიშვნელობით», ყოველთვის იყო ლიტერატურის დამახასიათებელი თვისება. მიხეილ ჯავახიშვილისათვის შემოქმედებითი ცხოვრების ყველა ეტაპზე ერთადერთი ქეშმარიტება არსებობდა, როგორც თვითონ ამბობდა:

«А истина в том, что реализм — литературная форма. Он лежит между натурализмом и романтизмом. Он Волга или Амазонка в литературе, все же остальное — лишь его притоки или ответвления, рожденные этой матерью реккой». («ლიტერატურაია ვაზეტა», 1939 წ. 11 ნომებერი).

ამ ქეშმარიტების ღრმა რწმენით აიხსნება ის ფაქტი, რომ მიხეილ ჯავახიშვილი ეგზომ ერთგული იყო რეალიზმის მეთოდისა თავის შემოქმედებით პრაქტიკაში. რაც შეეხება რეალიზმის გაგებას, ჯავახიშვილისათვის იგი არ იყო ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული ცნება. მწერალი კარგად ხედავდა მეცხრამეტე საუკუნის კრიტიკულ რეალიზმსა და მეოცე საუკუნის რეალისტურ მწერლობას შორის არსებულ განსხვავებას. უფრო მოკვიანებით, ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების ზეგავლენით, მან ვაი-

გო და აღიარა სოციალისტური რეალიზმის მეთოდი. ამ ახალი მეთოდით აქვს შექმნილი დიდი მხატვრული ტილოები, ისტორიული რომანები «არსენა მარაბდელი» და «ქალის ტვირთი». ეს მოხდა მისი შემოქმედებითი ცხოვრების უკანასკნელ წლებში, აღრე კი მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების პათოსი კრიტიკული იყო და ამ მხრივ იგი უფრო ენათესავებოდა ქართულ კლასიკურ რეალიზმს, ვიდრე ახალ, სოციალისტურ რეალიზმს (თუმცა ამ უკანასკნელის ნიმუშები ქართულ მწერლობას ჯერ კიდევ რევოლუციის გამარჯვებამდე მოუპოვებოდა).

საგულსხმოა დასკვნა, რაც მიხეილ ჯავახიშვილმა საბჭოთა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე დაკვირვების შედეგად გამოიტანა: «მხატვრის ალღო და თვალი თავისუფალია. მაგრამ ჩვენ მაინც თანადროულობა გვიჩვენება. ამ ცნების ფართო მნიშვნელობით. გულწრფელობის შენარჩუნებისათვის შემოქმედი მოვალეც არის ისე დაინახოს და იგრძნოს საგნები და მოვლენები, როგორც შეუძლიან და მოეჩვენება. მაგრამ ჩვენ მაინც გვიჩვენება ისეთი მასალის შერჩევა, შეგრძნობა და თვალი, რომელიც გაიხსენებენ ხალხს და გაუღვივებენ იმედს, ენერჯიას და ზნეობას («ლიტერატურული გაზეთი», 10 აპრილი, 1959 წ.).

მიხეილ ჯავახიშვილი გაცილებული იყო გარდაქმნებით, რაც საბჭოთა ხალხმა სულ რაღაც ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე განახორციელა. მწერალს გულწრფელად სურდა აესახა მხატვრულად ახალი საზოგადოებრივი ყოფა. ამიტომაც ჩაიწერა თავის უბის წიგნაკში: «შეგრძნობა და შეგნება ახალი ეპოქის სულისა და მისი მხატვრული ასახვა; ახალი ადამიანი, ახალი სტილი, ხერხები, კომპოზიცია, რითმი; პანგი; თემი; თვალი; ლექსიკონი». ამ რამდენიმე სიტყვაში მწერლის მთელი მომავალი გეგმები წარმოგვიდგება.

დიდი მწერალი ყურადღებით ადევნებდა თვალს კოლხეთის ჭაობების ამოშრობას, სამგორის ევლზეუ გაჩაღებულ სამუშაოებს, მიმოწერა და პირადი ურთიერთობა ჰქონდა კოლხეთურნიებთან. ყველაფერი ეს მას მხატვრულ ტილოებზე უნდადა გადაეტანა. დიდი გარდაქმნების უშუალოდ დაინახვამ და განცდამ ჩააწერინა მწერალს თავის ვანუყრელ უბის წიგნაკში: «სამყაროში არადერია უღღამაზესი ჩვენი ქვეყნისა, ჩვენი ქვეყანაში — ადამიანისა და ადამიანში — სულისა». სწორედ საბჭოთა ადამიანის შინაგანი სამყაროს მთელი სიღამაზისა და სიღადის მხატვრული ასახვა ვაიხადა მან თავისი შემოქმედების მიზნად. ამ მხრივ იგი ერთგვარ ვალში იყო ჩვენი თანამედროვის წინაშე. ამას თვითონაც გრძნობდა და ამიტომ ამბობდა გულისტკივლით: «მე ჯერ არ მითქვამს ჩემი სათქმელი». თავისი სათქმელის თქმა, თავისი შესანიშნავი შემოქმედებითი გეგმების განხორციელება მიხეილ ჯავახიშვილს არ დასცალდა.

მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ ჭავჭავაძის მიერ თავისი შემოქმედებითი ცხოვრების ყველაზე საინტერესო პერიოდში ტრადიციულად დაიღუპა და ბევრი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა, მან უდიდესი ამაგი დასტოვა ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას. იგი ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი მწერალია მეოცე საუკუნის ქართველ მწერალთა შორის. სულ რაღაც თხუთმეტი ოცე წელიწადში მან შექმნა თავისი ცნობილი რომანები — „კვაკვი კვაპანტირაძე“, „ჩაყოს ხიზნები“, „გვიე შადური“, „ოეთრი საყელო“, „არსენა მარაბდელი“, „ქალის ტვირთი“ და ბევრი მოთხრობა; თარგმნა ჩეხოვი, მოხასანი, სენეკები; გამოაქვეყნა უამრავი პუბლიცისტური და ლიტერატურული წერილი, რომლებშიც იგი აშუაგად წარმოგვიდგება ღრმად განათლებულ, პროგრესულად მოაზროვნე, დიდი მხატვრული გემოვნების მქონე ადამიანი და მოღვაწე.

ჭავჭავაძის ფასდაუდებელი ამაგი მიუძღვის ქართული მწერლობის წინაშე, რისთვისაც ქართველი ხალხი დიდი სიყვარულით ინახავს მის სახელს.

„მწერალი და ხალხი ერთმანეთს უნდა შეედუღდნენ, რათა ხელიხელ ჩართულმა იარონ და იმუშაონ...“, ამბობდა მწერალი. მიხეილ ჭავჭავაძის მიხედვით თავისი შემოქმედებითი მემკვიდრეობით მართლაც შეტვიცნულა თავის ხალხს და მასთან ერთად განავრცობს სიკეთეს. ამ ერთიანობის, შედღაპების — მწერლისადმი დიდი ერთგული სიყვარულის გამოხატულება იყო მიხეილ ჭავჭავაძის საიუბილეო დღეები საქართველოში 1962 წელს.

„არც ერთ ქართველ მწერალს, — აღნიშნა საიუბილეო საღამოზე ირაკლი აბაშიძემ, — ჯერ კიდევ ისე შეეერთად, ისე ღრმად, მწერლის ისეთი მახვილი თვლით არ დაუნახავს და შემდეგ მხატვრულ ტალღზე არ გადაუტანია რევიოლუციის პირველი წლები ჩვენს ქვეყანაში, როგორც მიხეილ ჭავჭავაძის. მიხეილ ჭავჭავაძის შემოქმედების ეს პერიოდი ჩვენი სამშობლოს რევიოლუციურ გარდაქმნათა პირველი მხატვრული ისტორიაა“ (ლიტერატურული გაზეთი № 26 იანვარი, 1962 წელი).

2.

მიხეილ ჭავჭავაძის მამამისი, შეშდებული გლეხი, ავრონიამდ ამხადებდა, ამიტომაც შემოატარა რამდენიმე სამეურნეო სკოლა და სასწავლებელი, ბოლოს კი ყირიმის მებღაღობამევენახეობის სასწავლებელშიც გაგზავნა. აღმზრდელეებისათვის შეუძინეველი არ დარჩა მიხეილის გულგრილი დამოკიდებულება სოფლის მეურნეობისადმი. ამიტომ ყირიმის სასწავლებლის დირექტორმა მას ტელეგრაფის მოხელის სპეციალობა ურჩია. კუბუკი მიხეილის გულში კი სულ სხვა სურვილი, მიზანი და ოცნება ენ-

თო, რაც მძიმე, მაგრამ დიდი ეროვნული საქმისაკენ, მწერლობისაკენ მოუწოდებდა. მიხეილი ადრევე წერდა ლექსებსა და პატარა მოთხრობებს, რითაც მიიქცია ცნობილი საზოგადო მოღვაწის ოთხა ზურანაშვილის ყურადღება. ზურანაშვილმა ჯერ კიდევ წინამძღვრიანთ-ქარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის მოსწავლე ერის წინამძღვარს, ქართული მწერლობის დიდ კლასიკოს ილია ჭავჭავაძეს წარუდგინა. ამ შეხვედრამ კუბუკი მიხეილს საბოლოოდ განუშტკიცა მწერლობის სურვილი, თუმცა მაშინ არც თვითონ იყო დარწმუნებული, რომ ოცნება სინამდვილედ გადაეცეოდა და არც ილას, კრიტიკული რეალობის დამფუძნებელს ქართულ მწერლობაში, შეეძლო ეფიქრა, რომ წინ მისი საქმის დირსეული გამგრძელებელი ედგა.

მწერლის ადრინდელი ლექსები და მოთხრობები ჩვენთვის უცნობია. როგორც ჩანს, ავტორმა ისინი მხოლოდ კუბუკობის ვარჯიშად მიიჩნია და არ სცნო გამოქვეყნების ღირსად. ტრადიკული შემოხვევის შედეგად (მას მოუკლეს და და დედა, მალე მამაც გადაყვა ამ უბედურებას) მიხეილი 20-21 წლის ასაკში დაობლა, მიატრევა ყირიმის სასწავლებელი, სამშობლოში დაბრუნდა და მთელი ვატაეებით დაჰყვა თავის გულისტქმისა და მოწოდებას. 1903 წელს 23 წლის მიხეილ ჭავჭავაძის ცნობის ფურცლისკ გამოცემაში აქვეყნებს თავის პირველ ნაბეჭდ მოთხრობას „ჩანჩრას“. სწორედ აქედან იწყება მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია.

1903-08 წლებში მიხეილ ჭავჭავაძის გამოაქვეყნა მოთხრობები „ჩანჩრას“, „მინეკევა ვაბო“, „უბატრონო“, „გევა“, „ჯალონო“, „კურკის ქორწილი“ და „ეშმაკის ქვა“. თემბურად და პრობლემატიკის თვალსაზრისით ეს მოთხრობები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ყველა თანაბრად აქტუალურად და საინტერესოდ შეიძლება არც მოვეყრევიან, მაგრამ მათ აერთიანებს ერთი ძარღვი, რომელიც ქართული კლასიკური ლიტერატურის დიდი პუმიანისტური და დემოკრატიული სულისკვეთებით ავსებს მოთხრობებს.

მიხეილ ჭავჭავაძის მიხედვით აქტიურ ეურნალიტერ მოღვაწეობას ეწევა, მრავალ პუბლიცისტურ წერილსა და ნარკვევს აქვეყნებს სხვადასხვა გაზეთებსა და ეურნალეზში, რედაქტორობს გაზეთებს „ივერიასა“ და „გლეხს“. მისი, როგორც ეურნალიტერის, ინტერესების სფერო ფართოა და ცხოვრების მრავალ უბანს სწვდება: გლეხებისა და მუშების ყოფა, ეროვნული პოლიტიკა და სახელმწიფოს მმართველობის საკითხები, ქართული თეატრისა და ლიტერატურის მდგომარეობა...

მიხეილ ჭავჭავაძის მიხედვით მხატვრულ და პუბლიცისტური სიტყვით ერთ მიზანს ელტვოდა: სამსახური ვაეწია მშრომელი ხალხისათვის. უბის წივანკში, რომელიც მეფის „ოხრანკამ“

მიხეილ ჭავჭავიძის ბინის ჩხრეკის დროს ჩამოართვა, მწერალს ეწერა: „ჩემი დევიზია: „ყველაფერი დემოკრატიისათვის“. ამ დევიზს მიხეილ ჭავჭავიძე ეროვნულად მისდევდა და ეს სახურებოდა მთელი თავისი შემოქმედებით და მოღვაწეობით.

მწერლის სულიერი ჩამოყალიბება ხდებოდა რუსეთის პირველი რევოლუციისა და რევოლუციის შემდეგდროინდელი სასტიკი რეპრესიის წლებში. ხალხის ჭომაღი, ქემარტი დემოკრატიისათვის ემბროლი მწერალი ამ დიდი მოვლენებით ცოცხლობდა. თავის პუბლიცისტურ წერილებში მ. ჭავჭავიძე გაბედულად გამოადის მეფის მთავრობის სისხლიანი რეპრესიების წინააღმდეგ; განსაუბრებთი მწვეველ აკრიტიკებს ხელისუფლებას სტატიის ცეკლში, რომელსაც „გლეხის წერილები“ ეწოდებოდა. ეს არის დიდი მამხილებელი ძალის წერილები, სადაც მწრომელთა უნეტევო ყოფა და მისი გამომწვევი მიზეზები ავტორს დაუბრუნებლად აქვს გახსნილი. ერთ-ერთ სტატიას ასეთი საბრძოლო მოწოდებით ამთავრებდა: „ან სირცხვილი და უღელში შეხმა, ან სიკვდილი და გამარჯვება! ან მუღმიე მონობა, ან მიწა და თავისუფლება... ჩვენზე ხელთ უნდა ვიშოვოთ მიწა და თავისუფლება... საბოლოო ბრძოლის დღე გვიახლოვდება და ამიტომ საბრძოლველად ვემზადებით. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ჰერში სისხლის სუნი ტრიალებს, საიდგანავ ქაბა-ქუხის ამის და აღმოსავლეთი ცეცხლის ფერად შეილება. საცა, მზე უნდა ამოვიდეს! დიად, უნდა ამოვიდეს და ჩვენც მზად ვართ განწმენდლინი, გასბეტავებულნი და საბრძოლველად მომზადებულნი ამაყად დავუხვდეთ სიკვდილს, რომელიც მოგვტანს მიწასა და თავისუფლებას! საცა, მზე უნდა ამოვიდეს!“

ცხადია, რეპრესიის წლებში ამას მწერალს არ აბატებდა ხელისუფლება და მ. ჭავჭავიძე, რომელსაც დაპატიმრება ელოდა, ერთხანს თბილისში იმალეობდა. მერე საზღვარგარეთ გაიქცა. თუმცა ასეთი რევოლუციური პათოსითაა მიხეილ ჭავჭავიძის წერილები გამსჭვალული, უნდა ითქვას, რომ მას ნათლად არ ჰქონდა წარმოგვეჩინა ისტორიულ მოვლენათა განვითარება. იგი უფრო სუბიექტურ რწმენას ეყრდნობოდა, ვიდრე საზოგადოების განვითარების მეცნიერულ მოძღვრებას. ამიტომ მ. ჭავჭავიძე უფრო არსებულ საზოგადოებრივი ცხოვრების კრიტიკოსად დარჩა, ვიდრე ახალი ცხოვრების მეთვრამედი. ეს თანაბრად შეეხება მას, როგორც მეტრნალისტსაც და როგორც მწერალსაც. სწორედ ამან შეუძალა ხელი მ. ჭავჭავიძის თავისი შემოქმედების ადრინდელ პერიოდში მიეგრო ახალი ლიტერატურული მეთოდისათვის, რომელიც ამავე წლებში გორკის შემოქმედებაში უკვე თვალნათლივ გამოჩნდა. მიუხედავად ამისა, ჭავჭავიძე მთელი თავისი ლიტერატურ-

რული და საზოგადოებრივი მოღვაწეობით აქტიურად მოუწოდებდა მშრომელ ხალხს სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. რევოლუციური ეპოქის კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურამ ამ მხრივ დიდი როლი ითამაშა და ჭავჭავიძის შემოქმედებამაც თავისი მამხილებელი პათოსით საგრძნობლად შეუწყო ხელი მასების რევოლუციური შეგნების ზრდას.

მრავალნობრივ საინტერესოა მიხეილ ჭავჭავიძის წერილები ქართული თეატრისა და დრამატურგიის საკითხებზე. 1903 წლის ნოემბერში გაზეთ „ცნობის ფურცელში“ დაიბეჭდა წერილების სერია „ჩვენ და ჩვენი თეატრი“. როგორც ვთქვით, იმავე დროს დაიბეჭდა ჭავჭავიძის პირველი მოთხრობა „ჩანჩურა“. წერილებში და მოთხრობაშიც მკითხველი აღვიდა შენიშნავს მწერლის შემოქმედებით და მსოფლმდევლობრივი პოზიციით განსაზღვრულ საერთო ტენდენციას. მიხეილ ჭავჭავიძე მკაცრად უსაყვედურებს ქართულ თეატრს; წერილების ავტორი გარკვევით აცხადებს და აწვითარებს აზრს, რომ ისტორიას ხალხი ქმნის და თუ თეატრს სურს ეპოქის სული გამოხატოს, მისი ვაშნაზღვრელი ძალა დაგვანახოს, მან უნდა მიმართოს ხალხის ცხოვრებას. მიხეილ ჭავჭავიძის ღრმა რწმენით ქართულმა თეატრმა და დრამატურგიამ, საერთოდ მწერლობამ თავისი ყურადღება უნდა გადაიტანოს უბრალო ადამიანების ცხოვრებაზე, მათი ფსიქიკისა და შეგნების, მათი სულიერი სამყაროს გახსნაზე. თვითონ მიხეილ ჭავჭავიძე სწორედ ამით განსაზღვრა თავისი შემოქმედების ინტერესები.

* * *

1903-08 წლებში გამოქვეყნებული მოთხრობები მიუხედავად თემატური და პრაბლემატური სხვაობისა, აღბეჭდილია ერთი საერთო მიზანწრაფვითა და მიზანდასახულებით — გვიწვევს უბრალო ადამიანების სოციალური უსამართლობით სავსე ყოფა-ცხოვრება, მათი მძიმე განცდები, გავგიღვიძოს მათდამი გულწრფელი თანაგრძნობა.

თავისი შემოქმედებით ბიოგრაფიის ამ ხანაზე მიხეილ ჭავჭავიძე უფრო გვიან წერდა: „იმ დროს მწერლობაში „საწყალი კაცი“ იკალათებდა და მეც მიმიზიდა. ერთხელ ბახარში მათხოვარა დავინახე — ჭუჭა, უბადრუტი, მუნჯი, მასხარა. დიდხანს ვსდევ და ვუთვალთვალე. მერმე სადამოს შევი საათზე ჩავუქევი და მეორე დღეს თორმეტ საათზე დავექე. ასე დაიბადა „ჩანჩურა“... ერთ საწყალს რამდენიმე საწყალი მოჰყვა („უბატრონი“, „თავდავწყება“, „მეჩქმე ვაბო“, „კურკას ქორწილი“) და ეს მოტივი — დაჩაგრული და უბედური — ოცი წლის დუმლის შემდეგაც მრავალჯერ გავიმეორე, შეუძლებელია არ განმეორებულყო, ვი-

ნაიდან მწერლისათვის სიბრაღული და თანაგრძნობა იგივეა, რასაც თითები წარმოადგენს ოსტატ მწიგნურისთვის“.

აღნიშნული მოთხრობები ნათელი ჰუმანიზმი, ცხოვრებისაგან დანავარულთა და დაწინაღობის მიმართ დიდი ადამიანური სიყვარულითა და თანაგრძნობით არის ვამბობარი. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ მოთხრობებში მწერალი უბრალოდ სიბრაღულს კი არ გამოხატავს, არამედ იმდროინდელი სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ თავის შეურიგებლობასაც აშკარად გვაგონობინებს.

ამ წლებში ზოგიერთი მოთხრობა, მაგალითად, „უბატრონო“ და „ეკა“ („თავდაწვევა“) უშუალოდ ეხმარება ქართულ კლასიკურ ლიტერატურას. მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობაში ბევრი ნაწარმოები დაიწერა ბატონების, შემდეგ კი მემამულეების აღვირახსნილობაზე, ახალგაზრდა გლეხი ქალების ტრაგიკულ ხედვებზე, რომლებიც თავიანთი მებატონეების ცხოველური ინსტინქტების მსხვერპლნი ხდებოდნენ. ეს მარტო წარსულისათვის არ იყო დამახასიათებელი. ახალ ვითარებაში ამ აღვირახსნილობამ ოდნავ იცვალა იერი, ვარგენტულად უფრო უკეთ იქნა შენიღბული, სხვა მხრივ არაფრით განიჩრქოდა ბატონ-ყმობის ხანის სისასტიკისა და სიბიწლისაგან. ყოველივე ეს მხატვრულად საინტერესოდ და დამაყვარებლად გვიტობრა მიხეილ ჭავჭავიძელმა „უბატრონო“ და „ეკათ“.

განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას სტოეებს მოთხრობა „უბატრონო“. ამის ტრაგიკული განვითარება და დასასრული, გმირების სულიერი მღვდლარებისა და განცდების ღრმა ფსიქოლოგიური მოტივირება მოთხრობას დიდი მხატვრული ზემოქმედების ძალას ანიჭებს. მკითხველი მოწონებ ხდება უბატრონო გლეხის გოგოს ნუცას ტრაგიკული ხედვრისა. თვინიერი, ჩუმი და მოკრძალებული მოახლე გოგო ვარგენტულად მორჩილად იტანს დამცირებას ვნებაშეპყლილი ბატონიშვილისგან, შემდეგ — მჭედელ პავლეზე ძალად გათხოვებას, ყოველგვარ შეურაცხყოფას, იგი თითქოს შეგუებულია თავის უფლებებო ყოფას. ამასთანავე, მწერალი ღრმად გვახედებს ვარგენტულად მშვიდი და აღმართის აბოპირებულ გულში, ადამიანური ღირსების შელახვით მოზღვავებული განცდების მოზიარებლად გვეხდის და იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ვარგენტული სიმშვიდე მხოლოდ მორჩილებაა უფლებებო, დამცირებულ, ცხოვრებისაგან ვათელირი აღამიანისა. თუმცა ყველაფერის საზღვარი აქვს და უბატრონო მორჩილი ნუცაც, როდესაც პირველ და უკანასკნელ ნეტემს წაართმევენ, როდესაც ეკვით გამხეცებული პავლე მას ბავშვს მოუკლავს, სასოწარკვეთილი, ცხოვრების უსამართლობისადმი პროტესტის ნიშნად თავს მოიკლავს. ასეთი იყო ხედვარი ვათელირი, შერცხვენილი, ცხოვრებით

საგან დაწინაღობული ყმა ქალისა ბატონ-ყმობის პერიოდში. ასეთივეა ობოლი ნუცას ხედვარი მეოცე საუკუნის დასაწყისშიც. ამავე თემაზე, უბატრონო, ღარიბი, მოახლე ქალის ხედვარზე დაწერილი — „ეკა“; თუმცა მოთხრობის აკლასის მამხილებელი პათოსი, გრძნობათა სიმძაფრე, ღრმა დრამატიზმი, რაც ასე ძლიერად განცდვენიებს მკითხველს ნუცას ბედს.

„ეკაში“ სხვა ხასიათის გმირებთან გვაქვს საქმე. მოთხრობის გმირსაცა და დედამისსაც ვანათლებული, ლიბერალი ადამიანების სახელი აქვთ მოხვეცილი. როგორც კი ეს ახალგაზრდა ვაჟი მოხმხმეულსა და სათნო მოახლე გოგოს დაუკავშირდება, სოციალური მდგომარეობით შეზღუდული შეგნება მამხილებ თავს იჩენს და „დემოკრატ“ ქალბატონი მშვიდად, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის ვარგულ გააქვებს ეკას სახლიდან. ვანათლებული ვაჟიც უშვილდ ემორჩილება დედის განაჩენს. მოთხრობა საინტერესოა შიგ ჩაქსოვილი შეფარული აზრით, რომ ვანათლება საერთოდ არ ცვლის სოციალური უთანასწორობით, კლასობრივი ნიშნით განსხვავებული ადამიანების დამოკიდებულებას. მოთხრობა ბევრნაირად ეხმარება ქართულ კლასიკურ მწერლობას. განსაკუთრებით თვალსაჩინოა მისი შეხმინება ილია ჭავჭავაძის „ოთარანთ ქვრივთან“. ილია ჭავჭავაძე, როგორც ეს მისი მოთხრობიდან ჩანს, არ კარავდა იმდენ, რომ მებატონეებსა და გლეხებს შორის ოდენიდა ჩატეხილი ხიდი ვანათლებისა და ცივილიზაციის წყალბოთი გამართლებდებოდა და მათ შორის ჰუმანურ პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთობა დამყარდებოდა. სულ ორი ათეული წელი აღმოჩნდა საქმარისი იმისათვის, რომ საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ სინამდვილეს ეს ილუზია საბოლოოდ უკავდოდ. საზოგადოებრივი აზრის ვანეთარების და კლასთა ბრძოლის მოძღვრების ვაკრცელების თვალსაზრისით ბოლო ორი ათეული წელი მე-19 საუკუნისა მეტად მნიშვნელოვანი იყო. ამიტომაც, მიხეილ ჭავჭავიძელის აღარა სჯერა თვალსა და გლეხს შორის ჰუმანური ურთიერთობის დამყარება, მათი ნებაყოფლობითი თანასწორუფლებიანობა.

მიხეილ ჭავჭავიძელის ადრინდელი მოთხრობებიდან ვამოიჩივება „უშმაკის ქვა“. მოთხრობა მწერლის შემოქმედების ძირითადი თემატიკისა და ინტერესების ფარგლებს ვარეთ რჩება. ჭავჭავიძელი თვითონვე აღნიშნავს, რომ „უშმაკის ქვა“ სულ სხვა მოტივისაა და იგი ვუსტავ ლეონის „ბრბოს ფსიქოლოგიაში“ დამაწერინაო. თუმცა მოთხრობას მარტო „მწიგნობრული“ საფუძველი როდი აქვს მწერალი იქვე აღნიშნავს, „ხალხის სამართლის“ სენა კი ჩემივე თვალს ვნახე ცხინვალში. მოთხრობა არ არის სოციალურად ისე მამხილი, როგორც მიხეილ ჭავჭავიძელის სხვა მოთხრობები. თუმცა, დიდი ინტე-

რესით იკითხება, რადგან მწერალი ამ ფსიქოლოგურად საინტერესო ამბის ჯეროვან მხატვრულ ვარდასახვას აღწევს.

* * *

ეს მოთხრობები, მიუხედავად მათი მეტ-ნაკლები მხატვრული ღირსებისა, მინც არ განსაზღვრავს მიხეილ ჭავჭავაძის ადრინდელი შემოქმედების მთელ დამსახურებას ქართული ლიტერატურის განვითარებაში. ისინი უშუალოდ უკავშირდებიან მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობას როგორც თმბაკით, ასევე მხატვრული კომპონენტებით; რაც მთავარია მეთოდით. რომლითაც არიან დაწერილი.

მიხეილ ჭავჭავაძის მთავარი დამსახურება ის გახლავთ, რომ თვითდამეგობროვებ იმ სიახლეს, რომელიც ახასიათებდა მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას და თავის პირველ მოთხრობებში წარმოსახვის ობიექტად აღამიანთა ახალი ურთიერთობა, ახალი ყოფა ვიახდა. მოთხრობები „ჩანჩურა“, „მეჩქეპე ვაზო“, „კურკას ქორწილი“ კაპიტალისტური საზოგადოების მიერ დანერგულ ეთიკურ ნორმებს უხსნის მკითხველს. მიხეილ ჭავჭავაძის მხატვრულად გახსნა და წარმოგვიდგინა კაპიტალისტური ცხოვრების წესის ანტი-უმანისტური ბუნება, ამ ფორმაციის მგლური კონონი, რომელშიც აღამიანი, პიროვნება არა-არაბად აქცია და ფულის ფეტვში დანერგა.

სწორედ თემატურმა სიახლემ განსაზღვრა მიხეილ ჭავჭავაძის კრიტიკული რეალიზმის თავისებურებებიც. აღნიშნული მოთხრობების დიდი მამხილებელი პათოსი, მიმართული ბურჟუაზიული ცხოვრების წესის წინააღმდეგ, შეადგენს ჭავჭავაძის ადრინდელი შემოქმედების უპირველეს ღირსებას და დიდი რუსი მწერლების ჩებოვისა და გორკის შემოქმედებას ეხმარება.

ჭავჭავაძის ადრინდელი მოთხრობების გმირები — ჩანჩურა, კურკა და სხვებიც ბურჟუაზიული საზოგადოების ცხოვრების წესის პასიური მსხვერპლები არიან. მათ ჩებოვის გმირებთან მეტი აქვთ საერთო. ვიდრე გორკის გმირებთან. მაგრამ სამყარო, სადაც ისინი ტრიალებენ, ის სამყაროა, რომელიც რუსულ ლიტერატურაში პირველად გორკიმ დახატა და ამით შეამწერა მკითხველ საზოგადოებრიობა. მაქსიმ გორკიცა და მიხეილ ჭავჭავაძე, იმისათვის რომ გააშვილონ ბურჟუაზიული ცხოვრების მანკიერება, ზშირად მიმართავენ ცხოვრების ფსევდოს აღამიანებს, მათ, ვინც ასე სასტიკად გათაღა სოციალურმა უსამართლობამ. ისინი წარმოგვისახვენ ცხოვრების უღმობელი მდინარებისაგან გარკვეულ ტიპებს, მოხეტიალეებსა და მათხოვრებს, დაჩაგრულებსა და დაწინაურებულს. ამიტომაც წერდა მიხეილ ჭავჭავაძე: „ჩემი სამწერლო მოღვაწეობის პირველ

ხანაში გორკის ერთგვარ გავლენას განვიცდიდი“.

საინტერესოა მიხეილ ჭავჭავაძის წერილი გორკისთან შეხვედრებზე. მწერალი იგონებს, როგორ ნახა მან, ჯერ კიდევ ყმაწვილმა მოსწავლემ, 1900 თუ 1901 წელს გორკი ყირიშში და რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ამ შეხვედრაში. „მხოლოდ ორიოდ წლის შემდეგ ვივლელ ხელთ გორკის მოთხრობები, — წერს მიხეილ ჭავჭავაძე, — და ხარბად დავეწაფე. ყველაფერმა გამაოცა და გამიტაცა: მისმა წერის ძალამ, ახალმა თემამ, ახალმა სამყარომ, ახალნარმა სახეებმა, წერის დახვეწილობამ, ენის სიმართლემ, სისადავემ, გამჭვირვალობამ, ტიპების ასახვის მანერამ, მისმა ორიგინალობამ და ფილოსოფიამ. ამგვარი რამ ჯერ არ წამეკითხა. ავტორი ხალხის ფსევრში უძლიერეს ტიპებს პოულობდა, რომელშიც არსებულ მოზარდს და წესწყობილებას ძირფესვიანად აზანზარებდნენ და ყველაფერს უარყოფდნენ... გორკიმ რამდენიმე დღეში დამიპყრო და მას შემდეგ მისი უდიდესი პატრივისტული გავხდით. („ოთხი შეხვედრა“, ლიტერატურული გახედი, 22 ივნისი, 1956 წ.).

ეს მოგონებები და პირველი მოთხრობების ტიპი ბოლომდე გვარწმუნებენ, რომ ჭავჭავაძის თავისი შემოქმედებით უთუოდ ენათესავებოდა გორკის. მაგრამ ამ ორი მწერლის ადრინდელი შემოქმედება ბევრი რამითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან; უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ გორკის მოთხრობების გმირები, „ფსევრის“ აღამიანები ზშირად არა მარტო თავისუფლებას მონატრულნი, არამედ თავისუფლებისათვის სტიქიურად ამბოხებულნიც არიან, რაც არ ითქმის ჭავჭავაძის გმირებზე. უკანასკნელი მხოლოდ პასიური მსხვერპლი არიან ცხოვრების უსამართლობისა და თავისი უზადრეკი ყოფით „ცოცხალ ლემს“ მოვლავნებენ.

მიხეილ ჭავჭავაძის პირველივე მოთხრობა „ჩანჩურა“ სწორედ ასეთ ნაწარმოებთა რიგს მიეკუთვნება. მწერალი დიდი აღამიანური თანაგრძობით გვიყვება ბედმავე ჩანჩურას ტრაგიკულ თავგადასავალს. თავისი ფიციური ნაკლის გამო ჩანჩურა ყველას დასაციინ და აბუჩად ასაგდები გამხდარა. იგი სულიერად და ცემულა, აღამიანის სახე დაუკარგავს, მათხოვრობითა და ბრბოს გასახალისებელი მანკვარებით შოულობს ლუკმაპურს. შემარზენია სცენა, სადაც ნაჭერი ხორცის გამო მარბის ვაქრუქანები ჩანჩურასა და ძაღლს აჩხუბებენ. არავის შესტკივა გული საცოდავ არსებზე, არავის აღუღებდა აღამიანური ღირსების ასეთი გათლევა, აღამიანისადმი ასეთი პირუტყველი დამოკიდებულება.

ერთადერთი აღამიანი, რომელიც ვინცდის ჩანჩურას ტრაგიკულ ხვედრს, თვითონ ავტორია. ეს, საერთოდ, არის დამახასიათებელი მი-



ბიელ ჯავახიშვილის ამ პერიოდის მოთხრობებისათვის. მისი გმირები, სოციალური უსამართლობით დაჩაგრულნი და გაუბედურებულნი, მარტონი არიან თავისი დიდი მწუხარებითა და დარღობთ, მათი აღამიანური განცდები არავის აღელვებს, არავის თანაგრძნობას არ იწვევს. ასეთია ნუცუცი, ეკაცი, კურკაცი, ჩანჩურასი. მხოლოდ მწერალს შესტიკვა გული, მათ ირგვლივ მყოფი აღამიანებიდან კი თითქმის არავის. ამით ავტორი კიდევ უფრო მშაფრად აგრძნობინებს მკითხველს, თუ რა მგლოვირ კანონები მოიტანა თან ახალმა საზოგადოებრივმა ფორმაციამ, როგორ დაიფიქვა აღამიანს თავისი აღამიანური მოვალეობა, როგორ ჩაყლა მასში კაცთმოყვარეობის გრძნობა, როგორ ზღვარი დაღო სოციალურად, ქონებრივად განსხვავებულ აღამიანთა შორის.

მოთხრობა „ჩანჩურა“ მკვეთრი სატირული ხასიათის ნაწარმოებია, რომელშიც მწერალმა უკიდურესად გაამიშვლა იმდროინდელი საზოგადოების ანტიპუმანისტური ხასიათი. თვით ჩანჩურას სიკვდილშიც კი ერთი წამითაც არ ჩაიფიქრა ბრბო, ერთხელაც არ გამოიწვია მასში არამც თუ სინიდისის ქენენა, სიბრალულის გრძნობაც კი. რამდენიმე წუთის წინ ბაზრის ხალხი ჩანჩურას ამასხარავებდა, ახლა კი იმავე სიტყვებით ქუჩის ძაღლს აქეზებდა და თან გულიანად იცინოდა. თითქმის არაფერი მომხდარა, თითქმის მათ თვალწინ სულ ახლახან არ ფართობდა სისხლში ნაწყალი ჩანჩურა, რომელიც მათ გამო მოჰყვა „ღროთის“ ქვეშ. არიენ ფიქრობდა ჩანჩურაზე ვარდა უბნის პოლიციელისა. მან ჩანჩურას სახელი და გვარი ვერ დაუღვინა ბოქვულს და მხოლოდ ერთი რამ აღარღებდა, ერთი აზრი უტრიალენდა თავში: „ახლა კი ნამდვილად გამაღებენ, უშეშველად გამაღებენ, თუ ამაღამვე ორი ქურდი ან ერთი „სიცილისტი“ არ დაეიჭირე. დილაზე ნამდვილად გამაღებენ, უშეშველად გამაღებენ“.

ჩანჩურაზე უკეთესი ბედი ცხოვრებაში არც კურკას ხედავიალად („კურკას ქორწილი“). მართალია, იგი ფიციურად ისეთი მანახი არ არის, მაგრამ თავისი მღვთმარეობით, ყოფით, ბედით ჩანჩურასაგან არ განსხვავდება. კურკაც უფული და ამდენად უფლებებო აღამიანია. მუწვი ჩანჩურად ან მეტყველი კურკა ბრბოსთვის ერთია, რადგან არც ერთ მოთვანს ფული არა აქვს. ჩანჩურასაგან განსხვავებით კურკას მეტი მისწრაფება აქვს აღამიანური ცხოვრებისაყენ, ცდილობს დამოუკიდებელი ცხოვრებას ეწიოს, მაგრამ ამას მარტო სურვილი არ ყოფნის. წლების მანძილზე კურკამ მხოლოდ გროშები დააგროვა. მხოლოდ ერთი დღე იყო კურკა ბედნიერი, როდესაც მას ცოლი შერთეს, მაგრამ იმავე დამეს მიხვდა, რომ ღარიკომ თავისი მძებეძი ქალი შეაჩემა ხელში. მერე კი, როდესაც კურკას გროშებიც დასტყუა და ქალიც მობეზრდა, დარჩომ ორთავე ქუჩაში გაყარა. კურკაც კვლავ ბრბოს

სამათხოვრო და სამასხარო საცოდავ არსებში იქცა.

კურკას და ჩანჩურას ვინ დაინდობდა ისეთ საზოგადოებაში, სადაც ხანუშამ, საროსკიბოს პატრონმა, თავისი მშველელიც კი ვერ გააკოტრა და მერვე გასწორა („მეჩქემე ვაბო“). მწერალი საროსკიბოს ცხოვრების საშინელ სურათებს გვიხატავს. ასეთ ფონზეც კი საოცრად მკვეთრად იხატება მეჩქემე ვაბოს ბედი, რაც იმდენად არ აღელვებს მკითხველს, რამდენადაც ანცივიფერებს. მეჩქემე ვაბო შეძლებული ხელსისანია, შეგირდებიც ჰყავს და დიდი სახელოსნოც გააჩნია. იგი საროსკიბოდან გამოიყვანს ხანუშას, თვითონ მას ვახდის საროსკიბოს პატრონად, ქალბატონ შეურჩენებს, მთელ თავის ფულს შეაღებს და, ბოლოს, როდესაც როლებიც შეიცვლება, ხანუშა გამდიდრდება და ვაბო გაკოტრდება, ამ უკანასკნელს ხანუშას ბრძანებით კობეზე დააგორებენ. იმ დროს, იმ საზოგადოებაში, სადაც საკუთარ კომპანიონებსა და მეცენატებს არ ინდობენ, სადაც ფულია ერთადერთი საზომი ყველაფრისა, ლაპარაკი ჰუმანიზმსა და ქველმოქმედებაზე წყლის ნაყავა და მეჩქემე ვაბოს შემდეგ სულაც არ უნდა გაგვიკვირდეს კურკასა და ჩანჩურას ტრაგიკული ბედი.

ეს მოთხრობები დიდი მამხლებელი პათოსითაა გამსჭვალული. მწერალი დასრულებული რეალისტი ოსტატის ხელით ქმნის კოლორიტულ სურათებს ბაზრობისა, ქორწილისა, საროსკიბოსი, სადაც თამაშდება აღამიანური ღირსების დამამცირებელი ტრაგიკული სცენები. მიხვილ ჯავახიშვილი მკაცრი რეალისტის თვლით ხედავს ცხოვრების მთელ მანეიერებას, ყოფითი სცენებით გვიჩვენებს საზოგადოებრივი ცხოვრების მთლიანეულ წყლებებს. ჩანჩურას, კურკას, ვაბოს ხვედრი თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს, მაგრამ არანაკლებ მძიმე შთაბეჭდილებას ასდენს მკითხველებზე ვარკეო, რომელშიც გმირებს უხდენდა ყოფნა. ბაზრის ეპურეანების, როსკიბო ქალების, წვრილი ხელოსნების ხელოვნური, ნაძალადევი სიმპიარულე, ისტერიული სიცილ-ხარხარის, ეს არის ვანწირულია ცდა, დაიფიქრონ თავიანთი ხვალისეული ბედი. უმრავლესობას იგივე ელთა, რაც ჩანჩურას, თუ ვაბოს, რომელთაც დღეს თვითონ დასცილიან და აბუჩად ივდებენ.

მწერალმა ვერაფერი დინახა აღამიანური მით ცხოვრებაში და ამიტომაც დაუნდობელი სატირას მიმართა. „ჩანჩურაში“, „კურკას ქორწილში“, „მეჩქემე ვაბოში“ ჩვენ ვერ ვერ ვხედავთ მწერლის იმ სითბოსა და ღირსიზმს, ერთგვარ გულჩვილობასაც, რომელიც გვიანდელ პერიოდში ბედისაგან დაჩაგრულია ცხოვრებაზე შექმნილ მოთხრობებში ძლიერად იხივრის თავს. მიხვილ ჯავახიშვილმა ამ ციკლის მოთხრობებში მკაცრი განაჩენი გამოუტანა იმ დროის, იმ ეპოქის საზოგადოებრივ ცხოვრებას.

მიხედვით წავახიშვილის ადრინდელ შემოქმედებაში თავისი თემატიკით გამოირჩევა მოთხრობა „ჭილი“. მწერალმა, რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში დაწერილი მოთხრობებით, ძირითადად გვიჩვენა სამყარო, რომელიც გვარწმუნებს რევოლუციური გარდაქმნების აუცილებლობაში. იგი დაწყებული, უკიდურესი ეგოიზმით, ადამიანის სიძულვილით გამსჭვალული სამყარო ღირსია დამსხვრევისა, უარყოფისა. ასევე ძლიერად და შთაბეჭდილად არ ასახულა წავახიშვილის მოთხრობებში ახალი, მზარდი ძალა, რომელსაც უნდა განეხორციელებინა დიდი მისია ძველის ნგრევისა და ახლის შენებისა. გორკის მთელი დამსახურება იმაში მდგომარეობას, რომ მან იმდროინდელი ცხოვრების ორივე მხარე მხატვრულად ძლიერად და საინტერესოდ წარმოგვამახა თავის ადრინდელ შემოქმედებაში. ამ მხრივ მიხედვით წავახიშვილის ადრინდელი შემოქმედება უფრო ცალმხრივია, ნეგატიურია. მხოლოდ ერთი მოთხრობა „ჭილი“ უძღვნი ავტორმა რევოლუციური ზვირთების უშუალო გამოხატვას. აქაც მწერალს უფრო ფსიქოლოგიური მომენტი აინტერესებს, უდანაშაულო მკვლელის განცდები, მაგრამ მთელი ფაქტურა მოთხრობისა რევოლუციური სინამდვილეს ემყარება და, ამდენად, ამ ფსიქოლოგიური საკითხის მხატვრულ გარკვევასთან ერთად, მიხედვით წავახიშვილმა ეპოქის საინტერესო სურათი დაგვიხატა.

„ჭილი“ გმირი გიორგი ჭიხაძე უფროდ ამრავალფეროვნებს მიხედვით წავახიშვილის ადრინდელი მოთხრობების გმირების გალერეას. იგი დადებითი გმირია, ნაოლად გამოიხატავს მშრომელი ხალხის საუკეთესო თვისებებს. მწერალი ჰუმანიზმს მხოლოდ დაზიანებულ, დაზარალებულ ხალხში ხედავდა და ამიტომაც ადამიანური გრძნობის გამოხატულებები მოთხრობებში სწორედ ის გმირები არიან, მშრომელ ხალხს რომ გვისაბიერებენ, რომელთა სიმპათიებიც სოციალური უკუღმართობით წელში გატეხილი ადამიანებისკენაა მიმართული. ასეთად წარმოვიდგება კონკრეტული მხატვრული სახეებიდან ნუცა, ეკა, სოფიო. უკანასკნელთაგან განსხვავებით, გიორგი ჭიხაძე უფრო აქტიურია. იგი ვარბის ყანარმოდან და ამით გამოიხატავს აქტიურ პროტესტს დიდი უსამართლობის წინააღმდეგ, რომლის ტრაგიკული გამოვლენის უნებლიე მონაწილეც თვითონ გახდა.

ქართულ სალიტერატურო კრიტიკის შეუქმნველი არ ღირსა მიხედვით წავახიშვილის ნიჭიერება, მასში სამართლიანად ხედავდნენ ქართული ლიტერატურის რეალისტური ტრადიციების გამგრძელებელს. მწერლის პირველსავე მოთხრობებს გულთბილად შეხვდა საზოგადოებრიობა. პირველი მოთხრობის დაბეჭდვიდან უკვე ორი თვის შემდეგ კრიტიკოსი ზანგაი (გრიგოლ

რცხილაძე) „ცნობის ფურცელში“ ვრცლად იხილავდა და მაღალ შეფასებას აძლევდა „ჩანჩუტას“. გამოჩენილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე 1908 წელს „ფასკუნჯის“ მესამე ნომერში მიხედვით წავახიშვილის მოთხრობებს არჩევდა და სამართლიანად აღნიშნავდა: „იმ მწერალთა შორის, რომელთაც რევოლუციის ეპოქაში იჩინეს თავი, ყველაზე დიდი უტრადიდების ღირსია ადამიანი (მ. წავახიშვილის ფსევდონიმი — გ. გ.), რომელსაც უკვე დიდი ნიჭი აქვს მხატვრისა და თავისებური მანერა წერისა“.

3.

1907 წელს მიხედვით წავახიშვილი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო, ერთ ხანს პარიზის უნივერსიტეტში სწავლობდა ლიტერატურასა და ხელოვნებას. აქ დაწერა თავისი ადრინდელი შემოქმედების უკანასკნელი ნიმუში „ემმაკის ქვა“. მას შემდეგ იგი, როგორც მწერალი, თხუთმეტ წელს სდუმდა. ბუკრის ეგონა, მიხედვით წავახიშვილი სამუდამოდ ჩაოსკილდა მწერლობასო. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს იყო ცხოვრების ღრმად შესწავლის, მასალის დაგროვების წლები. წავახიშვილმა პარიზის შემდეგ ევროპის ქვეყნები შემოიარა, 1909 წელს სხვისი პასპორტით დაბრუნდა საქართველოში და კვლავ დურნალისტიკობას მიჰყო ხელი. 1910 წელს იგი დააპატიმრეს. ბრალდებულ წლებს მანძილზე მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობა წაუყენეს, ერთხანს მეტეხის ციხეში ამყოფეს, შემდეგ კი კავკასიიდან გაასახლეს. წავახიშვილი 1913 წლამდე როსტოვში ცხოვრობდა, მერე კვლავ დართეს ნება თბილისში დაბრუნებულიყო, სადაც სხვადასხვა დაწესებულებებში მსახურობდა. პირველი მსოფლიო ომის წლებში იგი წითელი ჯარის სამსახურში შედის. წავახიშვილმა თხუთმეტი წლის მანძილზე ბუკრის იმთავრობა უცხოეთსა და თავის სამშობლოშიც, ბუკრის რამ ნახა და განიცადა. „მწერალმა, ნამეტან კი პროზაიკოსმა, — წერდა წავახიშვილი, — ბუკრის უნდა იმოგზაუროს, რათა ყველაფერი ნახოს, განიცადოს, გაიგოს, მოისმინოს და შეისრუტოს, თორემ ვისაც ბუკრი არა მიუღია რა, ის ბუკრის ვერც მოგვეცემს“ („გორგი ველშობ“, მნათობი, 1933 წ. № 10, გვ. 191).

ცხოვრების ღრმად შესწავლის მხრივ ეს წლები წავახიშვილისათვის მეტად ნაყოფიერი იყო. მით უმეტეს, რომ წავახიშვილს არასოდეს უფიქრია ხელი აეღო თავის მოწოდებაზე და ახალი რომანებისა და მოთხრობებისათვის გულმოდგინედ იმარაგებდა შთაბეჭდილებებს. „ერთი მხრივ მე ბედნიერი მწერალი ვარ: ძალიან ბუკრის მიუღია და მინახია, განმიცდია და გამიგონია, ამიტომ ავტობიოგრაფიული დუღაბი (დაკვირვებაც და ჩანაწერებაც მისი ნაწილი) საკმაოდ მომეპოება“ — ამბობდა მიხედვით წავახიშვილი. ეს არ იყო ლიტონი განცხადება: წავახიშვილის

მთელი შემოქმედება ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რა რიგ ღრმად იხედებოდა იგი ცხოვრებაში და როგორ არჩევდა ნანახსა და განცდილს.

მიხეილ ჭავჭავიძის წერილი, „როგორ ვმუშაობ“, მკვლევარსა და მკითხველს მწერლის შემოქმედებითი ინტერესებისა და შრომის შესახებ ბევრ საყურადღებო ცნობას აწვდის. ჩვენთვის ამ წერილითაც ნათელია, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მიხეილ ჭავჭავიძეილი ცხოვრებასთან ახლო ყოფნას, ხალხთან უშუალო კავშირს, შემოქმედების პირველსაწყის მასალას — სინამდვილეს. „დაკვირვება და ავტობიოგრაფია განუყრელად არის ერთმანეთში ჩახლართული. განცდილი და საკუთარი თვალით ნანახი ისევე არა ჰგავს მოგონილს, როგორც სულიერი უსულოს“. ჭავჭავიძის კარგად ესმის, რომ მხოლოდ ნანახი და განცდილი ჯერ კიდევ არ ქმნის მწერალს, ამას სხვა, უმთავრესი და მიუგნებელი რამ, ნიჭი სჭირდება, მაგრამ „ნაშალადვედ მოგონილია მასალამ... ზოგი უდავოდ დიდი მწერალიც დაამარცხა“ და ამიტომ უშუალოდ განცდილი, ნანახი და მოგონილი ერთმანეთს როგორც სულიერი და უსულო ისე დაუპირისპირა.

როგორც თვითონვე გადმოგვცემს, მწერალს, ადრე, ცხოვრებაში უნახავს თავისი ლიტერატურული გმირები: ჩანჩურაძე, მენჯექვე გაბოც, კურკაც, ლამბალოც, ყაშაძე, აბდულაძე, ჭყავი, კვაჭი, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო ნარევი, სინთეზური ტიპია. მიხეილ ჭავჭავიძეილი თვით ისტორიული რომანის გმირებისათვისაც კი რეალურად აღმანიანებს, თავის ახლობლებსა და ნაცნობებს იყენებდა პროტოტიპებად. მისი ღრმა რწმენით „პროტოტიპი ძლიერ ეხმარება მწერალს. თუ მას თვალწინ ცოცხალი ნაცნობი უდგას, მისი ტიპიც ცოცხალი გამოვა“, ამიტომაც „არსენა მარაბდელის“ გმირებს თითქმის ყველას გამოუძენა პროტოტიპები. ეს არ არის ერთადერთი და აუცილებელი ხერხი ისტორიული ჟანრის ნაწარმოების ლიტერატურული გმირის სახის შექმნისა, თუმცა საკმაოდ ბევრი გამოჩენილი მწერალი იყენებდა მას და ამ ხერხმა ჭავჭავიძეილის რომანის წარმატებასაც უშუალოდ დაიდად შეუწყო ხელი.

1923 წელს მიხეილ ჭავჭავიძეილი დაწერა და გამოქვეყნა მოთხრობა „ტყის კაცი“. ეს მოთხრობა სათავეს უდებდა მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფიის მეორე პერიოდს. ამის შემდეგ მიხეილ ჭავჭავიძეილი ზედიზედ აქვეყნებს მოთხრობებსა და რომანებს.

„ტყის კაცში“ ერთი შეხედვით მწერალს ალაღმართალი და შრომისმოყვარე პაულის ოჯახის ტრაგიკული ბედი უნდად იჩვენებინა მხოლოდ. მაგრამ მოთხრობის მიზანდასახულობა გაიკლებით უფრო დიდია და მნიშვნელოვანი. დაკვირვებულ მკითხველს არ გამოუპარება მწერ-

ლის სიტყმელი, რომელიც ადამიანისა და ცხოვრების ურთიერთდამოკიდებულების რთულ და მარადიულ საკითხს ეხება. პაულე მუდღის სიკვდილის შემდეგ თავის ორ შვილთან ერთად ტყეში გადასახლება, მოსიკვლეობა სოფელს, ამდენად — ცხოვრებას და ცდილობს თავისი საკუთარი სამყარო შექმნას.

პაულე მხნე, პატიოსანი, მართალი, გამარჯვადამიანი, შეძლებს კიდევ დოვლათით სასიყვარულო გაიინოს. პაულე შორს არის სოფლისაგან და მის არც აინტერესებს იქაური ცხოვრება. თითქმის მიზანს მიაღწია, მაგრამ მალე დასჭირდება სოფლის დახმარება. ბავშვი ავად გაუხდება და მუდღის სიკვდილით ერთხელ უკვე დაშინებული მხნე ვაჟიცა უცებ გატყდება. პაულე თვითონ მაინც არ ბრუნდება სოფელში, უფროს ვაჟს გამოატანს ავადმყოფს. უკან დაბრუნებისას პაულეს შვილებს საბედისწერო შემთხვევა იმსხვერპლებს და გაგიჟებული პაულეც კეცხლს მისცემს თავის განმარტოებულ სახლს, თვითონ კი ტყე-ტყე დაბრუნდება და დაღუპულ ბავშვებს უხმობს. მოთხრობა დიდი ადამიანური ტრაგედიაა სახე და მწერალიც იშვიათი ოსტატობით გადმოგვცემს პაულეს მიმდევრებს. შემარტუნებელი პაულეს ორთაბრძოლა ბუღასთან. მამა და მკვლეელი, ადამიანი და პირუტყვი, ორი მოსისხლე მტერი ვბრძვის ერთმანეთს მთელი სოფლის თვალწინ და მხოლოდ შურისძიების გრძნობა გამარჯვებუნიებს პაულეს, იგი სწორედ გოგაის საფლავში დასავენს სასიკვდილოდ დაჭრილ ბუღას. მოთხრობა მშობლის სიყვარულის აბოლოგია, თითქმის ეს არის ერთადერთი რამ, რისი თქმაც ჩვენთვის მწერალს უნდოდა, მაგრამ მთავარი სათქმელი აქ გაიკლებით უფრო ღრმად დავს და თუ ჩვენ პაულეს ტრაგედიის მიზეზებს დაუწყევბთ ძებნას, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ იგი არ უნდა მოწყვეტოდა სოფელს, არ უნდა გასცლოდა ადამიანებს, საზოგადოებას. მოთხრობის მთავარი დანიშნულებად სწორედ ამ აზრის გამოხატვა და დამკვიდრება უნდა მივიჩნიოთ.

ოციან წლებში, როდესაც მიხეილ ჭავჭავიძეილი მწერლობას დაუბრუნდა, რთულად იღვა კლასიკური მეგვიდროების საკითხი. სიმბოლისტებიც, ფუტურისტებიცა და რაპსელებიც, სხვადასხვა ფრაზებით და სხვადასხვა პოზიციებიდან, მაგრამ ერთნაირი გულმოდგინებით ურყოფდნენ კლასიკური ლიტერატურის ტრადიციების დიდ მნიშვნელობას. ქართულ მწერლობაში მიხეილ ჭავჭავიძეილი იყო ერთ-ერთი იმთავიანი, ვინც რევოლუციური ვარდაქმნების პათოსმა ყველაფრის უარყოფამდე არ მიიყვანა. იგი ყოველთვის ერთგული იყო ქართული კლასიკური მწერლობის რეალისტური ტრადიციების, 900-იან წლებშიც. როდესაც პირველ მოთხრობებს წერდა, ოციან წლებშიც და თავის უკანასკნელ ნაწარმოებშიც (რომანი „ქალის ტერიოი“). მი-

ხეილ ჭავჭავიძევილი მუდამ დაბეჭდვით მხოლოდ წოდებდა ახალგაზრდა ქართულ საბჭოთა ლიტერატურას თავის დიდ მასწავლებლად ჰყოლოდა კლასიკური ლიტერატურა, დაყრდნობდა მის მიღწერას ტრადიციებს, განსაკუთრებით კი მასწავლა მისგან ახლის მხატვრული გამოხატვა, რაც ასერივად აკლდა ახალ მწერლობას. იგი წერდა: „კლასიკოსებთან დაკავშირებით შემდეგი მინდა ვთქვა: ავტია საქაოდ ჭიუტად ბოგინობს ამ ქვეყანაზე. მისი ერთდღობით იარაღი ნაჭახია. მასწავლობთ კლასიკოსებისაგან იდეურ-ესთეტიკური ნაჭვარის შექმნის უმაღლესი ხელოვნება — აი ის რთული და ძნელი გზა, რომლითაც შეიძლება შემოქმედებითი ევრეტის მწვერვალზე ასვლა“ (ლიტერატურაზე განხილვა, 1933 წ. 11 ნომერი).

მოთხრობა „ტყის კაცი“, რომელშიც ასე შეფარებითაა გადმოცემული რთული ფილოსოფიური საკითხი ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებისა, ერთი ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა შეახამოს მწერალმა სახის აზრობრივი და მხატვრული ფუნქცია. ამ მწერლური ნიჭიერების ნიმუშად ჭავჭავიძის ბევრი მოთხრობა და რომანი გამოდგება. მიხეილ ჭავჭავიძევილი მთელი თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობით ებრძოდა მავნე ტენდენციებს, რომლებიც ქართული მხატვრული პროზის განვითარებას აფერხებდა ოციან წლებში, ეს იყო, ერთის მხრივ, ფორმალისტურ-დეკადენტური მიმდებარე და, მეორეს მხრივ, უსულგულო ნატურალიზმი. ერთმაც და მეორემაც მკითხე ზიანი როდი მიაყენა ქართულ ლიტერატურას. ვარდა ამისა, ქართულ საბჭოთა ლიტერატურას არაფერს მატებდა შემოქმედება იმ მწერლებს, რომელნიც თავიანთ ყურადღებას ახალ ცხოვრებას უთმობდნენ, მაგრამ მხატვრული წამისახვის თვალსაზრისით ძალზე პრიმიტიული იყვნენ და ნაკლები ნიჭიერებისა თუ გამოსახველობითი ხერხებისადმი თავისი გულცივობის გამო ვერ ამაღლდნენ ჰუმანიტარულ მწერლობამდე. მიხეილ ჭავჭავიძევილისათვის ერთნაირად მიუღებელი იყო მხატვრული სახის თვითმიზნად გადაქცევის პრინციპი და ჭანსალი იდეების პრიმიტიული ვადმოცემა. მწერალი დაბეჭდვით მოითხოვდა ახალი იდეების სათანადო მხატვრულ ყალიბში მოქცევას.

* * *

მიხეილ ჭავჭავიძევილის მოთხრობები თემატიკისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით მრავალფეროვანია, მწერალს ერთნაირად ინტერესებს ადამიანის მორალურ-ზნეობრივი საფუძვლებიც, მისი ყოფაც ახალ ისტორიულ პირობებში, გრძნობაც და განცდაც, მისი დამოკიდებულებაც რევოლუციასთან. ადამიანის ვალი სამშობლოს, ხალხის, ოჯახის, მეგობრების, ახლობლების წინაშე მწერლის განსაკუთრებულ ყუ-

რადღებას იქცევს. ასევე მრავალფეროვანია მ. ჭავჭავიძევილის მოთხრობების ტიპაჟიც. მწერალი გვიხატავს ცხოვრებისაგან ვხაზბნეულ ადამიანებსაც, რომელნიც ვერ გარკვეულან რევოლუციის რთულ ეპოქაში, იმათაც, ვისთვისაც ყოველი ეპოქა სინტერესსა მხოლოდ ერთი თვალსაზრისით — რა საშუალებასა და გზებს სტოვებს იგი ბნელი საქმიანობისთვის; მწერლის მოთხრობებში ვხედავთ დიდი ადამიანური გულის მქონე გმირებსაც, რომელთათვის ზნეობრივი სწიშნად და სიმართლის ძიება მთავარი, ვხედავთ მათ საპირისპირო ტიპებსაც; ისინი მხოლოდ ბოროტებისა და სიძულვილის მთესვლებს არიან. მაგრამ ჭავჭავიძევილის ყოველი მოთხრობა, რა თემასაც არ უნდა ეძღვნებოდეს იგი, ადამიანის რა საწყისსაც არ უნდა გამოხატავდეს — ბოროტსა თუ კეთილს, დიდი მოქალაქეობრივი შეგნებითა და გრძნობითაა გამსჭვალული.

მიხეილ ჭავჭავიძევილი დიდი სიბოთით და სვედით მოვითხრობს ადამიანებზე, რომელთაც ცხოვრებაც დროის სიმკაცრის გამო დრამატიზმით, ხოლო ზმირად ტრაგიზმით არის სავსე. მწერლის გმირები მოქმედებენ საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით მეტად რთულ პირობებში, პირველი მსოფლიო ომის, რევოლუციის, ძველის ნგრევისა და ახლის შენების დროს და ბევრი მათგანის ბედი ისევე რთული გასარკვევია, როგორც იმდროინდელი ცხოვრება. ბოროტისა და კეთილის ბრძოლა უვლანზე მწვევედ სწორედ ასეთი ისტორიული ქარტახილების დროს მიმდინარეობს და მწერალიც მთელი თავისი მხატვრული სიტყვით, თბილითა და ნუგეშისმცემლით, თუ მკაცრითა და მამოხლებელით კეთილის ქომავად დგას. მიხეილ ჭავჭავიძევილის მთელი სიმბათია ბედისაგან დაჩაგრულთა მხარეზეა და მისი დადებითი გმირებიც, მხატვრულნი სიყეთისა და ჰუმანიზმისა. ეს უბრალო ადამიანები არიან.

მოთხრობები „ლამბალო და ყაშა“ და „მესამე“ უშუალოდ პირველი მსოფლიო ომის წლების ცხოვრებას ეხება (ეს ეპოქა სხვა მოთხრობებშიაც და რომანებშიც აქვს მწერალს გახსნილი) და ეძღვნება იმათ, ვისი ცხოვრებაც ასე უღმობლად დაანგრია ომის ზანძარმა. „ლამბალოსა და ყაშას“ შესავალი თავი, სადაც მწერალი აზერბაიჯანის ერთი ნაწილის — ურმის ისტორიას გადმოგვცემს რომანტიკულ ფერებში, მკითხველს უხსნის მთელ უბედურებას, რაც ყოველთვის მოქმედნად და მოაქვთ თან ომებს. ამ ტერიტორიის მოსახლე ძველი და დიდებული სახელმწიფოების ბედი, ასერივად რომ ვისთვლა და დაანგრია დრომ, განუწყვეტლად ომებმა, ბევრის მეტყველია და მწერალსაც და მკითხველსაც ერთგვარ სევდასა მგვრის. ეს სევდიანი უეტრტიურა მწერალს იმისათვის სჭირდება, რომ ერთი უბრალო ადამიანის — ლამბალოს ტრაგი-



კულ ხვედრთან დაეკავშირებით ომის მთელი სა-
შინელება განზოგადებულად ვახსნას და გვიჩ-
ვენოს.

მოთხრობაში ერთმანეთს უპირისპირდება ორი
ძალა — ბოროტი და კეთილი. დანაგრეული, და-
შონებული ქვეყნის ტერიტორიაზე იშლება მოქ-
მელება და ბოროტისა და კეთილი საწყისების
კონკრეტული განსახიერებაც ამ ერის შვილები
აჩიან. ლამბალო ერის, ხალხის საუკეთესო თვი-
სებების მატარებელი დადებითი გმირია. თავი-
სი უშუალოებით, სიფაქიზით, გრძნობათა სიწ-
მინდით, თავისუფლებისმოყვარე სულით ხიზ-
ლავს მკითხველს და მის გულწრფელ სიმპათიებს
იხსახურებს. სამაგიეროდ ყაშა მხატვრული,
განზოგადებული სახეა გადაგვარებული ადამიან-
ებისა, რომელთაც პირადი კეთილდღეობისათ-
ვის ყველაფერს, საუკეთესო ოჯახისა და სამშობ-
ლოს გაყიდვაც არაფრად უღირს. ყაშა მბრძო-
ნების მონაა და დანაგრეულის მებრძინებელი,
იგი ფეხქვეშ ედება კოლონილისტებს და ფე-
ხით სთელავს თავის თანამემამულე უბრალო
ადამიანებს. მისი დასმენით ბევრი იღუპება, მათ
შორის ლამბალოც, რომელიც მხოლოდ თავის
ადამიანურ უფლებებს იცავს.

მოთხრობით მწერალმა გაცილებით მეტი
გეითხრა, ვიდრე შეიძლება ერთი შეხედვით მო-
გვეჩვენოს. ლამბალო არა მარტო თავის პირად
ტრავმადს, არამედ, რაც მთავარია, ერის ტრა-
გედიას გვიხსნის, ერისა, რომელიც კოლონიურ
მდგომარეობაში იმყოფება. სამშობლოს უბრა-
ლო, ადამიანური სიყვარული არ აპარტის ლამ-
ბალოს და არ აპარტის სწორედ თავისივე ერის
გადაგვარებულმა შვილმა. მწერალი დიდი მხატ-
ვრული ძალით გვიხსნის ყაშის სახეს — ერის
გამყიდველს, ბოროტების სიმბოლოურ სახეს.
სამართლანად შენიშნავს პროფ. დიმიტრი ბე-
ნაშვილი, რომ „ეიასც უნდა დამპყრობლის ბუ-
ნება ვაიგოს და მისდამი სიძულვილით განიმ-
კვალოს, მან უსათუოდ უნდა წაიხიზნოს მო-
თხრობა „ლამბალო და ყაშა“. მართლაც ლამბა-
ლოცა და ყაშაც, ორივე, ერთი თავისი სიყვით-
თა და მეორე თავისი ბოროტებით, ცარიზმის
კოლონიალური პოლიტიკის მთელი სიმახინჯის
მამხილებელი სახეა.

კოლონიალიზმის ამ დიდი მამხილებელი პა-
თოსის გამო „ლამბალო და ყაშა“ სცილდება
ომის თემატიკის ჩარჩოებს და დიდ მოქალაქე-
ობრივ, პატრიოტულ ელერაობას იქნს.

შედარებით უფრო ვიწროა მოთხრობა „მე-
სამის“ პრობლემატური ჩარჩო. ეს ნაწარმოე-
ბიც პირველი მსოფლიო ომის თემატიკას ეძღუ-
ნება. მწერალმა აქ არ მიმართა ისეთ დიდ გან-
ზოგადებებს, როგორისაც „ლამბალოსა და ყა-
შაში“ და თავისი ინტერესების სფერო ომის სა-
შინელების კონკრეტული გამოხატულებით გან-
საზღვრა. ომმა ერთბაშად დაანგრია ირი-
ნეს ბედნიერება და მისი აღდგენა ვერაღერო

მოხერხდა. იქ, საღრანგეთში, ელის თავის უნდა-
გეშო აღსასრულს კუტი ეან შოვერი, აქ საქარ-
თველოში, მარტოდმარტო დარჩა თავისი დანგ-
რეული ცხოვრებით ირინე, ვაფი კი შოვერის
მშობლებმა წაართვეს დედას. ერთი ოჯახის
ფონზე გვიხსნის მწერალი ტრავმადის, რაც ომს
მოაქვს ათასობით ირინეებისა და ეანებისათვის.

„მესამეში“ მწერალი მოგვიხიზნავს ახალ-
გაზრდა ლამბალო ქალის რომანულ ურთიერთო-
ბებზეც, ზოგჯერ ერთგვარად კიდევ ამშველვებს
მის გრძნობებსა და ენებათაღელვას, მაგრამ
ირინე, მიუხედავად მძიმე თავგადასავლისა, ხი-
ფათითა და განსაცდელთ სავსე ცხოვრებისა,
ზნეობრივად შეუტყველო ადამიანად რჩება.

რომანულ ინტრიგებზე მიხედავს ჯავახიშვილს
რამდენიმე მოთხრობა აქვს აგებული: „შურის
მაძიებელი“, „ოქტოს კბილი“, „ყუბანი დაიგვიანა-
ნა“, „მუსუსი“, „პატარა ღედაკაცი“, „სურბ-
ღელი“, „ცხრა ქალწული“ და სხვა.

ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ აღნიშ-
ნა მიხეველ ჯავახიშვილის ამ თემატურით რეალის
მოთხრობების მაღალი ზნეობრივი საფუძველი,
თუმცა იგივეს გაეორება მოთხრობა „მუსუსისა“
მიმართ რაიმოდღაც ვაუტყვირდა. თუ ამ ციკლის
მთელი რიგი მოთხრობები მწერალს ერთგვარად
მინორული ტონით აქვს დაწერილი („ყუბანი
დაიგვიანა“, „ოქტოს კბილი“ და სხვა), „მუსუს-
სი“ იუმორითა და სიცოცხლეთ სავსე ნაწარ-
მოებია. ეს მოთხრობაც არანაკლებ გვიმტკიცებს
ქვეშაირტი, უანგარო სიყვარულის მშვენიერე-
ბის რწმენას, ვიდრე მწერლის სხვა მოთხრობე-
ბი. მოთხრობა 1925 წელსა დაწერილი და
თუმცა მოქმედების დრო მწერალს აშკარად არ
აქვს მინიშნებული, მაინც შეიძლება შეუძქდა-
რად ითქვას, რომ სწორედ 20-იანი წლების ქარ-
თული სოფლის ცხოვრება აქ წარმოსახული. ამ
დროს თუმცა სციალურია უთანასწორობა ჯერ
კიდევ არსებობდა და ძლიერ დაღსაც ამჩნევდა
გლეხის ფსიქოლოგიას, მისი საფუძველი მაინც
საკმაოდ შერყეული იყო, რადგან საზოგადოებ-
რივი ცხოვრების რევოლუციურმა გარდაქმნებ-
მა ახალი სული, განწყობილება, იდეები შეიტარ-
ნა სოფლად. სწორედ ამიტომაცაა, რომ თუ სო-
ციალური უთანასწორობის გამო აღრე სიყვარ-
რული მარცხდებოდა და ამაზე აგებული ლი-
ტერატურული ნაწარმოებები ტრავგიული ელერა-
დობისა იყო, ახლა მწერალს კარგად ესმის
ცხოვრებაში მომხდარი გარდაქმნები და ძველის
გამომახილს თამამად დასცინის.



მიხეველ ჯავახიშვილის მოთხრობების — „მარ-
თალი აბდულოპ“, „ორი განაგენი“, „ორი შვი-
ლი“ — ვმირებს საერთო ისა აქვთ, რომ ისინი
კაცისმკვლელები არიან. მწერალს მათი დანა-
შუული კი არ ინტერესებს, არამედ ის, თუ რამ-
დენად მართალნი ან მტყუანნი არიან ისინი თა-
ვიანთი სინდისისა და ადამიანების წინაშე. ამ

თვალსაზრისით კი ჩვენ სულ სხვადასხვა ბუნე-
ბისა და სიმართლის გმირებთან გვაქვს საქმე-
მწერალი მხოლოდ ეთიკური პრინციპებით უდ-
გვება მათ საქციელს და ეს საფუძველზე მათი და-
ნაშაულის განსჯისა უფრო ადამიანური, უფრო
სწორია, ვიდრე იურიდიული. მწერალი თავისი
გმირების შინაგანი განცდებითა და ფარული
ზრახვებით გახსნით უფრო ნათლად გვაგებინებს
მათ დანაშაულსა თუ სიმაართეს, ვიდრე ის
ვაჭტვები, რომლებსაც მართლმსაჯულება ეყრ-
დნობა.

ქართულ ლიტერატურაში მიხედავ ჩავახიშვი-
ლის „მართალი აბდულაჰ“ ერთ-ერთ საუკეთესო
სა ნოველდაა აღიარებული. ეს დღეი შეფასე-
ბა ნოველამ მართო თავისი უზალო მხატვრული
ღირსებით კი არ დამსახურა, არამედ თავისი
ღიდი ეთიკური სიწმინდითა და სიძლიერითაც.
მოქმედების დრამატული განვითარება, მართა-
ლი აბდულაჰის ტრაგიკული ბედი იმდენად იტა-
ციებს მკითხველს, რომ თითქოა თავდაპირველად
ველარც ვაქცევი ყურადღებას ნოველის მხატვ-
რულ ღირსება-ნაყოფიანებებს. მხოლოდ მოგ-
ვაწინებით, როდესაც ჩვენი ემოციებო განსჯის
უნარს უთმობს ადვოკატს, მივდივართ იმ დასკე-
ნამედ, რომ მართალი აბდულაჰის ბედი იმიტომ
კვადღელებს ასერიგად, რომ მწერალმა დიდი
ოსტატობით გავგისხნა მისი სულიერი სამყარო
და დავგარწმუნა კაცისმკვლელის ადამიანურ
სიმაართეში.

აბდულაჰი ერთი მთავარი გმირია ნოველისა
და მწერლის მთელი ყურადღება ამ უშუალო-
ბით, უბრალოებით, პატივსწემებით სავსე მიამიტი
თათრის სულის გახსნაზე ვადგტანილი. ნოვე-
ლის დასაწყისშივე, როდესაც ჩვენ ვხედავთ სა-
სამართლოში გულუბრყვილო და კეთილი გამო-
მეტყველების, ზორბა ტანის ბორჩილოდ თა-
თარს, ვადგენებთ თვალს მის მიმოკასა და ქეს-
ტიკულიცაიას, გვესმის მისი კუთხური ვარჯი-
თის სავსე ცოცხალი მეტყველება. გულიდან ამო-
მხდარი წრფელი ფიცი, რომელსაც იქვე თვი-
თონ გვითარგმნის დამტვრეული ქართულითა
და რუსულით, გვეკრა: იგი მართალია. აბდუ-
ლაჰი მართლაც არ სტუფოდა, მას არ ვაუძარტ-
ვავს გლახები, არც კაცი მოუქლავს, მაგრამ ვერ
ამტკიცებს თავის სიმაართეს, რადგან ნაქურ-
დალი სახლი უპოვნეს. აბდულაჰს სჯერა თავი-
სი სიმაართისა და ჰგონია, მოსამართლეებიც
დაუჭერებენ. ამიტომ ანუგეშებს გულწრფელად
თავის საყვარელ დედას და ცოლს. მოსამართ-
ლეებისათვის აბდულაჰის ფიცი ბევრს არ ნიშ-
ნავს და ათი წლით პატიმრობას მიუსჯიან. მარ-
თალი აბდულაჰი ერთი ოცნებით იხდის სას-
ჯელს, რომ როგორმე ოჯახი არ დაეწგრეს. მაგ-
რამ ეს ოცნება არ აუხდება მას. უპატრონოდ
დარჩენილ ოჯახს ნელ-ნელა გაქურდავენ და
გაპარტახებენ. დედა დარღს ვადაყვება. აბ-
დულაჰი ცოლსა და შვილს შენატრის, მაგრამ,

როდესაც სასჯელის მოხდას სამი თვეა უკლდა,
შეიტყობს, რომ მის ოჯახს რაღაც უბედურე-
ბეა და ეს უწყინარი პატიმარი ერთ დღეს, ყვე-
ლასათვის მოულოდნელად გაიქცევა ციხიდან.

სოფელში სახლის ნაცვლად ნანგრევებილა
დახედება და შეიტყობს, რომ ცოლი სხვისთან
ერთად გაქცეულა. კეთილი აბდულაჰი კაცის-
მკვლელო ხდება, იგი სამაგიეროს მიუზღავს თა-
ვის ბიძაშვილს, ვისი გულისთვისაც ტყუილ-უბ-
რალოდ იხდიდა სასჯელს, ვისი მუხანათობითაც
დაინგრა მისი ოჯახი. სისხლში მოსკრილი აბ-
დულაჰი ბრუნდება ციხეში. ნოველის ფინალში
ისევ ის სასამართლო და უკვე სხვა აბდულაჰი,
კაცისმკვლელი აბდულაჰია ჩვენს წინ. აღარც
დედა, აღარც ცოლი და შვილი, ზის მარტოდ-
მარტო, მოღუნებული მსაჯულეების წინ და მხო-
ლოდ ერთსა სთხოვს მათ, ერთი ტყვია გაიმე-
ტონ საწყავს აბდულაჰისთვის. როდესაც სასი-
კედილო განაჩენის ნაცვლად მას გაამართლებენ,
აბდულაჰი კვლავ ძველი ექსპანსიური აბდულა-
ჰი ხდება, კვლავ არობროხდება და ამეტყველ-
დება და დანგრეული ცხოვრების პატრონს ახ-
ლა ისდა ახარებს, რომ მის შინაგან, ადამიანურ
სიმაართეს მიუხედავ.

სხვა განაჩენი და სხვა ბედი ხვდა წილად
მეორე კაცისმკვლელს, ბაჩილას (მოთხრობა
„ორი განაჩენი“). ბაჩილას, ამ სოფელს გულ-
უბრყვილო ბიჭს „შემოაკვდა ქალის გამო,
რომელიც თურმე როსკიბი ყოფილა, მას კი ოც-
ნებად ესახებოდა. მარტოდმარტოა ბაჩილა,
დედ-მამაც კი არ აკითხავს მისი მკვლელს. ბა-
ჩილას გაამართლებს სასამართლო, მაგრამ მის
არაფერს ელოდება. დედ-მამა, ჩემად რომ ისხ-
დნენ დარბაზის კუთხეში, ცოცად დამბრუნდები-
ან სოფელში. მოდის გაამართლებული ბაჩილა და
გულს უღრღნის სასამართლოში ნათქვამი ტყუი-
ლი. მართალია, მას მშის მოკვლა სულაც არ უნ-
დოდა, სარი რომ მოუქნია, თუმცა იმ ქალ-
თან წაასწრო, რომელთანაც თვითონ ჩემად
დაიპარებოდა, მაგრამ ისიც მართალია, რომ
მშას არ შემოუქრავს მისთვის ხელი, როგორც
ეს სასამართლებს სასამართლო, ამდენად, ბაჩილა
მინიც მტყუანია თავისი სინდისის წინაშე და
ამიტომაც ჩაიბიძგრობს თავს საყუთარ ეზოში.

მწერალი დიდი შინაგანი თანაგრძნობით გვი-
ხატავს ბაჩილას სახეს, რადგან ბაჩილა საბედის-
წერი შემთხვევის მსხვერპლია და არა ბოროტ-
მოქმედი. ავტორი უშუალოდ ერევა მოქმედ-
ების განვითარებაში და ერთგვარად ესაუბრება,
აზნევეებს თავის გმირს. ეს მიხედავ ჩავახიშვი-
ლის ერთ-ერთი დამახასიათებელი მხატვრული
ხერხია (რაც სამართლიანად აღნიშნა ვიორგი
ნატროშვილმა, იხ. მისი წერილი „მიხეილ ჩა-
ვახიშვილი“, ცისკარი № 10, 1962 წ.), რომელ-
საც მწერალი ალალომართალი, უბრალო და უდა-
ნაშაულო გმირების მამართ იყენებს (მოთხრო-
ბები „მღევარი“, „კერძდელი“ და სხვა). რო-

დესაც ბედისწერა გმირებს სიყვდილს უქადის, მწერალი თითქმის ამ ჩართული მიმართებებით ცდილობს ააცდინოს ისინი დაღუპვას. ბედისწერას მინც თავისი გააქვს და ავტორისეული მიმართებები მხოლოდ მკითხველის ემოციებზე ახდენს გავლენას.

ამგვარი ავტორისეული სითბო აღარ იჭრანობა ნოველის „ორი შვილი“, რადგან აქ უკვე სულ სხვა ბუნების გმირებთან გვაქვს საქმე. თუ აბღულაჰი და ბაჩილაც მართალნი იყვნენ და ერთი სხვისმა ბოროტებამ დაღუპა, ხოლო მეორე კი ბედისწერამ, ზურაბი თვითონ არის ბოროტი გულის ადამიანი, მკვლეელი და მწერალიც მის შესახებ სულ სხვა, აქვე ტონით მოგვითხრობს. მხოლოდ ერთხელ, ნოველის ფინალში შეეცვლება თანხვა სიბრაღელთან ზურაბის თანასოფლელებს და, როგორც ჩანს, თვით ავტორსაც; ეს ხდება მაშინ, როდესაც ზურაბი თავისივე გულით სიბნელეში შეცდომით მოკლული ორი შვილის ცხედარს დააქურდებს და შეშლილი ბოდვას დაიწყებს.

„დაგვევა ჩემი ცოლი, დავეწვია“ ახსენდება ზურაბს მოკლული მეცხარის უკანასკნელი სიტყვები, ასე სასტიკად რომ აუხდა მას. ეს რწმენა „ბედი-მღვევარისა“, რომელსაც ვერსად დავხვდებით, მიხელოთ ჯავახიშვილის მოთხრობებში და რომანებში ხშირად გამოსტევივის („ლომბალი და ყაშია“, „მღვევარი“, „მესამე“, „ხუთის ამბავი“, „გვიე შადური“). „ბედი მღვევარის“ ფატალურ რწმენას მწერლის შემოქმედებაში არა ერთი გმირი ატარებს. თითქოს ამით არის შეცვლილი ზოგჯერ მოვლენებისა თუ გმირის ცხოვრების ბედ-უწყუღმართობის სოციალური მოტივირება და ახსნა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მწერლის მთელ რიგ მოთხრობებში (მათ შორის ზემოთ დასახელებულ და გაანალიზებულ მოთხრობებშიც) ნაკლებად შეიმჩნევა გმირების ხასიათისა თუ ფსიქიკის, მოქმედებისა თუ ნააზრევის მათი სოციალური მდგომარეობით ახსნა და მხატვრული დასაბუთება.

• • •

მიხელოთ ჯავახიშვილის შემოქმედებაში ძლიერად არის გამოკვეთილი მშობლიური კუთხის, ერის, მიწა-წყლის სიყვარული, განსაკუთრებით რომ სტანჯავს უცხოეთში ვახიზუნულ ქართველს. როგორც ჩანს, მწერალმა თვითონ მძაფრად განიცადა ეს გრძნობა ემიგრაციაში ყოფნის დროს, მაშინაც, როდესაც იგი თანდაზმურად გაასახლა საქართველოდან. ვარდა ამისა, მიხელოთ ჯავახიშვილს ღრმა რწმენით სამშობლოს სამსახური უპირველესი მოვალეობა ადამიანისა. სიინტერესოა ამ მხრივ ის ათი მცნება, რომელიც მან თავის ქალიშვილს დაუწერა. ათი მცნებიდან პირველი ოთხი სწორედ სამშობლოს წინაშე ადამიანის მოვალეობას ეხება და იგი ასე იწყება: „შენ ხარ მარადიული, განუწყველი და ერთ-

გული წვერი და მსახური შენი მშობელ საქართველოსი.“ რაკილა ეს მწერლის უპირველესი მცნებაა, ვასაგებია თანაგრძნობა და სიბრალეული ადამიანებისა, რომლებიც ბედს მოუწყვეტია სამშობლოსაგან. ეს მოტივი, დაუოკებელი ლტოლვა თავისი მშობლიური ქვეყნისაკენ, მიხელოთ ჯავახიშვილის ნაწარმოებთა უმეტეს ნაწილში ირენ თავს (მოთხრობები „მესამე“, „ხუთის ამბავი“, „ფინჯანი“, რომანი „თეთრი საყულო“ და სხვა).

ალვა ჯავახიშვილ (მოთხრობა „ხუთის ამბავი“) თავის მშობლებთან და ცოლ-შვილთან ერთად რევოლუციის ბოროტად დღეებში განწირული ადამიანის გასამაგებით მოიწვევს საქართველოსაკენ, რომელსაც დიდი ხნის წინათ მეფის სამსახურის გამო მოაცილეს. მეფის არმიის გენერალს თავისი ჯარისკაცული მოვალეობა კი არ აწყუბებს, არამედ მოვალეობა მშობლიური ქვეყნის წინაშე და მოიწვევს მისკენ ხან ფეხით და ხან სატვირთო ვაგონით, მოაბიჯებს ცეცხლსა და წყალში, შიშით, მწყურვალად, შიშველი, ეღუპება გზაზე მამა, დედა, ცოლი, ეკარგება შვილი, მაგრამ მაინც ყოუტად მოიხრეწს და მხოლოდ დარიალში შედგება, როდესაც საკუთარ ქვეყანაში შემოიხიდავს. ნათავადარი და ყოფილი გენერალი ასეთ აღსარებას ამბობს: „ჩემი თავგადასავალი დაგარწმუნებთ, რომ ამ სამყაროში (რევოლუციამ — ა. გ.) ჩემზე უფრო მძლავრად იშვიათად თუ ჩასწიხლა ვინმე. მაგრამ — გეფიცებით ჩემი ერთადერთი შვილის მშეს, მე არ ვსწყვეტი მას. ყოველივე მქონდა და აღარაფერი არ შემარჩინა. სამაგიეროდ ისეთი რამ დამიბრუნა, რაც სამუდამოდ დაკარგული მეგონა: მე ჩემს ქვეყანაში ვარ. ჩემს ხალხში ვცხოვრობ.“

ქურბა წიკლაური (რომანი „თეთრი საყულო“) გერმანიაში იყო სასწავლებლად წასული, როდესაც პირველმა მსოფლიო ომმა დასწრო. ვერაფერმა დააკავა ეს მთელი ვაჟაკი, ვერც ტყვეობამ, ვერც ომის სიძნელეებმა და ბევრი განსაცდელის გამოვლით დაუბრუნდა თავის სამშობლოს. არც ირინე (მოთხრობა „მესამე“) მოხიბლა პარიზში იმდენად, რომ საკუთარი ქვეყანა დაიწყებოდა. მარტოდმარტო ბრუნდება იგი საქართველოში, მის პატარა ვაჟს კი ფრანგი მამის ოჯახში იძულებით სთხოვენ. თუმცა სამშობლოსაკენ ლტოლვა ძლიერად არის გამოხატული ამ ნაწარმოებებში, ისინი მაინც ძირითადად სხვა თემაზეა დაწერილი. მიხელოთ ჯავახიშვილს აქვს რამდენიმე ნაწარმოები, რომელთაც საფუძვლად სწირედ ეს დიდი გრძნობა და მოვალეობა უდევთ. მათ შორის აღსანიშნავია „მიწის ყვილი“ და „ფინჯანი“.

„მიწის ყვილი“ მიუხედავად იმისა, რომ მოცულობით პატარა მოთხრობაა, თავისი მხატვრული შემოქმედების ძალით ერთ-ერთი სიტყვეთსა მიხელოთ ჯავახიშვილის შემოქმედებაში.

მწერალი საფრანგეთის პატარა მყუდრო ქალაქ ნოჟანში შეზღუდვა ოთხმოცდადრა წლის მოხუცს — ანდრე კაშორს. ანდრე კაშორი შეძრწუნებული გაუბრის მას. მხოლოდ მოგვიანებით ირკვევა მოხუცის უცნაური საქციელი: მან მწერალს ქართული წიგნი უნახა, რამაც ძველი, მიყრზებული ტიციელი განუახლა. მოხუცის თავგადასავალი საბოლოოდ გვიხსნის ყველაფერს. იგი ძველი ტერორისტი; მეფის რუსეთის კატორღიდან გაიქცა და ბევრი განსაცდელისა და ხეტიალის შემდეგ საფრანგეთში დასახლდა; ჰყავს შვილები და შვილიშვილები, რომელთა დათვლაც კი უჭირს. მხოლოდ ახლა გაახსენა წიგნმა, რომ იგი ქართველია, ანდრო კაიშაური. ჯავახიშვილი საერთოდ სიუჟეტის დიდი ისტორია და აქაც ისე აგებს მას, რომ მკითხველს სულ უფრო და უფრო ძლიერად იპყრობს და ანელეებს მრავალჭირანახი ადამიანის ბედი. «იმდენი ვიხეტიალე, რომ დედ-მამის სახელოც დამეიწყუდა», ამბობს კაიშაური და ამ რამდენიმე სიტყვაში ადამიანის უღიდესი ტრაგედია ჩამეტეუა.

იმ დღიდან მოხუცი მხოლოდ საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებით ცოცხლობს; მხადაა მიატოვის შვილები, შვილიშვილები და დაბრუნდეს იქ, სადაც არც ნათესავი ჰყავს, არც ნაცნობი, მაგრამ, სადაც არის მშობელი მიწა, მშობელი ხალხი.

და უცხად, მოხუცს, რომელსაც აღარაფერი ახსოვდა, თვალწინ დაუდგება ანანური, თავისი ეზო, თავისი ბავშვობა და იგი მოულოდნელად სუფთა ქართულით ამეტყველებს; სოციალისტური პირთა უთვალისწინებელი შიში აწერია სახეზე, შეუცნობელი შიში უთვისტომო ადამიანისა. მძიმეა მოთხრობის ფინალი, თუმცა ერთგვარად მიიხტე უმსუბუქებს მკითხველს შემადრწუნებელი ამბის განცდას ის, რომ ანანურთან მწერალი ანდროს გაიხსენებს და მის ნაწლს ხევის ნიავს გაატანს.

თუ ანდრო კაიშაურის ლტოლვა სამშობლო-საქენ ქვეყნობიერია, რაღაც შინაგანი იმპულსით არის მხოლოდ აღძრული, უფრო ბიოლოგიური მოთხოვნილებაა, ვიდრე ლოგიკურად გააზრებული გადაწყვეტილება, თუ მისი მისწრაფება მხოლოდ „მიწის ყივილია“, ნოდარ შუბიძეს (მოთხრობა „ფინჯანი“) უფრო სხვა რამ ამოძრავებს. ნოდარ შუბიძეც საფრანგეთში გახიზნულა, გარიდებია „წითელ საშიშროებას“ და იქ, სხვა ქართველ ემიგრანტებთან ერთად ელის, როდის მოიხდის თავისი ქვეყანა ამ სენს. რვა წელიწადი დაჰყო მოლოდინში, რომელმაც იმდენი არ გაუმართლა, სამავიეროდ სხვა ექვეები და აზრები აღძრა: იქნებ სენი კი არა, გამოქანსალებს პროცესია ეს მისი სამშობლოსათვის?

ნოდარ შუბიძე ნიჭიერი მეცნიერი — ქიმიკოსია, რომლის გამოკვლევებაც ფართოდ იყე-

ნებენ კერამიკულ წარმოებაში, მას არაფერი აკლია, ვარდა მთავარისა — სინდისის სიმშვიდისა. შეგნება იმისა, რომ თავის ხალხს არ ემსახურება, არ ასვენებს მას და თუმცა ოფიციალურად უარს მიიღებს დაბრუნების თხოვნაზე, იგი მალულად, კონტრბანდისტებთან ერთად შემოიპარება საქართველოში. თან მოაქვს საუნჯე, რომელიც ძვირად შეეძლო გაეყიდა იქ, კაპიტალის სამყაროში, მაგრამ მან ისეც თავისი მშობელი ხალხისათვის გაიმეტა იგი. ესაა თიხის საოცარი თვისებების მატარებელი ფინჯანი. ნოდარი სუფთა სინდისითა და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით მიღის თავისი ძველი ცოდვების მოსანანიებლად. ნოდარ შუბიძე ყველაზე აქტიურია ჯავახიშვილის იმ გმირებს შორის, სამშობლოს რომ უბრუნდებთან. ნოდარს ყველაზე მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული შეგნება იმისა, რომ მხოლოდ დაბრუნება კი არ არის საჭირო, არამედ საჭიროა დიდი შემოქმედებითი შრომაც ხალხის საკეთილდღეოდ. საჭიროა მთელი ძალითა და ცოდნით ემსახურო განახლებულ, აღორძინების ქეშმარიტ გზაზე დამდგარ ქვეყანას.

ნოდარ შუბიძე, მხატვრული სახის განვითარებიდან თუ გამოვლთ, ერთ-ერთი საინტერესო დადებითი სახეა თანამედროვე ადამიანის მიხეილი ჯავახიშვილის შემოქმედებაში.

ნოდარი ერთ-ერთი გმირთაგანია, ვინც შემოდგომის ფოთოლივით ატრიალა რევოლუციის ქარიშხალში. ამ მხრივ მას ბევრი აქვს საერთო მირიან ბორინთელთან, რსოსტომ რუტიათთან, ალვა ჭაფარიძისთან („ხუთის ამბავი“), დიმიტრისთან („პაპა დიმი“) , სტეფანე ჩირაქისთან („ქურდი“) და სხვებთან. საერთოდ, ჯავახიშვილის შემოქმედებაში (ყურძოდ, მოთხრობებშიც) დიდი ყურადღება ეთმობა რევოლუციის რთულ და ბოროტ განსახლებაში გზაანული ადამიანების ხასიათის გაჩენას. ყველა თანაბრად უცოდნობე არ შეგვედრია რევოლუციის, ყველას თანაბრად არ გააჩნია ძალა და მხნეობა, უნარი და შეგნება, რომ ახალი ცხოვრება ახალი ენერგიით დაიწყოს. ნოდარ შუბიძეს ვეო ამისა გამბედაობაც და შეგნებაც, ჩვენ კიდევ ვხედავთ მის აქტიურ მოქმედებას. მოთხრობა „ხუთის ამბავის“ გმირები უფრო თავის ზნეობრივ საფუძვლებს ვეიხსნინა წარსულთან დამოკიდებულებით, მაგრამ მათ ასეც აქტიურ მოღვაწეობას ახალ პირობებში ვერა ვხედავთ. პაპა დიმიცა და სტეფანე ჩირაქეც მკითხველში მხოლოდ სიზარალულს და თანაგრძნობას იწვევენ. თუმცა ისინი პასიური მოწმენი არიან ახალი ცხოვრებისა და მეტის უნარი არ გააჩნიათ, მწერალი ერთგვარი თანაგრძნობით ეკიდება მათ, რადგან ცხოვრების მდინარეებს ისინი გუდრიყავს და დაუშვებავება.

მიხელო ჯავახიშვილის მოთხრობებში ყოველთვის როდი იგრძნობა სიზარალულისა და ლმო-

ბიერების კლო. როდესაც მწერალი წარმოგვი-
სახავს ადამიანებს, რომლებიც აქტიურად ელო-
ბებიან წინ ახლის განვითარებას, ყოველ საშუა-
ლებას იყენებენ თავიანთი პარაზიტული ცხოვ-
რებისათვის, ჯავახიშვილი მიმართავს სატირას
და მისი გესლანი სიცლი, მახალღებელი პათო-
სის სიძლიერე ისევ დიდი ჰუმანიზმითა და
კეთსიმოყვარებით არის შეზღოვებული. ამ
თვალსაზრისით ინტერესს იწვევს „დამპატიყე“.
მოთხრობამ ოცდაათიან წლებში დიდი კამათი
გამოიწვია. იმდროინდელმა ქართულმა სალი-
ტერატურო კრიტიკამ უფლოდ არასწორად გაი-
გო მოთხრობა და მასში თანამედროვეობის
კრიტიკული ხედვა მწერლის იდეოლოგიური
შედლოშებით ახსნა. ავტორი მთელი გულწრფე-
ლობით გვიჩვენებს და გვიხსნის ახალ ვითარე-
ბაში პარაზიტულ ცხოვრებას შეჩვეული ადამი-
ანების მოქმედებას. ახალი საზოგადოება
სწორედ საყოველთაო და თანასწორუფლებიანი
შრომის პრინციპზეა აგებული, სადაც, ერთის
შეხედვით, არ ჩნება ადგილი და საშუალება
პარაზიტული ცხოვრებისათვის, მაგრამ სხვისი
შრომით ცხოვრების ფონს ვასკლავს მიჩვეულე-
ბი ახალ გზებს ბოულობენ. ჯავახიშვილს ეს
მოთხრობა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების
ხორცმეტების წინააღმდეგ არის მიმართული და
მისი მნიშვნელობა ამით განისაზღვრება. რე-
ვოლუციამ თავისუფლება მოუტანა მშრომელ
ხალხს და თვედორეც იმ სახლისა და ბღის
პატრონი ხდება, რომელსაც შეაღია მთელი თა-
ვისი სიცოცხლე. თვედორეც ოჯახი გულწრფე-
ლად შეხარის ახალ დროებას. მშრომელ ხალხს
სამართალი რომ მოუტანა, მაგრამ რამდენიმე
ხნის შემდეგ მას მოზიარეს ჩაუსახლებენ, რად-
გან მიწის ფართობი, როგორც მას აუხსნიან,
ნორმაზე მეტი ჰქონია. ოქროპირი, მეტსახელად
„დამპატიყე“ მხოლოდ ქეიფსა და დროსტარე-
ბაზე ფიქრობს, მამულს კი კვლავ თვედორე უყ-
ლის. დამპატიყე ხან მოტყუებით და ხან შან-
ტაჟით თვედორეს შრომით მოწვეული ნაყოფის
ნახევარს ისაყუთობს და ქეიფში ფლანავს.
როდესაც თვედორეს მოთმინებას ძაფი გაუწყ-
დება და ჩივილს დაიწყებს, გამოირკვევა, რომ
დამპატიყეს მფარველი სახელმწიფო დაწესებუ-
ლებიდან გაუქმებულია. თითქმის ახლა კი უნდა
ეშველოს თვედორეს, მაგრამ დამპატიყეს თავი-
დან მოცილება არც ასე იოლია. იგი თვედორეს
ქალიშვილს თავს მოაწონებს და ზედსიძედ ჩაუ-
სახლდება. ოქროპირი ძველ უღარდელ ცხოვ-
რებას განაგრძობს და მას უკვე ვეღარ მოცი-
ლებს თვედორე.

მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობები და ნო-

ველები ერთი დიდი თავფურცელია ქართული
საბჭოთა პროზისა. რეალისტური საფუძველი,
სოციალური სიმასვილე, ზნეობრივი სიფაქიზე,
მხატვრული სახეობრიობა, ენობრივი სიმწინდე
თითქმის ყველა მის მოთხრობას აქვს, რა ხასია-
თისაც არ უნდა იყოს იგი, ფილოსოფიური,
ეთიკური თუ საგმირო, ეროვნული თუ სოცია-
ლური, ყოველი თუ საიქნურთ. თავის მოთხრო-
ბებში მწერალი ყოველთვის აშკარად თუ ფა-
რულად ერთმანეთს უპირისპირებს კეთილ და
ბოროტ საწყისებს და მთელი თავისი მხატვრუ-
ლი სიტყვის ძალით ჰუმანიზმის კეთილშობი-
ლურ პრინციპებს იცავს. მწერალი არა მარტო
მშრომელი, პატიოსანი, ალაღმართალი ადამი-
ანების სიყვარულს ჭადავებს, არამედ ზწირად
მოგვიწოდებს, შევიწყნაროთ ისინი, ვისაც ერთ
დროს, ნებით თუ უნებლიეთ, დანაშაულიც კი
ჩაუდენიათ, მაგრამ ახლა სოციალურად და პო-
ლიტიკურად ადამიანებისათვის საშიში აღარ
აიან. მწერლის გული სავსეა ადამიანის სიყვარ-
ულით. და ეს ხელს კი არ უშლის, პირიქით,
ეხმარება კიდევ მას აღმოამედღენოს თავისი
უსახლურო სიძულვილი ემათ მიმართ, ვინც ადამი-
ანის ზედწინებებს წინ ელობება.

მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობები, თუმცა
მათ არც ფსიქოლოგიური სიღრმე აცლია და
არც განწყობილებათა სიუხვე, სიუფეტურად
ყოველთვის მძაფრია. „ფაბულა, ამბავი, —
წერდა მიხეილ ჯავახიშვილი, — მოტორია მხატ-
ვრული ნაწარმოებისა, მითუმეტეს რომანის, ნო-
ველის, მოთხრობისა და პოემისა. უამისოდ ვერც
ერთი მათგანი ვერ გაფრინდება“. მწერალი თავის
მოთხრობებში, რომ აღარაფერი ვთქვათ
რომანებზე, ყოველთვის რაღაც ამბავს გვიყვებ-
და: ამ ამბით გვიხსნის გმირების ხასიათსაც და
სოციალურ გარემოსაც, სადაც გმირებს უხდებ-
ათ მოქმედება. მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრო-
ბებისათვის დამახასიათებელია სისადავე და
მოქმედების დინამიურობა. მწერალი ძალზე
იშვიათად მიმართავს კლასიკური ლიტერატურის-
სათვის დამახასიათებელ აღწერებს, გარეგნული
პორტრეტების დეტალურ ხატვას, ვრცელ ავ-
ტორისეულ ფრაზებს. იგი მეტწილად მხოლოდ
მოქმედების გვიჩვენებს და ავტორის მთელი
სათქმელი ამის განვითარებაშია ჩატეული. უნ-
და აღინიშნოს აგრეთვე სხარტი, მოკლე და მე-
ტყველი დიალოგები, ასერგად რომ უწყობენ
ხელს მოქმედების დინამიურობას. ამ თვალსაზ-
რისით მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობებში უნ-
და ვეძიოთ თანამედროვე ქართული მოთხრო-
ბისა და ნოველის დამახასიათებელ ნიშანთვისე-
ბათა სათავეები.

(დასასრული იმება)



ცხოვრების განთიადზე

ყურნალ „ცისკარში“ დაბეჭდვისთანავე მიიქცია მისმა მოთხოვნებმა როგორც მკითხველი საზოგადოების, ისე ლიტერატორთა ყურადღება, რაც შემთხვევითი არ ყოფილა. მოდიოდა ახალგაზრდა, რომელიც ქართული პროზის სერიოზულ ძალად უნდა ქცეულიყო.

ვინც ხელში აიღებს გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებთა კრებულს, დარწმუნდება ამ მოლოდინის სისწორეში.

ალავერდში დღესასწაულზე ამოსულა ახალგაზრდა ყმაწვილი გურამი („ალავერდობა“). ის არ არის ტურისტის მოთხოვნაში აღწერილი სხვა გოგო-ბიჭევივით, არც საქეიფოდ მოსული.

ჭაბუკი ალავერდობაზე ამოვიდა იმ ადამიანების სანახავად, რომელთაც სწამთ ალავერდი და მისი ძალა. მაგრამ „ვინ წარმოიდგენდა, რომ ქრისტიანულ საყდარში კანკელის ძირას შეიძლებოდა ოდესმე გდებულებოდა თავწაჭრილი მამალი და ცხვრის თავ-ფეხი, ...ალავერდობა აღარ არის ალავერდობა, ეს რაღაც სასაცილომდე მისული ინერცია“.

...„მხოლოდ აქა-იქ დაინახავ კუთხეებში მორცხვად მოყუყულ შავკაბიან მლოცველებს“. უყურებს გურამი მათ და „რაღაც ცრემლებივით ებჯინება

ყელში“. ნუთუ ესაა ყველაფერი, ნუთუ ამისთვის ამოვიდა ალავერდში. ებრძვის საკუთარ თავს, უნდა გაამართლოს მოსკლის მიზანი და ახალგაზრდა ტურისტებს შეერევა. „თითქოს შორიდან მოსულმა სტუმრებმა აგრძნობინეს აქ, ალავერდში, თავმოყრის ნამდვილი აზრი... მაგრამ ეს ერთი წამია გამოფხიზლებისა“.

ჭრება ეს წამიც, თავს ანებებს ტურისტებს და „სევამს ღვინოს, იქნებ დაითროს სხვებივით, იქნებ მაშინ მაინც დაინახოს ის, რასაც სხვები ხედავენ“.

მაგრამ არც ეს შევლის. ან რას უშვევლის, როდესაც თვითონ ისინიც ყოველგვარი აზრის გარეშე სევამენ, „სხვა რა ექნათ, შევსვათ კიდეე“. და საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილს ებადება სურვილი, რომელსაც სისრულეში მოიყვანს. მოჰპარაუს ცხენს მოქეიფეთ და გააჭენებს.

კინალამ ემსხვერპლა ამ ქინს და თავს იმით უშველა, რომ ალავერდის გუმბათზე აეარდა.

რატომ იქცევა ასე?

იმიტომ, რომ სწყურია მოქმედება, რადგან გრძნობს და შემდეგ გუმბათზე შემდგარი ნათლად დაინახავს: „ენების



სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულთ ტკობაში“.

ასეთია ბუნება მაძიებელი ადამიანისა.

ეს შეგნება ბუნებრივია ჭაბუკისათვის, რომელიც დგას უფლისციხის ქალაქ-ქვაბულში. „სამშინელ წყურვილს ვგრძნობ: მათარა თანა მძაქს, მაინც არა ვსვამ. რატომღაც მინდა უფრო მომწყურდეს“.

ალავერდობაზე ასულ გურამსაც სწყურია რაღაც დიდი. მან იცის, რომ ამისათვის საჭიროა მოქმედება, მაგრამ არ იცის რა აკეთოს, ფიქრობს იმ რწმენაზე, რასაც ადრე ალავერდი იძლეოდა და „ცრემლებივით ებჯინება რაღაც ყელში“, როცა ხედავს, რომ აქა-იქ ლოცულობენ „მოყუყუელი შავკაბიანი ქალები, ლოცულობენ იმაზე, რაც „სასაცილომდე მისული ინერციია“.

დიდებულია მონასტერი, მაგრამ „მის ფეხქვეშ დგას ალავერდი, სხვისი გრანდიოზული ვნებისაგან შექმნილი, თვითონ კი...“ და აწვალებს გმირს — რა ააშენა, რა შექმნა მან?!

კითხულობთ ამას და თითქოს ხედავთ ალავერდის გუმბათზე შემდგარ ყმაწვილს.

ეს გუმბათი უფსკრულიცაა და სიმალღეც. უფსკრული, სადაც მისმა უაზრო ვნებამ მიიყვანა და შეიძლება გადაიხეხოს. მაგრამ ეს გუმბათი სიმალღეცაა, საიდანაც ჩანს ცხოვრება. „ტყისპირას გაგონილ, დაუწერელ, ერთად მოვარდნილ სიმფონიასავით იღვრება თვალწინ ძველი ციხეები, ეკლესიები, ბურჯები და ამ ეპოქაში ნაშენი ხიდები, სწორი, უგვემიანისი ალვნებით. ამ გვემიანობიდან სინათლესავით მოდის შეუჩერებელივ რაღაც ახალი, სიცოცხლისუნარიანი“. უცნობი ძალა იპყრობს გუმბათის თავზე მდგომის სხეულს. ფიქრობს — საიდან მოდის ეს სიცოცხლისუნარიანობა და უპასუხებს: „ის თვითონ ჩემშია, ის თვითონ ხალხშია, მაგრამ აქ ზოგერთნი დაბნეულნი და ვეღარ გრძნობენ შემოქმედის ნამდვილ სიამოვნებას, სიამოვნებას შრომისა, რადგან ვნების

სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულთ ტკობაში“.

გურამისთვის უცხოა ძველით, უკვე არარსებულთ თავის მოტყუება. მისთვის მახლობელია ის ახალი, სიცოცხლისუნარიანი, რაც მოდის სინათლესავით, შეუჩერებელივ. გუმბათიდან ჩამოსული, მარტო დარჩენილი ფეხით მიჰყვება გზას ალვანისაკენ.

აქ თავდება თხრობა, მაგრამ ალვანისაკენ მიმავალი გურამი აღარ არის ჯირითის ტრფიალი და ალავერდობაზე ფიქრით გაბრუნებული ჭაბუკი. იგი უკვე გრძნობს იმ დიდ ცხოვრებას, რომელიც გუმბათიდან დაინახა. მკითხველსაც სჯერა, რომ ის არ გახდება მსხვერპლი უაზრო ვნებისა და მოქმედების, არ დარჩება მარტო, ამ გზით მივა ნამდვილი ცხოვრების შემოქმედ ხალხთან.

რჩეულიშვილი ბევრს მოგზაურობდა... უნდოდა მეტი ენახა, ეგრძნო და განეცადა.

ალბათ, წაკითხული ჰქონდა გურამს. გოგენის სიტყვები, რომ „ტანჯვა ამხანავილებს ნიჟს“, მაგრამ ეს ხელოვანმა წაუკითხავადაც იცის. ახალგაზრდა მწერალი ისწრაფვოდა ღრმად განეცადა ცხოვრება და მოთხრობებში გადმოეცა. მოგზაურობდა ბარში, მთაში და ზღვაზე. მოგზაურობდა და დაეხეტებოდა ყველგან, სადაც კი მოახერხებდა.

ასეთი მოგზაურობის შემდეგ, ნანახის შესწავლისა და განცდის შედეგად დაიწერა მოთხრობები: „ასვლა“, „ნელი ტანგო“, „ბათარეკა ჭინჭარული“, „ირინა“ და სხვა.

ადამიანის სულის სიმტკიცესა და ცხოვრების სიყვარულზე მეტყველებს მოთხრობა „ასვლა“.

ერთი არასწორი ნაბიჯი საკმარისია, კაცი დაიღუპოს. მაგრამ ისინი აქ იმისათვის როდი მოვიდნენ, რომ დაიღუპონ. მათ უნდა გაიმარჯვონ. როგორც არ უნდა უჭირდეს, ადამიანი მოვალეა იბრძოდეს გამარჯვებისათვის.

ამ ბრძოლაში მთამსვლელებს ეხმარებიან დედა, საყვარელი ქალიშვილი და ადამიანები, რომელნიც დაბლა, ბარში

დასტოვებს, რომლებზედაც ფიქრობენ და რომელნიც მათზე ფიქრობენ.

«კაცმა უნდა მთელი სულით იცოცხლოს, — განაგრძობდა ფიქრს წერაყინით ხელში. — ან რა არის მუდმივობა, — სისულელე. ყველა ადამიანი მუდმივად ცხოვრობს: ყოველ შემთხვევაში მისი მარადიულობა ის წლებია, რომელსაც გაატარებს ამ ქვეყანაზე. კაცმა რომ თქვას, არცა კვდება კაცი, იბადება სხვა, რომელიც ოდნავ განსხვავდება გარდაცვლილისაგან».

რჩეულიშვილის მოთხოვნის გმირები როდი არიან ხელოვნურად შექმნილი შტამპები და იმის გულუბრყვილო მომწოდებლები, რომ ცხოვრება კარგია და უნდა იცხოვრო. ისინი ნამდვილად არსებული ადამიანებია, ადამიანური ტიპივლებითა და მწუხარებით, სიხარულითა და შიშით, დამარცხებითა და გამარჯვებით.

საიციოებლე კარგია, როცა იბრძვი და იმარჯვებ. გაიმარჯვებ კი მაშინ, როცა მთელი სულით იცოცხლებ.

ზღვის სანაპირო კაფეში ცეკვავენ წყვილები („ნელი ტანგო“). ჯაზი „ისტამბულს“ უკრავს. წაბლისფერთმიანმა ვაჟმა გოგონა გაიწვია საცეკვაოდ.

ქალი რწმუნაშერყეულია. მას არ სწამს სიყვარული და ადამიანური თავდადება.

ვაეი მოაგონებს დღისით ზღვაზე მომხდარ შემთხვევას: ვილაც ჭარკოველმა ივანემ თავისი სიცოცხლის ფასად დაბრჩობას გადაარჩინა ქალი და ბავშვი. ამით ვაჟმა უთხრა: მე შენთვის ისეთივე ერთოვლი ვიქნები, როგორც ივანე. მტკიცეა ვაჟის ზიტყვები, უფრო მტკიცე კი — მისი მზერა. გოგონას სჯერა, რომ უნდა გწამდეს ადამიანის, უნდა ენდო ადამიანს.

გურამ რჩეულიშვილის დაღუპვამდე რამდენიმე თვით ადრე გამოქვეყნდა მოთხრობა „ირინა“.

ქაბუკმა გადაარჩინა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც რამდენიმე აღვირახსნილი მამაკაცი მძიმე შეურაცხყოფას უბიძგებდა. ამ შეტაკებისას ვაეი დაიჭრა.

ქალს შეუყვარდა მხსნელი, მასაც შეუყვარდა ქალი.

მაგრამ გავიდა ხანი და ქაბუკს გული გაუცივდა... არ იზიდავს? არ მოსწონს ქალი? უთხრას და გაშორდეს!

აქ იწყება ფიქრი, წვალება, დაუსაკუთარ თავთან.

ქაბუკმა იცის, ირინა მიენდო, მისი გახდა იმიტომ, რომ ვაეიც თავისი ეგონა, და თუ გაშორდება, ისიც ისეთივე დამნაშავე იქნება ირინას წინაშე, როგორც ისინი, შეურაცხყოფას რომ უბიძგებდნენ. და დადის იგი ირინაზე ფიქრით გაბრუებული და გაორებული.

ამ ფიქრისა და ტანჯვისათვის შეიძლება ვუწოდოთ ქაბუკს ზნეობრივად ნამდვილი ადამიანი.

ეს მოთხრობა ჩეხოვის „დუელს“ მოგაგონებთ, გურამი კი ლაევსკის.

ლაევსკის მიაბეზრდა პეტერბურგი და ჰკონია, თუ ნადეჟდასთან ერთად ყირიმში წავა, დამშვიდდება მისი აფორიაქებული სული. შეისრულა წადილი. მისია ნადეჟდა: ისინი შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობენ. ამას ნატრობდა, ნატრობდა და მიაღწია, მაგრამ აღარ უნდა ნადეჟდასთან ცხოვრება, არ უნდა ყირიმი, პეტერბურგში დაბრუნებაზე ოცნებობს. თუმცა, რომც დაბრუნდეს, იქაც მოსწყინდება და კვლავ ყირიმი მოენატრება.

აქ ყველაფერი ნაჩვენებია ფართოდ. გმირის ნამდვილი სახის დანახვაში გვეხმარება ლაევსკის დაპირისპირებული ფონ-კორენი, მისი მეგობარი სამოილენკო და სხვები. გურამი კი ერთია, თვითონ ატარებს თავის სულში ფონ-კორენსაც და სამოილენკოსაც, ამიტომ ჰქირს იმის დანახვა, რაც მას ტანჯავს.

ლაევსკი კარგად იცნობს საკუთარ თავს, რომელსაც თვითონ ხელმოცარულსა და ზედმეტს უწოდებს.

გურამი ვერ არის მთლად გულწრფელი, ვერ უტყდება საკუთარ თავს...

რჩეულიშვილს ჰქონდა ადამიანის შინაგანი სამყაროს ჩვენებისაკენ სწრაფვა. ასეთი სწრაფვა იგრძნობა მოთხრო-

ბებში „სიკვდილი მთებში“ და „უსახელო უფლისციხელი“.

„უსახელო უფლისციხელის“ დასაწყისში ავტორი გვამცნობს, რომ მას განზრახული ჰქონდა დაეწერა ნარკვევი უფლისციხეზე, მაგრამ გამოუვიდა მოთხრობა. მოთხრობის მთავარი გმირია ვილაკ უსახელო—სახელოვანი ქართველი, რომლის დახმარებითაც გაიმარჯვეს უფლისციხესთან.

„უფსკრულში კაცი მიცოცავს, ის ფეხშიშველად. ქალამნიანი ფეხის მოკიდება აქ არ შეიძლება, კაცის თვალები არა სჩანს, არც ტანი სჩანს, არც თავი, არც სისხლიანი ხელები. ის მიცოცავს. ყინვა იჭრება მის სხეულში, თითები უხევდება. ცერი ყველაზე აღრე კვდება: მერე კვდება ნეკი. ის სამ-სამი თითით მიცოცავს. უკვე ექვსი საათია რაც მიცოცავს“.

საოცარი გმობობაა. მაგრამ ვინ არის ეს კაცი? ის თურმე ქართველია. მისი სამშობლო უფლისციხეა, მისი ღმერთი ქრისტეა, რომლის წინ დამხობილი ლოცულობენ ქართველი დედები შვილების გადასარჩენად. ვინც მიცოცავს ის უენოა, მტრის მთავარსარდლის მზარეული; ენა მტრებმა მოსჭრეს, რადგან მსახურთა მკლავი სჭირდებოდა და არა ენა; ყრუ არის და უენო, მაგრამ ესმის ლოცვა უფლისციხის ეკლესიაში დამხობილი ქართველი დედისა, რომელიც ღმერთს შვილისა და ქვეყნის გადარჩენას ევედრება; შორს არის, მაგრამ მინც ხედავს თვალცრემლიან ქართველ დედას. აღბათ, ამ ყინვიან საღამოს კლდეზე მცოცავი უსახელო უფლისციხელი ხედავდა საკუთარ დედას, რომელიც ასევე ლოცულობდა, ღვთის წინამე დამხობილი, მისი პატარა სიცოცხლისათვის.

და იცის მან, თუ არ შეატყობინა მოძმეებს მტრის გეგმა, დამარცხდება მშობელი უფლისციხე და კვლავ ათასობით ბავშვებს არ ასცდება უცხოეთში გარეკვა და მსავეით ენის ამოჭრა. იცის და ამიტომ მიცოცავს ყინვასა და ქარში, უკუნ ღამეში.

უსახელო გმირმა შეასრულა თავისი

ვალი. აცნობა ქართველებს მტრის ვერაგული განზრახვა. მტერი ძლეულია, საქართველო გაიმარჯვებული. თავგანწირულ გმირს ვინაობას ეკათხებიან, მაგრამ იგი ვერ უპასუხებს, რადგან უენოა. სთხოვენ დაწეროს, მაგრამ ვერა წერს, რადგან წერა არ უსწავლებიათ. ერთი წუთით დახუჭეთ თვალი და წარმოიდგინეთ ზამთრის სუსხიან ღამეს უფლისციხის კედელზე აკრული, ფეხშიშველად ადამიანი. წარმოიდგინეთ იგივე უენო გმირი გამარჯვებული ხალხის წინ მდგარი.

დაე ნუ იტყვის თავის სახელს, დაე ნუ დაწერს თავის გვარს. არაა საჭირო. მთავარი ისაა, რომ ვაჟკაცია და იხსნა თავისი ხალხი. მწერალმა იცის, მას ერქვა ვაჟა, ქიტესა, მახარე, წყალობა. ეს არის აღქმა ისტორიის სულისა. ამაში ჩანს ხასიათი და შემართება ჩვენი წინაპრებისა, რომელთაც ენას სჭრიდნენ, კოცონზე სწვავდნენ, მაგრამ ვერ თრგუნავდნენ. „ეს მონაკვეთი, რაც მე დღეს ვნახე, ნაწილია ერის დიდი ისტორიისა“ — დაასვენის მწერალი და მკითხველსაც სჯერა, რადგან ძლიერი და დამაჯერებელია ავტორის მიერ წარმოსახული სამყარო.

მოთხრობას „სიკვდილი მთებში“ საფუძვლად ნამდვილი ამბავი უდევს. საქართველოს მთაში დაიდგა გერმანელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ალფრედ კურელას მეუღლე.

გურამმა შეძლო ნამდვილი შემთხვევის ისე აღწერა, რომ ალფრედ კურელასთან ერთად განგვაცდევინა მისი მწუხარება და დარდი.

ბრმა შემთხვევის მსხვერპლი ხდება ხუთი შვილის ღედა ელპიდე კურელა; დაფეთებული ცხენიდან ჩამოვარდება. შემთხვევის ადგილას მოსული გურამი ხედავს ხევში გაწოლილ სიკვდილს. „მომხდარი ჯერ კიდევ უცნაური და საშიში იყო. სტეფანე იჭდა დედის თავთან უხმოდ. ალფრედი იღვა. გარშემო მთები იყო აზიდული“.

საერთოდ საშინელია სიკვდილი, მაგრამ უფრო მეტად საშინელი — უცხო

მხარეში, უცხოთა შორის. მიუხედავად დიდი მწუხარებისა, ადამიანური სიმტკიცე, რომელსაც კურელა ინარჩუნებს, დროებით ჰკლავს მასში მწუხარების გრძნობას და ახერხებს, სხვებს თავისი მწუხარება ძლეულად მოაჩვენოს. „საწყალი ელბიდე, რა უცებ... ყველაფერი, — თავი გააქნია მან (კურელამ), ცრემლების მსგავსი მოადგა თვალებზე, გრძნობამ სძლია წამით გონებას“. მკითხველი გრძნობს: ნამდვილი კურელა ისაა, რომელმაც აღფრედს წამით სძლია. კურელას არ სურს უცხო ხალხს მოახვიოს თავისი მწუხარება და იმდენად ახერხებს ამას, რომ სიკვდილის ადგილას მოსულ ქართველებს რაღაც უღარდელადაც კი ეჩვენებათ. მაგრამ მკითხველი გრძნობს, კურელა ტირის გულით. გულქვაობა არ არის ვაჟკაცობა. ცრემლი ზოგჯერ შველის კიდევ ვაჟკაცს, მაგრამ მარტოობა უყვარს ვაჟკაცის ცრემლებს. თბილისში ჩამოსული აღფრედი მეუღლის საწოლზე დაემხო და აქვითინდებოდა ეს ქვითინი მომხდარი უბედურების ლოგიკური დასასრულია, ვაჟკაცის გულში ჩაღვრილმა ცრემლმა გზა მონახა და ახლა კურელას უკვე აღარ ჭირდება თავშეკავება.

სიკვდილ-სიცოცხლეზე ფიქრობენ რჩეულიშვილის გმირები მოთბრობაში „აპელა“, სადაც აღწერილია განცდა ახალგაზრდა მთამსვლელებისა, ციკაბო ყინულზე ჩამოკიდებულნი სიკვდილს რომ თვალში შესცქერიან.

მოთბრობაში „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე“ სათაურიდანაც ჩანს, რომ იგივე საკითხი აწუხებს მწერალს.

„მისთვის სიცოცხლის გადასარჩენად არ არსებობდა წინააღმდეგობა. მან, მარტო დარჩენილმა, ყველაზე კარგად იცოდა რა იყო სიკვდილი. მას ხომ სიკვდილმა წაართვა ლილიც — ასე ფიქრობდა ის.“

თუნგი მოიყუდა. სვამდა დიდი, მძიმე ყლუპებით და უფორმო სიცოცხლე იპყრობდა მის სხეულს“.

„— ახმედ, ასეთი გაჩნდა, იცი? მკვდა-

რი! — ქვითინებდა ლილი. ახლა, როგორც არასოდეს, უნდოდა, რომ ქმარი მისულიყო და მოალერსებოდა. ახმედი უმოძრაოდ იჯდა, ვერ აიძულა თავი მი-ახლოვებოდა იმ ადგილს, სადაც იწვა სიკვდილი — პატარა, მაგრამ საშიში და უცნობი“.

როგორ ღრმადაც არ უნდა ჩაიხედოს ადამიანმა სიკვდილის ბნელ ლაბირინთებში, როგორ ღრმადაც არ უნდა შეიმეცნოს, ყოველთვის დარჩება რაღაც შეუცნობი და უთქმელი. ესაა ამ მარადიული გრძნობის საიდუმლო.

წიგნში შესულია მოთხრობები: „თვირთვილა“, „სალამურა“, „შემოდგომა ბაბუა კოტეისა“, პიესა და სხვა პატარა, ძალიან პატარა ჩანახატები. ყველა მთავანში იგრძნობა, რომ ისინი დაწერილია მოვლენათა უშუალო მონაწილისა და შემოქმედლის მიერ.

მისი გმირები ბორძიკობენ, მაგრამ არ ეცემიან, წელში სწორდებიან და აგრძელებენ გზას. ასევე ფიქრობდა და აგრძელებდა გზას გურამ რჩეულიშვილიც, მაგრამ არ დაცალდა, ცხოვრებისა და შემოქმედების განთიადზე შეწყდა დიდად ნიჭიერი ჭაბუკის სიცოცხლე.

ვერ ამას და ვფიქრობ ზღვის ტალღებთან მებრძოლ ჭაბუკზე. ვფიქრობ და მაგონდება მისი „ნელი ტანგო“.

„ბიჭი: იყავით დღეს საცურაოზე?
გოგო: რა თქმა უნდა, დღეს საუტბოვოდ გავშავდი.“

ბიჭი: მართლაც კარგად ხართ გაშავებული. ჰო, დაეწარით, იმ ამბავს?

გოგო: ჰო, ჰო, იშვიათი შემთხვევაა...

ბიჭი: საცოდავი, კარგი ვაჟკაცი კი ყოფილა.

გოგო: რა თქმა უნდა, ახლა ცოტანი არიან ასეთები.

ჯაზი ახალ მელოდურ ტანგოში გადავიდა. ბიჭმა ახლოს მიიკრა ქალი.

ბიჭი: მაგრამ, მენდეთ, მაინც არიან.

ქალი აიღეწა, მერე ვაჟკაცს ახედა, მოეწონა მისი ლამაზი, მზისაგან ვარუჯული სახე და მთლიანად მინებდა ნელ ტანგოს“.





პეჩიდ ჩაჩიბაია

მენტორულ-დიდაქტიკური ლიტერატურა და საბავშვო მწერლობა

ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ პრობლემათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მენტორულ-დიდაქტიკურ ლიტერატურისა და საბავშვო მწერლობის ურთიერთობის პრობლემა.

საბავშვო მწერლობაში სიტყვის ხელოვნებით გამოხატვის საშუალებანი, რამდენადმე ყოველთვის გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა. ეს ქართულ ეროვნულ საბავშვო მწერლობაში განსაკუთრებით შეიმჩნევა მეტრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან; შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ დროიდან იქმნება დიდაქტიკური ნაწარმოებებიც ასე თუ ისე განსხვავებულ, ახლებურ მხატვრულ გადაწყვეტაში. ამის საფუძველი უნდა ვეძოთ, ერთი მხრივ, რეალისტური ხელოვნების ესთეტიკური კონცეფციისა და, მეორე მხრივ, მოწინავე, პროგრესული პედაგოგიური კრიტიკის პრინციპების პარამიონიულობაში, ეს ტენდენცია თანდათან მტკიცდებოდა. ამით საბავშვო მწერლობის სპეციფიურობისა და ახალი თაობის აღზრდის ეფექტური ღონისძიებების მეცნიერულად სწორ სისტემაში ჩამოყალიბებას მკვიდრი საფუძველი ექმნებოდა.

ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის ერთ-ერთი თავისებურება ისიც არის, რომ მოწინავე საბავშვო მწერალთა მხატვრული შემოქმედებით მან უარყო მანამდე ფემოკიდებული მენტორულ-დიდაქტიკური მწერლობის რეექსპულთა; თანდათან განდევნა ტექსტში მზა ფორმულირებების მექანიკურად ჩართვა, მშრალი, მომაბეზრებელი ტყუილდამრიგებლობითი მსჯელობები და წინ წამოწია მხატვრულობის სასიცოცხლო ინტერესები.

ეს მტკად საგულისხმო მოვლენა იყო. იგი ორგანულად ექსოვებოდა ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის განვითარების ძირითად ტენდენციებს, რომლებიც, მართალია, თავდაპირველად მტკ-საქლ-

ბად იყო გამოვლენილი, მაგრამ შემდგომში მოავლენაროვან ქართულ საბავშვო მწერლობაში შესაბამის სრულყოფას მიაღწია.

მიუხედავად ამისა, ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის ისტორიის ზოგიერთი მკვლევარი საბავშვო სიტყვაკაზმულ მწერლობას ამ ბოლო დროს ყოველგვარი შენიშვნის გარეშე დიდაქტიკურ ლიტერატურას უწოდებს. ამავე დროს სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის არსის გარკვევისას „დიდაქტიკური ლიტერატურის“ ცნებას ხშირად უნაცვლება „დიდაქტიკური პოეზიის“, „დიდაქტიკური მწერლობის“ ცნებები. ზოგჯერ ყოველი მათგანი ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარება. კიდევ მეტიც, ამის შედეგად ცალკეული დიდაქტიკური ნაწარმოების ნიშანდობლივი, უმთავრეს ფუნქციას დაქვემდებარებული კონკრეტული მიზანდასახულობა მთლიანად მრავალფეროვანი საბავშვო მწერლობისათვის არის მიკუთვნებული, როგორც მისი ძირითადი ფუნქცია, მისი უპირველესი ნიშან-თვისება.

ამის შედეგად ძნელდება ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობისა და მისი განვითარების ძირითადი პრობლემების უსუსტად შემოსაზღვრა, მისი ყველა ნიშნის სათანადო განხილვა-გარჩევა და მართებული დასკვნების განზოგადება.

ამის გამო საჭიროდ მიგვაჩნია მტკიცედ დადგინდეს მენტორულ-დიდაქტიკური და სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის ურთიერთდამოკიდებულება, განისაზღვროს მათი არსის გამომხატველ ცნებათა თვისებებურება.

აუცილებელია ამ ცნებების სპეციფიურობის უსუსტად, მეცნიერულად, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის დონეზე გადასინჯვა და დაუსუსტება. მომეტებულ შემთხვევაში ყველა ეს ცნება საბავშვო მწერლობის თემატიკის, ანარების განვითარების ისტორიული გზების, საბავშვო მწერლობის საგანმანათ-

ღებულ და აღმზრდელითი ფუნქციების არსის განმარტებასა და გავებას უკავშირდება. ამის გამო მათი გაიფიქრება ან ურთიანეთში აღრევა სწორად ვერ წარმოვადგენს კუთვნილი ნიშანდობლივ თვისებებს, მიზნებსა და ამოცანებს.

კიდევ მეტიც, ამით სიტყვყავაზულ საბავშვო მწერლობის მენტორული და დიდაქტიკური ლიტერატურის ფუნქციის შიკავთვებენ, რაც არ არის სწორი. ამდნად ეს საკითხი საბავშვო მწერლობის ისტორიის პრინციპული მნიშვნელობის საკითხია. სწორედ ამიტომ იდგა იგი მაღალი იდეურ-მსატრეული ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობისათვის მებრძოლია ყურადღების არენა.

ჯერ კიდევ ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის ფორმირება-ჩამოყალიბების პროცესში საბავშვო მწერლობის ლიტერატურულმა კრიტიკამ გატევიროვლად დასვა საკითხი დამოძღვრების, წარსულში ფესვგადგმული ზნენისწავლების ტრადიციის გავრძელების, მიზანების წინააღმდეგ; მენტორული და დიდაქტიკური ლიტერატურის სპეციფიკას აშკარად დასაბუთებდა სინამდვილის მსატრეული რეალიზების პრინციპების საფუძველზე ასახვა. ეს იყო ამ ეპოქის ნიშანდობლივი თავისებურება, რომლის გარეშეც არ შეიძლებოდა განვითარებულიყო მრავალფეროვანი ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობა.

საბავშვო მწერლობის მოამაგენი ითვალისწინებდნენ მსატრეული ნაწარმოების დიდ ემოციურ ძალას, მის საგანმანათლებლო და აღმზრდელითი ფუნქციას; ამის გამო ყოფილნაირად ცდილობდნენ საბავშვო ნაწარმოებისათვის მოეშორებინათ დიდაქტიკის ჩენი. ამ ზრძოლაში ისინი მოურიდებულნი იყვნენ თვით გამოჩენილი მწერლების მიმართაც. ნიშნულიათვის ამჟერად შევებებათ ერთ ტიპურ მაგალითს, რომელიც დღევანდებულაა ევ. გაბაშვილის მოთხრობების იდეურ-მსატრეულ განმარტებასთან და გადმოცეცემს ლიტერატურულ კრიტიკაში თანდათან დამკვიდრებულ სამართლიან განწყობილებას; გაჯეთ „ივერიის“ 1885 წ. მეექვსე ნომერში გამოქვეყნებულ საბავშვო ნაწარმოებებზე განმარტებისას გარკვეული შეფასება მიეცა ევ. გაბაშვილის მოთხრობებსაც.

ამ რეკენიში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დიდაქტიკისა და საბავშვო მწერლობის ურთიერთდამოკიდებულების კონკრეტული ფაქტი. აი, როგორ არის შეფასებული იგი: „ერთი კიდევ დიდ ნაკლავანებას ვამჩნევ ქანის გაბაშვილის მოთხრობებს. ამათ ისეთი დიდაქტიკური კილო აქვთ, თითქმის მოძღვრობს და ჭადაგებოს. თითქმის პირველსავე სტრუქტურაშიდამეც მიხვდებით, რომ ავტორის ამა და ამ აზრის, დარჩევების, სენტენციის გამოთქმა უნდაო (ხაზი ჩემია. ა. ჩ.). მართლაც და ჩაიკათხავით თუ არა ბოლომდის, პრწყნდებით, რომ თქვენი აზრი შეუცდომელი არ იყო. აი თუ გინდ ავიღოთ პირველი ამ სახალწლო წიგნი დამეჭვდილი მოთხრობა: „სახალწლო ფეშქანი“. იწყობთ კითხვას და მამინვე თვალბში გეცემათ რაღაც მოძღვრებული დრობები. ათავებთ კითხვას და აი რა სენტენციას სცნობილობთ მოთხრობიდან: მსართლებში და ბედნიე-

რებაშიაც ნუ დაივიწყებ უბედურს და ბედით დაჩაგრულს, სწორედ როგორც სახარებაში: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“.

ქანის გაბაშვილის მოთხრობები მაგონებენ ნემენცების სენტენციურ საყმაწვილო მოთხრობებს. ამავე გზას ადგა რუსეთის საყმაწვილო პედაგოგიურ ლიტერატურაში კარგად ცნობილი, აწ გარდაცვლილი, ნაყოფიერი მწერალი ჩისტიაკოვი, რომელმაც ასამდე მეტი მოთხრობა დაწერა ყმაწვილობისათვის ამ სათაურით «Нравственные повести и рассказы». ჩემის საკუთარს გამოყლილებით შეჯთად ვიცი, რომ ამ გვარის მოთხრობებს დიდი ზეგავლენა არა აქვთ ყმაწვილების სულსა და გულზედ და ამიტომ ხალისინადაც არ კითხულობენ“.

ამ ამონაწერში გარკვევით ჩანს რეკენუნტის მართებული პოზიცია, რომელიც მსატრეული საბავშვო მწერლობის არსებით მხარეს შევება ეს აზრი ვრცელდებოდა საბავშვო მოთხრობებზე და საბავშვო პოეზიასაც მტკიცე მოთხოვნებს უყვებდა: „უნდა შეიტყონ ერთხელ და სამუდამოდ ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ლექსის დედა-აზრი ბოლოს კი არ უნდა იყოს კუღავით მიკერებული, არამედ თვითონ ლექსივედ უნდა თავის თავად გამოისტვირვალბდეს. თუ ლექსი წყაროსავით გულიდან შეუქვევლად მომდინარობს, თუ თოფის წამალივით ხასვე გრძნობიდან აღმოჟფეთქს, — მამინ თქვენი დარიგება და სწავლა — მეტი შრომაა: თითონ ლექსი ყმაწვილებს გრძნობასაც აღუძრავს და ტენისაც ხაზრდოს მისცემს“ („ივერია“, 1885, 29, გვ. 1). (ხაზი ჩემია. ა. ჩ.).

აქედან ცხადია, რომ ბავშვებზე ემოციური ზეგავლენის მქონედ მიჩნეული იყო მხოლოდ მაღალი იდეურ-მსატრეული ნაწარმოები, ჭეშმარიტი მსატრეული პრინციპების საფუძველზე შექმნილი ნაწარმოები; ასეთი ნაწარმოებისათვის ბრძოლა იყო რეალისტური ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის შექმნის ერთ-ერთი უშთაგრესი პირობა.

და ეს, მართლაც, ერთადერთი სწორი ხაც იყო. მსატრეულ ნაწარმოებებში ჩაქოვილი ეპოქისეული მორალი, მაღალი იდეალები, რომლებიც მსატრეული სიტყვის ძალით ხსენ-პერსონაჟების ქცევაში, სულიერ ლეღვასა და განცდებში მწერლის ნიჭის შესაბამისად არის გამოხატული ნაირსახეობის ესეთიკური ფორმებით, რა თქმა უნდა, ემოციური ზეგავლენის ისეთ შეუცვლელ ძალას წარმოადგენს, რომელიც ტაცებს, ხიბლავს მკითხველს, მოქმედებს მის გრძნობასა და გონებაზე, ცოცხლად წარმოუდგენს ვეებაზე უცვლელ და უღამაზეც, აღუძრავს ხიმათიებებს მოწინავე იდეების მიმართ და ანტიპათიებს პროგრესულთან შეუთავსებელი ტენდენციების მიმართ.

მართალია, ყოველივე ეს მსატრეულ ნაწარმოებებში ზოჯერ დიდაქტიკურ-მორალისტური მოტივის სახით არის ხოლმე ჩაქსოვილი, მაგრამ ცალკე აღებული არ შეიყნობა როგორც მსატრეული მოღვენა. ამგვარი მოტივების ბუნებრივად, უშუალოდ, ჭალდაუტანებლად შეენობა-გავება ძირითადად დამოკი-



დებულება იმ ადამიანური ხასიათების განცდებისა და კონკრეტული ქვეყნის ჩვენებაზე, რომელიც მხატვრული ნაწარმოების იდეურ-თემატურურ საფუძველს, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება მხატვრულ-გამომსახველობით სარეზონანსო რთული სისტემით; მწერლის მიერ დამატულ ადამიანურ ხასიათებში მოცემულია ის, რაც მწერალს შეუნიშნავს ცხოვრების რთულ პროცესში და ისიც, რაც მწერალს სურს სახოს ადამიანში (Л. И. Тимофеев. Основы теории литературы, 1959, გვ. 138).

სწორედ აქ იღებს სათავეს ხასიათის განმარტებლობა და მისი ესთეტიკური მნიშვნელობა; მწერალი თავის ნაწარმოებში წარმოგიდგენს, გვაცნობს თავის-დროინდელ ან ისტორიულ ყოფას, რომლის შეცნობითაც ჩვენთვის ნათელი ხდება მწერლის მიერ დამატული ინდივიდუალიზებული ადამიანური ხასიათები, ამ ხასიათების ორი მხარე: უარსაყოფი და იდეალური, მისაბამი, ისტორიული თვალსაზრისით ბუნსპექტიული და ობიექტური აუცილებლობით ნაკარნახევი.

ეს, რასაკვირველია, წარმოადგენს ნაწარმოებში ჩატკოვილი დიდაქტიკურ-მორალისტური მოტივების ერთ-ერთ საფუძველს. მაგრამ ნაწარმოების ღირსებას, რითაც იგი უძლებს დროის მკაცრ გამოცდას, განსაზღვრავს არა მასში მოცემული დიდაქტიკური მოტივი, არამედ ნაწარმოების მთლიანი მაღალი იდეურ-მხატვრული დონე.

რა თქმა უნდა, მხოლოდ მაღალ იდეურ-მხატვრულ ღირსებების მქონე საბავშვო ნაწარმოებებში მოცემული ცოცხალი ფერები არ ხუნდება და არ ქრება, მხოლოდ ასეთი ნაწარმოებების გმირები აღელვებენ მკითხველებს, იწვევენ მასში შეყოფბასა თუ გულმსწყრომას, აღტაცებას თუ ზისლს, მიამბავლობის სურვილს თუ უარყოფას. არ არის სადავო, რომ მხოლოდ ასეთ მხატვრულ ნაწარმოებს აქვს დიდი დამკვირვებლობა და შთაგონების ძალა, რაც განსაზღვრავს საგანმანათლებლო და აღმზრდელით ფუნქციას.

საბავშვო მწერლობისათვისაც ეს არის უმთავრესი, არანბითი.

სწორედ ეს ნიშანდობლივი, უპირატესი თვისება აძლევს მას სიცოცხლისუნარიანობას, მხოლოდ ამის გამო უძლებს საბავშვო მწერლობის ისტორიაში კარგად ცნობილი ნაწარმოებები ეპოქის მკაცრ გამოცდას. მხოლოდ ასეთი ნაწარმოებები ხდება ამაღლი თაობის მეგობარი, მრჩეველი, მისწავლებელი და მათი მხატვრული თუ კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარების, ესთეტიკური აღზრდის ურტიკი წყარო.

ეს ურყვეი დებულება ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ მენტორულ-დიდაქტიკური ლიტერატურა და საბავშვო სიტყვაკანსული მწერლობა არ შეიძლება ერთ ცნებაში გაგაერთიანოთ ან გაგივიყოთ.



საბავშვო სიტყვაკანსული მწერლობისა და მენტორულ-დიდაქტიკური ლიტერატურის ურთიერთ-დამოკიდებულების თუ არსებითი განსხვავების კარ-

გვეყისათვის საჭიროდ მიგვაჩინა საგანგებოდ შექმნილი იმ საკითხებზე, რომლებიც აუცილებელია ამ პრობლემის სწორად გადაწყვეტისათვის.

არის წიგნები, საგანგებოდ დაწერილი იმ მიზნით, რომ ახალ თაობას უკარნახეველ, ასწავლილებს გარკვეულ საზოგადოებრივ-ეთიკურ ნორმებს, საზოგადოებრივი ქვეყნის წესებს, გონიერებას, მოვალეობასა და დანიშნულებას, ამავე დროს რწვეა-დარიცხვას აძლევდეს სათანადო მორალური ჩვენების გამოსაშვებებლად, განუმარტავდეს, უსინდეს და განსაკუთრებულ აქტებს აგუთხედეს ადამიანის ქვეყნის დიდებით თვისებებზე, აი სწორედ ამგვარი ლიტერატურა განეკუთვნება მენტორულ ლიტერატურას.

აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: მენტორული ეწოდება ისეთ ლიტერატურას, რომელიც მკაცრად ექვემდებარება მხოლოდ აღმზრდელით მიზნებს და, რაც მთავარია, მოცემულია ერთგულ სპეციფიკას, ახალ თაობას არ უფართობებს გონებრივ პორიონტს, არ უშლიდრებს გარნებას ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების ეპოქისეულ საკითხებზე.

მენტორულ-დიდაქტიკური ნაწარმოების შექმნა და დანიშნულება, თქმა არ უნდა, წინასწარ გამიზნული საგანებო, მორალისტური პრინციპებით არის ნაკარნახევი და ამით განსაზღვრული.

ასეთი ნაწარმოებისათვის დამახასიათებელია აღწერილობითი ხასიათი, დამრიგებლობითი შინაარსის ფრაზების მოჭარბებულობა, შინაარსის მწრალად გადმოცემა. ასეთ ნაწარმოებებში ცხოვრების სინამდვილის სათანადო მოვლენები არ არის ნაჩვენები, მხატვრულად წარმოსახული. ნაწარმოები აგებულია, თანამა ვითარდება ერთი რომელიმე წამყვანი ნიშნის მიხედვით (როგორცაა: ეგოისტური მორალი, პანატიკიზმი, სიხარბე, შეურბაღებლობა, სიცრუე, დესპოტიზმი და სხვ., ან კიდევ კეთილი გრძობა, დამაგრულისადმი სიზრბული, სიმატლისა და სამართლიანობისათვის ბრძოლა).

მენტორულ-დიდაქტიკურ ლიტერატურას, ღართო გაგებით, ბოლოსდაბოლოს განსაზღვრული პრაქტიკული დანიშნულება აქვს — იგი შეიცავს კონკრეტულ რწვეას ამ საყაროში მათი პრაქტიკული მოქმედებისათვის მისაღებ, სასარგებლო, მოსაწონ ფორმებზე და საზოგადოებრივ-ეთიკურ ნორმებზე.

სწორედ ასეთი ლიტერატურა აღვეყნს ბავშვების სუბიექტურ ტირვეულობებს, ადამიანის მოქმედების კანონების დარღვევას განსაზღვრული წესებისა და ნორმების შეგნებულად შესწავლისა და პრაქტიკულად გამოყენების გზით.

ამგვარად, მენტორულ-დიდაქტიკური ლიტერატურა შეიცავს უსუსტად განსაზღვრულ, რეგლამენტირებულ რწვეა-დარიცხვებს, მითითებებს, რომელთაც აღარ განიხიათ ესთეტიკური ტკობა, ემოციურობა ბუნებრივია, ასეთი ნაწარმოები სიტყვაკანსული მწერლობის ნიშნად არ ჩაითვლება.



ამ საკითხის ისტორიულ ასპექტში განიღვა მოიხსოვს, მოკლედ მინიც შევირდეთ ქვეყნის წებვულ-

ლებზე დიდაქტიური პოეზიის შესახებ; ჰეგელის შეხედულებათა მარქსისტულ-ლენინური ენთეტიკის პოზიციებიდან განსილვა, ვფიქრობთ, კიდევ უფრო ცხადს გახდის ზემოაღნიშნული პირობების სწორად გადაწყვეტის დიდ მნიშვნელობას და მოვცემში სთავაზოდო მეთოდოლოგიურ საფუძვლეს მართებული დასკვნების განოსატანად.

ცნობილია, რომ ჰეგელი დიდაქტიურ პოეზიას ნამდვილი, ჭეშმარიტი ხელოვნების სფეროდან თიხვდა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, მტკიცე ზღვარს ავლენდა ჭეშმარიტ მხატვრულ ნაწარმოებსა და დიდაქტიურ პოეზიას შორის; დიდაქტიურ პოეზიაში იგი ხედავდა არაპოეტურის პოეტურთან მექანიკურად შეერთებას, მათ ხელოვნურ ერთობობას გარკვეული მიზნით, როდესაც აწკარად ჩანს მათი, ე. ი. არაპოეტურისა და პოეტურის, მხატვრულ საშუალებათა ორნამენტული ფუნქცია.

ჰეგელის შეხედულება დიდაქტიური ლექსის შესახებ შეიძლება აბგვარად ჩამოვაყალიბოთ.

1. დიდაქტიურ ლექსში (პოეზიაში) გარკვევით ჩანს კონკრეტული, მთლიანი, მაგრამ ცალკე ვაფორმებული, განვითარებული, აბსტრაქტული მნიშვნელობის შენეწი შინაარსი, პროსალი, ე. ი. არაპოეტური ტექსტის არსებობა, რომელიც შინაარსულად გამოვყვითლად შეიცავს გარკვეულ დამოძღვრებას, შეფონებას, ჭკუის სწავლებას, ხოლო მხატვრულგამომსახველობითი საშუალებანი, მხატვრულ სახეთა სისტემა მასზე გარედან ხელოვნურადაა მიყვრებული, როგორც დანამატი.

2. დიდაქტიური ლექსის (პოეზიის) ეს გარეწული საშუალები — მხატვრული გამოსახველობითი საშუალებანი, მხატვრულ სახეთა სისტემა თავისთავად ვაფორმებული, განვითარებული შინაარსის (ტექსტის) გვერდით დეას მხოლოდ გარკვეული ფუნქციის შესასრულებლად, რათა „დამოძღვრების სიმშრალეა და სერიოზულობის შედარებით ცხოველშოვლელობით უფრო მობარული სახე მისდეს და და ცხოვრება მიშინდველი გახადოს“.

3. დიდაქტიური ლექსის ფორმა, რომელიც ბერწულ ფილოსოფიას დასაწყისშივე უკავშირდება, ვაშოვლნილა ლუკრეციუსის მეგრ ვეპურებს ფილოსოფიის ვადამოყუებინას ვირგილიუსის დარიგებში. როგორც ვამონაკლახი იგი ამ საუკუნეშიც ვამონდა, მაგრამ მხოლოდ დელილის ლექსებში, სადად ფიზიკის კომპენდიუმა მიცემული;

4. დიდაქტიური ლექსი (პოეზია) ხელოვნების ნამდვილ ფორმებს ვერ მიცუთუნება (Georg Wilhelm Friedrich Hegel *Ästhetik*, 1955, გვ. 413).

ზემოაღნიშნული დებულებების მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიასა და თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი პრინციპების საფუძველზე ანალიზის შედეგად მართებულად უნდა მივიჩნიოთ ის შეხედულება, რომ ნაწარმოები, რომელშიც შინაარსი მხატვრულ სახეთა სისტემაში ორგანულად არ არის ჩაქსოვილი მხატვრული ლიტერატურის სფეროს არ ვანეკუთვნება. უფრო ზუსტად, მარქსისტულ-ლენინური ენთეტიკის პოზიციებიდან სახეთა სისტემის განხილვას ერთ სწორ დასკვნამდე მივყავართ:

ცნობილია, რომ მხატვრულ ლიტერატურაში სახე იდეური შინაარსის გამოხატვის სპეციფიური ფორმაა, სახეთა სისტემაში ყოველთვის აქვს იდეური შინაარსი, რომელიც ყოველთვის გამოხატავს გარკვეულ სინამდვილეს, ყოველთვის შეიცავს ამ სინამდვილის იდეურ შეფასებას, ახასიათებს ვმოციურობას, ადამიანის გონებასა და გრძნობაზე დიდი ზემოქმედების ახლა, რადგან ასეთ ნაწარმოებში მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებათა მალალოსტატურად გამოყენების შედეგად სინამდვილის ჩვენება ორგანულად ექოვება ვმოციურ შინაგუდილებებს, ვმოციურ შეგულებას. ამის ვამო ნაწარმოების შინაარსისა და მხატვრული ფორმის ერთობობის პრინციპი განსაზღვრავს ნაწარმოების ღირებულებას და ხელოვნების სფეროსადმი მის მიცუთუნებას.

ჰეგელის მოსაზრება, თითქოს მხატვრულ საშუალებათა ფუნქციაა „ცხოვრება მიშინდველი გახადოს“, შეიძლება ორ აბექტში განვიხილოთ:

ა) მალამხატვრული ნაწარმოები წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების, ობიექტური სინამდვილის მხატვრული სახეებითი ჩვენებასა და ახასიათებს (ამ სიტყვის ფართო გაგებით), სადაც ვანცდათა ფორმებში გამოხატულია იდეური შინაარსი, ობიექტური სინამდვილე.

ობიექტური სინამდვილე, საზოგადოებრივი ცხოვრება თუ თავისთავში არ შეიცავს მიშენიერს, შომხილავს, ნაწარმოებში მხატვრული ხეწების ვამოყენებით შეუძლებელია იგი მიშინდველი ვახადოს. ასეთი ნაწარმოები არ იქნება შექმნილი მხატვრული რეალიზმის პრინციპების საფუძველზე.

არ არის სადაო, რომ ნაწარმოების არა მხოლოდ მხატვრული საშუალებები, არამედ მასთან დაკავშირებული, მისგან ვაფყოფელი (და პირიქით) იდეური შინაარსი შექმნილი უნდა იყოს ცხოვრების სიღრმეში დღამდ ჩაწვდომის შედეგად და მასში სწორად უნდა იყოს ამოცნობილი კლასობრივი ინტერესები და მასთან დაკავშირული ადამიანური ინტერესები, შორალი; რადგან მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების მიხედვით სწორად ვაგებული ინტერესი წარმოადგენს ყოველგვარი შორალის პრინციპს, მაგრამ იმის ვამო, რომ „*Личные интересы всегда развиваются... в классовые интересы*“ (К. Маркс и Ф. Энгельс, *соч. т. IV, гл. 225*) ცხოვრების შეფასებაც ამ პოზიციებიდან ხდება, ხოლო მისი მიშინდველად ვადამტყვა ამ ასეთად მოჩვენება მხატვრულ სახეებს არ ძალუბს; „ცხოვრება რომ მიშინდველი ვახადოს“, ამისთვის საჭიროა ბრძოლის აქტიური ფორმების ვამოყენება.

ბ) მხატვრული დანამატი, ჩვენი ვაგებით, წინთსწავლების, დამოძღვრების, შეგონების შექმნელ ნაწარმოებებს იმტომ კი არ მივევრება ვარედან, რომ „ცხოვრება მიშინდველი ვახადოს“, არამედ იმისათვის, რომ დამოძღვრების ტექსტის შეწნობა ერთგვარად შეამუბუკოს, მომამხრებელი, შმრალი ვანსაის ნაცლუბს, ერთგვარად ხატოვანი უნთ უზრუნველყოფს ტექსტის შინაარსულად შესწავლად რეექტორული შორალური ნორმების ვაგება-შესრულებისათვის.

ამ შემთხვევაში მხატვრობის (გარეგანი დანამატების, სამკაულების) მიზანია არა ის, რომ „ცხოვრება მიშინდევლად წარმოვიდგინოს“, არამედ შეგონების ფრასების ტექსტის დამასხორება, შეცნობა და შესწავლა გააიოლოს.

აი რა არის ერთადერთი და უმთავრესი მიზანი დიდაქტიკური ლექსის (პოეზიის) გარე სამკაულებისა. ამით იგი ქემმარტივ მხატვრული ნაწარმოების ემოციური ზეგავლენის დიად ძალას, რასაკვირველია, მოკლებულია.

ამგვარად, როგორც ზემოთ აღვინიშნეთ, ისეთ ნაწარმოებს, რომლის ძირითადი მიზანია წესოსწავლება, დამოდგრება მისთვის სპეციალური თვისებების გამო ცალკე გამოყოფით და მენტორულ ლიტერატურას მივაკუთვნებთ. ვიყარობთ, ამგვარ მენტორულ ლიტერატურას ვერც წარსულში, ვერც დღეს და ვერც მომავალში ვერ მოვაძვევთ სიტყვაგანულის საბავშვო მწერლობის სფეროში. ის ცალკე დგას, აქვს თავისი კონკრეტული დანიშნულება და მისი ფუნქციაც ამ ვიწრო დანიშნულებით არის განსაზღვრული.

* * *

საბავშვო სიტყვაგანულის მწერლობის ზოგიერთი მკვლევარი დიდაქტიკური ლიტერატურისა და საბავშვო მწერლობის ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე დღესაც თავისებურ განმარტებას გვთავაზობს და აცხადებს, რომ საბავშვო ლიტერატურა. არსებითად დიდაქტიკური მწერლობის გარკვეულ დარგს წარმოადგენს.

ამ განსაზღვრიდან ერთი ლოგიკური დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ: დიდაქტიკური მწერლობა აუარფი ფართო ნაირსახეობის მწერლობაა, ხოლო საბავშვო ლიტერატურა მისი ერთ-ერთი შენაკადური სახე, გარკვეული დარგია.

საკითხის ამგვარად დაყენება პრინციპშივე მცდარია, რადგან საბავშვო ლიტერატურა კი არ არის „დიდაქტიკური მწერლობის“ დარგი, დიდაქტიკური მოტივის მქონე ნაწარმოებები არის შენაკადი საბავშვო მხატვრული ლიტერატურისა. ასე რომ, არ შეიძლება საბავშვო ლიტერატურა მეტად ვიწროდ, შეზღუდულად წარმოვიდგინოთ, ხოლო „დიდაქტიკური მწერლობა“ ფართოდ, მაშინ, როცა ფაქტიკური მდგომარეობის მიხედვით — შინაარსით, განზომილებით თავისებურებით, სახეთა სისტემით, გამოშასხველობითი საშუალებებითა და ხერხებით არა მარტო საბავშვო ლიტერატურა საერთოდ, არამედ საბავშვო მხატვრული ლიტერატურაც (საბავშვო მწერლობა), რომელიც საერთო საბავშვო ლიტერატურაში შემავალი ნაკადია, უფრო ფართოა, ვიდრე „დიდაქტიკური მწერლობა“.

ამავე დროს არ შეიძლება არ დაისვას საკითხი: დასაშვებია თუ არა საბავშვო მწერლობის გაიგივება დიდაქტიკურ ლიტერატურასთან, თვისობრივად მეტად განსაზღვრულ, მხატვრულად უწეო და, როგორც ზემოთ ვთქვით, საგანგებოდ ბავშვთა შგონებახასიათთან, ტექსტსწავლებისათვის შექმნილ ლიტერატურასთან, რომლის მიზანია გამოყოფილია საუბრის, დიალოგის ან მიმართვის ფორმით მხატვრულ-

გამომსახველობით საშუალებათა ორგანულად გამოყენების გარეშე. რასაკვირველია, არა.

დიდაქტიკური ლიტერატურის არსის გაგებისათვის აუცილებელია იმისი გასწავლება, რომ ცნება დიდაქტიკური ლიტერატურა საწყისი იღებს ბერძნული სიტყვიდან „დიდაქტიკოს“, რომელიც თავის არსში სრულიად არ შეიცავს მხატვრული წარმოსახვის მოთხოვნას. იგი გარკვეული პედაგოგიური მოძღვრების აღნიშნულია მხოლოდ.

თუ საბავშვო მწერლობას გამოვაცხადებთ დიდაქტიკური ლიტერატურის დარგად, მაშინ საბავშვო პოეზია, ბელეტრისტიკა, დრამატურგია დიდაქტიკის პრინციპების მიხედვით უნდა განვიხილოთ და შევვაფასოთ, კიდევ მეტი, მისთვის ნიშნული იქნება დიდაქტიკის პრინციპისადმი დაქვემდებარება. ასეთი შეხედულება ჩვენ სწორად არ მიგვაჩნია.

ბ. ბულისსკი რომანისა და მოთხრობის მნიშვნელობის განიხილებისას ამბობდა: „რომანი და მოთხრობა ახლა სათავაში ჩაუღაბა ყველა სხვა გვარის პოეზიას“, რომელშიც „ტადანტი უსაზღვრო თავისუფლებას გრძობს“: — ამავე დროს იგი გარკვევით აღნიშნავს, რომ „მასში (გ. ი. რომანსა და მოთხრობაში) შეერთებულია ყველა სხვა გვარის პოეზია — ლირიკაც, როგორც ავტორის განმობათა გადმოშლა მის მიერ აღწერილი მოვლენის გამო, დრამატუზაცია, როგორც ყველაზე მკაფიო და რელიეფური საშუალება მოცემულ ხასიათთა გამოსავლინებლად. გადასვლას, მსჯელობას, დიდაქტიკას, რომლებიც პოეზიის სხვა გვარებში შეუწყნარებელია, რომანსა და მოთხრობაში შეიძლება კანონიერი ადგილი ეჭიროს. რომანი და მოთხრობა სრულ გასაკანს აძლევს მწერალს მისი ტალანტის, ხასიათის, გამოცემების, მიმართულებათა და სხვათა უპირატესი თვისების გამოსავლინებლად“ (ხაზი ჩემია. ა. ჩ.).

ბ. ბულისსკის ამ განმარტებიდან კარგად ჩანს, რომ დიდაქტიკა გამოირიცხვლია სრულყოფილი პოეზიის სფეროდან, რადგან იგი (დიდაქტიკა) შეუთავსებელია ფაქტობრივთან, მხატვრულ წარმოსახვასთან. ეს უკანასკნელი კი ის აუცილებელი ელემენტია, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ის განსაკუთრებული თავისებურებებია, ურომლისოდაც ქემმარტივ პოეზია წარმოუდგებელია.

დიდაქტიკა კმნის უფრულ, მშრალ, რეცეპტორულ ლექსს, რომელსაც მხოლოდ ერთადერთი მიზანი აქვს. — გარკვეული მორალის ჩარჩოში ბავშვის სულია და გულის მოქცევა, ნების, მისწრაფებების, მიზნების, აზრებისა და ფეჭურების წინასახარ კარგად მოფიქრებული და განსაზღვრულ მიმართებაში განვითარება.

ბუნებრივია, რომ ასეთი გზით არ შეიძლება მრავალფეროვანი, მზალ იდურ-მხატვრული ღირებულების მქონე საბავშვო პოეზიის განვითარება. საბავშვო მწერლობა ამ გზით არც განვითარებულა.

მხატვრული წარმოსახვა, მდიდარი პოეტური ფინტაზიით ნაწარმოების სრულყოფა, შთამბეჭდავ პოეტურ-გამომსახველობით საშუალებათა ოსტატურად გამოყენება, მხატვრული სიტყვის ბავშვის ასაკისა და გონებრივი განვითარების გათვალისწინებით იმგვარ-

რად შერჩევა, რომ ძლიერად, ვეგეტურად ვიმოქმედოთ მის ფანტაზიაზე, მის ემოციებზე და ამით ხელი შევუწყობ ცხოვრებაზე, ადამიანთა ურთიერთობაზე, ბუნებაზე და ბუნებრივ მოვლენებზე სწორი შეხედულებების შემუშავებას, — აი უპირველესი და უმთავრესი მოთხოვნა მაღალდღეური, მხატვრული სახეებით მდიდარი საბავშვო მწერლობისადმი.

რასაკვირველია, ზოგიერთ ნაწარმოებში გადახვევას, მსუფულობას, დიდაქტიკას შეიძლება „კანონიერი ადგილი ეძიროს“ და იგი გათვალისწინებული იყოს ხსოვითი გამოაწოების ან რაიმე მანკიერების გაცილებასათვის, მაგრამ ასეთი ნაწარმოებისთვისაც უპირველესი ამოცანა მაინც ხასიათის მხატვრული ჩვენება იქნება. ასეთ ნაწარმოებში მწერლის მიერ შექმნილი სახეები იქნებიან ტიპური ტიპურ გარემოში და ბუნებრივად გამოიწვევენ გარკვეულ ემოციურ ზეგავლენას, იმოქმედებენ ბავშვის ფანტაზიაზე, ხოლო მწერლის ტალანტი, ბელინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, უსაზღვრო თავისუფლებას იგრძნობს.

შემოქმედების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ: დიდაქტიკური ლიტერატურის საფუძველი პედაგოგიური პრინციპებია, ხოლო საბავშვო სიტყვაკანსული მწერლობა წარმოიშვა, განვითარდა და ვითარდება მხატვრული რეალიზმის ძირითადი პრინციპების მიხედვით.

აქედან გამომდინარე, შეიძლება კატეგორიულად ითქვას, რომ არსებობს დიდაქტიკური ლიტერატურა სიტყვაკანსული მწერლობისაგან დამოუკიდებლად, ძირითადად მხატვრული სიტყვის ხელოვნების გამოყენებლად, მაგრამ არ არსებობს არც ერთი ქუშიშარიტად მხატვრული ნაწარმოები, რომელიც მკითხველზე ემოციურ ზეგავლენას არ ახდენს, რამეს არ უთავაზობს, არ ჩააიქურბს, რამეს არ ასწავლის. ზოგ შემთხვევაში მის მრავალფეროვან მხატვრულ სახეებში ჩაშლილია დიდაქტიკური მოტივებიც.

მაგრამ ასეთი მოტივები ამა თუ იმ ეპოქის ნაწარმოების შინაარსობრივ-თვისობრივ ხასიათში მხოლოდ ერთ-ერთ შემავალ, ნიშანდებულ ფუნქციას ასრულებს და საზოგადოებრივი ცხოვრების ჩვენების, ასახვის მხატვრულ ამოცანებს ექვემდებარება.

* * *

დიდაქტიკური ლიტერატურა და სიტყვაკანსული მწერლობა შექმნილია და დანიშნულებით მჭრივაც განსხვავებული თავისებურების შემცველია; დიდაქტიკური ნაწარმოების შექმნისას გადაწყვეტილი უკვე წინასწარმოდებული, წინასწარშემუშავებული საზოგადოებრივ-ეთიკური ნორმებისა და კანონების ჩარჩოები, ამ ჩარჩოებში რეგლამენტირებული მორალი, ქმედანი, რაც ასალგაზრდობის აღზრდის რთულ პროცესში მათ შეგნებულად უნდა შეეთვისონ და პრაქტიკულად გამოიყენონ.

ეს წინასწარგამომუშავებული ნორმები და აზრები განსაზღვრებენ ცალკეული დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოების იდეას, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში იმ დროისათვის გაბატონებულ იდეას წარმოადგენს. მწერალი ამ იდეასთან მკაცრ დამოკიდებულებაში იმყოფება, იგი ამ რეცეპტორული აზ-

რის მკაფიოდ, უკეთ გამოხატვას ზოგჯერ მხატვრული გამოხატველობითი საშუალებებითაც კი ცდილობს; ამ დროს ის რამდენადმე თავისუფალია, არჩევს სიტყვებს, გამოთქმებს, შედარებებს, მეტაფორებს, მაგრამ იმგვარად, რომ წინა პლანზე მაინც მკვეთრად გამოისახოს გაბატონებული, წინასწარგანსაზღვრული შეგონება, დამოძღვრება, რაც მისი უმთავრესი მიზანი და დანიშნულებაა.

ამ შემთხვევაში ასეთი ნაწარმოების ავტორი ცდილობს, მკითხველს ყურადღება პირველი წყაითვისთანავე სწორედ მასზე მიაქცივინოს, სათანადო აქცენტრებით დაამასხვროს, რაც საბოლოოდ მისი ქცევის, მისი მორალური სახის განსაზღვრება შეიქნება. აქ იღებს სათავეს რწმონობრივი ლიტერატურა.

აქვე უნდა შევინიშნო ერთი მეტად დაამასხათებელი მდგომარეობაც: დიდაქტიკური ნაწარმოების ტექსტის გაგება-შეთვისებისათვის, მისი შეგნებულად გააზრებისათვის აუცილებელია ცალკეული არსებითი ნაწილის სათანადოდ ახსნა-განმარტება, რათა ბავშვებზე მეტ შემოქმედებას მიადწიოს.

* * *

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოებები თავად არის შეხავადური საბავშვო მხატვრული ლიტერატურის სფეროში. ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ პოეტურ დიდაქტიკურს. ასეთ შემთხვევაში ის ორგანულად ექსოვება ნაწარმოების ემოციურობას, პოეტურ-გამომსახველობითი ხერხები გამოყენებულია იმგვარად, რომ პოეტური მხატვრული სიტყვით ესთეტიკურ ტკბობასთან ერთად ბავშვის გონებას და გულს ძალდაუტანებლად სწვდებაოდეს ავტორის მორალური ჩანაღებრი. ამ შემთხვევაში ხატვანება მხოლოდ დამხმარე ხერხია ძირითადი მიზნისთვის — შეგონებისათვის.

პოეტური დიდაქტიკაში საბავშვო პოეზიაში უმთავრესად საჭიროა სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის; ეს იმიტომ, რომ ამ ასაკში ბავშვებს ადამიანებზე, საზოგადოებრივი სოფრების სხვადასხვა მოვლენებზე დავკვირების, პრაქტიკული დასკვნების გამოტანის, განსჯის უნარი ჯერ კიდევ განვითარებული არა აქვთ.

უმცროსი ასაკის ბავშვთათვის დიდაქტიკის ნიშნით მაღალი პოეტური ნაწარმოებების შექმნა მცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან იღებს სათავეს და სრულყოფილი სახით თანამედროვე საბავშვო პოეზიაში ევლინება.

ისტორიულ ასპექტში საკითხის განხილვა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ცივი დიდაქტიკის ამა თუ იმ სახით გამოვლინების შემთხვევას, რაც გამოიხატებოდა ზნეობაულებების, დამოძღვრების, მენტრულიობის ნიშანთვისების წინ წამოიწვევია საბავშვო პოეზიისა და პროზის სფეროში, ქართული მხატვრული სიტყვის ქომაცნი ყოფილების პრინციპულ მძძოლას უცხადებდნენ; „კვალის“, „მოამის“, „იერიის“ აუ სხვა მერიოდულ გამოცემათა ფურცლებზე მცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის ერთ-ერთი საყურადღებო საკითხი ესეც იყო.

ამის გამო ყოველ მარჯვე შემთხვევაში ქართული უროვნული საბავშვო მწერლობისათვის მებრძოლნი საბავშვო მწერლობის განვითარების ტენდენციის განსაზღვრისათვის, მისთვის მიმართულების მისაყვამად არაორაზროვნად წერდნენ: „სენტენცია მორალია, კარგია, როცა იგი თავით თვისით გამოდინარეობს ნაწერადან, როცა იგი წესისოვლი აქვს თავი დახატულ სურათს. მიტმანსებლი ტენდენცია სიკვდილია სახელოვნებო ნაწარმოებისა, ტენდენცია... ისე უნდა იყოს შესისხლ-ხორციებული ნაწარმოებით, ისე უნდა ქონდეს ჩაწერილი და ჩახეხილი საერთო სურათის ნაწერისას, რომ ცალკე არ ეჩხინებოდეს კაცს თვალში. დღეაზრი გტოვდისა, ნაწერისა შიგ ნაწერში ისე უნდა ტრიალებდეს, როგორც სული უკვდავებისა ადამიანის სხეულში, განუმორებელი, განუყოფელი“, („მოამბე, 1899, № 3, გვ. 85), ან კიდევ, „თავდაპირველად მოთხრობისგან ვიფიხვე ჩვენი ცხოვრების გადმოშლას, რა მსრიაეც უნდა იყოს, მაგრამ ამავე დროს ის ხელთნურ ნაწარმოებისაც უნდა წარმოადგენდეს და არა ავტორის რწმინდობას“. („კვალი“, 1899, № 2, გვ. 26).

ასეთსავე მოთხოვნას უყენებდნენ ზღაპრებსაც, რომლებიც ბავშვთა სფეროში იყო მოქცეული, ასე მაგალითად, ზღაპარში „მელის ხრიკები“ ამავეი ისე ვითარდება, რომ უსამართლო, გაიჭერასა და ბოროტ მელისა ძაღლები გლყევენ. ზღაპარს აქვს ასეთი შინაშეი: „ამ ნაიბი ბოლო აქვს ყოველი გაუმადლარი, ჟანჯალსა და მოდვე კაცსა“. სწორედ ეს შინაწერი დამოძღვრების თავისებურ ფორმას წარმოადგენს. ამას კუთვნილი შეფასებაც მიეცა: „რა საუბი-რა ეს როგორმანი და რადიებმა, როდესაც ზღაპარიც ამავე ამბობს, როდესაც ზღაპრიდან უფრო ცხადათა სწინა ესევე დასკვნასაც რომ თქვენ ეუბნებით, რადა დარჩეს ბავშვს მოსაფიქრებლად, რიდათი ივარჯიშოს შინაშე გონებამ“ („ივერი“, 1889, № 4, გვ. 82). ამას კომენტარები არ ესაჭიროება.

რუსულ საბავშვო ლიტერატურულ კრიტიკაშიც ეს საკითხი პრინციპული დავის საგნად იქცა; თვით საბავშვო მწერლობაში ცნობილი პირებიც კი აშკარად აცხადებდნენ, რომ მორალი, რომელიც ზნეისწავლეების ან ხელთნური მოთხრობის ფორმით არის წარმოადგენილი, საბავშვო ლიტერატურიდან სრულიად უნდა იქნეს ამოღებული (Э. Эличи, Сборник статей по детскому чтению, П.-бург, 1912, გვ. 14). მანასადავმე, როგორც რუსული, ისე ქართული ეროვნულ საბავშვო მწერლობაში მიმდინარეობდა ბრძოლა ისეთი საბავშვო ნაწარმოებების წინააღმდეგ, რომელსაც „აიღებ თუ არა ხელში, მაშინვე პირველის გვერდის ჩაკითხვაზედვე გული შევიღინდებათ: თქვენ ქმედით, რომ ავტორს გაუზრახავს თქვენი სწავლება, ზნეობით ამაღლება, მამულის სიყვარულის გაღვივება და აი მისაღწევად მიუკიბ-მოუკიბავს „რადაც-არადაც“-ები“ („ივერია“, 1898, № 21). ასეთი ნაწარმოები, რასაკვირველია, ბავშვებს ვერ დააინტერესებს, ვერ შეაყვარებს ნაწარმოებს და ამდენად მისი აღმზრდელითი და სავანმანათლებლო ფუნქციები მეტად მკაცრად შემოსაზღვრულ ფარგლებშია მოქცეული.

უმცროსი ასაკის ბავშვთათვის სრულფასოვანი პოეტური დიდაქტიკისი ფუჭმდებლად ქართულ საბავშვო მწერლობაში შიო მღვიმელი უნდა მივიჩნიოთ. მის პოეზიაში ადგილი არა აქვს ცივ დიდაქტიკურს, მორალისტურ დამოძღვრების, მენტორული მიმართველობის გამოვლინებებს, მიუხედავად იმისა, რომ ამაღლი თათბის მაღალწუნებრივი აღზრდა, ბავშვებში მაღალ დამაინურ გრძნობათა გავლენება და განვითარება პოეტის ერთ-ერთი უმათერესი მიზანი იყო.

შიო მღვიმელი იმიტიომ კი არ იქცა ბავშვების საყვარელ პოეტად, რომ მისი საუკეთესო ნაწარმოებში შექმნილია მხოლოდ დიდაქტიკური პრინციპის საფუძველზე, არამედ იმის გამო, რომ მან პატარებს შეაყვარა ქართული საბავშვო პოეზია, შეაყვარა მათთვის ნაცნობი თუ ახლობელი გარემო (განსაკუთრებული, ბავშვთათვის მისაწვდომი ზატოვანი ქართული ენით) და ბავშვთა სახეები, სასიათები გამოაქვეთა მხატვრული რეალიზმის ძირითადი პრინციპების მიხედვით.

ამის საილუსტრაციოდ შეიძლება შევერედთ ლექსს „ცელქები“, რომელიც ასრობრივად და ემოციურად ბავშვებს აღუტარებს სიყვარულს საწინააღმდეგო გრძნობას; შინაარსის ბუნებრივ მდინარეებს პოეტი ხელთნურად არ უკავშირებს გარეგან ორნამენტებს, არც საღვთსო ფრანგებს ატყვია ხელთნურობის ნიშანი. ლექსის პირველი ცდტიონიდანვე იგრძნობა, რომ პოეტი ოსტატურად ცდილობს მიმართეთი ფორმით ბავშვებში ყურადღების, ინტერესის გამოწვევას ცელქების მოქმედებისადმი:

შეხეთ ცელქებს, როგორ ჩემად
მიპატარეინ მაქუნის ქილას;
ყური უგდეთ, რა ხალისით
ელუნება ვანო ილას.

ცელქების მოქმედება შეიგრძნობა მათი ურთიერთგაბაბების ფონზე.

ამოუესვათ, ამოვტელიათ,
რის გავტყობს ბებიაო?!
შემდეგ მუროთ მოვითხუპნოთ
ცხვირი-პირი და ყბებიაო.

საგანგებო ყურადღების ღირსია ის, რომ პოეტი თვითონ არც ერთ სიტყვას არ ხმარობს ცელქების ქვევის დასაბასათებლად, არც ჭკუის სწავლებისათვის იყენებს საღვთსო ფრანგებს. უკანასკნელ სტროფში აზრობრივი-ემოციური თვალსაზრისით მინიმუმულია ერთი მხრივ სიყვარულის თავისებური შედგეი, მეორე მხრივ, მათში ბუნებრივად აღძრული საფრთხეც:

თუ ფისუას დააბრალებს,
რა სეირი იქნებაო!
ჩვენ რომ არა შეგვატყუნ რა,
შენ ნუ გავტყინებაო!

ამით თავდება ეს პატარა ლექსი. ბავშვს თვითონვე გამოაქვს დასკვნა ცელქების არასწორ ქვევზე, საკუთარი დანაშაულის სხვაზე გადაბრალების საშარ-

ლაინობაზე. ეს პოეტმა განსჯის, სათანადო ეთიკური დასაყენის გამოხატავსად ღვთა პატივებს დაუტოვა. მართალია, პირველ ხანებში მათი გულბრწყინობა ღიმილსაც კი აქვრის ბავშვს, მაგრამ აქედან სათანადო მორალურ დასკვნას ბუნებრივად, ძალდაუტანებლად გამოიტანის.

უარყოფითი ქვეყის — მუნაგობისა და ავმუცელობის კონკრეტულ გამოვლინებას ბავშვთა ქვეყაში პოეტური ოსტატობით, ძლიერი ემოციური ზეგავლენით აღწევს პოეტი ლექსში „ნაბია და წიკა“. არც ამ ლექსში ნახაუთ მკვლის სწავლებლის შემცველ გამოკვეთილ სტროფს, ფრანსასა და სიტყვას. ნაბიასა და წიკას ბავშვური გულწრფელი ურთიერთობა იგრძნობა ძლიერი კონკრეტული განცდების გამოხატავლად ფრანსებში ინტონაციური ხასყასით. ეს შემოხისპირებულთა სიტყუაცა კულმინაციურ წერტილს ისე აღწევს, რომ ორთავენი მუნაგობისა და ავმუცელობის დამამოხელთა როლში გამოდიან. მათ განწყობილვებათა სიმწყვეში პატარა მკითხველი გრძნობს როგორც გაცნობიერებულ მიზნს, ისე ამ ქვეყის ბუნებრივ გაკიცხვასაც. ამ პატარა, მაგრამ საინტერესო ლექსში ბავშვი არუღიად არ გრძნობს მენტორულ დამოდერებას იმის შესახებ, რომ მუნაგობასა და ავმუცელობას ჭურღობისკენ მიჰყავს ბავშვი და ამიტომ მას უნდა გაერიდოს. მიმწველვებანი ისაა, რომ საკითხის წნეობრივი მხარე ამ ორი პაწაწა გმირის ურთიერთობაში მთელი თავისი სიწმინდით წარმოგვადგება მატოვანი ქართული ენით, შესანიშნავად დაწერილი დალოვის ფორმაში მხაიათების წარმოსახვით.

ამგვარად პოეტური დიდაქტიზმი საბავშვო სიტყუაცაწმული მწერლობის მხოლოდ ერთ-ერთი სახე, დარჩენის, შეგონების შეგრძობისათვის აუცილებელი მხატვრულ-გამომხატველობითი საშუალებაა, რომელიც მხოლოდ გატკვეული ასაკის ბავშვთათვის სპეციალურად შექმნილი პოეზიისათვის არის დამახასიათებელი და არა მთლიანად საბავშვო სიტყუაცაწმული მწერლობისათვის. აქაც პირველადი მხატვრულობაა, ხოლო მეორადი შეგონება.

* * *

ზემოთქმულიდან მხოლოდ ერთი სწორი აზრის გამოტანა შეიძლება: საბავშვო სიტყუაცაწმული მწერლობა უნდა წარმოადგენდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო სურათს, ჟრკელ პანორამას ფერადი ფერებით, გვიწვევდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბავშვების შრომით მონაწილეობას, მათ გატაცებებს, განწყობილებებს, მორალურ სახეებს, ამასთან სულიერად ამდიდრებდეს ახალ თაობას.

ამ შემთხვევაში მთავარია არა დიდაქტიკური სქემა, საზოგადოებრივი ცხოვრებას გარდაქმნაზე წინასწარი მოსაზრებებით სწორხასობრივი, ცალმხრივი წარმოდგენის შექმნა, არა რეცეპტორული ცოდნის მიღწევა, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ჩვენება მთელი თავიბი სისრულითა და წინააღმდეგობებით.

საზოგადოებრივი ცხოვრება საბავშვო მწერლობაში მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკურობით ისე უნ-

და იყოს წარმოდგენილი, რომ ობიექტური სინამდვილე ახალი თაობისათვის რაციონალური შემეცნების საგანი გახდეს. ამ შემთხვევაში, ისე როგორც მხატვრული ლიტერატურისათვის საერთოდ, საბავშვო სიტყუაცაწმული მწერლობისთვისაც უზუვე კანონს წარმოადგენს „ცოცხალი ჭერტიდან ამხატვრული წარმოდგენის საგანისათვის და აქედან პრაქტიკისაკენ — ასეთია ჭეშმარიტების შემეცნების, ობიექტური რეალობის შემეცნების დიალექტიკური გზა“ (გ. ი. ლენინი).

აქედან მხოლოდ ერთი სწორი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ასახვის ლენინური თეორიის საფუძველზე შეიძლება საბავშვო სიტყუაცაწმულმა მწერლობამ შექმნას ბავშვებისათვის, ახალგაზრდობისათვის საყვარელი, მიზიდაველი, საინტერესო ნაწარმოებები, რომლებშიც საგანმანათლებლო და ლმწირდლოებითი ფუნქცია ბუნებრივად იქნება მოცემული. მხოლოდ ასეთ ნაწარმოებებს შეუძლია განუვითაროს ბავშვებს მაღალი იდეალებიბაკენ სწრაფვა, მხოლოდ ასეთ ნაწარმოებში შეიძლება მაღალი იდეური ამოცანები ორგანულად დაუკავშირდეს მხატვრულობის პრინციპებს, ჯანსაღ ფანტაზიას და საბავშვო მწერლობის სპეციფიკას: „ხელოვნების ნაწარმოებში სწორედ იმით დგანან ვერტოწოდებულ „ნამდვილ შემთხვევებზე“ მაღლა, რომ პოეტი თავისი ფანტაზიის გზებით აშუქებს თავისი გმირების სულის ხეწულებს, მათი მოქმედების ყველა ფარულ მიზნს, ჩამოცვლის თავის ნამაბის ყოველივე შემთხვევის და წარმოდგენებს მხოლოდ აუცილებელს, როგორც საკამისი მიზნის გარდაუვალ შედეგს“ (ბ. ბელინსკი, რწ. ფილოსოფიური თხზ., 1948, გვ. 627).

რეალობაში ფეხვადმუვი ფანტაზია და მხატვრული ოსტატობა, რომელიც საფუძველია დიდი ემოციური და ესოეტკური შემოქმედებისა, უნდა ასახოთებდეს ყოველ ჭეშმარიტი ხელოვნებით შექმნილ საბავშვო ნაწარმოებს, რადგან მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ვერ შეანელებს ემოციურ შემოქმედებას საგანგებოდ ბავშვებისათვის შექმნილ ნაწარმოებებში მოცემული დიდაქტიკური მოტივები.

ჩვენ გაგიმეორებთ მაქსიმ გორკის სიტყვებს: „მე არ ვიცი დიდაქტიკას მოკლებული ხელოვნება და არ ვფიქრობ დიდაქტიკას შეუძლოს დაამციროს ძალა ხელოვნების გავლენისა მკითხველის წარმოსახვაზე, გონებასა და ნებისყოფაზე“.

მაგრამ ისეთი ნაწარმოებები, სადაც აშკარად ჩანს შეგონება, დამოდერება, ტკუის სწავლება, დიდაქტიზმის შიშველი ტენდენცია, რომელიც ბავშვებს უკლავს ფანტაზიას, მაღალი იდეალებიბაკენ სწრაფვის უნარს, ინტერესს, — განეუთვნება დიდაქტიკური ლიტერატურის სფეროს და არა სიტყუაცაწმულ საბავშვო მწერლობას.

მ. გორკის სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში, როდესაც ამბობდა: „ჩვენი წიგნი არ უნდა იყოს დიდაქტიკური, მკვეთრად ტენდენციური. იგი უნდა მეტყველებდეს სახეებით, უნდა იყოს მხატვრული“. სწორედ ეს უნდა იყოს საბავშვო მწერლობაში მხატვრულ ნაწარმოებათა თავისებულების განსაზღვრის საფუძველი და მათი შეფასების კრიტერიუმი. აქედან

გამოზიდავს, საბავშვო მწერლობას არ შეიძლება ეწოდოს „დიდაქტიკური ლიტერატურა“ ან „დიდაქტიკური მწერლობა“, რადგან იგი სწორად ვერ გამოხატავს სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის დიდაქსის, მიზანსა და ამოცანებს.

ამ ტერმინიტებს ერთხელ კიდევ ადასტურებს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი ქართული ჟღერადი საბავშვო მწერლობა, რომლისთვისაც უმთავრესი იყო მხატვრული რეალიზმის პრინციპზე და არა დიდაქტივისის ცივ არტახებში მოქცეული ნაწარმოებების შექმნა.

ამგვარად, საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობისა და მენტორულ-დიდაქტიკური ლიტერატურის ურთიერთობის გარკვევისათვის შეიძლება შემდეგი დასკვნები გამოვიტანოთ:

1. მენტორული და დიდაქტიკური ლიტერატურის (ფართო გაგებით) საფუძველია პედაგოგიური პრინციპები, რომლითაც იგი გამიზნულია გარკვეული მოწარმის ტრინი ჩვევების გამოუმუშავება-განმტკიცებისათვის. ეს მიზნი სპეციფიკურია;

2. მენტორული ლიტერატურა დიდაქტიკური ლიტერატურის ერთ-ერთი შენაკადია, რომლისთვისაც არ არის ნიშნული იყოს იმ თვისებების შემცველი, რაც პირველ რიგში სიტყვის ხელოვნებას ახასიათებს და ამდენად იგი არ არის შექმნილი მხატვრულობის პრინციპების საფუძველზე. მენტორულსა და დიდაქტიკურ ლიტერატურას ერთგვარი სპეციფიკა არ გააჩნია, ყოველ შემთხვევაში ეს მისთვის დამახასიათებელი არ არის.

3. დიდაქტიკური ლიტერატურა შეიძლება არსებობდეს წარმოსახვის რთული სისტემის, ნაირსახოგანი ესთეტიკური ფორმების გამოყენების გარეშე.

4. პოეტური დიდაქტივიზმი, რომელიც განსაკუთრებით უმცროსი ასაკის ბავშვთათვის შექმნილი პოეტური ნაწარმოებების სპეციფიკას წარმოადგენს, თავისებურად, მაგრამ მეტად ვიწრო, შესუღუღელი შენაკადია სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობისა. იგი შექმნილია დიდაქტიკური ლიტერატურის პრინციპებზე და ამდენად დიდაქტიკური ლიტერატურის სფეროსაც განეკუთვნება.

5. საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობა — პოეზია, პროზა, დრამატურგია — სიტყვის ხელოვნებას წარმოადგენს და მისი საფუძველი მხატვრული რეალიზმი. იგი ორგანულად უკავშირდება მხატვრული შემოქმედების განვითარების პროცესების კანონზომიერებას ცალკეული ენების, მხატვრული ნაწარმოების ენის, ლექსითყოფის, კომპოზიციის, სიუჟეტისა და სხვ. კომპონენტების განვითარებას, რომელიც თავის მხრივ გაპირობებულია ხალხის ცხოვრების ისტორიული პროცესებით.

6. სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის სკოლაში სწავლების მიზანის, მეთოდებისა და ორგანიზაციული ფორმის გამომახტელი პედაგოგიური ცნებები — დიდაქტივისის საბავშვო მწერლობისათვის მიუთუვნება და მისი დიდაქტიკურ მწერლობად გამოცხადება არ არის სწორი, როგორც კობახიძე აბაბაძე: „დიდაქტიკა არის სწავლების ხელოვნება“ და დიდაქტიკური ნაწარმოები არ შეიძლება იმ ნიშნავლით თავისებურებას, რაც ახასიათებს სიტყვის ხელოვნებას, სიტყვაკაზმულ საბავშვო მწერლობას.

თუ ბავშვთათვის განუთვნილი საერთოვე წიგნების თვისებებურებას არსებითად განვიხილავთ ისტორიულ ასპექტში, მაშინ აშკარად გასწავსავლებთ ერთიმეორისაგან წინეთსწავლების (მენტორულ) ლიტერატურას (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით), დიდაქტიკური მოტივის შემცველ მხატვრულ, ე. ა. პოეტური დიდაქტივისის ნაწარმოებებსა და სიტყვის ხელოვნებით შექმნილ საბავშვო მწერლობას, რომელშიც ორგანულადაა ჩაქმონილი მძალა იდეურობა, ერთგვარი სპეციფიკა, მხატვრულობა და ემოციურობა.

მაშასადამე, მენტორულ-დიდაქტიკური ლიტერატურა, მისი ნაირსახეობა — პოეტური დიდაქტივისის სახით წარმოადგენილი, — მეტად შესუღუღელი გზაა საბავშვო მწერლობის განვითარებისათვის; კატეგორიულად შეიძლება ითქვას, რომ საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობა ამ გზით არ განვითარებულა, არ ვითარდება და მიმავალშიც შეუძლებელია ამ გზით განვითარდეს.

7. მენტორულ-დიდაქტიკური ლიტერატურისა და საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობის ურთიერთიმომართებაში, — მათი მიზნებისა და ამოცანების, შექმნის ხერხებისა და სიტყვის ხელოვნების პრინციპების გამოყენების ნიშნების მიხედვით უნდა განვასხვაოთ: ა) მენტორული და დიდაქტიკური ლიტერატურა, შექმნილი პედაგოგიური პრინციპებზე; ბ) დიდაქტიკური მოტივების (პოეტური დიდაქტივისის) შემცველი ნაწარმოებები (პოეზიაში), შექმნილი სიტყვის ხელოვნების გამოყენებით სპეციალურად უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის მხატვრული რეალიზმის პრინციპების საფუძველზე.

ამგვარად, საბავშვო მწერლობის უპირველეს ღირსებას მისი მხატვრულობა წარმოადგენს. ლ. ტოლსტოის სიტყვებით რომ ვთქვათ, — მხოლოდ მხატვრულ სიტყვებს უნდა ქმნიდეს ადგილი საბავშვო წიგნებში, უღებებებს მათ აზრს, წარმოსახვადებს ადრე ნახულს, აიძულებდეს ასლებურად შეხედოს ჩვეულებრივს, მისთვის ნაცნობ ნივთებს. პოეტური-თნობის ყოველ სიტყვას უნდა ქმნიდეს სიღრმე, რომელიც შეიძლება მოქცეს მკითხველის ყველა წარმოადგენა და ამავე დროს მასში იწვევდეს ახალ აზრებს და ახალ წარმოადგენას.



ჩინი ქვეყნები

მოთა ძიძივაკი,
პროფესორი.

გიორგი ახვლედიანი

გიორგი ახვლედიანი მრავალმხრივი და ფართოდ განათლებული მკვლევარია. მან, ჯერ კიდევ სტუდენტმა, მიიხერხა ცნობილი პროფესორების ყურადღება: მისი სადიპლომო შრომა, რომელშიც გამოკვლეულია ნარნარა და ცხვირისმიერი ბგერების ბუნება ძველ ინდურ, ბერძნულ, ლათინურ და სლავურ ენებში, იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ გამოჩენილმა მეცნიერმა აკადემიკოსმა ე. ენქელინმა ხარკოვის უნივერსიტეტის მოამბეში 1914 წელს აღტაცებული რეცენზია გამოაქვეყნა და ახალგაზრდა ლინგვისტს დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა. გ. ახვლედიანმა მეცნიერული წრეობა მიიღო აკად. ე. ენქელინის (ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკა), აკად. თ. შჩერბატსკოის (ინდური ფილოლოგია), აკად. კ. ზალემანის (ირანული ფილოლოგია), აკად. ნ. მარის (ქართული ფილოლოგია), აკად. ლ. შჩერბას (ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკა) ცნობილ სემინარებში და ფართო ლინგვისტურ-ფილოლოგიური განათლებით აღიჭურვა.

როდესაც თბილისის უნივერსიტეტი არსდებოდა, გ. ახვლედიანი მთელი გაცაცებით ჩაება ამ დიდ ეროვნულ საქმე-

ში და სხვა მეცნიერებთან ერთად გვერდში ამოუდგა ქართული მეცნიერების პატრიარქს — ივანე ჯავახიშვილს, რომელსაც ისტორიამ დააკისრა ქართული უმაღლესი სასწავლებლის მეთავეობა. გ. ახვლედიანი შედის პროფესორთა საბჭოს პირველ შემადგენლობაში.

პროფესორი გ. ახვლედიანი იმთავითვე სათავეში ჩაუდგა ახალდაარსებულ უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრას (დღემდე ამ კათედრის გამგეა) და ლექციებს კითხულობდა შემდეგს დისციპლინებში: ენათმეცნიერების შესავალი, ზოგადი ფონეტიკა, ექსპერიმენტული ფონეტიკა, ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია, ძველი ინდური (სანსკრიტი), ბერძნული, რუსული ენის ისტორია და დიალექტოლოგია, ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკა. იშვიათია ენათმეცნიერი, რომელსაც შეეძლოს ამ განსხვავებულ დისციპლინებში საუნივერსიტეტო კურსების კითხვა.

1918-1919 წწ. იბეჭდება (სამ ნაწილად) გ. ახვლედიანის ნაშრომი „ენათმეცნიერების შესავალი“, რომელიც პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოა ქართულ

ენაზე, გამოცემული ჩვენი უნივერსიტეტის მიერ. ამ წიგნზე აღიზარდა ქართველ ლინგვისტთა რამდენიმე თაობა და ეზიარა ენის თეორიის ზოგად საფუძვლებს. ამავე ხანებში იბეჭდება მისივე წიგნი „სანსკრიტი — მოკლე გრამატიკა და ნაწყვეტები კლასიკური სანსკრიტიდან და რიგვედიდან ლექსიკონითურთ“. ეს იყო მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვეს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, რამდენადაც ძველი ინდურის შესახებ ნაშრომის გამოცემა უთუოდ ქართული უმაღლესი სასწავლებლის პრესტიჟზე მეტყველებდა და სასწავლო დისციპლინების მრავალფეროვნებაზე მიანიშნებდა. აქვე დავძენთ, რომ გ. ახვლედიანის კალამს ეკუთვნის ძველი ინდური ტექსტების პოეტური თარგმანები, რომლებიც მომდევნო წლებში გამოაზეხურდა. როგორც სანსკრიტის მცოდნეს და მკვლევარს, ამასთანავე, ინდოევროპეისტს — გ. ახვლედიანს ხშირად მიმართავენ, რათა მან თავისი ავტორიტეტული სიტყვა თქვას მოსკოვსა თუ ლენინგრადში წარმოდგენილი საკვალიფიკაციო ნაშრომების თაობაზე ამ დარგში. მავალითად, გ. ახვლედიანის ოპონენტობით მოსკოვში მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭეს ინდოელ მეცნიერს ჯეკ ლიტონს, რომელმაც დაამუშავა ბენგალური ენის გრამატიკა.

თბილისის უნივერსიტეტი ქართული საენათმეცნიერო სკოლის აკვანია. ამ სკოლის ფუძემდებლებია პროფესორები ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ვ. ახვლედიანი. სულ მალე (1919 წ.) ამ გუნდს გამოაყლდა ი. ყიფშიძე და „უდიდესი ტვირთი ორს უკანასკნელს დააწვა“ (ივ. ჯავახიშვილი).

1923 წელს გ. ახვლედიანისა და ა. შანიძის ინიციატივით დაარსდა „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება“, რომლის უცვლელი თავმჯდომარე გ. ახვლედიანი იყო. საზოგადოებამ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოში ლინგვისტური აზროვნების დამკვიდრებისა და განვითარების თვალსაზრისით.

1932 წლიდან გ. ახვლედიანი ექსპერიმენტული ფონეტიკის საერთაშორისო საზოგადოების წევრია, 1940 წლიდან კი — ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების წევრი.

1939 წელს გ. ახვლედიანი იბრჩიეს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 1941 წელს იგი შევიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთა პირველ შემადგენლობაში. გ. ახვლედიანს აკადემიაში ეკავა საპასუხისმგებლო თანამდებობები — აკადემიკოსი მდინისა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარისა, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორისა და სხვ.

გ. ახვლედიანმა საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკის განვითარებასაც. აკად. ს. ჯანაშია ამბობს, რომ „მეცნიერული ფონეტიკური (ყერძოდ, ექსპერიმენტული) კვლევა საქართველოში იწყება ტფილისის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების კათედრაზე (გამგე—გ. ახვლედიანი)... და განსაკუთრებით საენათმეცნიერო საზოგადოებაში (თავმჯდომარე — გ. ახვლედიანი). ამ დროიდან ქვეყნდება წმინდა ფონეტიკური ნაშრომები — უმთავრესად ქართული ენისა (ღიალექტებითურთ) და აგრეთვე ოსური ენის შესახებ. სპეციალურ ფონეტიკურ საკითხებზე მუშაობდა გ. ახვლედიანი“.

ფონეტიკის საუნივერსიტეტო კურსი ჩვენში პირველად გ. ახვლედიანმა წაიკითხა, მეცნიერული შრომები ფონეტიკის დარგში პირველად მან დაგვიწერა, ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიები პირველად მან დააარსა, სისტემატური სახელმძღვანელოების შექმნა მისივე დამსახურებაა.

თბილისის უნივერსიტეტში გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით მოეწყო ექსპერიმენტული ფონეტიკის კაბინეტი. ასეთივე კაბინეტი შეიქმნა მისივე თაოსნობით ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინ-

სტიტუტში. იმავე სიმონ ჯანაშიას სიტყვით, „დაარსება... ფონეტიკის კაბინეტისა (გამგე — გ. ახვლედიანი) უქმნის ფონეტიკურ კვლევას ახალს, მძლავრ სტიმულს... ქართველურ და კავკასიურ ენათა ბგერითი შედგენილობის შედარებითი შესწავლა მიმდინარეობს სინოპტიკური ცხრილების შედგენის სახით — არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და ექსპერიმენტულად ბგერების შემოწმების საფუძველზე. შედგენილია სინოპტიკური ცხრილები აფხაზურის, ოსურის, ლაქურის, ხუნძურის და ჩერქეზული ენებისათვის — მათი ბგერების კლასიფიკაციითურთ გ. ახვლედიანის სისტემით“. ამ ბოლო ხანებში გ. ახვლედიანისა და ს. ქლენტის მეცადინეობით შექმნილია თბილისის უნივერსიტეტის ექსპერიმენტული ფონეტიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია, რომლის მუშაობა წარმოადგენს ელექტროაქუსტიკური, რადიოტექნიკური და კინორენტგენოლოგიური მიღწევების საფუძველზე.

გ. ახვლედიანმა გაარკვია მრავალი სპეციალური ფონეტიკური საკითხი, როგორცაა, მაგალითად, ქართული აბრუბტივები, აქცესიურ-დეცესიური კომპლექსები, პარზონიული კომპლექსები, დისიმილაციური გამჟღერება, ბგერათმონაცვლეობა, აპოფონიის ძირითადი სახეები და მრავალი სხვა. აქ თავს ვიკავებთ, დაწვრილებით დავახასიათოთ ეს პრობლემები, ვიტყვი მხოლოდ, რომ მთელ რიგ ფონეტიკურ კანონზომიერებათა დადგენით გ. ახვლედიანმა ქართული ენის ფონეტიკა მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა და, რამდენადაც ქართული ბგერითი სისტემის მონაცემები ზოგადი თვალსაზრისითაც საინტერესოა, თავისი ფუძემდებლური გამოკვლევებით ჩვენმა მეცნიერმა თვალსაზრისით წვლილი შეიტანა საერთაშორისო ფონეტიკურ ლიტერატურაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, გ. ახვლედიანმა ქართულ-ქართველური ენების მონაცემები გამოიყენა ზოგადფონეტიკური მოვლენების დასახასიათებლად; თუ აქა-

მომდე ფონეტიკის კურსი უპირატესად ინდოევროპული ენების მასალაზე იყო აგებული, გ. ახვლედიანის წყალობით ამ ზოგადი კურსის სტრუქტურაში ამიერიდან ქართველურ ენათა მონაცემებიც შევიდა.

კონკრეტული საკითხებიდან აქ შევეხებით მხოლოდ რამდენიმეს.

ენობილია, რომ ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძველები თანამედროვე ქართველისათვის ძირითადად გასაგებია (სხვა ენებში ამის მაგალითები არა გვაქვს). გ. ახვლედიანი შეეცადა აეხსნა ენის ეს კონსერვატული ხასიათი. მან წამოაყენა შემდეგი დებულებები: ქართულის ბგერები ისტორიულად ნაკლებად შეცვლილია, ვიდრე, მაგალითად, ევროპული ენებისა; ახალი ქართულის ბგერითი სისტემა, — უშუალო გაგრძელება ძველი ქართული სალიტერატურო ენისა, — თითქმის თანხედენილია დილაქტების ბგერითს სისტემასთან; საუკუნეთა მანძილზე ქართული ბგერითი სისტემის ნაკლებად შეცვლის მიზეზებია: არტიკულაციის გამოკვეთილობა და სუსტი მახვილი. ბგერათა გადაგვარებას ხელი შეუშალა იმ გარემოებამაც, რომ ბგერათა უმრავლესობა გამოყენებულია ფორმანტებად; დიდი როლი ენიჭება ქართველი ხალხის კომპაქტურობას (მოთავსებულა მცირე ტერიტორიაზე, მტკიცედ შეგნებული აქვს ენობრივი ერთიანობა); ქართველ ხალხს არ გამოუცვლია ტერიტორია სალიტერატურო ენის პერიოდში, არ განუცვლია ენათა შერევა, არც უტყობური ენების გავლენა განუცვლია იშვიათად, რომ შეცვლილიყო წარმოთქმის სისტემა. ყოველივე ამან, გ. ახვლედიანის კონცეფციით, განაპირობა ქართული ენის ბგერითი სისტემის მტკიცედ შემონახვა და ისტორიული გამძლეობა.

ახალი ქართული ენის მახვილის საკითხს ბევრი მეცნიერი ეხებოდა (შუხარდტი, დეეტერსი, დირი, ზელმერი, ფოგტი, მარი და სხვ.). გამოსარკვევი იყო მახვილის ადგილმდებარეობა და რომელობა. წინანდელმა

მკვლევარებმა მიიღეს დასკვნა, რომ ქართულ სალიტერატურო ენას არა აქვს მკაფიოდ გამოხატული არც დინამიკური და არც მუსიკალური (ტონური) მახვილი. ზოგი ვარაუდობდა, რომ ჩვენს ენაში დომინანტია მუსიკალური (ტონური) მახვილი, ხოლო მასთანვე დამახასიათებელია დინამიკური ანუ ექსპირატორული მახვილი.

გ. ახვლედიანმა მიიღო შემდეგი დასკვნები: ქართულ სალიტერატურო ენაში დომინანტია დინამიკური მახვილი, მაგრამ მასში ჩანს ტონურობის ელემენტიც. ეს მახვილი სუსტია. ამრიგად, ქართულს ახასიათებს დინამიკურ ტონური მახვილი. რაც შეეხება ადვილმდებარეობას, მახვილი ეცემა მესამე მარცვალზე ბოლოდან, ორმარცვლიან სიტყვებში კი — ბოლოდან მეორე მარცვალზე. ამასთანავე, გ. ახვლედიანი პირველი მკვლევარია, რომელმაც განიხილა ქართული თხრობითი, კითხვითი და ძახილის ტიპის სიტყვათშეხამებაში მახვილის საკითხი ინტონაციასთან დაკავშირებით და გამოთქვა საგულისხმო მოსაზრებები.

გ. ახვლედიანის ცალკეული ფონეტიკური დაკვირვებები შეჯამებულია 1930 წელს გამოსულ წიგნში: „ზოგადი ფონეტიკის ლექციები“. 1938 წელს გამოქვეყნდა მისივე გამოკვლევა „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები“, 1949 წელს კი — ფუნდამენტური წიგნი „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“, რომელიც აღიარებულია ერთ-ერთ საუკეთესო ნაშრომად საერთაშორისო ფონეტიკურ ლიტერატურაში. როცა გ. ახვლედიანს დაბადების 70 წლისთავი შეუსრულდა, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიამ მას, სხვათა შორის, სწერდა: „თქვენი კაპიტალური ნაშრომი „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“ ფართოდ არის ცნობილი როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთაც“.

გარდა ზოგადი ენათმეცნიერებისა, ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკისა, ქართული ფონეტიკისა, სანსკრი-

ტისა, გ. ახვლედიანი იკვლევს ირანულ და სლავურ ენებს. ამ დარგებში მისი შრომები ფართოდ არის ცნობილი ჩვენი ქვეყნის გარეთაც.

გ. ახვლედიანი თავიდანვე ჩვენს უნივერსიტეტში ოსური ენის კურსს კითხულობდა. ოსური ერთ-ერთი ირანული მოდგმის ენაა და მას იკვლევდნენ აკად. მილერი, პროფ. ჰიუბშმანი, აკად. შეგრენი, აკად. მარი და სხვ.

გ. ახვლედიანმა, როგორც ირანისტმა, მნიშვნელოვანი შედეგები მიიღო ოსური ფონეტიკის, მორფოლოგიის, ლექსიკისა და დიალექტოლოგიის დარგებში. ოსური ენის საფუძველზე მკვლევარმა დაადგინა ფონეტიკური კანონზომიერება, რომელიც „დისიმილაციური გამკლერების“ სახელით მოინათლა. ეს მიგნება, ისევე როგორც ოსური აბრუბტივების გამოკვლევა, იმდენად ნაყოფიერი აღმოჩნდა, რომ გამოჩენილმა საბჭოთა ირანისტმა პროფ.

ვ. აბაევმა გ. ახვლედიანის ოსოლოგიური შრომების საფუძველზე ახალი შედეგები მიიღო და საყოველთაოდ აღიარა ქართველი ირანისტის ღვაწლი ოსური ენის მეცნიერული შესწავლის დარგში.

გ. ახვლედიანს მიეწერება ივანე იალღუზიძის მემკვიდრეობის შესწავლა.

იალღუზიძე ოსური მწერლობის ფუძემდებელია. იგი ოსია წარმოშობით, კარგად იცოდა ოსური, ქართული და რუსული ენები. მოღვაწეობდა მე-19 საუკუნის 20-იან წლებში. ჭერ კიდევ 1802 წელს იალღუზიძე თარგმნიდა ქართულიდან ოსურად ოფიციალურ დოკუმენტებს (ქართული ანბანით). 1821 წ. ქართულ-ოსური ანბანიც კი შეადგინა. იალღუზიძის ტექსტებმა მიიქციეს ცნობილი სპეციალისტების (აკად. შეგრენის, აკად. მილერის, პროფ. ჰიუბშმანის) ყურადღება. ამრიგად, იალღუზიძე ოსური მწერლობის კლასიკოსია.

ყველაზე დიდი ღვაწლი იალღუზიძის მიერ დატოვებული ტექსტების შესწავლაში გ. ახვლედიანს მიუძღვის. მან გა-

მოავლინა უცნობი მასალები და სამეცნიერო ლიტერატურაში პირველმა მთელი სიღრმით განმარტა იალღუზიძის როლი და მნიშვნელობა ოსური ლიტერატურის ისტორიაში. შეიძლება ითქვას, იალღუზიძე არსებითად გ. ახვლედიანის მიერაა აღმოჩენილი და სათანადოდ დაფასებული. ჯერ კიდევ 1929 წელს გ. ახვლედიანმა იალღუზიძის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის დარგში მის მიერ მიღებული შედეგები მოახსენა ოქსფორდში გამართულ ორიენტალისტთა მეჩვიდმეტე საერთაშორისო კონგრესს. მოხსენებამ გამოჩენილ ირანისტთა დიდი დაინტერესება გამოიწვია.

საგანგებოდ აღსანიშნავია ოსურ-ქართული ენობრივი ურთიერთობის კვლევა. ამ დარგში სრულიად განსაკუთრებულია გ. ახვლედიანის მეცნიერული დამსახურება. მან წარმოაჩინა ოსურში ქართულიდან შესული არამხოლოდ ლექსიკური ელემენტები, არამედ გავლენები მორფოლოგიისა და ფონეტიკის სფეროებშიც. აქ ჩვენ არ შევუდგებით ამ საკითხების დეტალურ განხილვას, ვიტყვით მხოლოდ, რომ გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, სახელგანთქმული ირანისტი პროფ. ვ. აბაევი, — რომელსაც, სხვათა შორის, ეკუთვნის მშვენიერი გამოკვლევები ოსურ-ქართული ენობრივი პარალელების დარგში. — არსებითად იზიარებს გ. ახვლედიანის კვლევის შედეგებს და ახალ-ახალი საბუთებით ავსებს და ამაგრებს ქართველი ირანისტის მიერ წამოყენებულ დებულებებს.

გ. ახვლედიანის ოსური შტუდიები თავმოყრილია მისსავსე წიგნში «Сборник избранных работ по осетинскому языку» (1960 წ.), რომელმაც მიიპყრო საგნის სპეციალისტების ყურადღება. ერთ-ერთ რეცენზიაში, მაგალითად, ნათქვამია: ოსური ენის შესწავლის დარგში მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული საქართველოში; «ეს მიღწევები, ძირითადად, დაკავშირებულია ცნობილი საბჭოთა ლინგვისტის,

ჩრდილო-ოსეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ვ. ს. ახვლედიანის სახელთან, რომლის შრომებიც უძვირფასესი განძია ოსურ ენათმეცნიერებაში».

გ. ახვლედიანი ავტორია რუსული ენის რამდენიმე გრამატიკული მიმოხილვისა. 1919 წ. გამოიცა მისი „რუსული ენის გრამატიკა“ (ფონეტიკა, მორფოლოგია), ხოლო ჩვენს დროში ზედიზედ ქვეყნდება მისი ფუნდამენტური ნაშრომი „რუსული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო“, სადაც მეტად ფასეულია ქართულ-რუსული გრამატიკული მოვლენების პარალელური განხილვა. გ. ახვლედიანმა გამოსცა აგრეთვე რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონები (ვ. თოფურიასა და ს. იორდანიშვილთან ერთად).

გ. ახვლედიანი საქართველოში ლოკაპედიის ფუძემდებელია. მან შექმნა მთელი სკოლა ამ დარგში, დააარსა კაბინეტი და ლაბორატორიები, გამოაქვეყნა თეორიული ნაშრომები და თავის მოწაფეებთან ერთად დიდი მუშაობა გასწია სამამულო ომის დროს საევაკუაციო ჰოსპიტლებში მოთავსებული კონტუზებული და მეტყველებადარგული ჯარისკაცების განსაკურნავად.

დიდია გ. ახვლედიანის დამსახურება ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის დადგენის საქმეში. მრავალი დარგის ტერმინოლოგია გამოცემულია მისი მონაწილეობით თუ რედაქტორობით, არაერთი და ორი სპეციალური ტერმინია დამკვიდრებული ქართულ სამეცნიერო ენაში ჩვენი მკვლევარის დაუცხრომელი სიტყვათშემოქმედებითი ძიების შედეგად.

გ. ახვლედიანის გულისყური მუდამ მიმართულია ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენისა და გავრცელებისაკენ. ჯერ კიდევ ოციან წლებში იგი ა. შანიძესთან ერთად სათავეში ჩაუდგა ლიტერატურული ნორმების მოწესრიგებას და სადავო საკითხების გადაჭრას. 1920 წელს შეიქმნა საორგანიზაციო კომისია, რომელსაც



დაევალა სალიტერატურო ენის პრობლემებთან დაკავშირებით ყრილობის მოწვევა. ამ კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს ა. შანიძე, ხოლო წევრებად გ. ახვლედიანი, კ. კეკელიძე, ვუკ. ბერიძე, ს. გორგაძე, დ. უზნაძე. ყრილობისათვის გამოიცა ა. შანიძის პროექტი ორთოგრაფიის რეფორმისათვის და გ. ახვლედიანის ნარკვევი. გ. ახვლედიანი შემდგომ წლებში აქტიური მონაწილეა სალიტერატურო ქართულის ნორმათა მომწესრიგებელი კომიტეტებისა.

გ. ახვლედიანმა აღზარდა ბევრი ცნობილი სპეციალისტი, რომლებიც დღეს ამშვენებენ აკადემიას, უნივერსიტეტს. ინსტიტუტებს და ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწევიან.

გარდა იმისა, რომ გ. ახვლედიანი ერთ-ერთი ფუძემდებელია თბილისის უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა, ამასთანავე, „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოებისა“, მისი თაოსნობით თუ უშუალო მონაწილეობით ჩვენს რესპუბლიკაში დაარსებულია რამდენიმე უმაღ-

ლესი სასწავლებელი (თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ა. პუშკინის სახელობისა, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ა. წულუკიძის სახელობისა, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი; ზოგი მათგანის პირველი დირექტორი თუ სასწავლო ნაწილის გამგეც იყო). იგი იყო აგრეთვე საქართველოს მეცნიერ-მუშაკთა სექციის თავმჯდომარე (1924—1933 წწ.). როგორც ზემოთაც ითქვა, მან დააარსა ფონეტიკის, ლოგოპედიის კაბინეტები და ლაბორატორიები. გ. ახვლედიანი უცვლელი თავმჯდომარეა საზოგადოება „ცოდნის“ ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების სექციის ბიუროსი, საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრობისა და კულტურული კავშირის საქართველოს განყოფილებისა...

მიუხედავად ხანდაზმულობისა, ჩვენი ვალმოხდელი მეცნიერი კვლავინდებური მხნეობით განაგრძობს სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას და მთელი არსებით ემსახურება ქართული საბჭოთა კულტურის განვითარებას.

„სილკაჟი“ სკრიპტის ხელნაწილი

აკადემიკოს გიორგი ახვლედიანს

არ გვეგულება ქართული კულტურის არცერთი დარგი, რომლის წინსვლასა და წარმატებაში დირსეული წვლილი არ შეგეტანოთ, თქვენი მადლიანი სიტყვით არ გაგმსხვევდნით ადამიანები, რომლებიც უნაგაროდ, მთელი სულითა და გულით ემსახურებიან მშობელ საღსს. თვითველ მათგანს ჩირადღანავით უნათებს გზას თქვენი—დიდი მეცნიერის, დაუცსრომელი საზოგადო მოღვაწისა და გულისხმიერი პედაგოგის—კეთილი მაგალითი. თქვენ მუდამ იქა ხართ, სადაც კეთდება ჩვენი ეროვნული, სა-

ქვეწო საქმე. განსაკუთრებით დიდი მოამაგე ბრძანდებით ასაღვასრდა მეცნიერებისა და მწერლებისა, რომელთაც არასოდეს მოკლებიათ თქვენი რჩევა-დარიგება, მხარდაჭერა და ომსიანი შეძახილი.

მკირფასო ბატონო გიორგი! გილოცავთ სასვლოვან იუბილეს—დაბადების ოთხმოც წლისთავს.

გისურვებთ მრავალი წლის ჯანაიერ სიცოცხლეს. დაე, ჩვენი მეცნიერების დიდებულ ქურუმათა შორის მუდამ ანათებდეს თქვენი წმინდა და სათელი ჭაღარა.



სად გაქრა ჰიტლერი?

(წიგნიდან „რა ხდებოდა კულინებს მიღმა“)

ვიურბრის ბედი

იმაზე, თუ რა ბედი ეწია ადოლფ ჰიტლერსა და მის საყვარელს ევა ბრაუნს ნაცისტური იმპერიის კრახისა და ბერლინის დაცემის უკანასკნელ საათებში, ბევრი ვერსია იყო გავრცელებული. ისეთი ხმაც კი გავარდა, თითქმის ჰიტლერი თვითმფრინავით (ზოგმა — წყალქვეშა ნავით) ესპანეთში თუ სამხრეთ ამერიკაში გაიქცაო. ზოგმაც — ჩრდილოეთ პოლუსზე გადავიდა და ტიბეტში ჩააღწიაო. მაგრამ არც ერთ ვერსიას კუთვნიან დასაბუთებულ არაფერი აქვს საერთო.

ჰიტლერისა და მის ირგვლივ მყოფთა გაქრობის ვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გულდასმით გამოიძია გამარჯვებული მოკავშირეების — ოთხი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენელთა შერეულმა კომისიამ. ერთ-ერთმა მოწმემ, ჰიტლერის კამერდინერმა, სს-ის ოფიცერმა ჰაინც ლინგემ, რაიხსტაგის დაცემის შემდეგ საბჭოთა ჯარებს რომ ჩაუთარდა ტყვედ და მერე გერმანიაში დაბრუნდა, ბერლინის საერთაშორისო პრესკონფერენციაზე განცხადება გააკეთა იმპერიის კანცლარის უკანასკნელ დღეებზე.

ჰაინც ლინგე ჰიტლერის სამსახურში 1935 წელს ჩადგა. თავდაპირველად იგი ჰიტლერის მცველ ესესელთა ჯგუფში შედიოდა, მაგრამ მალე მისი პირადი კამერდინერი გახდა და ათი წელიწადი ემსახურებოდა თავის პატრონს. ამ ათი წლის ყველა საძაღვობა, საზიზღრობა და უხამსობა ვერაფრით შეედრება იმას, რაც 1945 წლის აპრილის უკანასკნელ ათ დღეში მოხდა. ეს ათი დღე ჰაინც ლინგემ ნაცისტური იერარ-

ქის უკანასკნელ მოპოკანებთან ერთად ვაიარა: იმპერიის კანცლარიაში, რომელიც ოცი მეტრის სიღრმეზე იყო მიწის ქვეშ.

ჰიტლერის მიწისქვეშა ბუნკერი იმპერიის ახალი კანცლარის მთავარი შენობის ახლოს მდებარეობდა. იმპერიის მიწისქვეშა კანცლარია რამდენიმე ნაწილად იყოფოდა: პირველ ნაწილში ცხრა ოთახი ჰქონდათ მოსამსახურეთათვის. აქვე იყო დიდი სამზარეულო, სურსათის საწყობი და უშველებელი რესტორანი. მეორე ნაწილი ხეველი კიბით უკავშირდებოდა პირველ ნაწილს. ამ ნაწილს შუა ჰყოფდა ფართო დერეფანი, რომელსაც ორივე მხარეს თვრამეტი ოთახი ჩასდევდა. ამ ოთახებში მოთავსებული იყო: ჰიტლერის დაცვა, სამანქანო მოწყობილობა, ელექტროსადგური, წყალსადენის სატუმბო-სადგური, სატელეფონო ცენტრი, რადიოსადგური და სხვა. დერეფანს ბოლოში ჰქონდა ტიხარი, რომლის იქითაც ფიურერის პირადი სადგომები იწყებოდა. აქ იყო სათათბირო დაბანოები, მდიდრულად მორთული ექვსი ოთახი და ორი სააბაზანო. და ბოლოს, ვიწრო შესასვლელი პატარა წინა ოთახი გავლით, შესამე პატარა ნაწილში ვადიოდა. აქ იყო რამდენიმე კაბინა ჰიტლერის მცველი გერმანული ნაგაზები-სათვის და შესანიშნავად მოწყობილი ქირურგიული ოთახი. აქედან ოთხი სართულის სიმძლავრე კიბე იყო, კიბის ბოლოს სათადარიგო ვასასვლელით გზა კანცლარის ბაღში ვადიოდა.

20 აპრილს, ჰიტლერს რომ 56 წელი შეუსრულდა, ბერლინს ამერიკის ზუსტად ათასი თვითმფრინავი ბომბავს. მთელი ნაცისტური გენერალური შტაბი მიწის ქვეშ იმალება. როგორც ჰაინც ლინგე ყვება, უკანასკნელი ათი დღის გან-



შეკლები პიტლერი ხან მოტენილივითაა, ხან გაფავრებულია; ხან იმედებით აღინთება, ხან ისევ სრულ ლეთარგიაში ვარდება, ბოლოს მას კრუნჩხვა და ნერვული ცახცახი ემართება. მაგრამ საციარეგლი ის არის, რომ აღსახვას ჩვეულებრივი ისტერიული შეტევა აღარა აქვს.

22 აპრილს ბერლინის დამცველი გერმანიის მეთორმეტე არმია უკან იხევს. 24 აპრილის დამსს კი საბჭოთა კავშირის ჯარის ნაწილები ბერლინის მთლიანად აღყაში აქცევენ. 26 აპრილს ბერლინის დაცვის სარდალი, დამტოლი გენერალი ფონ გრაიმი კანცლარის ბუნკერში გამოინდებდა. შემდეგ უფრო ცუდი ცნობა მოიღის — გერმანის, ჰიმლერისა და ევა ბრაუნის სიძის, — სს-ის გენერლის — ფეკელანის „ლადატის შესახება“. პიტლერს ის ამავედ არ ანუგეშებს, რომ ხმა გაყარდა ფეკელანი მისმა ხელქვეითებმა დახვრიტეს.

პიტლერი, რომელიც ექიმის ყოველდღიური ინექციით დგას ფეხზე, თავის კაბინეტში იყეტება, რომ ანდერძი გაასწოროს და სამწუხარო ქორწილი მოამზადოს თავის მეგობარ ევა ბრაუნთან, რომელიც დაინებით მოითხოვს ამას.

28 აპრილის დამს პიტლერისა და ევა ბრაუნის ქორწილში კამერდინერი ჰაინც ლინგეც მონაწილეობს. ქორწილს პიტლერის დაახლოებული პირები ესწრებიან. ესენია: ორი მოწმე — ჰეპელი და მარტინ ბორმანი; პიტლერის ადიუტანტი ოტო გენზე, გენერალ-პოლკოვნიკ ვუნდერიანის შემცველი — გენერალი კრებსი, პიტლერის პირადი მფრინავი ჰანს ბაუერი, იმპერატორის ახალგაზრდობის ხელმძღვანელი არტურ აქსმანი, პიტლერის შოფერის ერბ კემპკა, მისი ორი მდივანი და ვეგეტარიანული სამზარეულოს მზარეული ქალი.

სევედიანი განწყობილებაა. მხოლოდ ევა ბრაუნის გამოიყურება მხიარულად. „შენი ბედი ჩემი ბედიცაა...“ — ჩუმად ეუბნება იგი პიტლერს ცერემონიის შემდეგ.

30 აპრილი ბუნკერში მცხოვრებთა უკანასკნელი დღეა. საბჭოთა არტილერიის გრიგალისებრი ცეცხლი ატყვდება თავს ქალაქის ცენტრს, მთარობის დაწესებულებათა კვარტალს, იმპერატორის კანცლარიასა და მის მიდამოებს. ოთხი საათულის სიღრმის ბუნკერიც კი მუღმივ რყევიაშია. ყველა მოზინადრე თავისებურად ელოდება აღსასრულს: ბუნკერის ზედა ნაწილის სასადალოში დაცვის წევრები, ტელეფონისტები, რადისტები და სს-ის ოფიცრები საბჭოთა ჯარისკაცების მოლოდინში ზედიზედ ხსნიან ფრანგული კონიაკის ბოთლებს და... იწყება ნამდვილი მზიარელება, ცეცხა.

პიტლერის საძინებელში კი სამარცხებური სიჩუმეა. შეადრეჯე „ახლად დაწყვილებულებს“ უკანასკნელი საღილით უმასპინძლებიან. შემდეგ პიტლერი ბელს ართმევს თავის უკანასკნელ მიმდევრებს და, სანამ ცოლთან ერთად საძინებ-

ბელ ოთახში შევიდოდეს, თავის ადიუტანტ გენშეს ხმამალა ეუბნება: „თქვენ დაწვავთ ჩემს გვამს. არ მინდა, იგი რუსებმა გამარჯვების დროშად გამოიყენონ“. რამდენიმე წუთის შემდეგ გენშე პიტლერის შოფერს ერბ კემპკას იბარებს და, იმორწმუნებს რა ფიურერის ბრძანებას, განკარგულებას აძლევს, რაღაც არ უნდა დაუჭდეს, 200 ლიტრი ბენზინი იშოვოს და დაუყოვნებლივ მოიტანოს იმპერატორს კანცლარის ბაღში — ბუნკერის სათადარიგო გასასვლელთან.

ამასობაში პიტლერის უკანასკნელი მოჰიკანები გაფითრებული, დაბნეული სცემენ ბოლთას ფიურერის საძინებელი ოთახის წინ, მოსახლებში. როგორც ჩანს, თვითონ ისინიც შეძრწუნებული არიან და არ იციან, რა ქნან. უცებ ზემოდან, საძინებლის მხრიდან, სროლის ყრუ ხმა გაისმის. მისაღებში მყოფნი თავებს სწევენ, ერთმანეთს უყურებენ. ბორმანი, გეპელი და გენერალი კრებსი პიტლერის კაბინეტში შეიჭრებიან. პიტლერი მთელ სიგრძეზე გაჭიმული დევანზე, პირიდან სისხლი სდის. მის გვერდით მკვლარი ევა ბრაუნი წევს. როგორც ჩანს, მასაც უნდოდა თავის მოკვლა, მეორე რეველგამის გვერდით ხალიჩაზე დევს, მაგრამ მისი გამოყენება ვერ მოასწრო, — საწამლედი მანამდე მოულო ბოლო.

ამრიგად, ორმაგი თვითმკვლელობა, როგორც ჩანს, ევროპაში ცეცხლისა და სისხლის ეპოქის წერტილს უკვამს და იწყება ეპოქის ყველაზე საზარელი დესპოტის დამარხვის ცერემონია. კამერდინერი ჰაინც ლინგე თავისი ყოფილი ბატონის გვამს დივანზე დადებულ შალის საბანში ხევეს, ისე რომ ნახევრადგატეხილი გასისხლიანებული თავი არ ჩანდეს, მაგრამ საბნის მეორე ბოლოდან შეეშარელიანი და ფეხსაცმელებიანი ფეხები გამოჩრილა. ამიტომ, კიბის წინ დერეფანში მდგომნი, მიუხედავად ბინდუნდისა, მაშინვე ცნობენ, რაც მოაქვს მძიმე ტვირთქვეშ წელში მოხრილ კამერდინერს ზურგიით. ბორმანი მეორე საბანში ევა ბრაუნის გვამს ახევეს და ლინგეს მიჰყვება. აქოშინებული, მღუმნარე და მწუხარე პროცესია სათადარიგო გასასვლელს მიადწევს. მათ არ უნდათ, ზედა საათულზე, სასადალოში მოქეფეთა ყურადღება მიიპყრონ. ამიტომ იძულებული არიან, ყველაფერი თვითონ გააკეთონ.

ლინგე და ბორმანი სათადარიგო გასასვლელიდან სამი მეტრის მოშორებით გვამებს მიწაზე დებენ. დღის ორი საათია, განსაკუთრებით ძლიერი და მოახლოებული საბჭოთა არტილერიის ცეცხლი ირგვლივ ყველაფერს არყევს. ჭურვები უშუალოდ მათ სიახლოვეს სკდება. ამიტომ სამკლოვიარო ცერემონიის მონაწილენი (ისინი მხოლოდ ექვსნი არიან), იძულებული არიან, საშუაო რამდენჯერმე მიატოვონ და სათადარიგო გასასვლელის ფოლადის

კარში შედგომენ. ბაღში, ხეების ტოტებში ჭურ-
ვებისა და ახლომახლო შენობათა კედლების ნამ-
სხვრეულები ცვივა. ქარი საბანს წამოწეწს და
მოურიდებლად ევა ბრატუნის ქერა თმის ვარცხ-
ნილობას აწეწავს. ამსიამაში არტილერიის
ციცხლი ოღნავ შენელებდა; დარტყმა მეზობელ
კვარტალებში გადააქვთ. ამ დროს უკანასკნელი
ესკორტის წევრები ბენზინს გადასანამენ გვა-
მებს, მერე ბენზინში ამოვლებულ ცეცხლოკი-
დებულ შარბას დაყარა და კოცინს გაჩაღე-
ბენ. ნიადაგმა ბევრი ბენზინი შეისრტა, 200
ლიტრი ბენზინი ძვლების კრემაციას ძლივს
ჰყოფნის. შემდეგ ღონეე დაბით ერთხელ კიდევ
გამოძვრება სათადარიგო გასასვლელთან და ორი
გვამის ნარჩენებს ბაღის შორეულ კუთხეში მარ-
ხავს.

უკანასკნელ დღეებში ამბები ბუნეკარში ძალ-
ზე სწრაფად მისდევენ ერთმანეთს. ჰიტლერისა
და ევა ბრატუნის კრემაციიდან რამდენიმე საა-
თის შემდეგ გებელს თავის ოცლასა და ხუთ
შვილს წამლავს და შემდეგ თვითონაც თეთ-
მკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს. მარტინ
ბორმანი კი საბჭოთა ჯარების მოსვლამდე რამ-
დენიმე საათის წინ სათადარიგო გამასვლელით
გარეთ გამოდის და გასაქცევად ემზადება. ჰაინც
ლინგესა და ჰიტლერის შოფრის — ერიპ კემპ-
კას აზრით, ბორმანი შორს არ წასულა. მათ
პირადად დაინახეს შპრეტს ხილვე როგორ
აფეთქდა «გუფთეი», რომელითაც ბორმანი და მი-
სი მსლებლები ალყიდან ვასკლას ცდილობდნენ.

ადმირალი დენისი ფლენსბურგში ძმის უღელურ მთავრობას

1945 წლის 1 მაისს, ღამის თერთმეტის ნახე-
ვარზე, ჰამბურგის რადიო შემდეგი უცნაური
ცნობით ანკვიფრებს მსოფლიოს: «ფიურერის
შტაბიდან იტყობინებთან, რომ ჩვენი ადოლფ
ჰიტლერი, რომელიც თავის საკომანდო პოსტზე
უკანასკნელ ამოსუნთქვამდე აბრძოდა ბოლშე-
ვიზმის წინააღმდეგ, დაიღუპა გერმანიისათვის.
ფიურერმა 30 აპრილს თავის შემცველად აღ-
მირალი დენიცი დანიშნა».

ამ ცნობით, რომელიც კიდევ ცდილობდა ჰიტ-
ლერის თვითმკვლელობა გმირულ სიკვდილად
წარმოედგინა, მთავრდება გერმანელი ხალხის
ნაციონალ-სოციალისტური ტრაგედია. მაგრამ,
ამავე დროს, ძველ, გაქვეულ კულისებს მიღმა
იმპერიის კანცელარის მიერ დანიშნული დენი-
კის „მმართველობის“ ხანმოკლე ეპილოგი იწ-
ყება.

ამ დღეებში გერმანია სრულმა ჭაოსმა მოიც-
ვა. ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთისა და საბ-
ჭოთა კავშირის ჯარების საწილებში მისი ტერი-
ტორიის უკანასკნელ კვადრატულ მეტრებს იკა-
ვებენ. 16 აპრილს დენიცი ჯერ კიდევ ბერლინ-

შია. გუგუნი მცხის დარტყმასაკით არყევს დე-
დაქალაქის შენობებს. საბჭოთა ჭვემგებები ფრონ-
ტის მთელ ხაზზე უშენენ ცეცხლს. იწყება გა-
დამწყვეტი იერიში.

იმპერიის კანცელარის ბუნეკარში ჰიტლერი
აჯანყლებულ თითებს ნერვიულად აყოლებს
რუკავზე. იგი გამოსავალს ეძებს: უკვე მხოლოდ
მის ფანტაზიაში არსებულ კორპუსებს ხან ერთი,
ხან მეორე ადგილზე გადაისვრის. დენიკის
აღიუქნატი ვალტერ ლიუდე-ნაირატი ჰიტლერს
უშუალოდ ადევნებს თვალყურს ამ მოჩვენება-
საკით დღეებში. «იგი ფიზიკურად გატეხილი
კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, — ამბობს მის
შესახებ ვალტერ ლიუდე-ნაირატი, — მაგრამ
დროდადრო გულის იმპერებდა და ისევ გამარჯ-
ვებაზე ფიქრობდა».

«რუსები სულს დაფავენ», — იმედებს თა-
ვის თავს ჰიტლერი. «მე ვფიქრობ, ეს სულაც
არაა ასე», — კრიტიკურული, ბუტბუტით უპა-
სუხებს დენიცი და უკვე მეორე წუთში ლიუ-
დე-ნაირატს ბრძანებას აძლევს, ერთ საათში
სამხედრო-სახლგაო ფლოტის მთავარსარდლობა
ჩრდილოეთ სანაპიროზე გადაიყვანოს.

იმავე დამე ავტომანქანების პატარა ჯგუფი
ბერლინს ტოვებს. შუაში დენიკის შვიი ჯავშ-
ნიანი ლიმუზინი მიადის. მეორე დღეს დღით
სამხედრო-სახლგაო ფლოტის მთავარსარდლობა
შლეზვიე-კოლოშტინის სანაპიროზე, ფლენს-
ბურგში სკოლისმავგარ სახლში განლაგდება.

ის-ის იყო მიუწყეო, რომ 30 აპრილს საღამოს
6 საათსა და 35 წუთზე დენიცი იმპერიის კან-
ცელარიიდან რადიოგზამას ღებულობს:

«გერინგის მაგიერ ფიურერმა თქვენ დაგ-
ნიშნათ თავის შემცველად. წერილობითი
რწმუნებანი გზავია. ხელმოწერა: ბორმანი».

მეორე დღეს საღამოს 3 საათსა და 18 წუთზე
იგი ახალ რადიოგზამას ღებულობს:

«გუშინ 15 საათსა და 30 წუთზე ფიურერი
გარდაიცვალა. 29 აპრილის ანდერაით თქვენ
სახელმწიფოს მეთაურად ხარო დანიშნული.
ხელმოწერა: ბორმანი, გებელსი».

რადიოთი დანიშნული სახელმწიფოს ახალი
მეთაური ადმირალი დენიცი დიდ იღუპიას არ
ეძლევა. მისი პირველი განკარგულებაა, დაუ-
ყოვნებლად დააბამირონ ბორმანი და გებელ-
სი, თუ ფლენსბურგში გამოჩნდებიან. სამოქა-
ლაქო და სამხედრო ხელისუფლება დენიკს
ცნობენ სახელმწიფოს მეთაურად. იგი „პოლი-
ტიკისაგან თავისუფალ, საქმიან მთავრობას“ აღ-
გენს. ფინანსთა მინისტრის, სავარგო საქმეთა
მინისტრისა და ერთდროულად რაინკანცლერის
პოსტებს ყოფილი ფინანსთა მინისტრი, გრაფი
შეჰრინ ფონ კროზიგი იკავებს. შვიარადების
ყოფილი მინისტრი ალბერტ შპეერიც ახალი კა-
ბინეტის წევრია.

დაბოლოს, ხელს აწერენ უსიტყვო კაბიტუ-
ლაციის დოკუმენტებს. მიუხედავად ამისა, დე-



ნიცის მთავრობას ფლენსბურგში კიდევ შეუძლია იარსებოს, ამ ტერიტორიის ოკუპირებას არ ახდენენ. მაგრამ კაიტელის დაპატიმრება დენიცის წინაშე აძლევს, რომ მისი მთავრობის დღეები დათვლილია. რამდენიმე დღის შემდეგ დენიცის მთავრობასთან სამოკავშირეთო საკონტროლო კომისიის წარმომადგენელი მოიხსი. იგი კაბინეტის სიხვის, 23 მაისს დილის 9 საათსა და 45 წუთზე ნავსადგურში ღუზაჩაშვილს საოკეანო გემ „პატრიაზე“ გამოცხადდეს. ამ განკარგულების მიღების შემდეგ დენიცი ჩუმად ამობას: „მოდით, ჩავალავთ ჩემოდნები“. გერმანელები რომ გემზე გამოჩნდებიან, სამოკავშირეთო საკონტროლო კომისიის წევრები უკვე „პატრიას“ სალონში სხედან. ესეია გენერლები: რუსი — ამერიკიდან, ფორდი — ინგლისიდან, ტრუსოვი — საბჭოთა კავშირიდან, აგრეთვე თარქიმანი ჰერბერტ კონი.

„მე მგონი, საკმაოდ ნათელია, თუ რა უნდათ ჩვენგან“, — წასტურჩულა დენიცმა აღფრედ იოღლს.

გერმანელები ადგილებს იკავებენ თუ არა, გენერალი რუსი სიტყვას იღებს: „ჩენტლმენებო, — იწყებს იგი, — აქ მოსვლა მთავარსარდალ ეიზენშაუერის დავალებით ვთხოვეთ, რომ გაცნობოთ: მე ვაპატიმრებ გერმანიის იმპერიის მთავრობის ყველა წევრს და გერმანიის სახმელეთო ძალების მთავარსარდალს, როგორც სახმედრო ტყვეებს. ამ შენობას რომ დატოვებთ, თქვენ შემოგერთდებიან მოკავშირეთა ოფიცრები, რომლებიც გაგაცილებენ თქვენს ბინაზე, იქ წახვალთ, მოემზადებით და დაამთავრებთ თქვენს საქმეებს. შეიძლება დოკუმენტები? — მიმართავს გენერალი რუსი წასასვლელად მომზადებულ დენიცის მთავრობას. იოდლი ერთხანს უოყმანობს, შემდეგ, ინდურრივით გაწითლებული, მუდრიბის წიბის იხვეს და რაც ძალი და ღონე აქვს მაგიღაზე დაახებთებს თავის მოწმობას. გენერალი ტრუსოვი თავით-ფეხამდე ათვალიერებს მას და, მაგიდასთან მდგომი, წელში გამართული, მოწმობას უსიტყვოდ ჭიბეში იღებს. იოდლი საათს დახედავს. ზუსტად ათი საათია.

ნაპირზე ავტომანქანები ელოდებოთ. ეს ჯერ კიდევ გერმანიის ყოფილი მთავრობის ავტომანქანებია გერმანელი შოფრებით, გერმანული აღმუშებით. მაგრამ სად არიან მოკავშირეთა ოფიცრები, რომელთა შესახებაც რუსი ლაპარაკობდა? სახმედრო ტყვე კარლ დენიცი ტყველად იხედება აქეთ-იქით. იგი ლოდინს არ არის ჩვეულო. ჯდება ავტომანქანაში და მოფერს წასვლას უბრძანებს. გამცილებლად გამოყოფილი ამერიკელი საზღვაო ოფიცერი მხოლოდ ახლა გამოჩნდება. იგი ხელებს იქნევს გამწარებული და დენიცის ავტომანქანას მისდევს. მდგომარეობის ტრაგიკომიში დენიცსაც ეკვირებს. „გაჩერდით!“ — უყვირის იგი შოფერს.

სულმუხუთული ამერიკელი ავტომანქანაში ჯდება. ისინი უსიტყვოდ მიდიან დენიცის შტაბბინაში. ამასობაში დენიცის ყოფილი მთავრობისა და მთავარსარდალის რეზიდენციაში, ფლენსბურგ-მიურგვიში, ყველაფერი თავდაყირა დადგა. ქუჩებში ტანკები მოძრაობენ, კბილებამდე შეიარაღებული ინგლისელი ჯარისკაცები და სახმედრო პოლიციის წევრები სახლებს ჩხრეკენ. ინგლისის 159-ე ბრიგადის მეთაური ჯეკ ჩერჩერი მთავრობის ერთ-ერთი შენობის წინ დგას და, მოთმინებიდან გამოსული, ფანჯრებსა და ალაყაფის კარში თავგამოყოფილ ჩინოვნიკებს უყვირის:

— სად უნდა იყავით ეს წითელ-ლამპასიანი არაშაღებო? უკვე ნახევარი საათია ვეძებთ!

ბრიტანეთის მე-11 სატანკო დივიზიის ჯარისკაცებს რალაც ბოროტგანზრახვები ეპარებათ უკვი. ისინი ფიქრობენ, რომ რომელიღაც სხვა ქვეგანაყოფს უნდა დაასწრონ გერმანიის უკანასკნელი მთავრობისა და სახმელეთო ძალების მთავარსარდალის — სამლველი ოკეის, დაპატიმრება.

ღარტყმა პიტლერელებს სრულიად მოულოდნელად წამოეწეათ. კაბინეტის წევრები, რომლებიც გემ „პატრიას“ სალონში არ იყვნენ, სწორედ ახლა ატარებენ სხდომას. გრაფი შვერინ ფონ კროზიგი აცნობს მათ ვითარებას, რაზეც მას დაახლოებით წარმოდგენაც კი არა აქვს. მაგრამ ამას ახლა იგი ელვის სისწრაფით შეიტყობს — ბრიტანეთის ჯარისკაცები ხელუყმბარებითა და ავტომატებით სხდომათა დარბაზში შედიან.

„ხელები მაღლა!“ — გაისმის ბრძანება უცხო აქცენტით.

იმპერიის მთავრობის წევრები თავიანთი ადგილებიდან წამოხტებიან. არაინი იცის, რა მოხდება, მაგრამ მოფიქრების დრო არ არის, ეინადან გაისმის უცნაური ბრძანება: „გაიხადეთ!“.

წყება უკანასკნელი. გაუთავებული გროტესკული კადრი. იმპერიის მთავრობის წევრები სულ მთლად შიშვლდებიან; ტომის ნაბრძანებო აქვს — ემებოს საწამლაიანი ამბულები, რომ ხელი შეუშალოს თვითმკვლელობას.

„ჯარისკაცებმა სხელების ყველა ნაწილი გავისინჯეს, — წერდა დენიცის აღიუტანტი ლოდენ-ნარატი. — გამოცემის სისრულისათვის შემძილია აგრეთვე დაეპატრო, რომ შენობაში მყოფმა მდიანმა ქალებმა და აღიუტანტებმაც ვერ აიცილნენ ეს პროცედურა.“.

როგორ შეიპყრეს ბერინგი

1945 წლის 9 მაისს ამერიკის მეშვიდე არმიის 36-ე დივიზიის ერთ-ერთ მორჩინებულ ქვეგანაყოფში პოლკოვნიკი გამოცხადდა, თავი ბერნდ ფონ

ბრაუნხილდ გაასაღა და, ამერიკელ ჯარისკაცთა ვასაოკრად, თქვა:

— მე თქვენთან იმპერიის მარშლის გერინგის დავალებით მოვედი...

ის მამინვე ჯიშში ჩასვს და დივიზიის შტაბში მიიყვანეს. დივიზიის მეთაურმა გენერალმა ჯონ ე. დელევისტმა და მისმა მოადგილემ ბრიგადის გენერალმა რობერტ ჯ. სტეკმა მამინვე მიიღეს. ბრაუნხილდმა განაცხადა, რომ რადშტადელში მოყოლმა გერინგმა მას დანებებაზე მოლაპარაკების წარმოება დაავალა.

— გერინგი, რა რიგ უტყუროც არ უნდა იყოს ეს, რადშტადელში იმყოფება, როგორც პიტლერის ტყვე, ორი კვირით აღت. 23 აპრილს, გერინგმა თავისი შტაბიდან პიტლერის ბერლინში, იმპერიის კანცლარის ბუნდერში, რადიოთი შემდეგი შენაარსის წერილი გაუგზავნა: „ჩემო ფიურერო! თქვენი გადაწყვეტილებისამებრ, ბერლინში დარჩენასთან დაკავშირებით, ხართ თუ არა თანახმა 1941 წლის 29 ივნისის კანონის საფუძველზე, როგორც თქვენმა შემცველმა, მოქმედების სრული თავისუფლებით ხელში ავიღო იმპერიის ხელმძღვანელობა ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ? თუ საღამოს ან საათამდე პასუხს ვერ მივიღებ, ამას იმის დამადასტურებლად ჩავთვლი, რომ თქვენ არა გაქვთ მოქმედების თავისუფლება; თქვენი ბრძანებულებით საჭირო პირობები უკვე არის და ვიმოქმედებ ჩვენი ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. თქვენ იცით, ჩემი ცხოვრების ამ უმამის საათში რას ვგრძნობ თქვენს მიმართ. მე სიტყვებით ამის გადმოცემა არ შემიძლია. იქნებ, ღმერთმა დაგიფაროთ და მალე, ყველაფერი მისუხედავად, აქ მოვიყვანოთ. თქვენი ერთგული — გერინგი“.

პასუხი 22 საათზე ბეგრად უფრო ადრე მოვიდა. მასში ნათქვამი იყო: „მე გერინგს ყველა თანამდებობას ვართმევ, მათ შორის ჩემი შემცველის თანამდებობასაც. ლატავიისთვის მის დაუყოვნებლივ დაპატიმრებას ვბრძანებ. ა. პიტლერი“.

მალე ამის შემდეგ სს-ის ოფიცრებმა გერინგი დააპატიმრეს და ოჯახიანად აესტრისის კურორტ ცელ ამ ზეეში წაიყვანეს. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ აღმოსავლეთის ფრონტიდან დასავლეთით მიმავალმა საპაერო დივიზიამ გაიარა ქალქში. მომხდარი ამბავი რომ ვაიგეს, მფრინავებმა გერინგის მცველი ესესელები განაიარაღეს. თავიანთი უფროსი გაათავისუფლეს და სახლთან ყარაული დაუყენეს. გერინგთან ერთად იყო მისი ოჯახი, ლეჩია და მზარეული.

ავიაციის უნტერ-ოფიცერი ანტონ კოლე, გერინგთან რომ იდგა მცველად, მასთან შეხვედრის შესახებ ყვება:

„მე მას ეუბატაკე, მან კი გაკვირვებით ამბოვალერა. შეემეიოხა, საღან ვარ, შემდეგ

ოფიციალური ტონით მითხრა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, მისთვის რომ დაეკერებინათ. მაგრამონინა, რომ პიტლერის განდევნის მანიით იყო შეპყრობილი, მაგრამ ომის შემდეგ, თვითონ იგი, გერინგი, უხელმძღვანელებს გერმანიის სახელმწიფოს. საუბრის შემდეგ ოცი ნახიი არ ექნებოდა გავლელი, რომ უეტრად წაიქცა. ძლივ დაუყენე ფეხზე ეს ვეება კაცა. გერინგი მორფის უტონლობამ დატანჯა, ვინაიდან ესესელებმა წარათეს იგი“.

მამასაღამე, ნამდვილი სამხედრო და პოლიტიკური ვითარება გერინგმა არ იცოდა და სს-ის მიერ შემინებულა, მოკავშირეებს თხოვდა მფარეელობას. გენერალი სტეკი, პოლოკონე ბრაუნხიის თანხლებით, გერინგთან შესახედრად პირადად მიემგზავრება დანიშნულ ადგილზე. ამერიკულ „ჯიში“ და გერინგის ჯამშინა „შერსლეის“ გზაჯარედონზე ხელდებიან. ორივე ავტომანქანა მოშორებით ჩერდება ერთმანეთისაგან. სტეკი მსუბუქედ ვადმობტება „ჯიშიდან“: გერინგი ძლივ გამოეტევა თავის ავტომანქანიდან. ორივენი ერთმანეთის შესახებულად მიდიან. შუა გზაზე შეხვდებიან. სტეკს ქედთანა მოაქვს ხელი, ისინი წესის სრული დაცვით წარუდგებიან ერთმანეთს, შემდეგ სტეკი ხელს ართმევს გერინგს. ტაკუნობს ამერიკული ოფიცრის ფრომაპარტო. ფოტოსურათი მალე მთელ მოკავშირეთა პრესას მოივლის და დიდი სკანდალი ატუდება. ეინგენაუერი იძულებულია თავის განცხადებაში დაემოს სტეკის ხელისმომორთვეა. ხოლო ლორდმა ველტონმა ინგლისის პარლამენტის თემთა პალატაში შემდეგი განაცხადა: „ომი რეგბის თამაში არაა, რომელიც ხელის ჩამორთმევით მთავრდება“.

გერინგი დივიზიის შტაბში მიჰყავთ. მას დივიზიის მეთაური დელევისტი ღებულობს. ვინაიდან მე-7 არმიის კონტრდაზვერვის უფროსი ბრიგადის გენერალი იულაჰ კ. სტეკს ჯერ კიდევ არ მოსულა, დელევისტი ესახებრება მას. ხნიერ, ბრძოლებში გამოწრთობილ ჯარისკაცს, მაგრამ პოლიტიკაში სავსებით მიამიტს, ანციეფრებს გერინგის პირველივე სიტყვები:

„პიტლერი ჯიტი და შუბლმაგარი იყო. რუდოლფ ჰესი — უტყურო, რიბენტრომი — საზიზლარი“, — განაცხადა გერინგმა: — რატომ იყო რიბენტრომი მამინ საგარეო საქმეთა მინისტრი? ერთხელ ჩემვადილა ჩერბოლს. მიერ ერთ-ერთ მიღებაზე ნათქვამმა: „რატომ აგზავნიან ამ რიბენტრომს და არა ისეთ მარჯვე კაცს, როგორცაა გერინგი?“ ჰოდა, ალა მე აქ ვარ, როდის მიმაცილებენ ზატონები ენგენაუერის შტაბში?“

— ენახოთ... — უბუბუტებს დელევისტი დოთემცა იგი პოლიტიკაში ჩახუდავი კაცია, დიდალ გაოცებულა იმით, რომ მის „კეთილშობილ“ ტყვეს მართლა ჰკონია, რომ შეუქლია მოლაპარაკება აწარმოოს. მოკავშირეებთან, რომ

გორკ გერმანიის წარმომადგენელმა. მაგრამ უფრო მეტად ვაოცდება დვლკისტი, როცა დინახავს, თუ როგორი სიხარბით მივარდება გერინგი ოფიცერთა სასადილოდან პირტიანი მწვანე ცერკვილიან წიწილას, კარტოფლის პიურეს და კომპოტს. ყოველივე ამისაგან ნამსვეცი არ დაუტოვებია.

სამხედრო ტყვე გერინგი პრისკონფერენციას აჯობებს

კუინი განკარგულებას იძლევა, ტყვე კიციბუ-ელში წივივანონ, სადაც მას ვილა გაოტუყვეს. გერინგის შეპყრობის ამბავი ელვასავით ვრცელდება, — მოკავშირე სახელმწიფოთა სამხედრო კორესპონდენტები უკვე ნახევარ საათში კიციბულეში არიან: გენერალი კუინი ყურნალისტებს წყალობს, ტელეფონით შეპირდა მათ, რომ იმპერიის მარშალთან ინტერვიუს საშუალებას მისცემდა. ამსახში გერინგი კმაყოფილი დადის ოთახიდან ოთახში. მას მოსწონს ვილას ბრწყინვალე მორატულობა. მისი ოჯახიც მოდის და ბარგით დატვირთული 17 სატვირთო ავტომანქანა მოკუყვამა ყურნალისტები მოუთმენლობისაგან წინ და უკან დადიან მისაღებში. გერინგი კი მთელი საათია ვარდისფერი მარშალითი მოპირკეთებულ საბახანაოში ბანაობს. შემდეგ დიხანს უნდება ჩაცმას. გერინგი თავის საყვარელ — ავიციის მარშლის შავ-მოლურჯო ფორმას იცვამს. იგი ახლა გაპარსული და ოდევალონშესხურებელი, კარგ ხასიათზე გამოდის კორესპონდენტებთან სადამოს მზის სიხვეებით განათებულ ოთახში. კორესპონდენტები ნახევარწრედ განლაგდებიან, მოაქვთ მიკროფონი, ატაკუნებენ ფორტაპარატებს.

„ალო, მარშლო, გთხოვთ, გაიცინოთ!“ — ისმის ერთი მხრიდან.

„აქეთ, აქეთ მოაბრუნეთ თავი!“ — ეუბნება მეორე ყურნალისტი.

„გთხოვთ, კიდეც ერთი სურათის გადაღებას ქუდიანად!“ — ყვირის მესამე.

იმპერიის მარშალი ოქრომკედით ნაქარვ ქულს იხურავს, მაგრამ ოდევ მოუთმენლობას იჩენს. „გთხოვთ იჩქაროთ. — მიმართავს იგი ყურნალისტებს, — ვინაიდან... მე ისევ მომეიდა“.

შემდეგ შეკითხვებს აყრიან. ვერ ჩვეულბრივს: სად არის ჰიტლერი? გვერათ თუ არა თქვენ მისი სიკვდილი? რატომ არ გადმოსხით ლესანტი ინგლისში? რამდენად ძლიერი იყო გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალები ომის დასაწყისში? „მე ვფიქრობ, ის ყველაზე ძლიერი იყო მსოფლიოში“. — უპასუხებს გერინგი. რამდენი თვითმფრინავი უქონდათ? „ამ კითხვაზე სპასუხობ დომზადებული არ ვარ“. თქვენ უბრალოდ კოვენტრის დაბომბვა? „დიხ: კოვენტრი სამრეწველო ცენტრია, იქ თვითმფრინავებ-

საც აკეთებდნენ“. პირველად როდის იფიქრეთ, რომ ომს ავებდით? „დასავლეთიდან შემოურისა და რუსების მიერ აღმოსავლეთის ფრონტის გარღვევის შემდეგ“. ჰიტლერი თუ იყო ინფორმირებული ომის უბერსაქტიობის შესახებ? „დიხ. სამხედროებმა აუსხნეს მას, ომი შეიძლება წაევაოთ. ჰიტლერი ამბუე ცუდად რეაგირებდა, ასე რომ, შემდეგ აიკრძალა ასეთ თემებზე ლაბარაჟი“. — ვინ აკრძალა? „პირადად მან, იგი საერთოდ მხედველობაში არ იღებდა ომის წაგების შესაძლებლობას“. თქვენ ვჯერათ, რომ ჰიტლერმა თავის შემცველად აღმირალი დენიცი დანიშნა? „არა, დენიცი მისამართით დაწერილ რადიოგრამას ბორმინა მოაწერა ხელი“. როგორ შეიძლება მომხდარიყო, რომ ასეთ უხეირო პიროვნებას, როგორც ბორმინა, ამხელა გაელენა ჰქონოდა ჰიტლერზე? „ბორმინა სულ მუდამ ჰიტლერთან იყო და თანდთან თავის გაელენას დაუმორჩილდა; იგი განაგებდა ჰიტლერის მთელ ცხოვრებას“. რუსეთზე თავდასხმის განკარგულება ვინ გასცა? „პირადად ჰიტლერმა“. საკონცენტრაციო ბანაკებისათვის ვინაა პასუხისმგებელი? „პირადად ჰიტლერი. ყველა, ვისაც კი რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა ბანაკებთან, პირადად მას ემორჩილებოდა. სახელმწიფო ორგანოებს არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა ბანაკებთან“.

ინტერვიუ მთავრდება. ყურნალისტები გარბიან, რომ რაც შეიძლება მალე უღებუშონ თავიანთ გაზოთებს მსოფლიო სენსაციად. მაგრამ მოკავშირეთა შტაბის პრეს-ოფიცერი უკან აბრუნებს დეპეშებს. ინტერვიუს გამოქვეყნება არ შეიძლება. ინტერვიუს მხოლოდ ერთადერთი შეკითხვა და პასუხი გამოქვეყნდა, რადგან კორესპონდენტმა თავის გაზოთს ეს ტელეფონით აცნობა, სანამ აიკრძალებოდა ინტერვიუს გამოქვეყნება. ეს შეკითხვა და პასუხი ასეთია იყო: „იცი თუ არა, რომ სამხედრო დამანავეეთა სიაში ხართ?“ — „არა, — დიდი გაკვირვებით უპასუხა გერინგმა. — ეს ძალზე მაკვირვებს, მე არ ვიცი, რატომ უნდა ვიყო ამ სიაში“.

555 დელიკატური შეკითხვა გერინგს

ნიურნბერგის პროცესზე საბრალმდებლო სკამამდე ბად-მანდორფი უკანასკნელი გაჩერება. აქ მოპყუეთ გერინგი და სხვა მაღალი თანამდებობის ტყვეები. ტყვეთა ბანაკის დანიშნულებას „გრანდ ოტელი“ ასრულებს, მაგრამ ახლა მხოლოდ სახელწოდება მოვარგონებთ მის ყოფილ კომფორტსა და სიმშვენიერეს.

ფრანც ფონ შაპენი აქ მოსვლისას მეტად გაკვირვებულია, რომ „გრანდ ოტელი“ ეკლიანი მავთულის კედლით არის გარშემორტყმული. სასტუმროს ცხოვრების მრავალდეროვნებას

მხოლოდ ამერიკის ყარაულის პირამიდები არღვევს. პაპენი აქ ხორტის წრეში მოჰყავთ.

ტყევიბი საკვებს კონსერვის ცარიელი ქილებით იღებენ. „საკვები ძალზე მცირე იყო და, რასაკვირველია, ყველაფერი ცივი“, — წერს პაპენი და არც კი ფიქრობს ომისშემდგომ გერმანიასა და ევროპაში გამეფებულ სიღატაკზე. მაგრამ ციხის ექიმი, ლოქტორი ლიუდვიგ ზფლიუერი, რომელიც პირადად იყო მანდორის ბანაკში როგორც ტყევი, ამ პირობებს სულ სხვანაირად აღწერს: „ინტერნირებულთა მდგომარეობა მანდორაში კარგი იყო. ყოველ შემთხვევაში, ისინი ორ-ორნი ცხოვრობდნენ სასტუმროს ლამაზ ოთახებში, რომლებიც მწვანე პარკს გადასურებდა. მათთვის პარკი დია იყო. ისინი იქ ხშირად დასეირნობდნენ ჭკუფ-ჭკუფად, ზოგიერთი ჩრდილიან მდგლოზე გასაშლელ საწოლზე გრობოდა. აქ ყოფნა ნამდვილი იდილია იყო. საშველებს ამერიკული სურსათით გერმანელი ტყევი-მზარეულთა აზნადებდნენ, რესტორანში ოფიციატები ემსახურებოდნენ. საუზმზეც უფრო ხშირად თეთრი პური, ყავა ან ჩაი იყო, სადილად — წვენი, ხორცი, ბოსტნეული. ხშირად ტუბილი ნამცხვარი ან კომპოტი. კერძები გემრიელი იყო, ულუფა — დიდი; ჩვენმა მზარეულმა, ვენელმა წარმოსადგემა ყმაწვილმა იანენმა თავი გამოიჩინა კულინარიით.

მათ მონოტონურ ცხოვრებას მხოლოდ დაკითხვები ამრავალფეროვნებდა. ყოველ ცალკეულ დაკითხვებზე სტენოგრაფი იყო მომზადებული. დაკითხვის პროცესში გერინგს 555 შეკითხვა მისცეს. გერინგის ერთ-ერთი დამკვედლის—გერნერ ბროკის წყალობით ეს კითხვები და პასუხები გადარჩა და ახლა შესაძლებლობა გვაქვს მათგან ყველაზე უფრო საინტერესო გამოვლევდნოთ.

რა აზრისა ხართ შაბტზე? „ჰეკიანი კაცია. ჭერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე გაუწია სამსახური პარტიას“. მაგრამ, როგორც ჩანს, იგი თქვენზე უფრო ჰეკიანი უნდა იყოს, ვინაიდან ჭერ კიდევ ომამდე გაიქცა პარტიიდან. ასე არ არის? „ცალკეული პირები სასებნით უნებისყოფიანი არიან“. შეიძლება ჩვენ ვენდოთ შაბტს? „ამის განსჯა თქვენთვის მოინდევია“. თვლით თუ არა მას უნებისყოფი ადამიანად? „მე ამას უპატივითად არ ვამტკიცებ, მაგრამ ცნობილია, რომ შაბტი ხშირად იცვლიდა თავის შეხედულებებს“. თქვენ გაქვთ პრინციპები? „მე საკუთარ რწმენას მივსდევდი ყოველთვის“. მოაწერეთ თუ არა თქვენ ხელი 1938 წელს ბრძანებას, რომლითაც ებრაელებს ერთი მილიონი მარკა კონტრიბუტია უნდა გადაეხადათ? „ეს პიტლერის ბრძანება იყო“. გრცხვნიით თუ არა თქვენ ამის გამო? „მე ვთვლი, რომ იგი არ იყო დასაბუთებული“. მაშინ, გამოდის, გრცხვნიით, რომ ხელი მოაწერეთ ბრძანებას? ან, იქნებ,

გერმანულ ფელდმარშალს არასდროს არ გრცხვნიან? „თანახმად ენენვის კონვენციისა, ვალდებული არ ვარ პასუხი ვაეცე ამ შეკითხვას“.

მეორე დაკითხვისას სიტყვა პირად საქმეებზე ჩამოვიარდა. სად ცხოვრობს ახლა თქვენი ცოლი? „ავსტრიაში ცელ ამ ზეეს კურორტზე“. რა ერქვა თქვენს პირველ ცოლს? „ზარონსა კარინ ფონ ფოკი. იგი შევიქნა დამადა“. პასპორტი გაქვთ? „ღია, მაქვს დიპლომატური პასპორტი“. თქვენს ახლანდელ ცოლს რა ჰქვია? „ემი ზონემანი“. მას სხვა გვარი ზომ არა აქვს? „არა, მაგრამ იგი ერთხელ უკვე იყო გათხოვილი“. მაშინ რა გვარს ატარებდა? „ქესტლინი“. თქვენი პირველი ცოლიც ნაქმარევი იყო? „ღია. მისი პირველი მეუღლე ბარონი კანტოვი იყო“. ახლახან ხსენებულ პირთაგან რომელიმეს სახელზე გაქვთ თუ არა ანგარიში ბანკში? „არა, ყველაფერი მხოლოდ ჩემს სახელზეა“. რა ჰქვია თქვენს შვილებს? „მე მხოლოდ ერთი შვილი მყავს, ედა, 7 წლისა“. რომელი ბანკებია თქვენს საკუთრებაში? „ლოიჩე ბანკი“ და „ავსტრი ტისენის“ ბანკი, ორივე ბერლინშია“. მიმოწერა თუ გაქვთ შევლებთან? „ღია, ნათესავეებთან“. რა გვერდისანი არიან? „არ მინდა მათი გვარების დასახელება ჩემი ნათესავეების ნებართვის გარეშე. ისინი ნეიტრალურნი არიან, არ მინდა მათი ამ საქმეში გარეგანა“. რა ნათესაურ კავშირში ხართ მათთან? „ჩემი პირველი ცოლის მზრივ“. თქვენ უზუნუნდით თუ არა მათ სანტერებს? „მე უარს ვამბობ განმარტების მოცემაზე“.

როგორი შემოსავალი და ქონება ჰქონდა გერინგს

შემდეგ ფინანსური ხასიათის შეკითხვები მისცეს. ვინ ვინაგებდა თქვენს ჩეკის წიგნებს? „ჩემი მდივანი და მე“. კარინჰოლის სასახლის ხარჯებს ვინ ფარავდა? „ავიაციის სამინისტრო და სახელმწიფო სამინისტრო“. როგორ იხდიდით ნაყიდი სურათების საფასურს? „ნაღდი ფულით ყოველთვის“. საიდან ვქონდით ნაღდი ფული? „სახელმწიფოში მეორე კაცი ვიყავი და უზრუნველყოფილი ვახლდით ფულით. პირადად მე ვაწერდი ხელს თანხის გაცემას“. და ასეთივე წესით იღებდით თქვენ უცხოეთის სავადასახად თანხებს, ვალუტას? „ღია, თანხის გაცემის საკითხს საბოლოოდ მე ვწყვეტდი“. ეს დაქანონებული პროცედურა იყო თუ, საერთოდ, ჩანაწერები კეთდებოდა ამის შესახებ? „მხოლოდ ნებართვა იყო საჭირო. მაგრამ როცა ეს მე შეხებოდა, ამაზე ლამაზად კი არ ყოფილა“. საზღვარგარეთ თუ მეგზავრებოდი და ვალუტის დიდი თანხა ვჭირდებოდათ, როგორ ღებულობდით მას? „მე არასდროს დამჭირებია მეტისმეტად დიდი თანხა. საზღვარგარეთ წასვლას თუ გეგმავდი, გამოვიანგარიშებდი



სოლმე, რომელი მკირდებოდა ფული და შემდეგ მოვიტოვებ ვალტრასს. ომამდე როგორ აღებულობდი ფულს? „როგორც ყოველი კერძო პირი, რომელიც საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა. პირველი დღეებისათვის საჭირო ნაღდი ფული ჯიბეში მქონდა, ხოლო შემდგომი საჭიროებისათვის აკრედიტის ვლებულობდი“. აკრედიტი იმპერიის ბანკზე იყო გაფორმებული? „ეს უკვე ნამდვილად არ მახსოვს. მე ყოველთვის თან მქონდა სამაო ფული, ვინაიდან ჩემს ადიუტანტს ყოველ სამ-ოთხ დღეში გამოჰქონდა ბანკიდან. მგზავრობისას საფულე არასდროს მქონია. ყველაფერზე ადიუტანტი ზრუნავდა“. თქვენ პირადად თუ იჩრველდით სურათებს საყილად? „ჩვეულებრივ, მტყუონდენ ხოლმე, რომელი ამირიჩია პიტლერმა, რაც დარჩებოდა, თუ ფასი ხელსაყრელი იყო, მე ვყიდულობდი“. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ფასი შეტისმეტად გეძვირებოდათ? „დიახ, ზოგჯერ პიტლერიც მეყილებოდა ხოლმე ბევრ სურათში, თუ მათ ნახვდა“.

სადა თქვენი პირადი ძვირფასეულობა? „ეს მე თვითონ მინდოდა მცოდნოდა“. კი მაგრამ, სად დატოვეთ იგი? „ჩემს სპეციალურ მატარებელში, რომელიც ვაპარტყეს“. თქვენ გიმგზავრიათ შვეიციაში? „1929 წლიდან — არა. იქ მხოლოდ ჩემს კერძო საქმეებს ვაგვარებდი. რა კერძო საქმეები გქონდათ? „1927 წლიდან შვეიციის პარამუტების მწარმოებელი ერთ-ერთი ფაბრიკის აგენტო ვიყავი, მაგრამ 1928 წელს ჩამოეშორება“. რა ერქვა ფაბრიკას? „ამ კიბევაზე პასუხის გატყუებუ უარს ვამბობ, ვინაიდან შვეიცია ნეიტრალური სახელმწიფოა. სანამ ფირმის დეფსახელებზე, მანამდე მინდა გარანტია მქონდეს, რომ ამის გამო იგი არ დაზარალდება“. იქნებ ამის გამო თქვენ დაზარალდეთ დიდად. ჩვენ გვინდა ვიცოდეთ სახელწოდება ყველა იმ ფირმისა, რომელთანაც კერძო საქმიანი კავშირი გქონდათ. „ფირმის სახელწოდება: „ლანდოლმის სპარამუტო ფაბრიკა, სააქციო საზოგადოება“. რა სახსრებით ცხოვრობდით ახლავარდობაში? „მამიდან მემკვიდრეობად დამრჩა ფული, რომელიც დაბანდებული მქონდა დანაისა და შვეიციაში; მათი შემოსავლით ვცხოვრობდი. ამასთან ერთად გერმანიის თვითმფრინავებსა და მოტორებს ვყიდდი დანაისში“. თქვენ ღარიბად თვლით თავს? „მე არ ვიცი, რა დამრჩა, კონტროლი ჩემი ქონების მიმართ დეკარავი“. თქვენ ფსეულობა არსად გადავიშალეთ? „არა, არაფერი გადამიშალეს“. წელს ამროლში აიღეთ თუ არა ფული სხვა ბანკებში ვადასატანად? „მე მითითება მივეცი ნახევარი მილიონი ვალდებულად სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთ ბანკში. ეს რომ შეესრულებინათ, მაინც ვებნდებდი, მაგრამ აქამდე არაფერი გამოვიდა.“ ვაგონით თუ არა ოღესმე განჯარვებოდა დიდი თანხის დემონირებაზე თქვენი მუდღისათვის,

რომ მას შეეძლებოდა მით სარგებლობა? „ბერლინში, რასაკვირველია“. კონტროლს თუ უწყველით თქვენი ცოლის ფულს? „არა, ადამიანი ასე არ იქცევა. თუ ვისმეს პატარა ქონება აქვს, იგი საერთო ანგარიშს ინარჩუნებს ცოლთან, ხოლო თუ ბევრი ფული აქვს — ცალკე ანგარიშს“. თქვენ თუ ამზადებდით ანდერსს? „მე მას ახლა ვამზადებ, მაგრამ საჭირო არ არის, ვინაიდან თანახმად კანონისა, ყველაფერი ჩემს ქალიშვილს დარჩება მემკვიდრეობად“. რა ვალდებულებები ჩაწერეთ ანდერსში ცოლის სასარგებლოდ? „იგი მემკვიდრედ ითვლება შვილთან ერთად“. თქვენს მდივანს თუ დაუტოვეთ რამე? „იგი სიაშია, შესრულებაზე ჩემი ცოლი იჩრუნებს“. სად არის ეს სია? „ჩემს ბიბლიოთეკასთან ერთად შეფუთეს. ისიც ჩემს სპეციალურ მატარებელში იყო. მე ორი სპეციალური მატარებელი მყავდა. იმ მეორეში ჩემი შტაბი გახლდათ. ერთი იმათგანი სადგურის გვირაბში იდგა, მეაკრიც დაცეთ. როცა ყველაფერი ჩაიფუშა, დაცვა გაქრა და დიდი რაოდენობის ნივთები მოიპარეს. ძვირფასეულობის კასეტები გატეხეს, ბრილიანტები და ძვირფასი თვლები ამოიღეს, ჩარჩოები კი შეეყარა-მოეყარათ“. თქვენ ვაჩხრიკეთ სპეციალური მატარებელი? „არა, მაგრამ ამის თაობაზე ერთმა ამერიკელმა ოფიცერმა მითხრა“. რამდენია თქვენი წლიური შემოსავალი? „როგორც იმპერიის მარშალი, ყოველთვიურად 20 ათას მარკას ვიღებდი, როგორც სამხედრო-სამაგრო ძალა სარდალი — 3.600 მარკას თვეში, გადასახადის გამოქვითვით, როგორც რაიხსტაგის თავმჯდომარე — 1.600 მარკას. ვარდა ამისა, ვლებულობდი ჰონორარს ჩემი ლიტერატურული ნაშრომებისათვის. დღემდე გამოსული ჩემი წიგნების შემოსავალი დაახლოებით ერთ მილიონ მარკას შეადგენს“. თქვენი საქმიანობა ამ თანხაზე მეტო არ ღირდა? „ჩემი ხარჯების ნაწილი სხვა სახსრებით იფარებოდა, ჩემს რეზიდენციებს ბერლინსა და კარინოლში სახელმწიფო ინახავდა“. და სურათების ყიდვაზე გაწეული ხარჯები არ აღემატებოდა თქვენს შემოსავალს? „მე სხვა შემოსავალიც მქონდა...“ თქვენ ვყავთ დები, ძმები და სხვა ნათესავები? „დიახ, ჩემი ერთი ძმა ვინაიდან ცხოვრობს, იგი ახლა 24 წლისა, მითორი ეილკემ გერიწვი. მეორე ჩემი ნათესავი ვისბადენში ცხოვრობს, თვალის ექიმი. დოქტორი ჰენრიხ გერიწვი“.

როგორ იშოვა პერიწვა საზამლავიანი ავპულა

„გრანდ ოტელის“ ილილია ბლ-მანდორფში დიდხანს არ ვაგრძელებუბა. ტყვეები მალე ნიურნბერგში გადაჰყავთ. იქ უკვე დიდი პროცესისათვის ემზადებიან. ნიურნბერგის ციხეში მკაცრი ზედამხედველობაა, მით უმეტეს, რომ მთა-

ვარ დამწამვეთა პროცესზე, ბოლოსდაბო-
ლოს, გამოიტანეს სასიკვდილო განაჩენები. ცი-
ხის ყოველი კამერის სათვალთვლო ფანჯარას-
თან დღისით და ღამით სამხედრო პოლიციელები
დგანან და პატიმართა ყოველ მოძრაობას
ყურადღებით ადევნებენ თვალყურს.

მთავარ სამხედრო დამწამვეთა სიკვდილით
დასჯა ციხის დღისთვის დანიშნეს. ნიურნბერ-
გის მთავარ უფროსი, პოლიკენიკი ბერტონ ენდ-
რუსი გაძლიერებულ ზედამხედველობას ბრძა-
ნებს. გერმან გერინგი თვალთა წევს ტახტზე.
ხელები საბანზე აქვს დაწყობილი, როგორც წე-
ლი მოითხოვს ამას. ციხის საათი 22 საათსა და
45 წუთს უჩვენებს. იგი უკვე ნახევარ საათზე
მეტია წევს, ჯარისკაცი, რომელიც პატარა ფანჯ-
რიდან უთვალთვალეს, ამოქანაურებს. გერინგი
მოსთვის უკვე სანახაობას აღარ წარმოადგენს.
იგი რამდენიმე თვეა სამსახურს ეწევა და ეს
მედღობი თვალყურის დევნება მოგზაურად.

გერინგის ხელები საბანზე ნერვიულად მოძ-
რაობენ. ჯარისკაცი შებღმუჭმულხელი უთვალ-
თვალეს. გერინგს ხელის მტკეპელი უკანაალებს.
„აღბათ, სიკვდილით დასჯის მილოდინში“, —
ფიქრობს ჯარისკაცი. მაგრამ ახლა ხელი კიდევ
უფრო უკანაალებს და მტკეპნების კრუნჩხვით
საბანს კმუტუნის... ეს რაღა არის? ახლა უკვე სა-
ხე ეკრუნჩხება, ტანის ზედა ნაწილი იქით-აქით
ვარდება.

„შეი!“ — უყვიროს ჯარისკაცი. არავითარი
პასუხი. ყვირილზე მორიგე ოფიცერი გამოდის.
ერთი წამის შემდეგ ისინი გააღებენ კამერის
მძიმე რკინის კარს. ენაკალი და კრუნჩხვები
შეუწყდა. გერინგი დაფიქრებულვით წევს. ჯა-
რისკაცს, აღბათ, მოუჩვენა. გერინგს ანჭღრე-
ვენ. მაგრამ იგი არ სუნთქავს, შუბლზე ოფლის
წირობი წვეთები უბრწყინავს. ფნეტროფიცერი
ტელეფონით ციხის ექიმს გამოჟამბებს, ჯარის-
კაცს უკანა წყალი მოაქვს. პოლიკენიკი ენდრუსი
კატელეფონით მორიბუნს, თვალებიდან
ცაცხლს აფრქვევს. შემდეგ ციხის ექიმი დოქ-
ტორი ლიუდვიგ პფლიუტერი შემობრძის.

— შეკვარია! — გაღატოთ ამბობს იგი. უნ-
ტროფიცერი კამერის ქვის იატაკიდან პატარა
ლითონის გაზნას იღებს და ექიმს მიაწოდებს.
ექიმი პფლიუტერი ხელის გულზე ატრიალებს
მას და შემდეგ ენდრუსს გადასცემს: — „შვი-
დამწამალი იყო“, — ეუბნება ექიმი და გადის.
მაგრამ მეგრე დაფიქრდება. უკან ბრუნდება,
მკვდარს მიადგება და პარს უხსნის. ღიაზე, ეპვი
გამართლდა: კბილებს შორის ჯერ კიდევ კრა-
ქუნობდა გაკენტილი საწამლაიანი ამბულის
მინის ნამსხვრეების ნარჩენები...

გერინგის თვითმკვლელობის სენსაციამ მეო-
რე დღეს მსოფლიოს გახეთქების პირველ გვერ-
დებზე გამოქვეყნებული, გამოთენისას ჩატარე-
ბული სიკვდილით დასჯის ცნობაც კი დამჩ-
დილა.

როგორ იშოვა გერინგმა საწამლაი? სად შეძ-
ლო მან მისი დამალვა? ამერიკის სისხლის სა-
მართლის პოლიცია და სი-აი-სის თანამშრომ-
ლები დაუყოვნებლად შეუდგნენ მუშაობას. მათ
გამოიძიეს დაცვის წინანდელი ცხოვრება, მატე-
რიალური პირობები და პირადი კავშირი. არა-
ვითარო შედეგი, შემდეგ ის ეპიკე იმსხვრევა,
თითქოს გერინგის ცოლმა დღი თანხით შოა-
ხერხა სიკვდილმსჯელთან კავშირის დამყარება.
არც ის ვარაუდი მართლდება, თითქოს საიდუმ-
ლოების ძალები გერინგის დამცველ დოქტორ
ოტო შტამერთანაა, რომელთანაც ყოველდღე
თათბირობდა ბრალდებული. ის კაცი კი, რომ-
ელმაც ნამდვილად მისცა საწამლაი გერინგს,
გაჩუქმებულია. მაგრამ მის მავიერ სხვა ლაპა-
რაკობს.

— საწამლაი მე მივეცი გერინგს, — აცხა-
დებს ერთ მშვენიერ დღეს „ნიურნბერგერ
ახსრბიტერი“ კორესპონდენტი პეტერ-მარტინ ბლა-
იბტროი.

იგი განცხადებით გამოდის, სურათს იღებს.
ხოლო შემდეგ, ამერიკის პოლიცია რომ დაინ-
ტერესდება, შევიცარიაში ვარბის. მაგრამ რო-
გორც კი მიუყნარდება ხმაური ამის გამო, ბლა-
იბტროი ისევ გამოჩნდება ნიურნბერგში და ამე-
რიკელები მაშინვე ამატირებენ. მის წინააღმ-
დეგ აღბრული პროცესის დროს გამოირკვევა,
რომ ყველაფერი ეს მოიგონა სენსაციის სურ-
ვილით თოუნებულმა.

მას 15 თვით პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ საქ-
მის საიდუმლოება ვერ გაიხსნა.

ერთ მშვენიერ დღეს ნიურნბერგში ათწელ-
მისცალი სს-ის გენერალი ბახ-ზელესკი აცხა-
დებს, საწამლაი გერინგს მე მივეციო. მაგრამ
ახლა გამომძიმებლები ფრთხილობენ და მიუნ-
დობენლი არიან. ისინი სასაცილოდ იგდებენ მის
ნათქვამს, ზურგზე უტყაუბნებენ ხელს და უყუ-
რადღებოდ ტრევენენ.

ვინაა ეს ბახ-ზელესკი? იგი ჯერ ტაქსის შო-
ფერი იყო. შემდეგ პიტლერმა დააწინაურა —
სს-ის ხელმძღვანელი გახდა, — მოგვიანებით კი
სს-ის გენერალი. „საწამლაი საპონში იყო და-
მალული“, — ამბობს იგი დაკითხვაზე. მაგრამ
მეტეი ვერაფერი ათქმევინებს. მან შემდეგ ამ საქ-
მის თაობაზე დაწერილებით დასავლეთ გერმა-
ნიის ეტრნალ „მიუნხენერ ილუსტრირტის“ ორ
თანამშრომელს უამბო.

უშავაჟური კომედიი სინეში

— ომის დასასრულს უშიშროების მთავარი
საიმპერიო სამმართველოს ბერლინის ცენტრში
დაიწყო საწამლაიანი ამბულების დამზადება.
დამზადებას სს-ის გრუპენფურერი არტურ ნე-
ბე მეთვალყურეობდა. საწამლაიანი ამბულების
დამზადების მიზანი ის იყო, რომ დიდ საიდუმ-
ლოებათა მცოდნე ნაიცტ ხელმძღვანელებს უკა-



ნასკნელი შესამდგომლობა მისცემოდათ გამოთხოვნილი თამაშის. ბახ-ზელევსკი ნიურნბერგის ციხეში თან წაიღო რამდენიმე ასეთი ამბულა და საბონში დაშალა. იგი პატიმრობაში მყოფ თავის უამრავ თანამომეს სთავაზობდა საწამლავს, მაგრამ ყველამ უარი თქვა. მათ ცოცხლად გადარჩენის იმედი ჰქონდათ.

გერინგმა კი თვითონ თხოვა საწამლავი. ორივე პატიმრის კამერები ერთმანეთის პირდაპირ იყო. იმ დროს ყოველი კამერის წინ სპეციალური გუშაგი ჯერ კიდევ არ იღვა. ძველი ნაცონებში პატარა ფანჯრის მეშვეობით ესაღმებოდნენ ერთმანეთს. გერინგმა რამდენჯერმე დააჭირა კბილი კბილს და თითოთ პირი უჩვენა. ბახ-ზელევსკის ნიშნების ენა ესმის, ფანჯარასთან საბონი მიიტანა და აჩვენა. გერინგს ეღიშება და თავს უქნევს. მათ ერთმანეთს გაუგვს. ახლა მხოლოდ საწამლავის გადაცემაა საჭირო.

მაგრამ სწორედ ეს არის ყველაზე რთული. თუმცა პატიმრები ერთმანეთს ხშირად ხვდებიან დაიხილება წაყვანილს, მაგრამ ერთმანეთთან მიახლოვება აკრძალული აქვთ. ამიტომ ბახ-ზელევსკი ივრინებს კომედიას, რომლის სცენები კვირაობით თამაშდება და სიცილით გუდავს დაცვას.

— სმენა! სწორდით! რაისმარშალი! — ყვირის ერთ მშენებელ დღეს ბახ-ზელევსკი მთელი ხმით და ამ დროიდან მოყოლებული რამდენჯერაც არ უნდა შეხვედრიდა გერინგი დერეფანში. იგი ყოველთვის ქუსლს ქუსლზე მიაჩტავდა და გაქვავდებოდა. გერინგი მასწინე ხვდება ამ თამაშს და ესაღმება ნაციტურად ხელს აწევით, კეთილმოსურნის მოწყალე თვალთ. დაცვას უკვირს. ასე გადის რამდენიმე კვირა. მცველები ისეთ დიდ სიამოვნებას ღებულობენ, რომ თვითონაც აწყობენ ასეთ „შემთხვევით“ შეხვედრებს და ამ შეხვედრებზე თავიანთ მეგობრებსაც კი იწვევენ, რომლებიც ციხის სხვა ნაწილებში მუშაობენ. დე, ისინიც გაერთონ, რაჟი ასეთ რამეს ეერსად ნახავენ.

ბახ-ზელევსკი კი სულ ახალ-ახალი ატრაქციონებით აზავენს ამ კომედიას. იგი თავს დაბლა უქრავს გერინგს. სანამ ერთხელ გერინგი მოწყალეების ნიშნად ხელს არ დაკრავს მხარზე

და ხელს არ ჩამოართმევს მას. დაცვის წევრები მუტელი ხელით უქირავთ, ვერცერთი ვერ მოდის აზრზე, რომ ამ ხელის ჩამოართმევსას, რაც ძალზე სასტიკადაა აკრძალული, ორივე პატიმარი პირველად შეეხო ერთმანეთს და საკმარისი აღმოჩნდა გერინგისათვის საწამლავიანი ამბულის გადასაცემად.

ბახ-ზელევსკის სამხედრო დანაშაულობები-სათვის 10 წელი მიუსჯეს. მაგრამ იგი ციხეში არ მჯდარა, საშინაო პატიმრობაში იყო, თუმცა თავისუფლად ცხოვრობდა.

1951 წელს ბახ-ზელევსკი გადაწყვეტს ნიურნბერგის საოლქო სასამართლოს აცნობოს გერინგის თვითმკვლელობის საიდუმლოება. იგი ფიქრობდა, ახლა არაფერი მაქვს დასაკარგავიო, უფრო მეტიც, ტრაზაობდა კიდევ იმით, რაც გააკეთა. ამის დამამტკიცებლად იგი პროკურორს ზუსტად ისეთსავე საწამლავიან ამბულას აძლევს. პროკურორს ამბულა ნათურასთან მიაქვს და სასიკვდილო გამჭვირვალე სითხეს შეაწვდრევს. შემდეგ მუზობელ ოთახში შედის, ამის შესახებ ამერიკის კონტრდაზვერვის სამმართველოს აცნობებს. ერთი საათის შემდეგ ბახ-ზელევსკი ანსბახში ამერიკის სახელმწიფო პროკურორის უფილამ დ. კენფილდის წინაშე ზის. თავის დროზე პეტერ-მარტინ ბლაიბტროის საქმეს იგი იკვლევდა.

ამასობაში საწამლავიანი ამბულა შიკრიკს ნიურნბერგში მიაქვს. ლაბორატორული გამოკვლევით დადგინდა, რომ ამბულაში არსებული სითხე ზუსტად ემთხვევა თვითმკვლელობის შემდეგ გერინგის პირის ღრუში აღმოჩენილ სითხეს. სახელმწიფო პროკურორი კენფილდი ემყოფილია.

— თქვენ ჩემს წინააღმდეგ აღძრავთ ბრალდებას? — ეკითხება ბახ-ზელევსკი.

— აბა, რომელი მუტლით? — უპასუხებს კენფილდი. — სიკვდილმსიჯლისთვის თვითმკვლელობაში დახმარება? არა, ჩვენთვის საინტერესო არაა ამ საქმის შემდგომი ვაგარძელება.

კენფილდი დგება, ხელს გაუწოდებს, ემშვიდობება ბახ-ზელევსკის, რომელსაც დაცვა შინ მიაცილებს. მას კვლავ შეუძლია განმარტობითი იტხოვროს.



თქილან თქაველ

„ანიკვილი სსიპი“

ოცი წლის წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიკოს ნიკო კეცხოველის თათსნობით შეიქმნა ლიტერატურული წრე, რომელიც აერთიანებდა ათობით დამწყებ ლიტერატორს.

მალე მათ თავიანთი ნაწარმოებები მზის სინათლეზე იხილეს. საუკეთესო ლექსები, მოთხრობები, სტატიები, თარგმანები, კრიტიკული წერილები გამოქვეყნდა ნაბეჭდ აღმანახ „პირველ სხვიში“. დღეისთვის აღმანახის შვიდი კრებულია გამოცემული.

ლიტერატურულმა წრემ თავისი არსებობის ოცი წლისთავი იხვიმა. უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ უკვე ცნობილი მწერლები, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ წრეში იყვნენ გაერთიანებულნი.

სიტყვებით გამოვიდნენ ბესარიონ ქლენტი, ტარიელ კვანჭილაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე, რომლებიც წლების მანძილზე ხელმძღვანელობენ და ზრდიან უნივერსიტეტის ლიტერატურულ ახალგაზრდობას.

რექტორატის, პარტიული კომიტეტისა და პროფესორ-მასწავლებლების სახელით ლიტერატურული წრის წევრებს და სტუმრებს მიესალმა უნივერსიტეტის პრორექტორი სერგო ჯორბენაძე.

სიტყვები წარმოსთქვეს და თავიანთი ახალი ნაწარმოებები წაიკითხეს: მუხრან მაჭავარიანი, არჩილ სულაკაურიანი, ნელი გაბრიჩიძე, ლია სტურუამ, ნოდარ შამანაძე, რევაზ მიშველაძე, დილარ ივარდავაძე და ლიტერატურული წრის წევრებმა.

სოფლის ახალგაზრდა ინჟინერების

მაისის დამდეგს ქუთაისში საქართველოს ყველა რაიონიდან შეიკრიბა სოფლის ახალგაზრდა ინტელიგენციის ასამდე წარმომადგენელი. მოვიდნენ სტუმრებიც — უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის, მოსკოვისა და ლენინგრადის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩაჩნეთ-ინგუშეთის, სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეების წარმომადგენლები.

მოსხენება „საქართველოს სოფლის ახალგაზრდა ინტელიგენცია საბჭოთა სახელ-

მწიფოს 50 წლისთავისთვის“ გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ოთარ ჩერქეზიამ.

მოსხენების განხილვაში მონაწილეობდნენ პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი შ. კობახიძე, ჭიათურის რაიონის სოფელ ქვაცხის საშუალო სკოლის მასწავლებელი ნ. ქორიძე, კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ხინთბა, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი თ. თაქ-

თაქიშვილი, კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. სარიშვილი, თეთრიწყაროს მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი ლ. მჭედლიშვილი, მწერალი კ. ლორთქიფანიძე, კომკავშირის სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი თ. ჭაბულოვა, ცხაკაიას რაიონის სოფელ თველათის კლუბის გამგე ნ. მამავა, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. უტიაშვილი, წყალტუბოს რაიონის ოფურჩხეთის სოფლის საავადმყოფოს ექიმი ნ. სხირტლადე, თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი დ. ჩხივიშვილი, კომკავშირის

სამტრედიის რაიონის პირველი მდივანი ბ. ფოცხვერაშვილი, გვეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი გ. ელიავა, მახარაძის რაიონის სოფელ მაკვანეთის საშუალო სკოლის პედაგოგი ც. ბერსენაძე.

სტუმრების სახელით გამოვიდა უკრაინის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. სკიბა.

შეკრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჭავანაძემ.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის ასლგაზრდობისადმი.

დანიშნუი პიროის დაუკავშირ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1967 წლის ლენინური პრემიები მიენიჭათ (ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში):

მიხეილ სვეტლოვს, — პოეტს — წიგნისათვის „ბოლო წლების ლექსები“.

კარა კარაევს, კომპოზიტორს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს — ბალეტ „ქუხილის ბილიკით“ მუსიკისათვის.

იგორ მოისევეს, ბალეტმეისტერს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს — სსრ კავ-

შირის ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის 1965 წლის საკონცერტო პროგრამისათვის.

იური (გიორგი) პიმენოვს, რუსეთის სფსრ სახალხო მხატვარს — სურათების სერიისათვის „ახალი უბნები“.

რუბენ სიმონოვს, რეჟისორს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს — ევგენი ვახტანგოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში კლასიკური და საბჭოთა დრამატურგიის პიესების დადგმისათვის.

გ ა ლ ა დ ი ჰ ი ღ ღ ო

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იცნან, საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალიდური და მაღალმხატვრული ნაწარმოებების ავტორთა წახალისების მიზნით დააწესა საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემიები.

კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით ეს პრემიები წელს მიენიჭათ კომპოზიტორ რევაზ ლა-

დიძეს, პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანს, მხატვარ დიმიტრი ერისთავს, კინოფილმ „თეთრი ქარავნის“ შემქმნელთა ჯგუფს: კინორეჟისორებს ელდარ შენგელაიას, თამაზ მელიავას და სცენარისტს — მწერალ მერაბ ელიოზიშვილს.

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია გულითადად მიესალმება საქართველოს კომკავშირის პრემიის პირველ ლაურეატებს და ულოცავს ამ მაღალ ჯილდოს.

მიხეილ შოლოხოვის ღვაწაჲ

ლენინური პრემიის ლაურეატმა მწერალ-მა მიხეილ შოლოხოვმა გახუთ „კომუნისტის“ რედაქციას გამოუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

„მთელი გულით შევხარი იმ ამბავს, რომ ქართველ ქალებს — ჩაის პლანტაციების მუშაკებს ბოლოსდაბოლოს ნაწილობ-

რივ შეუმსუბუქდებათ მძიმე შრომა. გულითადად ვულოცავ ამხანაგებს კერესელიძეს, ნასარიძეს, ოგანუზოვს, ჭეიშვილს, ედიბერიძეს, დარჯანიას ლენინური პრემიის მინიჭებას. თქვენი მიხეილ შოლოხოვი. ვეშენსკაია, 25 აპრილი“.

ანდრია ბალანჩივაძის იუბილე

სახელოვან ქართველ კომპოზიტორს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ანდრია ბალანჩივაძეს დაბადების 60 წელი შეუსრულდა.

ანდრია ბალანჩივაძემ თავისი მოღვაწეობის ოთხი ათეული წლის განმავლობაში უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული საბჭოთა მუსიკის განვითარებაში. მას ეკუთვნის ისეთი ღრმააზროვანი მელოდიური და ემოციური ნაწარმოებები, როგორცაა ბალეტები „მთების გული“ და „მწირი“, პირველი და მეორე სიმფონიები, საფორტეპიანო კონცერტები, სიმფონიური სურათები „თბილისის ზღაპრე“, „რიწის ტბა“ და სხვ. ასევე არაერთი დრამატული სპექტაკლი და კინოფილმი გააფორმა მუსიკა-

ლურად ანდრია ბალანჩივაძემ („დაკარგული სამოთხე“, გიორგი სააკაძე“, „ფიცი“ და სხვ.).

ანდრია ბალანჩივაძემ დიდი ამაგი დასდო ქართულ მუსიკალურ კულტურას არამხოლოდ როგორც შემოქმედმა, არამედ როგორც შესანიშნავმა პედაგოგმაც. მან აღზარდა არაერთი კომპოზიტორი და დღესაც დიდი ჭაბუკური ენერგიით ემსახურება ამ მეტად კეთილშობილურ საქმეს.

ჟურნალ „ციცკრის“ მთელი კოლექტივი, თავის მრავალათასიან მკითხველთან ერთად, მხურვალედ ულოცავს სახელოვან კომპოზიტორს დაბადების 60 წლისთავს და უსურვებს მრავალ ახალ შემოქმედებით სიხარულს.

გზაზღვრებთან სტუმრობდა გზააზსული

გულუხვი მასპინძლობა გაუწიეს გზააზსულს ქართველმა მხატვრებმა.

დიდი „საგაზაფხულო გამოფენა“ გაიხსნა ეროვნულ გალერეაში. ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის, კერამიკის, ჭედური ხელოვნების ცნობილმა ოსტატებმა თავიანთი საუკეთესო ნაწარმოებები მიუძღვნეს გზააზსულს. მოჭიქული ფიალები, ორნამენტირებული სურები, სტილიზებული სასმისები და შავი კერამიკის ჭურჭლეული უძველესი ქართული ხელოვნების დღევანდელობისა და საუკეთესო განახლების დასტურად ეწყო თაროებზე.

სპილენძისა და თითბრის სიცივე დასძ-

ლია ოსტატის ხელმა, უხვში ლითონი თავის მოქნილ აზროვნებას დაუმორჩილა და უნაზუსი კამერული ჟღერადობით შეთხზა დ. ქობალიამ თავისი „ალერსი“ და „გოგონა და შველი“. ხატოვანებით, ლაკონური ხაზწერითა და თავისუფალი თხრობით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ კ. გურულის ნაკეთობანი „მესტივირე“, „ურმული“ და „მარანი“.

მდიდარი და ღრმად ემოციურია ზ. ნიჭარაძის პალიტრა. ნათელ ფერთა ხშიანობა ჭარბობს მის ტილოებზე. ყვითელი, ოქროსფერი, მოლიცლიცე ცისფერი და ლურჯი ტონები პარმონიულად შერწყმი-

ურთიერთს. ჭეშმარიტი ფერწერულობით გვაღელვებენ მისი პორტრეტები და ნატურ-მორტები, არა მარტო მოდელის სილამაზე და სინატიფე იზიდავს მნახველს ნიჟარაძის „ქალიშვილის პორტრეტში“; არამედ მხატვრის კოლორიტული ენა, სადა კომპოზიცია და რბილად გარდამავალ შექ-ჩრდილოთა ინტონაციები.

თითქოს ხელახლა დაიბადა ი. გრიშაშვილის „ბაბაჯანა“ ჯ. ლოლუას ილუსტრაციებში. მსუბუქი იუმორით, ხელმარჯვედ გადაწერა მხატვარმა ლიტერატურული ნაწარმოები ფერებად და სახებად. თვალის ერთი შევლებით ვცნობთ ბავშვობიდან შეთვისებულ გმირებს და გონებაში ლექსით მიფეხვებით სურათიდან სურათს. ორიგინალური და შთამბეჭდავია ი. ქლიბაძის გრაფიკული ნამუშევრები — თ. იოსელიანის ზღაპრის „როგორ გაჩნდა დანის“ მხატვრული გაფორმება და დეკორატიულად გადაწყვეტილი „ბებერი ძელქვები“. ავტორის კარგ გემოვნებაზე მეტყველებს ლ. სვანიძის მიერ შესრულებული გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯის“ დასურათება.

თ. მირზაშვილს იზიდავს ქართული მთის ყოფა თავისი აწმყოთი და წარსულის დიდებულნი ძეგლებით. ეს მისი თემაა. მხატვარი ყოველთვის უტყუარი აღდოთი ირჩევს ხედვის კუთხეს, ერთნაირი გატაცებით აგვიწერს მკერდჩახანგებული ქედების ბუნებას და მის უბეში შეზინული პატარა სოფლის მკვიდრთა ნაკვეთ სახეებს. „მესხეთის პეიზაჟი“, „გოგონები“, „სოფლის ახალგაზრდობა“, „მეზაერები“, „სამსარი“ და „დღეობა“ ერთმანეთზე აკინძული და ერთმანეთთან სიუჟეტურად მტკიცედ შეკრული სურათების მთელი სერიაა.

დღევანდელობა ნატურალისტურ აღწერილობას არ ემორჩილება, სინამდვილის ფილოსოფიური განჭვრეტა და ფიქრის პოეტურად გაფორმება ანიჭებს თანამედროვე აღმავანს ესთეტიკურ ტკბობას, სულიერ მოთხოვნილებათა სიამეს.

კ. ტაბატაძის „აკვარიუმს“ აქვს თავისებური ქვეტექსტი. მნახველი ავტორთან ერთად თითქოს აკვარიუმიდან შესცქერის უცნობი ქალიშვილის ფართოდ გახედილ ცნობისწაილით სავსე თვალებს... თვალთა-

მზერა ფერად თევზებს ასდევნებია. მეოცნების ფიქრები დაუტყვევებია სანახაობის სილამაზეს. კ. ტაბატაძეს ორიგინალურად აქვს ჩაფიქრებული ეს პორტრეტი — სახე, კარგად გააზრებული და ოსტატურად შესრულებული.

ლ. გუდიაშვილის ახალ გრაფიკულ ნაწარმოებებს თან ახლავთ ნარნარი სინატიფე, მიწიერი სილამაზე და ღრმა აზრი. „გიგუას ინტერვიუ“, „ანიკო და დარიკო“ და „განთიადელი პატარძლები“ დიდი ხელოვანის ლირიკული სიმღერებია.

საოცარ დინამიურ ფორმებს ქმნიან ე. ამაშუკელის წარმოსახვაში პოეტურ ჩვენებათა აჩრდილები, რომლებიც ფერებისა და ხაზების თამაშით მთლიან ვარიაციებად იკვრებიან და სრულყოფილ „დეკორატიულ მოტივებად“ ფურცლებს ავსებენ.

ა. ვარაზის ფუნჯი არ ეტანება „ლამაზ“ ფერებს. მას აინტერესებს მკაცრი, მუქი ტონების შეწყობა-შეხამება პორტრეტის შესატყვისი განწყობისა და სასიათის გასწინსათვის. ამიტომაც მისი ფერწერა უშუალო, ფსიქოლოგიურად სწორი და მართალი.

გამოფენაზე დიდი ინტერესი გამოიწვია ახალგაზრდა მხატვრების ა. ვაშაკიძისა და თ. გოცაძის ნამუშევრებმა.

მრავალფეროვანია ქართველ მძერწავთა კულტურა, სტილი. ჯ. კობრეიძემ სეში ოსტატურად გათალა დიდი ლენინის ძვირფასი ნაკვეთი. სითამამით, გრაციით, მოძრაობით სავსეა გ. შხვაცაბაიას „ბერიკაობა“, ხოლო ლ. ქველიძის „ცხელი დღე“, „დეკორატიული მოტივები“ და „ეტიუდი“ მშვენიერი სკულპტურული კომპოზიციებია.

„საგაზაფხულო გამოფენას“ ჰქონდა თავისი თბილი და ღიმილის კუთხე. გ. ფირცხალავას ნიჭიერი იუმორისტული მიგნება კ. გამსასურდიას. ა. ქუთათელის, გ. მარგველაშვილისა და კ. კალაძის მეგობრულ შარებში გამოიხატა.

თემის სიმრავლით და სხვადასხვა ქართული ნამუშევრებით მეტად მდიდარი იყო ქართველ მხატვართა „საგაზაფხულო გამოფენა“. ეს თითქოს ახლად გამოღვიძებულ ბუნებასთან ფერით შეკიბირი იყო.

კვლევა

აზრ

ფილმი ბინშტაინზე

კინოს ისტორიაში პირველად ამერიკაში იღებენ ფილმს, რომლის სახელწოდებაც იქნება ფორმულა — „Σ—m102“ (ფარდობითობის თეორიის ძირითადი ფორმულა). ეს იქნება ბიოგრაფიული სურათი ალბერტ ეინშტაინზე. დიდი მეცნიერის როლს შეასრულებს ლი კობი.

კვლავ შეიძლება ფილმის გაბრძნობა

„არჩვეულებრივი შვიდეული“ კვლავ გამოჩნდა ეკრანზე, ოღონდ არა ისეთი ბრწყინვალეებით — წერს ამერიკული პრესა ახალი ფილმის „შვიდეულის დაბრუნების“ თაობაზე. ეს სურათი გადაიღო სხვა რეჟისორმა (ბერტ კენელიმ). ძველი მსახიობებიდან მხოლოდ იულ ბრინერი დარჩა, რომელიც კვლავ კრისის როლს ასრულებს. ჩიკო და სოფლის სხვა მცხოვრებნი ხელში ჩაუვარდებიან შემოიღო მექსიკელს, რომელსაც უნდა მათ უდაბნოში ააგებინოს ძეგლი თავისი დაღუპული შვილებისათვის. ეს ამბავი რომ შეიტყო კრისმა, სასწრაფოდ შეადგინა ახალი შვიდეული მეგობრის დასახსნელად.

„ყველაფერი კარგად დასრულდა — ირონიულად შენიშნავს ინგლისური ჟურნალი „ფილმზე ენდ ფილმინგო“ — შვიდეულის უმეტესობა ცოცხალია და კვლავ შეიძლება ფილმის გაგრძელება“.

გღრ

ჰაინეს სახელობის პრემიები

ჰაინრიხ ჰაინეს სახელობის პრემიები წელს მიენიჭათ პოეტ ჰელმუტ პრეისლერს

და აესტრიელ მწერალს ბრუნო ფრეის.

პრემიების გადაცემის საზეიმო ცერემონიალზე ჰაინეს პრემიის 1965 წლის ლაურეატმა ჰენრიხ კნობლოხმა მაღალი შეფასება მისცა ჰელმუტ პრეისლერის პოეზიას, მის საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მან თქვა: „პრეისლერის ლექსებში აისახა თანამედროვე ადამიანის განცდებისა და აზრების სამყარო“.

ბრუნო ფრეის ცხოვრება და შემოქმედება მჭიდროდ არის დაკავშირებული გერმანული ხალხის ბედთან. ფრეი პუბლიცისტიცა, რომელიც წერს მუშათა რევოლუციურ მოძრაობაზე. „ბრუნო ფრეის ძირითადი თემაა მშვიდობისათვის ბრძოლა, — აღნიშნა კნობლოხმა, — მისი დევიზია: „გიყვარდეთ ადამიანები და სიმართლე“.

გომთმს უცნობი წმინდი

აღმოჩნდა გოთეს უცნობი წერილი გერმანელი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ვილჰელმ ჰუმბოლდტისადმი, რომელიც დაწერილია 1806 წლის 22 აგვისტოს. მასში გოთე უარყოფით შეფასებას აძლევს დანიელ გენრიხ სტეფენსის ნაშრომს „ფილოსოფიური ბუნებისმეტყველების ძირითადი საზი“. სტეფენსი განიცდიდა გერმანელი იდეალისტი ფილოსოფოსის შელენგის ძლიერ გავლენას. გოთეს წერილი საინტერესოა არა მარტო ლიტერატურისმცოდნეთათვის, არამედ მკითხველთა ფართო წრეებისათვისაც.

გფრ

„ნიბელუნგების“ ახალი ვერსიის

„ნიბელუნგების“ ახალ ვერსიას იღებს რეჟისორი ჰერალდ რეინლი. წინა ფილმი,



1924 წელს გადაღებული გერმანელი რეჟისორის ფრიც ლანგის მიერ, უკვე მსოფლიო კინოს კლასიკური ნიმუშია. ახალ სურათში მთავარ როლებს ასრულებენ: ივ. ბეიერი, მარია მარლოუ, კარინ დორი, როლფ ხენინგერი.

ახალი ოპერა

დასავლეთ ბერლინში შედგა კომპოზიტორ ხაუბენშტოკ-რამატის ოპერა „ამერიკის“ პრემიერა. ოპერა კაფკას იმავე სახელწოდების რომანის მუსიკალური ვერსიაა. კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ოპერა რამდენიმე კომპონენტის სინთეზია. ესენია ელექტრონული და დოდეკაფონური მუსიკა, დიაპოზიტივის პროექცია, შუქის ეფექტები. ერთ-ერთი კრიტიკოსი წერდა — „ძალიან საინტერესო ექსპერიმენტია, მაგრამ, ჩემი აზრით, მას მომავალი არა აქვს“. კომპოზიტორმა ლიბრეტოსთვის გამოიყენა კაფკას რომანის მხოლოდ ნაწილი. პრემიერის დროს ხალხს არაერთგზის მოუწოდებდნენ წესრიგისაკენ, მაგრამ მომღერლებს უბღობოლათ ძალების დაძაბვა, რომ დაეფარათ მყურებელთა წამოძახილები. „თქვენ დაასამართ კაფკა“ — ყვიროდნენ ერთნი. სხვანი ნოიბახოდნენ ოპერის თეატრის დირექტორის მოხსნას.

„ჩვენი მკითხველები გაჯავრებული არიან მარლენზე“

გფრ და დასავლეთ ბერლინის რამდენიმე გაზეთი აქტიურად იბრძვის ცნობილი კინომსახიობის მარლენ დიტრიხის წინააღმდეგ, რომელმაც ფაშისმის ბატონობის გამო დატოვა გერმანია. საფრანგეთის მთავრობამ მარლენ დიტრიხი დააჯილდოვა საპატიო ლეგიონის ორდენით. გაზეთების გაცხარება გამოიწვია მსახიობის განცხადებაში, რომ განზრახული აქვს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩავიდეს ავტობიოგრაფიული ფილმის გადასაღებად. ოთხი მილიონი ტირაჟის მქონე გაზეთი „ბილდცაიტუნგი“ სათაურით „გერმანიაში — არა, ჩვენი მკითხველები გაჯავრებული არიან მარლენზე“ — ბეჭდავს მკითხველთა წერილებს, რომლებიც მოითხოვენ მარლენ დიტრიხის გაძევებას მაშინვე, როგორც კი

იგი ფეხს დაადგამს დასავლეთ გერმანიის მიწაზე.

იტალია

„ვეფხვი“

იტალიელი რეჟისორი დინო რიზი (ჩვენთან გადიოდა მისი სურათი „ჟურნალისტი რომიდან“) იღებს ახალ სატირულ კომედიას „ვეფხვი“. მთავარ როლს ასრულებს ვიტორიო გასმანი. ფილმი ორმოცი წლის მამაკაცის ამბავს მოგვითხრობს, მან დაკარგა ავტორიტეტი თავის ქვეშევრდომებს შორის, შეუბრალეულმა ახალგაზრდა კოლეგებმა აჯობეს. ამასთანავე იგი ვერ შეეგუა ტექნიკურ სიახლეებს, რაც დღითიდღე ართულებს წარმოებას.

იუგოსლავია

ფილმი სარაჰის ტრაგედიაზე

ბელგრადის კინოსტუდია „ავალა-ფილმი“ ამზადებს სარაჰის ტრაგედის (ტანტის მემკვიდრის ფრანც ფერდინანდის მკვლელობის) ეკრანიზაციას. სცენარი დაწერილია ვლადიმერ დელიერის წიგნის „სარაჰეო-1914“ მიხედვით. სურათს დგამს ცნობილი პოლონელი რეჟისორი ანკეი ვაიდა.

თურქეთი

რახმ მუშაობთ?

ამ კითხვით სტამბოლის ლიტერატურულმა ჟურნალმა „ედი ტეპმა“ მიმართა რამდენიმე თურქ მწერალს.

ცნობილმა ლიტერატურათმცოდნემ პროფესორმა ტახირ ალანგუმ აღნიშნა, რომ ამზადებს თანამედროვე თურქული მოთხრობის მამამთავრის ომერ სეიფედინის ბიოგრაფიას. ჯერ თურქეთში არ დაწერილა არცერთი მხატვრული ბიოგრაფია, ეს იქნება პირველი წიგნი ამ დარგში. ამას გარდა ტ. ალანგუ წერს სტატიების კრებულს ლიტერატურაზე.

პოეტმა მ. ანდამ დაამთავრა ბ. პასტურნაკის ავტობიოგრაფიის თარგმანი და შეუდგა ი. ერენბურგის მოთხრობების თარგმანს.

მწერალი ორხან სანჩერლიოღლი გამოსაცემად ამზადებს „ფილოსოფიურ ლექსიკონს“ და მუშაობს წიგნზე „ზროვნების ისტორია“.

უიწყასი

სსრ კავშირის მწერალთა IV ყრილობას	3 გვ.
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს	7 გვ.

პროზა და პოეზია

ოტია იოსელიანი — იმე ერთი ძალი (რომანი, გაგრძელება)	9 გვ.
ზაურ ზოლქვაძე — ტიცინან ტაბიძის, ზურაბ რჩეულნიჭილის მოლანდობა ალანდრ- ლობაჟა (ლექსები)	56 გვ.
ნოდარ ნარსია — ჩემი შაჰრეზადე, გაჩერებასთან (ლექსები)	57 გვ.
თამაზ გოდერძიშვილი — თეთრი კუნძული (მოთხრობა)	59 გვ.

თარგმანები

პირატ შაკონიძე — მიწის კარბაქსთან (ნოველა, თარგმნა რ. ინანიშვილმა)	86 გვ.
პიო ნახინი — როდის დანიბადა შერემედი (ნოველა, თარგმნა თ. ჭავჭავაძემ)	89 გვ.

ლიტერატურული კრიტიკა

გიორგი ჯიბლაძე — რუსთაველის ეპოქის ჰარმონული პროზა	92 გვ.
ზურაბ ჯვარციანი — მიხეილ ჯავახიშვილი	108 გვ.
აკოლონ შორაძე — ცხოვრების განთიადში	123 გვ.
არჩილ ჩაჩიბაძე — მდინარულ-დინამიკური ლიტერატურა და საბავშვო მწერლობა	128 გვ.

ჩვენი კალენდარი

შოთა ძიმიტაძე — გიორგი ახვლედიანი	127 გვ.
„ცისკარი“ ულოცავს პაპადიმიტოს გიორგი ახვლედიანს	142 გვ.

ისტორიის გეოგრაფიები

იანეო ბაჩო — სად გაძრა კიტლერი? ((თარგმნა შ. თევზაძემ)	143 გვ.
--	---------

შვილან თქვამს

„პირველი სივნი“	153 გვ.
სოფლის ახალგაზრდა ინტელიგენცია	158 გვ.
ლენინური პრემიის ლაურეატები	154 გვ.
გაბაღალი ჯილდო	154 გვ.
მიხეილ შოლუხოვის დედა	155 გვ.
ანდრე ბალანჩიშვილის იუბილე	155 გვ.
ლიანა მიქაძე — მხატვრებთან სტუმრობდა გაზაფხულში	155 გვ.

ყოველი მხრიდან

.	157 გვ.
-----------	---------





გარეკანი და ტიტული ელგუჯა ამაშუქელის, ეურნალი გააფორმა თენგიზ სამსონაძემ

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. გოდერძიშვილი

რედაქციაში შემოსული მასალანი ავტორებს არ დაუბრუნდებათ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლუხანოვის პროსპ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 5-08-85, პ/მ მდივნის — 5-08-86, განყოფილებაების კოორდინატორისა და პროზის, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 5-08-85, კულტურისა და ხელოვნების 5-08-75

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/ VI-67 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობითი ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 1928. უე 02136. ქალაქის ზომა 70×108, ტირაჟი 18.000

საქ. კპ ცკ-ის გამოცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

6159/24



ՅՆՆ ՅՅ ՅՅՅ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
«ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»

ИНДЕКС 76236